

კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი



ცენტრალური და ადგილობრივი სამოსელო
წყობა შუა საუკუნეების საქართველოში

Korneli Kekelidze
National Centre of Manuscripts

CENTRAL AND LOCAL OFFICIAL ORDER IN MEDIEVAL GEORGIA

(ENCYCLOPEDIA DICTONARY)

Tbilisi 2017

კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ცენტრალური და ადგილობრივი სამოსალო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში

(ენციკლოპედიური ლექსიკონი)

თბილისი 2017



Published under the project (grant #FR/361/1-10/13) of the Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts with financial support of Shota Rustaveli National Science Foundation.

Project Director Tamar Abuladze

Participants: Tamar Abuladze, Tsisana Abuladze, Khatuna Baidurashvili,
Vladimer Kekelia, Darejan Kldiashvili, Mzia Surguladze,
Elene Tsagareishvili.

Edited by Mzia Surguladze

Translated by Tamar Zhghenti

Layout and Cover design Maka Tsomaia

Cover: The Stele of Gunia-Kala, Lasha-Giorgi's Hand. National Museum Of Georgia

დაიბეჭდა შპს „სეზანე“
CEZANNE
PRINTING HOUSE

No part of this publication may be reproduced or transmitted in any form or by any means electronic, mechanical, photocopying, recording or otherwise, without the prior permission of the publishers.

Tbilisi 2017

ISBN 978-9941-9497-8-4

© Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts

© Authors



გამოცემა განხორციელდა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პროექტის ფარგლებში (გრანტი №FR/361/1-10/13) შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტის ხელმძღვანელი თამარ აბულაძე

მონაწილეები: თამარ აბულაძე, ცისანა აბულაძე, ხათუნა ბაინდურაშვილი,
ვლადიმერ კეკელია, დარეჯან კლდიაშვილი, მზია სურგულაძე,
ელენე ცაგარეიშვილი

რედაქტორი მზია სურგულაძე

მთარგმნელი თამარ ჟღენტი

დიზაინი და დაკაბადონება მაკა ცომაიასი

გარეკანზე: გუნია-ყალას სტელა. ლაშა გიორგის ხელი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

დაიბეჭდა შპს „სეზანში“
CEZANNE
PRINTING HOUSE

ამ გამოცემის არც ერთი ნაწილი არანაირი ფორმით და საშუალებით, იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური, მათ შორის ფოტოკოპირის გადაღებით და მაგნიტურ მონწყობილობაზე ჩანერით, არ შეიძლება გამოყენებულ ან გადანერვილ იქნას საავტორო უფლებების მფლობელთა წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე.

თბილისი 2017

ISBN 978-9941-9497-8-4

© კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

© ავტორთა ჯგუფი

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს შუა საუკუნეების ქართული სამოხელეო წყობის შესახებ დღეისათვის არსებული ცოდნის შეჯამებას და მის შევსებას ისტორიულ წყაროებში შემორჩენილი ცნობებით სამოხელეო პერსონათა შესახებ – კონკრეტულ მოხელეებზე თუ საგვარეულოებზე, რომლებიც მემკვიდრეობით ფლობდნენ ამა თუ იმ თანამდებობას. სამოხელეო პერსონალი შუა საუკუნეების საქართველოში სრულად ასახავდა საზოგადოების იერარქიულ სტრუქტურას შესაბამისი სამართლებრივი სტატუსებით და წოდებრივ-იერარქიული წარმოდგენებით.

ქართული მონარქიის სამოხელეო წყობა თავისი წოდებრიობით, უწყებრივი იერარქიით, რიტუალიზებული წესებით საუკუნეების განმავლობაში შემუშავებულ ტრადიციულ მოდელს განასახიერებდა, რომელიც, მიუხედავად პერიოდულობით განცდილი ტრანსფორმაციებისა, ტიპოლოგიურად უცვლელი დარჩა XVIII საუკუნის გასულამდე.

ქართული მონარქიის სამოხელეო წყობისათვის არ იყო უცხო თანამდებობათა შეერთება – ხშირად ერთი და იმავე პირის ხელში რამდენიმე მაღალი თანამდებობა იყრიდა თავს. ასეთ დროს ერთ რომელიმე პირს შეიძლებოდა დაქვემდებარებოდა როგორც სამეფო კარის ცენტრალური უწყებები, ასევე სჭეროდა ადგილობრივი მაღალი თანამდებობებიც. ასეთი შემთხვევები ჩვეულებრივი იყო XI-XIII საუკუნეების საქართველოს ერთიან მონარქიაშიც და გვიანდელი შუა საუკუნეების სამოხელეო პრაქტიკაშიც. თანამდებობათა ამგვარი შერწყმა ითვალისწინებდა დიდი ფეოდალური საგვარეულოების პოლიტიკურ წონას, როგორც ამას არსებულ ძალთა განლაგება კარნახობდა სამეფო ხელისუფლებას. ამგვარმა სამოხელეო წყობამ, რომელშიც მკაცრად იყო დაცული იერარქიზირებულ საზოგადოებაში დადგენილი წესები, ქართული მონარქიის ძლიერების ჟამს თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური და ზნეობრივი ასპექტებით შესაძლებლობათა მაქსიმუმი შეასრულა. გვიანდელ შუა საუკუნეებში კი, ფეოდალური ურთიერთობების სტაგნაციისა და კულტურული კარჩაკეტილობის პირობებში, მმართველობის ძველი მოდელი რამდენადმე გამარტივებული სახით განაგრძობდა არსებობას.

ქართული სამოხელეო ინსტიტუტების მეცნიერულ შესწავლას საფუძველი ჩაეყარა ივ. ჯავახიშვილის ფუნდამენტური გამოკვლევით: „ქართული სამართლის ისტორია“, რომელშიც საქართველოს სახელმწიფო სამართლის ძირითად საკითხებთან ერთად განხილულია ქართული მონარქიის პოლიტიკური სისტემა და მისი შემადგენელი სამოხელეო უწყებები, შესწავლილია სამოხელეო ფუნქციები, იერარქია და ტერ-

მინოლოგია. ივ.ჯავახიშვილის ნაშრომმა აშკარა გახადა, რაოდენ პერსპექტიული იყო ქართული სამოხელეო წყობის კვლევა სოციალურ ინსტიტუტებთან მჭიდრო კავშირში, რამაც ასახვა ჰპოვა შემდგომი თაობის მკვლევართა ნაშრომებში.

ქართული მონარქიის სამოხელეო წყობას რამდენიმე მონოგრაფია მიუძღვნა ივ. სურგულაძემ, რომელმაც ქართული სამეფო-სამათავროების სამოხელეო ინსტიტუტები განიხილა ისტორიული მნიშვნელობის პოლიტიკურ მოვლენებთან მჭიდრო კავშირში, განსაზღვრა მათი ფუნქციების სამართლებრივი არსი კერძო და საჯარო საწყისთა ურთიერთმიმართების თვალსაზრისით. განსაკუთრებულია ივ. სურგულაძის დამსახურება ქართული სახელმწიფოებრივი წყობილების უმთავრესი ძეგლების, „ხელმწიფის კარის გარიგებისა“ და „დასტურლამალის“ აკადემიური გამოცემის საქმეში. ამ პუბლიკაციების უდიდესი ღირსებაა ტექსტების არქეოგრაფიული, ისტორიული და იურიდიული კომენტარები, ტერმინთა ლექსიკონი და რუსულ-გერმანული პარალელური თარგმანები, რითაც ისინი ხელმისაწვდომი გახდა ფართო სამეცნიერო წრეებისათვის.

ქართული სამოხელეო წყობის შესწავლის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა შ. მესხიამ. მისი გამოკვლევა „საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში“ ეძღვნება ერთიანი ქართული მონარქიის სამოხელეო წყობას, იმ პოლიტიკური გარემოებების ანალიზს, რომლებმაც განაპირობეს მმართველობის ცენტრალური აპარატის სრულყოფა; ნაშრომში დიდი ყურადღება ეთმობა დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის თანამედროვე „ახალ“ პოლიტიკურ ფიგურებს და საგვარეულოებს, რომელთა წარმომადგენლები დიდხანს იკავებდნენ უმაღლეს თანამდებობებს სამეფო კარზე და უდიდეს როლს ასრულებდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ნაშრომში ახლებურადაა გააზრებული სავაზიროს წარმოქმნის პრობლემა და დაზუსტებულია სამეფო კარის უმაღლეს მოხელეთა უფლებამოსილების ფარგლები. შ. მესხიას სახელს უკავშირდება საქართველოს ქალაქების ეკონომიკური საქმიანობის, სოციალური სტრუქტურისა და მმართველობის ფორმების შესწავლა, რაც ასევე ასახულია წინამდებარე ნაშრომში.

გვიანდელ შუა საუკუნეებში შექმნილმა საგარეო პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა ქართულ სამოხელეო ნომენკლატურაში ირანულ-ყიზილბაშური ტერმინოლოგიისა და ინსტიტუტების დანერგვა. ამ მოვლენის არსობრივ განხილვას ეძღვნება ვ. გაბაშვილის ნაშრომები: „დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით“; „სახელმწიფო წყობილების საკითხისათვის გვიანფეოდალურ საქართველოში“. მის მიერ მრავალრიცხოვან საკონტროლო მასალაზე დაყრდნობით დასაბუთებულია, რომ ტერმინოლოგიურ ცვლილებებს ზეგავლენა არ მოუხდენია ქართული სამოხელეო ინსტიტუტების შინაარსზე, რამდენადაც ისინი ადგილობრივ სამამულო მფლობელობასა და სამართლებრივ წესრიგზე იყვნენ მორგებულნი.

ერთიანობის ხანის ქართული მონარქიის დაწესებულებათა აღწარმობასა და მა-

თი შინაარსობრივი რაობის გამოკვლევას ეძღვნება ი. ანთელავას ნაშრომი: „საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII სს“. რომელშიც ახლებურადაა გაანალიზებული „ხელმწიფის კარის გარიგების“ მთელი რიგი პასაჟები. შესწავლილია სამეფო კარის დანესებულებათა სტრუქტურისა და ფუნქციონირების საკითხები, გარკვეულია ცალკეულ უწყებათა შორის არსებული, ერთი შეხედვით, „დაფარული“ კავშირები. ნაშრომში გააზრებულია ერთი და იმავე დანესებულების ფარგლებში სხვადასხვა უწყების მოხელეთა „შეხვედრის“ მიზეზები, საჯარო და კერძო სამართლებრივ საწყისთა შერწყმის პრაქტიკული გამოხატულებანი და სხვ. ავტორმა დააზუსტა და, რიგ შემთხვევაში, ახლებურად გაიაზრა „ხელმწიფის კარის გარიგების“ ტექსტის მრავალი ბუნდოვანი და განმარტების გარეშე დარჩენილი ადგილი.

ელინისტური ეპოქიდან მოყოლებული, მაღალი შუა საუკუნეების ჩათვლით, ქართული სახელმწიფოს სამოხელეო სტრუქტურაში უდიდეს როლს ასრულებდა მოხელე ერისთავი, რომელიც სამეფო ხელისუფლებას განსახიერებდა პროვინციებში და ადგილობრივ უძღვებოდა „საქვეყნოდ გამრიგე“ მოხელეთა საქმიანობას. სპეციალურად ერისთავის ინსტიტუტს ეძღვნება მ. ბახტაძის გამოკვლევა, რომელშიც სრულადაა თავმოყრილი და შეჯამებული უზარმაზარი ინფორმაცია ერისთავის ინსტიტუტის ჩასახვა-განვითარების შესახებ, შეფასებულია ამ ინსტიტუტის მნიშვნელობა ქართული სახელმწიფოებრივობისათვის, გარკვეულია „ახალ“ საერისთავოთა დაფუძნების გარემოებები, მასალის სიმწირის მიუხედავად, შეძლებისდაგვარად დადგენილია მოხელე-ერისთავთა სოციალური ვინაობა და მათი ქრონოლოგია-გენეალოგია.

ზემოხსენებულ ავტორთა გარდა, ცალკეულ ქართულ სამოხელეო ინსტიტუტებზე მნიშვნელოვანი მოსაზრებები აქვთ გამოთქმული პ.ინგოროყვას, ნ. ბერძენიშვილს, გ. წერეთელს, გ. მელიქიშვილს, მ. ლორთქიფანიძეს, ნ. შოშიაშვილს და სხვებს, რომლებიც ასახული იქნება წინამდებარე ნაშრომის სათანადო ადგილებში. იმ შესაძლებლობათა ფარგლებში, რასაც იძლევა არსებული წყაროები, ნაშრომში წარმოდგენილ ცალკეულ სტატიებთან თავმოყრილია მეტნაკლებად სრული ინფორმაცია სამოხელეო პერსონალიაზე, რაც მკითხველს წარმოდგენას შეუქმნის იმ სოციალურ კონტინგენტზე, რომელსაც ძველი საქართველოს სამოხელეო წყობა ემყარებოდა.

ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში (ზოგადი მიმოხილვა)

ელისტური და გვიანანტიკური ქართლი

იმ დიდ პოლიტიკურ ცვლილებათა ტალღაზე, რომელიც მოჰყვა წინა აზიაში ალექსანდრე მაკედონელის სარდლებს შორის ძალაუფლებისათვის დაწყებულ ბრძოლას, ძვ.წ. IV-III საუკუნეთა მიჯნაზე წარმოიქმნა ქართლის (იბერიის) სამეფო და მასთან ერთად შეიქმნა მმართველობის აპარატი. ქართული საისტორიო ტრადიცია ქართლის სამეფოს წარმოქმნის შესახებ ორ ალტერნატიულ წყაროს ემყარება. ერთია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომელიც ქართლის პირველ მეფედ აცხადებს აზონს, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე „არიან-ქართლის“ მეფის ძეს. მეორეა „ქართლის ცხოვრება“, რომლის უძველესი შრე, ე. წ. „მეფეთა ცხოვრება“, აზონს დამპყრობლად მიიჩნევს, ხოლო კანონიერ მეფედ – მცხეთის მამასახლისის მემკვიდრეს – ფარნავაზს. ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ ორივე წყარო შეიცავს პოზიტიურ ინფორმაციას – ქართლის სამეფოს საფუძველი ჩაუყარა აზონმა, ხოლო განასრულა მისმა მეტოქე ფარნავაზმა, რომელმაც, მართალია, ბრძოლით მოიპოვა ტახტი, მაგრამ არსებითად შეინარჩუნა აზოს მმართველობის დროს შემოტანილი ტომობრივ-ეთნიკური კონსოლიდაციის ელემენტები, რომლებიც წყაროებში ღვთაებათა (არმაზ-ზადენი) თანაარსებობითაა გამოხატული. (ბერძენიშვილი 1990: 124, 140).

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ არაფერს გვეუბნება აზონის მმართველობის წესის შესახებ, ვიცით მხოლოდ, რომ არიან-ქართლიდან მას თან გადმოჰყვენენ „რვა სახლი და ათნი სახლნი მამამძუძენი“ (აბულაძე 1963: 81-82), უეჭველია, სამხედრო კონტინგენტი, რომელსაც აზონი ეყრდნობოდა ქვეყნის მართვაში. რაც შეეხება სამოხელეო ინსტიტუტებს, „მეფეთა ცხოვრება“ მათ შექმნას ფარნავაზს მიაწერს.

ფარნავაზის დროს შექმნილმა სამოხელეო ინსტიტუტებმა, გარკვეული ტრანსფორმაციებით, შუა საუკუნეების საქართველოშიც შეინარჩუნეს თავისი მნიშვნელობა.

მოხელე (ძველი ქართული ორთოგრაფიით მოწელე) მომდინარეობს პოლისემანტიკური სიტყვიდან ხელი (წელი), რომლის მრავალ მნიშვნელობათაგან ძალზე პროდუქტიული აღმოჩნდა უფლება/ფლობის ცნება. მისგან არის ნაწარმოები ძალაუფლებასთან დაკავშირებული სხვა ცნებებიც: ხელმწიფება, სახელმწიფო, ხელისუფალი, მოხელე, სახელო, ხელოსანი და სხვ. შუა საუკუნეებში დიდხანს გამოიყენებოდა ქვაზე ამოკვეთილი ხელის გამოსახულებები, როგორც პოლიტიკური ძალუფლების მატერია-

ლური ნიშანი. აღსანიშნავია, რომ ასეთი „წილები“ განვითარებულ შუა საუკუნეებში მხოლოდ სამეფო დომენის მამულებში იყო აღმართული (გ. ოთხმეზური 1981: 67-68).

ძველი ქართული სამართლებრივი ტერმინოლოგია ერთმანეთისაგან განარჩევს ცენტრალური აპარატის (დარბაზის რიგის/პალატის/კარის) და ადგილობრივ (საქვეყნოდ გამრიგე) მოხელეებს. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ შუა საუკუნეების ქართული მონარქიისათვის (ისევე, როგორც დასავლური ტიპის ფეოდალური მონარქიებისათვის) უჩვეულოა საჯარო და კერძო სამართლებრივი უფლებების მკაცრი გამიჯვნა, რამაც თავისებური ზეგავლენა მოახდინა სამეფო კარის დანესებულებათა შინაგან სტრუქტურაზე და თვით სამოხელეო იერარქიაზე. ერთი და იგივე მოხელე შეიძლებოდა ყოფილიყო მეფის დომენის მსახურიც და სახელმწიფოს საჯარო მოხელეც.

ამრიგად, მოხელე ძველ ქართულში მეფის „ხელის“, ანუ მეფის პოლიტიკური ძალაუფლების გარკვეული ნაწილის მატარებელ პირს ეწოდებოდა. თვით „ხელის“ ინსტიტუციურ შინაარსს და კომპეტენციებს კი განსაზღვრავდა სრული „ხელის“ მქონე პირი – „ხელმწიფე“, მეფე, რომლის ლეგიტიმურობა ანტიკურ ქართულში ორ საწყისს – ღვთაებრივს (არმაზი) და მიწიერს (სამეფო დინასტიური წარმომავლობა) ეფუძნებოდა. მეფის ლეგიტიმაციის ამგვარი წესი არსებითად იგივე დარჩა ქართლის გაქრისტიანების შემდეგაც. ქართლის მეფე ერთდროულად ღვთისაგან ცხებულებს იყო და სამეფო დინასტიის კანონიერი გამგრძელებელიც. ამიტომ მეფეთა უზენაესი წების გამაგრებელი პირები, ანუ „ხელის“ მატარებელი მოხელეები ლეგიტიმურობის ასეთივე კომპონენტებს (ღვთაებრივსა და მიწიერს) საჭიროებდნენ. იმ რიტუალურ წესებზე დაკვირვება, რომლებიც დაკავშირებულია ამა თუ იმ პირის აღჭურვასთან სამოხელეო უფლებებით, ავლენს პოლიტიკური ისტორიის იმ უმნიშვნელოვანეს ასპექტს, რომელიც თავად ძალაუფლების ფენომენის ისტორიულ ფესვებს და მასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ წარმოდგენებს უკავშირდება. ამგვარ საკითხთა კვლევისათვის ისტორიკოსები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ძალაუფლების ნივთიერ გამოხატულობებს – ინსიგნიებს, საბეჭდავებს, რიტუალურ მოქმედებებს, ეტიკეტს, ტერმინოლოგიას, სტერეოტიპულ ფრაზეოლოგიას, ყველა იმ მასალას, რომელიც პოლიტიკური და სამართლებრივი სიმბოლოზმის ნიშნებს ატარებს. ამგვარი ინფორმაცია, გარდა წერილობითი წყაროებისა, შეიძლება შემორჩენილი იყოს მატერიალურ საგნებში, სახვითი ხელოვნების ძეგლებში, ეთნოგრაფიულ ყოფაში, ენობრივ ფორმულებში და სხვ.

საზოგადოების სოციალური სტრუქტურა და სამოხელეო კონტინგენტი

ელინისტური და გვიანანტიკური ეპოქების ქართლის მეფეთა ძალაუფლება დიდწილად ოჯახის ნათესაურ სტრუქტურას იმეორებდა, რის გამოხატულებასაც წარმოადგენდა უმაღლესი საკარისკაცო თანამდებობების გადახანჩილება ე.წ. „მეფეთა

ნათესავებს“ შორის (Меликишвили 1959: 469-470). ამ ჯგუფში სამეფო სახლის გენეტიკურ ნათესავებთან ერთად ხელოვნური დანათესავების გზით დაწინაურებული პირებიც ერთიანდებოდნენ. ხელოვნური დანათესავების ხალხური ინსტიტუტი „მეფეთა ნათესავის“ წრის გაფართოების საშუალებას იძლეოდა. ამ წრეს ეკუთვნოდნენ, მაგ., აზონის „მამამძუძეთა სახლები“, ფარნავაზ სპასპეტი – ფარსმან ქველის მამამძუძე, ვახტანგ გორგასლის მამამძუძე საურმაგ სპასპეტი, ვახტანგის ძუძუმტე არტავაზდ კლარჯეთის ერისთავი და სხვ. საშუალო და უფრო დაბალი რანგის თანამდებობებს იკავებდნენ სამეფო მიწების („ხორა ბასილიკე“) პირობითი მფლობელები, რომლებიც ძველი ქართული მწერლობის ნათრგმნ და ორიგინალურ ტექსტებში სხვადასხვა ტერმინით გადმოიცემა: სეფე-წული, სეფე-კაცი მსახური, ტაძრეული და სხვ. (ალექსიძე 1963: 156-180).

ცნობილია, რომ სოციალურად ნაკლებ დიფერენცირებულ საზოგადოებებში ხელოვნური ნათესაობის ინსტიტუტები ქმნიდნენ ფართო სოციალური და პოლიტიკური კონსოლიდაციის შესაძლებლობებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ვ. ბარდაველიძის ნაშრომში მოყვანილი ტაციტუსის ცნობა ქართლის უფლისწულ რადამისტისა და სომეხთა მეფის შეხვედრის შესახებ, რის დროსაც შესრულებულა კერპების წინაშე სისხლით ძმადგაფიცვის მსგავსი რელიგიური რიტუალი (ბარდაველიძე 1971: 68, 76). ეს მაგალითი ჩვენი საკითხისათვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ადასტურებს სამეფო ოჯახებში რიტუალური დანათესავების გავრცელებულ პრაქტიკას. „დანათესავების“ რელიგიურ რიტუალს ერთდროულად საკრალური, პოლიტიკური და სამართლებრივი შინაარსი ჰქონდა, რაც, მოხელეობის შემთხვევაში, მათ საქმიანობას მაღალ ლეგიტიმურობას ანიჭებდა. მკვლევართა აზრით, ფარნავაზის დროინდელი ყოფილი უფალ-მამასახლისების პოლიტიკური კონსოლიდაცია მეფის ფიგურის გარშემო და მათი გარდაქმნა მოხელე-ერისთავებად მხოლოდ ამგვარი ხელოვნური დანათესავების („შვილობის“) საფუძველზე შეიძლებოდა შემდგარიყო (ბერძენიშვილი 1990: 152; მამულია 1979: 63, 113).

გვიანანტიკურ ქართლში (IV-V სს.) საზოგადოების დიფერენციაციის გაღრმავების კვალდაკვალ საზოგადოებრივ ასპარეზზე მსახურთაგან (სეფენულები) წინაურდებიან მხედრები, რომლებიც ფეოდალთა კლასის წინაპრები ხდებიან და სამოხელეო კონტინგენტიდან თანდათანობით ავიწროებენ რიგით სეფენულებს.

* * *

ფეოდალური ურთიერთობების განვითარებამ ადრეულ შუა საუკუნეებშივე შეიტანა თავისი კორექტივი მოხელეთა ლეგიტიმაციის ძველ წესებში. „ქართლის ცხოვრებაში“ საინტერესო მინიშნებებია დაცული იმის შესახებ, თუ როგორ ყალიბდება ფეოდალური წოდების ორი ტიპი: ამათგან პირველის წყარო თავად სამეფო ხელი-

სუფლება – ვახტანგ გორგასალმა თავისი ერთგული მხედარ-მსახურები ომში გამოჩენილი მამაცობისათვის „ნარჩინებულ-ქმნა“, ე.ი. მიწების ბოძების გზით აამაღლა სოციალურ საფეხურზე (ყაუხჩიშვილი 1955: 158). უფრო გვიან ასევე იქცევა არჩილი კახეთში (ყაუხჩიშვილი 1955: 243). სავარაუდოდ, ამავე წესით ყალიბდება ფეოდალური ელიტები შემდეგდროინდელ სამეფო-სამთავროებშიც. ამ კატეგორიის აზნაურობა ტახტის ერთგულებით გამოირჩევა და სამეფო ხელისუფლებაც მათგან არჩევს სამოხელეო კანდიდატურებს.

მეორე ტიპი გულისხმობს სამეფო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ პროცესს – აზნაურთა წოდების წარმოქმნას პატრონაჟის წესით, გაკვეთულ პირთა მიერ თანამეთემეთა თავისუფლების შთანთქმისა და მათ მშვიდობიან არსებობაზე პასუხისმგებლობის აღებით. ასეთ აზნაურთა სახლები უპირატესად სამეფო ხელისუფლების სისუტის ჟამს, საერთო პოლიტიკური ცენტრის არარასებობის პირობებში ყალიბდებოდა, რაც, საქართველოს შემთხვევაში, საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს (VIII-X სს.) მოიცავდა. ამგვარად წარმოქმნილ ძლიერ ფეოდალურ სახლებს მათი ძალაუფლების გამომხატველი ყველა ატრიბუტი გააჩნდათ: ვრცელი მიწა-წყალი, ციხესიმაგრეები, სამხედრო ძალა, საკუთარი ეკლესია და მრავალრიცხოვანი ყმები. საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლი მეფეები სწორედ ამგვარი სახლებისაგან აწყდებოდნენ მედგარ წინააღმდეგობას (მაგ., ტბელები შიდა ქართლში). ეს იყო ახალი მემამულური არისტოკრატია, უაღრესად ანგარიშგასანევი პოლიტიკური ძალა, რომელმაც ერთგვარი განაჩენი გამოუტანა „მამამძუძეობის“ და „ძუძუმტეობის“ ძველ ინსტიტუტებს მათი საჯარო-პოლიტიკური ფუნქციებით. ამ ძველი ინსტიტუტების ტრანსფორმაციაა „გაზრდილობა“, რომელიც თავდაპირველად სასახლის მსახურთა (ტაძრეულნი, შინაურნი) წრით იყო შემოფარგლული და, თანდათანობით, ფეოდალური სამთავროების წარმოქმნის კვალობაზე, ლოკალური პოლიტიკური ცენტრების ძლიერებას დაედო საფუძვლად. მაღალ შუა საუკუნეებში კი „გაზრდილობამ“ მთელი აზნაურული წოდება მოიცვა – მას დაემყარა რამდენიმე საფეხურიანი ფეოდალური ვასალიტეტი („ვეფხისტყაოსნის“ საზოგადოება). ამ ეპოქაში „გაზრდილობა“ იქცა სოციალური კონსოლიდაციის ახალ, ფეოდალურ ურთიერთობებზე მორგებულ სისტემად, რომელსაც ქართულ სინამდვილეში პატრონყმობაც ეწოდებოდა. იგი განსაზღვრავდა ფეოდალური წოდების იერარქიულ სტრუქტურას, პოლიტიკური ერთგულების და ეთიკური ქცევის ნორმებს, მაგრამ ცხადია, მისი მნიშვნელობა დიდად სხვაობდა ქართული სახელმწიფოებრივობის ჩამოყალიბებისა და განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

XI საუკუნეში საქართველოს მეფეთა ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის, იმ ეპოქის კატეგორიებით რომ ვიმსჯელოთ, ნიშნავდა ბრძოლას ერთი პატრონყმული ვერტიკალის შესაქმნელად – მის მოქცევას ერთი პირის – ფეოდალი-მეფის პირადი

ძალაუფლების ქვეშ. ეს ხანგრძლივი ბრძოლა სამეფო ხელისუფლების გამარჯვებით დასრულდა დავით აღმაშენებლის დროს, მაგრამ არა მხოლოდ რეპრესიული ღონისძიებების შედეგად. „გაზრდილობის“ ინსტიტუტი სამეფო ხელისუფლებამ გამოიყენა იერარქიულ კიბეზე პირადი ღირსებით გამორჩეული ადამიანების დასაწინაურებლად, მათთვის პატივის მომატებით და თანამდებობების ბოძებით. ცხადია, ამგვარი რამ მეფის მოწინააღმდეგე მთავრებსაც შეეძლოთ, მაგრამ, ისინი, სამეფო კარს, რომელიც იმავდროულად მაღალი კულტურის ცენტრად იქცა, კონკურენციას ვეღარ უწევდნენ. ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, „გაზრდილ-შეზრდილობის“ ინსტიტუტის გადაქცევას სამეფო კარის პოლიტიკურ ინსტრუმენტად ხელი შეუწყო „ზრდილობის“ შინაარსის გამდიდრებამ ფართო კულტურული თვალსაწიერით – საეკლესიო სწავლების გვერდით საერო ცოდნის დამკვიდრებამ, ეტიკეტისა და მორალის მაღალი ნორმების დანესებამ, საერთოდ, ფეოდალური კარჩაკეტილობის დაძლევა. მეფეები ამ გზით იკრებდნენ ერთგულ, მხნე და ნიჭიერ ადამიანებს, რომელთაც არა მხოლოდ მაღალ საერო თანამდებობებზე აწინაურებენ, არამედ საეკლესიო იერარქიაშიც (ბერძენიშვილი 1974: 84-85). „გაზრდილობის“ ინსტიტუტის ფარგლებში იგულისხმება სხვადასხვა სოციალური შრის ვასალი და, მათ შორის, „არათავისუფალი“ ყმა-მსახურებიც (ჩხატარაიშვილი 1979: 93), რომლებიც საქართველოს სამეფო კარზე ძველ ტაძრულთა ანალოგიურ ფუნქციებს ასრულებდნენ და, როგორც ჩანს, საქართველოს სამეფოს დინამიური ზრდის კვალობაზე სამოხელეო ასპარეზზეც აღწევდნენ წარმატებას. ამ ინსტიტუტის წყალობით მაგ., უფლისწულებთან ერთად დაბალ აზნაურთა და მსახურთა შვილებიც იზრდებოდნენ (შდრ. ლაშას თანამოჰასაკენი); მათ შორის ჭარბობდნენ საუფლისწულო მამულების მკვიდრ აზნაურთა შვილები. ამრიგად, სამეფო კარი მხოლოდ პოლიტიკური ცენტრი კი არ იყო, არამედ „ფეოდალურ ზნეობათა“ სწავლებისა და გავრცელების ცენტრადაც იქცა (ბერძენიშვილი 1974: 86-87), სადაც „აღზრდის“ კულტურა თავად წარმოადგენდა სოციალური კონსოლიდაციის მნიშვნელოვან საფუძველს.

სამეფო კარის მაღალი კულტურა მიმზიდველი გახდა ძველი მემამულურ-პროვინციული არისტოკრატიისათვისაც და საფუძველი გამოაცალა მის სწრაფვას განკერძოებისაკენ. ამიერიდან სამეფო კარზე „აღსაზრდელად“, მოყმეობა-ზრდილობის არისტოკრატიული ნორმების დასაუფლებლად და მაღალი სამოხელეო თანამდებობების დასაკავებლად ერთმანეთს ეჯიბრებიან „ახალი“ და „ძველი“ აზნაურები. XII საუკუნის მიწურულს, თამარის მეფობის დასაწყისში, აშკარა გახდა ძირძველი ფეოდალური არისტოკრატიის ტენდენცია შეეზღუდა „ახალი ადამიანების“ და ახალი საგვარეულოების გამოჩენა პოლიტიკურ ასპარეზზე. ამ არისტოკრაციამ მოხელეთა ლეგიტიმაციის საკითხი ძალზე მწვავედ დაუკავშირა მათ წარმომავლობას. დიდებულებმა მეფეს ერთგულ მოხელეთა (მაგ., აფრიდონისა და ყუბასარის) გადაყენება იმ მოტივით მოს-

თხოვეს, რომ ისინი „უგვარონი“ იყვნენ (ივარაუდება, რომ ეს მოხელეები მსახურთა წრიდან იყვნენ გამოსულნი, რის გამოც დიდებულთა თვალში მათ საკმარისი ლეგიტიმაცია არ გააჩნდათ. ყაუხჩიშვილი 1959: 30). თამარმა მოახერხა ერთგულ მოხელეთა დაცვა, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდგომ სასახლის სამოხელეო კონტინგენტის ორ კატეგორიას შორის დაპირისპირების კვალი კვლავ შეინიშნება (მაგ., ივანე ათაბაგი და ლაშა გიორგის „გაზრდილები“). ეს დაპირისპირება, რომელიც საზოგადოების დინამიური განვითარების პოტენციალს ემყარებოდა, საბოლოოდ შეაჩერა მონღოლთა დაპყრობებმა.

მოხელის ლეგიტიმაციისათვის სამეფო კართან „გაზრდილობით“ დაკავშირებულ პირს ჯერ „დარბაზის ყმობის“ საფეხური უნდა გაევიდოდა, ამის შემდეგი შეიძლებოდა მისი რომელიმე თანამდებობაზე „შენყალბა“ სათანადო სამოხელეო რიტუალის თანხლებით. მსგავს რიტუალებზე მითითებას ვხვდებით თამარის ისტორიკოსთან (მაგ., აბულასანისა და ივანე მხარგრძელის მაგალითები. ყაუხჩიშვილი 1959: 36, 54). ისტორიული საბუთების მიხედვით, „შეზრდილ-გაზრდილთათვის“ თანამდებობის რიტუალური ბოძების წესი გვიანდელ შუა საუკუნეებშიც განაგრძობდა არსებობას. მაგ., XV საუკუნის მინიატურით შემკულ ერთ-ერთ სიგელში გამოსახულია მეფის წინ დაჩოქილი ყმა, რომელსაც თავი დაუხრია ხელდასხმის მოლოდინში (ქისკ 2014: 440). ივ. ჯავახიშვილი ამგვარ „პოლიტიკურ“ რიტუალებში საეკლესიო კურთხევის ანალოგს ხედავდა (ჯავახიშვილი 1982: 237).

მოხელის ლეგიტიმაციისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა პატრონყმული ზნეობრივი კოდექსისა და ეტიკეტის შესწავლას, მაღალი წრის პრესტიჟული ქცევის ნორმების დაცვას. მაგ., მონღოლთა წყალობით დუმნისთავად აღზევებულ ეგარსლან ბაკურციხელს ეტიკეტის დარღვევის გამო (იგი ცხენიდან ჩამოუქვეითებლად მიეახლა ურდოდან დაბრუნებულ ავაგ ათაბაგს) პატივს აყრიან – ეგარსლანი ცხენიდან ჩამოაგდეს და საპატიო სამოსი გახადეს. აქვე დასრულდა მისი სამოხელეო კარიერაც (ყაუხჩიშვილი 1959: 225).

ძველი ქართლის სამოხელეო ნომენკლატურა

შუა საუკუნეების საქართველოს სამოხელეო წყობამ მემკვიდრეობით მიიღო ანტიკური ქართლის სამეფოს სამოხელეო ტერმინოლოგია და, გარკვეული ტრანსფორმაციებით, შეინარჩუნა ზოგიერთი თანამდებობრივი ფუნქციაც. ასეთ თანამდებობებს მიეკუთვნება უპირველესად, სპასპეტი, ერისთავი და ეზოსმოდვარი. სპასპეტის თანამადებობა, „მეფეთა ცხოვრების“ ცნობით, ფარნავაზ მეფის დროს (ძვ. წ. IV-III საუკუნეთა მიჯნა) შეიქმნა. სპასპეტი იყო მეფის შემდგომ მეორე პირი, ერისთავთა ჯარების წინამძღოლი და მფლობელი შიდა ქართლის მიწა-წყლისა „არაგვიდან ტაშის-

კარამდე“ (ყაუხჩიშვილი 1955: 24). „ქართლის ცხოვრების“ ცნობას „მეფის შემდგომ მეორე პირის“ შესახებ ადასტურებს სტრაბონი, რომლის თანახმად, იგი წარმომავლობით ეკუთვნოდა სამეფო საგვარეულოს და მხედართმთავობასთან ერთად მსაჯულის ფუნქციებსაც ასრულებდა (სტრაბონი 1957: 129-130). ამრიგად, სპასპეტი ძველ ქართლში წარმოადგენდა უმაღლეს სატომო არისტოკრაციას – „მეფეთა ნათესავს“, ასრულებდა მხედართმთავარისა და მოსამართლის ფუნქციებს და საკუთრივ განაგებდა შიდა ქართლს. თავად ტერმინი „სპასპეტი“ საშუალო სპარსული ფორმაა და ქართლში IV საუკუნის უწინარეს ვერ შემოვიდოდა (ანდრონიკაშვილი 1966: 371). ამიტომ მკვლევართა მოსაზრებით, ფარნავაზის დროინდელი „მეფის შემდგომ მეორე პირი“ უნდა ყოფილიყო არა „სპასპეტი“, არამედ „პიტიახში“, რომლის არსებობა ძველ ქართლში არმაზის სამაროვანის (I-III სს.) ნარწერებმა დაადასტურა (თ. გამსახურდია 1970: 49-74). პიტიახშები ჩანან ძველი ქართლის უმაღლესი სამოხელეო იერარქიის სათავეში (გ. წერეთელი 1941: 35), მაგრამ ისტორიულ გარემოებათა წყალობით ა.წ. IV-VI საუკუნეებში „პიტიახში“ მნიშვნელობას იცვლის – ამ ტერმინით ტრადიციულად მოიხსენიებენ ქვემო ქართლის (სამშვილდის) სამხარეო მმართველებს, რომელთა საგვარეულო წარმომავლობით სამეფო ოჯახთან იყო დაკავშირებული. რაც შეეხება სპასპეტს, „მეფეთა ცხოვრების“ თანახმად, IV-VI საუკუნეებში იგი მართლაც იყო მეფის შემდგომ მეორე პირი, მეფის მამამძუძე და აღმზრდელი, შიდა ქართლის მფლობელი და ადგილობრივ მოხელე-ერისთავთა ჯარების მხედართმთავარი. ტერმინი სპასპეტი იხმარება გვიანდელ (XVII-XVIII სს.) ტექსტებშიც, როგორც ახლადდამკვიდრებული „სარდლის“ ან მთავარსარდლის სინონიმი.

ძველი ქართლის სამოხელეო ტერმინოლოგიიდან მეტად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა სპასალარი, რომელმაც ადგილი შეინარჩუნა XI-XIII საუკუნეების ქართული მონარქიის სამხედრო-სამოხელეო ნომენკლატურაში.

ძველი ქართლის სამოხელეო ტერმინოლოგიას განეკუთვნება „ერისთავი“, რომელიც ეტიმოლოგიურად სოციალურად თავისუფალი თემის – ერის/ჯარის უფროსს აღნიშნავს და ხაზს უსვამს ძველი ქართლის სამეფოს სამხარეო მონყობის სამხედრო-ორგანიზაციულ პრინციპს. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ძველ ერისთავთა რაოდენობა (ფარნავაზიდან ვახტანგ გორგასლის მეფობის დასასრულამდე) რვას არ აღემატებოდა. საერისთავო ტერიტორიების ძველი სახელწოდებები მკაფიოდ უჩვენებს, რომ ეს „დაყოფა“ სინამდვილეში წინანდელი სამამასახლისო ქვეყნების – ტომობრივ-ტერიტორიული წარმონაქმნების („ძმები“, „შვილები“) პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენდა (ბერძენიშვილი 1990: 152-153). ერისთავთა მსხვილი სამართავი პროვინციები („ქვეყნები“) უფრო წვრილი ადმინისტრაციული ერთეულების, ხევეებისა და ხეობებისაგან შედგებოდა, რომელთაც ერისთავების ხელქვეითი მოხელეები – სპასალარები და ათასისთავები განაგებდნენ. როგორც „მეფეთა ცხოვრება“

იუნყება, ფარნავაზ მეფე ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფისას „სპარსთა სამეფოს“ მაგალითით ხელმძღვანელობდა, რაც უპირველეს ყოვლისა, ქართლის სამეფოს სამხედრო-სამოხელეო ნომენკლატურაში მჟღავნდება. გარდა ზემოაღნიშნული სპასპეტისა, საშუალო სპარსულია სპასალარიც (ანდრონიკაშვილი 1966: 372). ათასისტავი ქართული კომპოზიცია, მაგრამ, ვარაუდობენ, რომ იგიც აქამენიდური ირანის „ჰაზარაპეტის“ კალკი უნდა იყოს. აქამენიდურ ირანში სამხედრო ორგანიზაცია ათობით პრინციპს ეფუძნებოდა და ერთ-ერთი ჰაზარაპეტი სახელმწიფოს უდიდეს მოხელედ ითვლებოდა (გამსახურდია 1970: 70). ირანულ სამყროსთან სიახლოვეს ამჟღავნებს აგრეთვე უფლისწულთა (როგორც ვაჟების, ასევე ქალების) აღმზრდელებად სამხედრო მოხელეების, სპასპეტებისა და სპასალარების მოწვევა (ჩხეიძე 1979: 10), რისი არა ერთი მაგალითია „ვახტანგ გორასლის ცხოვრებაში“ (ყაუხჩიშვილი 1955: 143, 145).

ძველი ქართლის მაღალ სამოხელეო თანამდებობას წარმოადგენდა „ეზოს მოძღვარი“, რომელიც დამონმებულია არმაზში აღმოჩენილ ბერძნულ-არამეულ წარწერაში, ე.წ. „არმაზის ბილინგვაში“. წარწერის არამეული ძირი – rb trbჟ, რომლის შესატყვისია ბერძნ. „ეპიტროპოს“, ბიბლიური ნიგნების ქართული თარგმანების გათვალისწინებით, ითარგმნა, როგორც „ეზოს მოძღვარი“ (წერეთელი 1941: 35). იგივე ტერმინი დამონმებულია VIII საუკუნეში სირიულიდან ქართულად ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებაში „დროსის წამება“ მსახურის, მეფის კარის მესაწოლის მნიშვნელობებით (მაისურაძე 1980: 128-129). „არმაზის ბილინგვის“ მიხედვით კი, „ეზოს მოძღვარი“ ქართლის სამეფოში სასახლის მაღალ საკარისკაცო თანამდებობას ეწოდებოდა და მის უფლება-მოვალეობებში შედიოდა სასახლისა და სამეფო დომენის გაძლოლა, სამეფო შემოსავალ-გასავალის აღნუსხვა (შდრ. ბერძნ. ეპიტროპოს), ამავე დროს მას უნდა ეხელმძღვანელა მეფის დაცვისათვის და სამეფო მიწებიდან გამოყვანილი (ტაძრეულთა) ლაშქრისათვის (მელიქიშვილი 1970: 648).

წყაროები არაფერს იუნყებიან ძველი ქართლის სამეფოს საშუალო და დაბალ თანამდებობებზე, რომლებიც, უეჭველია, სამეფო კარზე მრავლად იყო. შედარებით უფრო გვიანდელ ძეგლებზე დაყრდნობით გ. მელიქიშვილი ვარაუდობს ციხისთავის არსებობას (ტერმინი წერილობით დადასტურებულია VI საუკუნის „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“, სადაც იგი სპარსული ადმინისტრაციის უფროსი მოხელეა); ქართული ოთხთავის ძველი თარგმანების საფუძველზე იგივე მკვლევარი დაბალ მოხელეებად ვარაუდობს სეფე-კაცს, მეხარკეს, მეზვრეს (მელიქიშვილი 1970: 652-653).

მთლიანობაში ფარნავაზის დროინდელი სამეფოს სამოხელეო ტერმინოლოგია (რაოდენ არაზუსტი და არასრულიც უნდა იყოს იგი), მაინც გვიქმნის წარმოდგენას ძველი ქართლის სახელმწიფოებრივი მოწყობის სამხედრო-ორგანიზაციულ ხასიათზე. ამ ორგანიზაციის სათავეში მეფის შემდგომ იდგა ცენტრალური უწყების უმაღლესი

მოხელე პიტიახში (მერმინდელი სპასპეტი). პროვინციებში წამყვანი როლი ეკისრებოდა ერისთავებს და სპასალარებს, რომლებიც ადგილებზე სამეფო ხელისუფლებას წარმოადგენდნენ და ითავსებდნენ მმართველობის სამხედრო, სასამართლო და ადმინისტრაციულ-ფისკალურ ფუნქციებს. ერისთავები კრეფდნენ სამეფო ხარკს და გასამრჯელოდ იღებდნენ საერისთავო ბეგარას (ყაუხჩიშვილი 1955: 24).

საერისთავოთა სისტემა და ქვეყნის პოლიტიკური საზღვრები

ფარნავაზის დროინდელი სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუტები, ისევე როგორც სამოხელეო კონტინგენტის სოციალური წარმომავლობა, არსებითად დიდხანს, ადრეფეოდალური ურთიერთობების ჩასახვამდე, რჩებოდა უცვლელი ძველ ქართლში. ასევე უცვლელი იყო ქვეყნის საერისთავოებად დაყოფის ადმინისტრაციული პრინციპი, მაგრამ რომის იმპერიისა და ირანის პერმანენტული დაპირისპირება კავკასიის რეგიონში გავლენას ახდენდა ქართლის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ საზღვრებზე, რაც, შესაბამისად, აისახებოდა საერისთავოთა რაოდენობაზე. მაგ., III საუკუნეში რომის პატრონაჟის ქვეშ ეგრისის საერისთავოს ადგილას ეგრისის სამეფო წარმოიქმნა, ამდენად, ქართლმა ეგრისის საერისთავო დაკარგა. დიდი ხნის შემდეგ, V საუკუნის მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასალმა ეგრისის ნაწილი დაიბრუნა, სადაც საერისთავოები აღადგინა. ქართლის მეფეთა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა საზღვრისპირა საერისთავო ოლქები, სადაც ერისთავებად განსაკუთრებით სანდო პირებს – „მეფეთა ნათესავებს“ – ნიშნავდნენ. ასეთთაგანი იყო კლარჯეთის საერისთავო, რომლის ტერიტორია რომმა IV საუკუნეში ჩამოაჭრა ქართლის სამეფოს, მაგრამ საუკუნის შემდეგ იგი ისევ შემოიერთა ვახტანგ გორგასალმა. ასეთივე დიდი ყურადღების საგანი იყო ქვემო ქართლის (სამშვილდის/ისტორიული გუგარენეს) საერისთავო, რომელიც ქვეყნის სამხრეთ საზღვარს კეტავდა და რომელსაც პერიოდულად სომეხი მეფეები ეუფლებოდნენ. ამიტომ სამშვილდის ერისთავებად ძირითადად მეფეთა ნდობით აღჭურვილი პირები („მეფეთა ნათესავი“ – პიტიახშები) ინიშნებოდნენ. ამავე მიზეზით ძვ. წ. III საუკუნეში ფარნავაზის მემკვიდრემ, მეფე საურმაგმა სამშვილდე საუფლისწულო დომენად აქცია. IV საუკუნის მიწურულს სამშვილდის ერისთავობას იღებს ფეროზი, სამეფო ოჯახის სიძე, ვისი სახელიდანაც წარმოიშვა სამშვილდის მმართველ ერისთავთა ზედწოდება – „ფეროზიანები“. პერიოდულად სამშვილდე კვლავ საუფლისწულო დომენი ხდებოდა, თუმცა საბოლოოდ ისევ ფეროზიან ერისთავებს უბრუნდებოდა (ბახტაძე 2003: 82). მსგავს ცვლილებებს განიცდიდა კახეთის საერისთავოც. მირიან მეფემ (IV ს.) კახეთის საერისთავოს ერთი ნაწილი – კუხეთი – საუფლისწულო დომენად აქცია, შემდგომში მირიანის მემკვიდრე ბაქარმა კუხეთი თავის ძმისწულებს საერისთავოდ

გადასცა (ყაუხჩიშვილი 1955: 131), ხოლო V საუკუნის მეორე ნახევარში ვახტანგ გორგასალმა კახეთი და კუხეთი კვლავ ერთ საერისთავოში გააერთიანა, ამასთანავე, ქართლის სამეფოს შემატა ჰერეთი, სადაც ახალი საერისთავო დააფუძნა (ყაუხჩიშვილი 1955: 185).

სოციალური ცვლილებების ზეგავლენა სამოხელეო კონტიგენტზე. VI-X საუკუნეები

დაახლოებით V საუკუნის მეორე ნახევრიდან ძალას იკრებს ფეოდალური ურთიერთობები, რამაც სერიოზული ძვრები გამოიწვია ქართული საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში. ყველაზე ადრე ფეოდალიზაციის პროცესი შეეხო „მეფეთა ნათესავს“, რომლის რიგებიდან ინიშნებოდნენ უმაღლესი რანგის მოხელეები. ამავე დროს სამოხელეო იერარქიაში გზას იკაფავს ახალი კონტინგენტი ყოფილ მსახურთაგან, რომლებიც სამხედრო დამსახურების გამო მეფისაგან მიწებს იღებენ. ამ მოვლენას გულისხმობს „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ ავტორი, როდესაც მოგვითხრობს, თუ როგორ დააჯილდოვა ვახტანგმა ოვსთა ბრძოლის მონაწილე მეომრები: „განსცა ნიჭი ერსა თვისსა და წარჩინებულ-ქმნა მჯედარნი მსახურნი, გამოცდილნი წყობასა მას შინა ოვსთასა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 171). წარჩინებული ფენის ფეოდალიზაციამ, თავის მხრივ, საკმაოდ სწრაფად მოახდინა ზეგავლენა ახალი სოციალური გარემოებებისა და მოხელის „ახალი“ თვითშეგნების ჩამოაყალიბებაზე. ვახტანგ გორგასლის შემდგომ (VI საუკუნის პირველი ათეული წლები) ფეოდალ-ბენეფიციარებად ქცეული მოხელე-ერისთავები, რომელთა შეცვლა ადრე მეფეს შეეძლო პოლიტიკური მიზანშეწონილების შესაბამისად, უკვე თანამდებობათა დამკვიდრებას ითხოვენ. VI საუკუნის 30-იან წლებში, როცა ირანმა ქართლში მეფობა გააუქმა, ერისთავები მხოლოდ ამგვარი პირობით დაიყოლია ირანის ხელისუფლებამ (მეფემან სპარსთამან ურმიზდ... უნოდა ზრახვად ერისთავთა ქართლისათა, აღუთქუა კეთილი დიდი და დაუნერა ერისთავთა მამულები შვილითი შვილამდე და ესრეთ წარიბირნა ლიქნითა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 225). მაგრამ ერისთავთა მორჩილება ირანისადმი ხანმოკლე აღმოჩნდა. მალე მათ ბიზანტიას მიმართეს თხოვნით, ქართლში დაესვათ ისეთი მეფე, რომელიც ერისთავებს საერისთავო „ქვეყნებს“ მემკვიდრეობით შეუნარჩუნებდა (ყაუხჩიშვილი 1955: 226). ერისთავთა ამგვარი „არათანმიმდევრული“ პოლიტიკური ქცევა, შესაძლებელია, გამოწვეული ყოფილიყო რელიგიური მიზეზითაც (ირანს ჰქონდა მაზდეანობის ძალად გავრცელების მცდელობები) და სოციალური ფაქტორებითაც – მეფის ფიგურის გარეშე ერისთავებს გაუჭირდებოდათ მორჩილებაში ჰყოლდათ საერისთავოს უკვე განშრევებული და წინააღმდეგობრივი მისწრაფებების მქონე სოციალური ჯგუფები (მუსხელიშვილი 2003: 416). რასაკვირველია, ბიზანტიამ ისარგებლა ერისთავთა განწყობით და ქართლის „მეფედ“ პრობიზანტიული პოლიტიკის გამტარებელი

გუარამ კურაპალატი (ბაგრატიონთა დინასტიიდან) დასვა. მაგრამ ამ უკანასკნელმა ერისთავებზე გავლენა ვეღარ მოიპოვა, რადგან „სპარსთა და მეფისაგან ბერძენთა მეფისაგან ჰქონდეს სიგელნი მკვიდრობისანი“ (ყაუხჩიშვილი 1955: 228).

ამავე პერიოდში ქართლის ცენტრალურ ხელისუფლებას წარმოადგენდა ირანის სამხარეო მმართველი, მარზპანი. მისმა ფიგურამ გამოიწვია მთელი რიგი ცვლილებები ქართლის ცენტრალურ მმართველობაში. VI საუკუნის ავთენტურ წყაროში – „ევსტათი მცხეთელის წამება“ – ქართლის ძველ დედაქალაქ მცხეთაში ადგილობრივ დიდმოხელეთა შორის დასახელებულნი არიან მხოლოდ „პიტიახში“ და „მამასახლისი“ სეფენულებთან ერთად (აბულაძე 1963: 31-23). „მამასახლისის“ ხსენება პირველი რიგის მოხელეთა შორის აფიქრებინებს მკვლევართ, რომ, უმეფობის პერიოდში ეს ტერმინი ჯერ კიდევ გამოიყენებოდა ქართლის სამეფო საგვარეულოს უხუცესი წევრის აღსანიშნავად (ბოგვერაძე 1979: 68). ამავე აზრის გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ მოსაზრება, რომ ახალ პოლიტიკურ რეალობაში ტერმინ „მამასახლისის“ გაცოცხლება გამოიწვია სპასპეტის თანამადებობის გაუქმებამ. ქართლის იმჟამინდელი „მამასახლისი“ უნდა ყოფილიყო დამცრობილი სპასპეტი, რომელსაც „მეფეთა ნათესაობით“ შენარჩუნებული ჰქონდა მაღალი სოციალური სატატუსი და შიდა ქართლი (ბახტაძე 2003: 121-122).

VI საუკუნეში მომხდარი პოლიტიკური და სოციალური ცვლილებების უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო ყოფილ მოხელე-ერისთავთა მიერ ძლიერი პროვინციული მმართველობის ჩამოყალიბება, რამაც (გარეშე ძალის გარეშეც) ძლიერ დაასუსტა ცენტრი, რომელსაც VI საუკუნის მეორე ნახევარში ერისმთავარი (პირველი თანატოლთა შორის) ჩაუდგა სათავეში.

ადრეული შუა საუკუნეების საზოგადოებრივი განვითარების ტენდენციებმა ასახვა ჰპოვა ძველი საერისთავო ოლქების საზღვრების მოშლაშიც. VII საუკუნის შუა ხანებში გამოცემულ ჰაბიბ იბნ მასლამას დაცვის სიგელში აღარ ჩანს ძველი საერისთავოები (გარდა კლარჯეთისა და ქვემო ქართლისა) და უკვე სულ სხვა ტერიტორიული წარმონაქმნებია ჩამოთვლილი (ბოგვერაძე 1979: 139, 192). სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთი ცვლილებები მიჩნეულია ძველი ქართლის, როგორც ერთი პოლიტიკური სხეულის, მცირე ფეოდალურ სამთავროებად დაშლის უტყუარ მონშობად. „VII საუკუნის ქართლი ერთი მთლიანი ქვეყანა აღარაა და ერისმთავარი მას ვერ აერთიანებს“ (ბერძენიშვილი 1990: 269). განვითარების ამ ტენდენციას ასახავს „ქართლის ცხოვრებაში“ შემონახული ცნობა, რომ VIII საუკუნის შუა ხანებში ერისთავებმა უკვე სამეფო სახლისაგან (არჩილი) მიიღეს აღიარება საერისთავო მამულების მკვიდრობით ფლობაზე. ასე გარდაიქმნენ მოხელე-ერისთავები სენიორებად შებამისი პოლიტიკური უფლებებით და ვასალებით (მუსხელიშვილი 2003: 19-420).

ერისმთავართა მმართველობის პერიოდმა VIII საუკუნის ბოლომდე გასტანა. საზო-

გადოების ახალმა განშრევებამ, ახალი გეოგრაფიულ-სამეურნეო ზონების განვითარებაში, გარეშე ფაქტორებთან ერთად ნიადაგი შეუმზადა დეზინტეგრაციის პროცესებს ქართლის ძველი სამეფოს ფარგლებში. ქართლის სამეფოს ისტორიულ ტერიტორიაზე ყალიბდება ახალი პოლიტიკურ-ტერიტორიული წარმონაქმნები საკუთარი პოლიტიკური ცენტრებით და მმართველობის აპარატით.

ქართულ სამეფო-სამთავროთა მმართველობის წესების შესახებ თანადროული ცნობები ძალზე მწირი და ფრაგმენტულია. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ სამეფო-სამთავროების მმართველობა ძირითადად ადგილობრივი მმართველობის სისტემაზე იყო დაფუძნებული (მესხია 1979: 3, რედაქტორის წინასიტყვაობა). სამეფო-სამთავროების მმართველობაზე მსჯელობისას ვახუშტი ბატონიშვილიც ყურადღებას ადგილობრივ მმართველობაზე ამახვილებს, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია სამეფო-სამთავროთა არსებობა თუნდაც მარტივად დასტრუქტურებული საკარო თანამდებობათა გარეშე, მით უფრო, როცა ლაპარაკია ბიზანტიის მეზობლობაში და მისი უშუალო კულტურული გავლენის ქვეშ აღმოცენებულ სამეფო-სამთავროებზე. აქ კონკრეტული ცნობების უკმარისობა მხოლოდ მათი მოუღწევლობით შეიძლება აიხსნას. ფრაგმენტული ცნობები სამოხელეო თანამდებობებზე აქა-იქ გაფანტულია აგიოგრაფიულ მწერლობაში. მაგ., „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ ვიცით, რომ ტაო-კლარჯეთის სამეფო კარის „საჭურჭლე“ აშოტ კურაპალატის (IX ს. პირველი მეოთხ.) ფავორიტ ქალს ებარა (აბულაძე 1963: 297). ეს ცნობა მართლაც მიუთითებს სამეფო სასახლის მმართველობის სტრუქტურულ სიმარტივეზე, მაგრამ უეჭველია ისიც, რომ თუნდაც ასეთი გამარტივებული სამსახურები მმართველობის სხვა სფეროებშიც აუცილებელი იქნებოდა. „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრების“ თანახმად, დავით კურაპალატის (X საუკუნის მეორე ნახ.) კარზე იყო „მწერალთა ზედა მთავრის“ თანამდებობა (აბულაძე 1967: 115), რომელიც ძალზე მიახლოებული ჩანს შემდგომი დროის მნიგნობართაუხუცესთან.

შედარებით მეტია ცნობილი სამეფო-სამთავროების საერისთავო ოლქების შესახებ. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ეგრის-აფხაზეთის სამეფოს დამაარსებელმა მეფე ლეონმა „განყო ესე ეგრისი და აწ აფხაზეთი რვა საერისთოდ“. ამ ცნობაში რიცხვი რვა უფრო სიმბოლურია, რამდენადაც იგი ძველ ერისთავთა რაოდენობას იმეორებს, სინამდვილეში კი საერისთავოთა რაოდენობა ეგრის-აფხაზეთის სამეფოში რვას აღემატებოდა. ვახუშტი ჩამოთვლის ლეონის დროინდელ საერისთავოებს მათი საზღვრებით: აფხაზეთი, ცხომი, ბედია, გურია, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, შოპრაპანი, ქუთათისი. ამათ გარდა, ეგრის-აფხაზეთის სამეფოში შედიოდა არგვეთისა და ოდიშის საერისთავოებიც (ბახტაძე 2003: 128). X საუკუნეში კი, ეგრის-აფხაზეთის მეფეების ექსპანსიური პოლიტიკის შედეგად აღმოსავლეთ საქართველოში ეგრის-აფხაზეთის სამეფოს შეემატა ქართლისა და ჯავახეთის ახალი საერისთავოები.

ადგილობრივი მმართველობა საერისთავოების პრინციპზე უნდა ყოფილიყო მონ-
ყობილი კახეთისა და ჰერეთის სამთავროებშიც, თუმცა წყაროები არც მათ შესახებ
იუნყებიან რამეს. ამაზე მიუთითებს ვახუშტიც, რომელიც ინფორმაციას ფლობს კვი-
რიკე დიდის დროს (1014-1037) გაერთიანებულ კახეთ-ჰერეთზე, სადაც შვიდი საერის-
თავო ოლქი შექმნილა. ამათგან კახეთზე მოდიოდა სამი: რუსთავი, კვეტერა (უჯარმა),
პანკისი (მარილისი); ჰერეთზე – ოთხი: ხორნაბუჯი, ვეჯინი, მაჭი, შტორი.

ტერმინი „ერისთავი“ ხშირად გამოიყენება ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების მი-
მართაც, მაგრამ ამ ტერმინის შინაარსი უკვე აღარ გამოხატავს სამოხელეო თანამ-
დებობას. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ტაო-კლარჯეთის სამეფო
არ იყო ისე მკაცრად ცენტრალიზებული, როგორც, მაგ., აგრის-აფხაზეთის სამეფო.
მისი ტერიტორია ბაგრატიონთა საერთო სახლიდან განშტოებულ სხვადასხვა სახ-
ლებს შორის იყო გადანაწილებული, რომელთა უფროსი წარმომადგენლები ფაქტობ-
რივ ნახევრადდამოუკიდებელი მთავრების უფლებებით სარგებლობდნენ. ისინი აღია-
რებდნენ „ქართველთა მეფის“ უზენაესობას (ეს ტიტული 888 წლიდან მიიღეს ტაოს
მეფეებმა) ფეოდალურ-კოლეგიალურ საფუძველზე, მაგრამ, როგორც მოხელეები, არ
ემსახურებოდნენ მას (ლორთქიფანიძე 1973: 456). „ერისთავთ-ერისთავი“ ტაო-კლარ-
ჯეთის ბაგრატიონებში უმაღლესი ტიტული იყო (შოშიაშვილი 1980: 56). „ერისთავიც“
და „ერისთავთ-ერისთავიც“ მაღალ სოციალურ სტატუსს შეესატყვისებოდა და არა
მოხელეობას (ბახტაძე 2003: 152), თუმცა, ბაგრატიონ მთავართა შორის არსებულ
რანჟირებას ასახავდა. მათ შორის განსხვავება დამოკიდებული ჩანს საგამგებლო ტე-
რიტორიის წარმომავლობაზე ან მის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე (ბახტაძე 151-152).
იგივე დასკვნა ვრცელდება ტაო-კლარჯეთის იმ მცირერიცხოვან ერისთავთა მიმარ-
თაც, რომლებიც ბაგრატიონთა საგვარეულოს არ მიეკუთვნებოდნენ. ერთ-ერთი ასე-
თი იყო კლდეკარის ერისთავიც, რომელიც ამ სამეფოს ფარგლებში ნახევრადდამოუ-
კიდებელი მმართველის სტატუსს ინარჩუნებდა (ბახტაძე 2003: 149-152).

„ერისთავთ-ერისთავი“ XI საუკუნეში ტაო-კლარჯეთიდან შევიდა ერთიანი ქარ-
თული მონარქიის სამოხელეო ნომენკლატურაში (შოშიაშვილი 1984: 33, 36, 40, 47).
ფორმალურად ერისთავთ-ერისთავი უფრო მაღალი საფეხურის მოხელე იყო, ვიდრე
ერისთავი, მაგრამ რეალურად მათ შორის ადმინისტრაციული დაქვემდებარება არ
იგულისხმებოდა. გვაქვს შემთხვევები, როცა ერთი და იგივე პირი ხან ერისთავად
მოიხსენიება, ხან ერისთავთ-ერისთავად. ერისთავთ-ერისთავი შეიძლება იმ ერის-
თავებისათვის ეწოდებინათ, რომლებიც განსაკუთრებულად დიდ ტერიტორიას, სტრა-
ტეგიულად მნიშვნელოვან პროვინციებს ან „მეფეთა საჯდომ ადგილებს“ (რეზიდენ-
ციებს) განაგებდნენ.

სამოხელეო წყობა საქართველოს ერთიან მონარქიაში. XI-XV საუკუნეები

X-XI საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს სამეფო-სამთავროები ერთიანი მონარქიის ფარგლებში გაერთიანდნენ. ეს იყო დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტი, რომელმაც მომდევნო სამი საუკუნის განმავლობაში განსაზღვრა ქართული საზოგადოების კულტურული წინსვლა და ქართული მონარქიის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური როლი კავკასიის რეგიონის ქვეყნებისათვის. საქართველო უკვე ახალი ქვეყანა იყო ახალი სოციალური ძალებით და ახალი პოლიტიკური გამოწვევებით, რისთვისაც უეჭველია, პასუხი უნდა გაეცა ქვეყნის პოლიტიკურ სისტემას მისი ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო უწყებების საშუალებით.

საქართველოს გაერთიანება – დიდწილად პატრონყმული საზოგადოების კონსოლიდაციის შედეგი იყო, რომელსაც საფუძვლად ეთნოკულტურული თვითშეგნების მაფორმირებელი მყარი წარმოდგენები ედო, მაგრამ, როგორც ამას XI საუკუნის პოლიტიკური მოვლენები უჩვენებს, გაერთიანებული საქართველოს პირველ მეფეებს მაინც ძლიერ გაუჭირდათ სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარება. ერთ-ერთი მიზეზი ამგვარი ვითარებისა მდგომარეობდა ძველი სამოხელეო სისტემის შეუსაბამობაში ახალ პოლიტიკურ რეალობასთან.

ახლადგაერთიანებული საქართველოს მეფეები, ცხადია, ემყარებოდნენ ეგრის-აფხაზეთისა და ტაოს სამეფოებში დამკვიდრებულ მართვის გამოცდილებას, რომელიც ამ დროისათვის ორსაუკუნოვან ისტორიას ითვლიდა. „მატიანე ქართლისაჲ“ იუწყება, რომ ბაგრატ III სამეფო საქმეებს განაგებდა თავისი პაპის, გიორგი მეფისა და გამზრდელის, დავით კურაპალატის მისგავსებულადო (ყაუხჩიშვილი 1955: 275). ჩვენ ერთობ სუსტი წარმოდგენა გვაქვს ამ სამეფოთა ცენტრალურ სამოხელეო წყობაზე, მაგრამ ტექსტიდან ცხადი ხდება, რომ ეს „მომსგავსება“ უპირველესად, გულისხმობდა სამოხელეო პერსონების შერჩევას მეფის პირადი ვასალებიდან – „მატიანის“ ცნობით, ბაგრატმა ეგრის-აფხაზეთში „ურჩი“ აზნაურები „შესცვალნა დიდებისაგან და ადგილთა მათთა დაადგინნა ერთგულნი და მოსწრაფედ მორჩილნი ბრძანებათა მისთანი...“ (ყაუხჩიშვილი 1955: 276). მსგავსი ცნობაა შემონახული „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაშიც“, სადაც ნათქვამია, რომ გიორგის მამა იაკობი იყო „ერთგულთაგანი და საკუთართაგანი“ გიორგი I-ისა, რის გამოც მიუხედავად მისთვის მეფეს საიდუმლო დიპლომატიური მისია ალ-ჰაქიმთან (აბულაძე 1967: 110). ეს მაგალითები თვალნათლივ მოწმობს, რომ საქართველოს სამოხელეო წყობას საფუძვლად ისეთივე პატრონყმული წესრიგი ედო, როგორც იმჟამინდელ სოციალურ ურთიერთობებს განსაზღვრავდა (ჯავახიშვილი 1982: 227). კარის მოხელენი დომენის აზნაურებს, მეფის „გაზრდილთა“ წრეს – ყმა-აზნაურებს ან მსახურებს განეკუთვნოდნენ და მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებდნენ სამეფო კარზე.

მაგრამ ზემოთქმული შეეხება მხოლოდ სამეფო კარს, სასახლის დანესებულებათა ხელმძღვანელებს. რაც შეეხება ადგილობრივ მოხელეებს, პროვინციათა მმართველ მოხელე-ერისთავებს, XI საუკუნეში საქართველოს მეფეები სწორედ მათი შერჩევას იყენებდნენ შეზღუდულნი. როგორც თანადროული წყაროები უჩვენებენ, მეფეები ერისთავებად მხოლოდ ხელახლა ამტკიცებდნენ პროვინციების ძირძველი მემამულურ-არისტოკრატიული სახლების წარმომადგენლებს, რომლებიც ნაკლებად გამოირჩეოდნენ მეფისადმი ლოიალობით. ეს იყო კომპრომისული გზა, რასაც ხელი უნდა შეეწყო დიდაზნაურთა კონსოლიდაციისათვის მეფის ფიგურის გარშემო. ბაგრატ IV-ის დროინდელი შინაური კონფლიქტების გადმოცემისას მეფის ირგვლივ დაჯგუფებულ ფეოდალებს წყარო ძირითადად მალალი ეპითეტებით – „დიდებული“, „წარჩინებული“ – მოიხსენიებს, რაც თავისთავად ამ პირთა დიდმოხელეობის მონიშნავს, თუმცა, წყარო არ აკონკრეტებს მათ თანამდებობებს. მაგრამ იმდროინდელ საისტორიო მასალაზე დაკვირვება საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ ეს „დიდებულები“ ისევ ერისთავები იყვნენ, რადგან იმჟამად მონარქიის სიმტკიცე ცენტრალური მმართველობის ინსტიტუტებზე უფრო მეტად დამოკიდებული იყო ადგილობრივი მმართველი ერისთავების ერთგულებაზე მეფისადმი, რადგან სწორედ მათ ურჩობას შეეძლო უდიდესი ზიანის მიყენება ქვეყნის ერთიანობისათვის. ამას ადასტურებს იმდროინდელი სამეფო სიგელების Sanctio-ც, სადაც კარის მოხელეების ხსენება არ ჩანს, მაშინ, როდესაც ერისთავთა მეთაურობით საქვეყნოდ გამრიგე მალალი და დაბალი მოხელეები სრულად არიან ჩამოთვლილნი.

გვაქვს შემთხვევები, როდესაც მეფეები მოხელეობას ართმევენ აშკარად „ურჩ“ ერისთავებს (მაგ., ბაგრატ III-მ ერისთავობა ჩამოართვა რატი ბაღვაშს, ბაგრატ IV-მ – აბაზასძეებს და ლიპარიტ ბაღვაშს), მაგრამ დროთა განმავლობაში ირიგებენ მათ ან მათ შთამომავლებს და უბრუნებენ ჩამორთმეულ თანამდებობებს, ზოგჯერ აწინაურებენ კიდევაც (მაგ., ბაგრატ IV-მ კვლავ შეინყალა ივანე ლიპარიტის ძე და მას სპასალარობა უბოძა). კიდევ უფრო კომპრომისულ პოლიტიკას ატარებდა ერისთავთა მიმართ გიორგი II (ყაუხჩიშვილი 1955: 316). მიუხედავად ასეთი მცდელობებისა, XI საუკუნის განმავლობაში, როდესაც ხშირად ირღვეოდა ერთიანი საქართველოს პოლიტიკური კონტურები, სამეფო ხელისუფლებას სწორედ ეს ძირძველი ერისთავები უქმნიდნენ მთავარ საფრთხეს. შეიძლება ითქვას, რომ XI საუკუნის საქართველოს პოლიტიკურმა კრიზისებმა მნიშვნელოვანი გამოცდილება შესძინა სამეფო ხელისუფლებას – მან გამოამჟღავნა წინააღმდეგობრივი იმპულსები თვით ფეოდალური წოდების შიგნით, თვალსაჩინო გახადა იმჟამინდელ საქართველოში მოქმედი სამოხელეო ინსტიტუტებისა და მართვის მექანიზმების სუსტი რგოლები. ეს იყო პოზიტიური შედეგი, რამაც შესაძლებელი გახადა სახელმწიფოებრივი მშენებლობის ახალ ეტაპზე გადასვლა დავით IV აღმაშენებლის (1089-1125) დროს.

დავით აღმაშენებელმა, რომელიც ქვეყნისათვის განსაკუთრებულად მძიმე ვითარებაში ავიდა სამეფო ტახტზე, სამოხელეო წყობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა. ეს ცვლილებები განპირობებული იყო როგორც საშინაო, ისე საგარეო ფაქტორებით: უპირველეს ყოვლისა, აღსაკვეთი იყო ფეოდალური ანარქია და აუცილებელი იყო სამეფო კარის, როგორც მართვის ცენტრის მნიშვნელობის ზრდა. ამ ამოცანას ემსახურებოდა თავად მეფის პერსონალური ავტორიტეტის ამღობვა (ღვთისსწორობა) და ძალაუფლების სრული კონცენტრაცია მის ხელში. ამ მიზნით იქნა შემოღებული მეფის უშუალო მოადგილის, მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის თანამდებობა, რომლის კონტროლქვეშ მოექცა მართლმსაჯულება, საეკლესიო და სამოქალაქო უწყებები. დავითის ინიციატივით დაიხვეწა უწყებრივი სტრუქტურები, მათი ფუნქციები მეტნაკლებად გაიმიჯნა დარგობრივად; შეიქმნა ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების გამაძლიერებელი ახალი სამსახურები – ე.წ. მსტოვართა და მონაპირეთა ინსტიტუტები, რომელთა კარგად ორგანიზებულმა საქმიანობამ ხანგრძლივი დროით უზრუნველყო საზღვრების დაცვა და ქვეყნის მშვიდობიანი განვითარება. დავით აღმაშენებლის მიერ ჩატარებულმა სამოხელეო რეორგანიზაციამ არსებითად გააძლიერა ცენტრალურ მმართველობა, აამაღლა სასახლის კარის, როგორც პოლიტიკური მართვის ცენტრის მნიშვნელობა, რამაც უდიდესი როლი შეასრულა დავითის სამხედრო-პოლიტიკურ წარმატებებში. ადგილობრივ მმართველობაში კვლავ ერისთავები რჩებოდნენ უპირველეს მოხელეებად, მაგრამ ისინი უკვე ცენტრალური მმართველობის უპირველეს მოკავშირეებად იყვნენ ქცეულნი.

სამოხელეო უწყებების რეფორმირებისას დავით აღმაშენებელი, ისევე, როგორც მისი წინამორბედები, პატრონყმულ სტრუქტურებს ემყარებოდა. დავითის სახელმწიფოებრივი წარმატებების მოზიარე დიდმოხელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მეფის საკუთარი ვასალების რიგებიდან იყვნენ გამოსულნი (ცნობილია, რომ მეფესთან „გაზრდილობით“ იყო დაკავშირებული გიორგი ჭყონდიდელ-მნიგნობართუხუცესი – „მეფის მამა“ და მეორე პირი სახელმწიფოში). მაგრამ, ამასთანავე, დავით აღმაშენებლის ფართო სამოქმედო პროგრამამ სამეფო კართან დაახლოებულ წრეებს და მათ თანამებრძოლებს დაწინაურების უდიდესი შესაძლებლობები მისცა. დავითის დროს გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე ახალგაზრდა, გამარჯვებული სამხედრო-სამოხელეო ელიტა, რომლის სახელმწიფოებრივმა მოღვაწეობამ ახალი მიმზიდველობა შესძინა სამეფო კარს – სახელმწიფო მმართველობის პოლიტიკურ ორგანოს, რამაც ნიადაგი გამოაცალა ძველ მოხელე-ერისთავთა სეპარატისტულ მიდრეკილებებს.

დავით აღმაშენებლის ადმინისტრაციული რეფორმები უპირველესად შეეხო ცენტრალურ აპარატს, რომელიც უფრო მოქნილი და მრავალდარგოვანი გახდა. ამასთან, ნაბიჯები იქნა გადადგმული ფუნქციათა დარგობრივი გადანაწილების მიმართულებებით. დავითის დროს იქნა შემოღებული სამეფო კარის სამი უმაღლესი საუწყებო თა-

ნამდებობა: მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი. ივ. ჯავახიშვილი დავით აღმაშენებელს მიაწერდა სავაზიროს, ანუ მეფის პოლიტიკურ მრჩეველთა საბჭოს შექმნას (ჯავახიშვილი 1982: 265-270, 302), სავაზიროს შემადგენლობაში უნდა ყოფილიყვნენ უმაღლესი რანგის მოხელეები: მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი და მეჭურჭლეთუხუცესი. მოგვიანებით შ. მესხიამ წამოაყენა მოსაზრება, რომ დავით აღმაშენებლის დროიდან თამარის მეფობის მიწურულამდე მხოლოდ მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი სარგებლობდა ერთადერთი „ვაზირის“, ანუ მეფის მრჩეველის უფლებით, ხოლო სავაზირო უნდა ჩამოყალიბებულიყო ათაბაგის თანამდებობის შემოღებასთან ერთად, რომელიც იყოფოდა „მეფის მამობის“ ფუნქციას მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელთან. მაგრამ, რადგან წყაროთა ჩვენებები უფრო პირველი მოსაზრების სასარგებლოდ იხრება, მკვლევართა უმრავლესობა სავაზიროს XII საუკუნეში წარმოშობილად მიიჩნევს (ბერძენიშვილი 1958: 208-209; ლორთქიფანიძე 1966: 72-74; ოთხმეზური 1981: 49-52; ანთელავა 1983: 154). რუსუდან მეფის დროს ამ შემადგენლობას შეემატა მსახურთუხუცესი (მესხია 1979: 74). XIII საუკუნეში ექვსი უმაღლესი მოხელე შეადგენდა სავაზიროს, ანუ სათათბირო ორგანოს, სადაც წყდებოდა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საკითხები ომისა და მშვიდობის, მიწებისა თუ თანამდებობების ბოძების ან ჩამორთმევის შესახებ.

ვაზირთა უფლება-მოვალეობანი

მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი (შდრ. ევროპული კანცლერი) მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თანამდებობა ორი – საეკლესიო და სამოქალაქო თანამდებობათა შერწყმით შეიქმნა. მნიგნობართუხუცესები ცნობილი არიან XI საუკუნიდან, (ღრტილას საეკლესიო კრების მონაწილე ეფთვიმე გრძელი, ბაგრატ IV-ის მნიგნობარი იოვანე და სხვ.), ისინი გამორჩეულად განათლებული, საეკლესიო და სამოქალაქო კანონთა მცოდნე, ღვთისმეტყველებაში განსწავლული საეკლესიო პირები იყვნენ, რომლებიც ხელმძღვანელობას უწევდნენ სმეფო კანცელარიის საქმიანობას. მნიგნობართუხუცესის წინამორბედი და თანაფარდი ტერმინია „მწერალთა ზედა მთავარი“, რომელიც დავით კურაპალატის (X ს.) კარის ე.წ. „ხელშინაურ“ მოხელეთა შორის ივარაუდება. მნიგნობართუხუცესის უშუალო ხელქვეითი მოხელეები იყვნენ სამეფო კარის რიგითი მნიგნობრები, რომელთა უშუალო მოვალეობა იყო სამეფო კარის მიმონერისა და სხვადასხვა ტიპის საქმიანი ქალაქების შედგენა. XII საუკუნის დასაწყისში დავით აღმაშენებელმა მნიგნობართუხუცესის თანამდებობა საეპისკოპოსო კათედრასთან (ჭყონდიდი) შეაერთა და მეტისმეტად აამაღლა ყველა სხვა საკარო თანამდებობებზე. მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი (თანამდებობის სახელწოდება პირობითია, რადგან თანადროულ წყაროებში ამავე ფუნქციის თანამდებობის პი-

რი შეიძლება ნოდებულის ბედიელ-ალავერდელად ან ჭყონდიდელ-უჯარმელად (აბაშიძე 2013: 142) იყო მეფის უმაღლესი ნდობით აღჭურვილი პირი, მას ჰქონდა „მეფის მამის“ საპატიო სტატუსი, რაც გულისხმობდა მეფის „ვაზირობის“, ანუ მისთვის რჩევის მიცემის უფლებას. ამ უფლებით მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელმა ჩანაცვლა ძველი სპასპეტის როლი სამეფო კარზე. მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს უადრესად ფართო ფუნქციები ჰქონდა დაკისრებული, იგი მეთვალყურეობას უწევდა საეკლესიო, სამოქალაქო და სამხედრო უწყებათა საქმიანობას. უშუალოდ ხელმძღვანელობდა სამეფო სასამართლოს – „სააჯო კარს“. მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი იყო შუალედური რგოლი მეფესა და ეკლესიას შორის, რაც მეფეს საშუალებას აძლევდა ეკონტროლებინა საეკლესიო საქმეები და საეპისკოპოსო კათედრებზე ხელდასხმისათვის თავად შეერჩია კანდიდატურები. მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი უშუალოდ განაგებდა სამეფო დომენის ეკლესია-მონასტრებს (გარდა გელათისა, რომელიც გარკვეული ავტონომიით სარგებლობდა). თამარის მეფობის ბოლო წლებამდე ჭყონდიდელ-მნიგნობართუხუცესი სამეფო კარზე უმაღლესი ნდობით სარგებლობდა და, ფაქტობრივ, შენარჩუნებული ჰქონდა ყველა ძველი პრივილეგია. ბასიანის ბრძოლის ნადავლად წამოღებული „ნიგნი სააქიმოს“ მინანერში (ხეც, Sd-1274) ჭყონდიდელ-მნიგნობართუხუცესი „ვაზირთა ყოველთა უპირველესად და პროტოუპერტიმოსად“ იხსენიება. ასეთივე შინაარსის განსაზღვრებას ვხვდებით მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის მიმართ დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის ქოლაგირის მონატრის ქტიტორული წარწერის ფრაგმენტში: „ვაზირთუხუცესს და მნიგნობართა უხუცესს...“ (სხირტლაძე 2000: 23, 46-50, 70-74). მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის, როგორც ვაზირთა უპირველესის თანაშემწე იყო სანოლის მნიგნობარი, რომელიც შემაერთებელ რგოლს წარმოადგენდა მეფის სანოლს (კაბინეტს) და სასამართლო დაწესებულებას – სააჯო კარს შორის. მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის ძლიერი ფიგურა ნაწილობრივ ამირსპასალარის, ნაწილობრივ კი კათალიკოსის ადმინისტრაციული ფუნქციების გადაფარვას იწვევდა, რამაც თამარის (1184-1217/10) ტახტზე ასვლისას კათალიკოსის ირგვლივ დაჯგუფებულ დიდმოხელეთა მხრიდან უკმაყოფილების სახით იჩინა თავი, მაგრამ თამარმა მაინც კარგახნით მოახერხა მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის შენარჩუნება ძველი უფლებებით. მხოლოდ მისი მეფობის დასასრულს, როდესაც თამარმა ივანე მხარგრძელს ათაბაგობა უწყალობა, სამეფო კარმა ერთდროულად ორი „მეფის მამა“ მიიღო, რამაც სათავე დაუდო მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის გავლენის შეკვეცას. XIII საუკუნის 60-იან წლებამდე ჭყონდიდელ-მნიგნობართუხუცესს ჯერ კიდევ აქვს საკმარისი უფლებები ქვეყნის მმართველობაში, მაგრამ საუკუნის ბოლოს, „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, სავაზირო, როგორც ჩანს, სამხედრო-პოლიტიკური საკითხების ფინანსურ-ეკონომიკური საკითხებისაგან გამიჯვნის მიზნით, გაყოფილა „სამთა ვაზირთა“ (ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცე-

სი) და „ორთა ვაზირთა“ (მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი) ჯგუფებად, მაგრამ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, როგორც ვაზირი, არც ერთ ჯგუფში აღარ მოიხსენიება (სურგულაძე 1970: 43-44) და იგი მხოლოდ მაღალ სასულიერო პირთა შორის ინარჩუნებს საპატიო ადგილს.

მანდატურთუხუცესი. ტერმინი მანდატური პირველად გიორგი II-ის 1073 წლის სიგელში ადგილობრივ მოხელეთა ჩამონათვალში გვხვდება. აქ იგი დაბალი ადგილობრივი მოხელეა, როგორც ჩანს, საპოლიციო ფუნქციისა. დავით აღმაშენებლის დროიდან კი, ყალიბდება მანდატურთუხუცესის უწყება, რომელიც სასახლის მთავარ უწყებათა შორის იკავებს საპატიო ადგილს. თამარის ისტორიკოსი მანდატურთუხუცესის ინსიგნიად ასახელებს ოქროს არგანს (რომელსაც მეფე გადასცემდა მანდატურთუხუცესად დანიშნულ პირს (ყაუხჩიშვილი 1959: 33). სამეცნიერო ლიტერატურაში მანდატურთუხუცესს მიაწერენ სახელმწიფო ფოსტისა და მიმოსვლის ხელმძღვანელობას (ჯავახიშვილი 1982: 295-298), ერთობლივად საპოლიციო და სამეურნეო სამსახურების უფროსობას (ბერძენიშვილი 1979: 356-457; ლომინაძე 1979: 644-645) ი. ანთელავას მოსაზრებით, მანდატურთუხუცესს ექვემდებარებოდა სააჯოკარი (სასამართლო დაწესებულება) და საგანმგეო (სასახლის მეურნეობა), სასახლეში წესრიგის დაცვა და მეთვალყურეობა საზეიმო ცრემონიალებისა და ეტიკეტის შესრულებაზე. ამ მრავალგვარ ფუნქციას მანდატურთუხუცესი ასრულებდა განმგებთუხუცესისა და ამირეჯიბისა დახმარებით (ანთელავა 1983: 122-125).

მანდატური და ამირსპასალარი XII-XIII საუკუნეების საქართველოში თანაბარი ღირსების თანამდებობებად ითვლებოდა და ისინი ხშირად ერთი პირის ხელში იყო გაერთიანებული. ნ. ბერძენიშვილის შეხედულებით, ამირსპასალარისათვის მანდატურთუხუცესობის ბოძება ერთგვარი კომპენსაცია იყო ამირსპასალარისათვის მისთვის „მეფის მამობის“ ჩამორთმევის შემდეგ (ბერძენიშვილი 1966: 39, მესხია 1979: 24).

ამირსპასალარი. საქართველოს სამხედრო შენაერთების სარდალს ამირსპასალარი დავით აღმაშენებლის დროს ეწოდა. შ. მესხიას დაკვირვებით, არაბულ-სპარსული „ამირ ისფაჰ სალარ“ საქართველოში დიდ სელჩუკთა სამოხელეო ტერმინოლოგიის გავლენით დამკვიდრდა, მაგრამ შინაარსობრივად იგი ქართულ ინსტიტუტად დარჩა (მესხია 1979: 18). ამირსპასალარმა წინანდელი სპასპეტი ჩაანაცვლა, მაგრამ განსხვავება მხოლოდ ტერმინოლოგიური ცვლილებით როდი ამოიწურებოდა. ძველად სპასპეტი ითვლებოდა „მეფის მამად“ და ამ სტატუსის შესაბამის პრივილეგიებს ფლობდა, დავითმა კი, უახლოესი წარსულის (ბაგრატ IV-ის დროინდელი მოვლენები) გათვალისწინებით, როგორც ჩანს, სახიფათოდ ჩათვალია მეფის მამობა ესოდენ გავლენიანი სამხედრო მოხელისათვის დაეტოვებინა. შესაძლოა, ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი მთავარსარდალისათვის სახლწოდების შეცვლისა. ამირსპასალარს ემორჩილე-

ბოდა საქართველოს ძირითადი საჯარისო დანაყოფები (საერისთავო ჯარები), მაგრამ მის დაქვემდებარებაში არ შედიოდა სამეფო დომენის ლაშქარი (ანთელავა 1983: 130). მშვიდობიანობის ჟამს ამირსპასალარი ზედამხედველობას უწევდა სამხედრო ვალდებულების, ე.წ. ლაშქარ-ნადირობის შესრულებას. ეს მას საშუალებას აძლევდა მუდმივად ედევნებინა თვალყური მოლაშქრეთა რაოდენობისა და მათი საბრძოლო მზადყოფნისათვის. სამხედრო საქმის ხელმძღვანელობასთან იყო დაკავშირებული ამირსპასალარის უფლება – გადამწყვეტი სიტყვა ეთქვა სახელმწიფო მინების წყალობა-გაცემის საკითხების განხილვისას.

მეჭურჭლეთუხუცესი. მეჭურჭლის თანამდებობა ქართულ სამეფო-სამთავროებში ძალზე ძველი ჩანს, მაგრამ მეჭურჭლეთუხუცესობა, როგორც მსხვილი საუნწყებო თანამდებობა, მკვლევართა აზრით, დავით აღმაშენებლის დროს ჩამოყალიბდა. „ხელმწიფის კარის გარიგება“ მას „დიდ ვეზირს“ უწოდებს, რომელიც ათაბაგობად მეოთხე ადგილს იკავებდა (სურგულაძე 1970: 39). მეჭურჭლეთუხუცესს ებარა მეფის სალარო, იქ შენახული მეფის არქივი და საჭურჭლე, ე.წ. „შეკრული“ განძეულობა (სარეზერვო განძი, რომელიც არ იყო გათვლილი ყოველდღიური საჭიროებებისათვის), რომელიც მეფეებს, სათანადო დაცვის ქვეშ, რამდენიმე სასახლეში ჰქონდათ გადანაწილებული (თბილისი, ატენი, ქუთაისი, უჯარმა). მეჭურჭლეთუხუცესის ხელში იყო ბეჭედი, რითაც შეკრული განძეულობა იყო დაბეჭდილი. მას ებარა აგრეთვე საღვინეში შენახული ძვირფასი ჭურჭელიც. გარდა განძეულისა, მეჭურჭლეთუხუცესს ჩაბარებული ჰქონდა ყოველდღიურად სახმარი სამეურნეო საქონელიც. მისი საგამგებლოში შედიოდა აგრეთვე სამეფო ქალაქების ადმინისტრაცია და სავაჭარო შემოსავლების აღნუსხვა-ანგარიში. ამრიგად, მეჭურჭლეთუხუცესის საქმიანობა სცილდებოდა სასახლის ერთი დანესებულების ფარგლებს. მას ყველგან უნდა აღენუსხა საქონელი, ეწარმოებინა სამეურნეო ანგარიში და თვალყური ედევნებინა მათი დაცვა-შენახვისათვის.

ათაბაგი. ათაბაგის თანამდებობა შემოღებულ იქნა თამარის მეფობის დასასრულს, არაუგვიანეს 1207 წლისა. ათაბაგი სელჩუკთა სახელმწიფოში მეფის მამობას ნიშნავდა და საქართველოში, სადაც უკვე არსებობდა „მეფის მამა“ მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის სახით, მისი დუბლირება მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის წინააღმდეგ ამირსპასალარის ფარული ბრძოლის გამოხატულებად არის შეფასებული (მესხია 1979: 76). ამ ბრძოლაში, რომელიც ჯერ კიდევ გიორგი III-ის მეფობაში გამოიჭლავნდა, როგორც ჩანს, კათალიკოსიც იყო ჩართული. თამარის მეფობის დასაწყისში წინააღმდეგობა გამწვავდა, მაგრამ მაშინ თამარმა მოახერხა მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის ძველ უფლებებში დატოვება. თამარის მეფობის დასასრულს დიდებულებმა სხვა გზა აირჩიეს – მეფე დაარწმუნეს ათაბაგობის შემოღების მიზანშეწონილობაში. საქართველოს პირველი ათაბაგი გახდა ივანე მხარგრძელი, რომელმაც

თავისი ძმის, ზაქარია მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის გარდაცვალების შემდეგ ეს ორივე სახელოც მიიერთა. ამრიგად, მეფის მამობა და ამირსპასალარობა ხელახლა შეერთდა, რაც, როგორც ჩანს, დასაბუთებული იყო სპასპეტთა „მეფის მამობის“ უძველესი ტრადიციით (ანთელავა 1983: 136). ამიერიდან ათაბაგ-ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესს უფლება ეძლეოდა ჭყონდიდელ-მნიგნობართუცუესთან ერთად ყველა სახელმწიფო უწყების საქმიანობაში ჩაეხედა და მათზე გავლენაც მოეხდინა (მესხია 1979: 73-74). მართლაც, მეფის მეორე გავლენიანი „მამის“ ხელისუფლებამ შესამჩნვად დააკნინა მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის სახელო და ბიძგი მისცა შემდგომ ცვლილებებს სამოხელეო წყობაში.

მსახურთუხუცესი. მსახურთუხუცესი სასახლის ძველი, „ხელშინაურთა“ ზემდგომი მოხელე იყო (გაბაშვილი 1943: 165-166). ვარაუდობენ, რომ იგი თავდაპირველად მანდატურთუხუცესის უწყებაში შედიოდა (ანთელავა 1983: 143). მისი დაწინაურება იწყება გიორგი III-ის დროს, ორბელთა ამბოხის (1177) ჩახშობის შემდეგ. მსახურთუხუცესს ჩაბარებული ჰქონდა უაღრესად საპასუხისმგებლო უწყება – მეფის საწოლი, რომელიც მრავალმხრივ მომსახურებას საჭიროებდა. ამ მოვალეობებს იგი ასრულებდა მისდამი დაქვემდებარებული მესაწოლეთუხუცესისა და მოლარეთუხუცესის დახმარებით. მსახურთუხუცესი მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამეფო დომენტთან – იგი უძღვებოდა დომენის ციხე-ქალაქთა დაცვის საქმეს, საჭიროების შემთხვევაში სარდლობდა დომენის ლაშქარს (ჩხატარაიშვილი 1979: 58). მსახურთუხუცესის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა თამარის მეფობაში – ივანე ათაბაგის მსახურთუხუცესობის დროს. მისი როლი სამეფო კარზე და საქმიანობის ასპარეზი უაღრესად გაფართოვდა, ხოლო რუსუდანის დროს სავაზიროს წევრიც გახდა.


სამეფო სასახლე, როგორც დაწესებულება. სამეფო კარის უწყებათა მუშაობის, მოხელეთა მოვალეობებისა და საქმიანობის შესახებ უაღრესად საინტერესო ინფორმაციას შეიცავს „ხელმწიფის კარის გარიგება“. ძეგლი, მართალია, XIII საუკუნის მიწურულით თარიღდება, მაგრამ მასში აღწერილი ცენტრალური დაწესებულებები, მართვის მექანიზმები, დაწესებულებათა და უწყებათაშორისი კავშირები და სამოხელეო ეტიკეტი ბევრად უსწრებს წინ ძეგლის შედგენის დროს. ერთიანობის ხანის საქართველოს მეფის ძირითადი ადგილსამყოფელი, სადაც მას „სახლი სამკვიდრებელი“ (რეზიდენცია) ჰქონდა, თავდაპირველად იყო სახელმწიფოს დედაქალაქი ქუთაისი, თბილისის დაბრუნების შემდეგ (1122) – თბილისი, მაგრამ, გარდა ძველი და ახალი დედაქალაქებისა, საქართველოს მეფეს მრავალი რეზიდენცია და სადგომი ჰქონდა დომენის სხვადასხვა კუთხეში (არანაკლებ 16-ისა), სადაც იგი ხშირად გადაადგილდებოდა ხოლმე თავის მრავალრიცხოვან ამაღლასთან ერთად. მასთან ერთად მოძრაობდა მეფის საწოლი (მეფის კაბინეტი), როგორც ცენტრალური დაწესებულება თავისი მომსახურე პერსონალით და დაცვის სამსახურით (ანთელავა 1983: 14-16).

სამეფო კარზე, ანუ სასახლეში, სადაც თავს იყრიდა ერთიანი ქართული მონარქიის ცენტრალური უწყებები, უამრავი სამსახური არსებობდა, რომლებიც სასახლის დიდ საუნწყებო მოხელეებს ექვემდებარებოდნენ. სწორედ ამ სამსახურებზე დაყრდნობით მართავდნენ უწყებათა „უხუცესები“ თავიანთ სფეროებს. საუნწყებო სამსახურების საშუალო და დაბალ მოხელეებს სასახლის სხვადასხვა დანესებულებაში უწევდათ თავ-თავიანთი მოვალეობების შესრულება, რადგან ეს დანესებულებები არც დარგობრივად, არც ფუნქციურად და არც ფიზიკურად ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამიჯნული არ იყო. აქ ერთმანეთს ხვდებოდნენ როგორც სამეფო დომენის მოხელეები, ისე – სახელმწიფო-საჯარო სამსახურები. სასახლის დანესებულებათა ასეთ „ქაოტურობაში“ წესრიგი შეჰქონდა მოხელეთა განაწესებს, რომლებშიც ზუსტად იყო განსაზღვრული ყოველი მოხელის ადგილი სამოხელეო იერარქიაში, მისი მოვალეობები სხვადასხვა თუ რომელიმე ერთი დანესებულების ფარგლებში.

სასახლის დანესებულებათა ურთიერთგადამკვეთი ფუნქციების თვალსაჩინო ნიმუშია მეფის საწოლი (კაბინეტი, კანცელარია), რომელიც სახელმწიფოსა და დომენის მართვის საერთო ცენტრს წარმოადგენდა. საწოლშივე იყო განთავსებული სალარო, სადაც ინახებოდა დიდი სასიგლე ბეჭედი, მეფის არქივი, ფული და ძვირფასეულობა. აქვე იყო მეფისა და მისი ოჯახის საცხოვრებელი აპარტამენტები. ამიტომ საწოლის რთული სტრუქტურა და მრავალფუნქციურობა განსაკუთრებულ დაცვას და მომსახურებას საჭიროებდა. თავისი საქმიანობით საწოლთან იყვნენ დაკავშირებული მნიგნობართუხუცესი (დავით აღმაშენებლის დროიდან მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი), მსახურთუხუცესი, მოლარეთუხუცესი და მეჭურჭლეთუხუცესი მათივე ქვემდებარე უწყებების მრავალრიცხოვანი საშუალო და დაბალი მოხელეებითურთ, რომელთაც პერსონალურად ებარათ მეფის საწოლის ფიზიკური დაცვა, მისი მოვლა-დასუფთავება, მეფის, მისი ოჯახის წევრებისა და მოწვეული პირების მომსახურება.

საწოლიდან ხდებოდა სამეფოს მართვა – აქ იმართებოდა თათბირები უმაღლეს მოხელეებთან, დიპლომატიური მიღებები და საზეიმო წვეულებები. აქ ეწეოდა თავის ძირითად საქმიანობას მეფის პირადი მდივანი – „საწოლის მნიგნობარი“, რომელიც უწყებრივად ჭყონდიდელ-მნიგნობართუხუცესს ექვემდებარებოდა. აქ ამზადებდა იგი სახელმწიფო დოკუმენტებს, რომლებსაც მოლარეთუხუცესი სამეფო ბეჭდით ამტკიცებდა. საწოლი თან დაჰყვებოდა მეფეს მისი ყოველი გადაადგილებების დროს („რა მეფე აიყაროს“). მის მომსახურე პერსონალს თან დაჰქონდა სავაზიროს სხდომებისათვის საჭირო მოწყობილობა და სახელმწიფო ბეჭედი (ეს ნივთეულობა აკიდებული ჰქონდა მეფის სამდივნოს („სიკრიტონის“-secretum) ჯორს, რომელსაც გზაზე შვიდასი შუბოსანი მესაწოლე იცავდა (ხელმწიფის კარის გარიგება 1965: 84).

სასახლის მართვის სტრუქტურა



- 1 **მსახურთუხუცესის უწყების მთავარი მოხელეები:** მესანოლეთუხუცესი, მოლარეთუხუცესი, ფარემთუხუცესი.
- 2 **მეჭურჭლეთუხუცესის უწყების მთავარი მოხელეები:** საჭურჭლის ნაცვალი, მუქიფი, მუშრიბი, სასახლის მეჭურჭლეები.
- 3 **ჭყონდიდელ-მნიგნობართუხუცესის უწყების მთავარი მოხელეები:** სანოლის მნიგნობარი, ზარადხანის მნიგნობარი, მნიგნობართუხუცესის ეჯიბი.
- 4 **ამირსპასალარის უწყების მთავარი მოხელეები:** ამირახორი, მეაბჯრეთუხუცესი, ზარადხანისუხუცესი, მეჯინიბეთუხუცესი.
- 5 **მანდატურთუხუცესის უწყების მთავარი მოხელეები:** ამირეჯიბი, გამგეთუხუცესი/ ეზოსმოდღარი, ეჯიბები.

სამოხელეო ეტიკეტი

შუა საუკუნეების ქართული სამართლებრივი კულტურის განუყოფელი ნაწილია სამეფო კარის ეტიკეტი, რომელშიც ზუსტად იყო განერილი სასახლეში მყოფი ყოველი პერსონის, მათ შორის სხვადასხვა რანგის მოხელეების შეკრების, ქცევის, ჩაცმულობის, მეტყველების, გამასპინძლების წესები. მასალა სამოხელეო ეტიკეტის შესახებ დაცულია „ქართლის ცხოვრებაში“, „მეფის კურთხევის წესში“, „ხელმწიფის კარის გარიგებაში“, „დასტურლამალში“, ფრესკულ და მინიატურულ მხატვრობაში, ლიტერატურულ წყაროებში. სამოხელეო ეტიკეტი შერწყმულია მოხელის სოციალურ და უფლებრივ სტატუსთან, ზოგადად ეპოქის სამართლებრივ წარმოდგენებთან, მისი შეს-

ნავლა კულტუროლოგიური კვლევის ფართო სფეროა, რაც ამჯერად სცილდება ჩვენი ნაშრომის მიზანს, მხოლოდ რამდენიმე მაგალითის აღწერით შემოვიფარგლებით.

საქართველოს სამეფო კარზე მიღებული ეტიკეტის გაცნობა ცხადყოფს, რომ ნებისმიერი რანგის მოხელის რიტუალური ქცევისა თუ სამეტყველო ნორმებს განსაზღვრავდა სასახლის იერარქიული წესრიგი, რომლის სათავეში იგულისხმებოდა სამეფო პერსონა, როგორც უზენაესი ხელისუფლების სიმბოლო. რიტუალური სიმბოლიკით იყო გაჯერებული მოხელეთა ოფიციალური საქმიანობა და, ასევე, არაფორმალური ურთიერთობებიც, რაც კარგად ჩანს სასახლეში დარბაზობებისა და დღეინილ წესებში. დარბაზობები იმართებოდა როგორც საქმიანი შეკრებების დროს, ისე დღესასწაულების, საზეიმო მიღებების, მეფედ კურთხევის, ქორწინების, მემკვიდრის დაბადებისა და მალალი პერსონების გარდაცვალების შემთხვევებში.

დიდ საერო მოხელეთაგან მეფედ კურთხევის რიტუალში მონაწილეობას იღებდნენ მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი. „არგნით“ აღჭურვილი მანდატურთუხუცესი ჯვარისმტვირთველთან ერთად წინ მიუძღოდა სასახლიდან ეკლესიისაკენ მიმავალ პროცესიას, ხოლო წელზე ხმალშემორტყმული ამირსპასალარი, რომელსაც ორთავე ხელზე მეფის ხმალი ესვენა, მეფეს მარჯვნივ მიუყვებოდა. ეკლესიაში შესვლისას ამირსპასალარი მეფის ხმალს მიაწვდიდა ჯვარისმტვირთველს, რომელიც მას საკურთხეველში დაასვენებდა (ძელიცხოვლის გვერდით). რიტუალის დასრულების შემდეგ ჯვარისმტვირთველი ხმალს ისევ ამირსპასალარს უბრუნებდა, ეს უკანასკნელი მას მეფეს, როგორც უზენაეს მთავარსარდალს, წელზე შემოარტყამდა (დოლიძე 1965: 50-51).

„ხელმწიფის კარის გარიგების“ თანახმად, მკაცრად იყო განსაზღვრული იმ მოხელეთა რაოდენობა, რომელთაც ჰქონდათ პატივი მეფესთან ახლოს მისულიყვნენ და „საურავი“ მოეხსენებინათ – იქნებოდა ეს სასწრაფოდ განსახილველი საკითხი, სასახლეში შემოსული თხოვნა-საჩივარი, თუ ვინმესთვის შუამდგომლობა. ასეთი უფლება ჰქონდა მხოლოდ სამი უწყების – მსახურთუხუცესის, მანდატურთუხუცესის და ამირსპასალარის რამდენიმე მოხელეს. უპირველესად, ეს უფლება ეკუთვნოდა მსახურთუხუცესს ან მის ხელქვეით რომელიმე უფროს მოხელეს, რომელთაც საწოლში შესვლა სამსახურეობრივად ევალეობოდათ. ამათ „საურავის“ მოხსენება მეფისთვის შეეძლოთ მაშინაც, როცა იგი საწოლში „უკაზმავი“ იმყოფებოდა. კიდევ უფრო მეტი უფლებით სარგებლობდა მანდატურთუხუცესის უწყების მოხელე ამირეჯიბი, რადგან ამ უკანასკნელს ყველგან შეეძლო მეფესთან შესვლა – „უკაზმავთანაც“ და „შეკაზმულთანაც“, მხოლოდ საღამოს წირვამდე („საღამოს რეკამდის“). ამირსპასალარის ხელქვეითთაგან მეფესთან საურავით მისვლის უფლება ეკუთვნოდა ამირახორს ან მეაბჯრეთუხუცესს (ხელმწიფის კარის გარიგება 1965: 83, 84, 86-87). „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, სამოხელეო რიტუალები განსაკუთრებული სიზუსტით სრულდებოდა სამე-

ყო კარზე გამართული დარბაზობების დროს. მკაცრად იყო განსაზღვრული დარბაზობაზე წვეულ მოხელეთა კატეგორიები, ყოველ მათგანს მათი თანამდებობის შესაფერი სამოსითა და სამოხელეო ინსიგნიებით გამოცხადება ევალებოდა. დარბაზობაზე წესრიგისა და ცერემონიალის დაცვას ზედამხედველობას უწევდა მანდატურთუხუცესი, რომელიც ერთადერთი იყო, ვისაც ჰქონდა უფლება დარბაზობაზე ხმალშემორტყმული შესულიყო. იგი ადევნებდა თვალყურს, რამდენად იყო დაცული დარბაზობაზე წვეულ მოხელეთა შორის იერარქიული თანამიმდევრობა, მეფისა და მღვდელმთავრების წინაშე რიტუალური მისალმების წესები და სამეტყველო სტილი, სტუმრების ფეხზე დგომისა და დაჯდომის დრო და ადგილი, რამდენად შეესაბამებოდა მოხელის რანგს მომსახურეობა, მისართმევი ულუფის სახეობა და ოდენობა.

ადგილობრივი მმართველობა ერთიან ქართულ მონარქიაში

XI საუკუნეში გაერთიანებულ ქართულ მონარქიაში ადგილობრივი მმართველობის, ანუ „საქვეყნოდ გამრიგე“ მოხელეებად ისევ ერისთავები რჩებოდნენ, მაგრამ მათი რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. უცვლელად შევიდა ერთიან მონარქიაში ადრინდელი ეგრის-აფხაზეთის სამეფოს საერისთავოები, მათ შორის მის ფარგლებში ადრე მოქცეული ქართლისა და ჯავახეთის საერისთავოებიც. კახეთის შემოერთების შემდეგ ბაგრატ III-მ (975-1014) დააფუძნა ორი მსხვილი საერისთავო – კახეთისა და ჰერეთის (ისინი დაიკარგა გიორგი I-ის გამეფებისთანავე). საქართველოს გაერთიანებას თან მოჰყვა ახალი საერისთავოების წარმოქმნა ტაო-კლარჯეთში – შავშეთის, კალმახის, თუხარისის, ყველის, არტანუჯის – XII საუკუნეში ტაოს საერისთავოს სახით (ბახტაძე 2003: 260-283).

განსხვავებით წინა საუკუნეებისაგან, ერთიან ქართულ მონარქიაში ერისთავთა, როგორც საჯარო მოხელეთა ხელისუფლება აღარ ვრცელდებოდა ქვეყნის უმეტეს მინა-წყალზე, რადგან საერისთავოთა ფარგლებში შეერია უკვე გამრავლებული, სხვადასხვა იურიდიულ რეჟიმს დაქვემდებარებული მიწები, რომელთა დიდი ნაწილი, მაგ., სამეფო დომენისა და ეკლესიის მიწები ერისთავის იურისდიქციაში არ შედიოდა (ანთელავა 1983: 184, 190). ასევე არ ეხებოდა ერისთავს სამეფო ქალაქები, მაგრამ მისი უფლებამოსილებები ვრცელდებოდა კერძოფეოდალურ მამულებზე, რომლებშიც თავად ერისთავის მკვიდრი მამულებიც იგულისხმებოდა.

ერისთავების ძველ კონტიგენტს ძირძველი მემამულე არისტოკრატია შეადგენდა, რომლის ჩაყენება სახელმწიფო სამსახურში საქართველოს მეფეების საშინაო პოლიტიკის უმთავრეს ამოცანად იყო ქცეული. XI-XIII საუკუნეთა განმავლობაში ამ პოლიტიკას სხვადასხვაგვარი გამოსატყულება ჰქონდა – იყო ეს ურჩ ერისთავებთან ბრძოლა, მათ მიმართ რეპრესიების გატარება, თუ შეწყალება და სამეფო კართან მა-

თი გამიზნულად დაახლოება. ამ საუკუნეებში ფართოდ დაინერგა დიდი ერისთავების სამეფო კარის მოხელეებად დანიშვნის პრაქტიკა. ერისთავები იყვნენ მეჭურჭლეთუხუცესები, მანდატურთუხუცესები, მსახურთუხუცესები, ამილახორები, ჩუხჩარხები და სხვ. დიდი ერისთავები უმეტეს დროს მეფის კარზე ატარებდნენ, რაც, უეჭველია, ზრდიდა მათ პოლიტიკურ თვალსაწიერს და ამცირებდა შიდაპოლიტიკურ დაძაბულობას. ამგვარმა სამოხელეო პრაქტიკამ აღნიშნულ საუკუნეებში წაშალა მკვეთრად გამოხატული ფსიქოლოგიური და მენტალური ზღვარი ცენტრალურ და საქვეყნოდ გამრიგე (ადგილობრივ) მოხელეებს შორის, მნიშვნელოვნად დაახლოვა ერთმანეთთან ცენტრი და პერიფერია, რამაც თავის მხრივ, კულტურული ინტეგრაციის უფრო მაღალი ხარისხი და, შესაბამისად, სახელმწიფოებრივი იდენტობის შეგრძნება განაპირობა. ამ საერთო ვითარების ანარეკლი კარგად ჩანს XIII საუკუნის ლაჰილის (სვანეთი) ხატის წარწერაში: „წმიდაო მთავარანგელოზო მუხერისაო, ჳელთუქმარო, ადიდენ მეფენი ბაგრატუნიაწნი, და დადიანი, და დიდებულნი და ერთობილ საქართველო და ერთობილნი სუანნი და ჳევი ლატალისა...“ (თაყაიშვილი 1937: 263-364).

ადგილებზე ერისთავს ეკუთვნოდა საერისთავო რეზიდენცია, სადაც იგი თავისი სამოხელეო აპარატის დახმარებით აღასრულებდა სამხედრო-ადმინისტრაციულ და ფისკალურ უფლებებს. ადგილებზე ერისთავი აღასრულებდა მართლმსაჯულებასაც, მაგრამ მძიმე სისხლის სამართლის საქმეები სააჯრო კარზე უნდა გაეგზავნა. ომის დროს ერისთავს ევალებოდა დაქვემდებარებული ტერიტორიებიდან მოლაშქრეთა მობილიზაცია და მთავარსარდლის დროშაზე დგომა (XI საუკუნეში ერისთავი ანგარიშვალდებული იყო სპასალარის წინაშე, დავით აღმაშენებლის დროიდან კი, სპასალარი შუალედური რგოლი უნდა ყოფილიყო ერისთავსა და ამირსპასალარს შორის). დავით აღმაშენებლის დროიდან ერისთავების სამხედრო დამოუკიდებლობა ობიექტურად შესუსტდა, რადგან მათი საქმიანობა ძლიერ ცენტრალურ უწყებებს (მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის, ამირსპასალარის) დაექვემდებარა.

მონღოლთა ბატონობის დროს ცენტრალური ხელისუფლება ვეღარ ახერხებდა ერისთავების კონტროლს, რაც მათ შესაძლებლობას აძლევდა თავიანთ საერისთავო ოლქებში მიეთვისებინათ საჯარო უფლებები, თავისი იურისდიქციისათვის დაექვემდებარებინათ განსხვავებული იურიდიული რეჟიმის მქონე მიწები, დაესაკუთრებინათ საჯარო გადასახადები და სხვ. საჯარო და კერძო უფლებების აღრევა, საზოგადოდ დამახასიათებელი მოვლენა ფეოდალური წესრიგისათვის, მონღოლთა ბატონობის დროს საქართველოში შეუქცევადი გახდა, რამაც გამოიწვია ერისთავის სამოხელეო ინსტიტუტის დეგრადაცია და მოხელე-ერისთავთა გარდაქმნა დიდ მემამულე თავადებად. მონღოლებზე დამოკიდებულ საქართველოს მეფეებს აღარ შესწევდათ ძალა ურჩი ერისთავისათვის ჩამოერთმიათ საერისთავო მამული. მსგავსი პროცესი მიმდინარეობდა დასავლეთ საქართველოშიც. ერისთავთა გამთავრება ქვეყნის დაშლის

წინაპირობა იყო, რისი შეჩერება ცენტრალურ ხელისუფლებას მის ხელთ დარჩენილი ბერკეტებით აღარ შეეძლო. მონღოლთაგან ქვეყნის გათავისუფლების შემდეგ გიორგი V ბრწყინვალე (1318-1346) ჰერეთში დარბაზობაზე საგანგებოდ მოწვეულ ურჩ ერისთავებს სასტიკად გაუსწორდა. მხოლოდ ამის შემდეგ გამოუცხადეს მეფეს ერთგულება დასავლეთ საქართველოს ერისთავებმაც.

გიორგი ბრწყინვალის ღონისძიებებმა მხოლოდ დროებით შეაჩერა ერისთავთა ინსტიტუტის დეგრადაცია. ფეოდალური საზოგადოების სტაგნაცია და უმძიმესი საგარეო პოლიტიკური ფონი ხელსაყრელ გარემოს ქმნიდა ერისთავის ინსტიტუტის საბოლოო გაქრობისათვის. XV საუკუნის დასაწყისში ერისთავის ინსტიტუტი ფორმალურად, თუმცა შინაარსობრივად სახეცვლილი, კიდევ განაგრძობდა არსებობას, მაგრამ ამავე საუკუნის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოში ერისთავთა სამოქმედო სივრცე დაიკავეს სათავადოებმა (ქსნის და არაგვის ერისთავები), დასავლეთ საქართველოში მსხვილმა სამთავროებმა (ოდიში, გურია, სვანეთი) ამ დროიდან სამოხელეო ტერმინი ერისთავი ფეოდალურ გვარად იქცევა.

მონაპირე ერისთავი (შდრ. მარკგრაფი, საშ. სპარს. მარზპანი). მონაპირე ერისთავი იყო სასაზღვრო ზონაში განწესებული მოხელე, რომელსაც, ქვეყნის უსაფრთხოების მიზნით, სასაზღვრო ოლქში დაზვერვითი სამუშაოების ჩატარება ევალებოდა. მონაპირეთა ინსტიტუტის არსებობა დადასტურებულია XI საუკუნის წყაროებში, მხოლოდ ამ დროს მონაპირე აღინიშნებოდა საშუალო სპარსული ტერმინით „მარზპანი“ (ჯავახიშვილი 1982: 339-340). დავით აღმაშენებლის დროს თურქთაგან მიტაცებული ქართული მიწების შემოკრებამ და ახალი ოლქების შემოერთებამ გაზარდა მონაპირეთა მნიშვნელობა და მათი სამოხელეო ფუნქციები. მონაპირეს ევალებოდა ინფორმაციის შეგროვება მოსაზღვრე რეგიონებში მიმდინარე მოვლენებზე და მისი დროულად მიწოდება სამეფო კარისათვის. იგი უნდა დალოდებოდა მეფის ბრძანებას და მის შესაბამისად ემოქმედა. გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში, მონაპირეს თავისი რაზმით თავად უნდა მოეგერიებინა მტერი. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, მონაპირეთა სამსახური საქართველოს მხოლოდ სამხრეთ სასაზღვრო ზოლზე გამოიყენებოდა, რადგან ამ მხრიდან მოდიოდა მოსალოდნელი საფრთხეები. თამარის მეორე ისტორიკოსთან სანაპირო ოლქებად ჩანს: გაგი, ჰერეთი, ზორაკერტ-ტაშირი, (წრდ. სომხეთი), ჯავახეთი, არტაანი, შავშეთ-სპერი, კარი (ბერძნიშვილი, სინ 1979: 362-364). XII-XIII საუკუნის პირველ მესამედში ამ მხარეთა გამგებლები ამავე დროს მონაპირეები იყვნენ.

საქართველოს ერთიანი მონარქიის სამოხელეო სისტემის რღვევა

მონღოლთა საუკუნოვანმა ბატონობამ, რომელიც XIII საუკუნის 40-იან წლებში დაიწყო, მნიშვნელოვნად შეარყია ერთიანი საქართველოს მონარქიული წყობა. მათი ხელშეწყობით საქართველოს ტახტი ორად გაიყო, ასევე გაიყო ხელისუფალთა სამოქმედო სივრცე და უფლებამოსილებანი. დიდი ცვლილებები განიცადა ამ პერიოდის ფეოდალურმა საზოგადოებამ. მრავალი ძირძველი საგვარეულო, რომელთაც მემკვიდრეობით ეპყრათ მაღალი საკარო თანამდებობები, გადაშენდა ან უკიდურესად დასუსტდა. XIV საუკუნის 30-იან წლებში გიორგი ბრწყინვალემ კვლავ აღადგინა ერთიანი მმართველობა, მაგრამ, ბუნებრივია, ძველი სამოხელეო წყობის სრულყოფილად აღდგენა შეუძლებელი იყო. XIV საუკუნის ბოლოს დაიწყო თემურ ლენგის შემოსევები, რამაც ქვეყანას უდიდეს მატერიალურ დანაკარგებთან ერთად ხელახალი სახელმწიფოებრივი ნგრევა მოუტანა. XV საუკუნის პირველ ნახევარში ქვეყნის აღმშენებლობას დიდი ძალისხმევა შეაღია ალექსანდრე I-მა (1412-1442), მაგრამ მას, ცხადია, არ შეეძლო იმ შეუქცევად საშინაო და საგარეო პროცესების შეკავება, რომლებიც განაპირობებდნენ ქართული მონარქიის რღვევას. ქართული სახელმწიფოებრივობისათვის ამ უაღრესად რთულ პერიოდში, XV საუკუნის ბოლო ათეულ წლებში, საქართველოს ერთიანი მონარქია სამ სამეფოდ (ქართლი, იმერეთი, კახეთი) და სამ სამთავროდ (სამცხე-საათაბაგო, გურია, ოდიში) დაიშალა. ამ მძიმე პოლიტიკური მოვლენის შედეგად მეფეთა საჯარო უფლებები უკიდურესად იყო შეკვეცილი მსხვილი სათავადო და სამთავრო სახლების მიერ, რომელთა ხელში რჩებოდა ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილი. სწორედ ეს ძლიერი საგვარეულო სახლები წარმოადგენდნენ მთავარ პოლიტიკურ ძალას, რომელთა მხარდაჭერის გარეშე სამეფო ხელისუფლებას მნიშვნელოვანი დასაყრდენი ეცლებოდა. შედარებით უფრო მტკიცედ ცენტრალიზებული აღმოჩნდა კახეთის სამეფო, რადგან აქ სამეფო დომენის წილი მინა-წყალი ჭარბობდა ადგილობრივი ფეოდალებისას. ამიტომ კახეთის მეფეებს შესაძლებლობა მიეცათ ადგილობრივი მმართველობის შედარებით ძლიერი ინსტიტუტი შეექმნათ სამოურავოების სახით.

XIV-XV საუკუნეების ისტორიულ დოკუმენტებში სრულიად ქრება ქართული მონარქიის სიძლიერის დროინდელი მაღალი სამოხელეო თანამდებობები, თუმცა, რჩება საშუალო საფეხურის სამოხელეო რგოლები: მეაბჯრეთუხუცესი, ეზოს ჩუხჩარეხი, მეჯინბეთუხუცესი/ამირახორი, მეჭურჭლეთუხუცესი, მოლარეთუხუცესი, ამირეჯიბი, მეღვინეთუხუცესი, მუშრიბი, კარის მწიგნობარი, მოურავი, ამირათ-ამირა და სხვა მრავალი წვრილი ფისკალური თუ სამეურნეო მოხელე (ქისკ 2013: 39, 43, 45, 48, 58, 62); დაახლოებით XV საუკუნის 60-იანი წლებიდან სათავადოთა სისტემის გაბატონებამ და მეფის მოხელეთა საგამგებლო ტერიტორიების შემცირებამ სამოხელეო წყობა

კიდევ უფრო გაამარტივა, რამაც გამოიწვია მთელი რიგი ძველი სამოხელეო თანამდებობების, პირველ რიგში, უწყებათა მეთაურ „უხუცესთა“ ინსტიტუტების ძირითადი ნაწილის გაქრობა (მაგ., დარჩა მოლარე და გაქრა მოლარეთუხუცესი).

ცვლილებები სამოხელეო წყობაში. XV-XVIII საუკუნეები

საქართველოს სინამდვილეში გვიანდელი შუა საუკუნეები XVI საუკუნიდან XVIII საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა. ამდროინდელი ქართული სამოხელეო წყობის შესახებ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ისტორიული წყარო მოგვეპოვება – ესენია საკანონმდებლო ძეგლები, იურიდიული დოკუმენტები, საისტორიო თხზულებები, მოგზაურებისა და უცხოელი ელჩების ჩანაწერები და სხვ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ ეპოქის სამოხელეო სისტემის შესასწავლად ენიჭება „დასტურლამალს“ (სამოხელეო განაწესი), რომელიც XVIII საუკუნის დასაწყისშია შედგენილი, მაგრამ XVII საუკუნის ვითარებასაც ასახავს. XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან ერეკლე II-ის (1744-1798) ინიციატივით ქართულმა სამოხელეო წყობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ეს ცვლილებები აისახა იმდროინდელ დოკუმენტებში – სამოხელეო დადგენილებებსა თუ სასამართლო პროცესუალურ აქტებში, დავით ბატონიშვილის „მიმოხილვაში“ (Царевич Давид, 1813).

XVII- XVIII საუკუნეებში ირანისა და ოსმალეთის ექსპანსიური პოლიტიკის შედეგად ქართული სამეფოების სუვერენიტეტი შეიკვეცა, სახელმწიფო მიწა-წყალი შემცირდა, მეფის ხელისუფლება სამეფო ოჯახის წევრებისა და დიდებული თავადების ფეოდალური უფლებებით შეიზღუდა, ფეოდალური წესრიგი სამართლებრივად დაკანონდა. ყოველივე ეს აისახა სამოხელეო წყობაზე – სამეფო კარის მოხელეთა საქმიანობა არაფრით არ განსხვავდებოდა კერძო ფეოდალის მოხელეთა საქმიანობისაგან. მათ ევალებოდათ მეფის, როგორც ფეოდალის მამულების დაცვა და მოვლა, გადასახადების აკრეფა და სხვ.; შუა საუკუნეების ფეოდალური მონარქიებისათვის ზოგადად დამახასიათებელი სამართლებრივ საწყისთა ამგვარი აღრევა, ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის პირობებში პრაქტიკულად კიდევ უფრო ნაკლებად მოიცავდა საჯარო სფეროებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავად მეფის საჯარო ფიგურა, მისი საჯარო უფლებრივი ფუნქციები ამა თუ იმ მოცულობით მოხელეებსაც გადაეცემოდა. ყველა სამეფო მოხელე საჯარო სამართლის სუბიექტს წარმოადგენდა და მათ სახელმწიფო სამართლი იცავდა (სურგულაძე 1952: 165, 169). სამეფო კარის მოხელეთა შორის წმინდა საჯარო სფეროს ემსახურებოდნენ მხოლოდ სამდივნოს (სამეფო კანცელარია) მოხელეები და მდივანბეგი (მსაჯული).

სახელმწიფო გადაწყვეტილებები მიიღებოდა დარბაზის სხდომებზე, რომლის შემადგენლობას მეფე ირჩევდა დიდებულ თავადთაგან და საეკლესიო იერარქთა-

გან. მათ შორის სამეფო კარის მოხელეები შეიძლება ყოფილიყვნენ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათ მაღალი სოციალური სტატუსი ამის შესაძლებლობას მისცემდა.

ფორმალურად მეფე ნიშნავდა ყველა თანამდებობის პირს უმაღლესიდან უდაბლესამდე, მაგრამ, რადგან სამოხელეო თანამდებობები მემკვიდრეობითი იყო, მეფის პრეროგატივად მხოლოდ თანამდებობის ხელახალი დამტკიცება რჩებოდა. მოხელე თანამდებობას თავისი საგვარეულოს საკუთრებად აღიქვამდა, ამიტომ მას შეეძლო თავისი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულება გადაებარებინა თავისივე „კაცებისათვის“, ანუ ყმებისათვის (სურგულაძე 1952: 134-136, 169).

ცენტრალური აპარატის სამოხელეო უწყებები არ იყო დარგობრივად მკაფიოდ გამიჯნული. ყოველი მოხელის საქმიანობას განსაზღვრავდა არა უწყებრივი სტრუქტურა, არამედ მათთვის საგანგებოდ შედგენილი განწესებები, ე.წ. დასტურლამები. ამიტომ ერთი და იმავე ან მსგავსი ფუნქციის მოხელე შეიძლება სხვადასხვა უწყებრივ დაქვემდებარებაში ყოფილიყო.

მოხელის გასამრჯელოს (სარგო, ჯამაგირი, ულუფა) ოდენობა დამოკიდებული იყო მის წარმომავლობაზე და სოციალურ სტატუსზე, იმაზე, თუ ფეოდალური წოდების რომელ კატეგორიას მიეკუთვნებოდა იგი. ამავე პრინციპს ემყარებოდა მოხელის პატივი და ღირსებაც. მაგ. . „დასტურლამალის“ მიხედვით, დაბალი მოხელე მეჯლისზე დაიშვებოდა, თუ საპატიო კაცის შვილი იყო; არ დაიშვებოდა, თუ არ იყო საპატიო კაცის შვილი (სურგულაძე 1952: 161).

მოხელე გასამრჯელოს იღებდა სხვადასხვა წყაროდან. ანაზღაურების სახეობა დამოკიდებული იყო თავად სამსახურის სფეროზე – სამეურნეო სამსახურებთან უშუალოდ დაკავშირებული სახლთუხუცესი გასამრჯელოს (სარგო) იღებდა სამეფოს შემოსავლების წილიდან (სურგულაძე 1952: 164). თუ მოხელის ფუნქციებში სამეურნეო საქმიანობა არ შედიოდა (მაგ., საპოლიციო სამსახური), მაშინ იგი ჯამაგირს ან ულუფას (ნატურალური პროდუქტის სახით) სამეფო სალაროდან ან მეფის ქარხნიდან (სანყოფებიდან) იღებდა (ივ. სურგულაძე 1952: 165).

ცენტრალური აპარატის უფროსი მოხელეები. XV-XVIII საუკუნეები

XVII საუკუნის შუა ხანებში, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, როსტომ მეფემ ცენტრალური მმართველობის სამოხელეო ტერმინების უმეტესობა ირანულ-ყიზილბაშურით შეცვალა, თუმცა, ამ ცვლილებამ ზეგავლენა ვერ მოახდინა ადგილობრივ სოციალურ წესრიგზე და სამოხელეო საქმიანობის შინაარსზე (გაბაშვილი 1951: 168). ვახუშტი ბატონიშვილი როსტომის დროს შემოღებულ სამოხელეო ტერმინებს განმარტავს ძველი შესატყვისი ტერმინებით: მსახურთუხუცესი – ყორჩიბაში, მონათუხუცესი – ყულარაღა-

სი, სპასპეტი – სარდარი, ჩუნჩერახი – სუფრაჯი, ჩაჩნაგირი – სუფრაქეში, მანდატურ-თუხუცესი – ეშიკალასი, მანდატური – სოჭბათიასაული. ბოქაული – ელილაჯი, მსაჯულთუხუცესი – მდივანბეგი, ეზოსმოძღვარი – ნაზირი, მესტუმრეთუხუცესი – მეჰმანდარი, მწერალი – მუშრიბი, ხუროთმოძღვარი – სარდარი, მეკარე – ყაფიჩი, ასისთავი – უზბაში. ზოგი თანამდებობა, როგორებიცაა მეჭურჭლეთუხუცესი და ეჯიბი, როსტომს გაუუქმებია. მეჭურჭლეთუხუცესის ფუნქციები შეურთებია მოლარეთუხუცესისათვის, ხოლო ეჯიბის მაგიერ შემოულია ტერმინი მეითარი (ვახუშტი: 1973: 32). როსტომის დროსვე გაჩნდნენ ქართლში უშუალოდ შაჰს დაქვემდებარებული მოხელეები: ვაზირი, მუსტოფი და მუნში. ვაზირი ერთდრულად ქართლის მეფის მრჩეველიც იყო და მეთვალყურეც, მუსტოფი – საფინანსო მოხელე, მუნში მწერალი, რომელიც შაჰს დიპლომატიური წერილებს უგზავნიდა. ყველა ეს მოხელე ანგარიშვალდებული იყო შაჰის წინაშე (გაბაშვილი 1951: 157-158).

ქართულ სამეფოებში ცენტრალური მმართველობის უმაღლესი საუნყებო მოხელეები იყვნენ: სახლთუხუცესი ეშიკალასბაში/მანდატურთუხუცესი, მდივანბეგი/მსაჯულთუხუცესი. ადგილობრივ მმართველობაში ერისთავის ადგილი მოურავმა დაიკავა.

სამეფო კარის უმაღლეს სამოხელეო თანამდებობად სახლთუხუცესობის გადაქცევა (ვახუშტის განმარტებით, აბრამადი) ერთ-ერთი გამოხატულება იყო გვიანდელი შუა საუკუნეების ქართულ სამეფოებში საჯარო სამართლებრივი სივრცის შევიწროებისა. ეს თანამდებობა ყველაზე ადრე (სახლისუხუცესის ფორმით) XV საუკუნის მიწურულს დასავლურქართულ საბუთებში გვხვდება (ქისკ 2013: , 277, 311), აღმოსავლეთ საქართველოს საბუთებში კი, XVI საუკუნიდან იჩენს თავს. სახლთუხუცესის ხელში აღმოჩნდა თავმოყრილი სასახლის მართვის ყველა ის ადმინისტრაციული, საფინანსო და სამეურნეო სამსახური, მათ შორის მეფის სამდივნო, რომლებიც ადრე რამდენიმე დიდ უწყებას შორის იყო გადანაწილებული. ამდენად, სამეფო კარზე სახლთუხუცესი გახდა უმაღლესი რანგის ყველაზე საპატიო მოხელე, რომლის ანალოგი ერთიანობის ხანამ არ იცის. მეფლისის დროს მხოლოდ მას და ეშიკალასბაშს ჰქონდათ უფლება მეფის წინ დამსხდარიყვნენ (სურგულაძე 1970: 500). კახეთის სამეფოში სახლთუხუცესს, როგორც მეფის უერთგულეს პირს, სარდლობაც შეეძლო შეეთავსებინა.

ეშიკალასბაში. როსტომ მეფის დროიდან მანდატურთუხუცესს ეშიკალასბაში ეწოდა. მას ძირითადად საპოლიციო სამსახური ებარა – მეფის პერსონისა და სასახლის დაცვა, დამნაშავეთა დევნა, გაქცეულ ყმათა აყრა, სასამართლო განაჩენების სისრულეში მოყვანა, მეფის საგანგებო დავალებათა შესრულება. ძველ მანდატურთუხუცესთან მას საერთო ჰქონდა სამეფო კარის ცერემონიალის ხელმძღვანელობა. თავის მოვალეობებს ეშიკალასბაში ასრულებდა მის უწყებაში შემავალი სხვადასხვა რანგის ე.წ. ხელჯოხიანების მეშვეობით, რომელთა შორის იყვნენ: ბოქაულთუხუცესი, სოიბათიასაული, ყორიასაული, მემანდარი, ყაფიჩი და სხვ.

მდივანბეგი/ მსაჯულთუხუცესი. XVI საუკუნის ქართული დოკუმენტების მიხედვით, უმაღლესი მსაჯული მეფე იყო, რომელიც პირადად თავმჯდომარეობდა სასამართლო სხდომებს. „დასტურლამალი“, რომელიც, უეჭველია, ძველ ტრადიციას ემყარება, უთითებს კვირაში ორ დღეს (ოთხშაბათი, პარასკევი), რომლებსაც მეფე უთმობდა განსაკუთრებულ საქმეთა სასამართლო განხილვებს. მეფესთან ერთად სასამართლო სხდომებში მონაწილეობას იღებდნენ დიდებული თავადები და საეკლესიო იერარქები, მოხელეთაგან ესწრებოდნენ სახლთუხუცესი (ისიც არა ყოველთვის) და მდივნები, რომლებიც სხდომის ოქმს ადგენდნენ. მხოლოდ XVII საუკუნის 20-იანი წლებიდან წარმართავდა სასამართლო სხდომებს მსაჯულთუხუცესი, რომელსაც, სპარსულის გავლენით, მოგვიანებით მდივანბეგი უწოდეს. მდივანბეგი ხელმძღვანელობდა კოლეგიალურ სასამართლოს, რომლის წევრები არ უნდა ყოფილიყვნენ სამზე ნაკლები. სასამართლო პროცესში მონაწილეობას იღებდნენ მეფის მდივნები, რომლებიც ერთდროულად მსაჯულებიც იყვნენ და სასამართლო ოქმების შემდგენიც.

XVIII საუკუნის დასაწყისში ვახტანგ ბატონიშვილმა მისი ჯანიშინობის (შაჰის მოადგილე, ნაცვალი) დროს ჩამოაყალიბა ყულარაღასის (ვახუშტის მიხედვით, ყულარაღასი ძველი მონათუხუცესი, ანუ მსახურთუხუცესია) და ყორჩიბაშის სამსახურები, რომელთა დანიშნულება იყო სასახლის დაცვის ორგანიზაცია. სასახლის მცველთა რაზმში 300 მეთოფე შედიოდა. რაზმის წევრები (ყულები, ყორჩები) დაკომპლექტებულნი იყვნენ ფეოდალური წოდების სხვადასხვა კატეგორიის – თავადების, აზნაურების, მსახურების – ახალგაზრდა კონტინგენტით, რომლებიც ასეულებად იყვნენ გადანაწილებულნი. ისინი გადიოდნენ მუდმივ წრთვნას და ჯამაგირს სასახლიდან იღებდნენ. „დასტურლამალში“ აღწერილია, როგორ ახორციელებდნენ ყულარაღასი და ყორჩიბაში მეჯლისის დროს მეფის დაცვას – ისინი მეფის უკან დგებოდნენ, მათ უკან კი ყულები და ყორჩები იყვნენ ჩამწკრივებულნი (სურგულაძე 1970: 494). XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ეს ორი სახელო ქეჩიკჩიბაშის ხელქვეით გაერთიანდა (მესხია 1948: 36-37).

ადგილობრივი მოხელეები. XV-XVIII საუკუნეები

გვიანდელ შუა საუკუნეებში ადგილობრივი მმართველობის ზოგიერთი ძველი ინსტიტუტი საერთოდ გაქრა, ზოგმა გარკვეული სახეცვლილებით განაგრძო არსებობა, ზოგმა კი, მხოლოდ სახელი შეიცვალა. მნიშვნელოვანი ცვლილება შეეხო სამხედრო საქმის ორგანიზაციას და მასთან დაკავშირებულ ინსტიტუტებს. ერთიანობის დროინდელი ამირსპასალარის თანამდებობა ქართულ სამეფოებში გაუქმდა, მაგრამ ყოველ მათგანში შენარჩუნებულ იქნა ერთობის დროინდელი ოთხ-ოთხ სამხედრო-ტერიტორიულ ოლქად, ანუ სადროშოდ დაყოფის პრინციპი. ყოველ სადროშოს სათავეში ედ-

გა სარდალი, რომელიც ქართლში და იმერეთში მემკვიდრეობით თანამდებობად იყო ქცეული. კახეთში სადროშოების ხელმძღვანელობა ეპისკოპოსებს ჰქონდათ ჩაბარებული, რაც კახეთის სამხედრო ორგანიზაციას მეტ სიმტკიცეს ანიჭებდა. ეპისკოპოსი-სარდალი არ იყო მემკვიდრეობით მიჯაჭვული თანამდებობაზე და ამიტომ სამეფო ხელისუფლებას სამხედრო ორგანიზაციაში ჩარევისათვის მეტი სივრცე რჩებოდა. სადროშოს სარდალს მეფე ამტკიცებდა სამეფო კარზე ტრადიციული ცერემონიალის თანხლებით – მომავალ სარდალს მეფე გადასცემდა დროშასა და ხმალს, ამასთანავე, უბოძებდა თანამდებობის წყალობის სიგელს. სადროშოს სარდალს მუდმივად უნდა გაენია სანრთენელი ვარჯიშობების – ლაშქარ-ნადირობის ზედამხედველობა, ოთხ წელიწადში ერთხელ მდივანთან ერთად აღენერა სადროშოს მცხოვრებნი და აღერიცხა მოლაშქრეთა რაოდენობა. სარდალს უნდა სცოდნოდა სასარდლო ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების გაყრა-შეყრის ფაქტები, რათა ზუსტი წარმოდგენა ჰქონოდა მოლაშქრეთა კლება-მატების შესახებ. სწორედ ამიტომ, მეფის ბრძანებით, ძველ ამირსპასალართა მსგავსად, სარდალი უნდა დასწრებოდა სასამართლო სხდომებს, სადაც ოჯახების გაყრის ან მამულების შეწყალება-ჩამორთმევის საქმეები წყდებოდა.

სახელმწიფო ტერიტორიების სადროშოებად დაყოფა სამხედრო შენაერთების ტაქტიკური ნაწილების სახელწოდებებს შეესაბამებოდა (მენინავე, მემერჯვენე, მემერცხენე). მენინავე სადროშოს ქმნიდა ქვემო ქართლის ჯარი, რომელსაც ბარათაშვილები წინამძღოლობდნენ; მემარჯვენე სადროშოს ჯარი შიდა ქართლის „ზემო მხარიდან“ იკრიბებოდა ამილახვართა მეთაურობით; მემარცხენე სადროშოს – შიდა ქართლის ცენტრალურ ნაწილს არაგვისა და ქსნის ხეობების ჩათვლით, მუხრანბატონები ედგნენ სათავეში; მეოთხე სადროშო – თბილისიდან ტაშისკარამდე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე – საკუთრივ მეფეს ემორჩილებოდა. ცალკე სარდალი ჰყავდა მცხეთის საკათალიკოსო ეპარქიასაც, მაგრამ იგი მეფის დროშაზე გამოდიოდა (კლიმიაშვილი 1964: 122-123).

იმერეთის სამეფოში ცალკე სადროშოებს წარმოადგენდა: საჩხეიძო-სალომინაოვაკე; არგვეთი; რაჭა; ოკრიბა-ლეჩხუმი. სადროშოების სარდლებად აქაც მსხვილი თავადები ინიშნებოდნენ (ჯამბურია, სინ 1973: 239).

კახეთის სამეფო ტერიტორია შემდეგ სადროშოებად იყოფოდა: მემარჯვენე სადროშო, ე.წ. გაღმა მხარე, ნეკრესელს ებარა; მემარცხენე – გარე კახეთი – რუსთველ ეპისკოპოსს; ქიზიყი ბოღბელი ეპისკოპოსის სასარდლო იყო; მეოთხე სადროშო სამეფო უნდა ყოფილიყო (პირდაპირი ცნობები არ მოიპოვება). XVII-XVIII საუკუნეებში საბრძოლო მოქმედებების დროს ეპისკოპოსების მაგივრად ხშირად კახეთის თავადები ასრულებდნენ სარდლის მოვალეობას (კლიმიაშვილი 1964: 124-126).

ადგილობრივი მმართველობის ძველი ინსტიტუტებიდან ერთ-ერთი სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა მოურავის ინსტიტუტი, რომელსაც ცენტრალური ადგილი ეკა-

ვა ქართული სამეფოების ადგილობრივ მოხელეთა შორის და XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებამდე შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა. ერთიან ქართულ მონარქიაში მოურავი სამეფო დომენის მოხელეს ეწოდებოდა. საქართველოს პოლიტიკური დაშლის შემდგომ მოურავის ინსტიტუტის ფუნქცია განსაკუთრებით გაფართოვდა კახეთის სამეფოში, სადაც მას ადრინდელი ერისთავების მსგავსად, დიდი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ოლქების მმართველობა ებარა (ქიზიყის, ენისელის, თუშეთის, ერწო-თიანეთის მოურავები). ქართლსა და იმერეთში მოურავი ძირითადად სამეფო დომენის სოფლებისა და ქალაქების ადმინისტრაციულ, სამეურნეო და საგადასახადო-საფინანსო საქმეებს უძღვებოდა (თბილისის, გორის, ქუთაისის მოურავები). თავის საგამგებლო ტერიტორიაზე მოურავს უფლება ჰქონდა ეწარმოებინა მართლმსაჯულება და სისრულეში მოეყვანა განაჩენი.

მოურავები ფეოდალური წოდების სხვადასხვა შრეს ეკუთვნოდნენ. ისინი შეიძლება ყოფილიყვნენ დიდი, საშუალო და დაბალი თავადები, ასევე, აზნაურები. მათი სტატუსი შეესატყვისებოდა სამოურავო ადგილის სიდიდესა და მნიშვნელობას. მოურავების დაქვემდებარებაში იყვნენ მრავალრიცხოვანი მოხელეები, რომელთაც ევალებოდათ სამეურნეო, სასამართლო და საპოლიციო-აღმასრულებელი ფუნქციების აღსრულება.

ერეკლე II-ის (1744-1798 წწ.) სამოხელეო რეფორმები

XVIII საუკუნის საქართველოში ფეოდალურ-წოდებრივი მმართველობა საფუძველშივე სპობდა ქვეყნის განვითარების პერსპექტივას. ქართლ-კახეთის სამეფოთა გაერთიანების შემდეგ მამა-შვილის, თეიმურაზ II-ის (1744-1762) და ერეკლე II-ის წინაშე აშკარად დადგა მმართველობის რეფორმირების საკითხი. ფეოდალური ურთიერთობების სტაგნაცია, რომელიც ქალაქური ცხოვრების ჩამორჩენილობასაც განაპირობებდა, ადამიანური და ფულადი რესურსების სიმწირე, სამეფო ხელისუფლებას არ აძლევდა მართვის ბიუროკრატიულ პრინციპზე გადასვლის საშუალებას. ერეკლე II-ისა და მისი თანამზრახველის, კათალიკოს ანტონ I-ის ყოველი მცდელობა საგანმანათლებლო დარგში, ამასთანავე, ერეკლეს საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სასამართლო ინიციატივები სახელმწიფოებრივი რეფორმების აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. იმხანად ეს იყო მხოლოდ ხანგრძლივი პროცესის დასაწყისი, რომელიც, მშვიდობიანობის შემთხვევაში, უსათუოდ ჰპოვებდა განვითარებას. მანამდე კი ერეკლე II-მ არსებულ სოციალურ ინსტიტუტებზე დაყრდნობით, მაინც განახორციელა რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმა. ერეკლემ დარბაზი (სახელმწიფო საბჭო), რომელიც საჭიროებისამებრ პერიოდულად იკრიბებოდა, მუდმივმოქმედ დაწესებულებად აქცია. საბჭოს მუდმივი წევრები სამეფო კარის მაღალ მოხელეებთან ერთად იყვნენ თბილისის მდივანბეგი

და მოურავი. საბჭოს ფართო უფლებამოსილებები გააჩნდა სახელმწიფო უშიშროების, ფინანსების, ადმინისტრირების სფეროებში. მის ხელში იყო კონტროლის მექანიზმებიც (სურგულაძე 1962: 151-154). თვალსაჩინო იყო ცვლილებები სასამართლო წყობაშიც. ერეკლე II შეეცადა სახელმწიფო მმართველობის ფუნქციათა დარგობრივ გადანაწილებას. ამ მცდელობის გამოხატულება იყო 1778 წელს „მსაჯულთშეკრებილობის“ (მოსამართლეთა) მუდმივმოქმედი დანესებულების დაარსება, სადაც ყველა საჩივარი იყრიდა თავს. ერთმანეთისაგან მკაფიოდ გაიმიჯნა საგარეო საქმეთა, სახელმწიფო შემოსავლებისა და სამხედრო უწყებები. საგარეო საქმეთა უწყებას სათავეში ჩაუყენა ორი მდივანთუხცესი, რომელთაგან ერთი ქრისტიანი იყო, მეორე – მუსლიმი. ერეკლეს ინიციატივით შეიქმნა კოლეგიალური საფინანსო უწყება – განსაკუთრებული საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: სახლთუხუცესი (აღრე იგი მარტო განაგებდა ფინანსებს), მდივნები და თბილისის მელიქ-მამასახლისები. გაიზარდა ქალაქის მელიქ-მამასახლისის ფუნქციებიც, რაც დაკავშირებული იყო ვაჭართა ფენისათვის საკანონმდებლო შეღავათების ბოძებასთან და მათი შემოსავლების გაზრდასთან.

ერეკლეს დროს უფრო მოქნილი გახდა საპოლიციო აპარატი, სასახლის დაცვის ძველი ხელმძღვანელის – ემიკალასბაშის – ნაცვლად შემოღებულ იქნა ქეჩიკიბაშის თანამდებობა.

ერეკლემ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სამხედრო სფეროს. მისი ძალისხმევით შეიქმნა დაქირავებული (ჯამაგირზე მყოფი) სამხედრო ნაწილები, 1773 წელს გამოიცა ე.წ. მორიგე ლაშქრის განაწესი. ამავე პერიოდში შეიქმნა სამხედრო დანაყოფების მეთაურთა ახალი თანამდებობები, რომელთა აღსანიშნად მრავლად გვხვდება ყიზილბაშურ-რუსული სამხედრო ტერმინოლოგია: ფონსადბაში, თოფჩიბაში, უზბაში, დაჰბაში, ნოქარი, კაპიტანი, მაიორი, აფიცერი და სხვ. (მესხია 1948: 27). სამხედრო საქმის რეფორმირებას მოჰყვა სამხედრო კანცელარიის შექმნა, რომელსაც სათავეში სამხედრო საქმეთა მდივანი ლაშქარნავისი ჩაუყენა. იგი ხელმძღვანელობდა დაქირავებული საჯარისო ნაწილების და მორიგე ჯარის მეთაურების აღწესების, მომარაგებისა და მათთვის ულუფა-ჯამაგირის გაცემის საქმეს. მთლიანად ქართლ-კახეთის სამეფოში ექვსი ლაშქარნავისი იყო.

ქალაქის სამოხელეო წყობა გვიანდელი შუა საუკუნეებში

კონკრეტული ცნობები შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქების სამოხელეო წყობის შესახებ მხოლოდ საქართველოს ერთიანობის ხანიდან არის მოღწეული. XI საუკუნეში საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ხანგრძლივ პროცესში ქალაქები ერთიანი სამეფო ხელისუფლების მოკავშირედ ჩანან, რამდენადაც მხოლოდ მეფეს შეეძლო ქალაქების ორგანიზებული დაცვა გარეშე მტრისაგან თუ შინაური მოძალა-

დეებისაგან, ქალაქებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების ხელშეწყობა, საქარავნო გზების მშენებლობა, მათი დაცვა და მოვლა (Месхиа1959: 39). ამ თვალსაზრისით უაღრესად სიმპტომატურია თბილისისა და ანისის „უხუცესთა“ მცდელობები – გადაეცათ თავიანთი ქალაქები ბაგრატ IV-ისათვის (Месхиа1959: 39-40). სამეფო ხელისუფლებისადმი ქალაქების ლოიალური დამოკიდებულება დავით აღმაშენებლის დროს მათი სრული დამორჩილებისათვის იქნა გამოყენებული. დავითისა და მისი მემკვიდრეების დროს საქართველოს ქალაქები იმართებოდა უშუალოდ მეფის მოხელეების მიერ. ნაწილი ქალაქებისა თამარმა სამართავად გადასცა დიდებულ აზნაურებს (ფეოდალებს). ასეთი ქალაქების მმართველობის შესახებ, მართალია, ბევრი არაფერია ცნობილი, მაგრამ სავარაუდოდ, იგი სამეფო ქალაქების ანალოგიური იქნებოდა.

ერთიანი საქართველოს ქალაქების სოციალური სტრუქტურა არ იყო ერთგვაროვანი. XI-XIV საუკუნეების განმავლობაში ჯერ კიდევ არსებობდა თავისუფალ მოქალაქეთა კატეგორია („მოქალაქე“ ეწოდებოდა მხოლოდ თბილისის მკვიდრ სოციალურად თავისუფალ ვაჭრებს), მაგრამ მათ გვერდით მრავლად იყვნენ ყმა (მეფის, კერძო ფეოდალის, ეკლესიის) ვაჭრები და ხელოსნები (Месхиа1959: 68-70). ქალაქში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა ფეოდალურ არისტოკრაციას, (საეროს ან საეკლესიოს), რომელიც ქალაქებში ფლობდა ყმა ვაჭარ-ხელოსნებს, ბაზრებს, საბაჟო შემოსავლებს და დიდ გავლენას ახდენდა ვაჭარ-ხელოსანთა დაწინაურებულ ფენაზე.

ქალაქის ამირას ერთიანობის დროინდელი სახელწოდება ქართულ სამეფოებში XVII საუკუნეში საბოლოოდ განდევნა ქართული წარმომავლობის „მოურავმა“, რომელსაც უფრო ფართო სემანტიკური ველი ჰქონდა და, გარდა ქალაქის გამგებლისა, საზოგადოდ მზრუნველს, მეურვეს და სამეფო დომენის რეგიონალურ მმართველსაც ეწოდებოდა. XVI-XVII საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოში მოურავის მნიშვნელობით იხმარება ირანიდან შემოსული ტარულაც.

ქალაქის მოურავს მეფე ნიშნავდა, კანდიდატურას იგი არჩევდა პირის სოციალური სტატუსის, აგრეთვე საგამგებლო ქალაქის მნიშვნელობისა და სიდიდის მიხედვით. დიდი ქალაქების მოურავები, ჩვეულებრივ, წარჩინებული ფეოდალური სახლების წარმომადგენლები იყვნენ, უფრო მცირე ქალაქებში კი მოურავებად დაბალი კატეგორიის თავადები ან აზნაურები ინიშნებოდნენ (Месхиа 1959: 245). ქალაქის მოურავის ვალდებულებები უფრო მრავალფეროვანი და, ამდენად რთულიც იყო, ვიდრე პროვინციების მოურავებისა. მათ ეხებოდათ საქალაქო ცხოვრების ყველა სფერო – ადმინისტრირება, ვაჭრობა-ხელოსნობის „რიგის“ (დებულებების) დაცვა, გასაყიდ საქონელზე ნიხრების დაწესება, ბაჟის აკრეფა, გადასახადების განაწილება, მართლმსაჯულება და საპოლიციო მოხელეების ზედამხედველობა, მოსაკრებლების აკრეფა და სავაჭრო საქონელზე ბაჟის კონტროლი. მოურავისა და მისი ხელქვეითი მოხელეების სარგო განისაზღვრებოდა ქალაქის ყოველგვარი შემოსავლიდან.

ქალაქის მოურავის შემთხვევაში, გარდა გორისა, სადაც მოურავობა ზევდგინის-ძე-ამილახორთა საგვარეულოს ეკუთვნოდა, მემკვიდრეობითი პრინციპი მაინცა და მაინც არ ჩანს დაცული (Месхиа 1959: 248).

ქალაქის მალალ მოხელეთა შორის საპატიო ადგილი ეკავა ციხისთავს, რომელიც ქალაქის მცველთა რაზმს მეთაურობდა. ციხისთავის თანამადეობა წყაროებში ადრეული შუა საუკუნეებიდან (VI) ჩანს და XVIII საუკუნის ბოლომდე იგი ყველა დიდსა თუ მცირე ქალაქში არსებობდა.

XVI საუკუნის შუა ხანებში ქართლის ქალაქების სამოხელეო ტერმინოლოგიაში ირანის გავლენით შემოდის არაბული წარმომავლობის მელიქი, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული კავკასიის ქვეყნებში. ქალაქის სამოხელეო იერარქიაში მელიქი მოურავის შემდგომი პირი იყო და ფუნქციებით ქართულ მამასახლისს უახლოვდება (Месхиа 1959: 264; ბოშიშვილი 2013: 14). ამიტომ მალევე გაჩნდა ამ ორი სახელოს შერწყმის ტენდენცია და XVII-XVIII საუკუნეებში მელიქ-მამასახლისი უკვე ერთი თანამადეობის აღმნიშვნელ ტერმინად გვხვდება (ბოშიშვილი 2013: 20).

XIX საუკუნის დასაწყისამდე, ვიდრე ქართული სამეფოები გაუქმდებოდა, ქართული სამოხელეო სისტემა ფეოდალურ-მონაქიული სამოხელეო სისტემის ფარგლებიდან არსებითად ვერ გავიდა. ამ სისტემისათვის დამახასიათებელი იყო სამოხელეო კონტინგენტის შერჩევა წოდებრივი პრინციპით, ფუნქციათა დუბლირება და თანამადეობათა შეერთება. ამგვარი წყობა, რომელსაც სტაგნაციაში შესული ფეოდალური ურთიერთობები ასაზრდოებდა, მეტისმეტად აფერხებდა ქვეყნის განვითარებას. XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან ერეკლე II და მისი თანამზრახველები, მათ ხელთ არსებული მწირი შესაძლებლობებით ცდილობდნენ მართლმსაჯულების, სამხედრო საქმის, სამეურნეო ცხოვრების გადახალისებას, რამაც, ბუნებრივია, შესაბამისი ცვლილებები გამოიწვია სამოხელეო წყობაში. ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ (1798) ერეკლეს შვილიშვილებმა, დავით და იოანე ბატონიშვილებმა სახელმწიფო მართვის მოდერნიზაციის მიზნით, ახალი კანონპროექტები შეიმუშავეს, რომლებიც განათლებული აბსოლუტიზმის იდეებით იყო შთაგონებული, მაგრამ ამ კანონპროექტებს აღსრულება არ ეწერა – XIX საუკუნის დასაწყისში ქართულმა სამეფოებმა რუსეთის იმპერიის ანექსიის შედეგად არსებობა შეწყვიტეს.

მზია სურგულაძე

INTRODUCTION

The present work aims to summarize the current knowledge of the official order in medieval Georgia and replenish it with relevant information, which is kept in historical sources and concerns the official personalities - individuals and families who inherited the offices. The official staff in medieval Georgia completely portrayed the rank and hierarchy structure of society with its appropriate juridical status and outlook.

The official order of the Georgian monarchy with its rank system, institutional hierarchy, and ritualized rules represented the traditional model, elaborated over the centuries, which in spite of transformations, undergone from time to time, remained typologically unchanged till the end of the 18th century.

The fusion of the offices was not unusual in the official order of the Georgian monarchy; the same person often held several offices. In such cases, one person could take either central office at the royal court or high position locally (in particular area) that was ordinary in the united Georgian Monarchy of the 11th-13th cc., as well as in the official order of the late middle ages. The fusion of the offices was not aimed to the improvement of government quality but to the satisfaction of ambitions of important feudal families; this reality was conditioned by the arrangement of existing powers which dictated their will to the royal authority. In the period of the powerful Georgian monarchy, this type of official order, which strictly followed the rules of the hierarchized society, achieved the maximum in its political, economical and moral aspects. However, in the late middle ages, in conditions of feudal stagnation and cultural reticence, rather simplified old government model continued to exist.

The *mouravi* was appointed by the king; he chose the candidate according to the person's social status, as well as the importance and the value of the town he had to govern. The *mouravis* of the cities, usually, were representatives of the illustrious feudal houses, and in the towns, low rank noblemen and *aznauri* were appointed as *mouravis* (Meskhia 1959: 245). The duties of the city *mouravi* were more diversified, therefore, more complex, than of the *mouravis* in provinces. They were responsible for all sectors of the urban life: administration, protection of trade and craftsmanship, establishment of prices, tax collection and distribution, justice and supervision of police officials, collection of fees, and control of duties on commercial goods. The remunerations of the *mouravi* and his subordinate officials were determined on the basis of all incomes of the town.

The hereditary principle was not relevant in case of town *mouravi*, except Gori, where the office of *mouravi* belonged to the Zevdginisdze-Amilakhori family (Meskhia 1959: 248).

The *tsikhistavi* had a distinguished position among the high city officials; he led the unit of the city sentinels. This office appears in the historical sources in the early Middle Ages (the 6th c.), it existed in every city and small town till the end of the 18th century.

In the mid-16th century, the Arabic term *meliqi*, widespread in the Caucasus, enters the terminology of the city officials by the influence of Iran. In the hierarchy of the city officials *meliqi* followed *mouravi* and his functions were close to the office of *mamasakhlisi* (Meskhia 1959: 264; Boshishvili 2013: 14). Therefore, these two offices tended to merge and in the 17th-18th cc. the term *meliq-mamasakhlisi* already denotes one office (Boshishvili 2013: 20).

Till the beginning of the 19th century that is say till the abolition of the Georgian kingdoms, the official system of the country essentially remained in the limits of the feudal and monarchical official order. The characteristic features of this system are the selection of officials on the basis of their social origin and rank, duplication of functions and fusion of offices. This system, which was fed by the feudal relationships in the phase of stagnation, hindered the development of the country. Since the 70-ies of the 18th c., King Erekle II and his associates, tried to modernize justice, military system, and economy on the basis of their scanty and restricted possibilities, which of course, stimulated appropriate changes in the official order. After Erekle's death (1798), his grandsons David and Ioane, for the purpose of the modernization of the state government, developed new draft laws inspired by the ideas of the enlightened absolutism but their efforts were fated to fail; in the beginning of 19th c. the Georgian kingdoms ceased to exist after the Russian annexation.

Mzia Surguladze

Glossary

Amilakhori, amirakhori- chief of the cavalry; assistant of amirspasalari; he was generally invited to the council of viziers and had a deliberative vote (Regulations 1993:114).

Amirejibi -head of ejibis or door-keepers and assistant of mandaturtukhutsesi; he was authorized to be present at the council of viziers with a deliberative vote (Regulations 1993:114).

Amirspasalari- the generalissimo, the vizier who headed the military office; head of spasalaris (commanders of the army) (Regulations 1993:114).

Atabagi - the second vizier at the court (the first was the mtsignobartukhutsesi-tchqondideli). The first atabagi in Georgia was the former msakhurtukhutsesiof the court Ivane Mkhargrdzeli (Regulations 1993:114).

Atasistavi - head of the military unit consisted of thousand people.

Aznauri- a class of Georgian nobility.

Chukhcharekhi - according to I. Antelava “achukhchi” and “amirchukhchi” is the lowest official. “Chukhcharekhi” is an official of a high rank. He was in charge of the King’s administrative office and at the same time he was the King’s personal chief armourer (Regulations 1993:116).

Darbazi-I. the King’s palace; 2. State council, which consisted of viziers, local rulers (eristavis), bishops and high-ranking feudal having no post at the court (“ukheloni”) (Regulations 1993:114).

Darbazis kma – a vassal at the Palace.

Darbazoba—1.I formal reception; 2. Meeting of the state council in feudal Georgia (Regulations 1993:114).

Ejibi- one of the high officials at the royal court, door-keeper (Regulations 1993:114).

Erismtavari – the term denoted the head of the feudal state of Kartli in the 6th-9th cc.

Eristavi - ruler of a territorial-administrative unit (saeristao) of the state (Regulations 1993:114).

Ezos chukhcharekhi- epitropos.

Ezos modzgvvari- head, governor of the economic and finance office at the royal court (1st c. BC -1st c. AD).

Ganmgetukhutsesi - head of saganmgeo; he was responsible for food supplies, economic services of the palace; he organized parties at the royal court; epitropos.

Gazrdiloba – a patronage system implemented at the royal court of Georgia.

Khelshinauri – servants and low rank officials of the royal court.

Mamasakhlisi – high rank official who was in charge of administrative and economic issues of the royal court.

Mandaturi (mandator) – the lowest official of the police (Regulations 1993:115).

Mandaturtukhutsesi – the chief of the police: he was a vizier who functioned as the minister of Home Affairs (Regulations 1993:115).

Mdivanbegi- chief judge, head of the law-court in medieval Georgia.

Mdivantukhtsesi -head of secretaries.

Meabjretukhutsesi - chief of squires.

Mesatsoletukhutsesi - head of servants and guard at the king's cabinet (chamber); cubicularius.

Metchurchletukhutsesi - the minister of finance; a vizier who was in charge of money affairs of the kingdom. He was the fourth vizier at the court and had the same rank as msakhurtukhutsesi (Regulations 1993:115).

Meghvinetukhutsesi – head of wine-makers and *sahgvine* (special institute for revenues from wine sales, storage of wine, etc.); chief supervisor of taxes for wine.

Mejinibetukhutsesi – head of stables and stable-men. In the united Georgia, he was a subordinated official of amilakhori; in the late feudal period, he was under the king's subordination.

Msakhurtukhutsesi—chief of the servants. This office was introduced by Queen Rusudan (13th cent.). He was in charge of the treasury, of the King's chamber and of the servants of the King's court. He had the same rank as metchurtchletukhutsesi (Regulations 1993:115).

Msajult shekrebiloba- council of judges

Mstovari – spy.

Molaretukhutsesi—head of Salaro who kept the great royal seal.

Molare – low rank official of Salaro.

Monapre – a feudal governor in the frontier districts in the 12th -13th cc.; margrave.

Monatukhutsesi – *see* msakhurtukhutsesi.

Mouravi-local official in old Georgia, he had administrative, economic and judicial functions; supervisor of feudal domains, head of district, town or country. The office of mouravi of Tbilisi or Gori was the most important. The muravis were assisted by meliqi, mamasakhlisi, and natsvali.

Mtsignobari (scribe)-a secretary who was subordinated to the mtsignobartukhutses-tchkondideli (Regulations 1993:115).

Mtsignobartukhutses-tchqondideli-chairman of the viziers; chancellor. Mtsignobartukhutsesi - the head of scribes and secretaries; tchkondideli-the bishop of Tchkondidi. These two offices were united into one by David the Builder (King of Georgia [1089-1125]). He made the bishop of Tchkondidi act as mtsignobartukhutsesi, thus subordinating the church to himself and strengthening his power (Regulations 1993:115).

Pitiakhshi – one of the highest officials in the kingdom of Kartli; vicegerent and head of the province. Later this term was substituted by the term spaspeti.

Sadroscho – an administrative division in medieval Georgia, which supplied men for a subdivision of the army marked by its own banner.

Saeristavo - territorial and administrative unit, headed by eristavi.

Saganmgeo - economic services of the Palace; store house.

Salaro – place where the great royal seal, state archive, valuable and etc. are kept.

Samouravo - a part of large secular or ecclesiastic feudal lands governed by mouravi.

Sakhlitukhutsesi-high rank official in the royal and feudal courts; he managed economic, finance and administrative sphere; majordomo.

Satavado – a large feudal hierarchy and political unit in the 15th-18th cc. in Georgia.

Savaziro-the council of viziers which was actually the government. The council of viziers included: mtsignobartukhutses-tchqondideli, atabagi, amirspasalari, mandaturtukhutsesi, metchurtchletukhutsesi, msakhurtukhutsesi, and three assistants of the viziers with deliberative votes: the secretary of the chamber, the amilakhori and the amirejibi (Regulations 1993:115).

Sepe-tsuli- people who lived in the royal domain.

Spaspeti - head of the military office.

Tadzreuli- servants of the royal or feudal court, low and middle rank officials.

Treasure-house-the house where all the valuable utensils, dishes, vessels and treasures were kept (for everyday use) (Regulations 1993:115).

Treasury-place where valuable were kept (not for everyday use) (Regulations 1993:115).

Tsikhistavi-military and administrative officer, head of the fortress (as an administrative and military structure) or small fortified towns.

Upali mamasakhlisi-tribal leader.

Vizier-the chief of a department of central government. In feudal Georgia during the period of unification there were 6 viziers: mtsignobartukhutsesi-tchqondideli, atabagi, amirspasalari, mandaturtukhutsesi, metchurtchletukhutsesi and msakhurtukhutsesi (Regulations 1993:115).

Sources and Scholarly Literature:

- Abashidze, Z.; *Once again on the term Mtsignobartukhutsesi-Tchkondideli, Problems of the history of Religion, II*, Tbilisi, 2013
- Abuladze, I.; *Old Georgian Hagiography literature*, v. I, Tbilisi, 1963
- Abuladze, I.; *Old Georgian Hagiography literature*, v.II Tbilisi, 1967
- Andronikashvili, M.; *Essays on the Iranian and Georgia Linguistic Relationships*, v. I, 1966
- Antelava, I.; *Central and Local Official Governance in Georgia in the 11th-13th cc.* Tbilisi, 1983
- Bardavelidze, V.; *From the History of the Relationships of Mountain and Valley in Georgia (institution of foster brother)*, Matsne, History Series #3, 1971
- Bakhtadze, M., *The Institution of Eristavi in Georgia*, Artanuji, Tbilisi, 2003
- Berdzenishvili, N.; *History of Georgia*, Tbilisi, 1958
- Berdzenishvili, N.; *Savaziro in the Feudal Georgia, Problems of the Georgian History*, v.III, Tbilisi 1966
- Berdzenishvili, N.; *Social relationships, Problems of the Georgian History*, v.VII, Tbilisi, 1974
- Berdzenishvili, N.; *The Country on the Way from the Samamasakhliso to the Saeristavo. The basis for the Unification of Countries*, Problems of the Georgian History, v. VIII, Tbilisi, 1990
- Berdzenishvili, N.; *State order*, in: *Essays on the Georgian History*, Tbilisi, 1979
- Bogveradze, A.; *Political, Social and Economic Development of Kartli in the 4th -8th cc.* Tbilisi, 1979
- Boshishvili, A.; *The Title of Meliki in Georgia*, Artanuji publisher, Tbilisi, 2013
- Chkhatarashvili, K.; *Essays from the Military History of the Feudal Georgia*, Metsniereba, Tbilisi 1979
- Chkheidze, T.; *Educational Institution in the Sassanid Iran*, Metsniereba, Tbilisi, 1979
- Dasturlamal, *Prepared for publication, research and vocabulary by Iv. Surguladze*, Tbilisi Georgian History, v.IV, Tbilisi, 1973
- Prince David of Georgia, *Review of Georgian right and Justice*, 1813
- Prince David of Georgia; *Justice, edited and commented by David Purtseladze*, Metsniereba, Tbilisi, 1964
- Prince Ioane of Georgia; *Justice, edited and commented by Iv. Surguladze*, Metsniereba, Tbilisi, 1957
- Gabashvili, V.; *On the Issues of the State Political Order in the Late Feudal Georgia*, Mimomkhilveli 2, 1951
- Jamburia, G.; *From the History of Feudal Relationships in Georgia (Satavado of Somkhit-Sabaratiano)*, Tbilisi, 1955
- Jamburia, G.; *State Order in the Georgian Principalities in the 16th -17th cc. in Essays of the History of Georgia*, Tbilisi, 1973
- Javakhishvili, Iv.; *Collection of works in 12 volumes*, v. VI, Tbilisi 1982
- Kaukhchishvili, S.; *The Life of Kartli*, v.I, Tbilisi, 1955
- Kaukhchishvili, S.; *The Life of Kartli*, v.II, Tbilisi, 1959
- Kaukhchishvili, S.; *The Life of Kartli*, v.IV Tbilisi 1973
- Kaukhchishvili, T.; *Geography by Strabo, Notes about Georgia*, Tbilisi 1957
- Kikvidze, A.; *Georgian State Darbazi and its place in the Man in the Panther's Skin*, Problems of the Georgian History, Tbilisi, 1968

- Klimiashvili, A.; *Materials for the History of Sadrosho in Kartli and Kakheti (15th-18th cc.)*, in the collection of works: *The 14th -18th cc. Some Georgian Historical Documents*, Tbilisi, 1964
- Lominadze, B.: *Georgia in the First Half of the 14th c. End of the Mongolian Dominance. Giorgi the Illustrious*, in: *Essays of the Georgian History*, Tbilisi, 1979
- Lortkipanidze, M.; *On the problem of the city officials in the Feudal Georgia (Officials with Arabic Titles)*, *Materials for the Georgian and Caucasian History*, 30, Tbilisi, 1954
- Lortkipanidze, M.; *Rustaveli's Epoch*, Tbilisi, 1966
- Lortkipanidze, M.; *Formation of New Feudal Principalities*, in *Essays in Georgian History*, II, Tbilisi, 1973
- Maisuradze, M.; *For the Interpretation of the Term "Ezomodzgvari" According the "Martyrdom of Saint Drosi"*, *Mravaltavi VII*, 1980
- Mamulia, G.; *Formation of the Class Society and State in the Ancient Kartli*, Tbilisi, 1979
- Melikishvili, G.; *For the History of the Ancient Georgia*, Published by the Georgian Academy of Science, Tbilisi, 1959 (in Russian)
- Melikishvili, M.; *Problems of Social, Economic and Statehood Order of the First Century Kartli*, in *Essays in Georgian History*, 1, Tbilisi, 1970
- Meskhia, Sh.; *Materials for the History of the Official Order of the Kingdom of Kartl-Kakheti*, Introduction, Notes and Index by Shota Meskhia, *Materials for the History of Georgia and Caucasus*, v.1 (26), Tbilisi, 1948
- Meskhia, Sh.; *Cities and City Order in Feudal Georgia*, Tbilisi State University Publishers, Tbilisi 1959 (in Russian)
- Muskhelishvili, D.; *Georgia in the 4th-8th cc.* Tbilisi, 2003
- Otkhmezuri, G.; *Georgian Lapidary Inscriptions at the Turn of 12th-13th cc. as a Historical Source*, Tbilisi, 1981
- Orbeliani, Sulkhambaba.; *Georgian Dictionary*, v.1. Tbilisi, 1991, v. II, Tbilisi 1993
- Regulations of the Royal Court*, edited by K.Surguladze, Tbilisi, 1993
- Surguladze, I.; *For the History of the Georgian State and Justice*, I, Tbilisi 1952
- Surguladze, I.; *Monuments of the Georgian Justice I. Regulations of the Royal Court*, Tbilisi, 1970
- Tsereteli, G.; *Armazi Bilingual*, Works of N. Mar Institute of Language, History and Material Culture, 13, Tbilisi, 1942

**ცენტრალური და ადგილობრივი
მმართველს მოხელეები**

აბრამადი – (შდრ. ეზოსმოდღვარი, მოურავი, ნაზირი). სულხან-საბას განმარტებით, **ა.** იგივე ეზოსმოდღვარი, ნაზირია, ხოლო ნაზირთან (იხ.) დაკავშირებით აღნიშნულია, რომ „ქართულად სალაროს ნაზირს აბრამადი და ქარხნის ნაზირს ეზოსმოდღვარი ჰქვია“. დავით და ნიკო ჩუბინაშვილების ლექსიკონებშიც **ა.** იგივე ნაზირი და სალაროს ნაზირია (რუს. *дворецкий, управитель*). ვახუშტი ბატონიშვილის განმარტებით, აბრამადის, ანუ სახლთუხუცესის განსაგებელი იყო სამეფო (სახასო) შემოსავალ-გასავალი; მას ეკითხებოდა სამეფო კარის წესების დაცვა, სხდომების ორგანიზება. მის უშუალო ხელქვეითებად ეჯიბის ქვემოთ მოხელენი ითვლებოდნენ. იქვე განმარტავს ეზოსმოდღვარის ფუნქციებს, რომლებიც შინაარსობრივად სრულიად ფარავს **ა.**-ისას, მხოლოდ ემატება მეფის „ტაბლისა და სანოვაცისა, ანუ სხუათა“ განმგებლობაც. როსტომის (1632-1658) დროს შემოტანილი ყიზილბაშური სამოხელეო ტერმინების ძველი შესატყვისების ჩამოთვლისას ვახუშტი ეზოსმოდღვარს ნაზირს უფარდებს. ტერმინი **ა.** წყაროებში XI ს-დან გვხვდება. ნიშანდობლივია, რომ დასავლეთის დიდი დომესტიკოსის გრიგოლ ბაკურიანის-ძის მიერ 1083 წ. პეტრიწონის ქართული მონატრისათვის დადებულ ტიპიკონში **ა.** მონასტრის ერთ-ერთი ხელისუფალთაგანია. იგი ტიპიკონის ქართულ ტექსტში იკონომისტან და განმგესთან ერთად იხსენიება, ხოლო ბერძნულში **ა.**-ს შეესიტყვება ეპიტროპოსი ან იკონომისი. XII-XIII სს-ის სეტის გაბრიელ მთავარანგელოზის ხატის წარწერის თანახმად, ხსენებული ხატი მოუჭედავთ „იონას აბარმადობის და მიქელა ჭურას ნაცვალობის დროს“. ამ მასალების მიხედვით, **ა.**-ის ქართული შესატყვისი მონასტრის მოურავი („გამგე“, „ეკონომისი“) უნდა იყოს. ამ შესატყვისობითაა ჩანაცვლებული **ა.** XII ს-ით დათარიღებულ ერთ-ერთ ლიტურგიკულ ხელნაწერზე დართულ კოლოფონშიც, სადაც ნათქვამია, რომ კლარჯეთში მდებარე სვეტის უდაბნოს ჰყოლია საკუთარი მოურავი ანტონი, რომელსაც მონასტრის საფასით ხანცთის სკრიპტორიუმში გადაუწერინებია ხსენებული ხელნაწერი. ამავე შინაარსით დასტურდება **ა.** XII-XIII სს-ის ქართულ დოკუმენტურ წყაროებში. თამარ მეფის მიერ გელათისათვის ბოძებულ სიგელში (1187) მოხელეთა შორის იხსენიება „აჯამეთის აბრამადი“, რაც მიანიშნებს, რომ აჯამეთის სამეფო ნაკრძალებს **ა.**-ები (იგივე იკონომისები ანუ მოურავები) და მათი ხელქვეითი ტყისმცველები განაგებდნენ.

წყაროები და ლიტერატურა: სულხან-საბა ორბელიანი 1991: 37, 561; ჩუბინაშვილი 1890 (1984): 3; ჩუბინაშვილი 1961: 132, 311; ვახუშტი 1973: 20, 22, 32; შანიძე 1971: 147, 153, 173; თაყაიშვილი 1937: 267-268; ხეც, S-4999, f. 664; ქისკ 1984: 7; ანთელავა 2002: 75.

დ. კლდიაშვილი

ათაბაგი – (თურქ. ata-მამა, beg-ბატონი), სელჯუკთა სულტნის აღმზრდელისა და მეურვის ტიტული. სულტნის კარზე უდიდესი გავლენის მქონე პირი. სელჯუკთა სახელმწიფოს დაშლის შემდგომ **ა.** დამოუკიდებელი სამთავროს მეთაურის ნოდებაა ან მხოლოდ საპატიო ტიტული; ეგვიპტის მამლუქთა სახელმწიფოში – მხედარმთავარი. **ა.** უფლისწულს ასწავლიდა სამხედრო საქმეს და პასუხისმგებელი იყო სამართავად მიცემული ოლქის მართვაზე; მის ერთ-ერთ მოვალეობას შეადგენდა სელჯუკთა უფლისწულის კონტროლი და მისგან შესაძლო სეპარატიზმის აღკვეთა. ამდენად, **ა-**ს ეკუთვნოდა პასუხისმგებლობა დინასტიისა და სახელმწიფოს დაცვაზე. ტრადიციულად მიჩნეულია, რომ პირველი **ა.** იყო დიდი სელჯუკი სულტნების ალფ-არსლანის (1063-1072) და მალიქ-შაჰის (1072-1092) ვაზირი და აღმზრდელი სპარსელი ნიზამ ალ-მულქი. მის შემდეგ **ა-**ობა ეძლეოდა მხოლოდ თურქ სამხედროებს და ამირებს სულტნის უახლოესი გარემოცვიდან. XII ს-ის დასაწყისის შემდგომი ხანებიდან დიდ სელჯუკთა სახელმწიფოს დასუსტებასთან ერთად **ა-**ები მათ მეურვეობაში მყოფი სელჯუკი უფლისწულების კონტროლის გზით უკვე ცდილობდნენ სულტნებზე დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებას და თავიანთი სამფლობელოების სრული დამოუკიდებლობის მიღწევას, რამაც თავის დროზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დიდ სელჯუკთა სახელმწიფოს დაშლაში.

საქართველოში **ა-**ის სახელოს შემოღების, ფუნქციების, განვითარებისა და დაცემა-გადაგვარების საკითხები არაერთხელ გამხდარა მსჯელობის საგანი ქართულ ისტორიოგრაფიაში (ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ი. სურგულაძე, შ. მესხია, ბ. ლომონაძე, ი. ანთელავა და სხვ.).

ა-ის სახელო საქართველოში წარმოიშვა XIII ს-ის დამდეგს სამეფო კარზე გავლენის მოპოვებისათვის ბრძოლის პროცესში, რაც, უპირველეს ყოვლისა, მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის (იხ.) ფუნქციის შეკვეცას გულისხმობდა. **ა-**ს მიენიჭა მემკვიდრის აღზრდის ფუნქცია, იგი გახდა ცენტრალური აპარატის უმთავრესი ფიგურა – ვაზირი (დარბაზის კარს მყოფი ხელისუფალი და სამთა ვაზირთა შორის პირველთაგანი) და იმავდროულად ადგილობრივი მოხელე-მთავარი. ეს სახელო, უმეტეს შემთხვევაში, შეთავსებული იყო ამირსპასალარის (იხ.) სახელოსთან. საქართველოს პოლიტიკური დანაწილების შემდგომ **ა-**ობა, როგორც ვაზირობა, მოისპო და სამცხის მთავართა ტიტულად იქცა.

ა-ის ინსტიტუტის შემოღება საქართველოში თამარ მეფის ზეობის ბოლო პერიოდს უკავშირდება. ზაქარია ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის გარდაცვალების (1212) შემდგომ „მოუწოდა მეფემან ძმასა ზაქარიასასა ივანე მსახურთუხუცესსა და ინება პატივსა ძმასა მისისასა აღყვანება და უბოძა ამირსპასალარობისა პატივი“, მაგრამ ივანემ მისთვის **ა-**ის ახალი თანამდებობის შემოღება მოითხოვა, რაც მანამდე არ ყოფილა მიღებული „საქართველოსა შინა... წესად და ჳელად... რამეთუ მამად

და გამზრდელად მეფეთა და სულტანთა იწოდების ათაბაგი“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი). ამ სვლით ივანე მეფის კიდევ ერთი „მამის“ სახელოს ამკვიდრებდა და უპირისპირდებოდა მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის, როგორც სამეფოს უპირველესი ვაზირის სახელოს, იმავდროულად კი, თავის სახლს უტოვებდა უდიდეს სამემკვიდრეო თანამდებობას. სავარაუდოდ, ა-ობის შემოღებით და მისი ამირსპასალარობასთან ფაქტობრივი შეერთებით „აღდგა უძველესი ტრადიცია „სპასპეტ-მამამ-ძუძისა“. ამჯერად საქართველოს მეფეს ერთდროულად „ორი მამა“ გაუჩნდა მნიგნობართუხუცესისა და ა-ამირსპასალარის სახით. დროთა განმავლობაში სასწორი იმ „მამის“ მხარეს გადაიხრებოდა, რომელსაც ძლიერი რეალური დასაყრდენი ექნებოდა. სამეფო ხელისუფლების დასუსტების პირობებში ასეთს უკვე ა-ამირსპასალარი წარმოადგენდა. მის ხელში არა მხოლოდ სამხედრო საქმე, არამედ სამეფო მონასტერთა საურავიც გადავიდა, რაც ადრე ჭყონდიდელის სფეროს წარმოადგენდა. მიუხედავად პოლიტიკურ მოვლენათა ამგვარი განვითარებისა, მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელმა იერარქიულად და სიმბოლურად მაინც კარგა ხანს შეინარჩუნა უპირატესობა, რაც წყაროებში მისი საპატიო პოზიციების ხაზგასმით ვლინდება („მეფის კურთხევის წესი“, „ხელმწიფის კარის გარიგება“). მეფის კურთხევის წესის თანახმად, მეფის ტახტზე აბრძანებისას ა. მხოლოდ დედოფლის, კათალიკოსის და ჭყონდიდელის შემდგომ ულოცავდა მეფეს, ხოლო ვაზირობის დროს ა. და ამირსპასალარი „ჭყონდიდელს ქვემოთ ნობთა ზედა“ ისხდნენ; ა., ამირსპასალართან და მანდატურთუხუცესთან ერთად შედიოდა სამთა ვაზირთა „საბატიო დარბაისელთა“ შემადგენლობაში. დარბაზობაზე მათი „წვევა“ საწოლის მნიგნობარს (იხ.) ან ამირეჯიბს (იხ.) ევალებოდა და მათ ოთხი მნდე ემსახურებოდა; პურობის შემდგომ „ორი მაშხალა ჭყონდიდელს წარუძღვების წინ, თვითო – სამთა ვაზირთა“.

სამეფო ხელისუფლების დასუსტებისა და საგარეო ძალის გააქტიურების პირობებში სახელმწიფოში ა-ამირსპასალარის უპირატესობა მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახელოსთან შედარებით უეჭველი ხდება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ა-ამირსპასალარმა მნიგნობართუხუცესს პირველობა ჩამოართვა მხოლოდ XIII ს-ის 60-იანი წლებიდან უცხო ძალის გავლენით, რაც ნაკლებ სარწმუნოა, რადგან ეს ცვლილება უფრო ადრე ჩანს მომხდარი. რუსუდან მეფის თანადროული სომხური წყაროს ცნობით, „რუსუდანს ეპყრა სამეფო ივანეს ზედამდგომელობით, რომელსაც ათაბაგი ეწოდებოდა“ (გრიგოლ აკანელი). ეს ცვლილება კიდევ უფრო აშკარა ყოფილა ხორეზმელების დამრბვეი ლაშქრობების დროს და მონღოლთა ბატონობის დასაწყისში. ამ მხრივ ნიშანდობლივია ჟამთააღმწერელთან დაცული ცნობა, რომლის თანახმადაც, ჯალალედინმა ბიჯნისს მყოფ ავაგ ა-ს შეუთვალა: „შენ ხარ ვაზირთუხუცესი მეფისა და ითუალავ საქართველოს“.

ა-ის ძლიერი ფიგურა მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა სახელმწიფო ცხოვრება-

ზე, რის გამოც ილხანთა ხანები ცდილობდნენ თავიანთი კანდიდატურა თავზე მოეხვიათ ქართველი მეფეებისათვის. ასეთები მონღოლთა პოლიტიკის საიმედო საყრდენს წარმოადგენდნენ საქართველოში (მანკაბერდელთა სახლი). სამეფო სახლი სხვადასხვა სვლებს მიმართავდა ამ პოლიტიკის და ა-თა ძლიერებისა გასანეიტრალებლად. მაგ., ავაგ ა-ის გარდაცვალების შემდეგ დავით ულუმ ერთხანს ა. საერთოდ არ დანიშნა (ამიტომ დროებით მწიგნობართუხუცეს-უჯარმელი ხდება ძლიერი ფიგურა). სადუნ მანკაბერდელის გარდაცვალების შემდეგ დემეტრე II ასევე შეეცადა ერთმანეთისაგან დაეცილებინა ა-ობა და ამირსპასალარობა.

პოლიტიკურ მოვლენათა განვითარებამ XIII ს-ის დამლევისათვის ა-ამირსპასალარის ძლიერი ინსტიტუტის დაკნინება გამოიწვია, რაც გამოიხატა სამცხისა და სომხეთის ა-ების გაჩენაში. ამდენად, XIII ს-ის დამლევისათვის „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ დაცული ცნობა – „გასულა ათაბაგი დიდი და საბატო და ძვირად ოდესმე იქმნების“ – რეალური მდგომარეობის ამსახველია.

XIV-XV სს-ის განმავლობაში სამცხის მმართველი ჯაყელები ა-ამირსპასალარებად იწოდებიან. XIV ს-დან მოყოლებული მათი ა-ობა მხოლოდ სამხრეთ საქართველოში შემოიფარგლებოდა და იგი ამ მხარის მმართველი საგვარეულოს მხოლოდ საპატრიარქოს წარმოადგენდა. სწორედ ამის გამო იწოდებოდნენ ჯაყელები „ათაბაგებად“, ხოლო მათი სამთავრო – „სამცხე-საათაბაგოდ“.

წყაროები და ლიტერატურა: კურთხევა მირონისა და განგება დარბაზობისა 1965: 47; წესი და განგება მეფეთ კურთხევისა 1965: 53; ხელმწიფის კარის გარიგება 1965: 85, 90, 95; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 110; ჟამთააღმწერელი 1959: 152, 169, 172, 197, 224, 270, 272, 273, 281, 282, 284; ქისკ 1984 : 16, 120; გრიგოლ აკანელი 1961: 9; СИЭ (1) 1961: 914; ქსე 1975: 222; ისლამი 1999: 17; აბულაძე 1985: 54. ანთელავა 1983: 136, 137, 138; ბერძენიშვილი 1966: 269; ბერძენიშვილი 1979: 245; ინგოროყვა 1963: 196; კიკნაძე 1982: 180, 189, 195; კლდიაშვილი 1981: 57, 81-84; კლდიაშვილი 1999: 438-440, 442; ლომინაძე 1979: 641; მესხია 1979: 1979, 78, 309-310, 272, 274; მურადიანი 1977: 177, 228-229; სურგულაძე 1965: 39-50; შანიძე, ცისკარიშვილი 1968; ჯავახიშვილი 1982: 181-182.

საქართველოს ათაბაგები. XIII-XIV სს-ის დასაწყისი

ივანე მხარგრძელი – მსახურთუხუცესი 1191-1205 წწ. (იხ). ა. 1205-1227 წწ., ამირსპასალარი 1212-1227 წწ., მხარგრძელთა ძლიერი საგვარეულოს ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომელსაც XII ს-ის ბოლო ათწლეულიდან XIII ს-ის 20-იანი წლების დასასრულამდე ყველა უმაღლესი თანამდებობა ეპყრა საქართველოს სამეფო კარზე. სარწმუნოებრივი აღზრდით მონოფიზიტი ივანე მხარგრძელი ქალკედონიტი

მეუღლის გავლენით ჯერ კიდევ მსახურთუხუცესობის პერიოდში მოქცეულა ქალ-კედონურ მრწამსზე. ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების შემდეგ, დაახლოებით 1205-1207 წწ-ში, თამარ მეფემ მსახურთუხუცეს ივანე მხარგრძელს მისივე თხოვნის საფუძველზე ა-ობა უბოძა, რითაც ივანემ უფლისწულის აღმზრდელის სტატუსი მოიპოვა და მეფის უახლოესი მრჩეველი შეიქნა. არსებობს მოსაზრება, რომ ა-ობა ივანემ მიიღო უფრო ადრე, დავით სოსლანის გარდაცვალების (1205) შემდეგ. როდესაც ზაქარია მხარგრძელი მიიცვალა, ივანეს გადაეცა მეურვეობის უფლება ზაქარიას მცირეწლოვან ძეზე – შანშე მხარგრძელზე. მანვე მიიღო ზაქარიას ნაქონი თანამდებობები – ამირსპასალარობა და მანდატურთუხუცესობა მათთან დაკავშირებული სამფლობელოებითურთ. მანდატურთუხუცესად იხსენიება ივანე კოშის (სომხეთი) თანადროულ ქართულ წარწერაში. ამრიგად, ივანე ა-ის ხელში ფაქტობრივად სამი უმაღლესი თანამდებობა აღმოჩნდა, რომელთაგან მანდატურთუხუცესობა დაახლ. 1215 წ. მან თავის ძმისწულ შანშეს გადასცა. ამირსპასალარობა ივანემ შეინარჩუნა, შემდგომში ეს ხელი მისმა ძემ, ავაგ-სარგისმა მიიღო. შანშესათვის დაუთმია ივანეს ანისიც, რასაც ადასტურებს ჟამთააღმწერლის ცნობა 1225 წ. ხვარაზმელთა საქართველოში შემოჭრის შესახებ. ამ დროს ივანე ა-ის ხელთ ყოფილა დვინი, ხოლო ანისი უკვე ძმისწულისთვის ჰქონია გადაცემული.

ივანე ა. და ამირსპასალარი ხელმძღვანელობდა ყველა სამხედრო ოპერაციას ქვეყნის შიგნით და გარეთ. მან ჩაახშო დიდოელთა და „ყოველთა მთეულთა“ ამბოხი. როდესაც ლაშა გიორგიმ განჯაში ილაშქრა, საალყო ოპერაცია ივანე ათაბაგის დაუკითხავად დაგეგმა და ჩაატარა, რამაც ივანე ძლიერ განანწყენა და მეფეს საყვედური უთხრა. აღსანიშნავია, რომ მეფემ მოიბოდიშა ა-ის წინაშე, ცხენიდან ჩამოხტა და შენდობა სთხოვა, მაგრამ, როგორც ჩანს, ლაშა გიორგი შემდგომშიც ცდილობდა შეეკვეცა ყოვლისშემძლე ა-ის უფლებები და მისგან დამოუკიდებლად გადაეწყვიტა სახელმწიფო საქმეები. საბოლოოდ, ლაშასაგან განანწყენებული ივანე ა. და მასთან ერთად მსახურთუხუცესი ვარამ გაგელი სამეფო დარბაზს ჩამოშორდნენ. ივანე ა-მა თავის რეზიდენციაში, ბიჯნისში, შეიტყო გაგის საზღვრებთან მონღოლების მოახლოების ამბავი და ლაშა-გიორგის აცნობა. ლაშა 80 ათასიანი ჯარით შეეგება მონღოლებს გაგის ბოლოს. ამ ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ, ივანე ათაბაგი ძლივს გადაურჩა სიკვდილს.

სამეფო ხელისუფლების დასუსტებამ და საგარეო ძალის გააქტიურებამ უეჭველი გახადა ა-ამირსპასალარის თანამდებობის მეტი ქმედითობა და იერარქიული უპირატესობა მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელზე. სომეხი ავტორის გრიგოლ აკანელის ცნობით, „რუსუდანს ეპყრა სამეფო ივანეს ზედამდგომელობით, რომელსაც ათაბაგი ეწოდებოდა“. ათაბაგის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება ხორეზმელების დამრბევი ლაშქრობებისა და მონღოლთა გაბატონების შემდეგ. ივანე სარდლობდა ქართველ-

თა ჯვარს ხვარაზმელთა წინააღმდეგ გარნისის ბრძოლაში. ამ ბრძოლისას დაიღუპა შალვა ახლციხელი, რომელიც თორელთა ლაშქრით პირველი მიეგება მტერს. ჟამთააღმწერლის ცნობით, ივანე ათაბაგი შორიდან უჭვრეტდა თორელთა უთანასწორო ბრძოლას და ჯარი შეგნებულად არ მიუშველებია მათთვის, რის გამოც მემამაციანე ამბობს: „შურითა იტყვიან ამას ყოფად და არ თუ შიშითაო“. ამ ეპიზოდში მულავნდება დაპირისპირება ივანე ათაბაგისა თორელ-ახალციხელთა სახლთან. შ. მესხიას ვარაუდით, ამ დაპირისპირების მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო შალვა ახალციხელის, როგორც ამირსპასალარობის ყველაზე რეალური კანდიდატის პრეტენზიები, რის დათმობას ივანე ათაბაგი არ აპირებდა.

გარნისის ბრძოლის შემდეგ ივანე ათაბაგი ისევ თავის რეზიდენციაში – ბიჯნისში – გაბრუნდა. ბიჯნისის სიახლოვეს შეხვდა იგი ჯალალედინს, რომელმაც მას წამოუყენა თავისი პირობები – ქორწინება რუსუდან მეფეზე, რათა მოახლოვებულ მონღოლებს ერთად აღდგომოდნენ წინ. ივანემ რუსუდანს კაცი გაუგზავნა და სულთნის დანაბარები შეატყობინა. რუსუდანმა ეს შეთავაზება, რასაკვირველია, განხილვის ღირსადაც არ ჩააგდო და უარი შეუთვალა, რის შემდეგაც ჯალალედინი თბილისზე წამოვიდა.

ივანეს ა-ობის დროს მის უფლებამოსილებაში გადასულა მანამდე მნიგნობართუხუცესის საურავი სამეფო მონასტრები. ამ დასკვნის საფუძველს იძლევა სტეფანოზ ორბელიანთან დაცული ცნობა, რომლის თანახმად, 1216 წ. ნორავანქსა და ტათევის ანტიქალკედონიტურ სომხურ მონასტრებს შორის საკვირველმოქმედი ჯვრის გამო წარმოებული დავა ა. ივანე მხარგრძელის მეთაურობით გაურჩევიათ დვინში. ამ შემთხვევაში ივანე მოქმედებდა, როგორც საქართველოს სამეფო კარის უმაღლესი მოხელე – ა. და ამირსპასალარი. ანტიქალკედონურ სომხურ საგანეებს შორის დავის გარჩევა ივანეს რამდენიმე სომეხ საერო წარჩინებულთან ერთად მიუხდვია ქართველი დიდებულებისათვის და საქართველოს ეკლესიის ქალკედონიტი მესვეურებისათვის, მათ შორის დიდი ქყონდიდელისათვის, „რომელიც მოსულიყო სამეფოდან“, ვარძიისა და ახტალის (პლნაჰანქის) წინამძღვრებისა და გარეჯის დიდი მამამთავრისათვის. ივანე ათაბაგი გარდაიცვალა 1227 წ.

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 54, 60, 110-111; ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 137-138; ჟამთააღმწერელი 1959: 164, 169-170, 172; მურადიანი 1977: 228-229; გრიგოლ აკანელი 1961: 9; აბულაძე 1985: 54; მესხია 1979: 45, 78, 257-261, 310; ბერძენიშვილი 1979: 245; ანთელავა 1983: 137; ოთხმეზური 1981: 69-70; კლდიაშვილი 1999: 431-448.

ავაგ მხარგრძელი – ივანე ათაბაგის ძე, ა. და ამირსპასალარი 1227-1250 წწ-ში. ა. ივანეს გარდაცვალების შემდეგ, 1227 წ. რუსუდან დედოფალმა ამირსპასალარო-

ბა დაუმტკიცა ავაგს, თუმცა, ჯალღალედინის შემოსევის დროს იგი უკვე ათაბაგ-ამირსპასალარად მოიხსენიება. ჟამთააღმწერლის ტექსტიდან ჩანს, რომ ავაგმა რუსუდანისაგან ჯერ ამირსპასალარობა მიიღო, შემდეგ – ა-ობა: „ამირსპასალარობისაგან ათაბაგ იქმნა მეფის რუსუდანის მიერ...“ მოგვიანებით, ბათო ყაენთან მივლინებისას ა-ობა მისთვის ჩალატა ნოინსაც დაუმტკიცებია: „ამირსპასალარობისაგან ათაბაგ“ იქმნა. ა-ობისა და ამირსპასალარობის მფლობელი ავაგი წყაროებში საქართველოს უპირველეს მოხელედ და „ვაზირთუხუცესად“ არის მიჩნეული (ჟამთააღმწერელი). მისი სარდლობით ქართველთა ჯარი შეება თბილისისაკენ ხელმეორედ დაძრულ ჯალღალედინს, მაგრამ ბოლნისის ხევში მარცხი განიცადა.


ურდოში საქართველოს ა-ამირსპასალარის ხანგძლივი ყოფნის პერიოდში ავაგს ამირსპასალარის მოვალეობის შესრულება თავისი ბიძაშვილის, ამ სახელოს კანონიერი მემკვიდრის, ზაქარია (II) მხარგრძელის ძისათვის, მანდატურთუხუცეს შანშესათვის გადაუცია. ამას ადასტურებს ორომოსის 1246 წ-ის და ანისის სომხურ წარწერებში შანშეს მოხსენიება „სპასალარად“ და „სპარაპეტად“. ავაგის უმემკვიდროდ გარდაცვალების შედეგად ამირსპასალარის სახელო შანშეს სახლს დარჩა.

მონღოლთა შემოსევების დროს ავაგ ა. კაენის ციხეში იყო გამაგრებული, სადაც მას მონღოლმა ნოინებმა „ოქროს საფიცარი“ – უვნებლობის პირობა გაუგზავნეს. როდესაც რუსუდანმა მონღოლებთან დაზავება გადაწყვიტა, სწორედ ავაგ ა. გაგზავნა ბარდავში საზავო მოლაპარაკებების საწარმოებლად. აქიდან იგი ხლათის სულტანთან ერთად ჩალათა ნოინმა ბათუ ყაენთან გაგზავნა, შემდეგ ყარაყორუმს მანგუ ყაენთან მოუწია ჩასვლა, სადაც იგი დავით რუსუდანის ძესთან ერთად ხუთწელიწადს იმყოფებოდა. აქ დახვდა იგი დავით ლაშას ძეს და მის თანმხლებ დიდებულებს. ავაგ ა. პირველი იყო ქართველ დიდებულთაგან, ვინც მონღოლთა უზარმაზარ იმპერიაში იმოგზაურა. სანამ ყარაყორუმში ჩასულ ქართველთ დიდებულთა შორის სამეფო კანდიდატურაზე ცილობა გრძელდებოდა, ა. ავაგი საქართველოში გამოუშვეს. მას შესაფერი პატივით შეეგებნენ ქართველი დიდებულები. მათ შორის იყო ეგარსლან ბაკურციხელი, მონღოლთაგან დიდად აღზევებული პირი. მეტისმეტად „განლაღებულმა“ ეგარსლანმა დაარღვია ეტიკეტი – ცხენიდან არ ჩამოქვეითებულა ათაბაგის წინაშე. განრისხებულმა ავაგმა გათავხედებულ „ყმას“ თავზე მათრახი გადაუჭირა და მისთვის პატივის აყრა ბრძანა. ეგარსლანი ცხენიდან ჩამოაგდეს და საპატიო სამოსი გახადეს. მონღოლთა მიერ ტახტზე ორი დავითის ერთდროულად დამტკიცებამ ქართველი დიდებულები ორ ბანაკად გაყო. ავაგ ა. დავით ნარინის მომხრეთა შორის დარჩა.

ავაგი დაქორწინებული იყო რაჭის ერისთავ კახაბერისძის ასულ გვანცაზე, რომელზედაც ავაგის გარდაცვალების შემდეგ დავით ულუმ იქორწინა, ხოლო ავაგის მამული მეფემ მის ასულ ხვაშაქს დაუმტკიცა. ავაგის გარდაცვალების (1245) შემდეგ

ა-ის სახელო კარგა ხანს არავისზე არ გაცემულა, რადგან სამეფო ხელისუფლება, როგორც ჩანს, ცდილობდა ა-ამირსპასალარის თანამდებობათა ერთმანეთისაგან განცალკევებას.

წყაროები და ლიტერატურა: ჟამთააღმწერელი 1959: 171-172, 187, 189-197, 225, 227, 243. ლიტერატურა: მესხია 1979: 312-313, 316. ბერძენიშვილი 1966ა: 74-113.



ქ. ამის ღ(მრ)თისა სწორთაგან დამტკიცებულისა მონამე ვარ და | დანერილისა დამამტკიცებელი ავაგ ათაბაგი და ამირსპასალარი.

სეა, ფ. 1448-9253, [1241] ნ. დანერილი ქართლის კათალიკოს მიქაელისა ვაჩე გუარამისძისადმი.

ივანე (III) აბულეთისძე – ა-ამირსპასალარი 1260-იან -1272 წწ-ში. შვილიშვილი კახეთის ერისთავ ივანე (II) აბულეთისძისა, შვილი ძაგან აბულეთისძისა. ავაგ ათაბაგის გარდაცვალების შემდეგ ა-ის სახელოსა და ავაგის საგამგებლო სამფლობელოებისათვის („ავაგის სახლი“) ხანგძლივი ბრძოლა, რომელიც, ერთი მხრივ, კახეთის დიდგვაროვან აბულეთისძეებს და რეაბიტირებულ ორბელებს, ხოლო მეორე მხრივ, მონღოლთა კარზე აღზევებულ „უგვარო“ მედროვე სადუნ მანკაბერდელს შორის მიმდინარეობდა, დროებით ივანე აბულეთისძის გამარჯვებით დასრულებულა. ივანე აბულეთისძის სახელი პირველად ჩნდება ძაგან აბულეთისძის მიერ 1259 წ. მღვიმის მონასტრისადმი ბოძებულ შეწირულების დანერილში (ხეც, Ad-5), სადაც იგი მოიხსენიება თავისი მამის (ძაგანის) საბუთის დამამტკიცებელთა შორის. ივანე აბულეთისძე ათაბაგ-ამირსპასალარად იხსენიება დემეტრეს მეფობის დროს შესრულებულ ბარანის ციხის ასომთავრულ წარწერაში, რომელშიც ჩანს მინიშნება აბულეთისძეთა საგვარეულოს დამსახურებაზე სამეფო ხელისუფლების წინაშე: „მე, ივანე აბულეთისძემან, ათაბაქმან და ამირსპასალარმან, დმანისი წავილე და ციხე ავილე და კირი თან ჩამოვიტანე. ესე ქუეყანაა დიდთა ჟამთა ოჭერი და საშიში იყო. ოთხსა თუესა ესე ციხე ავაგე მეფობასა დიმიტრი მეფეთ მეფისასა. და შემდგომდ ჩუენსა ღმერთმან

თქუენ ესეთი ჟამი მოგეცინ, რომელ სადგომი თქუენი ბაღდადი იყოს ერთგულებასა შინა დიმიტრისასა. ამინ.“ ბოლოდროინდელი გამოკვლევებით (ნ. თორთლაძე, გ. ოთხმეზური) ეჭვქვეშ არის დაყენებული ბარანის ციხის წარწერის XIII ს-ით დათარიღება და იგი, სავარაუდოდ, დემეტრე I-ის ზეობის დროს შესრულებულად იქნა მიჩნეული. ამ მოსაზრების თანახმად, წარწერაში მოხსენიებული უნდა იყოს ივანე (I) აბულეთისძე, რომელიც ივანე (I) ორბელის გარდაცვალების (1128) შემდგომ დაინიშნა ამირსპასალარად, ხოლო დმანისის ალების შემდეგ ამ მხარის – დმანის-ლორე-ტაშირის ათაბაგად ანუ გამგებლად (გ. ოთხმეზური). მაგრამ ამ მოსაზრების გაზიარებას აძნელებს ბარანის წარწერაში ბაღდადის მოხსენიება, რომელიც უნდა გულისხმობდეს 1258 წ. მონღოლთა ლაშქრობას ბაღდადზე. ივანე (III) აბულეთისძე ა-ამირსპასალარი უნდა ყოფილიყო 1260-იან წწ-დან ვიდრე დემეტრე II-ის გამეფების პირველ წლებში (1272 წ. ჩათვლით). XIII ს-ის 70-იან წწ. დასაწყისში ბრძოლა ავაგის სახლისა და ა-ის თანამდებობასათვის სადუნის გამარჯვებით დასრულდა, ხოლო მისგან ლტოლვილი ორი ძმა აბულეთისძეები, როგორც ჩანს, ივანეს შვილები, აჰმადა ყაენის ძმამ ყონღარდამ საბერძნეთში დაახოცინა.

წყაროები და ლიტერატურა: ჟამთააღმწერელი 1959: 282; ქისკ 1984: 141; შანიძე, ცისკარიშვილი 1968: 17-26; მურადიანი 1977: 231, 228-229; ბერძენიშვილი 1966ა:74-113; კიკნაძე 1982: 195, შენ. 72; ოთხმეზური 2015:201-215.

სადუნ მანკაბერდელი – ა. და ამირსპასალარი 1272-1281/1282 წწ-ში; გასომხებუ-ლი ქურთი, მონღოლთა სამსახურში დანიშნულებული და მათივე რკომენდაციით ა-ის თანამდებობამდე აღზევებული. თავდაპირველად სადუნი ავაგ მხარგრძელის სახლში ავაგის ასულ ხვაშაქის ეჯიბად მსახურობდა. პატრონის სამსახურში სადუნმა თავი გამოიჩინა და მრავალი წყალობა მიიღო ხვაშაქის მეუღლის, მონღოლთა დიდმოხელის საჰიბ-დივინისაგან. მისი მხარდაჭერით სადუნი მალე დანიშნურდა ილხანთა კარზე. ჟამთააღმწერლის ცნობით, სადუნი თარჯიმნის რანგში ესწრებოდა ულო ყაენთან დავით ულუსა და სარგის ჯაყელის გასამართლებას და „კეთილად უთარგმნიდა“ ყაენს სარგის ჯაყელის სიტყვას. ამით სადუნმა ყაენის რისხვაც დააცხრო და დავით მეფის ნდობაც დაიმსახურა. შემდგომში, როდესაც ილხანთა კარზე ჩასულ დემეტრე II-ს აბალა ყაენმა მეფობა დაუმტკიცა, უკან დაბრუნებულს სადუნი გამოაყოლა, რომელსაც დემეტრემ ა-ობა და, როგორც ჩანს, ამირსპასალარობაც უბოძა. იგი ა-ად და ამირსპასალარად იხსენიება ქობაირის 1279 წ-ის ქართულ სააღმწენებლო წარწერაში, საიდანაც ჩანს, რომ სადუნის ასული ვანენი შანშე (I) მანდატურთუხუცესის ძის, მხარგრძელის თანამეცხედრე ყოფილა. სულ მალე სადუნმა ქართველ მთავრებს გადააჭარბა ძალითა და გავლენით. მისი მმართველობის დროს საქართველოს ტერიტორიაზე მონღოლთა სადამსჯელო ექსპედიციები შეწყდა, რითაც ხალხს შედარებით

მშვიდობიანი ცხოვრების პირობები შეექმნა და ქვეყანამ მოშენება დაიწყო. მემკვიდრე სადუნს ბრძენ და გონიერ მმართველად მოიხსენიებს. მის განსაკუთრებულ დამსახურებად მიიჩნევს გარეჯის უდაბნოებისათვის მონღოლური ყალანისა და მალის ამოკვეთას. ამავე პერიოდში სადუნმა დიდი ქონება დააგროვა და პირად განდიდებასაც მიაღწია. მან მეფეს გამოსთხოვა თელავი, ბელაქანი და სხვა მრავალი მიწა-წყალი. ეს არ იკმარა და დმანისის მიღებაც მოინდომა. რადგან მეფე დმანისზე თავს იკავებდა, სადუნმა გამოიყენა თავისი გავლენა მონღოლთა კარზე და ურდოში ჩასული მეფისათვის მონღოლებს უზომოდ დიდი გადასახადი მოათხოვინა. ამის შემდეგ სადუნმა მეფეს თვითონ შესთავაზა გადასახადის დაფარვა, თუკი დმანისს უბოძებდა. დემეტრე იძულებული გახდა დათანხმებულიყო დმანისის გაცემაზე. სადუნმა მეფისაგან კარიც მიიღო, სადაც რეზიდენცია ჰქონდა. ამრიგად, სადუნის ხელში უზარმაზარმა სიმდიდრემ მოიყარა თავი. ქონებას და გავლენას სადუნს ქორწინებებიცაა ზრდიდა. მას სამი ცოლი ჰყავდა, მათგან ერთ-ერთი იყო ახალციხელთა ასული, რომლის წყალობით მოიხვეჭა ახალციხელთაგან კარის მიმდებარე მიწა-წყალი. შემდეგ აბალა ყაენისაგან იყიდა დემეტრეს და თამარი, რომელიც მანამდე მონღოლი მოხელის ცოლი იყო. ცნობილია სადუნის ორი ძე, ხუტლუბულა და მანგასარი. ათაბაგი სადუნ მანკაბერდელი გარდაიცვალა 1282 წ.

წყაროები და ლიტერატურა: ჟამთააღმწერელი 1959: 248, 257, 268-269, 272, 276; მურადიანი 1977: 177; მესხია 1979: 316-317;

ტარსაიჭ ორბელი – ა. 1284-1289 წწ-ში. ტარსაიჭ ორბელი იყო შთამომავალი გიორგის III-ის წინააღმდეგ ამბოხებული ორბელებისა, რომლებიც მონღოლთა ბატონობის პერიოდში საქართველოში დაბრუნდნენ და რეაბილიტაცია მიიღეს. მათი უმთავრესი მიზანი იყო ორბელთა ძველი სამფლობელოების დაბრუნება, რომლებიც იმჟამად მხარგრძელ ა-თა სახლის („ავაგის სახლი“) საკუთრება იყო. ამიტომ იბრძოდნენ ორბელები ა-ის სახელს მოსაპოვებლად. ყველაზე ახლო ამ მიზანთან იყო ტარსაიჭის მამა სუმბატ ორბელი (გარდ. 1273 წ.), მაგრამ მთელ რიგ გარემოებათა გამო მას სადუნ მანკაბერდელმა სძლია. სადუნ მანკაბერდელის ნების საწინააღმდეგოდ ტარსაიჭ ორბელისა და შანშე (I) მხარგრძელის ძის, მანდატურთუხუცეს ივანე (II) მხარგრძელის მეცადინეობით ილხანებმა მეფობა 12 წლის დემეტრე II-ს დაუმტკიცეს. სადუნ მანკაბერდელის გარდაცვალების შემდეგ (1281 წ.) დემეტრე II შეეცადა ერთმანეთისაგან დაეცილებინა ა-ობა და ამირსპასალარობა. ა-ობა მიანიჭა თავის გამზრდელსა და დიდ მოამგეს, ტარსაიჭ ორბელს, ხოლო სადუნ მანკაბერდელის ძეს, ხუტლუბულას – მხოლოდ ამირსპასალარობა. ტარსაიჭ ორბელი 1284 წ-დან ჩანს ა-ად. სტეფანოზ ორბელიანის თანახმად, დემეტრე II-ს იგი თითქოს მხოლოდ საკუთარი სამფლობელოების ა-ად დაუნიშნავს თბილისიდან ანისამდე და კარამდე, რისთვისაც მას სომხეთის ა-ს

უნოდებს. ამ ცნობამ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია – იყო ტასაიჭ ორბელი საქართველოს ა. (ბერძენიშვილი), თუ მხოლოდ ჩრდილო სომხეთის მიწებისა (ივ. სურგულაძე, რ. კიკნაძე). სტეფანოზ ორბელიანთან დაცულია ცნობა, რომ ტარსაიჭს ჩრდილო სომხეთის მიწებთან ერთად აღსაზრდელად მიაბარეს მეფის შვილები: დავითი და მანოელი, რაც მიანიშნებს, რომ სამეფო კარის ა-ობასა და სომხური მიწების ა-ობას შორის ამ დროს არავითარი წინააღმდეგობა არ იგულისხმება (ი. ანთელავა).

წყაროები და ლიტერატურა: სტეფანოს ორბელიანი 1978: 104; ჟამთააღმწერელი 1959: 302; სურგულაძე 1965: 39-50; 93, 104, 269; ბერძენიშვილი 1966ა: 110-113; Кикнадзе 1980: 157; ანთელავა 1983: 136.

ხუტლუბულა – სადუნ მანკაბერდელის ძე, ამირსპასალარი 1282-1289 წწ-ში; ა-ამირსპასალარი 1289-1293 წწ-ში. მონღოლთა მხარდაჭერით დემეტრე II-ის ამირსპასალარი; ა-ობა მიიღო მხოლოდ დემეტრეს სიკვდილით დასჯის შემდეგ. 1293 წ-ის მოვლენების შემდეგ წყაროებში მისი სახელი აღარ ჩანს (სრულად იხ. ამირსპასალარი ხუტლუბულა).

მხარგრძელი – შანშე (I)-ის შვილიშვილი, ა. და ამირსპასალარი 1285 წ. ახლო (იხ. ამირსპასალარი მხარგრძელი).

შანშე (II) მხარგრძელი – ა. 1290-იან-1310 წწ-ში. დიდი შანშეს (I) შვილიშვილი, მანდატურთუხუცეს ივანე (II) მხარგრძელის ძე; მონღოლთა სამსახურში ჩამდგარი მოხელე. „ათაბაგ-ამირსპასალარი შაჰანშა“ იხსენიება 1310 წ-ის ერთ-ერთ სომხურ წარწერაში, ხოლო მხოლოდ ა-ად, მისი ძმის, ათაბაგ ვაჰრამის საფლავის ქვის ეპიტაფიაში (სრულად იხ. ამირსპასალარი შანშე (II) მხარგრძელი).


წყაროები და ლიტერატურა: ჟამთააღმწერელი 1959: 304, 306, 308, 309; მესხია 1979: 317; მურადიანი 1977: 178.

ვარამ მხარგრძელი – ა. 1336 წ. მანდატურთუხუცეს ივანეს (II) მხარგრძელის ძე, ა. და ამირსპასალარ შანშე (II) მხარგრძელის ძმა. ა-ობა ვარამს უნდა მიეღო შანშეს გარდაცვალების შემდეგ. იგი, როგორც ათაბაგი, ძმებთან ერთად იხსენიება 1336 წ. ჰორომოსის სომხურ წარწერაში ა. შანშე აქ გარდაცვლილად იხსენიება, აგრეთვე ქობაირის მხარგრძელთა საგვარეულო მონასტრის საფლავის ქართულენოვან ეპიტაფიაში

წყაროები და ლიტერატურა: მურადიანი 1977: 178; მესხია 1979: 317.

სარგის (I) ჯაყელი – სამცხის სპასალარი, მეჭურჭლართუხუცესი 1270-1282 წწ-ში, სამცხის პირველი **ა. 1282-1284 წწ-ში**. მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა XIII ს-ის 60-80-იანი წწ-ის საქართველოში. მეჭურჭლეთუხუცესადაა მოხსენიებული იგი ჟამთააღმწერელთან, ნიკოლოზ კათალიკოსის დაწერილში არვანბეგ საბაისძისადმი, საფარის ფრესკულ წარწერასა და ჯვრის მონასტრის აღაპებში. საქართველოს **ა-ობა** მან მიიღო სიცოცხლის ბოლო 1282-1284 წწ-ში. სარგისს (I) გამოიჩინა დავით ულუსადმი თავდადებული ერთგულებით, რის გამოც მეფისაგან მიიღო სამცხეში ერთი თემი და ტბეთის საყდარი, შემდგომ – კარნუ ქალაქი მიმდგომი „ქვეყნებითურთ“. სარგისი ეხმარებოდა მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებულ დავით ულუს რჩევებითა და სამხედრო ძალით. 1264 წ. ილხანთა კარზე მონღოლებთან შესარიგებლად ჩასული დავით ულუ მან იხსნა მოსალოდნელი სასჯელისაგან. როცა დავით ულუ იძულებული გახდა ჰულაგუ ყაენის წინაშე თავი ემართლებინა, მეფის ნაცვლად სამსჯავროზე „კეთილმეტყველი“ სარგის ჯაყელი წარდგა და მეფის „დანაშაული“ საკუთარ თავზე აიღო. სარგისმა მონაწილეობა მიიღო ჩრდილოეთის ურდოს წინააღმდეგ ილხანთა ომში და თავისი სამხედრო ხელოვნებით ჰულაგუ ყაენის გული მოინადირა. ამ ბრძოლაში დამსახურებისათვის დაუმტკიცა მას ყაენმა კარნუ ქალაქი და მისი „მიმდგამი ქვეყანა“. სარგისის მიმართ ყაენის გამოჩენილმა სიუხვემ დავით ულუ დააეჭვა ყმის ერთგულებაში და, თბილისში მონვეული, ერთხანს დააპატიმრა კიდეც. სარგისმა თავის გადასარჩენად მონღოლთა ყაენს უშუალო ქვეშევრდომობაში აყვანა სთხოვა. 1266 წ. სარგისმა მონღოლთა „ხასობა“ მიიღო, რის შედეგადაც სამცხე „ხას-ინჯუდ“, მონღოლთა უშუალო დაქვემდებარებაში მყოფ სამთავროდ გამოცხადდა. მოგვიანებით საქართველოს სამეფო კარმა ამ აქტს სარგისათვის **ა-ობის** მინიჭება დაუპირისპირა. განდგომილი სამთავროს მმართველისათვის ცენტრალური სამოხელეო თანამდებობის უფლებამოსილების გადაცემით სამეფო კარი შეეცადა კავშირი არ გაენწყვიტა სამცხესთან (ბ. ლომინაძე). **ა. ხდება** სარგის ჯაყელი სადუნ მანკაბერდელის გარდაცვალების შემდეგ, 1282–1284 წწ-ში. სიცოცხლის ბოლოს **ა. სარგის (I)** ბერად აღიკვეცა საბას სახელით. იგი გარდიცვალა 1285 წ. ამდენად, მისი **ა-ობა** 1284 წ-მდე ივარაუდება. მკვლევართა ნაწილის მოსაზრებით, დიმიტრი II-ის მიერ დანიშნული სომხითის **ა-ის** მსგავსად, სარგის (I) მხოლოდ სამცხის **ა. (მთავარი)** იყო.

წყაროები და ლიტერატურა: ჟამთააღმწერელი 1959: 240-242, 250, 255, 259, 270-271, 273, 277-280; ქისკ 1984: |177-178; ბერიძე 1955: 50-51; მეტრეველი 1962: 170, NN: 246, 248; ლომინაძე, სინ 1979: 641; კლდიაშვილი 1981: 57, 81-84.



ქ. მე, სარგის | ათაბაგი, მონამე | ვარ ამა დაწერი | ლისაი
სეა ფ. 1448-5037 1281-1282 დაწერილი კათალიკოს
ნიკოლაოზისა არვანბეგ საბაისძისადმი

აღბულა (I) ჯაყელი – ა-ამირსპასალარი 1361-1391 წწ-ში. XIV ს-ის პირველ ნახევარში სამცხის სამთავროში მემკვიდრეობის წესის დარღვევისა და ბექა I-ის ძეების ერთობლივი მმართველობის დამყარების შედეგად ა-ამირსპასალარის თანამდებობა და სამცხის მმართველობა გადავიდა არა ბექა (I) ჯაყელის უფროსი ვაჟის, სარგის (II) ჯაყელის (გარდ. 1334 წ.) მემკვიდრეებზე, არამედ მისი მეორე ვაჟის, ყვარყვარე (I) ჯაყელის (1334-1361) ძე აღბულაზე. იგი ა-ამირსპასალარად იხსენიება ბექა-აღბულას სამართლის შესავალში და ზესხევის (ხოვლეს) ეკლესიის წარწერაში. XIV ს-ის 90-იანი წწ-ის დოკუმენტებსა და ხელნაწერთა მინაწერებში, ასევე ა-ამირსპასალარად იწოდებოდა აღბულას ძე ივანეც.

ამდენად, მთელი XIV ს-ის განმავლობაში სამცხის მმართველი ჯაყელები ა-ამირსპასალარებად და სამცხის სპასალარებად იწოდებოდნენ. XV ს-დან მოყოლებული, მათი ა-ობა თუ ა-ამირსპასალარობა, ისევე, როგორც სამცხის სპასალარობა, მხოლოდ სამხრეთ საქართველოში შემოიფარგლება და ამ მხარის მმართველი საგვარეულოს საპატიო ტიტულს წარმოადგენს.

წყაროები და ლიტერატურა: სამართალი ბექასი და აღბულასი 1963: 425, 450; ქისკ 2014: 20; კლდიაშვილი 1986: 64-70.

დ. კლდიაშვილი

ამიდი – (არაბ. ‘mīd) აღმოსავლური ქალაქების მოხელე; სახალიფოს ქალაქების ა-ებს ევალეებოდა საბუთების შედგენა და ბაღდადის მთავრობასთან მიმოწერის წარმოება. ქართულ სამოხელეო ტერმინოლოგიაში ტერმინი გავრცელდა თბილისის საამიროდან. დავით აღმაშენებლის ანდერძში (1123/1124) და გიორგი III-ის შიომღვიმისადმი ბოძებულ სიგელში (1170) მოხსენიებულია თბილისის „საამიდო“ გადასახადი, როგორც

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოსაღები, რაც მიუთითებს საქართველოს ქალაქებში შესაბამისი თანამდებობის არსებობაზე. ქართულ წყაროებში ხელშესახები ცნობები ამ მოხელის უფლება-მოვალეობების შესახებ არ მოგვეპოვება. მუსლიმური აღმოსავლეთის ქალაქების ანალოგიით, საქართველოს ქალაქებში ა-ს, სავარაუდოდ, ქალაქის მწერლის მოვალეობის შესრულება და, ამასთანავე, ცენტრალური ხელისუფლებისათვის საქმიანი ქალაქების წარდგენა ევალებოდა.

წყაროები და ლიტერატურა: ქისკ 1984: 57, 68; ლორთქიფანიძე 1954: 150-152.

დ. კლდიაშვილი

ამირა/ამირათ-ამირა – (არაბ. amīr – მეთაური, მმართველი) მთავრის შესატყვისი ტიტული აღმოსავლეთის მუსლიმურ ქვეყნებში. VII ს-მდე, ისლამამდელ პერიოდში და, ასევე, პირველი ოთხი ხალიფას მმართველობის დროს ა-ები ეწოდებოდა სარდლებს და ლაშქრის საბრძოლო ქვედანაყოფების მეთაურებს, რომლებიც შემდგომ არაბთა მიერ დაპყრობილი ტერიტორიების მმართველები გახდნენ. ომაიანთა ეპოქაში (661-750) პროვინციის გამგებელ ა-ების ხელში თავმოყრილი იყო სრული ადმინისტრაციული, საფინანსო და სასულიერო ხელისუფლება. ისინი პასუხისმგებლები იყვნენ ლაშქრის ორგანიზებაზე, ხელმძღვანელობდნენ სამხედრო ექვედციებს, დებდნენ ხელშეკრულებებს, უძღვებოდნენ ლოცვებს, აშენებდნენ მეჩეთებს და თავიანთ საგამგებლო ტერიტორიაზე ზრუნავდნენ ისლამის გავრცელებისათვის. ა. ზედამხედველობდა ზარაფხანას, სადაც ხალიფას სახელზე იჭრებოდა ფული, იგი პასუხისმგებელი იყო გადასახადების აკრეფასა და სახალიფოს ცენტრში გაგზავნაზე. ა-ს ხელში იყო სასამართლო სისტემა. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ა. ნიშნავდა ყადის (მუსლიმთა მოსამართლეს), იცავდა წესრიგს. მისი მითითებით მოქმედებდა პოლიციის უფროსი. თავის საგამგებლო ოლქში ა. ნიშნავდა ფოსტის უფროსს, რომლისგანაც იღებდა დანვრილებით ინფორმაციას ქვეყნის შიდა მოვლენებზე. ა-ს ემსახურებოდა ცერემონიისტერი და დაცვა. აბასიანთა მმართველობის ხანაში (749-1258) ა-ებს თანდათან ჩამოსცილდა გადასახადის აკრეფის, ყადის დანიშვნისა და ზოგიერთი სხვა ფუნქცია.

არაბთა სახალიფოს დაშლის შემდეგ (IX-X სს.) ა-ს ტიტული შეინარჩუნეს ადგილობრივმა დამოუკიდებელმა მმართველებმა, რომლებიც ერთდროულად საერო და სასულიერო ხელისუფლებას ფლობდნენ. მოგვიანებით ა-ს საპატიო ტიტული ისლამის მქადაგებლის, მუჰამადის ჩამომავლებს ენიჭებოდათ.

ასეთივე უფლებებით სარგებლობდა თბილისის ა-ც, რომლის მმართველობა აღმოსავლეთ საქართველოში VIII ს-ის 70-იანი წლების დასაწყისში დამყარდა. მას ნიშნავდა ხალიფა ან ამიერკავკასიის ვალი. ა. იყო ქართლის უზენაესი მმართველი – ქართლში მდგომი არაბული გარნიზონის სარდალი, უზენაესი სამოქალაქო ხელისუფალი

და მოსამართლე. ქართული წყაროები ა-ს მოიხსენიებდნენ, როგორც „ხელმწიფეს ქვეყანისა“ და „მსაჯულს“. ქართულ ისტორიულ წყაროებში თბილისის ა-ს ზოგჯერ ქართლის ა-საც უწოდებენ. ა-ს სასარგებლოდ ქართლის მოსახლეობა იხდიდა „სამამრო“ გადასახადს.

გარდა თბილისისა, არაბი ა-ები იხსენიებდნენ რუსთავში, ხუნანსა და დმანისში. ისინი თბილისის ა -ს ხელქვეითებად ითვლებოდნენ. IX ს-ის დასაწყისიდან, არაბთა სახალიფოს რღვევის კვალდაკვალ, თბილისის სამამრო დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად, ხოლო თბილისის ა. დამოუკიდებელ მმართველად იქცა. არაბთა ბატონობის დასრულების შემდეგ ტერმინი ა. ქართულ სამოხელეო ტერმინოლოგიაში დამკვიდრდა. ზოგჯერ იგი საზოგადოდ გამგებელს აღნიშნავს. მაგ., კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში ქართლის ა-ს (აქ: ქართლის ერისთავი) ტიტულსაც ატარებს, მაგრამ ა., როგორც სპეციალური ტერმინი, თბილისის სამამროს გაუქმების (1122) შემდეგაც თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში ქალაქის გამგებლის სახელწოდებად დარჩა, თუმცა, იგი ადგილობრივ პოლიტიკურ და სოციალურ სისტემაზე მორგებულ თანამდებობას წარმოადგენდა. თანდათანობით ა-ს ჩაენაცვლა ქართული სამოხელეო ტერმინი მოურავი (იხ.). ქართული მონარქიის ზრდასთან ერთად განსაკუთრებული სამხედრო-სტრატეგიული, პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძინეს დიდმა ქალაქებმა, რომელთა მმართველებს გაორმაგებული ტერმინი, „ამირათ-ამირა“ ეწოდებოდა. თამარის დროს ასეთი ტიტულით იხსენიებოდნენ თბილისის გამგებელი (აბულასანი), კარის (ყარსი) მმართველი (ივანე ახალციხელი). ასეთივე სამოხელეო ტიტულს ატარებდნენ საქართველოს სამეფოს ფარგლებში ანისის მმართველები, თუმცა იმავე კარის 1237 წ-ის ციხის კარიბჭის წარწერაში მოხსენიებული კარის ა. რაფრაზა გაორმაგებული სამოხელეო ტიტულის გარეშეც იხსენიება. თბილისის გამგებლის ტიტულად ა. ტრადიციის ძალით, დიდხანს, XVII ს-ის დასაწყისამდე შემორჩა (ზოგჯერ ასე უწოდებდნენ თბილისის მოურავ გიორგი სააკაძეს).

XIII ს-დან ა-ები ჰყავდათ უფრო მცირე ქალაქებსაც – ქუთაისი, გორი, ჟინვანი. ქალაქის ა. დიდი და ანგარიშგასაწივე ხელისუფალი იყო. ა-ს უპირველესი მოვალეობა იყო უშუალოდ ქალაქისა და მისი შემოგარენის დაცვა, საქალაქო წესრიგის, მართლმსაჯულების, ვაჭრობისა და სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების მართვა-ზედამხედველობა, ქალაქისათვის აუცილებელი სამშენებლო სამუშაოების (გზების, ხიდების, სასტუმროების, სამეურნეო, და სხვ. ნაგებობების) შესრულება, ქალაქის კეთილმოწყობა. ა-ს განკარგულებაში იყო სამოხელეო აპარატი, რომლის სტრუქტურაზე საკმაოდ ბუნდოვანი ცნობებია შემონახული. XII-XIII სს-ში ა-ს ხელქვეით მოხელეთა აღმნიშვნელი ტერმინოლოგიაც არაბული იყო. მათ შორის გვხვდება ამიდი (იხ.), რაისი, მუჰთასიბი, შურტა (იხ.). ა. ანგარიშვალდებული იყო მეჭურჭლეთუხუცესის წინაშე. ქალაქის ა-ს სასამსახურო სარგო მრავალი წყაროდან იკრიბებოდა. მისი წილი გადაკ-

ვეტილი იყო ყოველი სახეობის საქალაქო შემოსავალში (იხ. მოურავი). XVII ს-ის 40-იან წწ-ში ქართულ ისტორიულ საბუთებში ვხვდებით ა-ქეთხოდას, რაც სპარსული ენის ტერმინოლოგიურ გავლენას ასახავს და შინაარსობრივად იგივეა, რაც ქეთხოდა (იხ.), რომელიც ქართულ სინამდვილეში XVI ს-დან დამკვიდრდა.

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 36; ქისკ1984: 68, 175, 183; ქისკ 2013: 38.65, 67.201; ქისკ 2014: 31, 46, 116, 311; გაბაშვილი 1964: 331-358; ისლამი 1999: 24-25; ლორთქიფანიძე 1951: 185-204; ლორთქიფანიძე 1954: 143-156; Месхия 1959: 65-80, 90; მუსხელიშვილი 1966: 199-213; ანთელავა 1983: 217-227.

საქართველოს ქალაქების ამირები:

ვასაკ არწრუნი – თბილისის ა. XII ს-ის 40-50-იანი წწ.; გიორგი III-ის თანამედროვე, კაინისა და მაჰკანაბერდის ოლქების მფლობელი. ვასაკი და მისი ძმა ქურდ არწრუნი ეკუთვნოდნენ არწრუნი ნახარალების იმ შტოს, რომელიც დავით აღმაშენებელმა ჩრდილო სომხეთში გადმოსახლა და მანკაბერდი და ახპატი უწყალობა. ამ საგვარეულოს ძლიერი კავშირები ჰქონდა იმდროინდელი სომხური ქალაქების ფინანსურ წრეებთან, რის გამოც სამეფო კარი დაინტერესებული ყოფილა ამ საგვარეულოს წარმომადგენელთა დანიშვნით თბილისის ა-ს თანამდებობაზე. დემეტრე I-ის მეფობის დასასრულს თბილისის ა-ად ჩანს ვასაკ არწრუნი. მხითრ გოშის მიხედვით, იგი დავით დემეტრეს ძის მომხრეთა და გიორგი მეფის მიერ შერისხულთა შორის ჩანს. სამეფო კარზე მისი გავლენის შესუსტება, როგორც ირკვევა, ორბელთა ძლიერი საგვარეულოს „დამსახურება“ იყო. ვასაკი თავის ძმასთან ერთდ თეოდოსიოპოლში (კარნუ ქალაქი) გაქცეულა. აქ იგი კარგად მიუღია კარნუ ქალაქის გამგებელ ამირა სალდუხს. რამდენიმე ხანში ვასაკი იქვე გარდაცვლილა. მისი დროშა, საყვირი და გამგებლობა მიუციათ მისივე ძმის ქურდისათვის.

წყაროები და ლიტერატურა: დავლიანიძე 1968: 31-32, 48; მესხია 1979: 277-278.

ქურდ არწრუნი – ვასაკ არწრუნის ძმა, თბილისის ა. XII ს-ის 70-80-იანი წწ-ში. იგი ძმასთან ერთად გაქცევია გიორგი III-ის რისხვას კარნუ ქალაქში. ქურდის და – საგდუხტი ცოლად ჰყავდა სარგის მხარგრძელს, რომელიც ორბელებთან ძლიერ დაახლოებული პირი იყო. სწორედ ამ ნათესაობას უნდა ეთამაშა გადამწყვეტი როლი ქურდ არწრუნის ორბელებთან შერიგებისა და სამეფო კარზე მისი დაბრუნების საქმეში. გიორგი მეფეს იგი შეუწყალებია და, როგორც ირკვევა, მიუცია თბილისის ა-ობა. ამ თანამდებობაზე იგი ორბელთა ამბოხის დროსაც. დავით ქობაირელის ცნობით, 1177 წ. ორბელთა ამბოხის დროს გიორგი მეფემ მანკაბერდის მხარეში გაქცეულ

აჯანყებულებს **ა.** ქურდი დაადევნა. 1187-1188 წწ-ში ქურდ არწრუნი აღარ უნდა ყოფილიყო თბილისის **ა.**, მაგრამ მას უნდა სჭეროდა მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალის თანამდებობა. სწორედ მას მიიჩნევენ მკვლევარნი მეჭურჭლეთუხუცეს აბულასანის იმ „სჯულით ბარბაროზ“ ნაცვლად, რომელიც თამარმა აჯანყებული გიორგი რუსის შესაჩერებლად კარნუ ქალაქში გაგზავნა. შემდგომში მოვლენები ისე განვითარდა, რომ ქურდ არწრუნი აჯანყებულთა მხარეზე აღმოჩნდა. აჯანყების მარცხის შემდეგ ქურდ არწრუნი მანკაბერდში, საკუთარ მამულში დარჩა, საიდანაც იგი მხითარ გოშს დახმარებია ნორ-გეტიკის მონასტრის მშენებლობაში. ამის შემდეგ წყაროებში მისი კვალი იკარგება. აჯანყებაში მონაწილეობამ, როგორც ჩანს, ქურდის სახლის დამცრობა გამოიწვია. სამაგიეროდ, აღზევდა ქურდის დისწულთა შტო მხარგრძელთა სახით. საუკუნის შემდგომ კი, მისი შვილთაშვილი სადუნ მანკაბერდელი მონღოლთა თანადგომით საქართველოს მეფეთა კარზე უმაღლეს თანამდებობებს დაიკავებს.

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 19, 48; დავლიანიძე 1968: 31-32; მაისურაძე 1966: 264-266; ანთელავა 1983: 223, 225-226.

აბულასანი – ქართლის ერისთავი 1185-1188 წწ.; თბილისის **ა.** და მეჭურჭლეთუხუცესი 1187-1188 წწ. თამარის პირველი ქორწინების დროს აღზევებული დიდებული, რამდენიმე მაღალი თანამდებობის მფლობელი. გიორგი რუსის დამარცხების შემდეგ წყაროებიდან მისი სახელი იშლება (სრულად იხ. მეჭურჭლეთუხუცესი აბულასანი).

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი 1959: 36, 79; Такаишвили 1905: 154; ბერიძე 1948: 96-97; ინგოროყვა 1963: 652; მუსხელიშვილი 1966: 213-214; მესხია 1979: 30-36; ჩხატარაიშვილი (1974 წ. ნაკითხული მოხსენება); ანთელავა 1983: 224.

აბრაჰამ – ქალაქ კარის **ა.** (იხსენიება 1237 წ. კარის კარიბჭის წარწერაში).

ლომი სუნღლისძე – თბილისის **ა.** 1398 წ. (ქისკ 2013: 65, 67).

გიორგი სააკაძე – თბილისის **ა.** იხ. მოურავი გიორგი სააკაძე.

ბ. ბაინდურაშვილი

ამირახორი – ამილახორი/ამილახვარი (არაბ. amir-axur – საჯინიბოს უფროსი). ცენტრალური სახელმწიფო აპარატის სამხედრო უწყების მაღალი მოხელე ერთიანი ფეოდალური მონარქიის პერიოდში. **ა.** ამირსპასალარის თანაშემწედ ითვლებოდა და განაგებდა მეფის ცხენოსან ჯართან დაკავშირებულ დანქსებულებებს: საჯინიბოს (სამეფო კარის ცხენების თავლა) და ზარადხანას (სამხედრო საჭურველის

საცავი). მას ექვემდებარებოდნენ მეჯინიბეთუხუცესი (იხ.) და მეაბჯრეთუხუცესი (იხ), ამ უკანასკნელს – ზარადხანისუხუცესი (იხ.) თავ-თავიანთი საგამგეო დაწესებულებებითა და მოხელეებით. დიდი ალბათობით, ა-ის ხელისა უნდა ყოფილიყო გასახედნი ცხენებიც – სამეფო რემა (ცხენების ჯოგი), რომლის მოვლა-პატრონობა მერემაეთუხუცესს (იხ.) ებარა. წყაროებში ა-ისა და მეჯინიბეთუხუცესის ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნვა ყოველთვის ადვილი არ არის, რის გამოც ი. ანთელავა მათ აიგივებს, თუმცა სხვა მკვლევრები (ივ. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა, შ. მესხია, ნ. შოშიაშვილი) მეჯინიბეთუხუცესს ამირახორის თანაშემწე მოხელედ მიიჩნევენ. მიუხედავად ტერმინთა სემანტიკური სიახლოვისა, მათი ფუნქციური და იერარქიული საფეხურების იდენტიფიკაცია მაინც ეჭვს იწვევს. ა. გვიანდელ შუა საუკუნეებში თავადურ გვარად გარდაიქმნა ქართულ სამოხელეო სისტემაში ორივე სამოხელეო ტერმინი იყო შენარჩუნებული და იერარქიულ დონეზე ურთიერთისაგან განსხვავებდებოდნენ.

ერთიანი მონარქიის დროს ა., სავარაუდოდ, სასახლის ცხენოსან ჯარსაც ხელმძღვანელობდა და მასთან დაკავშირებულ საკითხებსაც განაგებდა. მგზავრობის დროს ა. მეფეს თან უნდა ხლებოდა. ა-ის საპატიო მდგომარეობაზე ის გარემოებაც მიუთითებს, რომ მეფესთან საქმეზე მისული პირების მიღება, მეფის წინაშე მათი წარდგინება და ძღვენის ჩამორთმევა მის მოვალეობას შეადგენდა. წელიწადში ერთხელ ა. მეაბჯრეთუხუცესთან, ზარადხანისუხუცესთან და ზარადხანის მნიგნობართან ერთად სამეფო ზარადხანის აღწერას ატარებდა.

ა-ს უფლება ჰქონდა დარბაზობაზე ხმალშემორტყმული და მეაბჯრეთა თანხლებით გამოცხადებულიყო, სადაც მას „ორთა ვაზირთა“ – მეჭურჭლეთუხუცესისა და მსახურთუხუცესის – ტოლი პატივით იღებდნენ. როდესაც ა-ს სუფრასთან იწვევდნენ, იგი ხმალს მეაბჯრეს უტოვებდა, რომელიც ა-ს დარბაზობის დასასრულამდე ელოდებოდა. ა. სავაზიროს სხდომასაც ესწრებოდა, სადაც მას მეჭურჭლეთუხუცესისა და მსახურთუხუცესის უკან ჰქონდა ადგილი მიჩენილი და სიჩუმე მხოლოდ მაშინ უნდა დაერღვია, როდესაც შეკითხვით მიმართავდნენ: „იგი არას იტყვის, რასაც არა ჰკითხავენ; და რად ჰკითხონ, მაშინლა პასუხს იტყვის“. ა. მონაწილეობას იღებდა მეფედკურთხევის ცერემონიაშიც – ხმალშემორტყმული ა. მეაბჯრეთუხუცესის თანხლებით ამირსპასალარის რიგში მიუყვებოდა საზეიმო პროცესიას.

პირველი ცნობები საქართველოს სამეფო კარის ა-თა შესახებ XII ს-ის 60-ანი წწდან შემოგვრჩა. ამ დროს ა-ობა ეკუთვნოდა ორბელთა სახლს, თამარის მეფობის დასაწყისში – გამრეკელ თორელს. საქართველოს სამეფოებად დაშლის შემდეგ XV-XVI სს-ში ა-ობას გორის მოურავობასთან ერთად ზევდგინისძეები ფლობდნენ და, ფაქტობრივად, ადგილობრივი მოხელის მოვალეობებს ასრულებდნენ. ამ დროს ა. უკვე საპატიო წოდებად ითვლებოდა, ვიდრე ფუნქციურ თანამდებობად. XVI ს-იდან სამო-

ხელეო ტერმინი **ა.** საბოლოოდ გარდაიქმნა ქართლის ამ დიდებული თავადების (ზევ-დგინისძე-ამილახვრების) გვარად.

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 8, 19, 33; ხელმწიფის კარის გარიგება 1970: 40, 44, 50; ჯავახიშვილი 1982: 291; ინგროყვა 1963: 564; მესხია 1979: 104-105; შოშიაშვილი 1965: 123; ანთელავა 1983: 59, 64, 65; ქსე 1975: 392.

ამირახორები. XII-XV სს.

ლიპარიტ ორბელი – **ა.** 1160-იან წწ-ში; ქართლის ერისთავი 1170-იან – 1177/1178 წწ-ში. მანდატურთუხუცეს და ამირსპასალარ სუმბატ ორბელის ძე, ძმა მანდატურთუხუცეს და ამირსპასალარ ივანე (II) ორბელისა. გიორგი III-ის თანამებრძოლი. სამეფო კარზე მას ჯერ ამირახორის სახელო მიუღია, შემდგომ – ქართლის ერისთავის. სწორედ ამ თანამდებობით იხსენიება იგი ორბელთა აჯანყების დროს (1177/1178). აჯანყებულთათვის დამხმარე ძალის მოსაძიებლად ლიპარიტ ორბელი მეჯინიბეთუხუცეს ქავთარ ორბელთან ერთად „სპარსეთს“ გაქცეულა, მაგრამ ორბელთა ამბოხის სასტიკად ჩახშობის გამო უკან აღარ დაბრუნებულა. სტეფანოზ ორბელიანი მას სპარსეთში გადახვეწილთა შორის იხსენიებს (შდრ. ქართლის ერისთავი ლიპარიტ ორბელი).

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 9, 19; სტეფანოს ორბელიანი 1978: 47, 53; მესხია 1979: 104, 154; ანთელავა 1983: 61-62.

გამრეკელ თორელი – **ა.** 1185-1187 წწ-ში. თამარმა ეს თანამდებობა უბოძა ყუთლუ არსლანის ამბოხის შემდეგ. მალევე, 1187 წ. ამირსპასალარ სარგის მხარგძელის გარდაცვალების შემდეგ იგი გახდა საქართველოს ამირსპასალარი. გარდაიცვალა 1190/1191 წ. (სრულად იხ. ამირსპასალარი გამრეკელ თორელი).

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 33, 55; ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 122; მესხია 1979: 105.

ჟან ჩიასძე – ამირსპასალარის **ა.** [1266-1280] წწ. (სილოგვა 1989: 31).

აბაზასძე ნავროზ – ამირეჯიბი და **ა.** 1297/1298 წ. (ქისკ 1984: 184).

აბაზასძე-აბულეთისძე ხიმშია, მარილელი – **ა.** 1405 წ. (ქისკ 2013: 89).

ზევდგინისძე ავთანდილ – **ა.** 1450-ანი წწ. წწ. (ქისკ 2013: 121, 238).

ზევდგინისძე [თაყა] – ა. 1450-ანი წწ. წწ. (ქისკ 2013: 121, 238).

სანასარ – ა. (იმერეთის სამეფო), 1488 წ. (ქისკ 2014: 277).

ზევდგინიძე სულმამა – ა.1504 წ. (ქისკ 2014: 232, 233, 237).

ზევდგინისძე თაყა – ა. და მოლარეთუხუცესი XV ს-ის მინურული (ქისკ 2013: 231).

ვ. კეკელია

ამირეჯიბი – (არაბ. amir al-hājib – მეკარეთა უფროსი). საქართველოს ერთიან მონარქიაში მმართველობის ცენტრალური აპარატის მაღალი რანგის მოხელე, მანდატურთუხუცესის თანაშემწე და ეჯიბთა უფროსი. „ხელმწიფის კარის გარიგების“ თანახმად, ა-ს ჰქონდა გამორჩეული უფლება მეფისათვის მოეხსენებინა „სააჯო კარში“ შემოსულ უმნიშვნელოვანეს საჩივართა და სათხოვართა („საურავთა“) შესახებ. ამ მოვალეობის შესრულების დროს მისთვის ნებადართული იყო მეფესთან შესვლა ყველგან – სალაროში, საჭურჭლეში, სანოლში, მამინაც კი, როცა მეფე „უკაზმავი იყო“, საიდანაც მსახურთუხუცესსაც კი არ შეეძლო მისი დათხოვნა. საკარო ეტიკეტის მიხედვით, მეფესთან პირადი აუდიენციების დროსაც კი, ა. იყო მეფის ძირითადი მომხსენებელი (ივ. ჯავახიშვილი, ა. კიკვიძე). ასეთივე ფუნქცია შეეძლო შესრულებინა ეჯიბსაც. ა-ისათვის ასეთი დიდი უფლებების მინიჭება თავისთავად მოწმობს, რომ ა-ის ხელში იყრიდა თავს სახელმწიფო მმართველობისათვის დიდმნიშვნელოვანი ინფორმაცია (ივ. ჯავახიშვილი). ამასთანავე, „ხელმწიფის კარის გარიგებიდან“ ცნობილია, რომ ზედამდგომელი ეჯიბი ჰყავდა მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელსაც, რომელიც ორშაბათობით სააჯო კარში სამართალს აღასრულებდა. ამრიგად, ადგილი, საიდანაც ა. მეფისათვის მოსახსენებელ ინფორმაციას კრებდა, „სააჯო კარი“ უნდა ყოფილიყო. როგორც ირკვევა, ა. და მისი ხელქვეითი ეჯიბები აქ ახდენდნენ შემოსული სათხოვარ-საჩივრებისა და სხვადასხვა ხასიათის მოხსენებების დახარისხებას იმის მიხედვით, თუ რომლის განხილვა მართებდა უშუალოდ მეფეს ან რომელიმე სხვა მოხელეს (ი. ანთელავა). ა. იყო ერთ-ერთი იმ სამ მოხელეთაგან (სანოლის მნიგნობარი, ამირახორი, ა.), რომელსაც შეეძლო სავაზირო სხდომაზე დასწრება (ცხადია, როგორც მომხსენებელს, სათათბირო ხმის უფლების გარეშე). ა., როგორც მანდატურთუხუცესის თანაშემწე და ცერემონიემისტერი, მონაწილეობას იღებდა სასახლეში დარბაზობისა და პურობისათვის დადგენილი განაწესის შესრულებაში, რასაც ზუსტად უნდა აესახა არსებული სამოხელეო იერარქია. ა-ს მუდამ თან ახლდა პირადი მხლებელი – „ზედამდგომელი მანდატური“, რომელიც პურობის დროსაც თავს ადგა. აღვსების (აღდგომის) დღეს ა-ს უნდა მოეკითხა (მიელოცა) თავისი უშუალო უფროსის, მანდატურთუხუცესისათვის, თავად ა-ს კი, მესტუმრე (იხ.) და მერიგე მოიკითხავდა.

დარბაზობისა და პურობის ცერემონიალის გამართვაში ა. დიდ დახმარებას უწევდა მანდატურთუხუცესს. მისი საპატიო მოვალეობა იყო „ოთხთა მონაზონთა“ და „სამთა ვაზირთა“ მონვევა. მეფის წინაშე საპატიო სტუმართა წარდგომის დროს ა-ის ხელქვეითი ეჯიბი მეფის უკან დგებოდა. როდესაც მეფე მანდატურთუხუცესს მიიხმობდა პურობის დაწყების თაობაზე ბრძანების გასაცემად, ამ უკანასკნელს ა-ისათვის უნდა გადაეცა თავისი არგანი, რის შემდეგაც მანდატურთუხუცესი მას განმგეთუხუცესთან ერთად გააგზავნიდა სეფე (სამეფო) ტაბაკის შემოსატანად. ა. პირადად უდგამდა ტაბაკს უმაღლეს სამღვდელეობას.

ეჯიბები ჰყავდათ დედოფლებსა და დიდ ხელისუფლებსაც, მაგ., ამირსპასალარ და მანდატურთუხუცეს ივანე ორბელის თანამეცხედრის, პატრონ რუსუდანის „გაზრდილი“ ეჯიბი წურილასძე (ბეთანიის ეკლესიის წარწერა); ათაბაგ-ამირსპასალარ ავაგის ეჯიბი დავითი, ძე ივანე ახალციხელისა; მონღოლთა დიდი საჰიბ-დივანის, ხოჯა შამშადინის თანამეცხედრის, ხუაშაქის ეჯიბი სადუნ მანკაბერდელი და სხვ.

XIII-XIV სს-ში შემორჩენილი მასალების მიხედვით, სამეფო ა-თა თანამდებობაზე რამდენიმე თავადური საგვარეულოს (აბაზასძე, ქაჯაფაასძე, ქვენიფნეველი, ჩიჭავასძე) წარმომადგენლები ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. XV-XVI სს-ში ამ თანამდებობას ფლობდნენ გაბელისძეები. ა-ის თანამდებობის მემკვიდრეობითმა გადაცემამ გაბელისძეთა საგვარეულოში საფუძველი დაუდო ამირეჯიბთა ახალი გვარის წარმოქმნას.

წყაროები და ლიტერატურა: ხელმწიფის კარის გარიგება 1965: 83, 85, 90, 93, 96; ჯავახიშვილი 1982: 298-299; კიკვიძე 1968: 223; ანთელავა 1983: 92-93; ოთხმეზური 2009: 33-34.

ამირეჯიბების ქრონოლოგიური რიგი. XIII-XV სს.

ბეშქენ გურკლელი მახუჯაგის ძე – ა. XIII ს-ის მეორე ნახევარში. იმყოფებოდა მონღოლთა კარზე (ყარაყორუმში) მეფობის დასამტკიცებლად გაგზავნილ დავით რუსუდანის ძის ამაღალში. რუსუდანმა უფლისწულს თან გააყოლა „მცირედ თანაზრდინი მისნი“ – ქართლის ერისთავ გრიგოლ სურამელის შვილი ბეგაი და ა. ბეშქენ გურკლელი მახუჯაგის ძე. ბეგა სურამელთან ერთად იგი თან ახლდა ჰულაგუ ყაენისაგან (1256-1265) „უპატიოდ ქმნილ“ და დასავლეთ საქართველოში გადასულ ნარინ დავითს. მის შთამომავალს, სულა გურკნელს ცოლად ჰყოლია შანშე (I)-ის შვილიშვილი, მანდატურთუხუცეს ივანე (II) მხარგძელის ასული თამარი.

წყაროები და ლიტერატურა: ჟამთააღმწერელი 1959: 206, 228, 241, 252; ჯოჯუა, გაგოშიძე 2012/2013: 274.

ქობულისძე ბელე – ა. XIII ს-ის 60-იანი წწ. (ქისკ 1984: 161-164).

აბაზასძე ნავროზ – ა. და ამირახორი XIII ს-ის დამლევს. სავარაუდოდ, ჭილა აბაზასძის შვილი ან ძმა. ამ თანამდებობით მოიხსენიება იგი 1297 წ. დავით VIII-ის მიერ ჭარმაულ გრიგოლ ჭაჭნიაშვილისათვის მიცემულ წყალობის დანერჩილში. მონღოლების მხარდაჭერით გამეფებულმა ვახტანგ III-მ იგი დაამცრო და მისი მამული შალვა ქვენიფნეველს უბოძა, რის შემდეგაც ნავროზი სპარსეთში წასულა.

წყაროები: ქისკ 1984: 183-1185; ჟამთააღმწერელი 1959: 444.

ქაჯაფაძე ქავთარ – ა. XIV ს-ის პირველი ნახევარი. გიორგი ბრწყინვალის (1318-1346) მეფობაში მას საკუთარი „წრმლითა მოგებული“ თანხით აუგია ფიტარეთის ტაძარი.

წყარო და ლიტერატურა: ოთხმეზური 2009: 10.

ქვენიფნეველი იოანე – ა. და ცხრაზმის ერისთავი. XIV ს-ის 70-იანი წწ. ამ თანამდებობის მფლობელად იხსენიება იგი ნიკოლოზ კატარანისძის მიერ გადაწერილი ლარგვისის სახარების მინაწერებში. ა. იოანე დაქორწინებული იყო დავით IX-ის ასულ გულშარზე.

წყაროები და ლიტერატურა: ძეგლი ერისთავთა 1965: 110-111; მეტრეველი 1962: 106.

ჩიჭავასძე კახაბერ – ა. XIV ს-ის 80-იანი წწ. ამ პერიოდში სამეფო კარზე დიდად დანიშნურებული ჩანს ჩიჭავაძეთა საგვარეულო. ნათესაური კავშირები ჰქონდათ მათ სამეფო ოჯახთანაც. დაახლ. XIV ს-ის ბოლო მეოთხედში ა. კახაბერ ჩიჭავასძეს ცოლად ჰყოლია ულუმპია, ბაგრატ V-ის (1360-1393) ასული, რაზედაც იუნყება ულუმპიას შეწირულების საბუთი სვეტიცხოველისადმი. იგივე ფაქტი დადასტურებულია სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის სულთა მატიანეში ულუმპიას სახელზე დანესებულ მოსახსენებელში.

წყაროები და ლიტერატურა: ქისკ 2013: 71; კლდიაშვილი 2008: 165.

გაბელისძე ქუცნა (II) – ა. XIV-XV სს-ის მიჯნა. მეფე ალექსანდრე I-ის (1412-1442) პაპა, დედის, კონსტანტინე I-ის თანამეცხედრის, ნათია დედოფლის მხრიდან. ქუცნას მეუღლე რუსა იყო ალექსანდრე მეფის აღმზრდელი და თემურ ლენგის ერთ-ერთი შემოსევის შედეგად დანგრეულ სვეტიცხოველის ტაძარში სააღმშენებლო სამუშაოების დამწყები. ამასთანავე, ა. ქუცნა გაბელისძე იყო ულუმპიას და ნაბახტევის ეკლესიათა

აღმშენებელი. მისი საქტიტორო პორტრეტი ოჯახთან ერთად შემონახულია ნაბახტევის ფრესკის ფრაგმენტში.

წყაროები და ლიტერატურა: ქისკ 2013: 92-97; ოთხმეზური 2009: 10-13.

გაბელისძე რამინ – ა. 1451 წ. (ქისკ 2016: 475).

გაბელისძე შანშე – ა. 1451 წ. (ქისკ 2016: 475).

ავჯაშერ – იმერეთის სამეფო კარის ა. [1484-1510] წწ. (ქისკ 2014: 263).

გაბელისძე რამინ – იმერეთის სამეფო კარის ა. და ხაზინადარი 1497-1503 წწ. (პალ 1991: 578; ქისკ 2014: 318).

გაბელისძე ქუცნა (II) – ა. 1537/1538 წ., ქუცნა (I)-ის [შვილიშვილის შვილი] (ქისკ 2016: 144).

დ. კლდიაშვილი

ამირსპასალარი (შდრ. **სპასპეტი, სპასალარი**) – (არაბ. amir, საშ. სპარს. spāhsālār – სპასალართა ამირა, უფროსი, მთავარსარდალი სელჯუკთა სახელმწიფოში). ამ სახელწოდების თანამდებობა საქართველოში XII ს-დან ჩნდება. იგი დაკავშირებული ჩანს ცენტრალიზებული სამხედრო უწყების შექმნის აუცილებლობასთან. ივ. ჯავახიშვილი ტერმინს თამარის მეფობაში შემოღებულად თლიდა, შ. მესხიამ იგი სელჯუკთა სამოხელეო ტერმინოლოგიიდან შეთვისებულად მიიჩნია და დავით აღმაშენებლის ეპოქას დაუკავშირა. საქართველოში ა-ის სახელო გენეტიკურად უკავშირდებოდა მანამდე არსებულ უაღრესად ხანგძლივი ტრადიციის მქონე, „სპასპეტის“ ადგილობრივ ინსტიტუტს და, შესაბამისად, არსობრივად განსხვავდებოდა სელჯუკური ინსტიტუტისაგან (შ. მესხია). XI ს-ში, დავითის მეფობამდე, უმაღლესი სამხედრო ხელისუფალი იყო „სპასალარი“, რომელსაც, სპასპეტის მსგავსად, შენარჩუნებული ჰქონდა ერისთავთა „უხუცესობა“, „მთავრობა“. „სპასალარად“ იწოდებოდა ლიპარიტი (IV) ბაღვაში და მისი ძე ივანე ბაღვაში, რომლებიც თავიანთი სპასალარობით სამეფოს „თავადთა“ შორის პირველ მოხელეებს წარმოადგენდნენ (ი. ანთელავა).

ქვეყნის გაერთიანების კვალად, რამდენიმე სასპასალაროს თავმოყრამ ერთიან სამხედრო ორგანიზაციაში გამოიწვია სპასალართა „უხუცესის“ – ამირსპასალარის სახელოს შემოღების აუცილებლობა. დავით აღმაშენებელმა გაითვალისწინა რა უახლოესი წარსულის გამოცდილება სპასპეტ-სპასალართა მწვავე დაპირისპირებისა სამეფო ხელისუფლებასთან, ცენტრალური აპარატის ორგანიზაციაში პირველი ადგილი არა ა-ს., არამედ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს (იხ.) მიაკუთვნა; მასვე მიაკუთვნა სპასპეტ-სპასალარების ტრადიციული პრეროგატივა „მეფის მამობისა“. ამ გზით მან შეძლო სპასპეტ-მამამძუძის ინსტიტუტის ლიკვიდაცია და მის საპი-

რისპიროდ მნიგნობართუხუცესის, „მეფის მამის“ სახელოს შექმნა (ნ. ბერძენიშვილი, ი. ანთელავა).

„ხელმწიფის კარის გარიგების“ თანახმად, ა. იყო „თავადი ლაშქართა“, რომლის თანხმობის გარეშეც მიწის „გაცემა“ და „სამამულო“ შეწყალება არ ხდებოდა; ლაშქრობის „თათბირიც“ ა-ის პეროგატივა იყო: „ლაშქრობა და ლაშქრობის ვაზირობა ამირსპასალარის კელთ არს. მას წინათ არავინ იტყვის, რა ვეზირობა იყოს“. ამგვარად, „ვეზირობაზე“, ანუ სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე მამულის გაცემასთან და ლაშქრობებთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას გადამწყვეტი სიტყვა ა-ს ეკუთვნოდა.

სასახლის უწყებრივ სტრუქტურაში ა-ს ექვემდებარებოდა „საჯინიბოს“ და „ზარადხანის“ შიდასაუწყებო დანესებულებანი, რომლებსაც იგი ხელმძღვანელობდა ამილახორის (იხ.) მეშვეობით. ა-ს, როგორც უმაღლეს სამხედრო ხელისუფალს, ემორჩილებოდნენ ერისთავები და „საქვეყნოდ გამრიგე“ ის მოხელეები, რომლებიც საერისთავოებში სამხედრო საქმეს განაგებდნენ. სამხედრო ბირთვს, „სამეფოს სპას“ სწორედ საერისთავოებიდან გამოსული ლაშქარი შეადგენდა. მას ა. სარდლობდა, როგორც ერისთავთა „უხუცესი“ და მთავარი ერისთავი. ა-ის სახელოში შედიოდა აგრეთვე ფულად სარგოზე დამყარებული „როქის სპა“ და დავით ამაშენებლის დროს ჩამოყვანილი ყივჩაღთა ლაშქარი; რაც შეეხება „ტაძრეულ სპას“ (დომენის ლაშქარს) და ციხე-ქალაქთა გარნიზონებს, სავარაუდოდ, ისინი მსახურთუხუცესს ექვემდებარებოდნენ (ი. ანთელავა). ა. როგორც მთავარსარდალი, ემორჩილებოდა მხოლოდ მეფეს და (თამარის მეფობაში მეფე-ქმარსაც). მას დამოუკიდებლად უფლება არ ჰქონდა შეეყარა ლაშქარი, ან გაეტარებინა რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება (შ. მესხია).

დავით აღმაშენებლის დროიდანვე ა-ს, სავარაუდოდ, ეპყრა მეორე ძალოვანი უწყების, მანდატურთუხუცესის თანამდებობაც. ორივე ხელი XII ს-ის დასაწყისიდან ვიდრე 1177 წ-მდე ორბელთა საგვარეულოს ხელში იყო. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, „პატივი მისი (ა-ის) და მანდატურთუხუცესისა სწორი“ იყო. XIII ს-ის დამდეგს, როდესაც თამარმა შემოიღო ათაბაგის სახელო და ივანე ათაბაგის ხელში ფაქტობრივად შეაერთა ა-ობასთან, თავიდან „აღდგა უძველესი ტრადიცია „სპასპეტ-მამამძღისა“. საქართველოს მეფეს ერთდროულად „ორი მამა“ გაუჩნდა მნიგნობართუხუცესისა და ათაბაგ-ამირსპასალარის სახით“ (შ. მესხია). მონღოლთა ბატონობის ხანაში ათაბაგ-ა-ის ინსტიტუტმა უკიდურესად შეავიწროვა და საბოლოოდ გაუქმებამდე მიიყვანა მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის ინსტიტუტი.

სამეფო კარის სამოხელეო ეტიკეტი საუკეთესოდ გამოხატავს ა-ის მაღალ მდგომარეობას სახელმწიფოში. „ხელმწიფის კარის გარიგების“ თანახმად, ა. ათაბაგთან და მანდატურთუხუცესთან ერთად შედიოდა სამთა ვაზირთა – „საბატიო დარბაისელთა“ შემადგენლობაში. მისი სასახლეში მიწვევა ვაზირთა სათათბირო სხდომებსა თუ

საზეიმო დარბაზობებზე, მომსახურება და გაცილება სასახლის საპატიო მოხელეების მოვალეობას შეადგენდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ა-ის სახელოსთან ხშირად შეერთებული იყო მანდატურთუხუცესის (XII ს.) ან ათაბაგის (XIII ს.) სახელოები, გამოდის, რომ ა. უაღრესად ფართო უფლებამოსილებებით იყო აღჭურვილი სახელმწიფო მოხელე იყო. ა-ის ინსტიტუტმა არსებობა შეწყვიტა საქართველოს სამეფოს პოლიტიკური დაშლის შედეგად.

წყაროები და ლიტერატურა: ხელმწიფის კარის გარიგება 1965: 85-86, 90, 93, 96; ჯავახიშვილი 1982: 282; ბერძენიშვილი 1966: 36; მესხია 1979: 18-19, 303-308; ანთელავა 1983: 129-130, 137.

საქართველოს ამირსპასალარები. XII-XIV სს.

ივანე (I) ორბელი – ა. და მანდატურთუხუცესი XII ს-ის პირველ მეოთხედში; დავით აღმაშენებლის თანამებრძოლი. ისტორიკოსი სტეფანოს ორბელიანი მას „დიდ სპასალარს“ უწოდებს: „დიდმან სპასალარმან იოანე ორბელიანმან ფრიად განავრცელა საზღვარი ქართლისა. ებრძოდა თურქთა და წაართვა ტფილისი, ლორე და ანი რიცხუსა ფო~ბ“ (1123 წ.). დავითის ისტორიკოსი იუწყება, რომ გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესმა ივანე ორბელის თანდგომით „მოიპარა“ თურქთაგან სამშვილდე და საქართველოს საზღვრებში დააბრუნა. ამ ცნობაში ისტორიკოსი ივანეს მხოლოდ სახელით მოიხსენიებს, მაგრამ მკვლევართა დასაბუთებული ვარაუდით, შეუძლებელია იგი ამ დროს ა. არ ყოფილიყო. ჰნევეანქის სომხური მონასტრის მთავარი ტაძრის 1154/6 წ-ის დაზიანებულ სააღმშენებლო წარწერაში ივანე ერთდროულად [მანდატურთუხუცესად] და ა-ად იხსენიება. იგი ამ თანამდებობებს ფლობს გარდაცვალებამდე (1128). წყაროთა ჩვენებით, ივანე ორბელმა, როგორც მთავარსარდალმა, განეული სამსახურისათვის მეფისაგან მიიღო ლორე (სადაც მას შემდგომში რეზიდენცია ჰქონდა) და სამშვილდე გარეშემო მდებარე დაბებით.

წყაროები და ლიტერატურა: სტეფანოს ორბელიანი 1978: 38-39; დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი 1955: 331; მელიქსეთ-ბეგი 1964: 317-319; მესხია 1979: 19-20; მურადიანი 1977: 137-146; სილოგავა 1994: 44-45.

სუმბატ (სვიმონ-ქმნილი) ორბელი – ივანე ორბელის ძე, ა. და მანდატურთუხუცესი, ამ თანამდებობებით იხსენიება იგი სანაინის სომხურ, ჰნევეანქისა და ბეთანიის ქართულ წარწერებში. 1155 წ-ის სამეფო გადატრიალების შედეგად, დავით დემეტრეს ძის ექვსთვიანი მეფობისას მას ჩამოერთვა ეს თანამდებობები და დემეტრე I-ის მსგავსად, სვიმონის სახელით, ბერად იქნა აღკვეცილი. მანდატურთუხუცესი და ა. დიდი სუმბატი

გამოსახულია ბეთანიის საგვარეულო მონასტერში ბერმონაზვნის ჩოხით, თავის შვილ ივანე ორბელთან ერთად.

წყაროები და ლიტერატურა: მესხია 1979: 13-15. მელიქსეთ-ბეგი 1964: 137-146. მურადიანი 1977: 137-146. სილოგავა 1994: 44-45.

ქირქაშ აბულეთის ძე – ა. 1155 წ. 1155 წ-ის გადატრიალების შემდეგ, დავით V დემეტრეს ძის ხანმოკლე მეფობაში ა-ობა ქირქაშ აბულეთისძეს მიუღია. ამ პირის შესახებ მცირეოდენი ცნობები შემონახულია სომეხ ისტორიკოს ვარდანთან. ქირქაშის მამა ივანე აბულეთისძე მამისაგან (აქ: დემეტრე I) განდგომილი დავით უფლისწულის თანამზრახველი ყოფილა, რის გამოც იგი დემეტრეს ბრძანებით მოუკლავთ. ივანეს შვილი ქირქაში გაქცეულა, მაგრამ შეუპყრიათ და საპატიმროში დაუმწყვდევიათ. დავითმა ტახტზე ასვლისას გაათავისუფლა ქირქაში და ა-ობა უბოძა. 1156 წ., დავითის გარდაცვალების შემდეგ, ქირქაში სუმბატ და ივანე (II) ორბელებს მოუკლავთ.

წყაროები და ლიტერატურა: დავლიანიძე 1968: 31; მესხია 1979: 17.

ივანე (II) ორბელი – ა. და მანდატურთუხუცესი; გიორგი III-ის კარის წარჩინებული, სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწე 1160-იანი წ-იდან 1177/1778 წ-მდე. ამ სამოხელეო თანამდებობებით მოიხსენიება იგი ქართულ და სომხურ ეპიგრაფიკულ ძეგლებში და ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში. ივანე ორბელმა, როგორც მხედართმთავარმა, დიდი როლი შეასრულა მაჰმადიანთა შემოტევების მოგერიებისა და საქართველოს სამხრეთი საზღვრების შემომტკიცების საქმეში; იგი მონაწილეობდა ანისისათვის გადახდილ არა ერთ ბრძოლაში. 1174 წ., როცა გიორგი III-მ შადადიანებს წაართვა ანისი, იგი სამართავად ივანე ორბელს გადასცა. გარდა ანისისა, ივანეს დიდი წვლილი შეჰქონდა საქართველოს შემადგენლობაში შემოსული სხვა სომხური სამფლობელოების (დვინის ოლქი) დაცვის საქმეში.

ივანე (II) დანათესავებული იყო ორ სამეფო ოჯახთან: ერთი მხრივ, ლორე-ტაშირის კვირიკიან მეფეთა სახლთან – მისი მეუღლე რუსუდანი იყო კვირიკე III-ის ასული; მეორე მხრივ, საქართველოს სამეფო სახლთან – ივანეს ასული იყო დავით V-ის ძის, უფლისწულ დემნას მეუღლე (სტეფანოს ორბელიანი). ამ ნათესაურმა კავშირებმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მის მიერ 1177/1178 წ-ის დემნა უფლისწულის ამბოხად ცნობილი დიდი აჯანყების მოთავეობა, რომელიც მიზნად დემნა უფლისწულის გამეფებას ისახავდა. აჯანყებულები დამარცხდნენ, გიორგი III-მ ივანე ორბელი სასტიკად დასაჯა (დააბრმავა) და ჩამოართვა მის ხელთ არსებული თანამდებობები.

წყაროები და ლიტერატურა: სტეფანოს ორბელიანი 1978: 41-42; აბდალაძე 2005: 33-34; 36-39, 90-104; სილოგავა 1994: 48.

ყუბასარი – ა. 1177/78 – 1185 წწ-ში. ორბელთა აჯანყების დამარცხების შემდგომ გიორგი III-მ ა-ის და მანდატურთუხუცესის სახელოები გადასცა ნაყივჩალარ ყუბასარს, რომელმაც დიდად უერთგულა მეფეს აჯანყების მიმდინარეობისას. სავარაუდოდ, მანამდე იგი საქართველოში ჩამოსახლებულ ყივჩაღთა ჯარის უფროსი იყო. სტეფანოს ორბელანის ცნობით, გიორგი III-მ „მისცა ყივჩაღსა მას ყუბასარს ... ალაგი მთავრობისა მათისა (ორბელთა) და ამყოფა სპასალარად, გინა სპასპეტად ყოვლისა საქართველოისა“. თამარის პირველი ისტორიკოსი ა-ად მოიხსენიებს მას თამარ მეფის დედის, ბურდუხან დედოფლის გარდაცვალების ეპიზოდში. ისტორიკოსი მას ახასიათებს „კარგ მოყმედ და ჭაბუკად“, „პატრონთაგან გაზრდილად“. თამარის გამეფების დროს იგი უკვე დასნეულებული ყოფილა „ფილენჯად ნოდებული“ სენით და წართმეული ჰქონია მეტყველება და ხელ-ფეხი. დიდგვაროვანმა აზნაურებმა თამარისაგან „განიდებულ უგვართა“ (ყუბასარი, აფრიდონი) გადაყენება მოითხოვეს. თამარმა ყუბასარს მხოლოდ სამოხელეო თანამდებობები და მასთან დაკავშირებული ლორე ჩამოართვა, დანარჩენი ქონება კი გარდაცვალებამდე ხელუხლებლად დაუტოვა.

წყაროები და ლიტერატურა: სტეფანოს ორბელიანი 1978: 54; ისტორიანი და აზმა-ნი შარავანდედთანი 1959: 25, 30.

სარგის (I) მხარგრძელი – ზაქარია (I) მხარგრძელის ძე, ა. 1185-1187 წწ. მხარგრძელთა საგვარეულომ რამდენიმე ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწე მისცა საქართველოს სამეფოს, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ სარგის (I) მხარგრძელი, მისი ძეები – ზაქარია და ივანე მხარგრძელები. მხარგრძელთა წინაპრები ყოფილან ქურთები, რომლებსაც დაახლოებით, XI ს-ის შუა ხანებში დაუტოვებიათ თავიანთი პირველსაცხოვრისი – „ბაბილონის ქვეყანა“ და დასახლებულან ქვემო ქართლში, იმჟამად ტაშირ-ძორაგეტის სომხურ სამეფოში. მალე ამ სამეფოს მიწა-წყალი (XI ს-ის 60-იანი წწ.) ქართულმა სახელმწიფომ დაიბრუნა. მხარგრძელთა რეზიდენცია ხოჟორნი (ჩრდილოეთ სომხეთი) XII ს-ში ორბელთა საგანმგებლოში შედიოდა, რის გამოც მხარგრძელები ორბელთა ვასალები გამხდარან. პირველი ცნობები სარგის (I)-ის შესახებ ქართულ წყაროებში გიორგი III-ის დროიდან ჩნდება. 1161 წ. შადადიანებისათვის ანისის წართმევის შემდეგ, ა-მა ივანე ორბელმა, სავარაუდოდ, სარგისი დანიშნა ანისში თავის „თანაშემწედ“. 1174-1178 წწ-ში ანისის ხელმეორედ შემოერთებისას ივანე ორბელს ქალაქის მმართველობაში სარგისისათვის კვლავ უნდა გადაებარებინა მაღალი თანამდებობა. აღარწინის წარწერაში სარგისი ანტონ ჭყონდიდელთან ერთად „დიდ იშხანთა“ შორისაა მოხსენიებული და „ამირად“ იწოდება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მოცემულ შემთხვევაში „მისი ამირობა“ ძორაგეტის მთავრობას გულისხმობდა. ანისის ფლობა-გამგებლობასთან ჩანს დაკავშირებული სარგისის

მიერ „შაჰანშაჰის“ (სპარს. შაჰან-შაჰან, მეფეთ-მეფე) ტიტულის ფლობა, რითაც იგი მოხსენიება თანადროულ წყაროებში (შ. მესხია).

1177/1178 წ. ორბელთა ამბოხების დროს სარგის მხარგძელი ორბელთა ვასალობიდან გამოდის და უშუალოდ მეფის მფარველობაში შედის. არ არის გამორიცხული, რომ ამ ნაბიჯს და მხარგძელთა შემდგომ აღზევებას გარკვეულწილად ხელი შეუწყოს მისმა ნათესაურმა კავშირებმა და თბილისის მმართველ ოჯახთან მოყვრობამ (მას ცოლად ჰყავდა არწრუნთა შთამომავალი, ვაჰრამის ქალიშვილი საგდუხტი, თბილისის ამირა ვასაკის და ქურდის და; მისი ასული ვანენი კი დაქორწინებული იყო აბასზე, სომეხ კვირიკიანთა შთამომავალზე. სარგის მხარგძელი ა-ად დაინიშნა 1185 წ. ყუთლუ არსლანის ამბოხის შემდეგ. თამარის პირველი ისტორიკოსის დახასიათებით, იგი იყო „კაცი გუარიანი და აღზრდილი ლაშქრობათა შინა და ჭაბუკობათა“, მას თამარმა „უბოძა ლორე სათავადო და სამთავრო სომხითსა შინა, და წყალობა ყო ძისაცა მისისა ზაქარიას დალოცვითა, და ითაყუნა დარბაზის ყმად უმცროსი შვილი მისი ივანე“. დვინის ლაშქრობის შემდგომ ახლო ხანებში, 1187 წ. სარგისი გარდაიცვალა.

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 6, 33; მესხია 1979: 223, 276-277, 280-282, 285, 287-288, 291.

გამრეკელ თორელი – ამირახორი 1185-1187 წწ-ში; ა. 1187-1191 წწ-ში. ამირახორობა თამარმა გამრეკელ თორელს უბოძა ყუთლუ არსლანის დასის გამოსვლის შემდეგ, ხოლო 1187 წ., ხოლო ა. სარგის მხარგრძელის გარდაცვალების შემდეგ გამრეკელ თორელი „ამირსპასალარიცა იქმნა“ (ისტორიანი და აზმანი). გამრეკელის სარდლობით განდევნა ქართველთა ჯარმა გელაქუნის თურქები, მისი წინამძღოლობით თამარმა გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა ჯავახეთში თავმოყრილ აჯანყებული გიორგი რუსის მომხრეებზე. იგი გარდაიცვალა 1190/1191 წ. თამარ მეფისა და დავით სოსლანის ქორწინების ახლო ხანებში (ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი). თამარის პირველი ისტორიკოსის დახასიათებით, მის შვილებს თამარმა ყველა წყალობა შეუნაჩუნა გარდა თმოგვისა, რომელსაც იგი, სავარაუდოდ, ა-ობით ფლობდა.

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 33, 55. ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი 1959: 122. მესხია 1979: 105.

ჭიაბერი – მანდატურთუხუცესი და ა. 1190-1191 წწ-ში გამრეკელ თორელის გარდაცვალების შემდეგ მცირე ხნით (1190-1191) ჭიაბერი მანდატურთუხუცესის სახელოსთან ერთად ა-ის ხელის მფლობელიც უნდა ყოფილიყო (შ. მესხია). ამ თანამდებობებით იხსენიება იგი მის მიერ მღვიმისადმი მიცემული „დანერილის“ თავში,

ხოლო დამტკიცებებში – მხოლოდ მანდატურთუხუცესად (სრულად იხ. მანდატურ-თუხუცესი ჭიაბერი).

წყაროები და ლიტერატურა: ქისკ 1984: 95-98; მესხია 1979: 105.

ზაქარია (III) მხარგძელი – ა. სარგის მხარგძელის ძე, „დიდი იშხანი“, ა. 1190/1191–1207/1210/1212 წწ.; მანდატურთუხუცესი 1206 წ-დან გარდაცვალებამდე. გამრეკელ თორელის გარდაცვალების შემდეგ, თამარის ისტორიკოსების ცნობით, თამარ მეფემ ა-ობა უბოძა ზაქარიას, „მჯდომსა სომეხთა მეფის ადგილსა, პატრონსა ლორისასა“. მასვე, „მოყმესა ღირსსა სპასპეტობისასა“, დამატებით მისცეს ქალაქი რუსთავიც, ხოლო ა. გამრეკელ თორელის საგანმგეო თმოგვი სარგის ვარამის ძეს უბოძეს. 1199 წ. ანისის ხელახალი შემომტკიცების შემდგომ თამარმა იგიც ა. ზაქარიას გადასცა. ანისის ფლობამ ზაქარიას შემატა „შაჰინშაჰის“ ტიტულიც (შ. მესხია). სომხურ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ანი-შირაკის მფლობელ მხარგძელთა ეს ტიტული იმის მიმანიშნებელია, რომ „ზაქარიანებმა“, როგორც სომეხი ბაგრატიუნების მემკვიდრეებმა, ფაქტობრივად აღადგინეს სომხური სახელმწიფო, რომელიც მხოლოდ ფორმალურად ცნობდა საქართველოს სამეფოს უზენაესობას. ამ მოსაზრების საპირისპიროდ ქართულ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ ამგვარი დასკვნების საფუძველს ზაქარია მხარგძელისა და მისი ვაჟის ტიტული „შაჰინშაჰი“ არ იძლევა, რამდენადაც ის ჯერ კიდევ XII ს-ის შუა ხანებში საკუთარ სახელადაა დადასტურებული, ასევე საკუთარი სახელია იგი ზაქარიას შთამომავლებში (ა. აბდალაძე).

1206 წ. ჭიაბერის გარდაცვალების შემდეგ, ზაქარია ა-მა მანდატურთუხუცესის სახელოც მიიღო. ამის შემდეგ ეს თანამდებობაც გარკვეული ხნის განმავლობაში მხარგძელთა სახლის სამემკვიდრეო თანამდებობად იქცა (შ. მესხია).

ზაქარია, მიუხედავად იმისა, რომ „გარნა ყოვლითურთ მართლმადიდებლობისა მოსავი“ იყო, მისი ძმის, მსახურთუხუცეს ივანესაგან განსხვავებით, ბოლომდე სომხური (ანტიქლკედონური) სარწმუნოების ერთგული დარჩა. თამარის ისტორიკოსთა თანახმად, მისი წინადადებით მოეწყო ქართველ-სომეხი სამღვდელოების პაექრობა სარწმუნოების შესახებ, რომელიც სომეხთა დამარცხებით დამთავრდა. მიუხედავად ანტიქლკედონური რწმენისა, ზაქარია, როგორც მთავარსარდალი, რათა ჯარში შესაძლო დაპირისპირებები თავიდან აეცდინა, რწმენის საკითხებში კომპრომისული გადაწყვეტილებების მოძებნას ცდილობდა. მაგ., მოლაშქრეთათვის მოწყობილ საველე ეკლესიებში მას უცდია სომხური და ქართული საეკლესიო კალენდრების დაახლოება (შ. მესხია). სპარსეთის ლაშქრობიდან გამარჯვებული და დიდი ალაფით დაბრუნებული ა. და მანდატურთუხუცესი ზაქარია მალევე გარდაიცვალა, ცოტა ხნით ადრე თამარის გარდაცვალებამდე. ამიტომ მისი გარდაცვალების თარიღი სამეცნიერო ლი-

ტერატურაში ისევე საკამათოა, როგორც თავად თამარის გარდაცვალების თარიღი –1207, 1210 ან 1212 წწ.

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 55, 81-90; ბასილი ეზოსმოძღუარი 1959: 123; მესხია 1979: 264, 300; აბდალაძე 2005: 123-124.

ივანე (I) მხარგძელი – სარგის მხარგძელის ძე, ზაქარია ამირსპასალარის ძმა. თამარის კარის გამოჩენილი სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწე. მსახურთუხუცესი და ათაბაგ-ამირსპასალარი 1205 წ-დან. (სრულად იხ. ათაბაგი ივანე ივანე (I) მხარგძელი).

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 137-138; ანთელავა 1983: 136.

შანშე/შაჰანშა (II) მხარგძელი – ზაქარია მხარგძელის ძე, მანდატურთუხუცესი 1123–1262 წწ-ში; ა. 1240-იან–1262 წწ-ში. ისტორიკოს ვარდანის ცნობით, ზაქარიას მისთვის საგანგებოდ დაურქმევია შაჰანშაჰი (შანშე), რითაც სურდა ხაზი გაესვა ანისის მიმართ მის მემკვიდრეობით უფლებებზე. მამის გარდაცვალების შემდეგ შანშე ივანე ათაბაგის მეურვეობით აღიზარდა. ა-ად იწოდება მცირეწლოვანი შანშე ანისის 1215 წ-ის წარწერაში, მაგრამ ფაქტობრივ ამ სახელოს ფლობდა მისი ბიძა და მეურვე ათაბაგი ივანე მხარგძელი. შანშე ა-ის მოვალეობას ასრულებდა დროებით, 1240-იანი წწ-ში ავაგ ათაბაგის ურდოში ყოფნის დროსაც (სრულად იხ. მანდატურთუხუცესი შანშე (II) მხარგძელი).

წყაროები და ლიტერატურა: ჟამთააღმწერელი 1959: 169, 180-187, 190-192, 208, 212-213; ქისკ 1984: 116, 120; მესხია 1979: 45-46, 272-273, 316; ჯოჯუა, გაგომიძე: 2012/2013: 265-269, 270-272.

ავაგ მხარგძელი – ივანეს ათაბაგის ძე, ა. და ათაბაგი 1227–1250 წწ-ში; „ვაზირთუხუცესი“, საქართველოს უპირველესი მოხელე. ხანგრძლივად (ხუთი წელი) იმყოფებოდა ურდოში რუსუდან მეფის დავალებით. ამ დროის განმავლობაში ა-ის მოვალეობას ასრულებდა ავაგის ბიძაშვილი, ზაქარია ამირსპასალარის ძე და ამ სახელოს მემკვიდრე შანშე (II), რასაც ადასტურებს 1246 წ-ის ორომოსის და ანისის სომხურ წარწერებში მისი მოხსენიება „სპასალარად“ და „სპარაპეტად“. ავაგის უმემკვიდრეოდ გარდაცვალების შემდგომ ა-ის სახელო შანშე (II)-ის სახლში გადავიდა და იგი შანშეს ძემ ზაქარიამ დაიკავა (სრულად იხ. ათაბაგი ავაგ მხარგძელი).

წყაროები და ლიტერატურა: ჟამთააღმწერელი 1959: 171, 173, 197; მესხია 1979: 312-313.

ზაქარია (III) შანშე (I)-ის ძე – ა. 1250–1262 წწ-ში. ავაგის გარდაცვალების შემდეგ 1250 წ. ა-ის სახელო შანშეს სახლში დაბრუნდა და იგი ულუ დავითის დროს შანშე (I)-ის უფროსმა ძემ, ზაქარია (III)-მ დაიკავა (ყამთაალმწერელი). ზაქარია ა-ად მოიხსენიება ჯერ კიდევ ავაგ ათაბაგისა და მანდატურთუხუცეს შანშე (I)-ის სიცოცხლეში. როგორც ა., ყამთაალმწერელთან იგი დასახელებულია იმ ქართველ დიდებულთა შორის, რომლებმაც ლაშა გიორგის ძეს საზეიმო დახვედრა მოუწყვეს. შანშეს და ავაგის სახლებს შორის ა-ის სახელოს დასასაკუთრებლად ფარული ურთიერთქიშპი და დაპირისპირება განსაკუთრებით აშკარა გახდა, როცა შანშე მხარგძელმა ლაშას ძე დავითს დაუჭირა მხარი, ხოლო ავაგ ათაბაგი დავით რუსუდანის ძის ბანაკში აღმოჩნდა (ყამთაალმწერელი), თუმცა ორივე დავითის გამეფებამ ამ ურთიერთდაპირისპირებას საფუძველი გამოაცალა. დავით ულუსადმი ა. ზაქარიას ერთგულება განპირობებული იყო მისი ქორწინებითაც „უხტიაცის“ (ოლთისის) მფლობელ მეჭურჭლეთუხუცეს და სამცხის სპასალარ სარგის (I) ჯაყელის ასულზე (კირაკოს განძაკეცი). რამდენადაც სარგისი მონღოლების წინააღმდეგ ამბოხებულ დავით ულუს ედგა მხარში, ზაქარიაც მონღოლებს განუდგა და დავით ულუსთან ერთად დავით ნარინთან გადავიდა ქუთაისში. მცირე ხნის შემდეგ, 1261/1262 წ. იგი ულო ყაენის კარზე ფიცით მიიტყუეს და მოკლეს. მალევე მწუხარებით აღესრულა ზაქარიას მამა, მანდატურთუხუცესი შანშეც (ყამთაალმწერელი).

წყაროები და ლიტერატურა: ყამთაალმწერელი 1959: 219, 227, 250; მესხია 1979: 314, 269, 314, 315.

ივანე აბულეთის ძე – ათაბაგ-ა. 1262–1272 წწ-ში. 1260-იან წლებში დემეტრე II-ის მეფობის პირველ წლებში ათაბაგისა და ა-ობის სახელოები მცირე ხნით კვლავ ერთი პირის ხელში გაერთიანებულა. ეს პირი იყო დემეტრე II-ის თანამებრძოლი ივანე აბულეთისძე (სრულად იხ. ათაბაგი ივანე აბულეთისძე).

წყაროები და ლიტერატურა: ყამთაალმწერელი 1959: 282; ბერძენიშვილი 1966ა: 74-113; შანიძე, ცისკარიშვილი 1968: 17-26; კიკნაძე 1982: 195; მურადიანი 1977: 228-229.

სადუნ მანკაბერდელი – ათაბაგი და ა. 1272–1281/1282 წწ., გასომხებული ქურთი, მისი პოლიტიკური კარიერა დაიწყო ავაგ მხარგრძელის ასულის ეჯიბობით (1272 წ-დე). მონღოლთა სამსახურში დაწინაურებული და საქართველოს ათაბაგის თანამდებობამდე აღზევებული, ჭკვიანი მედროვე, დიდი სიმდიდრისა და გავლენის პატრონი. გარდაიცვალა 1782 წ. (სრულად იხ. ათაბაგი სადუნ მანკაბერდელი).

წყაროები და ლიტერატურა: ყამთაალმწერელი 1959: 270; მესხია 1979: 317; მურადიანი 1977: 177. 228-229.

ხუტლუბულა – სადუნ მანკაბერდელის ძე, ა. 1282–1289 წწ-ში; ათაბაგი და ა. 1289/1290–1293 წწ-ში. სადუნის გარდაცვალების (1282) შემდეგ, დემეტრე II-მ მის ძეს, ხუტლუბულას მხოლოდ ა-ობა უბოძა – „სპასპეტობისა პატივსა აღიყვანა“, რითაც ცდილა ა-ის და ათაბაგის სახელოების კვლავ გათიშვას. ამით მეფეს ხუტლუბულას დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია. ხუტლუბულამ, როგორც კი შესაძლებლობა მიეცა, უაღრესად დაამძიმა დემეტრე მეფის მდგომარეობა მისი საქმის განხილვის დროს მონღოლთა წინაშე. დემეტრეს სიკვდილით დასჯის (1289) შემდეგ ხუტლუბულას რეკომენდაციით გაამეფეს მონღოლებმა აღმოსავლეთ საქართველოში დავით ნარინის ძე ვახტანგ II (1289-1293). ვახტანგ II-ისაგან ხუტლუბულამ ათაბაგისა და ა-ის სახელოები კვლავ ერთად მიიღო და რამდენიმე წლით მოახერხა დიდი ძალაუფლების ხელში ჩაგდება. 1293 წ-ის შემდეგ მისი სახელი წყაროებიდან ქრება.

წყაროები და ლიტერატურა: ჟამთააღმწერელი 1959: 282, 284, 289-291; მესხია 1979: 317. კიკნაძე 1982: 189.

მხარგრძელი – შანშე (I)-ის ძე, ა. 1285 წ., ათაბაგი და ა. დემეტრე II-ის მეფობის მიწურულს. ამ თანამდებობებით იხსენიება იგი 1285 წ-ის არუჭის, აგრეთვე სანაინისა და უთრილის სომხურ წარწერებში.

წყაროები და ლიტერატურა: მესხია 1979: 317.

შანშე (II) მხარგრძელი – დიდი შანშეს (I) შვილიშვილი, მანდატურთუხუცეს ივანე (II) მხარგრძელის ძე, ათაბაგ-ა. XIII ს-ის 90-იანი წწ-ის მეორე ნახევარში 1310 წ-მდე; მონღოლთა სამსახურში ჩამდგარი მოხელე; იმდროინდელი პოლიტიკური მოვლენების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე. იგი მოციქულობდა ყაზან ყაენს ბექა ჯაყელთან, რათა მასთან აღსაზრდელად გამოეგზავნა ყრმა გიორგი (მომავალი გიორგი V). ჟამთააღმწერელი შანშეს დავით VIII-ის წინააღმდეგ მონღოლთა სადამსჯელო ექსპედიციის წევრად მოიხსენიებს. „ათაბაგ-ამირსპასალარი შაჰანშა“ იხსენიება 1310 წ-ის ერთ-ერთ სომხურ წარწერაში, ხოლო მხოლოდ ათაბაგად მისი ძმის, ათაბაგ ვაჰრამის, საფლავის ქვის ქართულენოვან ეპიტაფიაში.

წყაროები და ლიტერატურა: ჟამთააღმწერელი 1959: 304, 306, 308, 309; მესხია 1979: 317; მურადიანი 1977: 178.

ყვარყვარე (I) ჯაყელი – მანდატურთუხუცეს ბექა (I)-ის ძე, ა. და სამცხის სპასალარი 1334-1361 წწ-ში. XIV ს-ის შუახანებიდან ა-ის სახელო სამცხის მმართველ ჯაყელთა ხელში გადავიდა. ამ პერიოდში ა-ობის მფლობელია მანდატურთუხუცეს ბექა (I)-ის (1285-1308) მეორე ვაჟი ყვარყვარე (I). იგი ა-ად იწოდება ზარზმის

ფრესკულ წარწერაში, ხოლო ანჩის ომფორზე მოთავსებულ წარწერაში იგი გარდაცვლილად („სულკურთხეული“) და „ამირსპასალარად და სამცხის სპასალარად“ იწოდება.

წყაროები და ლიტერატურა: ჟორდანიას 1897: 186; თაყაიშვილი 1914: 183; ბერიძე 1954: 125.

აღბულა (I) ჯაყელი – ძე სამცხის სპასალარ ყვარყვარე I-ისა, ა. და სამცხის სპასალარი 1361-1391 წწ-ში., სჯულმდებელი. აღბულა ა-ად იხსენიება ბექა-აღბულას სამართლის შესავალში, ზესხევის (ხოვლეს) ეკლესიის წარწერებსა და ხელნაწერთა მინაწერებში (სრულად იხ. ათაბაგი აღბულა ჯაყელი).

წყაროები და ლიტერატურა: სამართალი ბექასი და აღბულასი 1963: 425, 450; ქისკ 2014: 20; კლდიაშვილი 1986: 64-70.

დ. კლდიაშვილი

ასასი – (არაბ. ‘sas – დარაჯი, მოთვალთვალე). ქალაქის საპოლიციო აპარატის დაბალი რანგის მოხელე, მოურავის იასაული. აღმოსავლეთის დიდი ქალაქების ხელისუფლები (ამირები, ტარულები) ა-ებისა და მათი მეთაურის – ასასბაშის – საშუალებით ახერხებდნენ წესრიგის დაცვას. საქართველოს ქალაქებშიც ა-ები, ე.წ. „მოურავის ხალხი“, ორი-სამი კაცის შემადგენლობით, მუდმივად თან ახლდნენ მოურავს (იხ.). ისინი უშუალოდ მოურავს მოახსენებდნენ მოსალოდნელ ან ჩადენილ დანაშაულებათა შესახებ და აღასრულებდნენ მის განკარგულებებს. ა-ის მოვალეობათა შესახებ დეტალურადაა საუბარი იოანე ბატონიშვილის პროექტში სახელმწიფო წყობილების რეფორმის შესახებ (1799). ა-ებს ღამით ქურდებისაგან უნდა დაეცვათ სავაჭრო ადგილები, სახლები და სხვ.; უნდა შეეპყროთ სამართალდამრღვევები და წარედგინათ მოურავისთვის; დახმარება უნდა გაენიათ მოსახლეობისათვის ხანძრის დროს. ა-ების შენახვა ქალაქის მოსახლეობას ევალებოდა, ისევე, როგორც სხვა მოხელეებისა. არსებობდა სპეციალური გადასახადი – „ა-ების ფული“, რომელსაც იხდიდნენ ვაჭრები და ქალაქის ხელოსნები.

წყაროები და ლიტერატურა: სს 1909: 528-531; ხეც H-2155; სურგულაძე 1952: 427; Месхиа 1959: 255, 297; ქსე 1975: 625.

ბ. ბაინდურაშვილი

ბაზიერთუხუცესი – მმართველობის ცენტრალური აპარატის მოხელე XVII-XVIII სს-ის საქართველოში. მას ებარა ნადირობასთან დაკავშირებული ყოველგვარი საორგანიზაციო და სამეურნეო საქმიანობა. ერთიანი ფეოდალური მონარქიის

პერიოდში ამ საქმეებს მონადირეთუხუცესი (იხ.) განაგებდა, ხოლო საქართველოს დაშლის შემდეგ – **ბ.** სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ბაზი“ შევარდენია, ხოლო „ბაზიერი“ – მეშვევარდნე, შევარდენთა მწვრთნელი. **ბ.** თავის საქმიანობას უძღვებოდა ბაზიერებისა და მეძალღეთუხუცესის დახმარებით, რომლებიც იყოფოდნენ სხვადასხვა სახეობის მონადირე ფრინველთა და ძაღლთა მწვრთნელებად. ბაზიერები სანადირო ფრინველთა გამოზრდა-განვრთნასთან ერთად პასუხისმგებელნი იყვნენ „საშვევარდნო გადასახადის“ აკრეფაზეც. **ბ.**-ის უფლება-მოვალეობებს ეხება იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“: „ბაზიერთუხუცესი ყოველთა მონადირეთა უფროსია და ყოველი სანადირო ადგილნი, მინდვრისა თუ ტყისა, თუ ქალისა, და ფრინველი მის ხელქვეშ უნდა იყოს, რომ უიმისოდ ვერავინ ინადირებდეს, მეტადრე ყარაიაზედ და იორშია“. **ბ.**-ს ჰქონდა ჩაბარებული „სანადირო ფრინველნი, სანადირო ძაღლნი ... მეძალღეები და ბაზიერები“. ამრიგად, გარდა მონადირე ფრინველთა და ძაღლთა მოშენება-მოვლისა, **ბ.**-ის მოვალეობა ყოფილა მეფის სანადირო ადგილ-ნაკრძალების დაცვა, რასაც მის უწყებაში შემავალი ტყისმცველები და „ჯელგის კაცნი“ ემსახურებოდნენ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოეჩინა **ბ.**-ს სამეფო სანადირო ზონების – ივრის ხეობისა და ყარაიის – დაცვის საქმეში. აქ მას მუდამ მზად უნდა ჰქონოდა სამეფოდ „შემოლობილნი ადგილნი და ნადირნი დამწყვდეულნი...“ (იოანე ბატონიშვილი). გარეშე პირებს, **ბ.**-ისაგან ნებართვის მიღების შემთხვევაში, მხოლოდ მთიან ზოლში შეეძლოთ ნადირობა. **ბ.**-ს წილი ჰქონდა მეფის სანადირო და სათევზაო ადგილებიდან მიღებულ შემოსავლებში, სანადირო წესების დამრღვევთა ჯარიმებში, ქალაქის საბაჟო გადასახდებში და, აგრეთვე, რიგითი ბაზიერებისა და ტყისმცველების შემოსავლებში.

წყაროები და ლიტერატურა: იოანე ბატონიშვილი 1936: 215-216; დასტურლამალი 1970: 687-688; სურგულაძე 1952: 222; ჩხატარაიშვილი 1979: 172.

ბაზიერთუხუცესები. XVII-XVIII სს.

აბაზაძე ზაალ – **ბ.** 1610-იანი წწ.

პაპუა მუხრანისბატონიშვილი – **ბ.** 1627 წ.

ბაირამყული – **ბ.** 1649-1652 წწ.

შიომ – **ბ.** XVII ს-ის პირველი ნახ.

დავით/დათუნა – **ბ.** 1643-1669 წწ.

ბეჟან – **ბ.** 1699-1725 წწ.

ორბელიშვილი ოთარ – **ბ.** 1693-1699 წწ.

ერისთვიშვილი ავთანდილ – **ბ.** 1693-1699 წწ.

ზაზა – ბ. 1739 წ.

გივი – ბ. 1739-1741 წწ.

ზაალ – ბ. 1741 წ.


აბაშიძე პაატა – ბ. 1741 წ.

ავთანდილ – ბ. 1741-1742 წწ.

დავით – ბ. 1743 წ.

გივი – ბ. 1739-1740 წწ.

წყაროები: პალ 2015: 170; ქსის 1955: 366, 386; მსეი 1953: 19, 37-38; ქსძ 1970: 742-746; სეა: ფ. 1450, დ. 35, ს. 43; დ. 25, სს. 36, 38; დ.4, ს.261; ფ.1449-2592; ხეც: Ad-502, Ad-503, Ad-1421.



Ad-403 1697 ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი მიცემული სომხითის მელიქის მირიმანიძე ავთანდილ ქამარბეგისშვილის მიერ ზურაბ თუმანიშვილისათვის.

მ. სურგულაძე

ბოქაულთუხუცესი – ცენტრალური მმართველობის საპოლიციო აპარატის მოხელე, ე. წ. „ხელჯოხიანთა“ რიგისა. მას, როგორც აღმასრულებელი აპარატის მოხელეს, ევალებოდა სხვადასხვა სახის ბრძანებებისა და განკარგულებების შესრულება, აგრეთვე სასამართლო განაჩენის აღსრულება. როსტომის დროიდან (XVII ს.) საპოლიციო აპარატში ბ-ს ემიკალასბაშის (იხ.) შემდგომ მეორე ადგილი ეკავა და, საფიქრებელია, მასვე ემორჩილებოდა. ბ. ქართულ წყაროებში პირველად იხსენიება 1565 წ-ით დათარიღებულ საბუთში და, როგორც ჩანს, ამ დროს იგი უკვე იყო „ხელჯოხიანთა“ უფროსი, მაგრამ ემიკალასბაშის სახელოს შემოღების შემდეგ ბ-ები სამოხელეო იერარქიაში ერთი საფეხურით ჩამოქვეითდნენ. სწორედ ამიტომ შუა საუკუნეების საქართველოში მიღებული წესი – ერთი სამსახურის მოხელეთა უფროსის აღნიშვნა იმავე სამოხელეო ტერმინზე „უხუცესის“ დამატებით (როგორცაა, მაგ., მოლარე – მოლარეთუხუცესი და სხვ.), ამ შემთხვევაში დარღვეულია. ბოქაულების, იმავე იასაულების უშუალო უფროსი ემიკალასბაში იყო და არა ბ., მიუხედავად იმისა, რომ ბ-ს იგივე ფუნქცია ჰქონდა, რაც ემიკალასბაშს.

ამ ფუნქციური იდენტობის გამო ქართულ-სპარსულ ისტორიულ საბუთებში ქართული ტექსტის „ბოქაულის“ სპარსულ შესატყვისად რეგულარულად გამოიყენება „ეშიკალასი“. **ბ**-ს საპოლიციო ფუნქციები უნდა შეესრულებინა სამეფო მეფლის დროსაც. „დასტურლამალის“ მიხედვით, მას ევალებოდა სასახლეში წესრიგზე ზრუნვა, სტუმრების შეგება, მათთვის შესაფერისი ადგილის მიჩენა და მუდმივად თვალყურის დევნება. **ბ**-ობა საპატიო თანამდებობა იყო, მას მხოლოდ დიდი ფეოდალური საგვარეულოების წამომადგენლები ფლობდნენ – ორბელიშვილები, ციციშვილები, ერისთვისვილები და სხვ. ამავე დროს **ბ**-ებს ერთდროულად რამდენიმე სხვა თანამდებობაც შეიძლებოდა ჰქონოდათ წყალობად მიღებული. **ბ**-ს შემოსავალი „საბოქაულთუხუცესო“ თავლიდარისაგან ეძლეოდა.

წყაროები და ლიტერატურა: დასტურამალი 1973: 477; სურგულაძე 1952: 265-270; გაბაშვილი 1942: 187-188.

ბოქაულთუხუცესები. XVII-XVIII სს. ქართლი

დავითიშვილი დავით – **ბ**. 1608-1637 წწ., ახალდაბის მოურავი 1634 წ.; დირბის მოურავი 1635 წ. (პალ 1993: 26-28; ქსის 1955: 90).

ჯაზდან – **ბ**. 1623-1632 წწ. (პალ 2015: 469).

ბარათაშვილი ყაფარბეგ – **ბ**. 1627 წ. (ქსის 1955: 60, 62).

ბარათაშვილი ქაიხოსრო – **ბ**. 1619-1626 წწ. საბარათაშვილოს სარდალი, მეკობრისმძებნელი 1623 წ. ქალაქის მოურავი 1626 წ., დედოფლის სახლთუხუცესი 1627-1642 წწ. (პალ 1991: 446).

ბარათაშვილი ფალვანხოსრო – **ბ**. 1628-1646 წწ. (პალ 1991: 444).

დავითიშვილი ელიზბარ – **ბ**. 1634-1666 წწ. (პალ 1993: 28-29).

დიასამიძე ლუარსაბ – **ბ**. 1634 წ. (პალ 1993: 79).

ჯავახიშვილი როინ – **ბ**. 1634-1638 წწ.; მდივანბეგი 1638-1669 წწ. (პალ 2015: 406, 457-459; ქსის 1955: 126).

[ბარათაშვილი] ხოხონა – **ბ**. 1638 წ. (პალ 2015: 406).

სოლალაშვილი ელიზბარ – ოხიაცორჩი 1637-1657 წწ.; **ბ**. 1639 წ., ყეენის მუსაიბი 1661 წ. (პალ 2007: 183).

ენდრონიკეშვილი დემეტრე – **ბ**. 1640 წ. (პალ 1991: 151).

ბარათაშვილი ოთარ – **ბ**. 1642 წ. ((ქსის 1984: 20; პალ 1991: 430-431).

- საგინაშვილი ანდერმან – ბ. 1643-1657 წწ. ეპიკალასბაში 1651 წ. (პალ 2007: 113).
ედიშერ – ბ. [1648]-1659 წწ. (პალ 1993: 110).
გურგენ – ბ. 1651 წ. (პალ 1991: 746).
ბარათაშვილი ზაალ – ბ. 1656-1676 წწ. (პალ 1991: 415-416).
ჯავახიშვილი ქაიხოსრო – ბ. 1656 წ. (პალ 2015: 465).
სოლალაშვილი ზურაბ – ბ. 1657-1658 წწ. სამეფო კარის სახლთუხუცესი 1661-1675 წწ. (პალ 2007: 184; ქსის 1955: 270, 273).
იესე მუხრანის ბატონიშვილი – ბ. 1658-1688 წწ. დიღმის მოურავი 1687-1697 წწ.
შალიკაშვილი როჭიკა – ბ. 1660 წ. (პალ 2015: 112-113).
ამილახორი რევაზ – ბ. 1669 წ. (პალ 1991: 125).
ფალავანდიშვილი ზაალ – ბ. 1670 წ. (პალ 2007: 282).
ბარათაშვილი საამ – ფარემთუხუცესი 1671 წ.; ბ. 1670-1690 წწ. სახლთუხუცესი 1690 წ. (პალ 1991: 441-443).
ციციშვილი ვახტანგ – ბ. 1672 წ-ის ახლო; მოლარეთუხუცესი 1684-1695 წწ. (პალ 2015: 255).
ბარათაშვილი პაპუა – ბ. 1676 წ. (პალ 1991: 434-435).
როჭიკაშვილი პაპუნა – ბ. 1676 წ. (პალ 2007: 82).
საგინაშვილი ზაალ – ბ. 1677 წ. (პალ 2007: 116).
ბარათაშვილი შიომ – ბ. 1679-1698 წწ. (პალ 1991: 455; პალ 2015: 171).
შალიკაშვილი იბაშერ – ბ. 1682-1699 წწ. (პალ 2012: 111).
ციციშვილი ფარსადან – ბ. 1684-1700 წწ. (პალ 2015: 273-75).
ამილახორი იოთამ – ბ. 1686-1692 წწ., ზემო ქართლის სარდალი, გორისა და ქრცხილვანის მოურავი 1692-1698 წწ., (პალ 1991: 124-125).
მოურავიშვილი ზაალ – ბ. 1688-1692 წწ. (პალ 2007: 97-98).
სოლალაშვილი ბეჟან – ბ. 1689 წ. (პალ 2007: 180).
ერისთავი ბაინდურ – ბ. XVII ს-ის მინურული. (პალ 1993: 139).
ერისთვისშვილი ზურაბ – ბ. 1693-1699 წწ. (პალ 1993: 148).
ორბელ – ბ. 1695-1697 წწ. (პალ 331: 331).
ორბელიშვილი გორჯასპ – ბ. 1696-1699 წწ. (პალ 2007: 332).

როჭიკაშვილი ზაალ – ბ. 1699 წ. (პალ 2007: 82).

რუსი – ბ. 1725 წ. (დსსი 1940: 216-217).

საგინაშვილი ზურაბ – ბ. 1759 წ. (გიდ 2008: 400).



ბექდის ლეგენდა: ბოქაულთუხუცესი ბაინდერ

ხეც, Hd-2149, [XVII] ს. ბაინდურ არაგვის ერისთავისშვილის მიერ გივი ამილახვრისათვის მიცემული კეთილმოყვრობის წიგნი.

კახეთი:

ჯორჯაძე პაპუა – ბ. [ენისელთ] მოურავი 1630-1636 წწ. (ქსოის 1984: 11; პალ 2015: 514).

ავალიშვილი ავალ – ბ. 1646-1655 წწ., კისისხევის მოურავი (პალ 1991: 73-74).

მამუკა – ბ. 1670 წ. (პალ 2004: 34).

ზაალიშვილი გორჯასპ – ბ. ფაგაბაში, სარქართუფროსი, გომბორის მოურავი (პალ 1993: 197).

ენდრონიკაშვილი რევაზ – ბ. 1693-1695 წწ. ქიზიყის მოურავი 1696-1700 წწ. (პალ 1991: 155; ქსის 1955: 370).

გურამიშვილი გურამ – ბ. 1694 წ. იგი თან ახლდა ერეკლე ბატონიშვილს რუსეთსა და ისპაჰანში და დიდ დახმარებას უწევდა ტახტზე ასვლაში. განუელი სამსახური-სათვის ნაზარალი-ხანმა მას დაუმტკიცა მისი განაყოფის მამულები და ბ-ობა (პალ 1991: 742-743).

ჩოლაყაშვილი დემეტრე – ბ. 1694 წ. (პალ 2015: 220; გიდ 2008: 480)

მაყაშვილი გურგენ – ბ. 1703 წ. (ქსის 1955: 404).

ბადურ – ბ. 1711 წ. (გიდ 2008: 230).

[მაყაშვილი] მაყა – ბ. 1711-1721 წწ. (გიდ 2008: 231, 238, 239, 517).

იმერეთი:

ზაალ – ბ. 1565-1583 წწ. (პალ 1993: 195).

ჭილაძე ჯავახ – ბ. 1628-1639 წწ. (პალ 2015: 345).

ელიზბარა – ბ. 1658-1675 წწ. (პალ 1993: 122).

ვ. კეკელია

განმგებულებები – იგივეა, რაც ეზოსმოდღვარი, ეპიტროპოსთა (იკონომისტთა, აბრამადთა, მოურნეთა) უხუცესი, მეთაური; შედიოდა მანდატურთუხუცესის უწყებაში. ტერმინი **გ.** გამოხატავს იმ ცვლილებას, რაც მოხელეთა ფუნქციურ დანაწევრებას უნდა მოჰყოლოდა საქართველოს ერთიან სამეფოში. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ **გ.**-ს ჩამოცილებული აქვს ძველი ეზოსმოდღვრის სამხედრო ფუნქციები და დატოვებული აქვს მხოლოდ სამეურნეო-ორგანიზაციული. მეფის **გ.** სათავეში ედგა საგანმგებო, მისი ხელქვეითი მოხელეები იყვნენ საგანმგებო მუქიფი და მეჯამეთუხუცესი (სრულად იხ. ეზოსმოდღვარი).

წყარო და ლიტერატურა: ხელმწიფის კარის გარიგება 1965: 93-94; ჯავახიშვილი 1982: 298, 301-302; ანთელავა 1983: 69-76.

დ. კლდიაშვილი

გზირი – მმართველობის ადგილობრივი აპარატის ქვედა რგოლის წარმომადგენელი. ტერმინი **გ.** საქართველოში ჩნდება გვიანდელ შუა საუკუნეებში. **გ.**-ის ძირითადი ფუნქცია იყო სოფლებში ხელისუფალთა ბრძანების/განკარგულების ადგილზე მიტანა, აღსრულება, ვინმეს გამოძახება. არსებობს მოსაზრება, რომ **გ.**-ის ინსტიტუტი თავდაპირველად ქართლში მხოლოდ მომთაბარე თათრებისთვის შეიქმნა, ვინაიდან „დასტურამალში“ **გ.** მხოლოდ იმ პარაგრაფშია ნახსენები, რომელიც ელს ეძღვნება. **გ.**-ის სასარგებლოდ დანესებული იყო გადასახადი – საგზირო. სოციალური წარმომავლობით **გ.**-ები გლეხები იყვნენ. შემონახულია მხოლოდ XVIII ს-ის რამდენიმე **გ.**-ის სახელი გვარის გარეშე.

წყაროები და ლიტერატურა: დასტურამალი 1970: 554-561; სურგულაძე 1952: 412.

ვ. კეკელია

ეზოსმოდღვარი – (შდრ. აბრამადი, განმგებთუხუცესი, ნაზირი). სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით, **ე.მ.** „საგანგიოთა განმგებელია“, „სხვათა ენით“ (თათართა) იგივე ნაზირია: „ქართულად სალაროს ნაზირს აბრამადი და ქარხანის ნაზირს ეზოსმოდღვარი ჰქვია“. მისივე განმარტებით, „გამგე“ იგივე გამრიგებელია, ხოლო „გამგე-

ბელი“ – მოურნე. ნ. ჩუბინაშვილის მიერ **ე.მ.** განმარტებულია როგორც მნე, სახლის გამგებელი, ნაზირი, იგივე რაც „приставник, домоправитель, дворецкий“. II ს-ის არმაზის ბილინგვის არამეულ ტექსტში ამ თანამდებობის აღმნიშნელი არამეული სიტყვა ბიბლიური წიგნების უძველესი ქართული რედაქციების გათვალისწინებით გადმოიცა, როგორც „ეზოს მოძღვარი“ (გ. წერეთელი). ბილინგვისავე ბერძნულ ტექსტში მას შეესატყვისება ტერმინი „ეპიტროპოსი“ (იგივე იკონომისი); სომხურში მისი შესატყვისია „ჰაზარაპეტი“. როგორც ვარაუდობენ, **ე. მ.** ქართლის სამეფოში განაგებდა სახელმწიფო შემოსავალს და სათავეში ედგა სამეფო მეურნეობას. **ე. მ.**-ს უშუალო კავშირი უნდა ჰქონოდა სამხედრო საქმესთანაც და, სავარაუდოდ, მის ერთ-ერთ ფუნქციას ასევე წარმოადგენდა სამეფო დაცვის რაზმების, ანდა სამეფო მიწებზე მსხდომი ერიდან („ტაძრულთაგან“) გამოყვანილი ჯარის ხელმძღვანელობა (გ. მელიქიშვილი). **ე. მ.** ასევე შეესაბამება ლათინურ-ბერძნულ-ტერმინი: *cubicularius* (მეფის კარის განმგებელი, კარის წინ მორიგედ მდგომი), რომელსაც ქართულში შეესატყვისებოდა „მესანოლე“ (მ. მაისურაძე).

XI-XIII სს-ში სასახლის აპარატის დანაწევრების შედეგად სამეფო კარზე **ე. მ.**-მესანოლეს აღარ ვხვდებით და მეფისა და სანოლის დაცვა ცალკე უწყების, მესანოლეთუხუცესის ხელში გადადის. მიუხედავად ამისა, **ე. მ.**-განმგეთუხუცესს სასახლის ცერემონიალების დროს მაინც შემორჩა მეფის უშიშროების დაცვის ზოგიერთი ფუნქცია (ი. ანთელავა). მეფეთ კურთხევის ცერემონიალის დროს „ეზოთ-უხუცესსა ჩუხჩარეხსა, მეაბჯრეთ-უხუცესსა სამეფო ფარი და ლახტი ჰქონდეს და ქარქაში; უკან უდგეს მეფესა“ (წესი და განგება მეფეთ კურთხევისა). გამოთქმულია ვარაუდი, რომ ციტირებულ ადგილას იგულისხმება არა სამი სხვადასხვა მოხელე, არამედ, ერთი – ეზოთუხუცესი-ჩუხჩარეხი, რომლისთვისაც ცერემონიალების დროს მეფის პირადი მეაბჯრეთუხუცესობა საპატიო მოვალეობა იყო და არა თანამდებობა (ი. ანთელავა). XI ს-ში გრიგოლ ბაკურიანის-ძის მიერ პეტრინონისთვის დადებული ტიპიკონის მიხედვით, „განმგე“ იგივე იყო, რაც ეპიტროპოსი, იკონომისი, აბრამადი (პეტრინონის ტიპიკონი). „ხელმწიფის კარის გარეგებაში“ **ე. მ.**-ს შეესაბამება ტერმინი „განმგეთა უხუცესი“, რომელსაც ექვემდებარებოდნენ საგანმგეოს მუქიფი (იხ.) და მეჯამეთუხუცესი (იხ.). **ე. მ.** იგივე უნდა ყოფილიყო, რაც „ეპიტროპოსთა (რესპ. იკონომოსთა, აბრამადთა, მოურნეთა, მოლუანეთა) უხუცესი, მათი მეთაური.“ ამდენად, განმგეთუხუცესი იგივე მეფის იკონომოსთა ხელმძღვანელი, იგივე ეზოსმოდღვარი ყოფილა (ი. ანთელავა).

ხანგძლივი დროის განმავლობაში **ე. მ.** სხვადასხვა რანგის სამოხელეო თანამდებობას აღნიშნავდა და ფუნქციურ ცვლილებებს განიცდიდა, ფუნქციების გადანაწილების კვალად მას ემატებოდა ან ჩამოსცილდებოდა ესა თუ ის განსაგებელი. ბატონიშვილი ვახუშტი **ე. მ.**-ის ფუნქციებს შემდეგნაირად განმარტავდა: „ეზოსმოდღვარი, ამის ხელისა იყო: ყოველნი საგანგიონი, მეფისა ხარჯნი და წარსაგებელნი, წესნი და რიგი

დარბაზისა, მეფის ტაბლისა და სანოვაგისა, ანუ სხუათა“, ხოლო თავში, „ანინდელთა ხელისუფალთა შეცვლილთა სახელთათვის“, ქართლის მეფის როსტომის (1632-1658) მიერ ადრინდელი სამოხელეო სახელების ყიზილბაშური ტერმინებით შეცვლასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „ხოლო როსტომ ხელისუფალთა უნოდა ... ეზოს მოძღუარსა – ნაზირი“. ამდენად, **ე. მ.** იგივეა, რაც გამგე, გამგეთუხუცესი და აბრამადი (ეპიტროპოსი, იკონომისი), იგივე გვიანი ხანის ნაზირი.

წყაროები და ლიტერატურა: სულხან-საბა ორბელიანი 1991: 232, 561, 132; ჩუბინაშვილი 1961: 208; წერეთელი 1942: 39; შანიძე 1971: 147, 153; წესი და განგება მეფეთ კურთხევისა, 1965: 51; ხელმწიფის კარის გარგება 1965: 81, 93, 94; ვახუშტი 1973: 22, 32; ანთელავა 1983: 70- 72; მელიქიშვილი 1970: 646-647.

დ. კლდიაშვილი

ერისთავი – ადგილობრივი მმართველობის უპირველესი მოხელე ძველ საქართველოში. **ე**-ის ინსტიტუტის შექმნა უკავშირდება ქართული სახელმწიფოებრივობის ჩამოყალიბების პროცესს (ძვ. წ. IV-III სს-თა მიჯნა). საუკუნეთა განმავლობაში **ე**-ის ინსტიტუტმა არაერთგზის განიცადა ტრანსფორმაცია. ადრეულ შუა საუკუნეებში, **ე. წ.** უმეფობის პერიოდში, ძველი ერისთავები გამთავრდნენ და სამოხელეო ფუნქცია დაკარგეს, მაგრამ ეს ინსტიტუტი ამავე ფუნქციით აღდგა ადრეფეოდალური პერიოდის ეგრის-აფხაზეთის სამეფოში. X-XI სს-თა მიჯნაზე **ე**-ის ინსტიტუტი, როგორც ტრადიციული და ამავე დროს ახალ სოციალურ და პოლიტიკურ რეალობებს მორგებული მმართველობის ფორმა, საფუძვლად დაედო საქართველოს ერთიანი მონარქიის ადგილობრივ მმართველობას. XII-XIII სს-ში, ქართული სახელმწიფოს ძლიერების ხანაში, სამეფო კარის გამიზნული პოლიტიკის შედეგად **ე**-ებს ხშირად ეკავათ სამეფო კარის უმაღლესი თანამდებობები, რითაც, გარკვეულ შემთხვევებში, **ე**-ობას მხოლოდ ტიტულატურული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ასეთ შემთხვევებში **ე**-ების საგამგებლო „ქვეყნებს“ **ე**-ის ნაცვალი გამგებლები მართავდნენ. ოფიციალური სამართალი იცავდა **ე**-ს და მის უშუალო მოადგილე გამგებელს, მკაცრად სჯიდა მათ მიმართ დანაშაულის ჩამდენთ („ძეგლის დადება“). საუკუნეთა მანძილზე ცვლილებებს ექვემდებარებოდა საერისთავოთა რაოდენობაც. სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში საერისთავო „ქვეყნების“ საზღვრები განსხვავებულ პოლიტიკურ და ისტორიულ-გეოგრაფიულ წანამძღვრებზე იყო აღმოცენებული. საისტორიო ტრადიციის თანახმად, ანტიკურ ქართლში რვა დიდი საერისთავო იყო, შუა საუკუნეების ქართულ მონარქიაში კი, მათი რიცხვი ოცამდე აღწევს. სამეფო კარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სანაპირო ოლქების მცველ **ე.წ.** მონაპირე **ე**-ებს, რომელთა შორის ეპარქიათა მესაჭე ეპისკოპოსებიც კი ერივნენ (მაგ., მტბევარი ეპისკოპოსი). საგამგებლო პროვინციებში **ე**-ები მეფის საჯარო უფლებების განმახორციელებელ პოლიტიკურ ფიგურებს წარმოადგენ-

დნენ და დიდხანს ინარჩუნებდნენ ამ მნიშვნელობას ვიდრე მის (ინსტიტუტის) სრულ გადაგვარებამდე (სხვადასხვა რეგიონში XIV ს-დან XVI ს-მდე). ჯარის ორგანიზაცია, მართლმსაჯულება და საგადასახადო წესრიგი – ეს იყო ის სამი საჯარო სფერო, რომლებსაც ე-ები უძღვებოდნენ ადგილობრივი სამოხელეო აპარატის დახმარებით: „წესი ერისთავთა იყო მეფისა მიერ განწესება ქუეყანათა მიმართ და მის მიერ მოურნეობა. სამართალი და ლაშქარნი მის ქუეყანისანი მის ქუეშე იყვნენ და იგინი მოჰკრეფდნენ ხარკთა სამეფოთა“ (ვახუშტი ბატონიშვილი).

ე-ის ინსიგნიებს შეადგენდა მეფისაგან ბოძებული საერისთავო ბეჭედი და სარტყელი, საბრძოლოდ აღჭურვილი ცხენი („ცხენი თოროსანი“), დროშა და შუბი. ე-ს ლეგიტიმაცია ენიჭებოდა საეკლესიო კურთხევით, რომელსაც ატარებდა კათალიკოსი ან მიტროპოლიტი. კურთხევასთან დაკავშირებული რიტუალი: ე-ის განბანვა, შემოსვა „ვითარცა შუენის მეფეთა“ სამოსით, ეკლესიაში შესვლა ზარების რეკვის თანხლებით, ანთებული კეროვნები და სხვ. მოქმედებები სიმბოლურად გამოხატავდნენ ღვთის ნების მონანილეობას ე-ის დადგინებაში, ხოლო დალოცვის ტექსტში ხაზგასმული იყო ყველა ის უფლებამოსილებება და პასუხისმგებლობა, რომლებიც ე-ს, როგორც მეფის საჯარო მოხელეს, უნდა აღესრულებინა თავის საგამგებლო ტერიტორიაზე.

წყაროები და ლიტერატურა: ვახუშტი 1973: 17; კურთხევაჲ ერისთავისა და ლოცვაჲ დადგინებისათვის ერისთავთ-ერისთავისა 1965: 54-56; ძეგლი ერისთავთა 1965: 102; გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადება 1963: 403; მათიანე ქართლისაჲ 1965: 292; ხელმწიფის კარის გარიგება 1965: 91; ჯავახიშვილი 1982: 167-168; ანთელავა 1983: 173-175; არახამია 126; ბახტაძე 2003: 304-305.

საერისთავოები X-XI სს-ში

არაგვის ერისთავი. ა-ის საერისთავო დაახლოებით XIV ს-ის შუა ხანებში წარმოიქმნა. „ძეგლი ერისთავთას“ ცნობით, ა-ის საერისთავოს ფარგლებში მოქცეული იყო ტერიტორია „ზედაზნიდან. დარიალამდე“, იგი მოიცავდა არაგვის ხეობისა და ხევის არაგვის (მერმინდელი თერგის) ხეობებს, რომელთა შორის იგულისხმება ჭართალი, ხანდო, გუდამაყარი, მთიულეთი, ხევი, თრუსო, ხადა-ცხავატი (მთიულეთი). დასავლეთით არაგვის საერისთავოს ესაზღვრებოდა ქსნის საერისთავო, სამხრეთით – სამუხრანბატონო, აღმოსავლეთით საზღვარი მდ. არაგვზე გადიოდა. XVI ს-დან, როცა არაგვის საერისთავო სათავდოდ იქცა, მისი ტერიტორია ქსნის ხევთან და მუხრანთან ერთად შედიოდა მესამე (მუხრანბატონის) სადროშოში. საერისთავოს ცენტრს ბაზალეთ-არაგვისპირის პლატო წარმოადგენდა, რომელიც სტრატეგიულად მოხერხებული ადგილი იყო თავდაცვითი სისტემის მოწყობისათვის.

დოკუმენტური წყაროების მიხედვით, ა-ის პირველი ე-ები შაბურისძეები ყოფილან. XIII ს-ის მიწურულს ეს საგვარეულო იმდენად ანაგარიშგასანევი ძალა გამხდარა, რომ ვახტანგ III-ის (1298-1308) დაქორწინება შაბურისძის ასულზე მისი ძმის, არაგვის ხეობაში მონღოლთაგან განრიდებული დავით VIII-ის შემფოთების მიზეზი გამხდარა (ყამთააღმწერელი). ცხადია, ეს ცნობა მიანიშნებს შაბურისძეთა მნიშვნელოვან სამხედრო პოტენციალზე. წყაროებში ნათელი არ არის ა. ე-ის მიმართება ქართლის ერისთავებთან, იყო იგი ქართლის ერისთავის ქვემდებარე მოხელე, თუ მისგან დამოუკიდებელი სამხარეო მმართველი. ბუნდოვანება ამ საკითხში გამოიწვია ქართლის ერისთავთა საგვარეულო სახელის, „სურამელის“ მოხსენიებამ ა. ე-ად გიორგი VII-ის 1403 წ-ის საბრძოლო მოქმედებების დროს დვალთა წინააღმდეგ (ძეგლი ერისთავთა). სხვა მოსაზრებით, პირის სახელი „სურამელი“ ამ პერიოდისათვის უკვე გავრცელებული იყო სხვა ფეოდალურ საგვარეულოთა ოჯახებშიც და, ამდენად, არ გამოდგება ამ ორ საერისთავოს (ქართლი, არაგვი) შორის შიდა ადმინისტრაციული დაქვემდებარების დასაბუთებისათვის (მ. ბახტაძე).

ა. ე. შაბურისძეთა რეზიდენცია მდებარეობდა ბაზალეთ-დუშეთში, რომლის ნაკვალევი შენახულია გვიანდელ საშაბუროში. შაბურისძეთა საგვარეულო მონასტერი და საძვალე ყოფილა ბოდორნა, რომელსაც 1494 წ. ა. ე-მა ვამიყ შაბურისძემ შესწირა სოფელი ხანდაკი. ა. ე. შაბურისძეთა ფეოდალური სახლის შესახებ საინტერესო გენეალოგიური ცნობებია შემონახული XIV-XV სს-ების ძეგლებში – „გერგეტის სულთა მატიანესა“ და შაბურისძეთა შეწირულების საბუთებში. „გერგეტის სულთა მატიანიდან“ ისიც ირკვევა, რომ XV ს-ში შაბურისძეებს მჭიდრო ნათესაური და პოლიტიკური კავშირი ჰქონდათ სამცხის მმართველ ჯაყელთა სახლთან და ადგილობრივ დიდებულებთან. ამავე კავშირის არსებობაზე მეტყველებს სამცხეში მდებარე პატარა სმადას ეკლესიის 1467 წ. წარწერაც, რომელიც ადასტურებს ამ მხარეში ა. ე. შაბურისძის ქტიტორულ საქმიანობას. როგორც ჩანს, შაბურისძეები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ XV ს-ის საქართველოს შიდაპოლიტიკურ პროცესებში. ირკვევა, რომ სამცხის ათაბაგი ყვარყვარე II (1451–1498) შაბურისძეთა დახმარებით შეეცადა თავისი შვილიშვილისა და გიორგი VIII-ის უმცროსი ძის, ვახტანგის აყვანას სამეფო ტახტზე (ქ. შარაშიძე). XVI ს-ის 20-იანი წლებიდან მკვეთრად იცვლება შაბურისძეთა ფეოდალური სახლის დინასტიური სახელები. ამ დროს ა. ე-ია ბაინდური, ხოლო მისი ძმები: ზურაბ, გოდერძი, ბარძიმ, გოსტასაბ და როსტომ. საფიქრებელია, რომ ა. ე-ებს ამ დროისათვის უკვე ჰქონდათ გადატანილი პირველი დინასტიური ცვლილება. არსებობს ვარაუდი, რომ ა. ე. შაბურისძეთა სახლი სამცხის ათაბაგებთან პოლიტიკურ ალიანსს უნდა შეწირვოდა (მ. ბახტაძე). ა. ე-თა დინასტიურ ცვლილებებზე მიანიშნებენ უფრო გვიანდელი წყაროებიც (ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი, იოანე ბატონიშვილი), მაგრამ მათი ვერსიები ერთმანეთისაგან საკმაოდ სხვაობს. ვახუშტი

ბატონიშვილი **ა. ე.**-თა წინაპრად ასახელებს ვანათელ აზნაურს, რომელსაც სვიმონ მეფის ტყვეობის დროს ამოუწყვეტია ძველ ერისთავთა ოჯახი და ხელთ უგდია ბაზალეთი. იოანე ბატონიშვილის მიხედვით კი, ვანათელი აზნაურები სიდამონიძეები ყოფილან, რომელთაც დაუპყრიათ ბაზალეთი. ამათგან სრულიად განსხვავდება ბერი ეგნატაშვილის ვერსია – XVI ს-ში არაგვის ერისთავთა წინაპრებს ხევის მფლობელი თექეთურმანიძეები გაუნადგურებიათ, რის შემდეგაც მეფისაგან მიუღიათ მთიულეთი, ხადა, ანანური და დუშეთი. მაგრამ XVI ს-ის **ა. ე.**-ები უკვე ძალზე დაშორებულნი იყვნენ თავიანთ პოლიტიკურ წინაპრებს – ისინი უკვე დიდი და გავლენიანი თავადები იყვნენ, რომელთაც მეფის წინაშე სამოხელეო ვალდებულებები მოხსნილი ჰქონდათ.

წყაროები და ლიტერატურა: ძველი ერისთავთა 1965: 117; ქისკ 2013: 41, 66, 81; ქისკ 2014: 144-147, 304; ქსდ 1965: 117; ვახუშტი 1973: 34, ჟამთააღმწერელი 1959: 308; მეტრეველი 1962: 92; ბერიძე 1955: 177; შარაშიძე: 1954: 233-240, 279-289; ჟორდანიას 1897: 371; ბერი ეგნატაშვილი 1959: 391; გვასალია 1983: 73, 79; ითონიშვილი 1989: 85; არახამია 1988: 132; ბახტაძე 2003: 213-212.

ერისთავი შაბურისძენი. XIII-XV სს.

შანშე – **ა. ე.** დაახლ. XIII ს-ის შუა ხანები.

ჭუჭაძე – **ა. ე.** დაახლ. XIII-XIV ს-თა მიჯნა.

ვარამ – **ა. ე.** დაახლ. XIV ს-ის პირველი ნახევარი.

ვახტანგ – **ა. ე.** დაახლ. XIV ს-ის შუა ხანებში.

მიქაძე – **ა. ე.** დაახლ. XIV ს-ის მეორე ნახ. –1398 წ. (ქისკ 2013: 66).

[**სურამელი**?] – 1403 წ. (ძველი ერისთავთა 1965: 117).

ნუგზარ – **ა. ე.** დაახლ. 1419-1465 წწ. (ქისკ 2013: 81; ქისკ 2014: 146).

ვამიყ – **ა. ე.** დაახლ. 1465-1494 წწ. (ქისკ 2014: 146, 303).

ლიტერატურა: ჟორდანიას 1897: 531; შარაშიძე 226-229, 267-269; ხომტარია-ბროსე 1980: 78-79; არახამია 1988: 134; ბახტაძე 2003: 213.

არგვეთის ერისთავი. ა-ის (მარგვი) საერისთავო „ქართლის ცხოვრებაში“ ფარნავაზის დროიდან იხსენიება. მისი საზღვრები ამ დროს ლიხიდან „ეგრისის ზღვამდე“ უწევდა. ფარნავაზსავე მიაწერს წყარო **ა-**ის უძველესი ციხეების, შორაპნისა და დიმის აგებას. ვახტანგ გორგასლის მეფობაში **ა-**ის საერისთავო მოიცავდა საკუთრივ არგვეთს. **ა-**ის მთავრები, დავით და კონსტანტინე, მურვან ყრუს ლაშქრობისას

მონამეობრივად აღესრულნენ. VIII საუკუნის დასასრულს, როდესაც მთელი დასავლეთ საქართველო ეგრის-აფხაზეთის სამეფოში გაერთიანდა, ა. კვლავ საერისთავო ქვეყანაა. ამ დროს ა. ე-ის განკარგულებაში შედიოდა ტერიტორია რიონისა და ხანისწყლის აღმოსავლეთით, ვიდრე ლიხამდე. საერისთავოს ცენტრი იყო შორაპანი, რის გამოც ვახუშტი მას შორაპნის საერისთავოდ მოიხსენიებს. ამავე ფარგლებში შევიდა ა-ის საერისთავო ერთიან ქართულ მონარქიაში. იოანე ბატონიშვილის გადმოცემით, ა. ე-ები ყოფილან მხეიძეები, რომელთაც ბაღვაშთა ფეოდალური სახლის განაყოფ საგვარეულოდ მიიჩნევს. ამ გადმოცემას სანდოობას ჰმატებს „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობა თრიალეთში ბაღვაშთა არგვეთიდან გადმოსვლის შესახებ. ა. ე-თა და ბაღვაშთა ნათესაობის სასარგებლოდ მეტყველებს 1021 წ. შირიმნის ბრძოლაში დაღუპული დიდებული ერისთავების, რატი კლდეკარის ერისთავისა (ბაღვაში) და ხურსი ერისთავის ერთად მოხსენიების ფაქტიც. ხურსი ერისთავი რომ მართლაც ა. ე. იყო, ამას ადასტურებს არგვეთის ტერიტორიაზე (ქორეთი, სავანე, ეხვევი, დარკვეთი) მიკვლეული წარწერები, რომლებზეც ა. ე-ების საგვარეულო სახლის რამდენიმე თაობის წარმომადგენელთა სახელებია შემონახული, მათ შორისაა სავანის 1046 წ-ის საქტიტორო წარწერა, რომელიც ხურსი ერისთავს გარდაცვლილდ მოიხსენიებს: „მე, გიორგი ერისთავთ ერისთავმან, ავაშენე ესე წმიდაჲ ეკლესიაჲ სავანისაჲ, სალოცველად სულისა ცოდვილისა ჩემისა და ძმისა ჩემისა ხურსი ერისთავისა“. ხურსის ძმა გიორგი ერისთავთ-ერისთავი სავანის კიდევ ორ სხვა წარწერაში იხსენიება. ა. ე-ად მიიჩნევენ რგანის ეკლესიის მემორიალურ წარწერაში მოხსენიებულ აბუნასრ ერისთავსაც: „ქ(რისტ)ე, შ(ეინყალ)ე აბუნასარ ერისთავი და შვილნი მისნი და ყ(ოველ)ი ერი მისი“ (მ. ბახტაძე). დროთა განმავლობაში ცვლილებები განიცდიდა ა. ე-თა სამკვიდრო და სამოხელეო მიწების მოცულობამაც და მასთან დაკავშირებულმა სამოხელეო სარგომაც. მაგ., 1103 წ., როდესაც დავით აღმაშენებელმა დაამხო ბაღვაშები, მათი სამკვიდრო „მამული ლიპარიტეთი“ (კაცხი) გელათს შესწირა, მაგრამ, მკვლევართა აზრით, ამ აქტით ა-ის საერისთავო არ გაუქმებულა. როგორც ჩანს, საერისთავო სამართავად სხვა საგვარეულოს გადაეცა, თუმცა წყაროებს მისი სახელი არ შემოუნახავს. ა-ის საერისთავოს საგამგებლო ტერიტორიიდან 1187 წ. თამარმა „გამოიღო“ სოფელი ჭორვილა და შესწირა გელათის მონასტერს. ა. ე. უნდა იყოს ის დავით ერისთავიც, რომლის ხელრთულობაც ერთვის თამარის სიგელს (მ. ბახტაძე). ა. ე-თა საგამგებლო ტერიტორიას ეკუთვნოდა ქართლის საზღვარზე მდებარე სოფლები – ხეფინისხევი და ნაქვი, რომლებსაც დავით ნარინმა 1261/1262 წ. საგადასახადო იმუნიტეტი მიანიჭა და საერისთავო გამოსაღებისაგან გაათავისუფლა. მას შემდეგ, რაც გიორგი ბრწყინვალემ დასავლეთ საქართველო კვლავ დააბრუნა ერთიანი საქართველოს საზღვრებში (1330), XIV ს-ის გასულამდე ა. ე-ები (იგივე შორაპნის ერისთავები) ხდებიან დავით ნარინის შთამომავლები. ასეთი ცვლილება

სამოხელეო პირთა წარმომავლობაში თავისთავად მიანიშნებს ცვლილებაზე **ა. ე-**თა სტატუსშიც. სამეფო წარმომავლობის ერისთავები, მართალია, ერისთავებად იწოდებოდნენ, მაგრამ ისინი ადგილებზე არა მეფის მოხელეებს, არამედ მცირე ხელისუფალთ, ე. წ. პროვინციის მეფეებს წარმოადგენდნენ, რომლებიც, როგორც ჩანს, მხოლოდ ნომინალურად აღიარებდნენ ცენტრალურ სამეფო ხელისუფლებას.

წყაროები და ლიტერატურა: მეფეთა ცხოვრება 1955: 24; ვახუშტი 1973: 258, 262, 796; მათიანე ქართლისაჲ 1955: 258, 283, დავით აღმაშენებლის ცხოვრება 1955: 330; სუმბატ დავითის ძე 1955: 371; სილოგავა 1980: 59, 60, 62, 64; 76-78; ქისკ 1984: 80, 168; გაფრინდაშვილი 1970: 21; სოსელია 1973: 153; ანთელავა 1988: 44; ნინიძე 1992: 132-137; ბახტაძე 2003: 264-254.

არტანუჯის (კლარჯეთის) ერისთავი. **ა-**-ის საერისთავო დააარსა ვახტანგ გორგასალმა V ს-ის მეორე ნახევარში და საგამგებლოდ თავის ძუძუმტეს, არტავაზდს ჩააბარა. VIII ს-ში არტანუჯის ციხე მურვან ყრუმ დაანგრია, შემდგომ იგი აშოტ კურაპალატმა აღადგინა და მიმდებარე ტერიტორიაზე ქალაქი ააშენა. IX-X სს-ში არტანუჯი და მისი გარეშემონი კლარჯ ბაგრატიონთა საგამგეო ქვეყანა გახდა. საქართველოს გაერთიანების შედეგად, დაახლოებით 1008-1011 წწ-ში, ბაგრატ III-მ შეიპყრო „კლარჯნი ხელმწიფენი“ და ფანასკერტის ციხეში დაამწყვდია, ხოლო არტანუჯი და კლარჯეთის სხვა ციხეები სამეფოდ დაიჭირა. სწორედ ამ ამბავს მოჰყვა **ა-**-ის (კლარჯეთის) საერისთავოს შექმნა, რომლის რეზიდენცია მდებარეობდა ციხექალაქ არტანუჯში. **ა-**-ის საერისთავოში იგულისხმება შავშეთის ტერიტორიაც, რომელიც აჭარასა (აბუსერისძეთ სამკვიდრო) და კლარჯეთს შორის მდებარეობდა. **ა. ე-**ობა მეფემ თავის ერთგულ აბუსერიძეთა საგვარეულოს გადასცა, რომლებიც, „მატიანე ქართლისაჲს“ თანახმად, ძლიერი და გავლენიანი ფეოდალები ყოფილან. ცნობები **ა. ე-**ების შესახებ შემონახულია XI-XIV სს-ის წყაროებში. ამათგან მეტი კონკრეტულობით გამოირჩევა XI ს-ის პირველი ნახევრის მასალა. აბუსერისძეები ბაგრატ IV-ს ეხმარებოდნენ ლიპარიტ ბაღვაშის წინააღმდეგ ბრძოლაში. რაც შეეხება დანარჩენ აბუსერიძე-ერისთავებს, მათზე მსჯელობა მხოლოდ იმ მცირე გენეალოგიური ცნობებით შეიძლება, რომლებიც შემორჩენილია XIII ს-ის პირველი ნახევრის ჰიმნოგრაფისა და მეცნიერის, აბუსერიძე ტბელის თხზულებაში. „აბუსერეთ საერისთავო“ მოიხსენიება ნიკოლოზ კათალიკოსის 1281/1282 წ-ის საბუთში აზნაურ არვანბეგ საბაისძისადმი. **ა-**-ის საერისთავო არსებობას განაგრძობს XIV ს-ის პირველ ნახევარშიც. ამ პერიოდში, ვახუშტის თანახმად, გიორგი ბრწყინვალემ კლარჯეთში, სპერში, კალმახსა და არტანუჯში თავისი ერისთავები დასვა. გიორგი ბრწყინვალის დროს დასმული **ა. ე-**ები ჯაყელთა სახლის უმცროსი შტოს წარმომადგენლები ჩანან, მაგრამ ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან მაინც მათი მოხელეობა უკვე საეჭვოა. ჯვრის

მონასტრის აღაპებში ა-ის მფლობელები ე-ად აღარ იწოდებიან. ამ დროიდან ა-ის საერისთავო ტერიტორია მათ კერძო სამამულო მფლობელობაში ჩანს გადასული.

წყაროები და ლიტერატურა: მატიანე ქართლისაჲ 1955: 293; სუმბატ დავითის-ძე 1955: 1959: 382; ქისკ 1984: 177-178; ვახუშტი 1973: 258; მეტრეველი 1962: 83, N43; მუსხელიშვილი 1941: 17-19, 69; ბახტაძე 2003: 265-271.

არტანუჯის ერისთავები:

იოვანე აბუსერი – ა.ე. დაახლოებით 1011–1030-იანი წწ. 1028 წ., როდესაც ბაგრატ IV საქართველოში ჩამოიყვანეს, ა. ე-ად მოიხსენიება იოვანე აბუსერი. მკვლევარებს იგი მიჩნიათ პირველ ერისთავად აბუსერისძეთა საგვარეულოდან.

წყაროები და ლიტერატურა: მატიანე ქართლისაჲ 1955: 293; ჟორდანიას 1892: 192, 122-123; მუსხელიშვილი 1941: 19; ბახტაძე 2003: 265.

აბუსერ (I) აბუსერიძე – ა.ე. 1046/1047 წ. იოვანე აბუსერის შემდგომ; ბაგრატ IV-ის ერთგული თანამებრძოლი, დიდი აღბათობით, იოვანე აბუსერის ძე. მისი სამფლობელოები საკმაოდ ვრცელი ჩანს – იგი ყოფილა პატრონი „ხიხათა და ციხისჯუარისა და აწყურის ციხისა“. აბუსერი მონაწილეობდა ანისის დაცვაში, მას შემდეგ, რაც 1045 წ-ის სიხლოვეს ანელმა ბერებმა ქალაქი მარიამ დედოფალს ჩააბარეს. ლიპარიტ (IV) ბაღვაშმა ბაგრატ IV-სთან მისი ცნობილი დაპირისპირების დროს აბუსერი სხვა დიდებულებთან ერთად მოტყუებით გამოიყვანა ანისიდან და დაატყვევა. ამ დროს ბაგრატი თბილელ ბერთა მონვევით თბილისში იყო შესული და იქაურ საქმეებს განაგებდა. მეფე იძულებული გახდა თბილისი დაეტოვებინა და თავისი ერთგული მოხელე-დიდებულების გასათავისუფლებლად ჯავახეთს ჩასულიყო, თუმცა, აქ იგი იძულებული გახდა უკან დაეხია, მაგრამ აბუსერის გათავსუფლება მაინც მოახერხა – მასში გაუცვალა ლიპარიტს მისივე ძე, ივანე ბაღვაში. შემდგომ აბუსერი კვლავ ბაგრატის მხარეზე იბრძვის სასირეთის ჭალასთან, სადაც იგი ისევ ლიპარიტის ტყვე ხდება. ამ ამბის შემდეგ წყაროებში მისი სახელი იკარგება.

წყაროები და ლიტერატურა: მატიანე ქართლისაჲ 1955: 300-301; ჟორდანიას 1892: 192, 122-123; მუსხელიშვილი 1941: 19.

გრიგოლ აბუსერის ძე – ა.ე. 1047–1070 წწ. აბუსერ აბუსერიძის შემდგომ. გრიგოლ აბუსერისძის შესახებ ცნობილია, რომ იგი, დაახლ. 1046/1047 წ., სულა კალმახის ერისთავისა და მესხი აზნაურების თანადგომით, ცდილობდა ბაგრატ IV-ის დახმარებას, მაგრამ არყის ციხესთან მეფის მომხრეებმმა ლიპარიტ ბაღვაშისაგან მორიგი

მარცხი იწვინეს. ამ ბრძოლისას გრიგოლ **ა. ე.** შეიპყრეს და ძელზე გასმის მუქარით აიძულეს არტანუჯი დაეთმო. არტანუჯი ლიპარიტის ხელში დარჩა მის დატყვევებამდე (1057), ხოლო გრიგოლი, როგორც ჩანს, ბაგრატ ბაგრატ IV-ს ახლდა კონსტანტინოპოლში, სადაც იგი იმყოფებოდა 1051-1054 წწ-ში. ამ პერიოდში უნდა გაეღო მას უხვი შეწირულება ათონის მონასტრისათვის, რის გამოც მის სახელზე 29 იანვარს მონასტერს „მაშენებელთა სწორი“ ალაპი დაუნესებია.

წყაროები და ლიტერატურა: მატჩანე ქართლისაჲ 1955: 302; მეტრეველი 1998: 144.

აბუსერ (II) აბუსერიძე – ა.ე. XI ს-ის ბოლო მესამედი. არტანუჯის ციხის დაკარგვის შედეგად აბუსერისძეთა სამფლობელო შემცირებულა. ლიპარიტ ბაღვაშის შეპყრობის შემდეგ კი, არტანუჯი ბაგრატ IV-მ დაიჭირა, ხოლო აბუსერიძეთა კუთვნილი ციხის-ჯვარი სულა კალმახელს უწყალობა. როგორც ჩანს, **ა.ე.** აბუსერისძეებს დარჩენიათ მხოლოდ ხიხანი. ისინი იგულისხმებიან ვერნების ეკლესიის XI ს-ით დათარიღებულ წარწერაში: „ქრისტე, ადიდენ ერისთავთ-ერისთავნი გრიგოლ და აბუსერი და გიორგი და შვილნი მათნი: გიორგი, ზაქარია“. წარწერაში მოხსენიებულ გრიგოლ ერისთავს აიგივებენ გრიგოლ (I)-თან, რომლის მომდევნოდ **ა.ე.** უნდა ყოფილიყო აბუსერ (II). **ა. ე.**-თა კიდევ რამდენიმე თაობის სახელია შემორჩენილი 1233 წ-ის აბუსერისძე-ტბელთა საგვარეულო მატჩანეში. მათ შორის რამდენიმე (ივანე (II), აბუსერ (III), ვარდანი) ერისთავთ-ერისთავის წოდებით მოიხსენიებიან.

ლიტერატურა: მუსხელიშვილი 1941: 20; ოთხმეზური 1981: 115; ბახტაძე 2003: 268.

აფხაზთა ერისთავი. **ა-**თა საერისთავო, როგორც ადმინისტრაციული ერთეული, VIII ს-ის დასასრულს ახლად წარმოქმნილი ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ფარგლებში ჩამოყალიბდა. ვახუშტის თანახმად, მის საზღვრებში მოქცეული იყო საკუთრივ აფხაზეთი და ჯიქეთი ვიდრე ზღვამდე და „ხაზართა მდინარემდე“ (მდ. ყუბანი). სამხრეთით **ა-**თა საერისთავოს აფშილეთი ესაზღვრებოდა, რომელიც ცალკე საერისთავოს წარმოადგენდა ეგრის-აფხაზეთის სამეფოში. **ა-**თა საერისთავოს რეზიდენცია იყო ანაკოფია, რომლის კედლებთან VIII ს-ის 30-იან წლებში მურვან ყრუმ სასტიკი მარცხი განიცადა. რომელ საგვარეულოს ეპყრა **ა. ე.**-ობა ეგრის-აფხაზეთის სამეფოში, უცნობია. XI ს-ის შუა ხანებში **ა. ე.** უნდა ყოფილიყო ოთალო ჭაჭას ძე ქუაბულელი, ბაგრატ IV-ის თანამედროვე. იგი „აფხაზეთისა ლაშქრითა“ ბაგრატ IV-ს ეხმარებოდა ანაკოფიის ციხის აღებაში. მართალია, „მატიანე ქართლისაჲ“ მას ერისთავის წოდების გარეშე მოიხსენიებს, მაგრამ, მკვლევართა საერთო აზრით, ამ ეპიზოდში აფხაზთა ლაშქრის ხელმძღვანელი ოთალო სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა **ა. ე.** ამ ცნობაზე დაყრდნობით. ბერძენიშვილმა ყურადღება გაამახვილა ლაშქრის ორგანიზაციის თემობრივ პრინ-

ციპზე, რომელსაც, როგორც ჩანს, ეგრის-აფხაზეთის სამეფო ეფუძნებოდა. კამათის საგანია, რა სახით არსებობდა ა-თა საერისთავო თმარის ეპოქაში – იყო იგი ცალკე ადმინისტრაციული ერთეული, თუ შედიოდა ცხუმის (სოხუმი) საერისთავოში. კამათის საფუძველს იძლევა თამარის ისტორიკოსთან ცხუმის ერისთავად ოთალო შარვაშეს-ძის მოხსენიება. ამიტომ ფიქრობდნენ, რომ ა-თა საერისთავო ამ დროისათვის ცხუმის საერისთავოსთან იყო გაერთიანებული (ზ. ანჩაბაძე). თამარის გამეფების დროს (1284) ოთალო შარვაშეს-ძე ცხუმის ერისთავადაა მოხსენიებული, ხოლო ა. ე. საერთოდ აღარ იხსენიება. მიუხედავად წყაროს ამგვარი ჩვენებისა, ვახუშტი ბაგრატიონი დაჟინებით ამტკიცებს, რომ თამარის დროს (რუსუდანამდე) „ცხუმის ერისთავი სხუა, აფხაზთა სხუა“. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ წყაროში ტექსტის ეს მონაკვეთი ხელნაწერში ნაკლულია და აღდგენისას გარკვეული კუნიუნქტურა განიცადა. ამიტომ მკვლევართა ნაწილი, ვახუშტიზე დაყრდნობით, მიიჩნევს, რომ ერთიან მონარქიაში XIV ს-ის დასაწყისამდე ა-თა საერისთავო არსებობდა. ვახუშტის ცნობით, XIV ს-ის დასაწყისში დავით ნარინის შვილებს შორის წრმოქმნილი უთანხმოებით ისარგებლეს დადიანმა და შერვაშიძემ და საერისთავოდ ჩაბარებული მიწები სამთავროდ დაიჭირეს.

წყაროები და ლიტერატურა: ვახუშტი 1973: 780, 796, 801; მატჩანე ქართლისაჲ 1955: 261, 299; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 33-34; Анчабадзе 1959: 177; ლორთქიფანიძე 1963: 187; ბერძენიშვილი 1990: 585; ანთელავა 1988: 46; ბახტაძე 2003: 127, 245-247.

ახალქალაქის ერისთავი იხ. ჯავახეთის ერისთავი

თუხარისის ერისთავი. თუხარისი საქართველოს უძველეს ანტიკურ ქალაქთა რიცხვში მოიხსენიება. იგი მდებარეობდა მდ. ჭოროხის მარჯვენა ნაპირზე, ამიერ-ტაოსა და კლარჯეთის საზღვარზე. დიდი ხნის განმავლობაში ციხექალაქი თუხარისი და მისი მიმდებარე მიწა-წყალი სამეფო დომენის კუთვნილება იყო. IV ს-ში მეფე მირდატმა აქ ააშენა პირველი ეკლესია, რომელიც იმთავითვე მცხეთის სამწყსოში შედიოდა. თუხარისი, როგორც სასაზღვრო ტერიტორიის ცენტრი, განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებდა – ადრეულ შუა საუკუნეებში იგი რამდენჯერმე მიიტაცა ბიზანტიამ. IX ს-დან ქალაქი ტაო-კლარჯეთის სამთავროში შედიოდა და კლარჯი ბაგრატიონების სამფლობელო იყო. თ-ის საერისთავო დაფუძნდა XI ს-ში, საქართველოს გაერთიანების კვალდაკვალ. საერისთავოს რეზიდენციას წარმოადგენდა თუხარისის ციხე. პირველად თ. ე. მოიხსენიება „მატიანე ქართლისაჲში“ ბაგრატ IV-ისა და ლიპარიტ ბაღვაშის დაპირისპირების ერთ-ერთ ეპიზოდში (1045-1047), საიდანაც ჩანს, რომ ფარსმან თმოგველი და თ. ე. ბეშქენ ჯაყელი ბაგრატს განდგომიან და ლიპარიტს მიმხრობიან. თ. ე. ბეშქენ ჯაყელი იხსენიება აგარის სამშენებლო წარწერაში: „ერისთავთ-ერისთავთა ბეშქენ და

მურვანის მლოცველმან, მე, ეფრემ, ხელგყავ შენებად ტრაპეზისა ამისა“. შეინარჩუნა თუ არა ბეშქენ ჯაყელმა **თ. ე-**ობა ლიპარიტის დამხობის შემდეგ, უცნობია. ვარაუდობენ, რომ მისი შთამომავალი უნდა იყოს დავით აღმაშენებლის თანამედროვე ბეშქენ ჯაყელიც, რომელიც 1118 წ-ის სიახლოვეს თურქთაგან ჯავახეთში დაიღუპა, რის გამოც მეფემ სასტიკად იძია შური. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მას ერისთავობით არ მოიხსენიებს, მაგრამ ასეთი „უზუსტობა“ ხშირია დავითის ისტორიკოსთან. ამიტომ მიიჩნევს ნ. ბერძენიშვილი მას ერისთავად. უცნობია **თ-**ის საერისთავოს გაუქმების თარიღიც. ვახუშტი ბაგრატიონი გიორგი ბრწყინვალის მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ახლად დასმულ ერისთავთა შორის **თ. ე-**ს არ ახსენებს. სავარაუდოდ, ამ დროიდან თუხარისის „ქვეყანა“ მცხეთის ეკლესიის იურისდიქციაშია, ხოლო თუხარლები – მცხეთის საყდრისშვილები. გვიანდელ საბუთებში (XVI ს.) თუხარელთა მამული ყოველთვის ქართლის კათალიკოსის მესხეთის ძველ სამწყსოთა შორის იხსენიება.

წყაროები და ლიტერატურა: მეფეთა ცხოვრება 1955: 9; მათიანე ქართლისაჲ 1955: 298; სილოგავა 1983: 276; დავით აღმაშენებლის ცხოვრება 1959: 334; ვახუშტი 1973: 258; შარაშიძე 1961: 35; ბერძენიშვილი 1974: 64; ბახტაძე 2003: 263.

კალმახის ერისთავი. **კ-**ის საერისთავო, სავარაუდოდ, დაარსდა XI ს-ში გაერთიანებული საქართველოს ახლებური ადმინისტრირების შედეგად. „მატიანე ქართლისაჲ“ გვაცნობს სულა **კ. ე-**ს, ბაგრატ IV-ისა და ლიპარიტ ბალვაშის მწვავე დაპირისპირების მომსწრეს და მეფის უერთგულეს პირს. სულა **კ. ე-**მა გადამწყვეტი როლი შეასრულა ბაგრატსა და ლიპარიტს შორის თითქმის ოცნლიანი კონფლიქტის მეფის სასარგებლოდ დასრულების საქმეში. 1047/1048 წ. სანამ თურქები ლიპარიტს დაატყვევებდნენ, სულა **კ. ე-**მა გრიგოლ არტანუჯის ერისთავთან ერთად შეჰყარა მესხთა ლაშქარი და უხმო ბაგრატს. მათი დახმარების იმედით ბაგრატი არყისციხეში კვლავ შეებრძოლა ლიპარიტს, მაგრამ დამარცხდა. ამ ბრძოლისას სულა **კ. ე.** ტყვედ ჩავარდა. ლიპარიტის ხალხი მას ძელზე გასმის მუქარით აიძულებდა კალმახის ციხის დათმობას, მაგრამ სულა ვერ გატეხეს. 1048 წ. ბასიანში ლიპარიტი თურქებმა დაატყვევეს. როგორც ჩანს, ლიპარიტის შვილებმა, რომლებიც ბაგრატთან მშვიდობას ეძებდნენ, სულა გაათავისუფლეს. ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ ლიპარიტი კიდევ უფრო გაძლიერდა და მეფე იძულებული გახდა კონსტანტინოპოლში ჩასულიყო სამართლის საძიებლად. ბაგრატი კომპრომისული წინადადებებით დაბრუნდა კონსტანტინოპოლიდან, და, ფაქტობრივ, გაუყო ძალაუფლება ლიპარიტს. 1057 წ. სულა **კ. ე-**ის ხელმძღვანელობით მესხმა აზნაურებმა ლიპარიტი და ივანე დლივი შეიპყრეს და ბაგრატს ჩააბარეს. ამ დამსახურების სანაცვლოდ ბაგრატმა სულას მამულობით უბოძა „ციხისჯვარი და ოძრხე ბოდო-კლდითა“. არსებობს მოსაზრება, რომ ამ დროს სულამ კალმახის საერის-

თავო მიწა-წყალიც მამულობით მიიღო, რაც კ-ის საერისთავოს გაუქმებას უნდა ნიშნავდეს, მაგრამ ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში სულას მოხსენიება „იშხანად“ (მთავრად). თამარის დროს კალმახელები, მართლაც ერისთავის წოდების გარეშე მოიხსენიებიან, როგორც კალმახის მემამულე ფეოდალები. ისინი ზაქარია ფანასკერტელთან ერთად ამარცხებენ გუზან ტაოსკარელის დამხმარე თურქთა ლაშქარს. ამრიგად, თამარის დროს და, უეჭველია, მთელი XIII ს-ის განმავლობაში კალმახის საერისთავო გაუქმებული ჩანს. XIV ს-ის პირველ ნახევარში, ვახუშტის ცნობით, გიორგი ბრწყინვალემ კალმახი, როგორც საზღვრისპირა რეგიონი, კვლავ საერისთავოდ აქცია. შემდგომში კ-ის საერისთავო კვლავ გაუქმებულია – XVI ს-ის დასაწყისში შედგენილ მცხეთის სამწყსოს მამულების ნუსხაში კ. ე-თა ყოფილი მიწები სხვა მესხურ მიწებთან ერთად სამცხეთო მამულებს შორის მოიხსენიება.

წყაროები და ლიტერატურა: მატიანე ქართლისაჲ 1955: : 300-302; ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი 1953: 227; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 55; ვახუშტი 1973: 258; შარაშიძე 1961: 35; ხიდურელი 1977: 279; ბახტაძე 2003: 262.

კახეთის ერისთავი. კ-ის საერისთავოს დაარსებას ქართული საისტორიო ტრადიცია ფარნავაზ მეფეს მიაწერს. მის ფარგლებში იგულისხმება ვრცელი ტერიტორია „არაგვიდან ჰერეთამდე რომელ არს კახეთი და კუხეთი“. საუკუნეების განმავლობაში ფარნავაზის დროინდელი საერისთავო ტერიტორიის სტატუსი არაერთხელ ჩანს შეცვლილი. მაგ., მირიან მეფის დროს კახეთი და კუხეთი საუფლისწულო დომენი გახდა, ხოლო მისი მემკვიდრეების დროს კუხეთი, ცენტრით რუსთავში, გამოეყო დომენს და ისევ საერისთავო ქვეყნად იქცა. შემდეგი ცნობა ეკუთვნის ვახტანგ გორგასლის ხანას. ვახტანგმა, მემამულის სიტყვით, კახეთი და კუხეთი თითქოს კვლავ ერთ საერისთავოდ შეაერთა. შემდგომ საუკუნეებში, ვიდრე ქართლის სამეფო ტერიტორია ახალ სამეფო-სამთავროებად დაიშლებოდა, კ. ე., როგორც მოხელე, წყაროებიდან ქრება, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბაგრატ III-მ კახეთი და ჰერეთი შემოიერთა (1010), ამ ვრცელი რეგიონების სამართავად თავისი ერისთავები დასვა. ივარაუდება, რომ ბაგრატის მოერიდებოდა ვინრო თემობრივ პრინციპზე ტერიტორიულ დაყოფას და საერისთავოების სახით აქ ორი მსხვილი ადმინისტრაციული ერთეული – კახეთისა და ჰერეთის – უნდა დაეარსებინა. ამაზე მიაწინებს „მატიანე ქართლისაჲს“ თხრობა ამირა ფადლონის მიერ ჰერეთისა და კ. ე-თა შევიწროების შესახებ. გიორგი I-ის ტახტზე ასვლისას ბაგრატ III-ის მიერ დასმული ერისთავები უკვე კახელებს შეუპყრიათ. ვახუშტი ბატონიშვილის მოწმობით, კახეთის მეფე კვირიკე დიდმა (1010-1037) კახეთ-ჰერეთის ტერიტორია შვიდ საერისთავოდ დაანაწილა. ამათგან სამი: რუსთვი, კვეტერა, პანკი-

სი ანუ მარილის საკუთრივ კახეთში იყო, ოთხი – ხორნაბუჯი, ვეჯინი, მაჭი, შტორი – ჰერეთში. როგორი იყო კახეთის ადმინისტრაციული დაყოფა ერთი საუკუნის შემდეგ, როდესაც დავით აღმაშენებელმა კახეთი ხელახლა შემოიერთა, წყაროებიდან არ ჩანს. არსებობს მოსაზრება, რომ კვირიკე დიდის დროინდელი დაყოფა ერთიან საქართველოშიც შენარჩუნდა, რის მონაწილესაც ხედავენ გვიანდელი კახეთის მეფეების სიგელთა გამონათქვამებში: „საპანკისო“, „ვეჯინის პირთა“ და სხვ., რომლებშიც ტერიტორიული ერთეულების ძველი ცენტრები უნდა იყოს მინიშნებული (ნ. ასათიანი). საპირისპირო მოსაზრებით, კახეთის ხელახალი შემოერთების შემდეგ დავით აღმაშენებელი ადმინისტრირების კვლავ ბაგრატი III-ის დროიდან პრინციპს უნდა მიბრუნებოდა (მ. ბახტაძე).

კ. ე-ების შესახებ წყაროებში მეტისმეტად მწირი ცნობებია შემონახული, თუმცა მათი შეჯერება საფუძველს იძლევა ერთიან ქართულ მონარქიაში **კ. ე-**ებად აბუღეთისძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები იქნას მიჩნეული. სახელი აბუღეთი წყაროებში X ს-დან ჩნდება. პირველად იგი მოიხსენიება ზედა-ლისას (შიდა ქართლი) ეკლესიის სამშენებლო წარწერაში, რომელშიც ეკლესიის მამულებელი ფებრონია მოიხსენიებს თავის ძე აბუღეთს. აბუღეთისძეთა საგვარეულოს არსებობა არაბი ისტორიკოსის, ალ-ფარიკის ცნობაზე დაყრდნობით XI ს-დან დასტურდება (გ. ჯაფარიძე). ნიშანდობლივია, რომ კახეთის შემოერთების წინ დავით აღმაშენებელს სწორედ აბუღეთისძეთა წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდა. ამ საგვარეულოს სხვა განშტოება – აბუღეთისძე-ძაგანისძენი დიდი გავლენით სარგებლობდნენ XII-XIII სს-ის საქართველოში და მალაღ თანამდებობებსაც ფლობდნენ. თამარის დროს **კ. ე.** იყო ბაკურ-ყმა ძაგანისძე. მოგვიანებით, 1259 წ. გაცემული ძაგან აბუღეთისძის სიგელის თანახმად, XIII ს-ის შუა ხანებში **კ. ე.** ყოფილა ივანე აბუღეთისძე. აბუღეთისძე-ძაგანისძეთა სახლის შთამომავლად მიიჩნევა ნ. შოშიაშვილი ეგასლან ბაკურციხელსაც, რომელიც, „ჟამთააღმწერლის“ ცნობით, მონღოლებმა კახეთ-ჰერეთის დუმნისთავად დანიშნეს. ამ ვარაუდზე დაყრდნობით მიაჩნიათ ეგარსლანი **კ. ე-**ად (მ. ბახტაძე). ეგარსლანის წარმომავლობა **კ. ე-**თა საგვარეულოდან სავსებით დასაშვებია, მაგრამ მის **კ. ე-**ობას ერთგვარად აბრკოლებს ეგარსლანის მემკვიდრისეული დახასიათება – „ჟამთააღმწერელი“ ხაზს უსვამს ეგარსლანის ჭკუასა და გამჭრიახობას, მაგრამ, ამასთანავე, საგანგებოდ აღნიშნავს მის უმეცრებას სამხედრო საქმეში, მაშინ, როდესაც ერისთავის უპირველესი მოვალეობა სამხედრო სამსახურია. ეგარსლანი კობტასთავის შეთქმულებაშიც მონაწილეობს და მონღოლთა სამსახურშიც ახერხებს დანიშნულებას, იმდენად, „რომელ კნინადა სახელისდებაცა მეფისა იკადრა“. მაგრამ განდიდებული მოხელე დიდების მწვერვალიდან ეშვება მაშინ, როდესაც არისტოკრატიულ სამოხელეო ეტიკეტს დაარღვევს – იგი ხაზგასმით ქედმაღლურად დახვდა ურდოდან დაბრუნებულ ავაგ ათაბაგს, რის გამოც ავაგმა მას იქვე, საჯა-

როდ, გადაუჭირა მათრახი და ბრძანა, ცხენიდან ჩამოეგდოთ. ამის შემდეგ წყაროებში ეგარსლანის ხსენება წყდება.

კ. ე-ად მიიჩნევენ თორღვა პანკელსაც, რომელსაც, „ჟამთააღმწერელის“ თანახმად, დავით ლაშას ძემ ბათო ყაენთან გამგზავრების წინ კახეთის საქმეები ჩააბარა (მ. ბახტაძე). თორღვა პანკელს მეფის იმედები არ გაუმართლებია, დიდად „გაამაყებულა“ და კახეთი თვითნებურად თავისად დაუჭერია. მეფემ საქართველოში დაბრუნების შემდგომ იგი სიკვდილით დასაჯა.

მეტი ცნობა **კ. ე-**ების შესახებ არ მოგვეპოვება. ერისთავის ინსტიტუტი XIV ს-დან მთელ საქართველოში გადაგვარების გზას დაადგა. XV ს-ის მეორე ნახევარში, როდესაც გიორგი VIII-მ (ერთიანი საქართველოს მეფე 1446-1476; კახეთის მეფე 1466-1476) კახეთის სამეფო დააფუძნა, მას ერისთავის ინსტიტუტი აღარ აღუდგენია და ქვეყნის ადმინისტრაციული მოწყობა მოურავობის ინსტიტუტზე დააფუძნა.

წყაროები და ლიტერატურა: მეფეთა ცხოვრება 1955: 24, 70, 131; ჯუანშერი 1955: 185; მატინანე ქართლისაჲ 1955: 279; სუმბატ დავითის ძე 1955: 383; ქისკ, 1984: 54, 140; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 34; ჟამთააღმწერელი 1959: 207, 225, 230; ვახუშტი 1973: 561, 568; ჯაფარიძე 2012: 150; ასათიანი 1976: 211-212; მესხია 1979: 19, 104, 105; ბახტაძე 2003: 193-195.

კლდეკარის ერისთავი. კ-ის საერისთავოს დაარსება უკავშირდება ბალვაშთა ძლიერ საგვარეულოს, რომლის ერთი განშტოება IX ს-ის 70-იანი წლების დასასრულს ეგრის-აფხაზეთის სამეფოდან (არგვეთიდან) თრიალეთში გადმოსულა. აქ, კლდეკარში, ლიპარიტ (I) ბალვაშს ციხე აუგია და დავით კურაპალატს (876-881) ყმობია. ამიერიდან ბალვაშები მნიშვნელოვან ფიგურებს წარმოადგენენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათი საგამგებლო მხარე – „ქუეყანანი თრიალეთისანი“ მოიცავდა მთელ რიგ მიკროქვეყნებს, როგორებიცაა: ფარავანი, ტაბისყური, ნარიანი, საპიტიახმო, რეხა-ცხვარეთი-საპონაური, თეზი, ბარეთი, ნარდვენისა და სანთის საციხისთავოები. „მატინანე ქართლისაჲს“ და ეპიგრაფიკული მასალის მოწმობით, ბალვაშები თრიალეთით აღარ იფარგლებიან – დროდადრო მათ ხელშია მანგლისის ხევი, სკვირეთი, ატენი, თეძმის, ვერეს, სამშვილდის ხეობები და ვარძიაც. ბალვაშების სააღმშენებლო მოღვაწეობის კვალი დადასტურებულია ქვემო ქართლშიც, ყარაბულახის მარცხენა სანაპიროზე, მაშინ როცა მარჯვენა მხარე სომეხ კვირიკიანებს ეპყრათ. საერისთავოს რეზიდენცია იყო კლდეკარის ციხე, რომელიც ჯავახეთიდან ქართლისაკენ მომავალ სტრატეგიული მნიშვნელობის გზას აკონტროლებდა, რაც მის მფლობელ ბალვაშებს საკუთარი ძალისა და მნიშვნელობის დემონსტრირების საშუალებას აძლევდა. ბალვაშები, მართალია, ერისთავებად იწოდებოდნენ, მაგრამ სხვა ერისთავთა მსგავსად, ტაოს ბაგრატიონთა ფორმალური ვასალები უფრო იყვნენ, ვიდრე მოხელეები. მდგო-

მარეობა შეიცვალა X-XI ს-თა მიჯნაზე, როდესაც დამოუკიდებლობას შეჩვეული კ. ე-ები იძულებული გახდნენ ადგილი ეპოვათ საქართველოს ერთიან მონარქიაში – ისინი თავიდან მტრულად შეხვდნენ ბაგრატ III-ის ქართლში გამეფებას, მაგრამ შემდგომ მეფის მოხელეობას ჯერდებიან. სამეფო ხელისუფლებასთან ბაღვაშთა ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა ლიპარიტ (IV) ბაღვაშის დროს და XI ს-ის გასულამდე ისინი სამეფო ხელისუფლების მთავარ ოპოზიციურ ძალად რჩებიან.

წყაროები და ლიტერატურა: მატთანე ქართლისაი 1955: 258, 276; სუმბატ დავითის ძე 1955: 383; შოშიაშვილი 1980: 202, 238, 244, 246; ბაქრაძე 1959: 57; ხელნაწერთა აღწერილობა 1953: 93-101; ბერძენიშვილი 1964: 14-15; ლორთქიფანიძე 1973: 429; ბერძენიშვილი 2005: 84; ბერძენიშვილი 2008: 83-54.

რატი (I) ბაღვაში – კ. ე. X ს-ის 80-იანი წწ. რატი (I) ბაღვაშს მოიხსენიებენ „მატიანე ქართლისაჲ“, ატენის, შეპიაკისა და დაშბამის ეკლესიათა წარწერები. კ. ე. რატი თავიდანვე „არა მორჩილებდა კეთილად ბაგრატ მეფესა“. 988 წ., როდესაც ბაგრატ III-მ ტბელები დაამარცხა და შიდა ქართლში პოზიციები განიმტკიცა, რატი შეეცადა მეფისათვის წინააღმდეგობის განევას, მაგრამ, მისთვის მოულოდნელად, ბაგრატ III კლდეკარის ციხეს შემოადგა. რატიმ წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია, გამოვიდა ციხიდან, ბაგრატს თავისი შვილი ლიპარიტი შეაგედრა და თვითონ არგვეთის მამულში წავიდა. როგორც ჩანს, გიორგი I-მა (1014-1027) რატი ბაღვაში მალე შემოირიგა – 1021 წ. იგი გიორგი მეფესთან ერთად იბრძვის შირიმნის ბრძოლაში და ბრძოლის ველზე ეცემა. როგორც ჩანს, ამ ამბიდან მალე იბრუნებენ ბაღვაშები კ. ე-ობას.

წყაროები და ლიტერატურა: შოშიაშვილი 1980: 202, 238, 244, 247; მატთანე ქართლისაჲ 1955: 276, 278, 284; ბერძენიშვილი 1990: 319-320; ბახტაძე 2003: 175-176.

ზვიად მარუშიანი – კ. ე. დაახლ. 988–1021 წწ. ვინ ჩაანაცვლა კ. ე-ად რატი (I) ბაღვაში, „მატიანე ქართლისაი“ არაფერს იუწყება, სამაგიეროდ, ამ ხარვეზს ავსებს ეპიგრაფიკული მასალა. ლივადის (თრილეთი) წარწერაში კ. ე-ად ჩანს ბაგრატ III-ის ერთგული თანამებრძოლი ზვიად მარუშიანი. სამოხელეო ტიტულის გარეშე იხსენიებს ამავე პირს დიდი გომარეთის (თრიალეთი) 1023 წ-ის წარწერა, საიდანაც ირკვევა, რომ ეკლესიის ბალავარი ჩადებულა იმ დროს, როცა ზვიად მარუშიანი მეფე გიორგის I-ს შეურისხავს. ამ წარწერათა მონაცემების თანახმად, ზვიად მარუშიანს კ. ე-ობა უნდა ჰქონოდა რატი ბაღვაშის შემდგომ, 988-1023 წწ-ებში (ა. ბაქრაძე). სხვაგვარი დათარიღებით, ზვიად მარუშიანი კ. ე. უნდა ყოფილიყო 988 წ-იდან დაახლ. 1016 წ-მდე (მ. ბახტაძე). მკვლევართა მიერ იგივე ზვიად მარუშიანი ჩანს ჯავახეთის ერისთავად,

მხოლოდ ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენა ძნელდება (შდრ. ჯავახეთის ერისთავი ზვიად (II) ერისთავი).

წყაროები და ლიტერატურა: ბაქრაძე 1959: 59, 60-61; მეტრეველი 1973: 50; ბახტაძე 2003: 176.

ლიპარიტ (III) ბაღვაში – ვ. ე. დაახლოებით 1021-1028 წწ. შეპიაკის ნარნერის თანახმად, იგი იყო რატი (I)-ის ძე, რომელსაც მამის სიცოცხლეშივე მიუღია **ვ. ე.**-ობა: „სახელითა ღ(მრ)თისითა აღვაშენე წმიდაი ესე ეკლესიაი ზეობასა, ადიდენ ღმერთმან, რატ ერისთავისა სალოცველად, მზეგრძელობისა და სულისა მათისათუის და სალოცავად ძისა მათისა ლიპარიტ ერისთავისა“.

წყარო და ლიტერატურა: შოშიაშვილი 1980: 238. მ. ბახტაძე 2003: 177.

ლიპარიტ (IV) ბაღვაში – ლიპარიტ (III)-ის ძე, **ვ. ე.** 1028-1057 წწ., ქართლის ერისთავი 1040-იან-1057 წწ.; ბაგრატ IV-ის თანამედროვე, გამჭრიახი, გაბედული და ძლიერი პიროვნება, რომლის დაპირისპირებამ ბაგრატ IV-სთან ღრმა კვალი დააჩნია XI ს-ის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას. ლიპარიტს დიდ ანგარიშს უწევდნენ მისი თანამედროვე ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს მმართველნი. ლიპარიტ IV-ის შემდგომ **ვ. ე.**-თა დამორჩილება საქართველოს მეფეების საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დარჩა. ლიპარიტი მოიხსენიება იმერას, დიდი გომართისა და ამბარლოს ნარნერებში. მან უაღრესად რთული გზა განვლო ბაგრატ IV-ის ვასალობიდან ბიზანტიის იმპერატორის მოკავშირეობამდე. თავდაპირველად ლიპარიტი ერთგულად ემსახურებოდა ახლად გამეფებულ მცირეწლოვან ბაგრატ IV-ს და ქვეყნის ინტერესების დასაცავად არა ერთი ბრძოლა გადაიტანა. „მატიანე ქართლისაჲ“ იუწყება, რომ ბაგრატ IV-ის საქართველოში დაბრუნებიდან ერთი წლის შემდეგ (1028) იმპერატორმა კონსტანტინემ ბიზანტიელთა სადამსჯელო ჯარი გამოგზავნა, რომელმაც მოაოხრა ტაოს ქვეყანა და მოვიდა თრიალეთს. აქ ბიზანტიელთა ჯარს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია კლდეკარში გამაგრებულმა ლიპარიტმა და აიძულა იგი უკან გაბრუნებულიყო. მომდევნო წლებში ლიპარიტი კვირიკე კახთა მეფესთან და თბილისის ამირასთან ერთად იბრძვის განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ. ლიპარიტისა და ბაგრატის განხეთქილების მიზეზი გახდა თბილისის საამიროს საკითხი. „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობით, ლიპარიტი დამოუკიდებლად უწევს ორგანიზებას თბილისის შემოერთებას – მან ქართლის ერისთავ ივანე აბაზასძესთან ერთად ტფილელი ამირა ჯაფარი მუხათგუერდში შეიტყუა და შეიპყრო, შემდეგ ბირთვისის ციხეც წაართვა. ამ ფაქტს ადასტურებს ამბარლოს ნარნერაც: „მას ჟამსა მიწყია, ოდეს შეიპყრა ლიპარიტ ერისთავთ ერისთავმან ამირაჲ“. დატყვევებული ამირა ბაგრატ IV-მ შეინყალა და

კვლავ თბილისსში დააბრუნა. ცოტა ხნის შემდეგ ბაგრატმა კახელთა და ჰერთა ლაშქრის მონაწილეობით თავად ითავა თბილისზე ლაშქრობა. თბილისის ალყა ორ წელს გაგრძელდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ თბილისის ამირა ჯაფარ იბნ-ალი ტივით აპირებდა თბილისიდან განძაში გაპარვას, მაგრამ ბაგრატმა თავისი დიდებულების კარნახით, კვლავ დაინდო ამირა და, ლიპარიტისაგან ფარულად, ზავი შეკრა მასთან. ამ ამბის შემდეგ ლიპარიტი საბოლოოდ განუდგა ბაგრატს. ეს განდგომა ბაგრატ IV-ს და ქვეყანას მეტისმეტად ძვირი დაუჯდა, განსაკუთრებით 1040-იანი წლების შემდგომ, როდესაც მათ პოლიტიკურ უთანხმოებას პირადი მოტივებიც შეემატა.

ბიზანტიამ, რომლის დამპყრობლურ გეგმებს კავკასიაში ძლიერ აფერხებდა ბაგრატ IV, ოპოზიციონერი კ. ე-ის სახით ძლიერი მოკავშირე იპოვა. ამიერიდან ლიპარიტ კ. ე. საქართველოში ბიზანტიური პოლიტიკის ყველაზე თანმიმდევრული გამტარებელი გახდა. ბიზანტიამ განიზრახა ბაგრატისათვის დაეპირისპირებინა დემეტრე, კონსტანტინოპოლში მცხოვრები მისი ნახევარძმა, დემეტრე (1032 წ. ამ დემეტრემ გადასცა ანაკოფიის ციხე ბიზანტიას). ლიპარიტი ორჯერ შემოუძღვა დემეტრეს საქართველოში ბიზანტიის ფულითა და სამხედრო ძალით. ატენის ბრძოლის შემდეგ მონიანაღმდეგენი დაზავდნენ, რის შედეგადაც მეფემ შემოსარიგებლად ლიპარიტს ქართლის ერისთავობაც უბოძა, თუმცა ამით ბიზანტიის ხელისუფალთა მხარდაჭერით ძალამიყვანილი ლიპარიტის გული მეფემ მაინც ვერ მოიგო.

1045 წ. ბიზანტიამ ანისის სამეფო გააუქმა. ანელმა ბერებმა, ბიზანტიელთაგან თავდაცვის მიზნით, ქალაქი ბაგრატის დედას, არწრუნთა შთამომავალ დედოფალ მარიამს, ფაქტობრივად კი, ბაგრატს გადასცეს. ბაგრატმა ისარგებლა ამ ვითარებით და მნიშვნელოვნად შეავიწროვა ბიზანტიის პოზიციები ანისსა და შავიზღვისპირეთში. ამავე ხანებში თბილელი ბერების მიწვევით ბაგრატი კახთა მხარდაჭერით თბილისში შევიდა. ბაგრატის წარმატებების საპირისპიროდ ბიზანტიამ ლიპარიტი აამოქმედა. ამჯერად ლიპარიტმა მოტყუებით გამოიყვანა ანისიდან ქალაქის მცველები – ბაგრატის უერთგულესი ერისთავები და ყველა დაატყვევა. ბაგრატი იძულებული გახდა თბილისი მიეტოვებინა და ჯავახეთში ჩასულიყო. ლიპარიტმა, რომელსაც ბიზანტიის ჯარი უმაგრებდა ზურგს, სძლია მეფეს. ამ ამბის შემდეგ ბაგრატმა ზედიზედ კიდევ რამდენიმე დამარცხება იწვნია ლიპარიტისაგან. განდგომილ მოხელეს მეფემ დაზავება შესთავაზა, მაგრამ ლიპარიტი მოლაპარაკებაზე არც კი გამოცხადდა. ამ მარცხის შემდეგ ბაგრატი აფხაზეთს გადავიდა. ლიპარიტმა ხელთ იგდო მესხეთის მრავალი ციხე და გამაგრდა „ზემო ქუეყანასა ზედა“. 1046-1047 წწ-ში ლიპარიტი, ბიზანტიელთა დავალებით, დვინში ლაშქრობს და სამშობლოში 1047 წ. ბრუნდება. ამასობაში მცირე აზიასა კავკასიის სამხრეთით თურქ-სელჩუკთა შემოსევები ძლიერდება. ლიპარიტ IV ბიზანტიელთა მხარეს იბრძვის და 1048 წ. ბასიანის სიახლოვეს, კაპუტრუს ციხესთან, ტყვედ ვარდება (ამ თარიღს ადასტურებენ ბერძნული, სომხური და არაბული

წყაროები). ლიპარიტის შვილებმა და მისმა ვასალებმა ბაგრატთან შერიგება არჩიეს. ქვეყანაში დროებით მშვიდობამ დაისადგურა.

არაბი ავტორის, იბნ ალ-ასირის (XII-XIII სს.) თანახმად, ბასიანთან მავერანნაჰრის თურქებმა დაამარცხეს ბიზანტიელთა და აბხაზთა (აქ: საქართველოს) 50-ათასიანი ლაშქარი, დაატყვევეს დიდი ჯგუფი პატრიკიოსებისა, რომელთა შორის იყო ალ-კარიტ (ლიპარიტი) აფხაზთა მალიქი. თავის დასახსნელად მას თურქთა მეთაურის იბრაჰიმ ინალისათვის 300 ათასი დინარი და 100 ათასი დინარის საჩუქარი შეუთავაზებია, მაგრამ იბრაჰიმი არ დათანხმებია და საპატიო ტყვე ხორასნის მმართველ თოღრულ-ბეგისათვის მიუგვრია. ლიპარიტის ტყვეობიდან გამოსხნაზე ზრუნვა იმპერატორმა კონსტანტინე მონომახოსმა აიღო თავის თავზე. სკილიცეს თანახმად, ლიპარიტის გამოსასყიდად იმპერატორმა თოღრულ-ბეგს დიდძალი თანხა და საჩუქრები გაუგზავნა, მაგრამ თოღრულ-ბეგს იმპერატორის საჩუქრებზე უარი უთქვამს და ლიპარიტი გამოსასყიდის გარეშე გაუთავისუფლებია, თანაც მისთვის იმპერატორისაგან მოძღვნილი ძვირფასი საჩუქრები გაუტანებია. ლიპარიტის გამოსხნასთან დაკავშირებული ბერძნულ-არაბული წყაროები ადასტურებენ, რომ ლიპარიტ ბაღვაში უაღრესად მნიშვნელოვან პოლიტიკურ როლს ასრულებდა ბიზანტიის აღმოსავლურ პოლიტიკაში, რის გამოც ბიზანტიამ თურქ-სელჩუკებთან დიპლომატიური არხები პირველად ლიპარიტის გამოსხნის მიზნით აამოქმედა. უცხოურ წყაროებს ეთანხმება „მატიანე ქართლისაჲ“ ლაკონური განცხადებაც: „და იყო მოყუარედ მისა ხუარასანს დოღლუბეგ სულტანი და საბერძნეთს – ბერძენთა მეფე“. არსებობს მოსაზრება, რომ კონსტანტინე მონომახოსის განსაკუთრებულ მფარველობას ლიპარიტ ბაღვაშისადმი, გარდა პოლიტიკური მოტივებისა, ასევე, ასაზრდოებდა მისი „მოყვრობა“ ლიპარიტთან. იგულისხმება მიქელ ფსელოსის ცნობა კონსტანტინე მონომახოსის გატაცების შესახებ ფავორიტი ალანი ქალით, რომლის მამას იმპერატორი დიდძალ ქონებას უგზავნიდა ყოველწლიურად. სამეცნიერო ლიტერატურაში, იმის გათვალისწინებით, რომ ბიზანტიური წყაროები „ალანს“ ხშირად ქართველებს უწოდებდნენ, იმპერატორის ფავორიტი ქალი გაიგივებულია ლიპარიტის ასულთან (ლ. თავაძე). ლიპარიტ ბაღვაში ტყვეობიდან გათავისუფლებულა 1049 წ. (მ. კარანაძე). ტყვეობიდან დაბრუნებულმა ლიპარიტმა ბიზანტიელთა სამხედრო ძალით და ადგილობრივ მომხრეთა დახმარებით კვლავ უკიდურესად შეავიწროვა ბაგრატ IV. მან დაიკავა ანისი და აიძულა ბაგრატი მიეტოვებინა თბილისი, სადაც თითქმის განმტკიცებული ჰქონდა პოზიციები. მოწინააღმდეგენი ერთმანეთს ჯავახეთში შეხვდნენ. მეფე კვლავ დამარცხდა და 1051 წ. იძულებული გახდა კონსტანტინოპოლში ჩასულიყო. აქ იგი სამი წელი იმყოფებოდა საპატიო ტყვეობაში. ამ ხნის განმავლობაში საქართველოში, ლიპარიტის მოთხოვნით, გიორგი უფლისწული რუისში მეფედ აკურთხეს. ახალგაზრდა მეფის მეურვეობაც თავად ლიპარიტმა ჩაიბარა. 1054 წ. იმპერატორმა კონსტანტინე მონომახოსმა ბაგრატ IV

ლიპარიტთან ისე „შეარიგა“, რომ შერიგების პირობები თავად განსაზღვრა: ბაგრატს მთელი ქართლი და დასავლეთი საქართველო დაუტოვა, ხოლო ლიპარიტს, რომელიც ფორმალურად ცნობდა ბაგრატის სუზერენობას, მთელი მესხეთი მიაკუთვნა. როგორც ირკვევა, მესხეთთან ერთად ლიპარიტმა ჯავახეთის ნაწილიც მიიღო, რასაც ადასტურებს ზედა ვარძიის სამშენებლო წარწერა, რომელშიც მეფე საერთოდ აღარ არის მოხსენიებული. ამრიგად, ლიპარიტმა მესხეთის მთავრობა ოფიციალურად მიიღო და დიდი უფლებები მოიპოვა მთელ ქვეყანაში.

1055 წ. გარდაიცვალა ლიპარიტ ბაღვაშის მფარველი იმპერატორი კონსტანტინე მონომახოსი, რომლის შემდეგ საიმპერიო კარზე ზედიზედ ენაცვლება ერთმანეთს სხვადასხვა დინასტიის რამდენიმე იმპერატორი (თეოდორა, მიხეილ VI, ისაკ I კომნენოსი). ცხადია, ბიზანტიისათვის ამ რთულ პერიოდში ლიპარიტმა მხარდაჭერა დაკარგა. როგორც ჩანს, ამ წლებში საქართველოშიც დაიმსხვრა მთი ლიპარიტის ყოვლისშემძლეობის შესახებ. 1057 წ. ბაგრატის ერთგულმა ვასალმა სულა კალმახელმა მესხი აზნაურების დახმარებით დღივს მყოფი ლიპარიტი მის ძესთან, ივანესთან ერთად შეიპყრო და კალმახის ციხეში დაამწყვდია. ახლა უკვე ბაგრატმა „განაგო“ დაპატიმრებული ლიპარიტის საქმეები, – მისგან ჩაიბარა ციხეები: არტანუჯი, ყველი, უფლისციხე და ბირთვისი. ლიპარიტის უმთავრესი ციხე კლდეკარი კი, რომელსაც მედგრად იცავდა ლიპარიტის მწიგნობართუხუცესი ანამორი, დიდი წინააღმდეგობის შემდეგ ძლივს დაიმორჩილა მეფის ლაშქარმა – მეციხოვნეები დაეზავნენ მეფეს და კლდეკარის სანაცვლოდ ლიპარიტისა და ივანეს ცოცხლად გაშვება მოითხოვეს. ამის შემდეგ ლიპარიტმა „ჩაიცვა ჩოხანი“ და თავისი ძე ივანე მეფეს შეავედრა. ივანეს მეფემ კლდეკარი ჩამოართვა და მხოლოდ არგვეთის მამული დაუტოვა. შემონაზვნებულმა ლიპარიტმა კი, „შეუცოდებლობის ფიცი“ დადო და საბერძნეთში წავიდა, სადაც იგი მალე გარდაიცვალა. მისმა ერთგულმა ყმებმა ლიპარიტის ცხედარი ჩამოასვენეს და მის სამკვიდრო მამულში, კაცხში დაკრძალეს.

ალავერდის ოთხთავის მინაწერის ცნობით, ლიპარიტ (IV) ბაღვაში ატარებდა პროედროსის, პროტოარხონტის და მაგისტროსის ბიზანტიურ ტიტულებს. „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში კი, 1051-1057 წწ-ში იგი კურაპალატადაც მოიხსენიება. ვ. ე. ლიპარიტ (IV) ბაღვაში, ძლიერი და წინააღმდეგობრივი პიროვნება, როგორც ჩანს, ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა თანამედროვეებზე. მიუხედავად იმ დიდი პოლიტიკური ზიანისა, რაც, გარემოებათა წყალობით, მოჰყვა მის კონფლიქტს ბაგრატთან, ქართველი მემკვიდრე აღიარებს ლიპარიტის მნიშვნელობას: „და ლიპარიტ მოირჭუნა ზემოსა კერძა დაუკლებელად, და იყო მოყუარედ მისა ხუარასანს დოღლუბეგ სულტანი და საბერძნეთს ბერძნეთა მეფე, და ზრდიდა ბაგრატის ძესა გიორგის მცირესა სახელითა მეფობისათა“. სხვა ქართველ არისტოკრატთა მსგავსად, ლიპარიტი ზრუნავდა ხელნაწერთა შექმნა-გამრავლებაზე და მათ სულის საოხად ეკლესიას სწირავდა.

მისი დაკვეთით 1048-1051 წწ-ში მანგლისში გადაუნერიათ იოანე ოქროპირის განმარტებები („თარგმანებანი“) მათესა და მარკოზის სახარებებისა. ასევე მის სახელს უკავშირდება ალავერდის ოთხთვის სახელით ცნობილი უძვირფასესი ხელნაწერი, რომელიც ივანე ლიპარიტის ძემ საქართველოში ჩამოიტანა და კაცხის მონასტერს შესწირა.

წყაროები და ლიტერატურა: მატიანე ქართლისაჲ 1955: 292-306; კედრენე 1963: 78; ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი 1953: 227; ხელნაწერთა აღწერილობა 1953: 215; ხელნაწერთა აღწერილობა 1986: 214; ბაქრაძე 1959: 21, 61; ჯაფარიძე 2012ა: 115-116, 117, 123, 126, 128, 132-133; ცისკარიშვილი 1959: 35; თავაძე 2011: 161, 162-163; კარანაძე 2007: 318.

რატი (III) ბაღვაში ლიპარიტის ძე – კ. ე. 1048-1049 წწ.; ლიპარიტ IV-ს სამი ვაჟი ჰყავდა: რატი, ივანე, ნიანია და, სავარაუდოდ, ორი ასული. 1057 წ. ლიპარიტის შეპყრობის დროს, წყარო ასახელებს მხოლოდ ივანესა და ნიანიას, ხოლო რატის შესახებ არაფერს იუწყება. მამის შეპყრობის შემდეგ ივანე ბიზანტიაში გაიპარა, ნიანია კი ანისში გარდაიცვალა. რატი, როგორც ჩანს, ამ დროისათვის კარგა ხნის გარდაცვლილი იყო, მაგრამ უფრო ადრე შესრულებულ გოხნარის წარწერაში იგი ერისთავთ-ერისთავად არის მოხსენიებული თავის ძმასთან, ივანესთან ერთად. ვარაუდობენ, რომ ლიპარიტის ტყვეობის წლებში (1048-1049) კ. ე-ობა რატი (II) ბაღვაშს ეპყრა.

წყაროები და ლიტერატურა: ხელნაწერთა აღწერილობა 1953: 93-94; მატიანე ქართლისაჲ 1955: 305; ბაქრაძე 1959: 57; ბახტაძე 2003: 178.

მირიან თარხუნის-ძე – კ. ე. 1058-1073 წწ.; ლიპარიტ (IV) ბაღვაშის შემდეგ კ. ე-ობა ეპყრა მირიან თარხუნის-ძეს, რაზედაც იუწყება ატენის, ვერეს და ბარმაქსიზის წარწერები. წარწერებიდან კარგად ჩანს, რომ მირიან თარხუნის-ძეს ყველა ის საგამგებლო ქვეყანა დაუკავებია, რომლებიც ადრე ლიპარიტს ჰქონდა. მირიანი კ. ე. უნდა ყოფილიყო 1073 წ-მდე, სანამ გიორგი II (1072-1089) კ-ის საერისთავოს უბოძებდა სპასალარ ივანე ბაღვაშს.

წყაროები და ლიტერატურა: მატიანე ქართლისაჲ 1955: 305; ბაქრაძე 1959: 74-76; ბერძენიშვილი 1964: 38; ოთხმეზური 1981: 40; ბახტაძე 2003: 179.

ივანე ბაღვაში – ლიპარიტ (IV) ბაღვაშის ძე, ბგრატი IV-ისა და გიორგი II-ის თანამედროვე; ქართლის სპასალარი 1059-1073 წწ-ში. კ. ე. 1073-1078 წწ-ში (სრულად იხ. სპასალარი ივანე ბაღვაში).

წყაროები და ლიტერატურა: მატიანე ქართლისაჲ 1955: .305, 309, 316, 317; ბაქრაძე 1959: 62; .ქისკ 1984: 38; ხელნაწერთა აღწერილობა 1986: 214.

ლიპარიტ (V) ბაღვაში – ივანეს ძე, **კ. ე. 1078-1089 წწ.**; ივანე ბაღვაშის შემდეგ კლდეკარის ერისთავობა გიორგი მეფეს უბოძებია ივანეს შვილის, ლიპარიტისათვის. მის შესახებ ამბობს დავითის ისტორიკოსი, რომ დავითის გამეფების ჟამს „ჰქონდეს თრიალეთი და კლდეკარნი და მიმდგომი ქუეყანაჲ ლიპარიტს, და მეფისა დავითის წინაშე იყვის რეცა ერთგულად“. შემდგომ აღნიშნავს, რომ „მოკუდა სულტანი მალიქშა და ამა ლიპარიტ ამირამან იწყო მათვე მამულ-პაპეულთა უგზოთა კუალთა სლვაჲ“. მემატინე კონკრეტულს არაფერს ამბობს ლიპარიტის შეცოდებათა შესახებ, მაგრამ ორგულობის გამო მას მეფის მრისხანება არაერთგზის დაუმსახურებია. რამდენიმე ხანს ლიპარიტი „განსანუერთნელად“ დავითს დაუპატიმრებია, შემდგომ შეუნდვია და ყველა ძველი „დიდება“ ხელახლა უბოძებია. როდესაც ლიპარიტის საქციელით მეფე დარწმუნებულა რომ „კუდი ძალისაჲ არა გასწორდების“, **1094 წ.** დაუპატიმრებია. საპატიმროში ლიპარიტს ორი წელი გაუტარებია, შემდეგ მეფეს იგი საბერძნეთში გაუგზავნია, სადაც გარდაცვლილა. ვინ გახდა ლიპარიტ (V)-ის დაპატიმრების (**1094**) შემდეგ **კ. ე.**, წყაროდან არ ჩანს. მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ **კ. ე.**-ობა ეპყრა მის ძეს რატის, რომელსაც დავითის ისტორიკოსი ორგულს და „იქედნეს ნაშობს“ უწოდებს. რამდენიმე წელიწადში რატიც გარდაცვლილა.

წყაროები და ლიტერატურა: დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი 1955: 324-326; Копалиани 1949: 13; მეტრეველი 1973: 80; ბახტაძე 2003: 181.

თევდორე – გიორგი ჭყონდიდლის დისწული, **კ. ე. 1094 წ.**; როგორც ჩანს, თევდორემ **კ. ე.**-ობა მიიღო ლიპარიტ (V)-ის შემდგომ, რაზედაც იუწყება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი: „თრიალეთი და კლდეკარნი ჰქონდეს თევდორეს“. ცხადია, ეს მხარე თევდორეს ერისთავობის უფლებით უნდა მიეღო. შესაძლებელია, **კ.**-ის საერისთავოს ნაწილი მართლაც სამეფო დომენს შეუერთდა, როგორც ამას ფიქრობს ზოგიერთი მკვლევარი.

წყაროები და ლიტერატურა: დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი 1955: 331; ანთელავა 1983: 182; ბახტაძე 2003: 182.

ვახტანგ – **კ. ე.** XII ს. მეორე ნახევარი. ეპიგრაფიკული მასალის მიხედვით, XII ს-ის 80-იან წწ-მდე **კ.**-ის საერისთავო კვლავ განაგრძობდა არსებობას. დაახლოებით XII ს-ის შუა ხანებში **კ. ე.** იყო ვინმე ვახტანგი, რაზედაც იუწყება ბეშთაშენის წარწერა: „გურგენის ძეთა ავაგეთ, ერისთავისა ვახტანგის ბრძანებით“. მეტი ცნობა ვახტანგ **კ. ე.**-ის შესახებ არ მოგვეპოვება.

წყაროები და ლიტერატურა: ბაქრაძე 1959: 63; ბახტაძე 2003: 182.

აფრიდონ – [კ. ე.] 1178-1185 წწ. აფრიდონის კ. ე-ობას ადასტურებს 1178-1185 წწ-ში შესრულებული ზედა ვარძიისა და ქვემო ჯინისის ეკლესიების წარწერები, რომლებშიც აფრიდონი მსახურთუხუცესად და ერისთავთ-ერისთავად მოიხსენიება (სრული ტექსტისათვის იხ. მსახურთუხუცესი აფრიდონი). 1185 წ-ის შემდგომ კ-ის საერისთავო უქმდება და მისი ტერიტორია სამეფო დომენს უერთდება.

წყაროები და ლიტერატურა: მაისურაძე 1966: 81; ბერძენიშვილი 1974: 136; ბაქრაძე 1959: 77; ბახტაძე 2003: 182.

ოდიშის ერისთავი. ო-ის საერისთავო ჯერ კიდევ ეგრის-აფხაზეთის სამეფოში წარმოიქმნა. ვახუშტის გადმოცემით, სამეფოს დამფუძნებელმა მეფე ლეონმა დასვა ერისთავი ბედიას და დაუდგინა საზღვრები – „ეგრისის აღმოსავლეთი ცხენის წყლამდე“. ბედიასთნ არის დაკავშირებული ო. ე-თა საგვარეულო სახელი ბედან/ბედიანი. ო. ე. დადიანთა წარმომავლობა გვარსახელ „დადიანს“ (დად-ის შთამომავალი) უკავშირდება, რომელმაც თანადათანობით, ისევე როგორც გურიელმა და შერვაშიძემ, მთავრის პოლიტიკური შინაარსი შეიძინა. არსებობს გადმოცემა, რომ შორეულ წარსულში დადიანები საღირისძეთაგან იყვნენ განშტოებულნი, ხოლო მათ საერთო წინაპრად მოიაზრებენ ვახტანგ გორგასლის თანამედროვე სამნაღირ ერისთავს. მკვლევართა ნაწილი (თ. ბერაძე, ი. ანთელავა) სავსებით სარწმუნოდ მიიჩნევს დადიანთა დაკავშირებას საღირისძეთა ფეოდალურ საგვარეულოსთან.

საქართველოს ერთიანობის დროინდელი ო-ის საერისთავოს საზღვრები აღმოსავლეთით მდ. ცხენისწყალზე გადოდა, სამხრეთით – რიონის ქვემო ნელზე, ჩრდილოეთით მას სვანეთის მთები აკრავდა, ხოლო დასავლეთით – ცხუმის საერისთავო. XIV ს-ის დასაწყისში ო-ის საერისთავოს ფარგლებში ცხუმის საერისთავოც შედიოდა. XIV-XV სს-ში კი, მისი აღმოსავლეთი საზღვრები ცხენისწყლის ნაპირებამდე უწევდა. XI-XIII სს-ში დადიანები სამეფო კარზე დანიშნურებული საგვარეულოა და მათ წარმომადგენლებს, გარდა ო. ე-ობისა, სამეფო კარზე სხვა მაღალი თანამდებობებიც ეპყრათ. ამ საგვარეულოს ჩვენთვის ცნობილი პირველი წარმომადგენელი – ივანე დადიანი – იხსენიება ბაგრატ IV-ის თანამებრძოლთა შორის. XII ს-ის მეორე ნახევარში, გარდა ო. ე-ობისა, სამეფო კარზე დადიანებს უკავიათ ჩუხჩარხისა და მსახურთუხუცესის თანამდებობები. თამარის პირველი ისტორიკოსი ადასტურებს ამ თანამდებობის პირებს შორის ახლო ნათესაობას. თამარის დროს დადიანის ხელში უნდა ყოფილიყო აგრეთვე დასავლეთ საქართველოს ჯარების სარდლობაც (სპასალარობა). XIII ს-ის 30-იანი წლებიდან ო. ე. დადიანები დასავლეთ საქართველოს მანდატურთუხუცესები ხდებიან. მას შემდეგ მანდატურთუხუცესობა დადიანების ტრადიციულ თანამდებობრივ ტიტულად იქცა. ასე იხსენიებიან ისინი XIV-XV სს-ის დოკუმენტებშიც, თუმცა, ამ სამოხელეო ფუნქციებს ისინი დიდი ხანია, აღარ ასრულებდნენ და თავიანთ საგამგებლო ტერიტორიას ნახევრად დამოუკიდებელი მთავრის

უფლებამოსილებით მართავდნენ. **ო.ე**-თა გამთავრება XIV ს-ის 20-იან წლებში დააჩქარა დავით ნარინის მემკვიდრეებს შორის ქიშპობამ. ამ დროს შეიერთეს **ო.ე**-ებმა ცხუმის საერისთავო და ჩრდილო დასავლეთით ანაკოფიამდე გასწიეს ოდიშის ადმინისტრაციული საზღვრები. ამასთანავე, დადიანებმა მხარი დაუჭირეს საქართველოს ხელახალი გაერთიანების საქმეს და დიდი დახმარება გაუწიეს გიორგი ბრწყინვალეს ამ საქმის აღსრულებაში, რისთვისაც მეფეს **ო.ე**-ობასთან ერთად დადიანებისათვის ძველი პრივილეგია – დასავლეთ საქართველოს მხედართმთავრობა მიუნიჭებია. ზღვაზე გასვლამ **ო.ე**-ს საერთაშორისო პოლიტიკური და სავაჭრო ფუნქციაც დააკისრა, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა მათი პოლიტიკური ამბიციები. XIII-XIV სს-ში ეგვიპტისა და ოქროს ურდოს შორის კავშირი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის გავლით ხორციელდებოდა, სადაც დადიანების ხელში ორი საზღვაო პორტი – ფოთი და ცხუმი (სებასტოპოლი) იყო მოქცეული. იმდროინდელ დიპლომატიურ დოკუმენტებში დადიანებს ქართველთა მეფესაც კი უწოდებენ (მაგ., ასე იწოდება **ო.ე** დადიანი 1330 წ-ით დათარიღებულ სებასტოპოლის არქივისკოპოს პეტრე ჯერალდის ეპისტოლეში კენტერბერის არქივისკოპოსისადმი). მიუხედავად მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტისა, XIV ს-ის დადიანები ჯერ კიდევ ერთიანი საქართველოს მეფეების ქვეშევრდომობას აღიარებდნენ და მათგან იღებდნენ თანამდებობრივ მტკიცებულებებს, უხდიდნენ ხარკს და მათ დასახმარებლად გამოჰყავდათ ლაშქარი. ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ (XV ს-ის 60-იანი წწ.) **ო.ე**-ები ფორმალურადაც აღარ ემორჩილებოდნენ იმერეთის მეფეს.

წყაროები და ლიტერატურა: ვახუშტი 1973: 796; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 27, 34; ბაქრაძე 1987: 225; სოსელია 1951: 172-175; მესხია 1979: 153; ანთელავა 1990: 16, 17; ბერაძე 1999: 131-132, 139.

ოდისის ერისთავები. XI-XV სს.

ივანე (I) დადიანი – ო.ე. XI ს-ის შუა ხანებში. ცნობა ივანე დადიანის შესახებ შემონახულია „მატიანე ქართლისაჲს“ მონათხრობში 1045 წ. ანისთან დაკავშირებულ მოვლენათა შესახებ. როდესაც ბაგრატ IV-მ ივანე დადიანს თავის ერთგულ თანამებრძოლებთან ერთად ანისის დაცვა დაავალა, ლიპარიტ (IV) ბაღვაშმა იგი სხვებთან ერთად მოხერხებულად გამოიტყუა ანისიდან და დაატყვევა. რა ბედი ენია შემდგომ ივანე დადიანს, უცნობია. შ. მესხიამ ეს ივანე გააიგივა **ო.ე** ივანე დადიანთან, რომელიც ერისთავ-ერისთავის სამოხელეო ტიტულით იხსენიება ე. თაყაიშვილის მიერ მიკვლეული ერთ-ერთი ხელნაწერის მინაწერში: „მეოხ ეყავ წინაშე ღმრთისა... ერისთავთ-ერისთავსა იოვანე დადიანსა“.

წყაროები და ლიტერატურა: მატიანე ქართლისაჲ 1955: 300; თაყაიშვილი 1963: 95; შ. მესხია 1979: 149.

გიორგი, იოანე, იოანე – XII ს-ის უცნობი **ო. ე.**-ები. ცნობათა უკიდურესი სიმცირის გამო **ო. ე.**-თა უწყვეტი ქრონოლოგიის დადგენა შეუძლებელია. ზოგი მათგანის მხოლოდ სახელია ცნობილი. ივანე (I) ერისთავის შემდეგ XII ს-ის მიწურულამდე რაიმე ხელშესახები ცნობა **ო. ე.**-თა შესახებ არ მოგვეპოვება. ამ ხანგრძლივი პერიოდის შესავსებად მკვლევარნი ემყარებიან ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულ ერისთავთა მემორიალურ წარწერას, რომელშიც რამდენიმე თაობის **ო. ე.**-თა სახელებია მოხსენიებული: „ქ. სამებაო სამთუთებაო და ერთარსებაო, შემწე ეყავ ორსა[ვ]ე ცხორებასა შინა ე(რისთავთ)-ე(რისთავ)თა გ(იორგი), ი(ოვან)ე, ი(ოვან)ე, შვ[ი]ლნი მათნი, რ(ომე)ლთა ესე ეკლეს[ი]ად სიმცირისა...“ ამ პირთა კუთვნილება ოდიშის ერისთავთა საგვარეულოსადმი მკვლევართა შორის ეჭვს არ იწვევს, თუმცა, წარწერას სხვადასხვა საუკუნეს აკუთვნებენ. ვ. სილოგავამ წარწერა პალეოგრაფიული ნიშნების საფუძველზე XII ს-ით დაათარიდა, რაც გაზიარებულია წინამდებარე გამოცემაში.

წყაროები და ლიტერატურა: ტულუში 1977: 48; სილოგავა 1980: 144.

ბედან (I) დადიანი – ო. ე. XIII ს-ის პირველი მესამედში. თამარის პირველი ისტორიკოსის თანახმად, დადიანთა საგვარეულოს წარმომადგენლები გიორგი III-ისა და თამარის კარზე მალალ თანამდებობებს ფლობდნენ. ბედან (I) **ო. ე.** ყოფილა, იმავდროულად ვარდან დადიანს ჩუხჩარეხის თანამდებობა ეპყრა. ი. ანთელავა მათ ძმებად და შემდგომში დადიანთა ორი განშტოების მამამთავრებად მიიჩნევს. ბედან დადიანი გიორგი რუსის აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო, მაგრამ **ო. ე.**-ობა აჯანყების ჩახშობის შემდეგაც შეინარჩუნა. იგი მონაწილეობდა ლაშა-გიორგის ლშქარობაშიც განჯის წინააღმდეგ. ბედან (I)-ის ძედ ივარაუდება ჯუანშერ დადიანი, რომელიც XIII ს-ის 20-30-იანი წწ-ში ბედან (II) ერისთავის მამად იხსენიება.

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთნი 1959: 34; ჟამთააღმწერელი 1959: 243; სილოგავა 1980: 144; ბერაძე 1967: 159-160; ანთელავა 1990: 17; ბერაძე 1999: 133-134.

ბედან/ბედან (II) დადიანი – ჯუანშერის ძე, რუსუდან მეფისა და დავით ნარინის თანამედროვე; **ო. ე.** და მანდატურთუხუცესი. დაახლ. 1240–1260-იანი წწ. 1242 წ., როდესაც რუსუდანი მონღოლებთან დაზავების მიზნით ქუთაისიდან თბილისში გადმოვიდა, დასავლეთ საქართველოს სხვა დიდებულებთან ერთად იგი რუსუდან მეფის ამაღლაში იყო. ჟამთააღმწერელი მას ახასიათებს, როგორც ზნითა და გონებით წარმატებულ კაცს, რომელსაც წესრიგი დაუმყარებია ოდიშში, „რომელ მპარავი და ძვირის მოქმედი არა იპოვებოდა“. ბედანი იხსენიება კოხტასთავის

შეთქმულების მონაწილეთა შორისაც, თუმცა დაპატიმრებას გადაურჩა. 1260/1261 წ. მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყების შემდეგ დავით ლაშას ძემ დასავლეთ საქართველოში დავით ნარინთან შეაფარა თავი. დაახლოებით ერთის წლის შემდეგ დავით ულუს მომხრეებმა განიზრახეს ნარინის ტახტიდან ჩამოგდება და ამ გზით ერთმეფობის აღდგენა. შეთქმულთა გეგმის განხორციელებას ხელი შეუშალეს დავით ნარინის მომხრეებმა, რომელთა შორის ყველაზე ძლიერი ფიგურა იყო ბედიან (II) ო. ე. და მანდატურთუხუცესი. დავით ნარინმა ტახტი შეინარჩუნა, ხოლო დავით ლაშას ძე აღმოსავლეთ საქართველოში დაბრუნდა. როგორც ჩანს, ამ მხარდაჭერის სანაცვლოდ დაასაჩუქრა დავით ნარინმა ბედან დადიანი უძვირფასესი ქრისტიანული რელიქვიებით, რომელთა შორის ყოფილა თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი. ეს ჯვარი შემდგომში შერგილ დადიანის კუთვნილება გამხდარა, ხოლო სხვა რელიქვიები, უპირატესად მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატები, მოგვიანებით ხობის, მარტვილისა და წალენჯიხის ტაძრებში მოხვედრილა. ამ ხატების მფლობელთა მიერ სხვადასხვა დროს შესრულებულ მემორიალურ ნარწერებს შემოუნახავთ ბედან ო. ე-ისა და მანდატურთუხუცესის ოჯახის წევრთა სახელები. ბედანი დაქორწინებული ყოფილა ქართლის ერისთავ ბეგა სურამელის ასულ ხვაშაქზე, მათ ჰყოლიათ შვილები: ერაშაჰრი, გიორგი და ივანე. ბედანი აღარ იხსენიება XIII ს-ის 60-იანი წლების შემდგომ. მისი გარდაცვალების დროისათვის როგორც ჩანს, გარდაცვლილი ყოფილა მისი უფროსი ვაჟი ერაშაჰრიც, რის გამოც ო. ე. და მანდატურთუხუცესი ხდება ბედანის მომდევნო ვაჟი გიორგი.

წყაროები და ლიტერატურა: ჟამთაღმწერელი 1959: 195, 243; თაყაიშვილი 1914: 49, 139, 227; ბერაძე 1999: 136-137; ბახტაძე 2003: 238-239.

გიორგი (II) დადიანი – ძე ბედან (II)-ისა; ო. ე. და მანდატურთუხუცესი დაახლ. XIII ს-ის 70-90-იან წწ-ში მამის გარდაცვალების შემდგომ. იგი ბედან (II)-ის სიცოცხლეში შერგილ დადიანთან ერთად იხსენიება წალენჯიხის ხატის ნარწერაში: „მინდობილნი შენნი, მანდატურთუხუცესი დადიანი ბედან და მე, ძე მათი, მეორედ მამკობნი დადიანი გიორგი, და მე, დადიანი შერგილ და მეუღლე ჩემი ნათელ, მესამედ მამკობნი ხატისა“. ო. ე. და მანდატურთუხუცესს გიორგი (I)-ს აუშენებია ხობის ტაძარი, რაზედაც იუწყება ჩრდილოეთ კედელზე საქტიტორო გამოსახულების თანმხლები ფრესკული ნარწერა: „ერისთავთ-ერისთავი და მანდატურთუხუცესი დადიანი გიორგი, შეუნდვენ ღმერთმან“. ვახუშტის ქრონოლოგიით, გიორგი დადიანი გარდაიცვალა 1323 წ. მას მიაწერს ისტორიკოსი ცხუმის საერისთავოს მიტაცებას და ოდიშის საზღვრების ანაკოფიამდე გაფართოებას, მაგრამ ვახუშტის ცნობას არ ეთანხმება სხვა წყაროთა მონაცემები (ხობის მაცხოვრის ხატის ნარწერა, ხობის ფრესკული ნარწერა, ჯვრის მონასტრის ალაპები), რომლებიც ადასტურებენ, რომ გიორგი (I) დადიანი შეუძლებელია ო. ე. ყო-

ფილიყო 1323 წ-მდე და რომ მის შემდეგ **ო. ე.**-ობა მიუღიათ ჯერ შერგილ დადიანს და შემდგომ მის ძეს ცოტნეს.

წყაროები და ლიტერატურა: ვახუშტი 1973: 894; თაყაიშვილი 1914: 227; ბერაძე 1999: 139; ბახტაძე 2003: 242.

შერგილ დადიანი – ო. ე. დაახლ. XIII ს-ის 90-იანი–1310-იანი წწ-ის შუა ხანები. გიორგი დადიანის შემდეგ **ო. ე.**-ობა, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, გადადის დადიანთა მეორე შტოს ხელში. ამ შტოს პირველი ერისთავია შერგირი, როგორც ჩანს, ძე კობტასთავის გმირის, ცოტნე დადიანისა. იგი ერისთავთ-ერისთავად დედოფალთ-დედოფალ ნათელთან და ძესთან, ცოტნესთან ერთდ მოიხსენიება ჯვრის მონასტრის ალაპში და ხობის ეკლესიის ფრესკულ წარწერაში. შერგილ დადიანის ოჯახში მოხვედრილა თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი, რომლის ჩასასვენებლადაც მას დაუმზადებინებია ოქროთი შეჭედილი ხატი წარწერით: „ხატო არსებისაო უცვალებელო, მეობ და მფარველ ექმენით აქა და საუკუნოსა, ერისთავთ-ერისთავი დადიანი შერგილ და მეუღლე ჩემით დედოფალ-დედოფალი ნათელით, ძითურთ ჩემით ცოტნეთურთ“.

წყაროები და ლიტერატურა: ვახუშტი 1973: 801; თაყაიშვილი 1914: 134, 153; მეტრეველი: 1962: 145, N102; ბერაძე 1999: 136-137; ბახტაძე 2003: 243.

ცოტნე დადიანი – შერგილ დადიანის ძე; ო. ე. და მანდატურთუხუცესი დაახლ. 1310-იანი წწ-ის მიწურულში. მის შესახებ ძალზე მწირი ცნობებია შემონახული. როგორც ჩანს, ერისთავობდა ძალზე მცირე ხანს. მის ერისთავობას ადასტურებს ჯვრის მონასტრის ალაპი: „მანდატურთუხუცესისა და ერისთავთ-ერისთავისა ცოტნე დადიანისა“. ცოტნეს მიუღია მანდატურთუხუცესობასაც, ისევე, როგორც ბედანის შტოს სხვა წარმომადგენლებს. სავარაუდოდ, მისი ძეა **ო. ე.** გიორგი (II), რომელიც, ვახუშტის ცნობით, გარდაცვლილა 1323 წ.

წყაროები და ლიტერატურა: მეტრეველი 1962: 170, N247; ბახტაძე 2003: 242.

გიორგი (III) დადიანი – ო. ე. დაახლ. 1310-იანი წწ-ის მიწურულიდან 1323 წ-მდე. ვახუშტის თანახმად, გიორგი (II) **ო. ე.**-მა ისარგებლა დავით ნარინის შვილებს შორის უთანხმოებით, მიიტაცა ცხუმის საერისთავო და ოდიშის საზღვრები ანაკოფიამდე გააფართოვა. მისი ძე იყო მამია დადიანი. გარდაიცვალა 1323 წ.

წყაროები და ლიტერატურა: ვახუშტი 1973: 801, 894; ბახტაძე 2003: 243.

მამია (II) დადიანი – გიორგი (II) დადიანის ძე; ო. ე. და დასავლეთ საქართველოს მხედართმთავარი 1323–1345 წწ-ში. ვახუშტის შეფასებით, მან „უმეტესად დაიპყრო

ოდიში“. მამია დადიანი მთავრის თითქმის ყველა ატრიბუტით სარგებლობდა, მაგრამ იძულებული გამხდარა დამორჩილებოდა მიქელს, ნარინის ძეს „ხარკის მიცემითა და მოლაშქრედ თვისად“ (სოსელია). 1327 წ. დავით ნარინის ძე მეფე კონსტანტინე გარდაიცვალა, რის შემდეგაც დასავლეთ საქართველოში შფოთი და არეულობა დაიწყო. ამ ვითარებით სარგებლობს გიორგი ბრწინვალე და დასავლეთ საქართველოში გადადის. ვახუშტის ცნობით, მას მორჩილება გამოუცხადეს **ო. ე**-მა მამია დადიანმა, გიორგი გურიელმა, სვანთა ერისთავმა და აფხაზთა ერისთავმა შერვაშიძემ. გიორგი ბრწინვალემ დასავლეთ საქართველოს დიდებულები ერთგულებისათვის დიდად დაასაჩუქრა. მამია დადიანს მეფემ დადიანთა ძველი პრივილეგია აღუდგინა – მას დასავლეთ საქართველოს ჯარის ერთიანი სარდლობა ჩააბარა.

წყაროები და ლიტერატურა: ვახუშტი 1973: 801; სოსელია 1951: 176, 182; ბახტაძე 2003: 243-244.

გიორგი (III) დადიანი – მამია (I) დადიანის ძე; **ო**-ისა და სვანეთის **ე.**, მანდატურთუხუცესი, დასავლეთ საქართველოს მხედართმთავარი 1345-1384 წწ. გიორგი (III) დადიანის მმართველობის დროს განსაკუთრებით გაფართოვებულა **ო**-ის საერისთავოს საზღვრები და გაზრდილა **ო. ე**-ის პოლიტიკური წონა. საკუთრივ **ო**-ის გარდა, მის დაქვემდებარებაში იყო მოქცეული გურიის საერისთავო (უეჭველია, საქართველოს მეფის ნებართვით, მისი ვაჟი კახაბერი გურიის ერისთავი გამხდარა) და, ნაწილობრივ, სვანეთი. გიორგი (III) დადიანთან პირდაპირი დიპლომატიური კავშირი ჰქონდა დამყარებული ეგვიპტის სულთანს, რომელიც უაღრესად იყო დაინტერესებული ეგვიპტე-კონსტანტინოპოლი-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის საზღვაო მარშრუტით ოქროს ურდოსთან დასაკავშირებლად. გიორგი (III)-ს დაუსრულებია დავით ნარინის ძის, კონსტანტინე მეფის მიერ დანყებული განახლებითი სამუშაოები ბედიის ტაძარში, სადაც იგი გამოსახულია თავის თანამეცხედრესთან მარიხთან ერთად. ჯუმათის მთავარანგელოზის ხატის წარწერის მიხედვით, რომელშიც **ო. ე.** გიორგი (III) დადიანი ოჯახის წევრებთან ერთად იხსენიება, ჩანს, რომ მის ძეს ვამიყს გიორგის სიცოცხლეშივე მიუღია მანდატურთუხუცესობა, ხოლო კახაბერს – გურიის ერისთავობა.

წყაროები და ლიტერატურა: ვახუშტი 1973: 801; ბერაძე 1999: 141-143.

ვამიყ (I) დადიანი – ძე გიორგი (III) დადიანისა; **ო. ე.** და მანდატურთუხუცესი 1384-1396 წწ-ში. ერისთავთ-ერისთავად და მანდატურთუხუცესად იწოდება იგი ხობის მონასტრის კედლის წარწერაში და, ასევე, ნალენჯიხისა და ჯუმათის მთავარანგელოზის ამჟამად დაკარგული ხატების წარწერებში. მანდატურთუხუცესის სახელო და **ო**-ის საერისთავო მას მიუღია მისივე მამის, გიორგი (III) დადიანის სიცოცხლეში. აღმოსავლეთ

საქართველოში თემურ-ლენგის პირველი ლაშქრობის დროს მიქელ მეფის შვილიშვილი გიორგი ცდილა დასავლურქართული სამეფოს აღდგენას. ამ მიზნით „უმეტესად დაიპყრო იმერეთი“ და ვამიყ დადიანის დამორჩილებაც განუზრახავს. ვამიყ დადიანმა საქართველოს მეფეს უერთგულა და 1392 წ. გიორგი უფლისწული სასტიკად დაამარცხა. ვამიყ დადიანს, როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოს ლაშქრით, დაულაშქრავს „ნარმართობაში გადასული“ ჯიქეთი, დაუნგრევია ციხენი, წამოუსხამს იქიდან მრავალი „მძევალნი“ და გამარჯვების ნიშნად წამოუღია „სვეტი და ფიქალი“. ამ ლაშქრობის შესახებ იუწყება ხობის ტაძრის სამხრეთ მინაშენზე ამოკვეთილი წარწერა. ვამიყ დადიანს დიდი წვლილი მიუძღვის წალენჯიხის ტაძრის შემკობაში შესანიშნავი ფრესკული მხატვრობით. ამ მიზნით მას საგანგებოდ მოუწვევია კონსტანტინოპოლიდან ბერძენი მხატვარი. ვამიყ დადიანი თავის უფლებამოსილებას იყენებდა ოდიშის სავაჭრო ცენტრების გაძლიერებისათვის და ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებისათვის, რისთვისაც მას, საკუთარი სახელით (სავარაუდოდ, მეფის ნებართვით) ფულიც მოუჭრია. ვამიყ დადიანი 1396 წ. გარდაიცვალა. დაკრძალულია ხობის სგვარეულო აკლდამაში.

წყაროები და ლიტერატურა: ვახუშტი 1973: 803; ბერაძე 1999: 144-145.

მამია (II) დადიანი – ძე ვამიყ (I) დადიანისა; **ო. ე. 1396-1414** წწ-ში. ოდიშში მისი ე-ობის დასაწყის წლებში აღმოსავლეთ საქართველოს თემურ-ლენგის შემოსევები არყევდა. ამ მდგომარეობით კვლავ უსარგებლიათ დასავლურქართული სამეფოს აღმდგენის მსურველთ. ვახუშტის ცნობით, ამჯერად დასავლეთ საქართველოში გამეფება უცდია დიმიტრი ერისთავს, კონსტანტინეს (შემდგომში კონსტანტინე I (1407-1412) ძმისწულს. თავისი მამა-პაპის მსგავსად, მამია (II)-მ საქართველოს იმჟამინდელ მეფეს, გიორგი VII-ს (1393-1407) დაუჭირა მხარი და დაეხმარა მას ტახტისმადიებელი დიმიტრის დამარცხებაში. 1414 წ. ალექსანდრე I-ის (1412-1442) მეფობის დამდეგს მამია (II)-ს თვითნებურად, ალექსანდრე მეფის დაუკითხავად გაულაშქრია აფხაზთა საერისთავოში, რასაც მოჰყვა დიდი შფოთი და მტრობა ოდიშის მკვიდრთა და აფხაზებს შორის. თვად მამია დადიანი ამ ბრძოლაში დაიღუპა. მღელვარების ჩასახშობად ალექსანდრე I იძულებული გახდა ჯარით ჩასულიყო ოდიშში, სადაც მას მამიას ძე ლიპარიტი მორჩილებით შეეგება და შენდობა ითხოვა. მეფემ ითაყვანა ლიპარიტი – „მამის პატივი მიაგო“, ანუ, **ო. ე-ობა** დაუმტკიცა, თან იახლა აფხაზეთში და შერვაშიძესთან შეარიგა.

წყარო და ლიტერატურა ვახუშტი 1973: 805; ბერაძე 1999: 145-146.

ლიპარიტი (I) დადიანი – **ო. ე. 1414-1470** წწ-ში. ლიპარიტი I-ის მმართველობის პერიოდი დაემთხვა ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის აღებას და შავ ზღვაზე მათ

საბოლოოდ გაბატონებას. ამავე პერიოდში ერთიანი ქართული მონარქია სამ სამეფოდ დაიშალა – 1466 წ. იმერთა მეფე ბაგრატ II-მ ყვარყვარე ათაბაგის თანადგომით ხელთ იგდო ქართლ-იმერეთის ტახტი, რის შემდეგაც ერთიანი საქართველოს ყოფილი მეფე გიორგი VIII (1446-1474) მხოლოდ კახეთის მეფედ რჩება. დასავლეთ საქართველოს ერისთავებს, რომელთაც ჯერ კიდევ ჰქონდათ შენარჩუნებული მოხელეობის მცირე ნიშნები, ბაგრატმა მხარდაჭერისათვის სრული თავისუფლება მიანიჭა „თვინიერ ლაშქრობისა და ქუეგანნესებისა მეფისა“. ამიერიდან **ო. ე-**ბი, მართალია, ყველა ძველ სამოხელეო ტიტულს ინარჩუნებენ, მაგრამ ფაქტობრივად იმერეთის მეფის ფორმალურ ქვეშევრდომობას ჯერდებოდნენ და დამოუკიდებლად მართავდნენ **ო-**ის სამთავროს.

წყაროები და ლიტერატურა: ვახუშტი 1973: 808; ბერაძე 1999: 147-148.

რაჭის ერისთავი. ძველი საისტორიო ტრადიციით, ვახტანგ გორგასლის დროს რაჭა, თაკვერი (ლეჩხუმი) და არგვეთი ერთ ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა და შედიოდა მარგვის საერისთავოში. VIII ს-ის ბოლოს ახლად შექმნილ ეგრის-აფხაზეთის სამეფოში რაჭა და ლეჩხუმი არგვეთის გარეშე შეადგენდნენ ერთ საერისთავოს. ასეთი ადმინისტრაციული დაყოფა ჩანს შენარჩუნებული ერთიან ქართულ მონარქიაშიც XI-XV სს-ში. **რ. ე-**თა შესახებ არსებული წერილობითი წყაროები ადასტურებენ, რომ ეს სახელო ბაღვაშთა საგვარეულოს კახაბერისძეთა განშტოებას ეკუთვნოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია **რ-**ის ერისთავ-ბაღვაშთა და კლდეკარის ერისთავ-ბაღვაშთა გენეალოგიური კავშირები. დავით ნარინის მიერ კახაბერ **რ. ე-**ის დასჯის ეპიზოდში ჟამთააღმწერელი პირდაპირ აცხადებს: „მოისპო ყოველი ნათესავი მისი ბაღუაშთა კახაბერისძეთა“. კამათის საგანია, თუ როდის მიიღეს ბაღვაშებმა **რ. ე-**ობა. **ო. სოელიას** აზრით, ეს უნდა მომხდარიყო სულ ცოტა, X ს-ის მიწურულს მაინც. **ს. კაკაბაძემ** კახაბერისძე-ერისთავთა ფუძემდებლად მიიჩნია ნიკორწმინდის ხატის წარწერაში მოხსენიებული კახაბერ-ყოფილი კირილე, რომელიც, მისი აზრით, ბაგრატ III-ის თანამედროვე რატი (I) კლდეკარის ერისთავის შვილი შეიძლება ყოფილიყო, ამიტომ კახაბერისძეთა გაერისმთავრება XI ს-ით განსაზღვრა. ზოგ მკვლევარს კახაბერ-კირილე ლიპარიტი (IV) ბაღვაშის ძმად მიაჩნია (მ. ბახტაძე). აზრთა ასეთი სხვადასხვაობის მიუხედავად, კახაბერისძე-ბაღვაშთა **რ. ე-**ობა XI ს-ის პირველი ათეული წლებიდან უცილობელი ფაქტია. კახაბერისძეთა **ე-**ობა დასრულდა XIII ს-ის ბოლოს, როცა დავით ნარინმა კახაბერ **რ. ე.** ლალატის გამო დასაჯა, ხოლო **რ-**ის საერისთავო გააუქმა. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, **რ. ე-**ობა თითქოს აღდგენილა 1534 წელს, როცა ბაგრატ იმერთა მეფემ (1510-1565) **რ. ე-**ობა უბოძა შოშიტა ჩხეიძეს (ჩხეტიძეს), მაგრამ ცნობა არაზუსტია, რამდენადაც სასისხლო სიგელთა მონუმენტით,

რაჭის საერისთავო ბევრად უფრო ადრე, XIV ს-ის მეორე ნახევარში ან საუკუნის მიწურულს ჩანს აღდგენილი. XIV ს-ის ბოლოს **რ. ე**-ები არიან ჭარელისძეები, ხოლო ჩხეტიძეთა გაერისთავება XV ს-ის ბოლოს მომხდარა – XVI ს-ის 30-იან წლებში იმერთა მეფე ბაგრატ III-მ ჩხეტისძეთა სახლს მინდას ციხედარბაზი გადასცა და რაჭის სადროშოს მეთაურობა უწყალობა. **რ**-ის აღდგენილი საერისთავო ამ დროს ძველთან შედარებით უფრო მცირე იყო, რადგან მასში თავიერთი აღარ შედიოდა და არც მთელი რაჭა. **რ**-ის ძველი ერისთავების საძვალე იყო ნიკორწმინდა, ახლებისა – ბარაკონი. ახალი საერისთავო მოიცავდა სოფლებს: ონჭევი, სორლითი, ჭურისთავი, წესი, მინდა, ბარაკონი. XVII ს-იდან რაჭის ერისთავები მამულებს იმატებენ. მათი იყო ნინიას (ნიანნიას?) ციხე, ონი, უწერა, გლოლა ჯაფარიძითურთ. **რ. ე**-თა ახალი რეზიდენცია წესში მდებარეობდა. XVII ს-ის შუახანებამდე რაჭის ერისთავები ჯერ კიდევ იმერთა მეფეების დარბაზის წევრები იყვნენ და მოხელეებად ითვლებოდნენ. ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან ისინი მეფის მოხელეებად აღარ ცნობენ თავს და ადგილობრივი მთავრების სტატუსს იძენენ.

წყაროები და ლიტერატურა: მატაინე ქართლისაჲ 1955: 185; ჟამთააღმწერელი 1959: 275; ვახუშტი 1973: 70; ქისკ 2014: 266, 267; Копалиანი 1949: 16; სოსელია 1970; 33-34, 69-70; სოსელია 1973: 68-79. ბახტაძე 2003: 225-233.

რაჭის ერისთავები. XI-XVII სს.

ნიანია [ბაღვაში] – რ. ე. და ნოველისიმოსი XI ს-ის დასაწყისში. ნიკორწმინდის ტაძარში, ჩრდილოეთის მკლავის იატაკზე მოთავსებულია ფილა, რომელზედაც ნიანია ერისთავთ-ერისთავის და ნოველისიმოსის მოსახსენებელია წარწერილი. გ. ბოჭორიძის შეფასებით, წარწერა ტაძრის თანადროულია, ანუ 1010-1014 წწ-ისაა. ვ. სილოგავა წარწერას უფრო ფართოდ, XI ს-ით ათარიღებს. მ. ბახტაძე, გ. ბოჭორიძეზე დაყრდნობით, ნიანიას XI ს-ის დასაწყისის მოღვაწედ მიიჩნევს, რომელიც რატი (I)-ზე უწინარეს უნდა ყოფილიყო **რ. ე.**

წყარო და ლიტერატურა: ბოჭორიძე 1931: 199-201; სილოგავა 1980: 101; ბახტაძე 2003: 228.

რატი (I) [ბაღვაში] – რ. ე. XI ს-ის 30-იანი წწ. მამა კახაბერ-ყოფილი კირილესი. ნიკორწმინდის ხატის წარწერაში, რომელიც XI ს-ით არის დათარიღებული, მოხსენიებული არიან ორი თაობის რაჭის ერისთავები: „მე, კახაბერ-ყოფილმან კირილე, ძემან სულკურთხეულისა ერისთავთ-ერისთავის რატისამან, მოვჭედე ხატი ესე ჯუარცმის, ნუგეშის-მცემელად და ცოდვილისა და სადღეგრძელებლად ძისა ჩემისა ერისთავთ-

ერისთავის, რაჭის ერისთავისა რატისად“. რატი (I) უნდა იგულისხმებოდეს სხვაგვას ჯვრის წარწერაშიც, რომელიც მოიხსენიებს მამა-შვილ რატის და კახაბერს: „მამკობსა შენსა რატის. რაჭის ერისთავსა და ძესა მისსა კახაბერს...“.

წყაროები და ლიტერატურა: Чубинашвили 1959: 595; კაკაბაძე 1929: 105; ბოჭორიძე 1930: 210; სოსელია 1970: 33-34; სილოგავა 1980: 171; ბახტაძე 2003: 226.

კახაბერ (I) [ბაღვაში] – რატის (I) [ბაღვაშის] ძე, ბერობაში კირილე (ნიკორწმინდის ხატის წარწერა). **რ. ე.** XI ს-ის 40-იანი წწ-ში. კახაბერ ერისთავს აუშენებია პატარა ონის ეკლესიის კარიბჭე: „...აღვოცენ ყოველნი ბრალნი მათნი ერისთავსა კახასა“. შემონახვების შემდეგ კი, გიორგი I-ის (1014-1027) მეფობის უამს – ნიკორწმინდის სამხრეთის ეკვდერი.

წყაროები და ლიტერატურა: ჟორდანიას 1897: 44; კაკაბაძე 1929: 105; სილოგავა 1980: 104.

რატი (II) [კახაბერისძე-ბაღვაში] – **რ. ე.** 1047-1060-იან წწ-ში; შვილიშვილი რატი (I)-ისა. ნიკორწმინდის ხატის წარწერის მიხედვით, **რ. ე.** რატი (II) ცოცხალია ხატის მოჭედვის დროს, მაგრამ სხვა ცნობები მის შესახებ არ მოგვეპოვება.

წყარო და ლიტერატურა: ბოჭორიძე 1930: 198-199; ბახტაძე 2003: 228.

მიქელ – **რ. ე.** 1070-1080-იანი წწ. მიქელ ერისთავი ორჯერ არის მოხსენიებული ნიკორწმინდელის დაწერილში – მას შეუწირავს ნიკორწმინდისათვის მიწა და სვინაქსარი. სახელი მიქელი კახაბერისძეთა საგვარეულოში მანამდე არ გვხვდება, რის გამოც ზოგიერთი მკვლევარი მის **რ. ე.**-ობას საეჭვოდ ხდის (მ. ბახტაძე). მაგრამ „ნიკოლოს-წმიდელის დაწერილში“ მოცემული მიქელის ოჯახის სახელები – იოანე ლიპარიტის ძე, კახაბერი – ამ ეჭვს საფუძველს აცლის. ისინი ადასტურებენ, რომ მიქელი **რ. ე.**-თა საგვარეულოს წევრია და ამ დროისათვის საგვარეულოს დინასტიური ცვლილება არ განუცდია.

წყარო და ლიტერატურა: ქისკ 1984: 39, 40, 43; ბერძნიშვილი 1979: 87; ბახტაძე 2003: 229.

კახაბერ (II) კახაბერისძე – **რ. ე.** XII ს-ის მინურულში. XI ს-ის გასულიდან XII ს-ის მინურულამდე ცნობები **რ. ე.**-თა შესახებ წყდება. თამარის პირველი ისტორიკოსი ასახელებს რაჭისა და თაკვერის **ე.** კახაბერ კახაბერისძეს, რომელიც მონაწილეობს თამარის მეფედ კურთხევის ცერემონიაში. მეორედ მოხსენიებულია იგი თამარის ერისთავთა ჩამონათვალში. სავარაუდოდ, იგივე კახაბერი უნდა იგულისხმებოდეს

ნიკორწმინდის ტაძრის დასავლეთის კედლის წარწერაში: „წმიდაო ნიკოლოზ, მეოხ ყყავ წინაშე ღმრთისა კახაბერსა და რატის, ამინ“.

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 27, 33. სილოგავა 1980: 169; ბახტაძე 2003: 229.

რავი (III) კახაბერისძე – რ. ე. XIII ს-ის პირველ ნახევარში. რავი (III) ივარაუდება ნიკორწმინდის ტაძრის წარწერაში: „წმიდაო ნიკოლოზ მღვდელთმოდღუარო, მეოხ-ექ-მენ წინაშე ღმრთისა დედოფალთ-დედოფალსა ევფემიას, ასულსა სულკურთხეულისა ერისთვთ-ერისთავისა რავისსა, ამინ“. **რ. ე.** კახაბერიძე რავი, მისი მეუღლე რუსუდანი და შვილი ნიანია იხსენიებიან მღვიმევის ეკლესიის მამულებზე. წარწერის დათარიღება სპეციალურ ლიტერატურაში მერყეობს XI-XIII ს-თა შორის. რავი (III)-ის შვილი უნდა იყოს კახაბერი, რუსუდან მეფის თანამოღვაწე, რომლის შვილსაც აგრეთვე კახაბერი რქმევია.

წყაროები და ლიტერატურა: კაკაბაძე 1929: 107; სილოგავა 1980: 170; ბახტაძე 2003: 229 .

კახაბერ (III) [კახაბერისძე] – რ. ე. XIII ს-ის შუა ხანებში. XIII ს-ის 40-იანი წლების დასაწყისში რუსუდან მეფე მონღოლებს დაეხაზა და თბილისში გადმოვიდა. ამ დროს თან ახლდნენ ლიხთ-იმერეთის დიდებულები: ცოტნე დადიანი, ბედიანი, **რ. ე.** კახაბერისძე, გურიელი და ყოველნი წარჩინებულნი. როდესაც მონღოლებმა ქვეყანა დუმნებად დაყვეს, დადიანს და **რ. ე.**-ს იმერეთი ჩააბარეს. **რ. ე.** მონაწილეობს კახაბერის შეთქმულებაში; იგივე პირი ჩანს ურდოდან დაბრუნებული დავით ნარინის საზეიმოდ დამხვედრთა შორის. მაგრამ არც ერთ ამ ეპიზოდში ჟამთააღმწერელი **რ. ე.**-ს სახელით არ იხსენიებს. მხოლოდ 1261 წ., დავით ლაშას ძის სტუმრობის დროს დავით ნარინთან ახსენებს **რ. ე.** კახაბერ კახაბერისძეს, საიდანაც ირკვევა, რომ რუსუდანისა და დავით ნარინის თანამედროვე **რ. ე.**-ს სახელად კახაბერი რქმევია. 1259 წ. მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებული ნარინ დავითი დასავლეთ საქართველოში გადავიდა, **რ. ე.** კახაბერი და სხვა დიდებულები მას მეფედ იღებენ და ერთგულად ემსახურებიან. კახაბერს (III) ნათესაური კავშირი ჰქონდა დამყარებული საქართველოს უმაღლეს არისტოკრატიულ სახლებთან – მისი ასული გვანცა ავაგ ათაბაგის ცოლ-ყოფილი, ავაგის გარდაცვალების შემდეგ დავით ულუს თანამეცხედრე გამხდარა. ამ ქორწინებში საბედისწერო როლი შეასრულა კახაბერის პოლიტიკურ არჩევანში. დავით ნარინის დასავლეთ საქართველოში გამეფებიდან მოკლე ხანში მონღოლებს აუჯანყდა დავით ლაშას ძეც (ულუ), მაგრამ მონღოლთაგან დამარცხებული, იძულებული გახდა დავით ნარინს შეეკედლებოდა. მოკლე ხანში დავით ულუმ, დიდებულთა ნაქეზებით (სავარაუდოდ, იმ მიზნით, რომ ტახტი კვლავ

გაეერთიანებინა), შეთქმულება მოაწყო ნარინის წინააღმდეგ. მის მხარეს აღმოჩნდა ნაწილი დასავლეთ საქართველოს გავლენიანი დიდებულებისა, მათ შორის **რ. ე.** კახაბერი (III). კახაბერი აბალა ყაენს დაუკავშირდა და იმერეთში მონღოლთა ჯარი შემოიყვანა. ნარინმა მტერი მოიგერია, მოლაღატე ერისთავს კი, **რ.**-ის საერისთავო ჩამოართვა და იმერეთიდან გააძევა. კახაბერი დავით ულუსთან ერთად აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა. აქ მას მეფემ ატენის ქვეყანა უბოძა. დავით ულუს გარდაცვალების შემდეგ კახაბერი ცდილა რაჭის დაბრუნებას და, როგორც ჩანს, დავით ნარინს სთხოვა შეწყალება. დავით ნარინმა იგი შეინყაღა და დაუბრუნა „მამული მისი ყოველი“. ამ პასაჟში ბუნდოვანია, საგვარეულო მამულს იბრუნებს კახაბერი, თუ საერისთავო ქვეყანას. 1280-იანი წწ-ის დასაწყისში კახაბერს კვლავ ორგულობა გამოუჩენია მეფისადმი – ისევე გაუბამს კავშირი მონღოთა ნოინთან. მეფემ შეიპყრო, ჯერ თვალები აღმოხადა, შემდეგ ხელ-ფეხი მოკვეთა, მისი შვილები კი, კონსტანტინოპოლში წარგზავნა. მემატინის სიტყვით, ასე დასრულდა ბაღვაშ-კახაბერისძეთა სახლი. კახაბერისძეთა დამხობის შემდეგ, ვახუშტის ცნობით, მეფემ რაჭა სამეფოდ დაიჭირა, მაგრამ, საუკუნის შემდეგ, როგორც ე. წ. სასისხლო სიგელები იუწყებიან, **რ.**-ის საერისთავო აღდგენილა.

წყაროები და ლიტერატურა: ჟამთააღმწერელი 1959: 195, 208, 215, 229, 268-269, 275; ვახუშტი 1973: 811; სილოგავა 1980: 168; სოსელია 1973: 71; ბახტაძე 2003: 230-232.

ჭარელისძეები: ალბულა, ციცი, ქველ, მირიანი – რ. ე.-ები XIV ს-ის მიწურული – XV ს.; XIV-XV სს-თა მიჯნაზე **რ.**-ის საერისთავო აღდგენილია. ამ დროს **რ. ე.**-ად ზის ვინმე ალბულა. სასისხლო სიგელთა მონაცემებზე დაყრდნობით, ო. სოსელია მას ჭარელისძედ მიიჩნევს. კოტრიძეთა სასისხლო სიგელის ცნობით, 1432 წ. **რ. ე.** ციცი ჭარელისძეა. **რ. ე.**-ს ქველ ჭარელისძეს აუშენებია სორის ეკლესია, თუმცა არსებულ წარწერაში ქველი ე-ად არ იხსენიება. XV ს-ის 80-იანი წწ-ის დასაწყისში **რ. ე.** მირიან ჭარელისძე მოწმედ გამოდის სასისხლო განჩინებებში.

წყაროები და ლიტერატურა: კაკაბაძე 1912: 9-11; კაკაბაძე 1913: 19; ქისკ 2014: 266, 267. სოსელია 1973: 73.

ჩხეტისძე ივანე – რ. ე. XV ს-ის 80-იან წწ-ში. XV ს-ის ბოლო ათწლეული წლებიდან **რ. ე.**-ობა ჩხეტისძეთა საგვარეულოს სამემკვიდრეო სახელოდ ქცეულა. 1488 წ-ის სასისხლო განჩინებაში მოწმეთა შორის **რ. ე.**-ია ჩხეტისძეთა საგვარეულოს წარმომადგენელი ივანე.

წყაროები და ლიტერატურა: ვახუშტი 1973: 811; კაკაბაძე 1924: 21, 25, 67; ქისკ 2014: 266, 267, 277, 318; პალ 2015: 236; სოსელია 1970: 36, 73; სოსელია 1973: 74.

ჩხეტიძე კახაბერ – რ. ე. XV ს-ის 90-იანი წწ-დან 1510-იან წწ-მდე. 1498 წ-ის სასისხლო სიგელში **რ. ე.**-ად იხსენიება ივანეს ძმა კახაბერ ჩხეტიძე. ამავე პირს ასახელებს 1503 წ-ის ჯაფარიძეთა სასისხლო სიგელი.

წყაროები და ლიტერატურა: კაკაბაძე 1914: 128; სოსელია 1973: 74.

ჩხეტიძე ბედან – რ. ე. დაახლ. XVI ს-ის 20-იან წწ-ში. იხსენიება მარკოზის სახარების მინაწერში. მის სახელზე **ე.**-მა ლომინ ჩხეტიძემ აღაპი განაახლა სორის მონასტერში.

წყაროები და ლიტერატურა: ვახუშტი 1973: 811; თაყაიშვილი 1963: 36; პალ 2015: 236; სოსელია 1973: 19, 110-111.

ჩხეტიძე შოშიტა (I) – რ. ე. დაახლ. 1534-1550 წწ-ში. ვახუშტი შეცდომით მას მიიჩნევს პირველ **რ. ე.**-ად საერისთავოს აღდგენის შემდეგ, რასაც დოკუმენტური წყაროები არ ადასტურებენ. ამ თანამდებობაზე იგი 1534 წ. დაუსვამს იმერთა მეფის ბაგრატ III-ს.

წყაროები და ლიტერატურა: ვახუშტი 1973: 74; სოსელია 1973: 110-111.

ჩხეტიძე ლომინ – რ. ე. დაახლ. 1566-1580-იან წწ-ში. **რ. ე.** ლომინ ჩხეტიძე ცნობილია მხოლოდ სორის მონასტრის ხელნაწერზე დართული ჩანაწერით ძველი სააღაპე შეწირულების განახლების შესახებ.

წყარო: H-1707, 54r. პალ 2015: 236.

პაპუნა (I) ჩხეტიძე – ლომინის ძე, **რ. ე.** დაახლ. 1651-1660 წწ-ში. 1651 წ. 16 ოქტომბერს პაპუნა (I) იმერეთიდან რუსეთში მიმავალ ელჩებს თავისი აზნაურებითურთ შეეგება და ბარაკონის რეზიდენციაში სადილზე მიიწვია. ელჩებმა მას ხელმოსაწერად მიართვეს ალექსანდრე III იმერთა მეფის (1639-1660) ფიცის წიგნი, რომელსაც მან ხელი მოაწერა მისთვის საგანგებოდ დატოვებულ პირველ ადგილზე.

ლიტერატურა: სოსელია 1983: 111.

სამცხის ერისთავი. ს-ის საერისთავო სამხრეთ საქართველოს იმ საერისთავოთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთა შექმნა საქართველოს პოლიტიკურმა გაერთიანებამ განაპირობა, მაგრამ XI ს-ის წყაროებში მისი არსებობა ჯერ კიდევ არ დასტურდება. ამკარაა, რომ **ს-**ის საერისთავო არ არსებობდა ლიპარიტ (IV) ბაღვაშისა და ბაგრატ IV-ის დაპირისპირების დროს, როცა მთელი სამცხე ლიპარიტის განკარგულებაში აღმოჩნდა. მოსალოდნელია, რომ **ს-**ის საერისთავო წარმოქმნილიყო დავით აღმაშენებ-

ლის დროინდელი ახალი სამხედრო-ადმინისტრაციული ოლქების გამოყოფის შედეგად, რასთანაც უნდა იყოს დაკავშირებული **ს. ე**-ობასთან განუყრელად დაკავშირებული მეორე თანამდებობა – სამცხის სპასალარობა. ამგვარი დაკავშირების შესაძლებლობა პირველად ნ. ბერძენიშვილმა დაუშვა, თუმცა წყაროთა პირდაპირი მოწმობის გარეშე მისი მოსაზრება ვარაუდის დონეზე დარჩა. ზოგიერთი მოსაზრებით, სპასალარი იგივე „დიდი“ ერისთავი იყო, მაგრამ წყაროთა ჩვენებები მისი გაზიარების საფუძველს ნაკლებად იძლევა. პირველად სახელდებით **ს. ე**. მოიხსენიება თამარის პირველ ისტორიკოსთან ყუთლუ არსლანის გამოსვლის შემდგომ მოვლენებთან დაკავშირებით: „სამცხის ერისთავად და სპასალარად აჩინეს ბოცო ჯაყელი“. ამ ცნობიდან ჩანს, რომ **ს**-ის საერისთავო თამარის მეფობამდე გაცილებით ადრე არსებობდა და იმთავითვე ჯაყელთა საგვარეულოს ხელში იყო. თამარის ისტორიკოსებთან და ჟამთააღმწერელთან ჯაყელები, მართალია, უმეტესწილად მხოლოდ სპასალარობით მოიხსენიებიან, მაგრამ, ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით, ასეთი შემთხვევები აიხსნება მემატინეთა თხრობის მანერით – რომელიმე უფრო დაბალი მოხელის თანამდებობა გადაეფარათ უფრო მაღალი თანამდებობით. რადგან მემატინის თვალში **ს**-ის სპასალარობა გულისხმობდა **ს. ე**-ობასაც, ამიტომ იგი ამა თუ იმ პირს უსათუოდ უფრო მაღალი პატივით – სპასალარობით მოიხსენიებდა (მ. ბახტაძე). მაგრამ ჟამთააღმწერელთან გვაქვს ისეთი შემთხვევა, როცა ჯაყელთა წარმომადგენელი (ყუარყუარე) ორივე თანამდებობით იხსენიება: „ამანვე ერისთავმან სამცხისა, სპასალარმან ყუარყუარე...“ ჯაყელთა მიერ ამ ორი სხვადასხვა თანამდებობის ფლობას ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილიც: „ბოცო ჯაყელი სამცხისა და სპასალარნი მუნებურთა სხვათა ერისთავთა“. მაშასადამე, **ს**-ის სპასალარობისა და **ს. ე**-ობის შეერთება ცენტრალური ხელისუფლების საგანგებო ღონისძიების შედეგი იყო. რამდენადაც ამ სასაზღვრო ოლქში სპასალარი ამირსპასალარის უშუალო წარმომადგენელი და შუალედური რგოლი უნდა ყოფილიყო უმაღლეს სარდლობასა და ადგილობრივ ერისთავებს შორის (გვიანდელი სადროშოს მსგავსი). სამხარეო სპასალარებს მკაფიოდ განასხვავებს ერისთავებისაგან თამარის მეორე ისტორიკოსიც: „აღივსებოდა რა კრება, შემოვიდეს ყოველნი სპასალარნი და ერისთავნი სამეფოსანი“. ჟამთააღმწერელთან მოთხრობილია ეპიზოდი, რომელშიც ყვარყვარე ჯაყელი (სპასალარის რანგში) მოუწოდებს „ყოველთა მესხთა ერისთავთა და ტაძრეულთა“, შეკრებილიყვნენ თურქმანთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ამრიგად, **ს. ე**. და **ს**-ის სპასალარი ორი სხვადასხვა თანამდებობა ჩანს, რომლებიც, რიგ შემთხვევებში, ერთსა და იმავე პირს – სამცხის ყველაზე დაწინაურებული საგვარეულოს წარმომადგენლებს ეძლეოდა ხოლმე.

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი 1959: 34, 49, ბასილი ეზოს-მოძღვარი 1959: 119, 129; ჟამთააღმწერელი 1959: 213, 214, 297 ვახუშტი 1973: 172; ბერძენიშვილი 1974: 70; კლდიაშვილი 1979: 83-96; ანთელავა 1983: 201; კიკნაძე 1987: 51; ბახტაძე 2003: 272-273.

ბოცო ჯაყელი – ს. ე. და სპასალარი 1189-1191 წწ. ბოცო ჯაყელი თამარმა გამეფებისას **ს. ე.**-ად და სპასალარად ითაყვანა. იგი გუზან აბულასანის ძე ტაოელთან ერთად ამარცხებს შავშეთსა და კლარჯეთში შემოსულ კარნუქალაქელებს, შამელებსა და გარმიანელ თურქებს. შემდეგ, 1191 წ., მას ვხედავთ გიორგი რუსის მომხრეთა ბანაკში. გიორგი რუსის დამარცხების შემდეგ ბოცო ჯაყელმა თანამდებობები დაკარგა, მაგრამ მისი შვილი ბოცო ბოცოს-ძე თამარის მიერ შეწყალებულია შორის მოხვდა და შემდგომში იგი ლაშა გიორგისა და რუსუდანის ერთგული თანამებრძოლთა შორის გვხვდება. **ს. ე.** ბოცო ჯაყელი 1191 წ-ის შემდგომ პოლიტიკური ასპარეზიდან ქრება, მაგრამ მისი სახელი შემოინახა ალის მონასტრის ალაპ-მოსახსენებლებმა.

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 34, 38, 48-51; შარაშიძე 1982: 17; ბახტაძე 2003: 271-276.

ყუარყუარე ჯაყელი – ს. ე. და სპასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი [1191- 1247] წწ. ბოცო ჯაყელის შემდეგ **ს. ე.**-ობა და სპასალარობა გადაეცა ჯაყელ-ციხისჯვარელთა შტოს წარმომადგენელს, ყუარყუარე (იმავე ივანე) ჯაყელს, რომელიც ერთი იმათგანი იყო, ვინც თამარის ერთგულება შეინარჩუნა გიორგი რუსის აჯანყების დროს. 1240-იანი წლების დასაწყისში ყვარყვარე მეჭურჭლეთუხუცესადაც მოიხსენიება. მან ურჩია რუსუდან მეფეს დაზავებოდა მონღოლებს. როდესაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქმანები (საბერძნეთს მყოფნი) შემოესივნენ, შავშებმა, კლარჯებმა, კოლა-არტაან-კარნიფორელებმა ყუარყუარე ციხისჯვარელ-ჯაყელს, როგორც **ს.**-ის სპასალარს, კაცი გაუგზავნეს და შველა სთხოვეს. ყუარყუარემ შეკრიბა მესხ ერისთავთა სამხედრო ძალები და მტერი მოიგერია. ყვარყვარე ჯაყელი იხსენიება კოხტასთავის შეთქმულთა შორის. სხვა დიდებულებთან ერთად იგი შეგებებია რუმიდან საქართველოში ჩამოყვანილ დავით ლაშას ძეს. მისი ხსენება წყდება 1245/1247 წწ-ის მოვლენების შემდეგ.

წყაროები და ლიტერატურა: ჟამთააღმწერელი 1959: 165, 191, 195, 213-215, 219; კლდიაშვილი 1980: 134-138; კიკნაძე 1987ა: 51; ბახტაძე 2003: 274.

სვანთა ერისთავი. ერთიან ქართულ მონარქიაში **ს.**-თა საერისთავოს შექმნის ზუსტი დრო უცნობია, მაგრამ მისი არსებობა ირიბი მონაცემებით X ს-ის მიწურულიდან მაინც ივარაუდება. **ს. ე.**-ები მოხსენიებულნი არიან X-XI სს-ის ეპიგრაფიკულ ძეგლებში – ეკლესიებისა და ხატების წარწერებში (ჩვაბიანის ეკლესია, ლაბეჭინის, ფაყის ხატების წარწერები). მოსაზრება, რომელიც ემყარება **ს. ე.**-თა და მათ ახლო ნათესავთა მიერ გურიის ეკლესიებისათვის შეწირული ხატების წარწერებს, **ს. ე.** ვარდანისძეები მარუშიანთა საგვარეულოდან მომდინარეობდნენ (ვ. ცისკარიშვილი). **ს. ე.**-ებისა და

მათი საგვარეულოს წევრების მჭიდრო კონტაქტს გურიასთან, ვახუშტის ცნობით, 1361 წ-იდან ეყრება საფუძველი, როდესაც ბაგრატ V-მ ამბოხებულ ვარდანისძეებს ჩამოართვა **ს. ე**-ობა, მაგრამ შემდეგ შეინყალა და გურია მისცა. შემდგომმა კვლევებმა უჩვენა, რომ ვარდანისძეების დაკავშირება გურიასთან გაცილებით ადრე – XI ს-ის მეორე ნახევარში მომხდარა. „მატიანე ქართლისაჲში“ მოხსენიებული **ს. ე**. ვარდან ვარდანისძე, რომელმაც 1073 წ. „აუშალა ქვეყანა“ გიორგი II-ს, მკვლევართა მიერ გაიგივებულია ჯუმათის ხატის წარწერაში მოხსენიებულ ვარდან ვარდანისძესთან. საინტერესოა იმავე წყაროს ცნობა, რომ გიორგი II-მ აჯანყებულ **ს. ე**-ს დასაშოშმინებლად უბოძა მამული ასკალანა, რომელსაც მკვლევრები გურიის ასკანასთან აიგივებენ (ქ. ჩხატარაიშვილი). ამ ცნობაზე დაყრდნობით ვარაუდობენ, რომ ვარდან **ს. ე**-ის შტო გურიაში 1073 წ-ის შემდგომ დაფუძნდა. უფრო გვიან მათი შთამომავლები გურიის ერისთავები (გურიელები) გახდნენ, მაგრამ შეინარჩუნეს **ს. ე**-ის ძველი ტიტულიც. საკუთრივ სვანეთში დარჩენილ ვარდანისძეთა შთამომავლობა სამეფო კარზე განსაკუთრებულად დაწინაურებული ჩანს თამარის დროს. ისინი დასავლეთ საქართველოს რამდენიმე წარჩინებულ საგვარეულოსთან ერთად მონაწილეობენ თამარის კურთხევის ცერემონიაში: „მოხელენი სვიანნი და დიდებულნი ვარდანისძენი, საღირისძენი და ამანელისძენი – ამათ მოაქვთ ერთად ხმალი მეფისა“. გარდა **ს. ე**-ობისა, ვარდანისძეები სხვადასხვა დროს ფლობდნენ ჩუხჩარეხის, მეჭურჭლეთუხუცესის, მანდატურთუხუცესისა და მსახურთუხუცესის სახელოებს, თუმცა, წყაროთა სიმწირისა და ერთგვაროვნების გამო ყოველთვის ვერ ხერხდება მკაფიოდ გამიჯვნა სვანეთისა და გურიის მოხელე ვარდანისძეებისა. ამ საგვარეულოს წარმომადგენელი **ე**. და მსახურთუხუცესი ვარდანისძე არიშიანი, რომელიც მოხსენიებულია 1273-1305 წწ-ის იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპში, სინამდვილეში დასავლეთ საქართველოს მოხელე – გურიის ერისთავი და მსახურთუხუცესი ჩანს, რომლის შთამომავლები ასევე **ე**-ად და მსახურთუხუცესად იწოდებოდნენ. რაც შეეხება **ს. ე**-თა სამოხელეო ტიტულებს, ისინი ყოველთვის **ე**-ად და მანდატურთუხუცესად იწოდებოდნენ. XIV ს-ის დამდეგს **ს. ე**-ობა გადადის დადიანთა უმცროსი შტოს ხელში, რასაც ადასტურებს ერთი სვანური ხატის წარწერა: „წმიდაო მთავარანგელოზო მუხერისო, ხელთუქმარო, ადიდენ მეფენი ბაგრატუნაინნი და დადიანნი და დიდებულნი და ერთობილი საქართველო და ერთობილნი სუანნი და ხევი ლატალისა და ალაშენე მაშენებელი შენი სოფელი ლაილისა“ (თაყაიშვილი). პირველი **ს. ე** დადიანების შესახებ ცნობები არა გვაქვს. დროთა განმავლობაში მათ დადიანთა დინასტიური სახელები სხვა „ახალი“ სახელებით (ხაჟიგ, ოზბეგ) შეუცვლიათ. **ს. ე**. დადიანები ცნობდნენ ძირითადი შტოს (ოდიშის ერისთავების) უზენაესობას, ამასთანავე, ატარებდნენ მათ სამემკვიდრეო მანდატურთუხუცესის ტიტულს, ინარჩუნებდნენ ძველ სამკვიდრო ადგილებში სალოცავებსა და საფლავებს. XV ს-ის 70-იან წწ-ში შამანდავლა დადიანი ერთდროულად ოდიშის, გურიის და სვანთა

ერისთავს უწოდებს თავს, რაც უკვე მის უზომოდ გაზრდილ პოლიტიკურ ამბიციებს (და, შესაძლოა, ნაწილობრივ მაინც, ფაქტობრივ მდგომარეობასაც) ასახავს. XV ს-ის მიწურულს **ს. ე-**თა დადიანების დინასტია გელოვნებმა შეცვალეს, მაგრამ ამ საუკუნის **ს. ე-**ები უკვე კარგა ხანი იყო, რაც მთავრებად იქცნენ და მეფის წინაშე სამოხელეო მოვალეობებს აღარ ასრულებდნენ.

წყაროები და ლიტერატურა: მატეიანე ქართლისაჲ 1955: 315-316, 361; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 27; ვახუშტი 1973: 261; ცისკარიშვილი 1959: 15; Чубинашвили 1959: 246, 261, 591; თაყაიშვილი 1937: 263-364; მესხია 1979: 124; სილოგავა 1986: 102; ბახტაძე 2003: 213-224; ქართველიშვილი 2008: 264-271; ბერაძე 1999: 142-143.

სვანთა ერისთავები. XI-XV სს.

იოვანე (I) და ვახდანგ [ვარდანისძეები] – **ს. ე-**ები X ს-ის მეორე ნახევარში. მოხსენიებულნი არიან ჩვაბიანის ეკლესიის ორ ნაკანონ ნარწერაში: „წმიდაო მაცხოვარო, შეიწყალე ვახდაგ ერისთავი“. „წმიდაო მაცხოვარო, შეიწყალე ვახდანგ ერისთავი. მაშინ დავწერეთ, ოდეს იოვანე ერისთავი სულკურთხეული გარდაიცვალა“. ნარწერები დათარიღებულია X ს-ის მეორე ნახევრით. აშკარაა, რომ ვახდანგ ერისთავი იოვანე ერისთავის შემდეგ გამხდარა ერისთავი. შესაძლოა, ისინი მამა-შვილი არიან.

წყარო: სილოგავა 1988: 179-180, 400-401;

ბაკურ – ს. ე. X ს-ის მიწურულში. იხსენიება ფაყის ხატის ნარწერაში: „ვინებე მე, მონამან მათმან ვარდან, სულკეთილისა ერისთავთ-ერისთავისა ბაკურის ძემან, შექმნად ამის ხატისად“. გ. ჩუბინაშვილი ფაყის ხატს გამორჩეულად არქაული ნიშნებით ათარიღებს X ს-ით. მისი ვარაუდით, ერისთავ ბაკურის ძე ვარდანი, შესაძლოა, იყოს ის პირი, რომელმაც სათავე დაუდო **ს. ე** ვარდანისძეების დინასტიას.

წყაროები და ლიტერატურა: Чубинашвили 1959: 415; მესხია 1979: 124; სილოგავა 1988: 181.

ვარდან (I) – ს. ე. XI ს-ის პირველი ნახევარში. ლაბეჭინის ღვთისმშობლის ხატის (გ. ჩუბინაშვილის დათარიღებით XI ს-ის პირველი ნახევარი) ნარწერაში მოხსენიებულია ვარდან ერისთავთ-ერისთავი, რომელიც, შ. მესხიას დაკვირვებით, იმავე ფაყის ხატის ნარწერაში მოხსენიებული ვარდანი უნდა იყოს.

წყაროები და ლიტერატურა: Чубинашвили 1959: 236; ახალაშვილი 1987: 15; მესხია 1979: 124.

ჯინჯის – ს. ე. XI ს-ის პირველი ნახევარში. იხსენიება ლაბეჭინის ღმრთისმშობლის ხატის წარწერაში ვარდან ერისთავთან ერთად: „წმიდაო ღმრთისმშობელო, შეიწყალე ერისთავი ჯინჯისი“. ორი თანადროული ერისთავის ერთად მოხსენიება ხატის წარწერაში მიუთითებს, რომ ისინი ერთი საგვარეულოს უახლოესი ნათესავები (ძმები ან მამა-შვილი) იქნებოდნენ.

წყაროები და ლიტერატურა: ახალაშვილი 1987: 15; სილოგავა 1988: 181, 182. ბახტაძე 2003: 215-216.

ივანე (II) [ვარდანისძე] – ს. ე. XI ს-ის შუა ხანებში. ივანე (II) **ს. ე.** უნდა იყოს „მატიანე ქართლისაიში“ მოხსენიებული ივანე ერისთავი, რომელიც XI ს-ის 40-იან წლებში ლიპარიტ (IV) ბაღვაშის მიერ ანისიდან მოტყუებით იქნა გამოყვანილი და დაპატიმრებული სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად.

წყაროები და ლიტერატურა: მატიანე ქართლისაი 1955: 300; ბახტაძე 2003: 216-217.

ვარდან (II) ვარდანისძე – ს. ე. XI ს-ის ბოლო მესამედი. **ს. ე.** ვარდან ვარდანისძე არის გიორგი II-ის წინააღმდეგ ამბოხებული ერისთავი, რომელსაც გიორგი მეფემ ასკალანა (გურიაში) უბოძა და წყალობით შემოირიგა. მისი შთამომავლები დროთა განმავლობაში, როგორც ჩანს, გურიის ერისთავები ხდებიან. სწორედ ამ გარემოებებს უნდა გამოეწვია სვანთა ერისთავების სახელებისა და ტიტულების გაჩენა მათ მიერ გურიის ეკლესიებისათვის შეწირული ხატების წარწერებზე. საკუთრივ **ს. ე.** ვარდან ვარდანისძე იხსენიება ჯუმათის წმ. გიორგის ხატის წარწერაში.

წყაროები და ლიტერატურა: მატიანე 1955: 315-316, 361; ბაქრაძე 1987: 218; Чубинашвили 1959: 236; მესხია 1979: 123; ქართველიშვილი 2008: 267.

ივანე/იოვანე (III) ვარდანისძე – ს. ე., მეჭურჭლეთუხუცესი, პროტოსტრატორი, მანდატურთუხუცესი XI-XII სს-თა მიჯნაზე. იგი უნდა იყოს შვილი გიორგი II-ის თანამედროვე **ს. ე.** ვარდან (II) ვარდანისძისა. იხსენიება მესტიისა და ლაბეჭინის ხატების წარწერებში, რომლებსაც გ. ჩუბინაშვილი XI-XII სს-თა მიჯნის ქართული ჭედურობის ნიმუშებად მიიჩნევს. ლაბეჭინის ხატის წარწერაში იოვანე, გარდა **ს. ე.**-ობისა, ფლობს მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობას: „მე, იოვანე ვარდანის ძემან, სუანთა ერისთავმან და მეჭურჭლეთა უხუცესმან მოვჭედე ხატი ესე...“. ლაბეჭინის ხატის წარწერაში იოვანე **ს. ე.**-ის სამოხელეო ტიტულებს პროტოსტრატორიც შეემატა: „მე, იოვანე ვარდანისძემან, სუანთა ერისთავმან და მეჭურჭლეთუხუცესმან და პროტოსტრატორმან, მოვჭედე ხატი ესე წმიდისა გიორგისა და დავასუენე საყდარსა შინა ოჩამისასა“.

პროტოსტრატორი მიჩნეულია ამირახორის ფარდ ბიზანტიურ სამხედრო-სამოხელეო ტერმინად. ამ წარწერათა მიხედვით, **ს. ე.** ვარდან ვარდანისძე სამეფო კარზე ერთობ დაწინაურებული პირია – მას უპყრია მაღალი საკარო თანამდებობები. ჯუმათის მთვარანგელოზის ხატის წარწერაში იგი უკვე მანდატურთუხუცესად იხსენიება. შ. მესხიას დაკვირვებით, ივანე **ს. ე.** უნდა ყოფილიყო დავით აღმაშენებლის პირველი მანდატურთუხუცესი და ამირახორი.

წყაროები და ლიტერატურა: ბაქრაძე 1987: 109, 261, 263, 264; თაყაიშვილი 1937: 22-25; Чубинашвили 1959: 25, 415; ახალაშვილი 1987: 34; მესხია 1979: 110, 122-123, 126.

ბარამ ვარდანისძე – ს. ე. 1177-1180-იან წწ-ში. შ. მესხიას კვლევის თანახმად, ორბელთა ამბოხების შემდეგ გიორგი III ისევ ვარდანისძეებს სწყალობს. ამ პერიოდში უნდა დაენიშნა მეფეს **ს. ე.**-ად ბარამ ვარდანისძე, რომელიც ამ თანამდებობას, თამარის პირველი ისტორიკოსის თანახმად, თამარის მეფობის დასაწყისში ფლობდა: „ბარამ ვარდანისძე, სუანთა ერისთავი“.

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 33; მესხია 1979: 155.

ვარდანისძე არიშიანი – ს. ე. და მსახურთუხუცესი 1273-1305 წწ-ში. ამ ორი თანამდებობით იხსენიება იგი 1270-1305 წწ-ით დათარიღებულ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპში: „სუანთ ერისთავისა ვარდანის ძისა მსახურთუხუცესისა არიშიანისა“. მას „სპარსთაგან“ დაკავებული ჯვრის მონასტრისათვის, იმ დროს, როცა მონასტრის ძმები მეტოქეში იყვნენ გადასულნი, შეუწირავს ათასხუთასი თეთრი. არიშიანის შემდგომ ვარდანისძე ერისთავთა შესახებ ცნობები აღარ გვაქვს.

წყაროები და ლიტერატურა: მეტრეველი 1962: 155, N145; ვახუშტი 1973: 26; ბერაძე 1999: 142; ბახტაძე 2003: 92.

ხაუიგ დადიანი – ს. ე. და მანდატურთუხუცესი. XIV ს-ის მეორე ნახევარში. **ს. ე.**-ად და მანდატურთუხუცესად იხსენიება იგი ქურაშისა და სეტის ეკლესიებისადმი ბოძებულ დაწერილებში.

წყარო: სილოგავა 1986: 102, 103.

ოზბეგ დადიანი – ს. ე. XV ს-ის შუა ხანებში. ოზბეგ ე-ს მოიხსენიებს მთავარეპისკოპოსი დანიელ ცაიშელი ლაბსყელდაშის ეკლესიისათვის საპატიჟოს დაწესების სიგელში: „ვაკურთხე მთავარანგელოზი დემეტრე მეფისა მეფობასა შიგა ერისთავთ-“

ერისთავისა დადიანისა ოზბეგისა ბრძანებითა და მოწმებითა“. საბუთი გაცემულია 1445-1452 წწ-ში დემეტრე მეფის (ალექსანდრე დიდის ძის) მეფობის დროს. იგივე ოზბეგ დადიანი **ს. ე.**-ისა და მანდატურთუხუცესის სამოხელეო ტიტულებით მოიხსენიება მისივე საფლავის ქვის ეპიტაფიაში, რომელიც აღმოჩენილია ოჩამჩირის რ-ნ სოფელ ჭლოუში (ჭალა).

წყაროები და ლიტერატურა: სილოგავა 1986: 64; ბერაძე 1999: 143.

შამადავლა დადიანი – დადიან-გურიელი, **ს. ე.** და მანდატურთუხუცესი 1470-1474 წწ-ში. ამ სამოხელეო ტიტულებით იხსენიება იგი ლაფსყალდის ხატის წარწერაში: „მეოხ და მფარველ ექმენ დადიან-გურიელს, სვანთა ერისთავს, მანდატურთუხუცესსა შამადავლეს“. მისი უდიდესი მხარდაჭერით ქართლ-იმერეთის მეფე ბაგრატ VI-მ (1466-1478) მოიწვია ანტიოქიის პატრიარქი მიხაელი, (1474-1484), რომელმაც დასავლეთ საქართველოს კათალიკოსად აკურთხა ცაიშელ-ბედიელი იოაკიმე და შეადგინა დოკუმენტი „მცნებაჲ სასჯულოჲ“, რომელიც საფუძვლად დაედო დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მცხეთის ტახტისაგან კანონიკურ დამოუკიდებლობას.

წყაროები და ლიტერატურა: თაყაიშვილი 1937: 393; ქისკ 2014: 185-198; ბახტაძე 2003: 222.

აბესალომ გელოვანი – **ს. ე.** 1470-იან წწ-ში. ქართლ-იმერეთის მეფე ბაგრატ VI-მ სასისხლო სიგელი უბოძა **ს. ე.** აბესალომ გელოვანს, რაც ფორმალურად ნიშნავდა მის აღიარებას **ს. ე.**-ის უფლებებში. სინამდვილეში გელოვანები სვანეთის მთავრები იყვნენ და არა მეფის მოხელეები. ბაგრატის შემდეგ გელოვანებს იმავე სიგელს ხელახლა უმტკიცებდნენ ბაგრატის ძე იმერთა მეფე ალექსანდრე II (1484-1510).

წყაროები და ლიტერატურა: ქისკ 2014: 160; სს, 1909: 515; სილოგავა 1986: 102-103; ბერაძე 1999: 149; ბახტაძე 2003: 219.

ტაოს ერისთავი. XI ს-ის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ბაგრატ III-მ (975-1014) ფანასკერტის ციხეში მიიწვია და პატიმარჰყო „კლარჯნი ჯელმნიფენი“, ტაო სამეფო დომენი ჩანს. დ. ბერძენიშვილის აზრით, ბაგრატ IV-ის (1027-1072) თანამედროვე ვაჩე კარიჭის-ძე, შესაძლოა, **ტ. ე.** ყოფილიყო, მაგრამ ასევე შესაძლებელია, რომ იგი მხოლოდ ადგილობრივი მემამულე აზნაური იყო (მ. ბახტაძე). სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე კამათის საგანია, იყო თუ არა **ტ. ე.** თამარის თანამედროვე გუზან ტაოსკარელი, რადგან არც ერთ ეპიზოდში არ იხსენიება იგი **ე.**-ად. გიორგი რუსის აჯანყების დროს გუზანი ჯერ მეფეს განუდგა, შემდეგ კი შაჰ არმენისათვის დააპირა ტაოს ქვეყნის „გატანა“. გუზანის წინააღმდეგ ბრძოლაში თავი გამოიჩინა ზაქარია

ასპანისძე ფანასკერტელმა, რომლის თავდადებას „პატრონმა“ (თამარმა) წყალობით უპასუხა და ერისთავად განაჩინა (ამ ტიტულით მოიხსენიება იგი 1210 წ.) სავარაუდოდ, სწორედ ამ დროს, XII ს-ის 90-იან წლებში, წარმოიქმნა ტ-ს საერისთავო ცენტრით ფანასკერტში. თავდაპირველად იგი მოიცავდა ტაო-შავშეთ-კლარჯეთის მიწა-წყალს სპერამდე. თამარის დროსვე ტ-ს სერისთავოს შემატებია ჭოროხის ხეობის სასაზღვრო კანტონებიც. ტ. ე. თაყა ფანასკერტელი, შთამომავალი ზაქარია ასპანისძისა, იხსენიება ჟამთააღმწერელთან. იგია თანამედროვე ბექა მანდატურთუხუცესისა (XIII-XIV სს-ის მიჯნა), რომლის ხელში მოექცა მიწა-წყალი „ტასისკარითგან ვიდრე სპერამდე და ზღვამდე, და უმრავლესი ტაო“. თანდათანობით, ჯაყელთა გაძლიერების კვალობაზე, ტ. ე. ფანასკერტელების საგამგეო მამული მცირდება – ისინი შავშეთ-სპერს კარგავენ. ნიშანდობლივია, რომ 1306 წ. აზატ მოსეს შემოსევის დროს ტ. ე. თაყა ფანასკერტელი თავისი შემცირებული ლაშქრით მარტო შეება მტერს თორთუმის ციხესთნ, რადგან იგი ჯერ კიდევ საქართველოს მეფის საერისთავო ციხედ ითვლებოდა. როგორც ჩანს, ამ თაყას შვილიშვილი იყო ის თაყაც, რომლის მეომრებმა, თორთუმის ციხეში გამაგრებულებმა, მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს თემურ-ლენგის ლაშქარს (1401), მაშინ, როდესაც სამცხის ათაბაგი თემურ ლენგს გაურიგდა. მტერმა ციხე აიღო და ძირფესვიანად დაანგრია. თემურ ლენგის ისტორიკოსის სიტყვით, ამის შემდეგ იმ ადგილების მბრძანებელი თაყა „მისი უდიდებულესობის ფეხზე საკოცნელად მოვიდა“. ცხადია, ეს თაყა ფანასკერტელი ტ. ე. იყო, რომელმაც საქართველოს მეფის ერთგულება ბოლომდე შეინაჩუნა.

წყაროები და ლიტერატურა: სუმბატ დავითის ძე 1955: 382; ჟამთააღმწერელი 1959: 304; კლდიაშვილი 1986: 54-78; ბახტაძე 2003: 278; ბერძენიშვილი 2005: 10, 13-15.

ფანასკერტელი ზაზა – ტ. ე. და მეჭურჭლეთუხუცესი XV ს-ის პირველ ნახევარში. 1907 წ. ისტორიული ტაოს ტერიტორიაზე, ვაჩიძორის მონატრის მახლობლად, ე. თაყაიშვილმა მიაკვლია რამდენიმე ისტორიულ დოკუმენტს, რომელთაგან ერთ-ერთი წარმოადგენს ვაჩიძორის კრებულის პირობის წიგნს, მიცემულს ერისთავთ-ერისთავისა და მეჭურჭლეთუხუცესის ზაზა ფანასკერტელისადმი. საბუთი დათარღვლილია XV ს-ის პირველი ნახევრით. იგი ამტკიცებს, რომ ტ. ე-ები XV ს-შიც უმკლავდებოდნენ ათაბაგთა სახლის შემოტევას. ამ ბრძოლაში ფანასკერტელ ერისთავებს ზურგს უმაგრებდა საქართველოს სამეფო სახლი – ალექსანდრე I-ის ძე მეფე ვახტანგ IV ცოლად ირთავს თაყა ფანასკერტელის დას, სითიხათუნს, ხოლო მეფე დემეტრეს ასული რუსუდანი თაყა ფანასკერტელის მეუღლე ყოფილა. ტ-ს საერისთავო ფანასკერტელ ერისთავთა ხელქვეით არსებობდა XV ს-ის 60-იან წლებამდე, ვიდრე ზაზა ფანასკერტელი საბოლოოდ გადმოსახლდებოდა ქართლში.

1535-1545 წწ-ში ტ-ს საერისთავოს აღდგენის მცდელობა ჰქონია იმერთა მეფე ბაგრატ III-ს (1510-1565), როდესაც მან სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი იმერთის სამეფოს შეუერთა. ვარაუდობენ, რომ ტ. ე-ად მეფეს ამ წლებში დაუნიშნავს გიორგი კავკასიძე, ადგილობრივი არისტოკრატიის წარმომადგენელი (თ. ჯოჯუა). ამ მცდელობის სასარგებლოდ ლაპარაკობს XV საუკუნის ხელნაწერის (H-375, მარხვანი) მინაწერის ცნობები.

წყაროები და ლიტერატურა: ჟორდანიას 1897: 270; თაყაიშვილი 1938: 62; ქისკ 2013: 108, 240; ბახტაძე 2003: 280; ბერძენიშვილი 2005: 14-15; ჯოჯუა 2015: 371-375.

ქართლის ერისთავი. შიდა ქართლი, ადრინდელი „ზენა სოფელი“, ძველი ქართლის სამეფოს დაარსების დროიდან ვიდრე სამეფოს გაუქმებამდე სპასპეტის საგამგებლო ტერიტორია იყო. VII-VIII სს-ში, როდესაც ძველი ერისთავები „გამთავრდნენ“, შიდა ქართლის ტერიტორია სამეფო საგვარეულოს იმდროინდელ განშტოებათა შორის გადანაწილდა. ამ გადანაწილებას გულისხმობს არჩილის დროინდელი ცნობა, რომ არჩილმა „ნერსიანს და ადარნასიანს განუყო ზენა სოფელი, რომელ არს ქართლი“. IX-X სს-ში ეს ტერიტორია ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის ბრძოლის უმთავრესი ობიექტი გახდა, რამდენადაც მისი ფლობა სიმბოლურად და ფაქტობრივად ძველი ქართლის მეფეთა მემკვიდრეობის დაუფლებას ნიშნავდა. ამავე დროს შიდა ქართლის ფლობა კავკასიის რეგიონისათვის სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი სამხედრო და სავაჭრო გზების გაკონტროლების საშუალებას იძლეოდა. IX ს-ის მიწურულს ძველი სამეფო დინასტიის წარმომადგენლები (ფარნავაზიან-ხოსროიანები) არაბებმა ამოწყვიტეს, ხოლო მათი სამართლებრივი და პოლიტიკური მემკვიდრეების – ბაგრატიონების არაერთგზისი მცდელობა დაპატრონებოდნენ შიდა ქართლს, მარცხით დამთავრდა. ასეთ ვითარებაში გამოდიან პოლიტიკურ ასპარეზზე შიდა ქართლის მკვიდრი ფეოდალები: ტბელები, აბაზასძეები, ძამელები, კორინთლები, საზვერელნი და სხვ. X ს-ის დასაწყისში შიდა ქართლი დაიმორჩილა ეგრის-აფხაზეთის სამეფომ, რომელიც ყველაზე ცენტრალიზებული პოლიტიკური ძალა აღმოჩნდა იმჟამინდელ ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის. პირველად სწორედ ეგრის-აფხაზეთის მეფეებმა აქციეს შიდა ქართლი საერისთავო ქვეყნად. ქ. ე-ის რეზიდენცია იყო უფლისციხე. ეპიგრაფიკული მასალის თანახმად, თავდაპირველად ქ. ე-ები ადგილობრივი დიდაზნაურების, ტბელების წარმომადგენლები იყვნენ. როგორც ჩანს, ტბელები დიდხანს ვერ ინარჩუნებენ აფხაზთა მეფეების ნდობას და ერთხანს ერისთავობას კარგავენ. ამის შემდეგ, დაახლოებით 923/924 წ. გიორგი ეგრის-აფხაზეთის მეფემ (922-957) ქართლი სამართავად თავის უფროს ძეს, კოსტანტის გადასცა. მაგრამ კოსტანტი არა ერისთავად, არამედ ქართლის გამგებლად იწოდებოდა. „გამგებელი“ გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდების“ თანახმად, ე-ის მოადგილე იყო და

იერარქიულადაც **ე-ზე** დაბლა იდგა. კოსტანტი გამგებლობით არ დაკმაყოფილდა – სამი წლის შემდეგ იგი ტბელების მხარდაჭერით გიორგი მეფეს აუჯანყდა „ძებნად მეფობისა“. გიორგიმ მეამბოხე შვილი შეიპყრო და სასტიკად გაუსწორდა. კოსტანტის შემდეგ გიორგი ეგრის-აფხაზეთის მეფემ **ქ. ე-ად** უმცროსი ძე ლეონი განამწესა. ლეონი **ქ. ე-ობის** დროს დიდ დახმარებას უწევდა გიორგი მეფეს კახეთის შემოერთებისათვის ბრძოლაში. 957 წ., როდესაც გიორგი აფხაზთა მეფე გარდაიცვალა, ლეონი **ქ. ე.** კვირიკე ქორეპისკოპოსს დაეზავა და ეგრის-აფხაზეთის ტახტზე ავიდა, ხოლო **ქ. ე-ობა**, როგორც ჩანს, ისევ ტბელებს დაუბრუნა. ეგრის-აფხაზეთის მომდევნო მეფის დემეტრეს (967-975) დროს **ქ. ე.** დასავლეთ საქართველოს დიდგვაროვანი, საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი იოანე მარუშისძე იყო, რომელმაც აფხაზთა სამეფოში დაწყებული ქაოსის შესაჩერებლად შეიმუშავა ეგრის-აფხაზეთისა და ქართველთა საკურაპალატოს მშვიდობიანი გაერთიანების გეგმა. ეს გეგმა განხორციელდა დავით კურაპალატის მხარდაჭერით, რომელიც 975 წ. ბაგრატ უფლისწულს (მომავალ ბაგრატ III-ს) ჯარით შეუძღვა შიდა ქართლში. აქ მათ იოანე მარუშისძე შეეგება და უფლისციხე ჩააბარა, რაც მისგან **ქ. ე-ობის** დასრულებასაც ნიშნავდა. შემდგომ, 980 წ-მდე, შიდა ქართლს განაგებდა ბაგრატის დედა გურანდუხტ დედოფალი, ასული გიორგი აფხაზთა მეფისა. **ქ-ის** საერისთავოს დაუფლებისათვის 980 წ. ტბელები ბრძოლას უმართავენ ბაგრატ III-ს. ბაგრატმა ტბელები სასტიკად დაამარცხა, რის შემდეგაც მათი ნაწილი ქართლიდან გადაიხვეწა. დანიშნა თუ არა ვინმე ბაგრატმა **ქ. ე-ის** თანამდებობაზე, უცნობია. ქართლის საერისთავომ იარსება X-XIV სს-ებში. წყაროებში უკანასკნელ **ქ. ე-ად** იხსენიება ამადა სურამელი, მაგრამ „ძეგლი ერისთავთა“ ერთ-ერთ ეპიზოდში, რომელშიც მოთხრობილია გიორგი VII-ის დვალეებთან შებრძოლების ამბავი (1403), ნახსენებია ვინმე ერისთავი სურამელი, რომელიც წინამძღოლობდა არაგვის ხეობის მთიულებს „დარიალამდის“. რადგან „სურამელი“ **ქ. ე-თა** ტრადიციული საგვარეულო სახელია, ამ ცნობაზე დაყრდნობით, მკვლევართა ნაწილი ვარაუდობს **ქ-ის** საერისთავოს არსებობას XV ს-მდე, თუმცა, „სურამელი“ ამ დროისათვის უკვე სხვა საგვარეულოებშიც ჩნდება საკუთარ სახელად და მისი მოხსენიება წყაროში **ქ. ე-თა** არსებობის მტკიცე საბუთად ვერ გამოდგება (ბახტაძე). **ქ. ე.**, მხოლოდ როგორც თანამადებობა, XV ს-ის მეორე ნახევარში ორიოდ საბუთის მოხელეთა ჩამონათვალში ისევ მოიხსენიება.

წყაროები და ლიტერატურა: მეფეთა ცხოვრება 1955: 25; ჯუანშერი 1955: 241; მათიანე ქართლისაჲ 1955: 267, 268, 272-275; შოშიაშვილი 1980: 176, 142, 193; ძეგლი ერისთავთა 1965: 117; ქისკ 2013: 116, 178; ლორთქიფანიძე 1973: 521; ნინიძე 1989: 44; არახამია 1988: 132-133; ბახტაძე 2003: 131-132, 134-135, 173.

ქართლის ერისთავები. XI–XIV ს-ის დასაწყისი

ივანე აბაზასძე – ქ. ე. XI ს-ის 20-იან-40-იან წწ-ში. ვინ იყო ქ. ე. ბაგრატ III-ის გარდაცვალების შემდეგ, უცნობია, მაგრამ სავარაუდოდ, ეს თანამდებობა გიორგი I-ისაგან მიიღო ტბელების განაყოფმა აბაზასძეთა საგვარეულომ, რომლის ერთი წარმომადგენელი, ივანე აბაზასძე, ქ. ე. იყო 1032 წ. ბაგრატ IV-ის მეფობის (1027-1072) დასაწყისში იგი მეტად აქტიური პოლიტიკური მოღვაწე ჩანს. მისი და ლიპარიტ (IV) ბაღვაშის წინამძღოლობით ქართლის, კახეთის, თბილისის ამირასა და სომეხთა მეფის კოალიციური ლაშქარი ერთად შეებრძოლა განძის ამირა ფადლონს. ივანე აბაზასძე ლიპარიტ (IV) ბაღვაშთან ერთად მონაწილეობს ტფილელი ამირას შეპყრობაში. იგი ლიპარიტ ბაღვაშთან ერთად ჩაუდგა ოპოზიციას ბაგრატ IV-ს, რაზედაც მიანიშნებს „გიორგი მთანმინდელის ცხოვრების“ ცნობა ბაგრატ მეფის მიერ აბაზასძეთა შეპყრობის შესახებ. როგორც ჩანს, ივანე აბაზასძე გარდაიცვალა დაახლ. 1043/1044 წ.

წყაროები: მატიაწე ქართლისაჲ 1955: 296-297; აბულაძე 1967: 160.

ლიპარიტ (IV) ბაღვაში – ქ. ე. 1043/1044, 1049-1057 წწ. (სრულად იხ. კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ IV ბაღვაში).

ლიპარიტ ორბელი – ამირახორი და ქ. ე. დაახლ. 1160-1177/1178 წწ-ში. ლიპარიტ (IV) ბაღვაშის შემდგომ საუკუნეზე მეტ ხანს ქ. ე-ების ვინაობა უცნობია. ამ ხნის განმავლობაში ასპარეზზე გამოდიან ახალი საგვარეულოები, რომლებიც წამყვან თანამდებობებს ეუფლებიან, როგორც სამეფო კარზე, ისე ადგილობრივი მმართველობის სისტემაში. XII ს-ის საქართველოში ასეთ საგვარეულოებს განეკუთვნებოდა ორბელთა საგვარეულო. სანამ ქ. ე. გახდებოდა, ლიპარიტ ორბელს გიორგი III-ის კარზე ამირახორის თანამდებობა ეპყრა (სრულად იხ. ამირახორი ლიპარიტ ორბელი).

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 9, 19; სტეფანოს ორბელიანი 1978: 47, 53; მესხია 1979: 104, 154; ანთელავა 1983: 61-62.

რატი (I) სურამელი – ქ. ე. 1177-1185, 1187-1210-იან წწ-ში. ორბელთა ამბოხის შემდგომ ქ. ე-ობა გადადის სურამელთა სახლში. „ისტორიანი და აზმანი“ ყუთლუ არსლანის განდგომის (1184) ეპიზოდში მოიხსენიებს ერისთავთ-ერისთავ რატის, ხუაშაქ ცოქალის შვილს. ვარაუდობენ, რომ რატი სურამელი ქ. ე-ის თანამდებობას კარგავს თამარისა და გიორგი რუსის ქორწინების წლებში, როდესაც რუსის მომხრე აბულასანმა სამეფო კარზე მოწინავე პოზიციები დაიკავა.

წყარო: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 32.

აბულასანი – ქ. ე. 1185-1188 წწ. თბილისის ამირათ-ამირა (იხ.) და მეჭურჭლეთუხუცესი 1187-1188 წწ-ში; დასავლეთ საქართველოს დიდებული; დანიშნურებული საქართველოს სამეფო კარზე თამარის პირველი ქორწინების წლებში. ლურჯი მონასტრის ცნობილ წარწერაში აბულასანი რამდენიმე მაღალი თანამდებობით, მათ შორის **ქ. ე-**ად მოიხსენიება. მკვლევართა ნაწილს აეჭვებს მისი **ქ. ე-**ობა, რაც ამ დროს რატი სურამელს უნდა ჰქონოდა, მაგრამ წარწერის მონაცემებში ეჭვის შეტანა ძნელია. აბულასანის აღზევება დაკავშირებული ჩანს თამარის პირველ ქორწინებასთან, რამდენადაც იგი გიორგი რუსის ჩამოყვანის ერთ-ერთი ინიციატორი და მასთან დაახლოებული პირი იყო. ვარაუდობენ, რომ **ქ. ე-**ობა რატი სურამელს უნდა დაეკარგა აბულასანის გამო. ამ უკანასკნელის კარიერის დასასრული გიორგი რუსის საბოლოო განდევნას (1188) უკავშირდება. ამის შემდეგ, როგორც ჩანს, სურამელები იბრუნებენ **ქ. ე-**ობას (სრულად იხ. მეჭურჭლეთუხუცესი აბულასანი).

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი 1959: 36, 79; Такаишвили 1905: 154; ბერიძე 1948: 96-97; ინგოროყვა 1963: 652; მუსხელიშვილი 1966: 213-214; მესხია 1979: 30-36; ჩხატარაიშვილი (1974 წ. ნაკითხული მოხსენება); ანთელავა 1983: 224.

სულა სურამელი – ქ. ე. XIII ს-ის 20-იან წწ-ში. ერისთავ რატი (I) სურამელის ძე, **ქ. ე-**ობას ფლობდა ლაშა-გიორგის მეფობის დროს, XIII ს-ის 20-იან წლებში. მისი თხოვნით, გიორგი ლაშამ საერისთავო მამული სველნეთი ქვათახევის მონასტერს შესწირა.


წყარო: ქისკ 1984: 107-108.

გრიგოლ სურამელი – სულა სურამელის ძე, ქ. ე. 1125-1260-იან წწ-ში; მსახურთუხუცესი დაახლ. 1240-იან-1260-იან წწ-ში. მისი ძმაა მეაბჯრეთუხუცესი ივანე სურამელი, შვილი – ბეგა. გრიგოლის ასული ხათუთა ცოლად ჰყავდა კახა თორელს. 1342 წ., როდესაც რუსუდან მეფე მონღოლებთან დასაზავებლად აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა, მას სხვა დიდებულებთან ერთად შეეგება **ქ. ე.** გრიგოლ სურამელი. 1247/1250 წწ-ში შედგენილ შიომღვიმის საბუთში გრიგოლ ერისთავი მსახურთუხუცესად იწოდება. ამ თანამდებობით მოიხსენიება იგი კახა თორელის შეწირულების საბუთშიც რკონის მონასტრისადმი. ჟამთააღმწერელი **ქ. ე.** გრიგოლ სურამელს რამდენიმე მნიშვნელოვან ეპიზოდში მოიხსენიებს: როდესაც მონღოლებმა საქართველო დუმნებად დაყვეს (1245-1247), გრიგოლ სურამელს სამართავად ქართლი ჩააბარეს. სხვა დიდებულებთან ერთად იგი იყო ერთ-ერთი ინიციატორი რუმის სასულთნოდან ულუ დავითის ჩამოყვანისა. 1260 წ. გრიგოლმა უარი თქვა შეერთებოდა დავით ულუს აჯანყებას მონღოლთა წინააღმდეგ და მონაწილეობა მიიღო ეგვიპტის წინააღმდეგ მონღოლთა ლაშქრობაში.

წყაროები და ლიტერატურა: ჟამთააღმწერელი 1959: 192, 195, 206, 208, 217, 219, 239; ქისკ 1984: 121, 124, 128, 129-133, 154; ქსე (9), 1985: 609.

ბეგა სურამელი (იგივე „სალინ ბეგი“) – ძე გრიგოლ სურამელისა; **ქ. ე.** და მსახურთუხუცესი 1260-1280/90-იან წწ-ში. რატი (II) სურამელისა და ჰამადა სურამელის მამა. ბეგა ყოფილა დავით ნარინის „თანშეზრდილი“, რის გამოც რუსუდანმა თავის ძეს ურდოში თან გააყოლა. პატრონთან ერთად ბეგა მონაწილეობდა ულო ყაენის ყველა ბრძოლაში და შემდგომ, ნახჭევანს მყოფი, დავით ნარინთან ერთადვე გაეპარა ულო ყაენს დასავლეთ საქართველოში. ბეგა „კეთილმოყვრობით“ იყო დაკავშირებული დასავლეთ საქართველოს წარჩინებულ გვარებთან – მისი ასული ხუაშაქი ცოლად ჰყავდა ოდიშის ერისთავ ბედიან დადიანს.

წყაროები და ლიტერატურა: ჟამთააღმწერელი 1959: 206, 220, 284, 286, 296, 298; ქისკ 1984: 165-166; ქსე (9) 1985: 609.



ქ. მე, ბეგასა | [ჩე]მითაველითა
და | მიმტკიცებია.

ხეც, Ad-8, 1247/1260 წწ. დაწერილი ბეგა
სურამელისა ტოტიბაიშვილებისადმი.

ამადა სურამელი – ბეგა სურამელის ძე, **ქ. ე.** და მსახურთუხუცესი 1280/90-იან წწ-ში XIV ს-ის დასაწყისადმდე; დავით VIII-ის ერთგული თანამებრძოლი; მონღოლთა ხელშეწყობით გორში ჩასახლებული ოსების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზატორი; XIII-XIV სს-თა მიჯნაზე მიმდინარე მღელვარე პოლიტიკური მოვლენების აქტიური მონაწილე. ამადა სურამელის შუამდგომლობით დავით VIII-მ შეინყალა მის წინააღმდეგ მონღოლებთან გარიგებული შალვა ქვენიფნეველი და მამული აღარ დაურბია. 1302 წ., როდესაც მონღოლებმა დავით VIII-ს მონღოლი ცოლი წაჰგვარეს, აჯანყებულმა მეფემ ამადა სურამელის ასულზე იქორწინა. ამ ქორწინებიდან იშვა გიორგი VI მცირე, რომელსაც ამადა სურამელი პაპად ერგებოდა და, ცხადია, მის გამეფებას ცდილობდა. ამადას სახელი 1314 წ-ის შემდგომ წყაროებში აღარ მოიხსენიება. სავარაუდოდ, იგი შეენირა გიორგი მცირის ბრძოლას ტახტისათვის (მ. ბახტაძე). ამადა სურამელი, როგორც მსახურთუხუცესი და **ქ. ე.** ამტკიცებს დავით VIII-ის სიგელს ქარმაულ გრიგოლ ჭაჭნიასშვილისადმი.

წყაროები და ლიტერატურა: ჟამთააღმწერელი 1959: 305, 307; ქისკ 1984: 184; ბახტაძე 2003: 173.

ყველის ერისთავი. ყ-ის საერისთავოს შესახებ ძალზე მწირი ცნობებია შემონახული. მისი არსებობა დასტურდება ყველის ციხეში ნაპოვნი ქვის სვეტის წარწერით: „საყდარი იოვანე ერისთავისა“. წარწერის დათარიღების ქრონოლოგიური ჩარჩო IX-XI საუკუნეებს შორის თავსდება. „მატიანე ქართლისაჲ“ XI ს. 60-იანი წლების მოვლენებთან დაკავშირებით ივანე ლიპარიტის ძესთან და ნიანია ქუაბულის ძესთან ერთად ასახელებს ყ. ე მურვან ჯაყელს, რომლებიც გაუგზავნია ბაგრატ IV-ს (1027-1072) ქართლში ჩამომდგარი ამირა ფადლონის წინააღმდეგ. XI ს-ის შემდეგ წყაროებში ყ-ის საერისთავოს ხსენება ქრება.

წყაროები და ლიტერატურა: Такайшвили 1907: 6; შოშიაშვილი 1980: 136; მატიანე ქართლისაჲ 1955: 310; სილოგავა 1983: 275; ბახტაძე 2003: 264.

ცხრაზმისხევის (ქსნის) ერისთავი. ც-ის საერისთავო მდებარეობდა პატარა ლიახვსა და არაგვს შორის. საერისთავოს ბირთვს წარმოადგენდა ცხრაზმისხევი, რეზიდენციას – ქვენიფნევი, საიდანაც მომდინარეობს ც. ე-თა გვარსახელი – ქვენიფნეველი. ქვენიფნეველთა საგვარეულო ეკლესია და სამარხი მდებარეობდა ქვენიფნევის ოდნავ ჩრდილოეთით, ლარგვისში. თანდათანობით ც. ე-ები აფართოებდნენ თავიანთ საგამგებლო ტერიტორიას. სამეფო ხელისუფლების სახელით ც. ე-ები იბრძვიან ჩამოსახლებული ოსებისა და ადგილობრივ ურჩ მთიელთა (დვალთა) წინააღმდეგ. ერთ-ერთი ასეთი წარმატებული ბრძოლის შემდეგ ვახტანგ III-მ (1302-1308) თავის ერთგულ ერისთავს შალვა ქვენიფნეველს უწყალობა თრუსო, ღუდა, გაგასძენი, მლეთე, არახვეთი, ყანჩაეთი, აბაზასძეთა მამული, ძაგნაკორანი, დულუამი, აწერისხევი, ბეხუშე. ც. ე-ის საგამგებლოში შედიოდა არაგვის ხეობის ნაწილი, მთიულეთი, ქსნის შუა წელი ლიახვამდე. XVII ს-ის შუა ხანებში ქვენიფნეველებმა თავიანთი რეზიდენცია ქსნის ქვემო წელზე, ახალგორში გადმოიტანეს, რის შემდეგაც ეწოდათ მათ ქსნის ერისთავები. ძირითად წყაროს ც-ის საერისთავოს ისტორიის შესახებ წარმოადგენს XV ს-ის დასაწყისში შექმნილი საგვარეულო მატიანე „ძეგლი ერისთავთა“, რომელშიც საგვარეულოს ლეგენდარული ისტორია VI ს-იდან იწყება, მაგრამ ისტორიულად სანდო ცნობები XIII-XIV სს-ს განეკუთვნება. ვახუშტი ბატონიშვილი ც-ის საერისთავო ტერიტორიას წარსულში ქართლის საერისთავოს ნაწილად განიხილავს და მის წარმოქმნას ქართლის საერისთავოსაგან გამოყოფას უკავშირებს: „შემდგომად თამარ მეფისა ქართლის ერისთავი სხვაა, ქსნისა სხვაა“. მართლაც, X ს-ის ქალისუბნის წარწერა დოკუმენტურად ადასტურებს, რომ ცხრაზმისხევი შედიოდა ქართლის ერისთავის დაქვემდებარებაში, ჯერ როგორც სახევისუფლო, შემდგომ, როგორც საციხისთავო ტერიტორია. ნაწილი მეცნიერებისა ც-ის საერისთავოს წარმოშობას ქართლის საერისთავოსაგან დამოუკიდებელ პროცესებს მიაწერს. არსებული წყაროების თანახმად, ცხრაზმისხევის, როგორც ადმინისტრაციული ერთეულის,

პოლიტიკური მნიშვნელობა იზრდება XIII ს-ის მეორე ნახევარში, მონღოლთა ბატონობის პირობებში, როდესაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ველარ ახერხებდა მთის რეგიონების სრულფასოვან მართვას. ამ დროს წინაურდებიან ადგილობრივი ფეოდალები, რომლებიც კონტრლს ამყარებენ მიმდებარე ტერიტორიებზე. დროთა ვითარებაში სამეფო ხელისუფლება ისევ ახერხებს თავისი გავლენის აღდგენას ასეთ მხარეებზე – აღიარებს ახლად დაწინაურებულ სოციალურ ჯგუფებს და ცდილობს ისინი სახელმწიფო სამსახურში ჩააყენოს. ამგვარი პროცესი ივარაუდება ცხრაზმისხევშიც, სადაც ძველ ხევისუფლებზე (სხვადასხვა მონაცემებით 1235 ან XIII ს-ის 60-იანი წწ.) ც. ე-თა წინაპრები გაბატონებულან. ც. ე-თა სამეფო ხელისუფლებისადმი ლოიალურობას ასახავს „ძეგლი ერისთავთას“ ცნობა, რომ სამი წლის შალვა, ვირშელ (I)-ის ძე, მეფის კარზე აღიზარდა. XIV ს-ში ც. ე-ები სამეფო კარზე ამირეჯიბის და ამირახორის თანმდებობებსაც ფლობენ. XVI ს-იდან ისინი სამეფო მოხელეებად აღარ მოიაზრებიან.

წყაროები და ლიტერატურა: შოშიაშვილი 1980: 143-144; ჟამთააღმწერელი 1959: 305, 307; ახალი ქართლის ცხოვრება 1959: 442-443; ვახუშტი 1973: 382; ძეგლი ერისთავთა 1965: 104-106; ჟორდანია 1897: 19-22; ხელნაწერთა აღწერილობა 1973: 89-90; გვასალია 1983: 62-70; კიკნაძე 1982: 54-56; ხომტარია-ბროსე 1984: 92-95; არახამია 1988: 35, 121-122; ბახტაძე 2003: 198-199.

ცხრაზმის ერისთავები. XIII-XV სს.

ვირშელ (I) ქვენიფნეველი – ც. ე. XIII ს. 50-60-იანი წწ-ების მინურული.

წყაროები და ლიტერატურა: ძეგლი ერისთავთა 1965: 105; არახამია 1988: 95; ბახტაძე 2003: 201.

შალვა (I) ქვენიფნეველი – ც. ე. XIII ს. 80-იანი- წწ-დან XIV ს-ის 10-იან წწ-მდე. დემეტრე მეფის უმცროსი თანამედროვე და დემეტრეს უმცროს ძის, ვახტანგის (მომავალი ვახტანგ III (1302-1308) თანშეზრდილი ყმა. როდესაც გარემოებათა წყალობით ძმები დავით VIII (1293-1311) და ვახტანგი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, ც. ე. შალვა ქვენიფნეველი ვახტანგის ბანაკში დარჩა და მონღოლთაგან შერისხული დავით VIII-ის წინააღმდეგ დაიწყო მოქმედება. ცხრაზმისხევში იგი მონღოლთა ჯარსაც უწინამძღვრებს დავითის შესაპყრობად, მაგრამ მეფე იხსნა მიუვალმა ციხესიმაგრემ – ციკარემ, რომელსაც მონღოლებმა ვერაფერი დააკლეს. როგორც კი საშუალება მიეცა, დავითი თავად ჩავიდა ცხრაზმისხევში და შალვა ქვენიფნეველის (მისი მონღოლთა ლაშქრობაში ყოფნის დროს) მამული დაარბია. საქართველოში დაბრუნების შემდეგ შალვა იძულებული გახდა შევედრებოდა ქართლის ერისთავ ამადა სურამელს,

ეშუამდგომლა დავით მეფესთან, რომ მისთვის მამული არ ჩამოერთმია. მეფეს იგი მართლაც შეუწყალებია და აღარ წაურთმევია მამული.

წყაროები და ლიტერატურა: ჟამთააღმწერელი 1959: 305-307; ძველი ერისთავთა 1965: 105-117; მეტრეველი 1962: 75, N63; ჟორდანიას 1897: 26-28; ხელნაწერთა აღწერილობა 1973: 89; მეტრეველი 1962: 75, N63; არახამია 1988: 93-122; ხომტარია-ბროსე 1980: 148; ბახტაძე 2003: 197-203.

ლარგველ (I) ქვენიფნეველი – ც. ე. 1308-1316 წწ. მისი ძმაა პიპა, გიორგი ბრწყინვალის ელჩი ეგვიპტის სულთანთან.

წყაროები: ძველი ერისთავთა 1965: 107-109; ხელნაწერთა აღწერილობა 1973: 89.

ვირშელ (II) ქვენიფნეველი – ც. ე. 1316-1320-იანი წწ. დასასრული. მონაწილეობდა გიორგი ბრწყინვალის (1318-1346) ბრძოლაში ოვსთა წინააღმდეგ. დარჩა სამი მცირენალოვანი ძე. მისი ც. ე-ობის დროს გაგზავნა გიორგი ბრწყინვალემ შალვა ც. ე-ის ძე პიპა ეგვიპტეში. მისი მმართველობის დროს ცხრაზმისხევი სამთვნელის სამწყსოში შევიდა.

წყარო: ძველი ერისთავთა 1965: 107-109.

ქვენიფნეველ (I) ქვენიფნეველი – ც. ე. და ამირახორი. დაახლ. 1340-იანი წწ-დან 1373 წ-მდე. დაიღუპა 1373 წ. გიორგი ალასტანელთან ერთად თურქებთან ბრძოლაში.

წყარო: ძველი ერისთავთა 1965: 109-110; ხელნაწერთა აღწერილობა 1973: 89; მეტრეველი 1962: 175, N291.

იოვანე ქვენიფნეველი – ც. ე. და ამირეჯიბი. 1373- 1380-იანი წწ. მისი თნამეცხედრე იყო დავით IX-ის (1346-1360) ასული გულშარი.

წყაროები და ლიტერატურა: ძველი ერისთავთა 1965: 110-112; ხელნაწერთა აღწერილობა 1973: 90.

ვირშელ (III) – ც. ე. 1390-იანი წწ-დან 1420-იანი წწ-ის დასაწყისამდე. გიორგი VII-თან (1393-1407) ერთად იგი მონაწილეობს ალინჯის ბრძოლაში, რის შემდეგაც თემურ-ლენგმა მორიგი ლაშქრობა მოახდინა საქართველოს წინააღმდეგ. ვირშელი ბეხუმისა და ქნოლოს ციხეებში გამაგრდა. მისმა თავდაცვითმა ტაქტიკამ მტერი აიძულა დიდი დანაკარგით გაბრუნებულიყო უკან.

წყაროები და ლიტერატურა: ძველი ერისთავთა 1965: 114-117; ქისკ 2013: 66, 67; მეტრეველი 1962: 162, N193; ხელნაწერთა აღწერილობა 1973: 90.

ქვენიფნეველ (II) ქვენიფნეველი – ც. ე. დაახლ. 1403-1446 წწ-ში.

წყაროები და ლიტერატურა: ძეგლი ერისთავთა 1965: 112; კიკნაძე 1982: 54-56.

შალვა (II) ქვენიფნეველი – ც. ე. 1450-იან-1470-იან წწ-ში. მეჯუდისხევეში რამდენიმე სოფელი ააშენა და შესწირა ქვენიფნეველთა საგვარეულო მონასტერს ლარგვისში. მისი ბრძანებით შეუდგენიათ (1459) საკანონო განჩინება სამთავისის საეპარქიო ტაძრისათვის, აგრეთვე – სასისხლო განჩინება ლარგვისის მონასტრისათვის.

წყარო: ქისკ 2014: 99, 107, 148, 175-184.

ქვენიფნეველ III ქვენიფნეველი – ც. ე. XV-XVI სს-თა მიჯნა.

წყარო: ქისკ 2014: 319-320.

ცხუმის ერისთავი. ც. ე. პირველად იხსენიება თამარის ისტორიკოსთან თამარის ერისთავების ჩამონათვალში. ც. ე-ად აქ დასახელებულია ოთალო შარვაშიძე, ხოლო არგვეთის ერისთავად – ამანელისძე. ტექსტის ამ ადგილას ფრაზა „არგვეთის ერისთავი“ ავთენტური არ არის და იგი კ. კეკელიძის მიერ არის აღდგენილი. ი. ანთელავა უფრო სარწმუნოდ მიიჩნევს ვახუშტი ბატონიშვილის ანალოგიურ ცნობას, სადაც ც. ე-ად ამანელისძე არის გამოცხადებული, ხოლო ოთალო შარვაშიძე – აფხაზეთის ერისთავად. ც-ის საერისთავო შექმნილა ეგრის-აფხაზეთის სამეფოში ისტორიული აფშილეთის ტერიტორიაზე. ვახუშტის ცნობით, საერისთავოს ფარგლებში შედიოდა მინა-წყალი „ეგრის-იქით ანაკოფია ალანიტურთ“. თამარის მეფობის პერიოდში ც. ე-ები ამანელისძეები იყვნენ. ამ საგვარეულოს აღმატებულ მნიშვნელობას ცხადყოფს მისი წარმომადგენლების მონაწილეობა მეფედ კურთხევის ცერემონიაში. მეტი ცნობა ც. ე-თა შესახებ „ქართლის ცხოვრებას“ არ შემოუნახავს. ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც, როგორც ჩანს, უფრო ძველ და სარწმუნო წყაროს ემყარებოდა, მოგვითხრობს, რომ ც-ის საერისთავოს არსებობას საფუძველი შეერყა XIV ს-ის დასაწყისში, როცა ოდიშის სამთავრომ იწყო გაძლიერება. გიორგი (II) დადიანმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა დავით ნარინის შვილებს შორის ქიშპობა და მიიტაცა ცხუმი – „დაიპყრა სრულიად ოდიში ანაკოფიამდე“. ამის შემდგომ საქართველოს მეფეებმა ცხუმის საერისთავოს დადიანების სამფლობელოდ აღიარებდნენ.

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 27, 33; ვახუშტი 1973: 258, 269, 796, 801; ქისკ 1984: 161, 163; ანთელავა 1988: 46; ბახტაძე 2003: 245.

ჯავახეთის (ახალქალაქის) ერისთავი. ჯ-ის, იმავე ახალქალაქის, საერისთავო წრმოიქმნა X ს-ის 60-იან წლებში, როდესაც ეგრის-აფხაზეთის მეფე ლეონმა (957-967) ეს მხარე შეიერთა და იქ თავისი ერისთავი დასვა. მის არსებობას ადასტურებს კუმურდოს ტაძრის წარწერები, რომლებიც ორ სხვადასხვა ერისთავს ასახელებენ. **ჯ. ე-**ები ამ დროიდან 1023 წ-მდე მარუშიანები უნდა ყოფილიყვნენ. XI-XIII სს-თა მთელ სიგრძეზე **ჯ. ე-**ები იყვნენ ჯერ თმოგველები, შემდგომ – თორელები. XII-XIII სს-ში თორელებს მამულები ჰქონდათ საკუთრივ თორში, ჯავახეთში, ქვემო და შიდა ქართლში. XIV ს-დან თორელებს ჯაყელები ავიწროებენ, ისინი ტოვებენ თორს და შიდა ქართლში სახლდებიან. მათი საგამგებლო მხარეები ჯაყელთა მიწებში ექცევა. დაახლოებით XIV ს-ის მეორე ნახევარში **ჯ-**ის საერისთავომ არსებობა შეწყვიტა. საერისთავო ტერიტორია ჯაყელთა ხელში გადავიდა.

ლიტერატურა: შოშიაშვილი 1966: 49-56.

ჯავახეთის ერისთავები. X-XIII სს.

ზუიაი (I) – ჯ. ე. 964 წ. მოხსენიებულია კუმურდოს ტაძრის ხუროთმოძღვარ საკოცარის 964 წ-ის სამშენებლო წარწერაში, რომლის თანახმად, ტაძრის ბალავარის ჩადება მომხდარა „ლეონ მეფისა ზეა ქრონიკონს ზუიაა რჰდ... ერისთავობასა ზუიაისა“. წარწერიდან ცხადი ხდება, რომ ზუიაი [ზვიად] აფხაზთა მეფე ლეონ III- ის ერისთავია.

წყაროები და ლიტერატურა: ცისკარიშვილი 1959: 18, 137, 43; შოშიაშვილი 1980: 264.

ვაჩე – ჯ. ე. X ს-ის 60-70-იანი წწ. ვაჩე **ჯ. ე.** მოხსენიება ასევე კუმურდოს ტაძრის წარწერაში: „სახელითა ღმრთისაითა, მე, იოვანე ეპისკოპოსმან დავდეგ დღე აღვსებისაჲ აღაჰად ვაჩე ერისთავისა“. მკვლევართა მოსაზრებით, ვაჩე ზვიად ერისთავის ვაჟი უნდა ყოფილიყო.

წყაროები და ლიტერატურა: ცისკარიშვილი 1959: 18; შოშიაშვილი 1980: 267.

ზვიად (II) – ჯ. ე. დაახლ. X-XI სს-თა მიჯნაზე. ვაჩე ერისთავის ვაჟად მიიჩნევენ მკვლევარნი ბაგრატ III-ის და გიორგი I-ის თანამებრძოლ ქართლის ერისთავ ზვიად მარუშიანს, რომელმაც, „მატიანე ქართლისაის“ ცნობით, ბაგრატ III ბედიამი გადაასვენა. იგივე ზვიადი გიორგი მეფემ 1021 წ. სამცხეში შემოჭრილ ბასილი კეისართან გაგზავნა, რათა მასთან ზავის პირობებზე მოლაპარაკებებში დრო გაეყვანა. როგორც ჩანს, ზვიად ერისთავმა დავალება სათანადოდ ვერ შეასრულა, რის გამოც, დიდი გომრეთის 1023 წ-ის წარწერის თანახმად, გიორგი I-ს იგი შეუპყრია (შდრ. კლდეკარის ერისთავი ზვიად ერისთავი).

წყაროები და ლიტერატურა: მატიანე ქართლისაჲ 1955: 283, 287; ბაქრაძე 1987: 59.

ფარსმან თმოგველი – **ჯ. ე.** 1023-1065 წწ-ში. ფარსმან თმოგველი ერისთავთ-ერისთავად იხსენიება ზედა თმოგვის, სათხის და მირაშხანის წარწერებში. „მატიანე ქართლისაჲს“ თანახმად, 1045-1047 წწ-ში იგი თუხარისის ერისთავ ბემქენ ჯაყელთან ერთად ლიპარიტ ბაღვაშის ბანაკში იმყოფებოდა. არსებობს მოსაზრება, რომ ფარსმან თმოგველს ლალატიისათვის ბაგრატ IV-მ **ჯ. ე.**-ობა ჩამოართვა და ეს მხარე სამეფოდ აქცია, თუმცა, შემდგომი მოვლენები ცხადყოფენ, რომ ჯავახეთში სამეფო დომენის გვერდით საერისთავო ქვეყანა დიდხანს არსებობდა. **ჯ. ე.**-ად დარჩენილა თვით ფარსმან თმოგველიც, რომელიც ბრძოლის ველზე დაეცა 1065 წ. ალფ-არსლანის მიერ ახალქალაქის აღების დროს.

წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა: მატიანე ქართლისაჲ 1955: 298; გვერდნითელი 1947: 241; ცისკარიშვილი 1959: 37; გაფრინდაშვილი 1964: 9; ოთხმეზური 1981: 44; ბახტაძე 2003: 2003: 258.

ვარაზბაკურ თორელი – **ჯ. ე.** 1065 წ-ის შემდეგ. ფარსმან თმოგველის შემდეგ **ჯ. ე.**-ობა გადასულა თორელთა საგვარეულოში. ამ საგვარეულოდან პირველი **ჯ. ე.**-ია ვარაზბაკური. ბაგრატ IV-ის (1027-1072) დავალებით იგი მოციქულად მიდის ალფ-არსლანთან, შემდეგ, მეფისავე გადაწყვეტილებით, შეიპყრობს სამშვილდის მეფე კვირიკეს, რის შედეგადაც სრულდება სომეხ კვირიკიანთა ბატონობა ქვემო ქართლში. იგივე ვარაზბაკური იგულისხმება აძიკვის წარწერაში. მის შემდეგ **ჯ. ე.**-თა შესახებ ცნობები თითქმის საუკუნის განმავლობაში წყდება.

წყაროები და ლიტერატურა: მატიანე ქართლისაჲ 1955: 307; ბერძენიშვილი 1964: 280; მუსხელიშვილი 1940: 45; შოშიაშვილი 1966: 23.

კახა (I) თორელი – **ჯ. ე.** 1152 წ. XII ს-ში **ჯ. ე.**-ობა თორელთა საგვარეულოს კუთვნილება ჩანს. ერისთავთ-ერისთავი კახა **ჯ. ე.**-ად იხსენიება 1152 წ-ის საორბისის წარწერაში: „ქ. წმიდაო გიორგი, შეიწყალე ერისთავთ-ერისთავი კახა და შვილნი მათნი“. წ. შოშიაშვილის მოსაზრებით, სწორედ იგი უნდა ყოფილიყო ის ანონიმი თორელი, რომელიც, თამარის პირველი ისტორიკოსის მონათხრობით, დიდ და სახელგანთქმულ მოლაშქრედ იყო ცნობილი და გიორგი III-ს ეხმარებოდა ანისის შემომტკიცებაში. კახა 1177 წ-ის ამბოხის შემდეგ წყაროებში აღარ იხსენიება.

წყაროები და ლიტერატურა: Чубинашвили 1915: 184; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 13; შოშიაშვილი 1966: 26; ბახტაძე 2003: 255-259.

გამრეკელ (I) თორელი – კახა (I)-ის შვილი, **ჯ. ე.** დაახლ. XII ს-ის 70-იან წწ-დან 1191 წ-მდე; 1177 წ-ის ამბოხის მონაწილე; გიორგი III-ის და თამარის დიდმოხელე,

ამირახორი და შემდეგ ამირსპასალარი. ნ. შოშიაშვილის ვარაუდით, გამრეკელს მამის (კახა I-ის) შემდეგ **ჯ. ე-**ობაც უნდა მიეღო, თუმცა, წყარო მას მხოლოდ ამირსპასალარის თანამდებობებით მოიხსენიებს (სრულად იხ. ამირსპასალარი გამრეკელ თორელი).

წყაროები და ლიტერატურა: შოშიაშვილი 1966: 26; ბახტაძე 2003: 257.

კახა (II) თორელი, ძე ამირსპასალარ გამრეკელისა – ჯ. ე. 1191 – XIII ს. დასაწყისი. თამარტონ ერთად მოიხსენიება იგი ჰამამლუს წარწერაში: „ადიდენ ღმერთმან მეფეთამეფე თამარ, ერისთავი კახა“. კახა II-ის გარდაცვალების შემდეგ ჯავახეთის ერისთავობა დროებით გადადის თორელთა სხვა შტოს – ახალციხელთა ხელში, რომელსაც მიეკუთვნოდნენ შალვა და ივანე ახალციხელები.

წყაროები და ლიტერატურა: მუსხელიშვილი 1940: : 45; ბერძენიშვილი 1964: 232.

შალვა თორელ-ახალციხელი – ჯ. ე. XIII ს-ის დასაწყისიდან 1226 წ-მდე. ნ. ბერძენიშვილმა პირველმა გამოთქვა ვარაუდი კიმოთისმანის წარწერაში მოხსენიებული ერისთავთ-ერისთავ შალვა თორელ-ახალციხელისა და თამარის დროინდელი ცნობილი სამხედრო მოღვაწის, შალვა ახალციხელის იგივეობის შესახებ. ეს მოსაზრება არგუმენტებით გაამყარა ნ. შოშიაშვილმა, რომელმაც გამოიკვლია თორელთა ახალციხური შტოს აღზევების გარემოებები XII-XIII სს-თა მიჯნაზე. სამეფო კარზე შალვა ახალციხელ-თორელს ეპყრა მეჭურჭლეთუხუცესის და მანდატურთუხუცესის თანამდებობები. ჯალალედინის მებრძოლებმა იგი დაატყვევეს გარნისის ბრძოლაში (1226), ერთი წლის შემდეგ შალვა ტყვეობაში გარდაიცვალა. შალვას ახალციხელის შემდეგ ჯავახეთის ერისთავობა კვლავ ახალაქალქელმა თორელებმა დაიბრუნეს (სრულად იხ. მანდატურთუხუცესი შალვა თორელ-ახალციხელი).

წყაროები და ლიტერატურა: ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 129; ჟამთააღმწერელი 1959: 17-71; ბერძენიშვილი 1964: 232; შოშიაშვილი 1966: 29; მესხია 1979: 162; ბახტაძე 2003: 259.

გამრეკელ (III) თორელი – ჯ. ე. 1225 წ. – XIII ს-ის შუა ხანები. შალვა ახალციხელის შემდგომ **ჯ. ე-**ობა დაიბრუნა თორელთა ძირითადმა შტომ, რომლის წარმომადგენელი იყო კახა (II) თორელის ძე, გამრეკელ (II) თორელი, ამ დროისათვის მეჭურჭლეთუხუცესი. მონღოლთა ბატონობის წლებში მან მიიღო დუშნისთავობა.

წყაროები და ლიტერატურა: ჟამთააღმწერელი 1959: 209; ქისკ 1984: 117; მუსხელიშვილი 1940: 45; ბახტაძე 1959: 258.

კახა (III) თორელი – ჯ. ე. და მეჭურჭლეთუხუცესი. XIII ს-ის 50-70-იანი წწ. კახა თორელი კარგად ცნობილი ისტორიული პირია XIII ს-ის მეორე ნახევარში. ჟამთააღმწერლის თანახმად, იგი **ჯ. ე.**-ია, ხოლო 1260 წ. მის მიერ შედგენილი „რკონის დანერილის“ მიხედვით, მეჭურჭლეთუხუცესიც. მონღოლთა ლაშქრობის დროს ბაღდადზე (1258) დავით ულუს იგი გაუგზავნია ჰულაგუ ყაენთან. საქართველოში დაბრუნების შემდეგ (1260), ჟამთააღმწერელის ცნობით, კახა არ მიემხრო ულუ დავითის ამბოხს და სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად მონაწილეობა მიიღო მონღოლთა ლაშქრობაში ეგვიპტის წინააღმდეგ. შემდეგ, როდესაც აჯანყებული მეფის დასასჯელად მონღოლებმა ჯარი გამოგზავნეს, კახა თორელი მტრის ბანაკში იმყოფებოდა და მონღოლებს რჩევას აძლევდა, როგორ ემოქმედათ ქართველთა წინააღმდეგ. XIII ს-ის მინურულს კახა თორელი მანდატურთუხუცეს ბექა ჯაყელს უმოყვრდება და მასთან კეთილმოყვრობის პირობას აფორმებს.

წყაროები და ლიტერატურა: ჟამთააღმწერელი 1959: 239; ქისკ 1984: 155, 193. შოშიაშვილი 1966: 1-11, 32; ბახტაძე 2003: 258

გამრეკელ ლობიარი – ჯ. ე. XIII ს-ის ბოლო მეოთხედში. კახა (III) თორელის შემდეგ **ჯ. ე.**-ობა გადასულა თორელთა განაყოფ ლობიართა საგვარეულოში. ჯვრის მონასტრის აღაპებში შეტანილია ერისთავთ-ერისთავ ლობიარ გამრეკელის მოსახსენებელი. ნ. შოშიაშვილის დაკვირვებით, ლობიარები XIV ს. მეორე ნახევრამდე უნდა ყოფილიყვნენ **ჯ. ე.**-ები.

წყაროები და ლიტერატურა: მეტრეველი 1962: 75 N72; შოშიაშვილი 1966: 49.

ჰერეთის ერისთავი. ჰ-ის საერისთავოს დაარსება დაკავშირებულია ბაგრატ III-ის (975-1014 წწ.) სახელთან. 1008 წ., როდესაც ბაგრატმა ჰერეთი აიღო, მმართველად აბულალი დასვა. წყაროს ტერმინოლოგია მიუთითებს, რომ აბულალი ბაგრატიანადმი ლოიალურად განწყობილი „მთავარი“ იყო და არა მეფის მოხელე-ერისთავი. მაგრამ აბულალის მთავრობა მაშინვე შეწყვეტილა, როგორც კი კახეთის მთავარმა დავითმა ჰერეთი ისევ დაიბრუნა. ბაგრატ III 1010 წ. ხელახლა იპყრობს კახეთ-ჰერეთს და, როგორც ჩანს, აქ საერისთავოებს აარსებს. 1014 წ. გიორგი I-ის (1014-1027) ტახტზე ასვლისთანავე, კვირიკე დიდი (1010-1037) განუდგა ერთიანი საქართველოს მეფეს და თავი კახეთის მეფედ გამოაცხადა. ვახუშტის ცნობით, კვირიკე დიდმა სამეფო შვიდ საერისთავოდ დაყო. აქიდან სამი იყო კახეთში (შდრ. კახეთის ერისთავი), ხოლო ოთხი – ჰერეთში: ხორნაბუჯის (ხონანთა), ვეჟინის, მაჭის, შტორის (დ. მუსხელიშვილი „ქართლის ცხოვრების“ უძველეს ნუსხებზე დაყრდნობით, „შტორის“ უფრო სწორ ფორმად მიიჩნევს „ტურს“). „მატიანე ქართლისაჲ“ სახელდებით გვაცნობს ბაგრატ IV-ის თანა-

მედროვე **ჰ. ე-**ებს: პანკისის ერისთავ სტეფანოზ ვარჯანის-ძეს, ხორნაბუჯის ერისთავ ვაჩე გურგენის ძეს, შტორისა და მაჭელის ერისთავ ჯედის, გოდერძის დისწულს და ვეჟინის ერისთავ ნირქუალელს (დ. მუსხელიშვილი უპირატესობას ანიჭებს ანასეული „ქართლის ცხოვრების“ წაკითხვას, სადაც მაჭის ერისთავად მოხსენიებულია გოდერძი და არა ჯედი). „მატიანის“ იმ ეპიზოდში, სადაც ლაპარაკია კახელი დიდებულების თანადგომით თბილისში შესვლაზე, ერისთავად მოხსენიებულია გოდერძი. ამავე გოდერძი ერისთავთან აიგივებენ ალავერდის წარწერაში მოხსენიებულ გოდერძის: „წმიდაო გიორგი, მწე-მფარველ ეყავ წინაშე ღმრთისა მონასა შენსა გიორგი აბაის, დისწულსა გოდერძი ერისთავთ-ერისთავისა“. XI ს-ის შემდგომ **ჰ-**ის საერისთავოები წყაროებში აღარ მოიხსენიება. როგორც ჩანს, კახეთ-ჰერეთში დავით აღმაშენებელმა გააუქმა პატარ-პატარა საერისთავოები და დატოვა მხოლოდ ორი – კახეთისა და ჰერეთის. XI-XIII სს-ში ჰერეთში შედიოდა ალაზნის აღმოსავლეთი სანაპირო, ე.წ. „გალმამხარი“ – კახეთსა და შაქს შუა მდებარე ტერიტორია. ჰერეთის საზღვრებში შემოდიოდა მერმინდელი საინგილო და დაღესტან-ხუნძეთის ნაწილი. ცნობები **ჰ. ე-**თა შესახებ ძალზე მცირეა. გიორგი III-ის (1156-1184) დროს **ჰ. ე.** იყო ვარდან კოლონკელისძე, რომელიც მეფის მტრობაში ყოფილა შემჩნეული. 1177 წ. ვარდან კოლონკელისძემ და მისმა ძემ, ივანემ, დიდი დახმარება გაუწიეს აჯანყებულ ორბელებს (შ. მესხია). მიუხედავად ამისა, მათ ფეოდალურ სახლს **ჰ. ე-**ობა ორბელთა მარცხის შემდგომაც კარგა ხანს ეყარა. თამარის მეფობის დასაწყისში **ჰ. ე-**ია საღირ კოლონკელისძე, რომელსაც ეს თანამდებობა ჩამოართვეს გრიგოლისძეებმა, იმავე გიშელებმა. XIII ს-ის შუა ხანების შემდეგ **ჰ. ე-**თა შესახებ ცნობები აღარ მოიპოვება.

წყაროები და ლიტერატურა: მატიანე ქართლისაი 1955: 279, 298, 300, 308; სუმბატ დავითის ძე 1955: 383; ისტორიანი და აზმანი 1959: 12, 34, 67; ჟამთააღმწერელი 1959: 192, 301; ვახუშტი 1973: 561; ბარნაველი 1962: 12; მესხია 1979: 121; მუსხელიშვილი 19167: 107, 122-126; პაპუაშვილი 182: 204; კიკნაძე 1983: 95; ბახტაძე 2003: 183-185.

ჰერეთის ერისთავები XII-XIII სს.

ვარდან კოლონკელისძე – **ჰ. ე.** 1150-1160-იან წწ-ში. მემატთანე მას გიორგი III-ის მტრობაში ადანაშაულებს. გაგის გასათავისუფლებლად ელდიგუზ ათაბაგთან ბრძოლაში (1163) გიორგი III-ს ხელი შეუშალა დიდებულთა ერთმა ჯგუფმა, რომელთა შორის გამოირჩეოდა ვარდან კოლონკელისძე – მტრის დასადევნებლად ამხედრებული მეფისათვის მას ცხენის სადავეები ხელით დაუჭერია.

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 12; მესხია 1979: 119.

ივანე ვარდანის-ძე [კოლონკელისძე] – ჰ. ე. და მეჭურჭლეთუხუცესი. XII ს-ის 60-იანი წწ.- 1177/1178 წ. გიორგი III-ის (1156-1184) მეჭურჭლეთუხუცესი, ორბელთა ამბოხის აქტიური მონაწილე. მას უნდა გულისხმობდეს ვახუშტი, როცა მოგვითხრობს ორბელთა აჯანყების დასახმარებლად მეჭურჭლეთუხუცესის მიერ ჰერ-კახთა და აღმოსავლეთ კავკასიელთა შეკრების შესახებ. ეს ცნობა აძლევს საფუძველს შ. მესხიას იგი **ჰ. ე** კოლონკელისძეთა საგვარეულოს მიაკუთვნოს. ორბელთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ ივანე ვარდანის-ძე [კოლონკელიძე] შეიპყრეს. ამ ამბის შემდეგ კოლონკელიძეებს ჰ. ე-ობა მცირე ხანს ისევ ეპყრათ.

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 19; შო-შიაშვილი 1965: 143; მესხია 1979: 117-121.

სალირ კოლონკელისძე – ჰ. ე. 1177-1184 წწ-ში. გიორგი III-ის მტრობაში შემჩნეულ და ორბელთა ამბოხის მონაწილე კოლონკელისძეთა სახლის წარმომადგენელი. **ჰ. ე** სალირ კოლონკელისძეს მეტოქეობას უწევდა ადგილობრივ ჰერ დიდებულთა ნაწილი, მათ შორის გრიგოლისძეთა საგვარეულო სახლი. მაგრამ თამარის მეფობის დასაწყისში **ჰ. ე**-ობა ისევ კოლონკელისძეთა სახლს დარჩენია. თამარის პირველი ისტორიკოსის თანახმად, როგორც ჩანს, მეფის მხარდაჭერით, ასათ გრიგოლისძემ სალირ კოლონკელისძეს **ჰ. ე**-ობა წაართვა.

წყარო: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 19, 34.

ასათ გრიგოლის ძე – ჰ. ე. 1184/1185 – დაახლ. 1191 წწ. ყუთლუ არსლანის გამოსვლის დროს **ჰ. ე.** ასათ გრიგოლისძე თამარის მომხრეთა ბანაკში იმყოფებოდა. მისი ინიციატივით თამარის ჯარმა „დიდი და სასახელო“ ლაშქრობა მოაწყო განძის სამხრეთით რახსის ნაპირებამდე. შემდგომში ასათმა მეფისაგან ერისთავობა თავის ძის, გრიგოლისათვის გამოითხოვა, თვითონ კი სააარიშიანოს მონაპირეობა მიიღო.

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 40; შო-შიაშვილი 1965: 143; ბახტაძე 2003: 188.

გრიგოლ ასათისძე – ასათ გრიგოლისძის შვილი, **ჰ. ე.** დაახლ. 1191 წ-დან XIII ს-ის პირველ მესამედამდე. იგი ჩანს საზეიმო შეხვედრის მონაწილედ შარვანშა ამირ მირმანის სტუმრობის დროს. მისი ერისთავობა ივარაუდება XIII ს-ის პირველი მესამედის ჩათვლით.

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 67; ბახტაძე 2003: 191.

შოთა კუპრი – ჰ. ე. XIII ს-ის შუა ხანები. შოთა კუპრი, სავარაუდოდ, გრიგოლ ასა-

თის-ძის მემკვიდრე იყო. ჟამთააღმწერელი XIII ს-ის 40-50-იან წწ-ებში მას მიიჩნევს **ჰ. ე-ად**. შოთა კუპრი ჰერეთ-კახეთის დიდებულებთან ერთად შეხვდება აღმოსავლეთ საქართველოში დაბრუნებულ რუსუდან მეფეს, იგი მონაწილეობს კობცასთავის შეთქმულებაში, სხვა დიდებულებთან ერთად საზეიმოდ ეგებება საქართველოში დაბრუნებულ დავით ლაშას ძეს. სხვა ცნობები შოთა კუპრის შესახებ არ მოგვეპოვება. რ. კიკნაძის აზრით, სწორედ იგი უნდა იყოს მონღოლთა მიერ დანიშნული ჰერეთის დუმნისთავი.

წყაროები და ლიტერატურა: ჟამთააღმწერელი 1959: 195, 25, 219; კიკნაძე 1983: 95.

სამადავლა – ჰ. ე. XIII ს-ის მინურულში. შოთა კუპრის შემდგომ **ჰ. ე-თა** შესახებ ცნობებში წყვეტილია. მხოლოდ XIII ს-ის მინურულს, დავით VIII-ის თანამედროვედ იხსენიება ერისთავი სამადავლა. ის ერთი იმთავანია, ვინც მეფეს ურჩევს ყაზან ყაენთან გამოცხადებას. ფარსადან გორგიჯანიძე მას შაქისის ერისთავად მოიხსენიებს. ეს აძლევს საფუძველს მკვლევართ, სამადავლა **ჰ. ე-ად** მიიჩნიონ. XIV ს-იდან ჰერეთის ერისთავებზე ცნობები აღარ მოგვეპოვება.

წყაროები და ლიტერატურა: ჟამთააღმწერელი 1959: 301; ფარსადან გორგიჯანისძე 1925: 301; მუსხელიშვილი 1967: 126.

მ. სურგულაძე

ეშიკალასბაში – (სპარს.-თურქ. ešik- ზღურბლი, āqā-ბატონი, bāshi-თავი, უფროსი), ცენტრალური აპარატის საპოლიციო უწყების ხელმძღვანელი XVII-XVIII სს-ის საქართველოში. სეფიანთა ირანის ადმინისტრაციაში ორი მოხელის აღმნიშვნელად გამოიყენებოდა – დივანის **ე.** და ჰარემის **ე.** დივანის **ე-ის** თანამდებობა შემოღებული იყო შაჰ-თამაზის (1524-1576) სიკვდილის შემდეგ სეფიანთა დინასტიის მმართველობის დროს ამ მოხელის იურისდიქცია მოიცავდა როგორც სასახლის გარე, ისე შიდა ფუნქციებს. მას ექვემდებარებოდნენ ადიუტანტები (yasāvōlān-e š oḥ bat), ცერემონიებისტერები (ešik-āqāsīs), სასახლის კარის დაცვის წევრები (qāpūčīān) და სხვ. იგი სრულად განაგებდა სასახლის პროტოკოლს. ამასთანავე, ვეზირს წარუდგენდა მის მიერ განხილულ და ნებადართულ რაყამს ხელფასის, სარგოს, მიწის ბოძების, ჰონორარის შესახებ. შაჰ სულთან-ჰუსეინის (1694-1722) ადმინისტრაციაში იგი ამ ტიპის დოკუმენტებს ბეჭდიტაც ამოწმებდა. ყაჯართა დინასტიის მმართველობის აპარატში ეს სახელო დამცრობილია და მხოლოდ ცერემონიებისა და პროტოკოლის უფროსის ფუნქციით შემოისაზღვრება.

ვახუშტი ბატონიშვილი საქართველოში **ე-ის** სახელოს შემოღებას როსტომ მეფის

(1632-1658) სამოხელეო რეფორმას უკავშირებს, თუმცა, ქართულ-სპარსულ ისტორიულ საბუთებში ე-ისა და მისი ქვემდგომი ემიკალასის სახელოები სვიმონ I-ის (1556-1600 წწ.) ირანის ტყვეობიდან დაბრუნების შემდგომ ჩანს. ვახუშტის განმარტებით, ე-მა შეცვალა ადრინდელი მანდატურთუხუცესი (იხ.), მაგრამ რამდენადაც მანდატურთუხუცესის ფუნქციები ბევრად ფართო და მრავალფეროვანი იყო, მათ შორის მხოლოდ ნაწილობრივ მსგავსებაზე შეიძლება ლაპარაკი. ე-ის უწყებაში შედიოდნენ, უპირველესად, ე-სები, ბოქაულთუხუცესი (იხ.) და ბოქაულები, სოჭბათიასაული (იხ.), ყორიასაული (იხ.), მეჭმანდარი, ყაფიჩი და თალიში. ამ მოხელეთა საშუალებით მოჰყავდა ე-ს სისრულეში სამეფო ბრძანება-განკარგულებები, საგამოძიებო გადაწყვეტილებები, სასამართლო განჩინებები და დადგენილებები. ე. მონაწილეობდა სხვადასხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხის განხილვაში. გარდა საპოლიციო საქმიანობისა, ე-ები ზოგჯერ გადასახადების აკრეფითაც იყვნენ დაკავებულნი. ვახტანგ VI-ის „დასტურლამალის“ თანახმად, ქართლში ერთდროულად ორი ე. არსებობდა. სამეფო მეფლისზე ორივე ე. ერთად იღებდა სტუმრებს, ორივე ხელმძღვანელობდა ცერემონიალს და თვალყურს ადევნებდა წესრიგის დაცვას. ე-ის სახელოს მნიშვნელობას ხაზს უსვამს დიდი სამეფლისო ცერემონიალის დროს ე-ის გატოლება სახლთუხუცესთან (იხ.) – ისინი ერთად ისხდნენ სუფრასთან მეფის პირდაპირ.

XVII-XVIII სს. წყაროებში იხსენიება დედოფლის ე., XVIII ს. მეორე ნახევრიდან – ბატონიშვილების ე-ები, სასახლის ე.წ. „არმის“ (haram) ე., რომლის ფუნქცია იყო ზრუნვა სასახლის წესრიგზე, სასახლის იასაულების განრთვნა, ხელმძღვანელობა და მგზავრობისას მეფის ოჯახის ხლება. ამავე პერიოდში იხსენიება ხალვათხანის ე., რომლის კონკრეტული ფუნქციები გარკვეული არ არის, მაგრამ, ჩანს, რომ ლოკალური დანიშნულებისა უნდა იყოს. კომპეტენციების სისრულითა და მოვალეობებით ამათ ყველას აღემატებოდა ქართლის ე., რომლის უფლებები მთლიანად სამეფოს მასშტაბით ვრცელდებოდა (ქართლსა და კახეთში). მისი საქმიანობის მასშტაბების შესაბამისი იყო ქართლის ე-ის მაღალი ანაზღაურებაც – გიორგი XII-ის მეფობის პერიოდში ქართლის ე-ის შემოსავალი ჯამაგირისა და ულუფის სახით 300 თუმანს აღემატებოდა, მაშინ როდესაც ე.წ. არმის ე-ის ჯამაგირი 300 მანეთს შეადგენდა.

ე-ის თანამდებობაზე ინიშნებოდნენ ქართლისა და კახეთის უმაღლესი არისტოკრატიის – ორბელიანების, ციციშვილების, ბარათაშვილების, ვაჩნაძეების, მაცაშვილების, ხერხეულიძეების, საგინაშვილების, ჭავჭავაძეების და სხვ. სახლების წარმომადგენლები.

წყაროები: თაყაიშვილი 1909: 507-554; დასტურლამალი 1965: 240, 253, 270-271; მესხია 1948: 031, 9, 60, 76; სურგულაძე 1952: 246-265; Savory.

ემიკალასბაშები. XVI-XVIII სს.

- ბარათაშვილი იოვანე (აღლაჰ-ყული-ბეგ) – ე. 1583 წ. ქისკ 2016: 349.
- ბარათაშვილი ყაფლან – ე. 1627-1637 წწ. მდივანბეგი 1636 წ. ქსის 1955: 64, 131.
- ხოსრო – ე. 1627 წ. ქსის 1955: 72.
- ჯავახიშვილი როინ – ე. 1636 წ. (პალ 2015: 456).
- საგინაშვილი ანდერმან – ე. 1651 წ. ბოქაულთუხუცესი 1643-1657 წწ.
- ამირეჯიბი ქაიხოსრო – ე. მეღვინეთუხუცესი, სუფრაჩი, ატენის მოურავი, 1684-1725 წწ.
- ამილახორი ბეჟან – ე. 1688-1700 წწ.
- ამილახორი ავთანდილ – ე. 1692-1698 წწ.
- ერისთვისშვილი ზურაბ – ე. 1693-1710-იანი წწ. ბოქაულთუხუცესი 1693-1699 წწ.
- ორბელიშვილი/ასლანისშვილი რევაზ – ე. 1698-1700 წწ., მეჯინიბეთუხუცესი 1693-1699 წწ.
- ამილახვრისშვილი რევაზ – ე. 1710-იანი წწ.
- ავალისშვილი ზაზა – ე. 1700-1713 წწ.
- ციციშვილი პაატა – ე. XVII-XVIII სს. მიჯნა.
- დურმიშხან – ე. 1721 წ.
- დიმიტრი/დემეტრე-ბეგ – ე. 1721-1738 წწ.
- იოთამ – ე. 1725 წ.
- სოლომონ – ე. 1727 წ.
- ორბელიანი ელისბარ – ე. 1732-1742 წწ. თბილისის მხარეთა ჯარის სარქარი 1742 წ.
- ქავთარისშვილი სულხან – ქართლის ე. 1736-1643 წწ. ნ. მილახორი 1639 წ.
- ციციშვილი მანუჩარ – ე. 1736-1738 წწ.
- დავით – ე. 1738 წ.
- ზურაბისშვილი – ე. 1738 წ.
- რევაზ – ე. 1738 წ.
- ბეჟან – ე. 1739 წ.
- გერმანოზაშვილი პაპუა – ე. 1743 წ.
- გუგუნა – ე. 1743 წ.
- იარალიშვილი იარალი – ე. 1764 წ.

ამირეჯიბი რევაზ – ე. 1764 წ.

დიმიტრი – ე. 1767 წ.

მაყასშვილი სვიმონ – გიორგი ბატონიშვილის შ. 1768 წ.

ჭავჭავაძე ალექსანდრე – ე. 1800 წ.

მაყაშვილი ალექსანდრე – არმის შ. XVIII ს-ის მიწურული.

გარსევან – ე. XVIII ს-ის მიწურული.


ორბელიანი ასლან – ე. 1765 წ.

ციციშვილი გიორგი – ხალვათხანის შ. XVIII ს-ის მიწურული.

ხერხეულიძე გიორგი – ქართლის შ. XVIII ს-ის მიწურული.

წყაროები: პალ 1991: 73, 116-117, 119, 137, 148-149, 190; პალ 2004: 336; პალ 2007: 7, 113; დსსი 1940: 201, 215-216, 251-253, 259-260, 274-275, 317-318; მესხია 1948: 9, 46, 57-58, 61, 72, 77, 78, 97, 137; მსეი 1953: 14, 15; სის 1965: 78; სმსფჰ 1949: 74; სს 1909: 392-393; ქსის 1955: 131, 126; დასტურლამალი 1965: 240; ქსოის 1984: 59; დუნდუა: 2010: 59; ხეც: Hd-14607; Hd: 17, Hd-3816; Hd-980; Hd-2434; Hd-1904; Hd-2490; Ad — 1421, Ad-1454; Qd-2026; Qd-199; Sd-2286, Sd -1730; სეა: 1448-3916.

თ. აბულაძე



ბეჭდის ლეგენდა: მ(ო)ნა ღ(მრთისა)|ეშიკალას|ბაში ავ|თანდილ

ხეც, Hd-2268, 1697 წ. გივი თუმანიშვილს და ავთანდილ კაჭკაჭაშვილს შორის ნისქვილზე დავის გადაწყვეტილების წიგნი.

ვაზირთუხუცესი – (შდრ. ვაზირი, სავაზირო), საქართველოს ერთიან სამეფოში ვ. სახელმწიფო მმართველობის ცალკეულ უწყებათა (სამხედრო, საპოლიციო, ფინანსურ და სხვ.) ხელმძღვანელი იყო. დავით IV აღმაშენებლის დროს (1089-1125), ფაქტობრივად, საფუძველჩაყრილი ცენტრალიზებული სამეფო ხელისუფლების აპარატი XIII ს-ის დასაწყისისათვის „სავაზიროს“ (იხ.) სახით ჩამოყალიბდა. უმაღლესი საერო და საეკლესიო მოხელის, „ვაზირთა უპირველეს“ მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის მეთაურობით მასში შემავალი „დარბაზის რიგის“ მაღალი თანამდებობის პირები მთავრობის ფუნქციას ასრულებდნენ. მიჩნეულია, რომ XII-XIII ს-ის პირველ ათწლეულში საქართველოს სამეფო კარზე მხოლოდ მნიგნობართუხუცესი იწოდებოდა ვაზირად, ხოლო სავაზიროს ჩამოყალიბება „ვაზირთა უპირველესის“, იგივე ვ-ით სათავეში თა-

მარის მეფობის შემდგომ ხანებში მოხდა (შ. მესხია). კარნუ ქალაქიდან ალაფად წამოღებული „ნიგნი სააქიმოს“ თარგმანის ანდერძში (ხეც, S-1274) „ვაზირთა ყოველთა უპირველესად“ იწოდება ჭყონდიდელ-მნიგნობართუხუცესი და პროტოუპერტიმოსი თეოდორე. ვ-ის ოფიციალური ტიტულითაა მოხსენიებული ივრისპირა გარეჯის ერთ-ერთი გამოქვაბული მონასტრის (ქოლაგირის მთავარი ტაძარი XII-XIII სს. მიჯნა) მოხატულობის ქტიტორთა რიგის სათავეში გამოსახული მეფის მიერ ახლად დადგინებული ვ., რომელსაც ახლავს ფრაგმენტულად მოღწეული ფრესკული წარწერა: „...ვაზირთუხუცეს და მნიგნობართა თვისთა უხუცეს ჰყო...“

XIII ს-ის დამდეგს თამარ მეფის მიერ ათაბაგის სახელოს შემოღებით და მისი ამირსპასალარობასთან და მანდატურთუხუცესობასთან ფაქტობრივი შეერთებით, საქართველოს მეფეს მნიგნობართუხუცესისა და ათაბაგ-ამირსპასალარის სახით ერთდროულად „ორი მამა“ გაუჩნდა. დროთა განმავლობაში ამ ორიდან ის პირი იწოდებოდა ვ-ად, რომელსაც ძლიერი რეალური დასაყრდენი ჰქონდა. სამეფო ხელისუფლების დასუსტების პირობებში ასეთს ათაბაგ-ამირსპასალარი წარმოადგენდა, მაგ. ივანე (†1227) და ავაგ (1227-1250) მხარგძელები (იხ. ათაბაგი).

მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს (იხ.), როგორც ვ-ს, ყველა მნიშვნელოვან საქმეზე მიუწვდებოდა ხელი, მათ შორის სამხედრო, საფინანსო და საეკლესიო საქმეებზე. თამარის მეფობის შემდგომ მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი სავაზიროში შემავალ „სამთა ვაზირთა“ (ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი) და „ორთა ვაზირთა“ (მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი) ჯგუფიდან არც ერთში არ შედიოდა, მაგრამ გარკვეულწილად (ფორმალურად) ინარჩუნებდა ვაზირთა შორის პირველობას და „ვაზირთა შორის უპირველესად“ იწოდებოდა. რუსუდანის (1223-1245 წწ.) ზეობისას, ხორეზმელების დამრბევი ლაშქრობების და მონღოლთა ბატონობის პირობებში, მნიგნობართუხუცესის სახელოს აშკარა დაკნინების ფონზე, სამეფო საქმეთა განგება და ვ-ობა რეალურად ათაბაგის ხელში აღმოჩნდა. თანადროული ქართული და სომხური წყაროების ჩვენებით, „რუსუდანს ეპყრა სამეფო ივანეს ზედამდგომელობით, რომელსაც ათაბაგი ეწოდებოდა“ (გრიგოლ აკანელი), ხოლო ჯალალ ად-დინი ბიჯნისს მყოფ ავაგ ათაბაგს მიმართავდა: „შენ ხარ ვაზირთუხუცესი მეფისა და ითუალავ საქართველოს“ (ჟამთააღმწერელი). ამდენად, ვ-ის სახელოს არსებობის სხვადასხვა პერიოდში, მისი, როგორც მთავრობის (ანუ მინისტრთა კაბინეტის) მეთაურის ძლიერება და კომპეტენცია ყოველთვის ერთნაირი არ ყოფილა.

წყაროები: ხელმწიფის კარის გარიგება 1965: 80-97; 90-92; ჟამთააღმწერელი 1959: 151-325; 172; გრიგოლ აკანელი 1961: 9; მესხია 1979: 25; 70-75. სხირტლაძე 2000: 23, 46-50, 70-74.

დ. კლდიაშვილი

ვაზირი/ვაზირი – (არაბ. vāzir – მრჩეველი), უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის დიდმოხელეთა ტიტული შუა საუკუნეების საქართველოში. ტერმინი შემოსულია მუსლიმური სამყაროდან, მაგრამ თავად ვ-ის სამოხელეო ინსტიტუტი ძველისძველ ქართულ „უხუცესთა“ ინსტიტუტს უკავშირდება. ვ-ის თანამდებობის შემოღება გიორგი III-ის დროიდანაა სავარაუდებელი (ივ. ჯავახიშვილი), თუმცა არ გამოირიცხავენ, რომ ამ სამოხელეო ინსტიტუტის დამკვიდრება ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროს მოხდა, რომლის პირველი ვ. იყო გიორგი მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი (ნ. ბერძენიშვილი, შ. მესხია, ი. ანთელავა). XII-XIII სს-ებიდან საქართველოს ერთიან სამეფოში ვ-ები სახელმწიფო მმართველობის ცალკეულ უწყებას (სამხედრო, საპოლიციო, ფინანსურ და სხვ.) ხელმძღვანელობდნენ. უფროს ვ-ად მიჩნეული მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი (იხ.) მეფის შემდგომ პირველი პირი და ვაზირთუხუცესი იყო, დანარჩენი ვ-ები: ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი, XIII ს-ის დასაწყისიდან ათაბაგი, ფუნქციების და მნიშვნელობის მიხედვით იყოფოდნენ „სამთა ვაზირთა“ (ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი) და „ორთა ვაზირთა“ (მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი) ჯგუფებად. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, პირველი ჯგუფი უპირატესობით სარგებლობდა დარბაზობის, ვაზირობის და პურობის დროს. ვ-თა ინსტიტუტის არსებობა დადასტურებულია გიორგი V ბრწყინვალის „ძეგლის დადების“ შესავალშიც.

XVI ს-იდან ვ. ეწოდებოდა როგორც მმართველობის ცენტრალური აპარატის მოხელეებს, ისე მეფისა და მთავრის კარის პირველ მოხელეს. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ ქართლის მეფე როსტომმა (1632-1658) ადრინდელი სამოხელეო სახელების ყიზილბაშურით შეცვლასთან დაკავშირებით „კულად ყიზილბაშთა რიგის შესძინა ვეზირი, მუსტოფი (იხ.) და მუნში (იხ.).“

XVII-XVIII სს-ების მიჯნაზე, ვახტანგ მეფის „დასტურლამალის“ მიხედვით, ქართლის სამეფო კარზე ვ. ირანის საოკუპაციო ხელისუფლების მოხელეა, ხოლო ქართლ-კახეთის სამეფოების გაერთიანების შემდგომ ვ-ის სახელომ თანდათანობით დაკარგა მნიშვნელობა და ცენტრალური აპარატის ცალკეულ მოხელეთა სახელადღა შემორჩა.

წყაროები და ლიტერატურა: ხელმწიფის კარის გარიგება 1965: 86, 95-97; ძეგლის დადება მეფეთ-მეფე გიორგის მიერ 1963: 401; ვახუშტი 1973: 32; ქსე (4) 1979: 345; ჯავახიშვილი 1982: 65-270; გაბაშვილი 1940: 195-98. გაბაშვილი 1951: 131-36; სურგულაძე 1952: 361-79; ლორთქიფანიძე 1955: 68-69; მესხია 1979: 12-70; ქსე (4) 1979: 345; ანთელავა 1983: 99-100.

დ. კლდიაშვილი

ზარადხანის მნიგნობარი – ცენტრალური აპარატის მოხელე საქართველოს ერთიან მონარქიაში. **ზ. მ.** სასახლის კარზე ერთ-ერთი წარჩინებული მოხელე იყო სანოლის მნიგნობრის შემდგომ. იგი დამაკავშირებელი რგოლი იყო ზარადხანისა (ამირსპასალარის სახელი) მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის უწყებასთან. იგი მონაწილეობდა „სააჯო კარის“ სხდომებში, სადაც ევალეობდა მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის სასამართლო განჩინებათა და გადაწყვეტილებათა ადრესატებამდე მიტანა. სანოლის მნიგნობართან ერთად **ზ. მ.** მონაწილეობდა სასახლის ცერემონიალებში. „პურობის“ დროს ისინი ერთად იდგნენ და გამოირჩეოდნენ სხვა 24 მნიგნობრისაგან, რომლებიც, სანერელით ხელში, ჭყონდიდლის მხარეს იყვნენ ჩამწკრივებულნი. ვაზირობას **ზ. მ.** არ ესწრებოდა, იგი მებაჯრეთუხუცესთან, განმგეთუხუცესთან, საჭურჭლის ნაცვალთან და მესტუმრესთან ერთად კარს გარეთ იდგა ჭყონდიდლის ბრძანების მოლოდინში. ნელინადში ერთხელ, როდესაც ტარდებოდა მებაჯრეთუხუცესის დაქვემდებარებაში არსებული ზარადხანის აღწერა, **ზ. მ.** სხვა მოხელეებთან (ამირახორი, მებაჯრეთუხუცესი, ზარადხანისუხუცესი) ერთად ზარადხანაში შედიოდა და იქ დაცულ დიდ დროშას, იარაღს, ცხენის აღკაზმულობას (ჯაჭვი, მუზარადი, ხმალი, ქაფა, საბარკული, მშვილდ-კაპარჭი, ლახტი, შუბი, უნაგირი, საცხენე ჯავშანი და სხვ.) აღწერდა, ხოლო შედგენილ ანგარიშს გოდორში ინახავდა. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, ამ სამუშაოს შესრულებაში მას ყოველ აღდგომას ეძლეოდა ცხენის ერთი უნაგირი და ერთი აღკაზმულობა. **ზ. მ.**-ები არაიშვიათად სამეფო სიგელებსაც წერდნენ.

წყაროები და ლიტერატურა: ხელმწიფის კარის გარიგება 1965: 92, 96; დასტურლამალი 1970: 90-91; ჯავახიშვილი 1982: 294.

ზარადხანის მნიგნობრები. XIII ს.

თევდორე ჩორაყისძე – **ზ. მ.** 1241/1242 ქისკ 1984: 119

დაბნედილი – **ზ. მ.** 1260/1267 წ. ქისკ 1984: 162.

მიქაელ ეზეკიელის-ძე – **ზ. მ.** 1261/1262 წ. ქისკ 1984: 168

გიორგი სოფრომისძე – **ზ. მ.** 1287/88 წ. ქისკ 1984: 182.

დ. კლდიაშვილი

ზარადხანისუხუცესი – სამეფო კარის საშუალო რგოლის მოხელე ერთიანობის ხანის ქართულ მონარქიაში. სამეფო სასახლის სამხედრო იარაღის საწყობის გამგე. **ზ.** შედიოდა ამირსპასალარის (იხ.) უწყებაში, უშუალოდ კი, ამირახორს (იხ.) ექვემდებარებოდა. **ზ.**-ის საგამგეო დაწესებულებას წარმოადგენდა ზარადხანა (არაბ.-სპარს. zarad-xāna

– სამხედრო იარაღის საჭურვლის საცავი, საწყობი), რომელშიც ინახებოდა სამხედრო საჭურველი: ჯავშანი, მუზარადი, ჯაჭვი, საბარკულები, ლახტი, შუბი, მშვილდ-კაპარჭი და სხვ. აქვე იყო ცხენის აღკაზმულობა: ლაგამ-აბჯარ-უნაგირი, დიდი დროშა, ალმები და სხვ. **ზ**-ს მეფის საბრძოლო იარაღის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული მრავალი მოხელე ემსახურებოდა: მისრატულთუხუცესი და მისრატულნი, ზარადხანის მოლარე და მეჯინიბე, ზარადხანის მუშრიბი. „ხელმწიფის კარის გარიგების“ თანახმად, ყოველი მათგანი გარკვეულ მონაწილეობას იღებდა მეფის ცხენის შეკაზმვაში: ზარადხანის მოლარე ცხენს აღვირს შეაბამდა, მისრატული ლაგამს ამოსდებდა („პირსა აუსხამს“) და ცალ ყურთან გაუტარებდა, ზარადხანის მეჯინიბე საყბურს გაუკეთებდა და ლაგამს მეორე ყურთან გაუტარებდა, სულ ბოლოს ზარადხანის მოლარეს უნდა დაედგა უნაგირი, მეჯინიბეს კი დაესრულებინა ცხენის შეკაზმვა და ისევ მისრატულთუხუცესისათვის მიეყვანა. საბოლოოდ **ზ**. მიგვირდა შეკაზმულ ცხენს მეფეს, ხოლო როცა მეფე ცხენზე შეჯდებოდა, **ზ**-ს მეფისათვის მათრახი უნდა მიეწოდებინა. **ზ**. ამირჩუხთან ერთად მეფის ამაღლაში მეფესა და ჯვარისმტვირთველს შორის დგებოდა. **ზ**-ის თანამდებობაზე მეფეები იწყებდნენ ფეოდალური წოდების საშუალო რანგის წარმომადგენლებს – ასეთთაგანი ჩანს ვინმე ვახტანგ თულაისძე („ჩამომავლად“ მეთემე აზნაური), რომელიც 1287/1288 წ-ის სიგელის მიხედვით, მეფის აზნაური გამხდარა და **ზ**-ობა მიუღია.

წყაროები და ლიტერატურა: ხელმწიფის კარის გარიგება 1965: 96; ქისკ 1984: 181; ანთელავა 1983: 65-66.

ვ. კეკელია

თავლიდარი – (არაბ-სპარს. *tahvildār* – მოლარე, ხაზინადარი.); იგივე გამგეთუხუცესი, მმართველობის ცენტრალური აპარატის მოხელე გვიანფეოდალურ საქართველოში. **თ**. სასახლეში ასრულებდა სამეურნეო ფუნქციებს. მიუხედავად იმისა, რომ მისი ფუნქციები ვიწრო სამეურნეო დანიშნულებით ამოიწურებოდა, **თ**-ის თანამდებობა აუცილებელი იყო მმართველობის ყველა სამეურნეო/საფინანსო განშტოებაში. „დასტურამალის“ მიხედვით, **თ**-ის თანამდებობა გათვალისწინებული იყო ქარხანაში, სალაროში, საღვინეში, სამზარეულოში, საჯინიბოში, საფარეოში, საშარბათოში და ა.შ.; სალაროს **თ**. მოლარეთუხუცესს (იხ.) ექვემდებარებოდა. მას ებარა სალაროში დაცული ნივთები, გასცემდა მათ და აწარმოებდა ანგარიშს. სალაროს **თ**-ს საბუთებში ზოგჯერ მეფის სასახლის ხარჯების **თ**-იც ეწოდება. როცა მეფეს სალაროდან რაიმე დასჭირდებოდა, **თ**. მოლარეთუხუცესის (იხ.) წინამძღოლობით მეფეს საჭირო ნივთს მიართმევდა. საჯინიბოს **თ**-ს ცხენების საქმე ეკითხებოდა. სალაროს **თ**-ს საკმაოდ დიდი შემოსავალი ჰქონდა. მისი წლიური სარგო ოთხი თუმანი იყო, მაგრამ, ამავე დროს, მას წილი ეკუთვნოდა სალაროში შესული საჩუქრებიდან. **თ**-ის თანამდებობაზე დანიშნული პირები სამეფო აზნაურულ წრეს მიეკუთვნებოდნენ. XVII-XVIII სს-დან

ცნობილია მხოლოდ რამდენიმე **თ**-ის სახელი: **თ.** და ქილიფდარი ყაიბულა; **თ.** მანუჩარი; **თ.** ქაიხოსრო ყორღანაშვილი.

წყაროები და ლიტერატურა: დასტურლამალი 1970: 654; სურგულაძე 1952: 193-194.

ვ. კეკელია

თუშმალი – (სპარს. *tušmāl* – „მეკარე“) სასახლის სამზარეულოს მოხელე, ქარნის ნაზირის ქვემდებარე. სულხან-საბას განმარტებით, მზარეულთა უზუცესი. „დასტურლამალის“ მიხედვით, სასახლეში ოთხი **თ.** იყო. **თ**-ის დაქვემდებარებაში იყვნენ მზარეულები, მეხორცე, აბდარი (აბდარი – მეფის სასმელი წყლის მცველი), შემის მზიდავი, მეთეფუე. **თ**-ის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენდა სასახლის პროდუქტებით მომარაგება, დანახარჯის ზუსტი ანგარიში და ზედამხედველობა მეფლისის დროს, სტუმრებისათვის საჭმლის მირთმევა. სამეფო კარის **თ**-ები იყვნენ სამეფო აზნაურული სახლების წარმომადგენლები, რომლებიც ამ თანამდებობას მემკვიდრეობით ფლობდნენ. მაგ., XVII ს-ის 50-60-იან წწ-ში როსტომისა და ვახტანგ V-ის (1658-1675) კარზე **თ**-ობა მესტუმრეობასთან ერთად ჰქონია დონდარა ეჯუბაშვილს. მის შემდგომ **თ**-ის თანამდებობაზე ჩანან დონდარას ძმა ზურაბი და ძმისწულები: ზაალ და შავერდა.

წყაროები და ლიტერატურა: დასტურლამალი 1965: 252; პალ 1991: 595-596; პალ 1993: 164-165; ივ.სურგულაძე 1952: 196; ქსოის 1984: 32.

ბ. ბაინდურაშვილი

ლაშქრნავისი – (სპარს. *laškar navis* – ჯარის „მწერალი“) სახელმწიფო მოხელე ირანში სეფიანების დროიდან. თანამდებობა დაფუძნებული იყო შუა საუკუნეების ისლამური მოხელის „არეზის“ უფლება-მოვალეობებზე, რომელიც გულისხმობდა სამხედრო ძალების ადმინისტრირებას – მათი ჯამაგირის, დაქირავების, სწავლებისა და ინსპექციის საკითხების კონტროლს. ყაჯართა დინასტიის მმართველობის დროს, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლება დაიყო ადმინისტრაციულ და სამხედრო უწყებებად, არმიის მინისტრის დაქვემდებარებაში მყოფი **ლ**-ის პასუხისმგებლობა მოიცავდა ჯარის დაქირავების, მომზადების და ლოჯისტიკის ფუნქციებს.

საქართველოში **ლ**-ის თანამდებობა ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოში ერეკლე II-ის მეფობის (1762-1798) მიწურულს ჩნდება. მმართველობის აპარატის გაუმჯობესების მიზნით ერეკლემ მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა სამოხელეო წყობაში, მათ შორის სამხედრო საქმის ორგანიზების სფეროში. მის მიერ გატარებული რეფორმის შედეგად შეიცვალა ჯარის სტრუქტურა და შეიარაღება, გარდა ჩვეულებრივი მოლაშქრეობისა, შეიქმნა დაქირავებული ჯარი, გაჩნდა ახალი

ტაქტიკური შენაერთები (ნოქარი, თოფჩი), გაიზარდა სამხედრო დანაყოფებისა და, შესაბამისად, სამხედრო მეთაურების რიცხვი. ყოველივე ამან მოითხოვა სამხედრო კანცელარიის ჩამოყალიბება, სადაც ხდებოდა საჯარისო ნაწილებისა და სანვრთნელი ბაზების აღნუსხვა, სამხედრო მზადების სრული ციკლის ორგანიზება და კოორდინირებული მართვა, სამხედრო მოსამსახურეთათვის ჯამაგირ-ულუფების განერა. ამ სამუშაოთა მომეტებულ ნაწილს ასრულებდა **ლ.**, სამხედრო კანცელარიის მოხელე. ქართლსა და კახეთში ექვსი **ლ.** ყოფილა. მათი უფლება-მოვალეობები, საქმიანობის ხასიათი და ანაზღაურების წესები დეტალურადაა განმარტებული ქართლ-კახეთის ყოფილ სამეფო მოხელეთა მოხსენებებში მთავარმართველ პავლე ციციანოვისადმი. **ლ.**-ს უნდა აღენუსხა სამხედრო ნაწილების მიმაგრების ადგილები და მათზე განეული ხარჯები, შესრულებული სამუშაოს მიხედვით განესაზღვრა სამხედრო მეთაურების (მინბაში (იხ.), უზბაში (იხ.), თოფჩიბაში, დაჰბაში და სხვ.) წლიური ჯამაგირი და ულუფა. **ლ.**-ს განსაზღვრული ჰქონდა ჯამაგირი, ულუფა და სარგო. ჯამაგირი, არსებული მასალების მიხედვით, მერყეობდა წელიწადში თორმეტიდან თვრამეტე თუმნამდე. ულუფას შეადგენდა პური, ქერი, ღვინო, ხორცი და სამარხო – სულ ოცდასამი თუმნისა. სხვა მოხელეების ჯამაგირიდან სარგოდ ეკუთვნოდა თუმანზე თითო აბაზი. **ლ.**-ის თანამდებობაზე განწესებული ზოგიერთი პირი ითავსებდა სხვა თანამდებობებსაც, მაგალითად, გიორგი XII-ის ძე დავით ბატონიშვილი სომხითის მელიქის შვილს, იოსებს უბოძებს **ლ.**-ის სახელოს და სალაროს მუშრობობას. ომან ხერხეულიძე იყო **ლ.** და ერეკლეს მდივანი. თათრების **ლ.** აფრიამ ენიკოლოფოვი ამავე დროს იყო არახლოს ელის მოურავი. იოანე ქობულოვი/ქობულაშვილი ერთდროულად რამდენიმე სახელოს ფლობდა – არტილერიის პოლკოვნიკის, **ლ.** -ის, მდივნისა და მდივანბეგისას.

წყაროები და ლიტერატურა: Online Encyclopaedia Iranica; სეა: ფ. 1448: 8998, 8999, 9097, 9098; ფ.1449-475; მესხია 1948: 019, 43; სურგულაძე 1652: 301; სინ 1973: 530.

ქართლ-კახეთის სამეფოს ლაშქარნავისები:

მირზა მაჰმუდ – **ლ.** 1751 წ. (დუნდუა 1984: 55, 58).

ქაიხოსრო სუმბათაშვილი – **ლ.** XVIII ს-ის მინ. (მესხია 1948: 027).

მელიქიშვილი იოსებ – **ლ.** XVIII ს-ის მინ. (მესხია 1948: 027).

ქობულოვი/ქობულაშვილი იოანე – **ლ.** XVIII ს-ის მინ. (მესხია 1948: 027).

ქობულაშვილი სოლომონ – **ლ.** XVIII ს-ის მინ. (მესხია 1948: 027).

მირზა აფრიამ ენიკოლოფოვი – თათრების **ლ.** XVIII ს-ის მინ. (მესხია 1948: 027).

თუმანიშვილი მანუჩარ – **ლ.** XVIII ს-ის მინ. (მესხია 1948: 027).

ხერხეულიძე ომან – ლ. XVIII ს-ის მიწ. (მესხია 1948: 027).

გურგენიძე სვიმონ – ლ. XVIII ს-ის მიწ. (მესხია 1948: 027).

ვაჩნაძე ასლან – ლ. XVIII ს-ის მიწ. (მესხია 1948: 027).

თ. აბულაძე



ბეჭდის ლეგენდა: ლაშქარნივისი ასლან

ხეც, Hd-10200, 1784 წ. მამულზე დავის მორიგების წიგნი იოანე აბაშიძისა და ენდრონიკაშვილებისა (ზაალ და ერასტის შვილებისა).

მამასახლისი – მმართველობის ადგილობრივი აპარატის მოხელე ქალაქსა და სოფლებში. მ-ის ინსტიტუტს არსებობის დიდი ხნის ისტორია აქვს. გვაროვნულ საზოგადოებაში მ. სახლის უხუცეს წევრს, სახლის უფროსს ეწოდებოდა, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა სახლის (თემის, გვარის) მმართველობა. მაგ., ანტიკურ ქართლში (მეფობის შემოდებამდე) მცხეთის მ-ს ეპყრა ქვეყნის (ქართლოსიანთა) უზენაესი გამგებლობა. ამავე დროს ამ ტერმინით აღინიშნებოდნენ დაბებისა და ცალკეული თემების გამგებლები. შუა საუკუნეებში უკვე შეცვლილ სოციალურ გარემოში მ-მა ნაწილობრივ მაინც შეინარჩუნა ძველი სოციალური შინაარსი (მაგ., მცხეთის მ. „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“ „სამამასახლისო სამსახურებელი“ ბაგრატ IV-ის სიგელში), მაგრამ, ამასთანავე, შეიძინა ახალი მნიშვნელობები (მაგ., მონასტრის ძმობის მეთაური). სამოხელეო სისტემაში მან მყარად დაიმკვიდრა ადგილი, როგორც ადგილობრივი მმართველობის დაბალი რგოლის აღმნიშვნელმა ტერმინმა. მ-ის ფუნქციებში შედიოდა სამეფო ბრძანება-განკარგულებების ადგილამდე მიტანა, მონაწილეობის მიღება წვრილ-წვრილი სამართალდარღვევების გარჩევაში, დახმარების განევა გადასახადების განერა-აკრეფაში. ქალაქისა და საკუთარი დომენის მ-ებს, ჩვეულებრივ, მეფე ნიშნავდა. ქალაქში მისი მოვალეობები დაკავშირებული იყო ბაზართან და სავაჭრო საქმიანობის ზედამხედველობასთან, რაშიც იგი დახმარებას უწევდა მოურავსა (იხ.) და ნაცვალს. ამ მხრივ მ-ის ფუნქციები, ძირითადად, ემთხვეოდა მელიქისას (იხ.), თუმცა, მ-ის სახელო უფრო ძველი იყო და ქართული სინამდვილიდან ამოდიოდა. ქალაქის მ-ები ვაჭარ-ხელოსანთა წრიდან ინიშნებოდნენ, ხოლო სოფლად – ძირითადად გლეხობიდან, თუმცა, გვხვდება თითო-ოროლა აზნაურული წოდებიდანაც (მაგ., 1680-იან წწ-ებში ქვემო ბოლნისის მ. სალმანანაშვილი პაპუა მეფის აზნაურიშვილად იწოდება). მ-ები თავისუფლდებოდნენ

გადასახადებისაგან. სოფლის მ-ის ფუნქციაში შედიოდა გლეხებთან სხვა მოხელეების დამოკიდებულების კონტროლი. თუ მოურავი ან სხვა მოხელე გლეხების მიმართ უკანონობას ჩაიდენდა, მ. ვალდებული იყო აღნიშნული მეფისათვის ეცნობებინა. მ. მონაწილეობას იღებდა სოფლის მართვა-გამგეობაში, მასვე ადგილზე ჰქონდა მომრიგებელ-მოსამართლის ფუნქცია, თუმცა სისხლის სამართლის საქმეები არ ეხებოდა. მ-ს ეკუთვნოდა სარგო გლეხების გაყრის დროს, საჩექმე (გასათხოვარი ქალისათვის დაწესებული გადასახადი გათხოვების შემთხვევაში) და საქვრივო (ქვრივის გათხოვებისათვის დაწესებული გადასახადი) გადასახადებიდან. გლეხის მიერ მიწის გაყიდვისას დაწესებული გადასახდელიც (თუმანზე ერი შაური) მ-სს გადაეცემოდა.

წყაროები და ლიტერატურა: მეფეთა ცხოვრება 1955: 11, 15, 16, 20, 21; ქისკ 1984: 33; პალ 2007: 129-130; ჯავახიშვილი 1982: 157; სურგულაძე 1952: 409-411; შანიძე 1971: 106, 110; ქსე (6), 1983, 394.

ქალაქის (თბილისის) მამასახლისები. XVII-XVIII სს.

ამირა – ქალაქის მ. 1620-იანი წწ.

ასლამაზა – ქალაქის მელიქი და მ. 1634-1673 წწ.

ხოჯა ბეჰზუდა – ზარაფთუხუცესი, ქალაქის მ. 1646-1661 წწ., ქალაქის მელიქი 1661 წ.

ანტონა – ქალაქის მელიქი და მ. 1667 წ.

გიორგი – ქალაქის მ. 1672-1696 წწ.

ზალია – ქალაქის მ. 1700 წ.

ფარსადან – ქალაქის მ. 1711 წ.

აშხარბეგ – ქალაქის მ. 1712 წ. მელიქი 1712-1735 წწ..

ზურაბ, მელიქი გიორგის ძე – ქალაქის მ. 1713-1728 წწ.

წყაროები: სეა, 1449-2649; 1450-8/150; ხეც, Ad-66; Qd: 503, 9814-ბ; პალ 1991: 541-542; პალ 1993: 203; პალ 2004: 45; პალ 2007: 21; მსეი 1953: 16.

გორის მამასახლისები. XVII-XVIII სს.

დავით – გორის მ. 1636 წ.

ალიბეგ – გორის მ. 1636-1640-იანი წწ. დასასრ. გორის მელიქი 1646 წ.

დავით – გორის მ. დაახლ. 1665-1688 წწ.

გოდერძი – გორის მ. 1669 წ.

ზალინა ალიბეგისშვილი – გორის მ. 1672 წ.

ზალია ანდრონიკასშვილი – გორის მ. 1675 წ.

დავით ანდრონიკასშვილი – გორის მ. 1677-1681 წწ.

გოზალა – ნაზირის მ., გორის მ. 1678 წ.

ზურაბა ხითარაშვილი – გორის მ. 1689-1699 წწ.

დავით – გორის მ. XVII ს. ბოლო მეოთხ.

ზალია – გორის მ. 1732 წ.

ზურაბ ამირალაშვილი – გორის მ. 1738 წ.

წყაროები: პალ 1991: 699; პალ 1993: 15, 21, 255; პალ 2015: 390-391; სეა, ფ.1450, დ.38, ს.246; სეა, 1448-273; სეა, ფ. 1449, ს. 954; ხეც, Hd: 1567, 6441, 14691, Hd-10203; ხეც, Ad- 621; ხეც, Sd-33; ხეც, Qd-413.

ვ. კეკელია



ბეჭდის ლეგენდა: მამასახლისი გიორგი

ხეც, Sd-34, 1682 წ. ნასყიდას, ბაღდასარას და ჯანუას გაყრის წიგნი.

მანდატურთუხუცესი – ერთ-ერთი მაღალი თანამდებობა საქართველოს სამეფო კარზე – სასახლეში ვაზირობისა და დარბაზობის ორგანიზატორი (ობერცერემონმაისტერი), სახელმწიფო ფოსტისა და მიმოსვლის უფროსი; „საპოლიციო-ზედამხედველობითი“ სამსახურის ხელმძღვანელი, სასახლისა და დომენის სამეურნეო ზედამხედველი. მ-ს ექვემდებარებოდა ცენტრალური აპარატის ორი დიდი უწყება – სააჯო კარი და საგანმგეო, რომელთა საქმიანობას მ. უძღვებოდა ამირეჯიბისა (იხ.) და განმგეთუხუცესის (ეზოსმოძღვრის, (იხ.) მეშვეობით.

მ-ის სამოხელეო ნიშანი იყო სამანდატურო ოქროს არგანი და „სკარამანგი“ – ოქრომკედით ნაკერი ქსოვილისაგან დამზადებული ძვირფასი სამოსი. ტერმინი „მანდატური“ (ლათ. mandator – დავალების, ბრძანების გამცემი), წყაროებში უკვე ბაგრატ IV-ისა და გიორგი II-ის დროიდან გვხვდება. ეპიგრაფიკული მასალის საფუძველზე გამოთქმულია ვარაუდი, რომ მ-ის თანამდებობა შემოღებულ იქნა XII ს-ის დამდეგს დავით IV აღმაშენებლის დროს (შ. მესხია). „ხელმწიფის კარის გარიგების“ თანახმად, მ-ს ამირსპასალარის (იხ.) სწორი პატივი ჰქონდა, თუმცა, XII-XIII სს-ის ქართულ-სომხურ ნარატიულ და ეპიგრაფიკულ წყაროებში მ. ყოველთვის ამირსპასალარის წინ მოიხსენიება (ეს ტრა-

დიცია მკაფიოდ ჩანს ისეთ შემთხვევებში, როცა ორივე სამოხელეო წოდება ერთ პირს, კერძოდ, „შანშეთ სახლის“ წარმომადგენლებს მიეკუთვნებოდა). მ-ის და ამირსპასალარის თანასწორ ღირსებას ხაზს უსვამს გასამრჯელოს („ქრთამის“) თანაბარი ოდენობაც, რომელიც მათ ერგებოდათ გაცემულ სიგელებში გადახდილი საფასურიდან. სავაზიროს ჩამოყალიბების შემდგომ მ., ამირსპასალარი და ათაბაგი (იხ.) შედიოდნენ „სამთა ვაზირთა“ და „საპატიო დარბაისელთა“ შემადგენლობაში. სასახლეში გამართული საზეიმო დარბაზობებისა და პურობის დროს ამ სამეულს თანაბარი პატივით ემსახურებდნენ ეჯიბები და განმგეთუხუცესი. თუ პურობა ღამით დასრულდებოდა, მას, როგორც ერთ-ერთს „სამთა ვაზირთაგან“, გზაზე მემამუხლე მიაცილებდა.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ თანახმად, მ-ის განკარგულებების უშუალო შემსრულებელი იყვნენ: მანდატურები (სამასი სახლი), რომლებიც ადგილებზე აღასრულებდნენ მ-ის ბრძანებებს; ამირეჯიბი (იხ.) მისი მოხელე ეჯიბებითურთ, რომელსაც ჰქონდა ვალდებულება ნებისმიერ დროსა და ადგილას მოეხსენებინა მეფისათვის „სააჯო კარში“ შემოსული „საურავების“ შესახებ; გამგეთუხუცესი (იხ.) და მისი მოხელეები: მესტუმრე (იხ.), მერიგე, მუქიფი (იხ.), მეჯამეთუხუცესი (იხ.), რომელთაც უნდა უზრუნველყოთ სტუმრების მიღება-გამასპინძლება, ძღვენის ჩაბარება-გაცემა, სასახლის სამზარეულოს პროდუქტებით მომარაგება და მისი უსაფრთხოების დაცვა. მ-ის უწყების განსაგებელი იყო სამეფო დომენის ზვრებიც. რთველის („ღვინისმკრეფელობის“) სამუშაოების ჩასატარებლად მ-ის ბრძანების შესაბამისად, დადგენილი რიგითობით მანდატურებს უნდა გამოეყვანათ საჭირო მუშახელი („ქვეყანა“) და მეღვინეებთან ერთად მათთვის ზედამხედველობა გაენიათ.

XII-XIII სს-ში მ-ის თანამდებობა ეპყრათ იმდროინდელი საქართველოს უძლიერესი საგვარეულოების – ვარდანისძეების, ორბელების, მხარგრძელების, დადიანების და სხვ. წამომადგენლებს.

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 33; ხელმწიფის კარის გარიგება 1965: 82-3, 85, 88, 90, 91-93, 96; ჯავახიშვილი 1982: 157-160; სურგულაძე 1970: 180; მესხია 1979: 20-28; ანთელავა 1983: 122, 123, 126; ბერაძე 1999: 138.

მანდატურთუხუცესები. XII-XV ს-ის პირველი ნახევარი

ივანე (III) ვარდანისძე – სვანთა ერისთავი და მ., მეჭურჭლეთუხუცესი, XI-XII სს-ის მიჯნა. მ-ად მოიხსენიება ჯუმათის მთვარანგელოზის ხატის წარწერაში. შ. მესხიას დაკვირვებით, ივანე ს. ე. იმავდროულად იყო დავით აღმაშენებლის პირველი მანდატურთუხუცესი და ამირახორი (სრულად იხ. სვანთა ერისთავი ივანე (III) ვარდანისძე).

წყაროები და ლიტერატურა: ბაქრაძე 1987: 109, 261, 263, 264; თაყაიშვილი 1937: 22-25; Чубинашвили 1959: 25, 415; ახალაშვილი 1987: 34; მესხია 1979: 122-123, 126.

ივანე (I) ორბელი – მ. და ამირსპასალარი გარდ. 1128 წ. დავით აღმაშენებლის თანამედროვე, მ. და ამირსპასალარი. ისტორიკოსი სტეფანოს ორბელიანი მას „დიდ სპასალარს“ უწოდებს“. ჰნევეანქის სომხური მონასტრის მთავარი ტაძრის 1154/6 წ-ის დაზიანებულ სააღმშენებლო წარწერაში ივანე [მანდატურთუხუცესად] და ამირსპასალარად მოიხსენიება. გარდაიცვალა 1128 წ. (სრულად იხ. ამირსპასალარი ივანე (I) ორბელი).

წყაროები და ლიტერატურა: სტეფანოს ორბელიანი 1978: 38-39; მელიქსეთ-ბეგი 1964: 317-319. მურადიანი 1977: 137-146; სილოგავა 1994: 44-45.

სუმბატ (I) ორბელი (სუმბატ სვიმონ-ქმნილი) – მ. და ამირსპასალარი 1128-1155 წწ. ერისთავთ-ერისთავ ივანე (I) ორბელის ძე; დემეტრე I-ის თანამედროვე ამირსპასალარი, მ. და ერისთავთ-ერისთავი. ამ სამი თანამდებობით იხსენიება იგი სანაინის სომხურ და ჰნევეანქისა და ბეთანიის ქართულ წარწერებში. გამოსახულია ბეთანიის საგვარეულო მონასტერში ბერმონაზვნის ჩოხით (სრულად იხ. ამირსპასალარი სუმბატ (I) ორბელი).

წყაროები და ლიტერატურა: მელიქსეთ-ბეგი 1964: 317-319. მურადიანი 1977: 137-146; მესხია 1979: 13-15. სილოგავა 1994: 44-45.

ივანე (III) ორბელი – ერისთავთ-ერისთავი, მ. და ამირსპასალარი გიორგი III-ის მეფედ კურთხევის შემდგომ 1177/1778 წ-მდე. 1177/1178 წ-ის ცნობილი ამბოხის მეთაური. სამივე თანამდებობით იწოდება იგი ქართულ და სომხურ ეპიგრაფიკულ ძეგლებში, ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში (სრულად იხ. ამირსპასალარი ივანე (III) ორბელი).


წყაროები და ლიტერატურა: სტეფანოს ორბელიანი 1978: 41-42; აბდლაძე 2005: 33-34, 36-39, 90-104; სილოგავა 1994: 48.

ყუბასარი – მ. და ამირსპასალარი 1178/1179-1190/1191 წწ. წარმომავლობით ყივჩაყი („ნაყივჩაყარი“), ინტეგრირებული ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში. 1177/1178 წ-ის ორბელთა ამბოხის დამარცხების შემდგომ გიორგი III-მ ერთგულების საფასურად მას უწყალობა მ-ის და ამირსპასალარის სახელოები. თამარის დროს იგი უკვე დასწეული ყოფილა. კარის დიდებულების დაყინებული მოთხოვნის მიუხედავად, თამარმა მას პატივი შეუწარჩუნა, მხოლოდ სამოხელეო თანამდებობები და ამ თანამდებობასთან დაკავშირებული მიწები ჩამოართვა (სრულად იხ. ამირსპასალარი ყუბასარი).

წყაროები: სტეფანოს ორბელიანი 1978: 54. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 25, 30.

ჭიაბერი – მ. და ამირსპასალარი 1190/1191-1206 წწ. გიორგი III-ის „გაზრდილი“ და მისი მეფინიბეთუხუცესი. უცნობია ჭიაბერის საგვარეულო კუთვნილება. ს. კაკაბაძე მას თორელთა საგვარეულოს წევრად მიიჩნევს, პ. ინგოროყვა – ჰერ დიდებულად. თამარმა თავისი მეფობის პირველ წელს ჭიაბერს **მ**-ობა უბოძა და გადასცა სამოხელეო ნიშნები: ოქროს არგანი და „სკარამანგი“. ჭიაბერს მეფისაგან ნაწყალობევი ჰქონდა ციხექალაქი ჟინვანი. მისი სახელით გაცემული ჩვენამდე მოღწეული საბუთის მონაბობით, ამ ქალაქის მკვიდრ ორ ვაჭარს სწირავს ჭიაბერი შიომღვიმის მონასტერს. საბუთის დასაწყისში ჭიაბერი „მანდატურთუხუცესად და ამირსპასალარად“ იხსენიება, ხოლო დამტკიცებებში – მხოლოდ მანდატურთუხუცესად. ვარაუდობენ, რომ გამრეკელ თორელის გარდაცვალების შემდეგ (1190/1191) ჭიაბერი მცირე ხნით ამირსპასალარობასაც ფლობდა. თამარის ისტორიკოსი ჭიაბერს ყველგან **მ**-ად მოიხსენიებს, რაც მკვლევართ საფუძველს აძლევს დაასკვნან, რომ თამარის მეფობის დასაწყის წლებში ეს ორი თანამდებობა გაყოფილი იყო. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, საომარი მოქმედებებისას **მ**-ები სამეფო კარზე უნდა დარჩენილიყვნენ, თუმცა, საგანგებო შემთხვევებში ეს წესი ირღვეოდა. ჭიაბერი მონაწილეობდა შამქორისა და ბასიანის ბრძოლებში. ბასიანის შემდეგ მისი სახელი წყაროებში აღარ იხსენიება.

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 19, 25, 33;55; ქისკ (I) 1984: 95-98; ჯავახიშვილი 1982: 297; მესხია 1979: 105.



ქ. ესე დანერილი მე, ჭიაბერსა, მეფეთა-მეფისა თამარისა მინასა, მანდატურთუხუცესსა, თამარისა დღეგრძელობისათუის შემინირავს იგი კაცი, და დანერილი დამიმტკიცებია ჩემად სალოცავად. ვინ შეუცვალოს, შემცაიცვალეღებს ქრისტეს სჯულისაგან!

ხეც, Ad-2, [1189] წ. შენირულების დანერილი ჭიაბერისა შიომღვიმის მონასტრისადმი.

ზაქარია (II) მხარგძელი – სარგისის ძე, „დიდი იშხანი“, ამირსპასალარი 1190/1191-1207/1210/1212 წწ., მ. 1206 წ-დან გარდაცვალებამდე. თამარის დროინდელი საქართველოს სამხედრო მოღვაწე, ლორესა და რუსთავის „პატრონი“, 1199 წ-დან ანისის მფლობელი, რის გამოც სომეხ მეფეთა ადგილზე „მჯდომად“ და „შაჰინშაჰის“ ტიტულით იხსენიება. ზაქარია თავისი ძმის, მსახურთუხუცეს ივანესაგან განსხვავებით, სიცოცხლის ბოლომდე სომხური (ანტიქალკედონური) სარწმუნოების ერთგული დარჩა (სრულად იხ. ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი).

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 55; ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 123; მესხია 1979: 264, 300.


შალვა თორელ-ახალციხელი – მ. 1212-1222 წწ. და მეჭურჭლეთუხუცესი. ჯავახეთის მონაპირე ერისთვი; თამარის ეპოქის გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე. თამარის მეფობაში ფლობდა მეჭურჭლეთუხუცესის სახელოს, ხოლო მოგვიანებით, შანშე ზაქარიას ძე მხარგრძელის მცირეწლოვანების პერიოდში, ლაშა გიორგისგან მ-ის თანამდებობა უნდა მიეღო. იგი ამ სახელოების მფლობელად იხსენიება განძანის წარწერებში და ბასიანის ომის ეპიზოდში. ქართულ ისტორიოგრაფიაში მისი მ-ობა განსაზღვრულია: 1206-1208 წწ. (ლ. მუსხელიშვილი), 1201/07-1226 წწ. (ნ. შოშიაშვილი), 1202/03-1215 წწ. (გ. ოთხმეზური), 1205-1210 წწ. (პ. ინგოროყვა), 1212-1225 წწ. (ს. კაკაბაძე), 1212-1222 წწ. (დ. კლდიაშვილი). თამარის მეორე ისტორიკოსის თანახმად, იგი სარგის თმოგველთან ჯავახეთის საზღვრებს იცავდა (მონაპირეობდა). 1225 წ. ჯალალედინის წინააღმდეგ გარნისის ბრძოლაში ივანე ახალციხელი მოკლეს, ხოლო შალვა ტყვედ ჩავარდა და ერთი წლის შემდეგ ისიც მოკლულ იქნა. ქართველების დამარცხების მიზეზად მემათიანე ასახელებს ივანე ათაბაგის შურს ახალციხელებისადმი. ამ „შურის“ მიზეზი კი, შესაძლოა, ყოფილიყო გიორგი-ლაშას მიერ მხარგრძელთა კუთვნილი მ-ის სახელოს გადაცემა შალვა ახალციხელისადმი (იხ. მეჭურჭლეთუხუცესი შალვა თორელ-ახალციხელი).

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 95; ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 129; ჟამთააღმწერელი 1959: 170-171; ცისკარიშვილი 1959: 97-101; შოშიაშვილი 1966: 32; კლდიაშვილი 1981: 70-78.

შანშე/შაჰანშა (I) მხარგძელი – ზაქარია მხარგრძელის ძე, მ. 1223-1262 წწ., ამირსპასალარი 1240-იანი წწ. ისტორიკოს ვარდანის ცნობით, ზაქარიას მისთვის საგანგებოდ დაურქმევია შაჰანშაჰი (შანშე), რითაც სურდა ხაზი გაესვა მის მემკვიდრეობით უფლებაზე ანისის მიმართ. შანშე მამის გარდაცვალების შემდეგ მცირეწლოვანი დარჩენილა, რის გამოც მასზე მეურვეობა უკისრია ათაბაგ ივანე მხარგრძელს.

მ-ად და ამირსპასალარად იწოდება შანშე ანისის 1215 წ-ის ქართულ წარწერაში, ხოლო უფრო მოგვიანო წყაროებში მხოლოდ **მ**-ად, რაც, შ. მესხიას შეხედულებით, ადასტურებს, რომ მხარგრძელთა საგვარეულოში ეს ორი თანამდებობა ამ დროს გაყოფილი იყო. მართლაც, 1223 წ-ის შირაკავანის სომხურ წარწერაში **მ**. შანშე ათაბაგ ივანესთან და ამირსპასალარ ავაგთან ერთადაა მოხსენიებული. ასევე **მ**-ად იხსენიება იგი 1241/1242 წ-ის მიქაელ ქართლის კათალიკოსისა და არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის საბუთების მტკიცებულებით ნაწილებში. **მ**. შანშე ამ საბუთებს ამტკიცებს ათაბაგ-ამირსპასალარ ავაგის შემდეგ; **მ**-ად იხსენიება იგი აგრეთვე ქობაირის მხარგრძელთა საგვარეულო მონასტრის სასაფლაოს ქართულ ეპიტაფიებში. შანშეს ჰყავდა შვილები: ზაქარია, ავაგ-სარგისი, არტაშირი, ივანე, გიორგი (ქობაირის წარწერა). ივანე ათაბაგის მიერ მონღოლებთან ზავის დადების შემდეგ შანშე **მ**., ისევე, როგორც საქართველოს სხვა დიდებულები, დაეზავა მონღოლებს. რუსუდან მეფემ მონღოლებთან დაზავების მიზნით ავაგ ათაბაგთან, ვარამ გაგელთან და შოთა კუპრთან ერთად შანშე **მ**-ც გაგზავნა მოსალაპარაკებლად. უმეფობის პერიოდში მონღოლებმა იგი დუმნის თავად დააყენეს. მის საგამგებლოში შედიოდა საკუთარი და ავაგის მამულები. შანშეს **მ**-ობა უფრო ნომინალური იყო, ვიდრე რეალური, რადგან მას ნაკლებად ემორჩილებოდნენ მონღოლთაგან გადიდკაცებული პირები (მაგ., ევარსლან ბაკურციხელი). შემდგომში შანშე **მ**-ს ვხედავთ დავით ულუს მომხრეთა ბანაკში. მისი სამფლობელოები მდებარეობდა ჩრდილო სომხეთში, რომლის საზღვრებიც შანშეს არაქსის იქით, სურმანამდე გადაუწვია. შანშეს რეზიდენციები ჰქონდა ანისსა და ლორეში. მისი სახლის საგვარეულო საკუთრება იყო სანაინისა და ქობაირის მონასტრები. ამათგან ქობაირი, კირაკოს განძაკელის ცნობით, სომეხთაგან უყიდა და ქალკედონურად უქცევია მის მეუღლეს, სამცხის წარჩინებულ ლაკლაკთა სახლის ასულ ხუაშაქს. მონღოლთაგან შანშეს უფროსი ძის, ამირსპასალარ ზაქარიას სიკვდილით დასჯის (1261/62) შემდეგ, იგიც მოკლე ხანში გარდაცვლილა. შანშე დაკრძალულია ქობაირის საგვარეულო მონასტერში, სადაც შემონახულია მისი საფლავის ქართული ეპიტაფია. შანშეს გარდაცვალების შემდეგ **მ**-ისა და ამირსპასალარის სახელო გადავიდა მისი მეორე ვაჟის, ავაგ-სარგისის ხელში.

წყაროები და ლიტერატურა: ჟამთააღმწერელი 1959: 169, 180, 187, 190-192, 208, 212-213; ქისკ 1984: 116, 120. მესხია 1979: 45-46, 272-273, 316; ჯოჯუა, გაგომიძე: 2012/2013: 265-269, 270-272.



ქ. ამა ღ(მრ)თისა სწორთაგან[ნ] დამტკიცებულისა სიგლისა მე,
შაჰანშა მან[დატურთუხუცესიცა დამამტკი|ცებელი ვარ.

სეა ფ. 1448-9253, [1241] წ. დაწერილი ქართლის კათალიკოს მიქაელისა
ვანე გუარამისძისადმი.

ავაგ-სარგის მხარგძელი – შანშე (I) მხარგძელის ძე, **მ.** და ამირსპასალარი. 1262-1268 წწ. იგი, როგორც **მ.**, ამტკიცებს კახა თორელის „დანერილს“ რკონის მონასტრისადმი.

წყარო და ლიტერატურა: ქისკ 1984: 116; მესხია 1979: 316.

ივანე (II) მხარგძელი – შანშე მხარგძელის ძე, **მ.** 1270-იანი წლებიდან. ივანე **მ**-ად იწოდება ქობაირის მონასტრის საფლავის ქართულ ეპიტაფიებში. მისი ასული თამარი ყოფილა სამხრეთ საქართველოს წარჩინებულის, სულა გურკნელის (სავარაუდოდ, ამირეჯიბ ბემქენ მახუნჯაგის ძის, გურკელელის შთამომავალი) თანამეცხედრე. ულუ დავითის აჯანყების (1260) ეპიზოდის გადმოცემისას ჟამთააღმწერელი ივანეს გრიგოლ სურამელთან და კახა თორელთან ერთად ასახელებს, მაგრამ **მ**-ად მოიხსენიებს 1260-იანი წლების ბოლოს. 1271-1272 წწ-ში იგი მონღოლებმა დემეტრე II-ს თან გააყოლეს ურდოში, 1284 წ-ის ახლო ხანებში კი თან ახლდა დემეტრეს არღუნ ყაენის წინააღმდეგ ლაშქრობაში.

წყაროები და ლიტერატურა: ჟამთააღმწერელი 1959: 259, 269; 310, 313, 31; ჯოჯუა, გაგოშიძე 2012/2013: 374-375.

ბექა (I) ჯაყელი – სამცხის ათაბაგ სარგის ჯაყელის ძე; პირველი **მ.** ჯაყელთა საგვარეულოდან 1285-1308 წწ-ში. ბექა **მ**-ად იხსენიება ჟამთააღმწერელთან აზაგ მოსეს მეთაურობით თურქების შემოსევის ეპიზოდში 1302 წ-ის სიახლოვეს; ანჩის კარედი ხატის წარწერაში და აღბუღას სამართლის წიგნის წინასიტყვაობაში. ბექასათვის **მ**-ის სახელოს ბოძება, სავარაუდოდ, განაპირობა ჯაყელთა ნათესაურმა კავშირმა საქართველოს სამეფო სახლთან – ბექას ასული ნათელი იყო დიმიტრი II-ის თანამეცხედრე, ხოლო დიმიტრის სიკვდილით დასჯის შემდეგ ბექამ თავის თავზე აიღო საკუთარი შვილიშვილის, მომავალი გიორგი V ბრწყინვალის აღზრდა. შემდგომში ბექამ დიდი წვლილი შეიტანა გიორგის გამეფებაში. XIII ს-ის მიწურულს ბექა ნათესაურ კავშირს ამყარებს კახა თორელის სახლთან, რის საფუძველზეც შეუდგენიათ ე.წ. „კეთილმოყვრობის დანერილი“. იგი, როგორც საბუთის ერთ-ერთი მხარე, ამტკიცებს დანერილს. ჟამთააღმწერელის თანახმად, ბექა განსაკუთრებით განდიდდა ვახტანგ III დიმიტრის ძის (1302-1308) მეფობის დროს. ბექა გამოსახულია ზარზმის ტაძარში თანმხლები წარწერით: „მანდატურთუხუცესი ბექა“.

წყაროები და ლიტერატურა: ჟამთააღმწერელი 1959: 281, 313-315; ქისკ 1984: 192-193; საყვარელიძე 1976: 80; სამართალი ბექასი და აღბუღასი 1963: 425; ბერიძე 1954: 125; კლდიაშვილი 1981: 70-78.

სარგის (II) ჯაყელი – ბექა **მ**-ის უფროსი ძე; სამცხის სპასალარი და **მ.** 1308-1334 წწ. **მ**-ის თანამდებობით იხსენიება იგი ანჩის კარედი ხატის წარწერაში. სარგისი გამოსახულია ზარზმის ტაძარში თანმხლები წარწერით: „სამცხის სპასალარი სარგიზ და მხატვართუხუცეს“ (ვ. ბერიძე). მიჩნეულია, რომ წარწერაში, სავარაუდოდ, შეცდომაა და „მხტრთუხუცეს“-ის ნაცვლად უნდა ეწეროს „მ{ნდ}ტრთუხუცეს“. რამდენადაც წარწერა განთავსებულია სარგისის გამოსახულების თავთან, მარჯვენა მხარეს, ის არ შეიძლება ეკუთვნოდეს ყვარყვარე ამირსპასალარის გამოსახულებას, როგორც ამას მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს. ამდენად, ბექა (I)-ის შვილებიდან **მ**-ის ხელის მფლობელი მხოლოდ სარგის (I) უნდა ყოფილიყო.

წყაროები და ლიტერატურა: ბერიძე 1954: 124; მესხია 1979: 53-54; საყვარელიძე 1976: 80; კლდიაშვილი 1981: 66-68.

დასავლეთ საქართველოს მანდატურთუხუცესები:

ბედან/ბედიან (II) დადიანი – ოდიშის ერისთავი და **მ.** დაახლ. 1240-1260-იან წწ-ში. რუსუდან მეფისა და დავით ნარინის თანამედროვე, ჰყავდა თანამეცხედრე ქართლის ერისთავ ბეგას ასული, დიოფალთ-დიოფალი ხუაშაქი. **მ**-ის სავაზირო ხელი მიიღო

მონღოლთა ბატონობისას, დასავლეთ საქართველოს ტახტის შენარჩუნებისას დავით ნარინისათვის განეული სამსახურის საფასურად (სრულად იხ. ოდიშის ერისთავი და მანდატურთუხუცესი ბედან (II) დადიანი).

წყაროები და ლიტერატურა: ჟამთაღმწერელი 1959: 195, 243; თაყაიშვილი 1914: 49, 139, 227; ბერაძე 1999: 136-137; ბახტაძე 2003: 238-239.

გიორგი (I) დადიანი – ძე ბედან (II) ერისთავისა; ოდიშის ერისთავი და **მ.** დაახლ. XIII ს-ის 70-90-იან წწ-ში. ხობის ტაძრის მამულებელი (სრულად იხ. ოდიშის ერისთავი და მანდატურთუხუცესი გიორგი (I) დადიანი).

წყაროები და ლიტერატურა: ვახუშტი 1973: 894; თაყაიშვილი 1914: 227; ბერაძე 1999: 139; ბახტაძე 2003: 242.

ცოტნე დადიანი – შერგირ დადიანის ძე; ოდიშის ერისთავი და **მ.** დაახლ. 1310-იანი წწ-ის მინურულში (სრულად იხ. ოდიშის ერისთავი და მანდატურთუხუცესი ცოტნე დადიანი).

წყაროები და ლიტერატურა: მეტრეველი 1962: 170, №247; ბახტაძე 2003: 242.

გიორგი (II) დადიანი – ოდიშის ერისთავი და **მ.** დაახლ. 1310-იანი წწ-ის მინურული, გარდ. 1323 წ. (სრულად იხ. ოდიშის ერისთავი და მანდატურთუხუცესი გიორგი (II) დადიანი).

წყაროები და ლიტერატურა: ვახუშტი 1973: 801, 894; ბახტაძე 2003: 243.

გიორგი (III) დადიანი – ოდიშისა და სვანეთის ერისთავი, **მ.** დასავლეთ საქართველოს მხედართმთავარი, 1345-1384 წწ. (სრულად იხ. ოდიშისა და სვანეთის ერისთავი და მანდატურთუხუცესი გიორგი (III) დადიანი).

წყაროები და ლიტერატურა: ვახუშტი 1973: 801; ბერაძე 1999: 141-143.

ვამიყ (I) დადიანი – გიორგი (III) დადიანის ძე; ოდიშის ერისთავი და **მ.** 1384-1396 წწ-ში. მ-ად იხსენიება იგი ხობის ეკლესიის კედლის წარწერაში, ასევე ყოფილა მოხსენიებული წალენჯიხისა და ჯუმათის ამჟამად დაკარგული ხატების წარწერებში (სრულად იხ. ოდიშის ერისთავი და მანდატურთუხუცესი ვამიყ (I) დადიანი).

წყაროები და ლიტერატურა: ვახუშტი 1973: 803; ბერაძე 1999: 144-145.

ხაჟიგ დადიანი – სვანთა ერისთავი და **მ.** XIV ს-ის შუა ხანებში. ამგვარად იწოდება იგი მის მიერ ქურაშისა და სეტის მთვარმონამის ბოძებულ „დანერილში“ (იხ. სვანთა ერისთავი და **მ.** ხაჟიგ დადიანი).

წყარო: სილოგავა 1986: 102, 103.

ოზბეგ დადიანი – სვანთა ერისთავი და **მ.** XV ს-ის შუა ხანები. **მ.**-ად იხსენიება იგი დანიელ ცაიშელის მიერ ლაბსყელდაშის ეკლესიისათვის ბოძებულ „დანერილში“ (იხ. სვანთა ერისთავი და **მ.** ოზბეგ დადიანი).

წყაროები და ლიტერატურა: სილოგავა 1986: 64; ბერაძე 1999: 143.

შამადავლა დადიან-გურიელი – სვანთა ერისთავი და **მ.** 1470-1474 წწ-ში, ბაგრატ VI ქართლ-იმერეთის მეფის თანამშრომელი, დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მცხეთის ტახტისაგან განდგომის ერთ-ერთი ინიციატორი (სრულად იხ. სვანთა ერისთავი შამადავლა დადიანი).

წყაროები და ლიტერატურა: ქისკ 2014: 186; თაყაიშვილი 1937: 393. ბახტაძე 2003: 222.
დ. კლდიაშვილი

მდივანბეგი – (არაბ-სპარს. divānbeḡī – მსაჯულთუხუცესი) სეფიანთა ირანში მსაჯულთუხუცესი, სახელმწიფო საბჭოს ერთ-ერთი უმაღლესი მოხელე. ირანში **მ.**-ის თანამდებობას არაიშვიათად ქართველებიც იკავებდნენ. მაგ., სრულიად ერანის მდივანბეგი შაჰყული-ხანი (იგივე ლევან ბატონიშვილი, შაჰნავაზის ძე, ქართლის ჯვანიშინი) ამ თანამდებობით მოიხსენიება 1703-1710 წწ-ში შედგენილ რამდენიმე საბუთში. 1720-იანი წწ-ის საბუთებში ასევე სრულიად ერანის გამგებლად და **მ.**-ად იხსენიება ნაზარალი-ხანის ძე, კახეთის ბატონიშვილი კონსტანტინე (მაჰმადყული). საქართველოში **მ.**-ობის შემოღების დრო ზუსტად გარკვეული არ არის. მკვლევართა ნაწილი ასეთ დროდ XV ს-ის მეორე ნახევარს მიიჩნევს, სხვები – XVI ს-ს, ზოგი მკვლევარი – სვიმონ I-ის ირანის ტყვეობიდან დაბრუნების წელს (1578).

ქართულ სამეფოებში **მ.** წარმოადგენდა მეფის სასამართლოს. სამართალწარმოების დროს იგი ემყარებოდა სამეფო ხელისუფლებას და სამოხელეო შტატს. **მ.**-ს ექვემდებარებოდნენ აღმასრულებელი და საგამოძიებო უფლებების მქონე მოხელეები და წესადათების მცოდნე პირები: მსაჯულები (ბჭეები), იასაულები, ბოქაულები, მდივნები, ხევისთავები, მეთემეები. **მ.**-ის თანამდებობაში, ივ. სურგულაძის შეფასებით, ყველაზე მეტად იყო გამოხატული მეფის ხელისუფლების საჯარო-უფლებრივი საწყისი. **მ.**-ის სასამართლოს ემორჩილებოდა სახელმწიფოს ყველა ქვეშევრდომი, მიუხედავად მათი სოციალური რანგისა და სტატუსისა.

მ-ს ხელი მიუწვდებოდა როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის საქმეებზე. ვახტანგ VI-ის „დასტურლამალის“ მიხედვით, **მ**-ის კომპეტენციაში შედიოდა განსაკუთრებული სიმძიმის სასამართლო საქმეები: მკვლელობა, დაჭრა, ლალატი, სალაროსა და ეკლესიის ძარცვა; **მ**. განიხილავდა აგრეთვე სამოქალაქო საქმეებს – სამამულო დავებსა და საოჯახო გაყრებს. „დასტურლამალში“ ხაზგასმულია, რომ **მ**-ის უშუალო მონაწილეობით უნდა გაერჩიათ ელის ტომთა სასისხლო საქმეები. ადგილობრივ მოურავს მათი განხილვის უფლება ეძლეოდა მხოლოდ **მ**-ის არყოფნის შემთხვევაში.

XVII ს-ის ქართლში როსტომისა და გიორგი XI-ის დროს არსებობდა ორ-ორი **მ.**, რომლებიც ქართლის უმაღლეს ფეოდალურ არისტოკრატიას ეკუთვნოდნენ (ორბელიშვილები, ჯავახიშვილები, არაგვის ერისთავები). XVIII ს-ის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის გაერთიანების შემდეგ სახელმწიფო მმართველობაში გატარებული ცვლილებების შედეგად, გაიზარდა **მ**-თა რაოდენობა. თეიმურაზისა და ერეკლეს დროს ქართლსა და კახეთში ჩანს შვიდი **მ.**, ხოლო XVIII ს-ის 60-იანი წლებიდან – ოცდარვა. ამასთან, ქართლში **მ**-თა რაოდენობა მეტი იყო, ვიდრე კახეთში.

სამეფო ხელისუფლებამ განსაზღვრა **მ**-თა სამართალმოქმედების არეალებიც. **მ**-ები „სამართლობდნენ“ თბილისში, გორში, თელავში, სიღნაღში, ხოლო „თათრების“, **მ**-ები – ყაზახში, შამშადილსა და ბორჩალოში. თბილისში ორი **მ**. აღასრულებდა სამართალს. „ქალაქის, (თბილისის) **მ**. ჯერ კიდევ შაჰნავაზის დროს არის მოხსენიებული – 1676 წ-ის საბუთის მიხედვით, მეფემ ვახტანგ ორბელიშვილს ქალაქის **მ**-ობასთან ერთად უბოძა მართლმსაჯულების განხორციელების უფლება „ქართლისა, საბარათაშვილოსა, სომხითისა და თათრისა“. თბილისის **მ.**, სხვა **მ**-ისაგან განსხვავებით, სახელმწიფო საბჭოს წევრიც იყო. დავით ბატონიშვილის მოწმობითაც, „თბილისის **მ**-ობა უმფროსი იყო“, თუმცა, ზოგადად, **მ**. არ იყო შეზღუდული ტერიტორიულად. საჭიროების შემთხვევაში, ყოველ **მ**-ს მიუწვდებოდა ხელი სხვა უბნების საქმეებზეც. ორი **მ**. განაგებდა სამართალს დედაქალაქში გიორგი XII-ის დროსაც, რასაც ადასტურებს ი. ჩოლოყაშვილისა და ნ. ციციშვილის მოხსენებები მთავარმართებელ ციციანოვისადმი.

1778 წ. ერეკლე II-ის ინიციატივით, ჩამოყალიბდა ერთგვარი სასამართლო კოლეგია – „მსაჯულთ (მდივანბეგთა) შეკრებულობა“, სადაც ყოველი არზა და საჩივარი შედიოდა. ამასთან, თავად მეფეს კავშირი არ გაუწყვეტია სამართალწარმოებასთან. სეხნია ჩხეიძის მოწმობით, სეფიანთა ირანში დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მსგავსად, ქართლ-კახეთის სამეფოს **მ**-ები დივანში/სამდივნო სახლში კვირის ოთხ დღეს „სამართლობდნენ“, დანარჩენ ორ დღეს კი (ოთხშაბათსა და პარასკევს) მეფე (ერეკლე) „დაჯდის სამდივნოსა სახლსა, განაგებდა სამართალსა“. სხვა სასამართლო ინსტანცია, გარდა „მსაჯულთ შეკრებილობისა“, არ არსებობდა.

მიღებული განაჩენი, როგორც გამონაკლისი, შეეძლო განეხილა მხოლოდ მეფეს, როგორც უმაღლეს მსაჯულს.

იმერეთის სამეფოს სასამართლო ორგანიზაციაშიც ყველაზე მნიშვნელოვან ინსტიტუტს, ასევე, მეფის მ-თა სასამართლო წარმოადგენდა. მ-ები აქ XVII ს-ის 60-იანი წლებიდან, იმერთა მეფის ბაგრატ IV-ის დროიდან ჩნდებიან. 1669 წ. ბაგრატ IV-ის მიერ რუსეთის მეფე ალექსანდრე მიხეილის ძისადმი მიწერილ თხოვნაში სამი მ. (ბეჟანი, ხუცია და პაატა) მოიხსენიება. XVIII ს-ის მეორე ნახევარში, საბუთების მიხედვით, მ-ად ჩანან სხვადასხვა სათავადო სახლების წარმომადგენლები (იაშვილი, რაჭის ერისთავი, ჩიჯავაძე, ჩხეიძე). მათ შორის გვხვდებიან მეფის წინაშე პირადი დამსახურების საფუძველზე დანიშნულებული პირებიც შედარებით დაბალი სოციალური (აზნაურული) წრიდან (კვინიხაძე, გუნცაძე, XVIII ს-ის 90-იან წლებში ერეკლე II-ის მსაჯული სოლომონ ლიონიძე).

მ-ობა მაღალშემოსავლიანი და საპატიო თანამდებობა იყო. მ-ის სარგოს შესახებ დეტალური ცნობებია დაცული თავად ბეჟან არაგვის ერისთავის მიერ მთავარმართებელ პავლე ციციანოვისადმი წარდგენილ მოხსენებაში. მ-ს სარგო, ულუფა და ჯამაგირი მეფისაგან ჰქონდა დამტკიცებული. ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის დროს მ-ებს წლიურად დაწესებული ჰქონიათ: ოცდაათი თუმანი თეთრი, თორმეტი ხარვარი პური (ანუ ცხრა თუმანი და ექვსი მინალთუნი), ექვსი საპალნე ღვინო, სამოცი ცხვარი; გარდა ამისა, ჰქონიათ სხვა შემოსავლებიც მეფისაგან და სხვა წყაროებიდან.

წყაროები და ლიტერატურა: Tadkerat al-molük: 44, 56; Savory: 355; დასტურლამალი 1965: 267-269; ხეც: Hd-9693, Hd-2955, Hd-13160; Hd-2948, Sd-536; სეა, 1448-552; 1448-9007; ქსიმე ს.№280; ქსის 1955: 74, 406, 424, 430; ენუქიძე 1971: 301; Царевич Давид 1813, №545; გაბაშვილი 1942: 71, 179, 181, 185; მესხია 1948: 030; სურგულაძე 1952: 303, 318-319, 361; კეკელია 1970: 143-149; კეკელია 1981: 14-21.

მდივანბეგები. XVII-XVIII სს. ქართლი

ხერხეულიძე ბეჟან – მ. 1620-1624 წწ. (პალ 2015: 378; ენუქიძე 1971: 303).

ბარათაშვილ-ორბელიშვილი ყაფლან – მ. 1634-1643 წწ., სახლთუხუცესი 1646-1658 წწ. (ენუქიძე 1971: 303; ქსოის 1984: 30).

ჯავახიშვილი როინ – ბოქაულთუხუცესი 1638-1656 წწ.; **მ.** 1638-1669 წწ. (ქსის 1955: 242; ქსოის 1984: 30; პალ 2015: 457-59).

ერისთვისშვილი ედიშერ – მ. 1661-1682 წწ. (პალ 1991: 145-146).

ჯამასპ – მ. დაახლ.1670-იანი წწ. (პალ 2015: 471).

ორბელიშვილი ვახტანგ/ორბელ – მდივანბეგ ყაფლან ორბელიშვილის ძე, მ. 1676-1685 წწ. (პალ 1991: 413-415; ქსის 1955: 322, 323, 327, 330).

ერისთვისშვილი ბარდიმ – მ. 1688-1692 წწ. (პალ 1991: 140-141, 152-153; ქსის 1955: 340; ვახუშტი 1973: 465).

ერისთვისშვილი პაატა – მ. 1695-1697 წწ. (ენუქიძე 1971: 306).

ავთანდილ – მ. 1690-იანი წწ-ის მინურული –1717 წწ. (ხეც, Ad-240; ენუქიძე 1971: 308).

ორბელიშვილი ერასტი – მ. 1704-1731 წწ., სომხით-საბარათიანოს სარდალი 1724-1730 წწ., ოსმალთა ბატონობის დროს ამავე ტერიტორიის გამგებელი და ქალაქის მოურავი 1724-1731 წწ. (ხეც, Ad-476; სეა, 1450-22/94; ენუქიძე 1971: 307).

ერისთვისშვილი სარიდან – მ. 1765 წ. (ხეც: Hd-8574, Hd-8586; მსეი 1953: 15).

ორბელიანი ქაიხოსრო – სომხით-საბარათიანოს სარდალი და მ. 1735-1742 წწ. (ხეც, Hd-3816; სეა: 1448, -3908; 1448-2924; დსსი 1940: 266-267; სმსფჰ 1949: 68; ქსდ 1970: 742-746).

ორბელიანი პაპუა – მ. 1743-1749 წწ. (ენუქიძე 1971: 309).

ორბელიანი იოანე – მ. 1749-1752, 1765-1782 წწ. (ენუქიძე 1971: 309-310).

ორბელიანი რევაზ – ქაიხოსროს ძე, მ. 1757 წ. (ენუქიძე 1971: 311).

თუმანიშვილი გორჯასპ – მ. 1762 წ. (ხეც, .Hd -148).

ციციშვილი ფარსადან – მ. 1763-1771 წწ. (ხეც, Hd-148; Qd-8586, Qd-531).

ერისთვისშვილი სარიდან – მ. 1765-1671 წწ. (ხეც, Hd-8574, 8586).

ერისთვისშვილი ბეჟან – მ. 1765-1800 წწ. (ხეც. Qd-8586; ენუქიძე 1971: 318).

ამილახვრიშვილი იესე – მ. 1767-1786 წწ. (ენუქიძე 1971: 315-316).

ციციშვილი თეიმურაზ – მ. 1771-1793 წწ. (ენუქიძე 1971: 314).

ბარათაშვილი იესე – მ. 1777-1786 წწ. (ენუქიძე 1971: 316).

ორბელიანი მზეჭაბუკ – მ. 1777-1791 წწ. (ენუქიძე 1971: 317).

ბარათაშვილ-საამისშვილი ზაალ – 1780-იანი წწ. მ., ყორიასაულბაში; არტილერის პოლკოვნიკი; ლაშქარნავისი; მდივანი (მესხია 1948: 53-54).

აბაშიძე ნიკოლოზ – მ., დიღმის მოურავი 1782-1793 წწ. (ენუქიძე 1971: 317).

ხერხეულიძე ომან – მ. XVIII ს-ის მინურული. ერეკლე II-მ ქაიხოსრო ანდრონიკაშვილთან ერთად წარგზავნა ქერიმ-ხან ზენდთან (მესხია 1948: 20-24; ომან ხერხეულიძე 1989: 65).

კახეთი. XVIII ს.

ჯანდიერიშვილი პაატა – მ. 1703-1724 წწ. (ენუქიძე 1971: 306; ქსის 1955: 386; ქსოს 1984: 36).

დიმიტრი – მ. 1705 წ. (ენუქიძე 1971: 308).

ენდრონიკაშვილი რევაზ – მ. 1763-1773 წწ. (ხეც. Qd-8586; ენუქიძე 1971: 312).

ენდრონიკაშვილი ქაიხოსრო – მ. 1765-1697 წწ. (ხეც, Hd-8574, 8586; ენუქიძე 1971: 313).

ჯანდიერიშვილი ზაალ – მ. 1766-1771 წწ. (ენუქიძე 1971: 314).

ვარჯან – მ. 1785-1796 წწ. (ენუქიძე 1971: 320).

ჩოლოყაშვილი დავით – მ. 1795-1800 წწ. (ენუქიძე 1971: 322).

ბარათაშვილი ზაალ – მ. 1796-1803 წწ. (ენუქიძე 1971: 322).

ჩოლოყაშვილი იოანე – მ. 1797-1800 წწ. (ენუქიძე 1971: 322).

ენდრონიკაშვილი ადამ – მ. 1798-1801 წწ. (ენუქიძე 1971: 323).

ციციშვილი ნიკოლაოზ – მ. 1798-1803 წწ. (მესხია 1948: 49, 56).

იმერეთი. XVIII–XIX ს-ის დასაწყისი

იაშვილი ლევან – მეღვინეთუხუცესი 1720 წ., მ. 1749 წ. (სოსელია 1973: 127).

მიქელაძე დავით – მ. 1798 წ. (სოსელია 1973: 66).

ჩიჯავაძე ვახუშტი – მ. 1798-1801 წ. (სოსელია 1981: 24).

წულუკიძე ბეჟან – მოურავი 1782-1798 წწ., მ. 1799 წ. (სოსელია 1973: 73).

ლიონიძე სოლომონ – მ. 1802-1810 წწ. (ენუქიძე 1971: 321).

თ. აბულაძე



ბეჭდის ლეგენდა: ბარძიმ

ხეც, Ad-407, 1689 წ. შეწირულების წიგნი ბარძიმ მდივანბეგისა წმინდა დავითის საფლავის ეკლესიისადმი.

მდივანიუხუცასი – საგარეო საქმეთა უწყების მეთაური ერეკლე II-ის დროს; ევალეობდა უცხო სახელმწიფოებთან მიმონერა და დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება. დავით ბატონიშვილის ცნობით, **მ.** ორი იყო – ერთი ქრისტიანი, მეორე მუსლიმი. მათ შორის ფუნქციები განაწილებული იყო ისლამური და ქრისტიანული სახელმწიფოების მიხედვით. **მ**-ებს დახმარებას უწევდა მათ დაქვემდებარებაში მყოფი თითო-თითო მდივანი (იხ.). **მ**-ები აწარმოებდნენ უცხო ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან დიპლომატიურ მიმონერას, იღებდნენ ელჩებს, ეცნობოდნენ უცხოურ კორესპოდენციას და მოახსენებდნენ ამის შესახებ მეფეს. საჭიროების მიხედვით, ინვევდნენ საბჭოს, ადგენდნენ დიპლომატიურ წერილებს.

ლიტერატურა: Царевич Давид 1813: 107.

თ. აბულაძე

მდივანი – (არაბ. *dīvān* – კანცელარია, უმაღლესი სახელისუფლო ორგანო; სამეფო კანცელარია, სახელმწიფო საბჭო, სასამართლო დაწესებულება). სამოხელეო ტერმინი **მ.** ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში XV ს-დან ჩნდება. ამავე ფუძიდანაა წარმოებული მდივანბეგი (იხ.) და **მ.**, რომელმაც XV-XVIII სს-ის ქართული ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, თანდათანობით დაიკავა უფრო ადრინდელი მნიგნობრის (იხ.) ადგილი, თუმცა, მნიგნობარიც არ გამოსულა ხმარებიდან. საბუთებში ხშირია დაწყვილებული ფორმაც – მდივან-მნიგნობარი. სულხან-საბა ორბელიანი **მ**-ს „უსტართა მწერალს“ უწოდებს; უფრო საფუძვლიანად განმარტავს **მ**-თა საქმიანობას ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც მათ სხვადასხვა დანიშნულებისა და, შესაბამისად, განსხვავებული ფორმის სახელმწიფო და სასამართლო დოკუმენტების შემდგენლებად მიიჩნევს. **მ**-ობა კანონმდებლობისა და საკანცელარიო საქმის კარგ ცოდნას მოითხოვდა, რის გამოც იგი მთელ რიგ საგვარეულოთა მემკვიდრეობით პროფესიად იყო ქცეული. სხვადასხვა დანიშნულების დოკუმენტების შედგენის წესის გარდა, **მ**-ს მოეთხოვებოდა კარგი ხელწერა, რამაც ხელი შეუწყო მდივანმნიგნობრული კალიგრაფიული სკოლების ჩამოყალიბებას.


მ. სამდივნოს ცენტრალური ფიგურა იყო და იგი სახლთუხუცესის (იხ.) უწყებას ეკუთვნოდა. XV-XVII სს-ის ქართველ მეფეთა სამდივნოებში ერთდროულად რამდენიმე **მ.** საქმიანობდა. XVIII ს-ში, ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოში, გიულდენშტედტის მოწმობით, ერთდროულად ექვსი **მ.** ყოფილა. მათი რიცხვი თითქმის გაორმაგებულა ერეკლე II-ის მიერ მმართველობის დარგობრივი დაყოფის შედეგად, რამდენადაც **მ**-თა საჭიროებას ყველა უწყება განიცდიდა.

მ-ები მმართველობის ყველა სფეროს ემსახურებოდნენ, მათი მონაწილეობის გარეშე შეუძლებელი იყო ყმა-მამულის ბოძება, ბრძანება-განკარგულებათა გაცემა, სასამართლო ოქმებისა და განჩინებების ჩაწერა, ფისკალური დოკუმენტების, ხალხის

აღწერის დავთრებისა თუ დიპლომატიური წერილების შედგენა. „დასტურლამალის“ მიხედვით, მ. სარგოს ყველა იმ წყაროებიდან იღებდა, საიდანაც სახლთუხუცესი.*

ლიტერატურა: გაბაშვილი 1943: 173; მესხია 1948: 56-57; სურგულაძე 1952: 229-239.

თ. აბულაძე



ბეჭდის ლეგენდა: მდივანი ფარემუზ
ქ. მე მდივანს ფარემუზს დამინერია და მონმეც ვარ

ხეც, Hd-2268, 1697 წ. გივი თუმანიშვილს და ავთანდილ კაჭკაჭაშვილს შორის
ნისქვილზე დავის გადაწყვეტილების წიგნი.

მეაბჯრეთუხუცესი – ამირსპასალარის (იხ.) უწყების მოხელე, ამირახორის (იხ.) თანაშემწე. მისი საქმიანობა დაკავშირებული იყო ზარადხანასთან, სადაც ინახებოდა მეფის სამხედრო აღჭურვილობა: ჯაჭვი, მუზარადი, ხმალი, აბჯარი, მშვილდ-კაპარჭი, ლახტი, ცხენის აღკაზმულობა და ა.შ. მ-ის ხელქვეითი იყო ზარადხანისუხუცესი (იხ.), რომელიც უშუალოდ უძღვებოდა ზარადხანის მოვლა-პატრონობას. მ-ს ექვემდებარებოდნენ სამეფო კარის მეაბჯრეები, რომელთა შორის მეფისა და სამეფო ოჯახის წევრების აბჯართმცირთველებიც იგულისხმებოდნენ. მ. რომ მნიშვნელოვანი ფიგურა იყო სამეფო კარზე, კარგად ჩანს „ხელმწიფის კარის გარიგებიდან“ – ამირსპასალარი ამირახორსა და მ-ს ყოველთვის ეთათბირებოდა სამხედრო (სალაშქრო) საკითხებთან დაკავშირებით. მ. ვაზირთა სხდომას არ ესწრებოდა, მაგრამ, საჭიროების შემთხვევაში, იგი შეიძლებოდა მოეხმოთ და სადმე მოციქულად გაეგზავნათ. მ. მონაწილეობას იღებდა ზარადხანის შემონმება-აღწერებებში, რაც წელიწადში ერთხელ ტარდებოდა. მ-ს, როგორც სამხედრო მოხელეს, მეფის კურთხევის ცერემონიაზე ფრიად საპატიო მოვალეობა ჰქონია დაკისრებული — იგი, ხმალშემორტყმული, ამირახორთან ერთად მეფის მარჯვნივ, ამირსპასალარის გასწვრივ მიუყვებოდა საზეიმო პროცესიას. მეფედ კურთხევის ტექსტში არის ერთი ბუნდოვანი ადგილი, რომლის მიხედვით, საზეიმო მსვლელობის დროს მ. მეფის უკან დგას: „... ეზოთუხუცესსა, ჩუხჩარესსა, მეაბჯრეთუხუცესსა, სამეფო ფარი და ლახტი ჰქონდეს და ქარქაში, უკანა უდგეს მეფესა“. გაუგებრობას იწვევს, სად იდგა მ. კურთხევის ცერემონიალის დროს: ამირსპასალარის მხარეს, თუ მეფის უკან. პ. ინგოროყვამ მ-ის მოხსენიება ტექსტის მოცემულ ადგი-


* მდივნების ნუსხა იხ. სტატიასთან – მნიგნობარი.

ლას გადამწერის შეცდომად ჩათვალა და იგი მეჯინიბეთუხუცესად ჩაასწორა. სხვა შეხედულებით, მოცემულ ადგილას არა სამი განსხვავებული მოხელე, არმედ ერთი – ეზოსუხუცესი, იგივე ჩუხჩარეხი (იხ.) იგულისხმება, რომელიც მეფედ კურთხევის ცერემონიალის დროს ასრულებდა მისთვის ძველ და საპატიო მოვალეობას – მოჰქონდა მეფის საბრძოლო იარაღი: ფარი, ლახტი და ქარქაში, ანუ ასრულებდა მეფის პირადი აბჯრისმტვირთველის ფუნქციას. ამრიგად, მოცემულ პასაჟში სიტყვა „მეაბჯრეთუხუცესი“ ჩუხჩარეხ-ეზოსმოდღვრის განსაზღვრებად შეიძლება იქნას მიჩნეული და არა დამოუკიდებელ მოხელედ (ანთელავა).

წყაროები და ლიტერატურა: ხელმწიფის კარის გარიგება 1965: 86, 87; ჯავახიშვილი 1982: 290-293; კეკელიძე 1941: 15; ინგოროყვა 1963: 564; ანთელავა 1983: 65, 77-81.

მეაბჯრეთუხუცესები. XIII-XIV სს.

ივანე სურამელი – მ. 1247/1250 წწ. ქართლის ერისთავ გრიგოლ სურამელის ძმა (ქისკ 1984: 124).




მე, ივ(ანე) მეაბჯრეთუხუცესსა | განაღამცა დამიმტკიცებია. ლ(მერ)თმან | მტკიცე ყოს და არგენ სულსა მათსა.

ხეც, Ad-1, [1247/1250] წწ. დანერილი გრიგოლ სურამელისა შიომღვიმის მონასტრისადმი.

აბაზასძე ქილა – მ. XIII ს-ის დამლევი. ჟამთააღმწერლის ცნობით, ა. ქილა აბაზასძე ამადა სურამელთან ერთად იმ მცირერიცხოვან დიდებულებს ეკუთვნოდა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებულ დავით VIII-ს. მეაბჯრეთუხუცესად იხსენიება იგი 1297 წ. დავით VIII-ის (1293-1311) მიერ ქარმაულ გრიგოლ ჭაჭნიაშვილისათვის ბოძებულ წყალობის დაწერილში. მონღოლთა მხარდაჭერით გამეფებულმა ვახტანგ III-მ (1302-1208) აბაზასძეთა მამული შალვა ქვენიფნეველს უბოძა.

წყაროები და ლიტერატურა: ჟამთააღმწერელი 1959: 305; ქისკ 1984: 183-1185; ოთხმეზური 2009: 9-10.



ქ. ლ(მრ)თისა სწორთა ბ(რძანებ)ის მონ(ა)მე ვარ | მინაი მეაბჯრეთუხუცესი ქილაი აბა|ზასძე.

ხეც, Hd-1330, 1297/1298 წ. სიგელი დავით მეფისა ქარმაულ გრიგოლ ჭაჭნიაშვილისადმი.

ჩხტიძე გოგატი – მ. 1325 წ. (პალ 2015: 236).

მაყაშვილი ბოსტოლანა – მ. 1387 წ. (ქისკ 2013: 56).

ქვენიფნეველი შალვა – მ. 1339 წ. (ქისკ 2013: 39).

მ. სურგულაძე

მეგოდრეთუხუცესი – მსახურთუხუცესის უწყების მოხელე, მეფეთა და დედოფალთა სიგელების, სამეფო კარის უწყებათა ადმისტრაციული და სამეურნეო-საფინანსო ანგარიშების შემნახველი და მცველი. **მ.** განაგებდა მეგოდრეთა საქმიანობას, რომლებიც სასახლის სხვადასხვა დაწესებულებას ემსახურებოდნენ: საწოლსა და საღაროს, საჭურჭლეს, ზარადხანას, საღვინეს – ყველას, სადაც კი ხდებოდა დოკუმენტების შედგენა, განძეულისა და სხვა ტიპის საქონლის აღწერა-ანგარიში. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ **მ**-ის როლი განსაკუთრებით გამოკვეთილია მოლა-

რეთუხუცესთან (იხ.) და მეჭურჭლეებთან მიმართებით. აღწერილია მთელი პროცედურა, რის შემდეგაც აღწევდა დოკუმენტი მ-მდე: ჯერ მწიგნობარი გაამზადებდა სიგელებს, შემდეგ მეჭურჭლე თოფრაში ჩაალაგებდა და მოლარეთუხუცესს მიართმევდა, რომელსაც სიგელებზე „დიდი სასიგელე ბეჭედი“ უნდა დაესვა. სიგლის დედნები პატრონს ჩაბარდებოდა, ხოლო სიგლის ასლები – მ-ს, რომელიც მათ გოდორში ათავსებდა და კუთვნილ ადგილს უჩენდა საჭურჭლეში, სადაც თავს იყრიდა სასახლის დოკუმენტაცია (მეფის სიგელები, ზარადხანისა და საღვინის აღწერა-ანგარიშები) და, როგორც ჩანს, სამეფო არქივის დანიშნულებას ასრულებდა. ამ პროცედურებში მონაწილე ყველა მოხელეს, მათ შორის მ-ს, გადაკვეთილი წილი ერგებოდათ იმ საფასურიდან, რომელსაც სიგელის მიმღები მხარე იხდიდა. „ხელმწიფის კარის გარიგების“ თანახმად, სალაროს მოლარეს სიგელის ადრესატისაგან ორი დუკატი ერგებოდა, მ-ს – ერთი. ივ. სურგულაძის დაკვირვებით, მ-ს ბეჭდის შენახვაზეც ეკისრებოდა პასუხისმგებლობა – გოდორში შეიძლებოდა შეენახათ საბეჭდედ გამზადებული, ზონარგაყრილი ლითონის ნაჭრებიც, მაგრამ თავად ბეჭედი მ-ებს მკაცრად უნდა დაეცვათ. XVII ს-იდან შემორჩენილი მცირეოდენი ცნობები ქართლის სამეფო კარის მეგოდრეთუხუცესთა შესახებ უჩვენებს, რომ ისინი სამეფო აზნაურულ წრეს (ყორღანაშვილები) ეკუთვნოდნენ.

წყაროები და ლიტერატურა: ხელმწიფის კარის გარიგება 1970: 37; სურგულაძე 1970: 99; ანთელავა 1983: 36-38.

დ. კლდიაშვილი

მედიამლე – ხელოსნებსა და ვაჭრებზე დაწესებული გადასახადის – დამლის ამკრეფი მოხელე, ეს გადასახადი საქართველოში მონღოლთა დროიდან დაწესდა. იგი გულისხმობდა სავაჭრო საქონლის გადასახადს 3%-ის ოდენობით. მ-ის ფუნქცია კონკრეტულად დამლის გადასახადის ზუსტად და დროულად აკრეფა იყო. მ. ისევე, როგორც სხვა გადასახადის ამკრეფი მოხელეები, ადგილობრივი ადმინისტრაციის მოხელეთა კატეგორიას განეკუთვნებოდა, თუმცა, ამა თუ იმ ადგილზე მას ცენტრალური ხელისუფლება აგზავნიდა. ისეთ ქართულ დოკუმენტებში, რომლებიც ვაჭართა გადასახადებისაგან გათავისუფლებას ეხება, მ. ადგილობრივ მოხელესთან (მოურავის) შემდგომ მოიხსენიება. ასეა, მაგ., კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის (1574-1605) ბრძანებაში აბრეშუმით მოვაჭრეთა დამლისგან გათავისუფლების შესახებ.

წყარო და ლიტერატურა: ქსის 1955: 43, 470; სურგულაძე 1952: 218.

თ. აბულაძე

მეითარი – (სპარს. mehtar – სარიქიფოს, მეფის გარდერობის მოხელე) მეფის პირადი მსახური. ასრულებდა დასავლეთ ევროპული მეფის კამერდინერის მსგავს ფუნქციას. „მეითარი ბატონს თავს დაადგებოდეს, ხელსახოცს მიართმევდეს, მერიქიფეს ამსახურებდეს, [ბატონის] ტანისამოსი მის ხელთ არის. დუშალიკის ნახევარი მეითარისა არის, შიგნით და გარეთ ბატონთან გაუყრელობა და შინაყმობა დიდი აქუს“. **მ.** მეფესთან დაახლოებული პირი იყო და მისი დიდი ნდობით სარგებლობდა. ამდენად, **მ**-ობა საპატიო თანამდებობად ითვლებოდა. **მ.**, როგორც მეფის პირადი მსახური, ფორმალურად სახლთუხუცესს (იხ.) უნდა დაქვემდებარებოდა, მაგრამ რამდენადაც უშუალოდ იყო დაკავშირებული მეფესთან, მისი დაქვემდებარება ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

წყაროები და ლიტერატურა: დასტურლამალი 1970: 662; სურგულაძე 1952: 203-204.

მეითრები. XVII-XVIII სს.

მანუჩარ – რექაბხანის **მ.** 1628-1665 წწ., ქალაქის მოურავი 1634-1679 წწ. მერიქიფეთუხუცესი 1638-1658 წწ.

ფარსადან ჩოლყაშვილი – **მ.** და მურდარი 1689-1700 წწ.

პაატა ციციშვილი – **მ.** და მერიქიფეთუხუცესი 1690-99 წწ. 1693 წ.

ქაიხოსრო [ციციშვილი] – **მ.** 1727-1740 წწ.

წყაროები: ქსის 1955: 75, 373, 376, 191, 308, 309; პალ 2004: 51-53; პალ 2015: 227, 266; ხეც Ad-502, ხეც Ad-503, ქსდ 1970: 742-746; სეა, ფ. 1450. 45-112

მ. კეკელია

მელიქი – (არაბ. mālik – მეფე, ხელმწიფე, მმართველი) მმართველობის ადგილობრივი აპარატის მოხელე გვიანფეოდალურ საქართველოში. კავკასიაში **მ**-ის ინსტიტუტმა თავდაპირველად ფეხი მოიკიდა დღევანდელი აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიაზე, სადაც რამდენიმე სამელიქო ოლქი არსებობდა. ამ ოლქებში **მ**-თა ძალაუფლება ირანის შაჰის მიერ მათთვის მინიჭებულ უფლებებს ემყარებოდა. საქართველოში სამელიქო ოლქად იქცა ქვემო ქართლის ნანილი – ლორე და დებედას ხეობა, რომელიც შაჰ-აბასმა ქართლს ჩამოაჭრა (1601), ხოლო მის მმართველად ადგილობრივი გამაჰმადიანებული აზნაურთაგანი დანიშნა, რომელთა შთამომავლებმა შემდგომში მელიქიშვილების სათავადო სახლს დაუდეს საფუძველი. რაც შეეხება **მ**-ს, როგორც ქალაქების სამოხელეო სისტემის რგოლს, იგი ქართლის ქალაქებში XVI ს-ის შუა ხანებში ჩნდება (პირველად იხსენიება 1552 წ-ის საბუთში) იმ პერიოდში, როდესაც თბილისი ყიზილბაშებს ეპყრათ. თავდაპირველად **მ**-ები ირანის შაჰის რე-

ზიდენტის ფუნქციას ასრულებდნენ ეკონომიკის საკითხებში. მ-ის უმთავრესი ფუნქცია იყო სავაჭრო საქონელზე ნიხრის დაწესებაში მონაწილეობა (რაც მას ქართლის სამეფოს ეკონომიკურ სიტუაციაში ჩარევის საშუალებას აძლევდა) და, ზოგადად, ფასების რეგულაცია, ქალაქის მკვიდრთა შორის დადებული გარიგებების დამონმება, მონაწილეობის მიღება მსუბუქი სამოქალაქო დავების გარჩევაში და ა.შ. საჭიროების შემთხვევაში კი, ევალეზობდა ინფორმაციის მიწოდება ირანის შაჰისათვის. მ-ის სამოხელეო ფუნქციები არსებითად ემთხვეოდა თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების მამასახლისების (იხ.) ფუნქციებს. როგორც ჩანს, მ-ის შემთხვევაშიც ისეთივე პროცესი განვითარდა, როგორც სხვა ინსტიტუტების შემთხვევაში – ირანიდან შემოსული სამოხელეო ინსტიტუტები მანამდე არსებული ქართული ინსტიტუტის პარალელურად მკვიდრდებოდა და თანდათან მას ერწყმოდა. სხვადასხვა სახელოდების, მაგრამ, ფაქტობრივ, ერთი და იმავე დანიშნულების ეს ორი სამოხელეო ინსტიტუტი (მამასახლისისა (იხ.) და მ-ის) ერთი და იმავე პირების, უპირატესად მ-ის ხელში ერთიანდებოდა, რამაც გამოიწვია გაორმაგებული ტერმინის, მ-მამასახლისის წარმოქმნა. თბილისის უკანასკნელი მ-ის დარჩია ბებუთაშვილის გადმოცემით, „მამასახლისობა ქართველთ მეფეთაგან არის დაწესებული... და რაც სარგებლობა ტფილისის მელიქსა აქვს, აგრეთვე, ეგოდენი სარგებლობა ტფილისის მამასახლისსა აქვს, და აგრეთვე, თანამდებობაცა. როდესაც უწინ მელიქი სხვა ყოფილა და მამასახლისი სხვა“. ქალაქის მ. მეფის მიერ დანიშნულ ქალაქის თავს, ანუ მოურავს (იხ.) ექვემდებარებოდა. მ-ებდ ინიშნებოდნენ ვაჭარ-ხელოსანთა წრეებიდან გამოსული პირები, რომლებიც კონფესიურად, რიგ შემთხვევებში, გრიგორიანულ სარწმუნოებას მიეკუთვნებოდნენ, თუმცა, მათ თანაბრად ეკითხებოდა სხვადასხვა ეროვნების, სარწმუნოებისა და კონფესიის წარმომადგენელთა საქმეები. მ-ის თანამდებობაზე ერთდროულად შეიძლებოდა ორი და ზოგჯერ სამი პირი ყოფილიყო დანიშნული. გარდა მამასახლისისა, მ-ის სახელო შეიძლებოდა მიეღო ქალაქის ნაცვალს, ზარაფთუხუცესს და ა.შ.; მ-ის თანამდებობაზე თბილისში რამდენიმე საგვარეულო ენაცვლებოდა ერთმანეთს: მირიმანიძე|მირიმანაშვილები, ივანგულაშვილები, შერგილაშვილები, ბეჭუთაშვილები. ეს უკანასკნელები დიდ მემამულეებად გადაიქცნენ და 1783 წ. თვადობაც მიიღეს. თბილისის გარდა, მ-ები იყვნენ გორშიც, სადაც XVI ს-ის მეორე ნახევარში სამეფო რეზიდენცია იყო გადატანილი; ამასთანავე, გორის მ-ის მნიშვნელობას ზრდიდა ქალაქის სახელოსნო და სავაჭრო-სატრანზიტო ფუნქციები. გორის მ-ის თანამდებობა XVIII ს-ის 80-იანი წლებში გაუქმდა, მისი ადგილი კვლავ მამასახლისმა დაიბრუნა.

წყაროები და ლიტერატურა: მესხია 1948: 95; ქისკ 2016: 332, 333, 428, 315, 353, 381; ბოშიშვილი 2013: 12-23, 53-58.

ქალაქის (თბილისის) მელიქები და მელიქ-მამასახლისები. XVI-XVIII სს.

მირიმან (I) – მ. 1573 წ.

ასლან [მირიმანაშვილი] – მირიმან (I)-ის შვილიშვილი; მ. და მამასახლისი 1590-იანი წწ.

მირიმანა (II) მირიმანაშვილი – ქალაქის მ. 1630-იანი წწ.

ენალა მირიმანაშვილი – ძმა მირიმან (II)-ისა; ქალაქის მ. 1640-1670-იანი წწ.

ასლამაზ (I) – ქალაქის მ-მამასახლისი 1646 წ.

შერმაზან (I) ივანგულაშვილი – ქალაქის მ. 1660-იანი წწ.

ბეჰბუთა – მ. 1661 წ.

ყარახანა შერმაზანის ძე ივანგულაშვილი – ქალაქის მ. 1672-1679 წწ.

შერმაზან (II) ივანგულაშვილი – ყარახანის ძე, ქალაქის მ. 1680-იანი წწ.

ავთანდილ [მირიმანაშვილი] – ქალაქის მ. 1679-1696 წწ.

ქაიხოსრო მირიმანაშვილი – ენალას ძე, ქალაქის მ. 1683-1693 წწ.

მანდენაანთ ლომუა – ქალაქის მ-მამასახლისი 1682-1692 წწ.

პაპუა – ქალაქის მ-მამასახლისი 1689-1700 წწ.

მანუჩარ – ქალაქის მ. 1699 წ.

გიორგი – ქალაქის მ. 1699-1711 წწ.

ზურაბ – მ. გიორგის ძე. ქალაქის მ. 1712-1713 წწ.; მამასახლისი 1713-1728 წწ.

ასლამაზ (II) – ქალაქის მ. 1719-1721 წწ.

ოსეფა – ქალაქის მ. 1725 წ.

აშხარბეგ ბებუთაშვილი – ასლანის ძე, ქალაქის მ-მამასახლისი 1712-1735 წწ.; მისი მ-ობის დროს განსაკუთრებულად გაიზარდა ბებუთაშვილების საგვარეულო ქონება.

ალა ბებუთაშვილი – აშხარბეგის ძე, ქალაქის მ-მამასახლისი 1735-1747 წწ.; 1748 წ. ერეკლე II-მ შერისხა და მ-ობა ჩამოართვა. რამდენიმე წლის შემდეგ ალა მეფემ შეინყალა და მიშქარბაშობა უბოძა. 1760 წ. დაიბრუნა მ-მამასახლისობა და ქალაქის ნაცვლობა.

ანტონ – ქალაქის მ. 1746-1751 წწ.

საჰაკ შერგილაშვილი – ქალაქის მ. 1751-1760 წწ.

ავეტიქა ალას ძე ბებუთაშვილი – ქალაქის მ-მამასახლისი 1768-1795 წწ.

დარჩია ავეტიქას ძე ბებუთაშვილი – ქალაქის მ-მამასახლისი 1795-1801 წწ.

ალიბეგ – გორის მამასახლისი 1634-1640-იანი წწ.; გორის მ. 1646 წ.

წყაროები და ლიტერატურა: მესხია 1948: 72; პაპუნა ორბელიანი 1981: 142; ხეც, Ad- 621; ბოშიშვილი 2013: 34-46.

ვ. კეკელია



მელიქ ავთანდილი

Sd-34 1682 ნასყიდას, ბაღდასარას და ჯანუას გაყრის წიგნი.



მელიქი ფარსადან

Hd-13695 1736 ნასყიდობის სიგელი მიცემული მდივანი მაღალაშვილი სოლომონის მიერ ჯავახიშვილი იაკობისათვის

მერემაეთუხუცესი/მეჯოგათუხუცესი – მმართველობის ცენტრალური აპარატის მოხელე, სავარაუდოდ, ამირახორის ხელქვეითი. მ. იყო სამეფო ცხენსაშენის მოურნე. ევალებოდა რემის (ცხენების ჯოგის) გამრავლება, გამოკვება, მოვლა და გახედვნა. ცხენებთან ერთად მ-ს უნდა მოემარაგებინა სამეფო კარი ჯორებით, ვინაიდან სამეფო კარის გადაადგილებისას სწორედ ამ პირუტყვს იყენებდნენ ტვირთის გადამზიდავ ძალად. მ-ის განკარგულებაში იყვნენ მერემაენი და მეჯორენი, რომლებიც სამეფო საძოვრებზე უვლიდნენ სამეფო ჯოგებს. მერემაეები ნახსენები არიან გიორგი III-ის სიგელში შიომღვიმის მონასტრისადმი, სადაც მეფე მონასტრის ერთ სოფელს (აგარას) თორმეტი რემის შენახვას (გამოკვებას) და დაცვას სთხოვს. ამავე სიგელიდან ჩანს, რომ მერემაეთა შენახვა („ჩადგომა“) სამეფო სოფლებს ჰქონდათ შეწერილი. უფრო გვიანდელ საუკუნეებში მ. შეცვალა მეჯოგეთუხუცესმა. მას და მისდამი დაქვემდებარებულ მეჯოგეებს ევალებოდათ სამეფო ცხენების ჯოგზე ზრუნვა. მ-ის და მეჯოგეების მოვალეობას შეადგენდა ცხენების მეთვალყურეობა, კვიცების მოვლა, სენისაგან და ნადირი-

საგან დაცვა. **მ**-ს და მასზე დაქვემდებარებულ მეჯოგეებს შეეძლოთ მხოლოდ მათთვის განკუთვნილ ცხენებზე შეჯდომა. მეჯოგის თანამდებობა, გარდა ცხენების ჯოგისა, დაკვეთიებული ჩანს საჯინბოსთანაც. როგორც ჩანს, მეჯოგეები, გარდა **მ**-ისა, გარკვეულწილად მეჯინბეთუხუცესის წინაშეც ანგარიშვალდებული იყვნენ.

წყაროები და ლიტერატურა: ქისკ 1984: 69; | დასტურლამალი 1970: 675; სურგულაძე 1952: 223; ანთელავა 1983: 65.

ვ. კეკელია

მესანოლეთუხუცესი – მსახურთუხუცესის (იხ.) უწყების მოხელე; უზრუნველყოფდა მეფის პერსონისა და „სანოლის“ (მეფის კაბინეტისა და აპარტამენტების) დაცვას. „ხელმწიფის კარის გარიგების“ თანახმად, **მ**-ს ექვემდებარებოდნენ „მესანოლენი“ და „წინამწოლები“. ისინი მეფის სხეულის მცველები იყვნენ და „სანოლის“ შიგნით იმყოფებოდნენ, ხოლო „სანოლის მეკრე“ და „კარის დარაჯა“ გარედან უზრუნველყოფდნენ „სანოლის“ დაცვას. სულხან-საბას განმარტებით, შეიარაღებული „სხეულის მცველი“ მუდამ მეფესთან და პატრონთან იმყოფებოდა. „წინამწოლი“ და „სანოლის მეკრე“ ამავე ფუნქციებით დადასტურებულია „ვეფხისტყაოსანში“. ამდენად, **მ**. მეფის სხეულის და „სანოლის“ მცველთა მეთაური უნდა ყოფილიყო და არა „სანოლის“ გამგებელი. მესანოლეთა მოვალეობები და რაოდენობა ნორმირებული იყო: მესანოლეთა რაოდენობა შეადგენდა 700 სახლს. მათი ძირითადი ნაწილი აზნაური იყო, ხოლო რვა – გლეხი. 700 შუბოსანი მესანოლე მუდმივად კარზე იმყოფებოდა და თან ახლდა მეფეს მგზავრობის დროს.

წყაროები და ლიტერატურა: ხელმწიფის კარის გარიგება, 1965: 83-84; სულხან-საბა ორბელიანი 1993: 12; ანთელავა 1983: 33-34.

დ. კლდიაშვილი

მისტუმრა – (შდრ. გვიანდელი მეჰმანდარი); სამეფო კარის მოხელე, შედიოდა მანდატურთუხუცესის (იხ.) უწყებაში, უშუალოდ ექვემდებარებოდა ამირეჯიბს (იხ.). **მ**-ს ევალებოდა მეფეთა საგანგებო შეტყობინებების დაგზავნა, სტუმრების მიღება-გაცილება, უცხოელი ელჩებისა და დიპლომატიური მისიების მიღება, მათზე ზრუნვა და ა. შ. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, **მ**-ს ყოველ კვირა ეძლეოდა ფქვილი და საკლავი „ქვეითად“ მოსული სტუმრების (მეძღვნე და მნიგნობარი) გამასპინძლებისათვის. **მ**-ს წილი ედო „სიგლის ქრთამშიც“, მაგრამ მისი წილი გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე მანდატურთუხუცესისა (იხ.) და ამირსპასალარისა (იხ.). აღვსების დღესასწაულისათვის დანესებული სამოხელეო ცერემონიალის მიხედვით, **მ**-ს ევალებოდა იერარქიულად მასზე უფროსი მოხელის, ამირეჯიბის მოკითხვა. **მ**. მოხსენიებულია თამარ მეფის ისტორიკოსის და ჟამთააღმწერლის თხზულებებში. მაგ., გიორგი რუსის აჯანყე-

ბის დროს თამარმა **მ.** გაგზავნა დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსებთან, რათა მათი პოზიციები შეეტყუ. **მ.**, მართალია, არ განეკუთვნებოდა უმაღლესი რანგის მოხელეთა კატეგორიას, მაგრამ, მეფესთან სიახლოვის წყალობით, შეეძლო სამეფო კარზე დიდი გავლენის მოპოვება. ტერმინი **მ.** ხშირად იხსენიება XIV-XVI სს-ის საბუთებში. XVII ს-ში, როსტომ მეფის (1633-1658) დროს, **მ.** ტერმინოლოგიურად სპარსული მეჰმანდარით (იხ.) შეიცვალა, თუმცა, ფუნქციურად იგი, ძირითადად, უცვლელი დარჩა. დედოფლის „დასტურლამალში“, რომელიც XVII ს-ის დასასრულს ეკუთვნის, ეს თანამდებობა ისევ ძველი სახელით იხსენიება, ხოლო მეფის „დასტურლამალში“, რომელიც შედგენილია XVIII ს-ის დასაწყისში, მისი სპარსული შესატყვისი – მეჰმანდარი გვხვდება. მეჰმანდარმა საბოლოოდ ვერ ჩაანაცვლა **მ.** XVII-XVIII სს-ის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ საბუთებში ორივე ტერმინი ერთდროულად გვხვდება. დასავლეთ საქართველოში კი, **მ.**-ის თანამდებობას ტერმინოლოგიური ცვლილება არ განუცდია.

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1955: 50; ჯავახიშვილი 1982: 310, 328; სურგულაძე 1952: 275-278.

მესტუმრეები. XIII-XVII სს.

ჯიქური – სამეფო კარის **მ.** XIII ს-ის 50-60-იანი წწ-ის მიჯნა. ჟამთააღმწერელი გვაცნობს დავით ულუს (1246-1270 წწ.) **მ.** ჯიქურს, რომელიც მეფის დიდი ნდობით სარგებლობდა. როდესაც დავით ულუ ბათო-ყაენმა ურდოში დაიბარა, მან ქვეყნის მართვა, არსებული წესისამებრ არა მნიგნობართუხუცესს, არამედ დედოფალ ჯიგდა-ხათუნსა და **მ.** ჯიქურს დაავალა. ქართველ დიდებულთა შორის ჯიქურს ბევრი მტერი ჰყავდა, რომელთა გავლენით დავით ულუს ჯიქურის ერთგულებაში ეჭვი შეეპარა. მას ილხანებთან მეფის სანინააღმდეგოდ საიდუმლო ურთიერთობა დასწამეს. ჯიქურის მდგომარეობა განსაკუთრებით დედოფალ ჯიგდა-ხათუნის გარდაცვალების შემდეგ გაუარესდა. დავით ულუს ბრძანებით, **მ.** ჯიქური შეიპყრეს და ისნის ციხეში გამოკეტეს, საიდანაც მოგვიანებით მტკვარში გადააგდეს. მისი მამულები და ქონება დაიტაცეს.

წყარო: ჟამთააღმწერელი 1955: 238.

თავხელისძე გოგნია – **მ.** 1399-1419 წწ.

კაკლანასძე კლიმი – **მ.** და მნიგნობარი 1425-1448 წწ.

წერეთელი დავით – სამეფო კარის **მ.** 1432 წ.

ზვიადისშვილი ვირშელ – სამეფო კარის **მ.** 1460 წ.

თავაქალასშვილი სადათიერ – იმერეთი. სამეფო კარის **მ.** და მნიგნობარ-მუშრიბი 1491 წ.

ლომინაძე – იმერეთი. სამეფო კარის **მ.** XVI ს.

ლაზარე – კახეთი. მნიგნობართუხუცესი და **მ.** 1537 წ.

ევუბა – ქართლი. სამეფო კარის **მ.** 1623 წ.

ევუბისშვილი დონდარა – ქართლი. სამეფო კარის **მ.** 1651-1662 წწ.

აფხაზი იოვანე – **მ.** 1654-1659 წწ. მარიამ დედოფლის ნამზითვი.

წყაროები: ქისკ 2013: 74-75, 180, 184, 187, 191, 193, 197, 199, 202, 219, 229, 223, 226, 234; ქისკ 2014: 15, 43, 46, 89, 111, 286; ქისკ 2016: 350; პალ 1991: 194, 485; პალ 1993: 164, 382-384, 405, 548, 574; პალ 2007: 19; პალ 2015: 309; ქსის 1955: 219, 224, 225, 294; ქსოის 1984: 30; დასტურლამალი 1970: 479; დსსი 1940: 236, 251-253; სეა: 1450-1/9; 1450-6/126.

მ.სურგულაძე

მეღვინეთუხუცესი – სამეფო კარის საღვინის უწყების ხელმძღვანელი შუა საუკუნეების საქართველოში. ქართულ წყაროებში **მ**-ის შესახებ პირველი ცნობა XII საუკუნიდან ჩნდება, თუმცა ცხადია, რომ ეს სამოხელეო თანამდებობა საქართველოში ბევრად ადრე-დან არსებობდა. **მ**-ის სახელის მნიშვნელობასა და ფართო გავრცელებაზე მიუთითებს ამ სამოხელეო სახელიდან ნაწარმოები გვარები: მეღვინეთუხუცესი, მეღვინეთუხუცისშვილი, მემარნიშვილი. **მ.** სათავეში ედგა სასახლის ერთ-ერთ უწყებრივ სტრუქტურას „საღვინეს“, რომელშიც, XIII ს-ში, „ხელმწიფის კარიგების“ თანახმად, შედიოდნენ: მეღვინეთუხუცესი//პირის მეღვინე, საღვინის მუქიფი, საღვინის მოლარე და მეღვინენი. პურობის დროს საჭურჭლის ნაცვალი და **მ.** მეფის „პირის მწდის“, ანუ „პირის მეღვინის“ მოვალეობას ასრულებდნენ. პირის მწდეს საღამოობით მეფისათვის ოქროს მაშრაპით ღვინო უნდა მიერთმია. ვახუშტი ბატონიშვილის განსაზღვრებით, **მ**-ს ექვემდებარებოდნენ „მწდენი და მესასმისენი მეფისა და ღვინის მწენი“. „ხელმწიფის კარის კარიგებიდან“ ირკვევა, რომ სასახლეში საღვინეს თავისი ნაგებობა ჰქონდა, სადაც ახალწლის დღესასწაულზე მეფის მონაწილეობით რიტუალური მნიშვნელობის წესი სრულდებოდა: („საღვინეთ ქვე დასმენ [მეფესა] მალლა სკამითა, ტაბლას წინ დაუდგმენ და ველურისა ტახის თავს მოხარშულს წინ დაუდგმენ“). **მ**-ის ძირითადი საქმიანობა სამეფო ზვრების მოვლა-პატრონობაზე ზრუნვა იყო. „ხელმწიფის კარის კარიგების“ თანახმად, ამ საქმეს **მ.** უძღვებოდა მანდატურთუხუცესთან (იხ.) და მუქიფთან (იხ.) ერთად. **მ.** ადგილებზე ანაწილებდა „ღვინის მკრეფელებს“, რომლებიც მანდატურთა ზედამხედველობით თვალყურს ადევნებდნენ ვენახში მუშაობას, ყურძნის მოსავლის აღება-დაბინავებას. **მ**-ის შემდეგ საღვინის უწყების უმთავრეს მოხელედ ითვლებოდა ღვინის მუქიფი (იხ.), რომელიც ღვინის ძღვენსა და საღვინის შემოსავალ-გასავალს განაგებდა. მანდატურთუხუცესის მოხელესთან ერთად იგი **მ**-ის ბრძანებით „იურვოდა“ (ზედამხედველობდა) ზვრის სამუშაოებს და მის ანგარიშსაც აწარმოებდა. საღვინის მოლარე ითვლებოდა საღვინის ქონების მცველად. მეღვინეებთან ერთად მას ევალებოდა მეფის მომსახურება საწოლში და ნადიმის დროს;

მასვე ებარა ყოველდღიური სახმარი საღვინის ჭურჭელი, აგრეთვე სამეჯლისო ჭურჭელი, რომელიც ცალკე ინახებოდა. საღვინის შესავალ-გასავლის ანგარიშები „საანგარიშოთა გოდორთა შინა“ ენყო და მეჭურჭლეთუხუცესის ბეჭდით იყო დაბეჭდილი (ტექსტში „მეღვინეთ“ გადახაზულია და წერია „მეჭურჭლეთუხუცესი“). რიგითი მეღვინეების ფუნქციაში შედიოდა საღვინის იარაღისა და მანდილის სისუფთავეზე ზრუნვა: „მანდილი... რა დამტვერიანდეს, გარეცხვა უნდა. საფარემოს მიიღებს მეღვინე და ერთს მამრპას ღვინოს მიართომს, გარეცხენ და საღვინესვე მიიღებენ“.

მ-სა და საღვინის უწყებაში შემავალ ყველა დიდსა და პატარა მოხელეს თავისი განსაზღვრული სარგო ერგებოდა. ღვინის ულუფა ნაწილდებოდა მათი რანგის შესაბამისად. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ღვინის ულუფის, ანუ სარგოს შესახებ აღნიშნულია, რომ ყოველი ზვრიდან **მ**-ს თითო ჭური ეკუთვნოდა, უფრო მომცრო – მუქიფს. საღვინის მოლარე მეზვრეთაგან ღვინოს იმისდა მიხედვით იღებდა, თუ როგორი იყო ზვარი და მოსავალი. მეღვინეები სარგოს იღებდნენ იმ ერთდროული ულუფიდან, რომელსაც მეფის ჩადგომისას ამა თუ იმ სოფელში „წერდნენ“ (იღებდნენ) მეფისა და მისი თანმხლები პირების გამოსაკვებად.

მ., მართალია, არ მიეკუთვნებოდა სასახლის მოხელეთა უმაღლეს წრეს, მაგრამ საკმაოდ საპატიო ხელის მფლობელი იყო. ამ თანამდებობის პირები საშუალო რანგის აზნაურულ წოდებას ეკუთვნოდნენ და მეფესთან „აღზრდილ-შეზრდილობით“ იყვნენ დაკავშირებული. **მ**-ს მეფის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებებიც შეიძლებოდა ჰქონოდა, მათ შორის სამხედრო ან დიპლომატიური ხასიათისა. მაგ., 1191 წ. შავშეთ-კლარჯეთის ციხეების მიმტაცებელი გუზან ტაოსკარელის წინააღმდეგ საბრძოლველად სარგის თმოგველთან და კახა სამძივართან ერთად თამარ მეფემ მეღვინეთუხუცესიც მიავლინა.

საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდგომ ქართლ-კახეთისა და იმერეთის მეფეებს (ისევე, როგორც მთავრებსა და დიდ თავადებს, ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსებს), საკუთარი **მ**-ები ჰყავდათ. XVI ს-ის დასავლეთ საქართველოს მეფეების მიერ გაცემული საბუთების ბრძანებულებით ნაწილებში სხვა, დიდ თუ მცირე მოხელეთა გრძელ ჩამონათვალებში **მ**. და მეღვინეიც იხსენიებიან. ამ პერიოდში შენარჩუნებულია **მ** -ისა და საღვინის მოხელეთა საპატიო ადგილი და მნიშვნელობა, თუმცა საახალწლო რიტუალის ადრინდელი წესი წყაროებში აღარ დასტურდება. ვახტანგ VI-ის (1703-1724) „დასტურლამალის“ თანახმად, **მ**-ის ხელქვეითი მოხელეები იყვნენ მეღვინე, შიგამდეგი და თავლიდარი, ასევე, პირის მეღვინე (პირის მწდე) და მეტიკისპირე, რომელთა შორის ფუნქციები მკაფიოდ იყო განაწილებული. მეტიკისპრეს სასახლემდე ღვინო უნდა მოეტანა და „კართან დაედო“, მაგრამ სასახლის შიგნით შესვლა არ შეეძლო. რაც შეეხება **მ**-ს და საღვინის ცხრა მეღვინეს, მათი პირდაპირი მოვალეობა იყო საღვინის მოვლა და ჯეროვნად შენახვა. დიდი მეჯლისის დროს **მ**. მეღვინეთა თანხლებით დარბაზში შედიოდა და დადგენილი რიგითობით (ოთხი მეღვინე მარჯვნივ და ოთხი მარცხნივ) სტუმრებს ღვინოს მიართმევდა. პირის მეღვინეს

(პირის მხედ) მეფისათვის უნდა მიერთმია ღვინო. ასეთივე წესით, მაგრამ უკვე ექვსი მელვინის თანხლებით ემსახურებოდა მეფეს მ. სხვა, უფრო მცირე მეჯლისების დროს. უფრო გამარტივებული იყო მათი მომსახურების წესი, როცა მეფე სხვა სასახლეებსა და სადგომებში გადადიოდა, მაგრამ მ. მელვინებთან ერთად მუდამ თან ახლდა მას.

ვახტანგ VI-ის „დასტურლამალში“ ცალკე პარაგრაფი აქვს დათმობილი რთველთან დაკავშირებულ მოხელეთა საქმიანობის აღწერას. აქ ზუსტადაა განსაზღვრული „ღვინის მოსავლის რიგი“ – მემარნისა და მესთვლის მოვალეობები, თუ რომელი ზვრიდან რომელ მარანში (კოჯორი, ატენი, ბოლნისი) უნდა გაეგზავნათ დაწურული ღვინო; გაწერილია, ვის და როგორ უნდა გაერეცხა ქვევრები, მითითებულია სოფლები, რომელსა და რაოდენობით უნდა გადაეხადა კულუხი და ტკბილი, რომელი იყო გათარხნებული და სხვ. „დასტურლამალში“ მკაფიოდაა გამიჯნული საღვინის მოხელენი და მესთვლენი. ძეგლის შედგენის დროს სამეფო მ-ის განკარგულებაში ყოფილა 15 „მესთვლე“. მ-ის ხელქვეით მოხელეებს უნდა ჩაებარებინათ ღვინისა და არყის შემოსავალი მეფის სახასო მამულებიდან, აეკრიფათ კულუხის გადასახადი და ჩაებარებინათ მ-სათვის. ამ უკანასკნელს კი ზემდგომი მოხელეებისათვის უნდა წარედგინა ანგარიში.

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 64; ხელმწიფის კარის გარიგება 1965: 80, 81, 82, 88, 92; ვახუშტი 1973: 32; დასტურლამალი 1970: 249, 252-259, 300-301, 306-8; 300-301; 307; 306-308; ქსდ 1965: 189; ჯავახიშვილი 1982: 319-322; ანთელავა 1983: 94-99.

მელვინეთუხუცესები. XV-XVII სს.

ვაჩნასძე ასათ – მ. 1455 წ. გიორგი VIII-ის „აღზრდილ-შეზრდილი“(ქისკ 2014: 85).

ფალავანდაშვილი ფალავანდ – მ. 1504 წ. (პალ 2007: 284).

თულაშვილი ბეჟან – მ. 1641-1642 წწ. (ქსის 1955: 163, 172).

სოლალაშვილი ბიძინა – მ. 1658 წ. (პალ 2007: 181).

თულაშვილი ოთარ – მ. 1681-1687 წწ. (პალ 1993: 321).

სულხან – მ. 1700 წ. (პალ 2007: 207).

გაბელ – მ. 1700-იანი წწ. (დასტურლამალი 1970: 249).

დ. კლდიაშვილი

მეძალეთუხუცესი – სამონადირეო უწყების მოხელე. ევალებოდა სანადირო ძალების მოშენება-განვრთნა და ნადირობის დროს მეფისათვის მათი მიყვანა. მ-ს ექვსი მეძალე ექვემდებარებოდა. ერთიანი ფეოდალური მონარქიის პერიოდში ძალებების მწვრთნელები მონადირეთუხუცესს ექვემდებარებოდნენ, მაგრამ, საქართველოს

დაშლის შემდეგ, როგორც „დასტურლამალი“ იუნყება, ძაღლების განვრთნა ცალკე სამსახურს ებარა და მონადირეთუხუცესის დაქვემდებარებიდან გამოსული ყოფილა. იოანე ბატონიშვილის თანახმად, მონადირეთუხუცესის (იხ.) ფუნქციები ამ დროს უკვე ბაზიერეთუხუცესის ხელში ყოფილა გადასული. მ. იღებდა ერთ თუმან სარგოს. მის დამხმარე ექვს ხლქვეითს („ბიჭი“) აძლევდნენ: ტანსაცმელს, თვეში ერთხელ ძროხის ტყავს და გადაკვეთილ ულუფას (პურსა და მცირედ ღვინოს) უფროს-უმცროსობისა და ჩაბარებული ძაღლების რაოდენობის მიხედვით.

წყარო და ლიტერატურა: დასტურლამალი 1970: 688-690; იოანე ბატონიშვილი 1936: 215-216; სურგულაძე 1952: 222.

ვ. კეკელია

მეჭურჭლეთუხუცესი – სამეფო კარის მაღალი რანგის მოხელე; ათაბაგობის შემოღებამდე ეჭირა მეოთხე ადგილი დარბაზის რიგის მოხელეთა შორის; მსახურეთუხუცესთან ერთად ეკუთვნოდა „ორთა ვაზირთა“ კატეგორიას. მ. განაგებდა სამეფო საჭურჭლეს, რომელიც ერთიან ქრთულ მონარქიაში არ იყო უწყებრივად გამოყოფილი სახელმწიფო ხაზინისაგან. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, საჭურჭლეში ინახებოდა სამეფო არქივი, „არასანიადაგოდ“ მოსახმარი ძვირფასეულობა (ძვირფასი ჭურჭელი, თვალ-მარგალიტი, ფული) და ზოგიერთი სამეურნეო საქონელი). საჭურჭლის ქონება არ იყო ფიზიკურად ერთად თავმოყრილი – იგი გადანაწილებული იყო სასახლის სხვადასხვა დანესებულებაში: სალაროში (სამეფო არქივი და შეკრული განძეულობა), საღვინეში (სამეფოსო ღვინის ჭურჭელი) და საგანმგებოში (საალყე ქონი, ზეთი). გარდა ცენტრალური სასახლის საგანძურისა, მეჭურჭლეთუხუცესის განსაგებელი იყო ქვეყნის სხვადასხვა ადგილას შენახულ-დაცული სამეფო საჭურჭლეები (მაგ., ქუთაისი, ატენი, უჯარმა). ამგვარად ურთიერთდაშორებულ საჭურჭლეთა მოვლისათვის მ. იყენებდა, როგორც ცენტრალური აპარატის სამსახურებს (საჭურჭლის ნაცვალს, მუქიფი, მუშრიბი, სასახლის მეჭურჭლეები), ასევე, ადგილობრივი მმართველობის მოხელეებს (სამეფო ქალაქების ამირები მათი ქვემდებარე მოხელეებით). ერთიანი ქართული მონარქიის მ-თა შესახებ შემორჩენილი არც თუ ისე მრავალრიცხოვანი ცნობები უჩვენებენ, რომ ამ თანამდებობას პერიოდულად სხვადასხვა წარჩინებული საგვარეულოს წარმომადგენლები ეუფლებოდნენ და ხშირად მ-ობასთან ერთად ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლების სხვა მაღალ (ერისთავი, სპასალარი, მანდატურეთუხუცესი) თანამდებობას ითავსებენ.

წყაროები და ლიტერატურა: ხელმწიფის კარის გარიგება: 1965: 84, 91; ჯავახიშვილი 1982: 303-319; ანთელავა 1983: 49-52.

მეჭურჭლეთუხუცესები. XI-XIII საუკუნეები.

ივანე (III) ვარდანისძე – მ. XI-XII სს. მიჯნა, სვანთა ერისთავი, პროტოსტრატორი (სამხედრო მოხელე, სავარაუდოდ, ამირახორი) და მანდატურთუხუცესი. იგი უნდა იყოს შვილი გიორგი II-ის წინააღმდეგ ამბოხებული სვანთა ერისთავ ვარდან (II) ვარდანისძისა, რომელიც გიორგი მეფემ წყალობით შემოირიგა. ამ თანამდებობებით მოიხსენიება იგი მესტიის, ლაბეჭინის და ჯუმათის ხატების წარწერებში (სრულად იხ. სვანთა ერისთავი ივანე ვარდანისძე).

წყაროები და ლიტერატურა: ბაქრაძე 1987: 109, 261, 263, 264; თაყაიშვილი 1937: 22-25; Чубинашвили 1959: 25, 415; ახალაშვილი 1987: 34; მესხია 1979: 122-123, 126.

ივანე ვარდანის-ძე [კოლონკელისძე] – [XII ს. შუა წლები-1178 წ.]. ჰერეთის ერისთავი და გიორგი III-ის კარის მ. ორბელთა აჯანყების აქტიური მხარდამჭერი, ჰერ-კახთა და კავკასიის მთიელთა სამხედრო ძალით. შ. მესხია მას ჰერეთის ერისთავ კოლონკელისძეთა საგვარეულოს აკუთვნებს. ორბელთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ ჰერეთის ერისთავებს მ-ობა ჩამოერთვათ (სრულად იხ. ჰერეთის ერისთავი ივანე ვარდანის-ძე [კოლონკელისძე]).

წყაროები და ლიტერატურა: ვახუშტი 1973: 170; მესხია 1979: 117-121

ყუთლუ არსლანი – მ., სავარაუდოდ, ორბელთა გამოსვლის 1177 წ-ის შემდგომ 1185 წ-მდე. მისი საგვარეულო კუთვნილება უცნობია, რამაც მისი სოციალური წარმომავლობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ნაწილი ავტორებისა ყუთლუ არსლანს მიიჩნევს „უგვაროთაგან“ აღზევებულად (ივ. ჯავახიშვილი, ა. კიკვიძე, ვ. აბაშიძე და სხვ.); შ. მესხია – საქალაქო წრეების ზედაფენის წარმომადგენლად; სხვები – დიდებულ აზნაურად (პ. ინგოროყვა, ნ. ბერძენიშვილი, შ. ბადრიძე, ი. ანთელავა). მისი გავლენა სამეფო კარზე იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ თამარი მისთვის ამირსპასალარობის ბოძებას აპირებდა. ყუთლუ-არსლანის სახელთანაა დაკავშირებული თანამოაზრეებთან ერთად პოლიტიკური გამოსვლა სამეფო უფლებამოსილებების ნაწილის ახალი სათათბირო დაწესებულებებისათვის („კარავი“) დელეგირების მოთხოვნით, რასაც შედეგად მისი კარიერის დასასრული მოჰყვა. თამარმა იგი ჯერ დააპატიმრა, მაგრამ „ლაშქართა“ მოთხოვნის შემდეგ მალე გაათავისუფლა. ყუთლუ-არსლანის შემდგომი ბედი უცნობია.

წყარო და ლიტერატურა: ისტორიანი აზმანი შარავანდედთანი 1955: 31; ჯავახიშვილი 1984: 123-125; მესხია 1979: 114, ბადრიძე 1979: 299-309; ანთელავა 1980: 200.

კახაბერ ვარდანისძე – მ. 1185 წ. შ. მესხიას ვარაუდით, იგი უნდა ყოფილიყო სვანთა ერისთავის, მ-ის და პროტოსტრატორ იოვანე/ივანე ვარდანისძის შთამომავალი.

წყარო და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 433; მესხია 1979: 127.

აბულასანი – ქართლის ერისთავი 1185/1186-1188 წწ. თბილისის ამირათ-ამირა, რუსთავისა და შვიდთა მთეულთა პატრონი და მ. 1177-1188 წწ. დასავლეთ საქართველოს დიდებული; ცნობები მისი თანამდებობების შესახებ დაცულია ლურჯი მონასტრის წარწერაში. აბულასანის აღზევება უნდა მომხდარიყო თამარის პირველი ქორწინების წლებში, გიორგი რუსის მფარველობით, რომლის საქართველოში ჩამოყვანის საქმეში აბულასანმა დიდი წვლილი შეიტანა. გიორგი რუსის მფარველობით უნდა მიეღო მას სამეფო კარის მეჭურჭლეთუხუცესობა (1187/1188) და ამ თანამდებობასთან უშუალოდ დაკავშირებული თბილისის ამირათ-ამირობა. აბულასანის კარიერის დასასრული გიორგი რუსის საბოლოო განდევნას (1188) უკავშირდება. გიორგი რუსის დამარცხების შემდეგ აბულასანი ემცრობა და ყველა თანამდებობას კარგავს (მღრ. ქართლის ერისთავი აბულასანი).

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 36, 79; Такашвили 1905: 154; ბერიძე 1948: 96-97; ინგოროყვა 1963: 652; მუსხელისვილი 1966: 213-214; მესხია 1979: 30-36; ჩხატარაიშვილი 1974: (ნაკითხული მოხსენება); ანთელავა 1983: 224.

შალვა თორელ-ახალციხელი – [ჯავახეთის] ერისთავი (კიმოთისმანის წარწერა); მ. 1191 წ-ის ახლო ხანებში; მანდატურთუხუცესი 1210-იან წწ-ში. მ-ად იხსენიება იგი განძანის ზედა ეკლესიის წარწერებში, სადაც დახასიათებულია, როგორც სახელოვანი სარდალი, რომელმაც „შეაძრუნვა ყოელი სოფელი სპარსეთისა“. განძანისავე ქვედა ეკლესიის წარწერაში (1210-1222 წწ.) იგი უკვე მანდატურთუხუცესად მოიხსენიება (სრულად იხ. მანდატურთუხუცესი შალვა თორელ-ახალციხელი).

წყაროები და ლიტერატურა: ბერძენიშვილი 1964: 85-87; ცისკარიშვილი 1959: 97-105; შოშიაშვილი 1965: 34-43. მესხია 1979: 49-57.

შოთა რუსთველი – მ. XII ს-ის დამლევსა და XIII ს-ის დასაწყისში. მ-ად იხსენიება ჯვრის მონასტრის სააღაპე წიგნში, სადაც მის სახელზე მონასტრის კრებულისათვის განუული დიდი დამსახურების გამო მის სახელზე სიცოცხლეშივე დაუნესებიან აღაპი სული წმიდის მოსვლის ორშაბათს (ამაღლების შემდგომ ორშაბათს). იგი ასევე გამოუსახავთ ჯვრის მონასტრის მთავარი ტაძრის ერთ-ერთ სვეტზე, რომელსაც ახლავს წარწერა: „ამის დამხატავისაჲ შოთაჲს შეუნდვნეს ღმერთმან, ამინ. რუსთველი.“


წყარო და ლიტერატურა: მეტრეველი 1962: 75, N71; 178, N 317; შოშიაშვილი 1965: 148.

ყვარყვარე (ივანე) ჯაყელ-ციხისჯვარელი – სამცხის ერისთავი და სპასალარი 1191 წ-დან, მ. 1220-1240 წწ.; მან, როგორც თამარის მომხრეთა ბანაკში დარჩენილმა ერთადერთმა მესხმა დიდებულმა, გიორგი რუსის დამარცხების შემდეგ მიიღო სამცხის ერისთავობა და სპასალარობა, რომელიც ადრე აჯანყების აქტიურ მონაწილეს ბოცო ჯაყელს ეკავა. ჟამთააღმწერელთან იგი **მ-ად** იხსენიება მონღოლთა წინააღმდეგ საგიმის (ბერდუჯი) ბრძოლის დროს, უფრო მოგვიანებით კი მის შესახებ აღნიშნულია: „პატივით იყო მეჭურჭლეთუხუცესი და მთავარი ქუეყანასა სამცხისასა“ (სრულად იხ. ყვარყვარე ჯაყელი, სამცხის ერისთავი და სპასალარი).

წყაროები და ლიტერატურა: ბასილი ეზოსმოძღუარი 1959: 129; ჟამთააღმწერელი 1959: 165, 191; შოშიაშვილი 1965: 148, მესხია 1979: 141-148; კლდიაშვილი 1981: 51-52; კიკნაძე 1987: 51; ბახტაძე 2003: 274.

გამრეკელ [თორელი] – მ. ცნობილია 1241 წ-ის საბუთიდან – იგი ამტკიცებს მიქაელ კათალიკოსის წყალობის საბუთს ვაჩე გუარამასძისადმი.

წყარო: ქისკ 1984: 114-117.



ქ. ესე, ვითა ქ(ართლისა) კ(ათალიკო)ზსა დაუნერია ვაჩე გუარამასძისა | და ლ(მრთი)სა სწორთა მათითა წელითა და|უმტკიცებია, მე, გამრეკელი მე(ჭ)ურჭ(ლ)ეთუხუცესიცა, მონამე ვარ.

სეა ფ. 1448-9253, [1241] წ. დაწერილი ქართლის კათალიკოს მიქაელისა ვაჩე გუარამასძისადმი.

მამურჩა – მ. ცნობილია 1241/1242 წ-ის საბუთიდან – ამტკიცებს არსენ ქყონდი-დედლ-მწიგნობართუხუცესის წყალობის საბუთს მგელა აბულახტარისძისადმი.

წყარო: ქისკ 1984: 120.

კახა (III) თორელი – ჯავახეთის ერისთავი და **მ.** XIII ს-ის 60-70-იანი წწ-ში. ამ თანამდებობებით მოიხსენიება იგი ჟამთააღმწერლთან და „რკონის დაწერილში“. მონაწილეობდა მონღოლთა ლაშქრობაში ეგვიპტის წინააღმდეგ. ნათესაური კავშირები ჰქონდა ქართლის ერისთავ გრიგოლ სურამელის და მანდატურთუხუცეს ბექა ჯაყელის სახლებთან (სრულად იხ. ჯავახეთის ერისთავი კახა თორელი).

წყაროები და ლიტერატურა: ჟამთააღმწერელი 1959: 239; ქისკ 1984: 155, 193. შოშიაშვილი 1966: 1-11, 32; ბახტაძე 2003: 258.

ვ. კეკელია

მეჯავაითუხუცესი – სასახლის საგამგეოს დაბალი მოხელე. „ხელმწიფის კარის გარიგების“ თანახმად, შედიოდა მანდატურთუხუცესის უწყებაში, უშუალოდ ექვემდებარებოდა გამგეთუხუცესს. დარბაზის რიგის მოხელეთა შორის დადასტურებულია იგი შიომღვიმის საბუთის XIII ს-ის ფრაგმენტში. **მ.**-ის ხელქვეითები იყვნენ სასახლის მეჯამეები, რომელთა მონაწილეობით **მ.** უძღვებოდა როგორც სასახლის, ასევე მოძრავი სამზარეულოს („კარავი სამზარეულოსა“) სხვადასხვა სურსათით მომარაგების საქმეს. მარაგების შესავსებად **მ.**-ს კავშირი ჰქონდა მეფის სახასო სოფლების მეურნეობებთან, საიდანაც იღებდა ნიგოზსა და ზეთს, მარცვლეულს, ხორცს, ყველსა და ერბოს („მეკამბეჩე დიასახლისთაგან“), ხმელ თევზსა და სანებლებს. მასვე ებარა სამზარეულოში სანიადაგოდ სახმარი ხისა და სპილენძის ჭურჭელი. **მ.**, როგორც განმგეთუხუცესის მოხელე, რომელიც სხვა მაღალ მოხელეებთან ერთად ინაწილებდა პასუხისმგებლობას მეფის პერსონის უსაფრთხოებაზე, ასევე პასუხისმგებელი იყო სამეფო სამზარეულოს პროდუქტის სიჯანსაღესა და ხარისხზე.

წყაროები და ლიტერატურა: ხელმწიფის კარის გარიგება 1965: 83; ქისკ 1984: 19; ჯავახიშვილი 1982: 301-302; ანთელავა 1983: 73-74; მეგრელაძე 1970: 98-103.

მ. სურგულაძე

მეჯინიბათუხუცესი – მმართველობის ცენტრალური აპარტის მოხელე. სამეფო საჯინიბოს გამგე. **მ.** შედიოდა ამირსპასალარის უწყებაში და უშუალოდ ამირახორს (იხ.) ექვემდებარებოდა. თავის მხრივ, **მ.**-ის გამგებლობაში იყვნენ მეჯინიბეები, რომელთა მთავარი ფუნქცია იყო მეფის საჯინიბოს მოვლა-პატრონობა. მართალია, „გარიგება“ უშუალოდ **მ.**-ის თანამდებობას არ ახსენებს, მაგრამ სხვა საისტორიო

წყაროები კარგად იცნობენ მ-ის თანამდებობას. „ხელმწიფის კარის გარიგება“ ხაზგასმით გამოყოფს ზარადხანის მეჯინიბეებს. როგორც წყარო იუწყება, ზარადხანის მეჯინიბეს მართებდა მეფისათვის ცხენის შეკაზმვა. სავარაუდოდ, სამეფო საჯინიბოს გარდა, სადაც ცხენებს სამეფო კარის სხვადასხვა საჭიროებისათვის (მეფისა და მისი ოჯახის წევრების გადაადგილება, სანადიროდ მომზადება და სხვ.) ინახავდნენ, ცალკე ჰყავდათ საბრძოლო ოპერაციებისათვის განკუთვნილი ცხენები, რომლებზედაც ზარადხანის მეჯინიბეები ზრუნავდნენ. საფიქრებელია, რომ ეს უკანასკნელნი ზარადხანისუხუცესს ექვემდებარებოდნენ. მეჯინიბეები სამეფო პურობასაც ესწრებოდნენ – სუფრაზე მათ ბოლო ადგილი ჰქონდათ განკუთვნილი. XVII-XVIII საუკუნეების საქართველოში მ-ს სამეფო საჯინიბოს გამგეც ეწოდება. მას ექვემდებარებოდნენ მეჯინიბეები (იგივე ზინდარები). ამ პერიოდში მეჯინიბეობა უკვე საბეგრო ვალდებულებად იყო ქცეული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მეჯინიბეების სახელოს მნიშვნელობა და პრესტიჟი დაქვეითებულა. „დასტურლამალი“ ხუთ მ-ს ასახელებს. მართალია, მ. საჯინიბოს ხელმძღვანელი იყო, მაგრამ იგი მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა: ეკრძალებოდა უნებართვოდ ცხენის გაცემა ან გაბარება, მოედნის ან სასახლის ტერიტორიის გარეთ ცხენების გახედნვა. მ-ს წლიურ სარგოდ ეკუთვნოდა ცხენის სრული აღჭურვილობა და ერთი ცხენის გამოსაკვები ქერი, გარკვეული წილი ეკუთვნოდა სამეფო საჯინიბოს საჩუქრებიდანაც.

წყაროები და ლიტერატურა: ხელმწიფის კარის გარიგება 1965: 87, 94; დასტურლამალი 1970: 679-682; სურგულაძე 1952: 222; სინ 1979: 643.

მეჯინიბეთუხუცესები. XII-XVII სს.

ქავთარ ორბელი – ერთადერთი პირი, ვინც მ-ის თანამდებობით მოიხსენიება საქართველოს ერთიანობის დროინდელ წყაროებში. გიორგი III-ის კარის მოხელე და თანამებრძოლი. მ-ის თანამდებობაზე ჩანს 1170- 1177/1178 წწ-ში. იყო ამირახორ ლიპარიტ ორბელის ძმისწული, უმცროსი ძე მანდატურთუხუცეს და ამირსპასალარ ივანე (II) ორბელისა. თანამდებობა დაკარგა ორბელთა ამბოხის ჩახშობის შემდეგ. სტეფანოს ორბელიანი მას სპარსეთში გადახვეწილთა შორის იხსენიებს.

წყაროები და ლიტერატურა: სტეფანოს ორბელიანი 1978: 47, 53; მესხია 1979: 104, 154; ანთელავა 1983: 61-62.

რამაზ – მ. XVII ს. II ნახ.

ლუარსაბ მაყაშვილი – მ. უზუქანთის მოურავი 1610-იანი წწ. (კახეთი).

პაატა ბარათაშვილი – მ. 1653-1689 წწ.

ავთანდილ თარხნიშვილი – მ. და კავთისხევის მოურავი 1643-1660-იანი წწ-ის დასაწყისი.

შიოშ ბარათაშვილი – მ. 1663-1685 წწ.

ბეჟან – მ. 1655 წ.

იარალი ბარათაშვილი – მ. 1656 წ.

პაპუა რატიშვილი – მ. 1659-1670 წწ.

ლევან ავალიშვილი – მ. 1685-1694 წწ.

რევაზ ორბელიშვილი – მ. 1693-1699 წწ. ეპიკალასი 1698-1700 წწ.

შერმადინ ბარათაშვილი – მ. 1689-1696 წწ. მდივანი 1696-1700 წწ.

პაატა გერმანოზისშვილი – მ. 1689 წ.

გუგუნა ბარათაშვილი – მ. 1692-1698 წწ.

როსებ იარალიშვილი – მ. 1699 წ.

ზურაბ რატისშვილი – მ. 1722 წ.

დემეტრე – მ. 1723 წ.

როსებ იარალიშვილი – მ. 1736 წ.

წყაროები: პალ 1991: 408 422, 453, 455, 503; პალ 1993: 400; პალ 2004: 103, 336; პალ 2007: 51, 57, 90; ქსის 1955: 298, 345, 366, 367. მსეი 1953: 16; ხეც Hd-10168.

ვ. კეკელია

მეჰმანდარი (სპარს. mehmāndār – მესტუმრე). როსტომ მეფის (1632-1658) დროს ასე ეწოდა მესტუმრეთუხუცესს, რომელსაც სამეფო კარზე ევალეობდა საპატიო სტუმრების, უცხოელი ელჩებისა და დიპლომატიური მისიების მიღება-გაცილება. დედოფლის დასტურლამალში, რომელიც XVII ს-ის დასასრულის ძეგლია, ეს თანამდებობა ისევ ძველი სახელით – მესტუმრე – იხსენიება, ხოლო ვახტანგ VI-ის „დასტურლამალში“ მისი გასპარსულებული ფორმა – მეჰმანდარი. **მ.** XVII ს-ის 80-იანი წლებიდან ჩნდება საბუთებში, რომელიც **მ.**-თა უფროსი უნდა ყოფილიყო. ვახუშტი ამ ფორმას არ იცნობს, ისევე, როგორც „დასტურლამალი“, მაგრამ ამ უკანასკნელ ძეგლში რამდენიმე **მ.**-ის ერთდროულად მოხსენიება ამტკიცებს ამ თანამდებობის საჭიროებას. უწყებრივად **მ.** ეპიკალასბაშს (იხ.) ექვემდებარებოდა. **მ.**-ს სამეფო ხაზინიდან განსაზღვრული ჯამაგირი ეძლეოდა. გარკვეული წილი ერგებოდა უცხოელი სტუმრების მიერ მორთმეული საჩუქრებიდანაც. სამემანდარო გადასახადი იკრიფებოდა მოსახლეობაშიც. ისტორიულ საბუთებსა და „დასტურლამალში“ და-

მონმებულ მ-თა სახელების მიხედვით ჩანს, რომ ისინი სამეფო აზნაურებს და, რიგ შემთხვევებში, ქალაქის ვაჭართა წრეს ეკუთვნოდნენ.

წყაროები: ვახუშტი 1973: 32; დასტურლამალი 1970: 479.

მეჰმანდრები. XVII-XVIII სს.

პაპუა – მ. 1665 წ.

ქაიხოსრო – მ. XVII ს-ის მეორე ნახ.

ბახუტა – მ. 1681 წ.

ალავერდა იაგულაშვილი – მ. 1681-1695 წწ.

იასე თუმანიშვილი – მ. 1690-1698 წწ.

მამუკა – მ. 1732-1736 წწ.

როსტომ – მ. 1736 წ.

ჰაჯი მაჰმადა – მ. 1740 წ.

წყაროები: პალ 1991: 485; პალ 1993: 348, 382; პალ 2007: 19; ქსის 1955: 383; დსსი 1940: 236, 253; სეა: 1450-6/126/1/9.

ბ. ბაინდურაშვილი

მილახვარი/მილახვარბაში – მმართველობის ცენტრალური აპარატის მოხელე, სახელდობრ, სამეფო და სადედოფლო მამულების გამგე ქართლსა და კახეთში. საისტორიო დოკუმენტებში მ-ის თანამდებობა იშვიათად XVII ს-ის ბოლო მეოთხედიდან ჩნდება, მაგრამ XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან იგი უკვე გავლენიან და საპატიო თანამდებობას წარმოადგენს. მ-ის ფუნქციები, ძირითადად, სამეფო დომენის სამშენებლო-სამეურნეო-საფინასო საქმეების მოგვარება იყო, თუმცა მისი რეალური ძალაუფლება გაცილებით დიდი ჩანს. მეფე და ბატონიშვილები მას იწვევენ რჩევის საკითხავად მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარების დროს. საფიქრებელია, რომ ამ თანამდებობის მფლობელ პირთა სიახლოვემ სამეფო კართან გაზარდა მეფისა და მეფის ოჯახის წევრთა მათდამი ნდობა. ქართლ-კახეთის სამეფოში ორი სამეფო მ. არსებობდა – ქართლისა და კახეთის. ცალკე მ. ჰყავდა დედოფალს. ქართლის მ-ს წელიწადში 20 თუმანი ჯამაგირად და 30 თუმანი ულუფის სახით ეძლეოდა. სავარაუდოდ, მიმსგავსებული შემოსავალი ექნებოდა კახეთის მ-ც. მ-ის პარალელურად XVIII ს-ში იხმარება ტერმინი მილახვარბაში, მაგრამ იგი გამოიყენებოდა, როგორც საპატიო ტიტული და მ-ის თანამდებობის უწყებრივ გაფართოებაზე არ მიანიშნებს.

ლიტერატურა: სურგულაძე 1952: 224-228.

ქართლისა და კახეთის მილახვრები. XVII-XVIII სს.

ავალიშვილი გიორგი – მ. [1685-1694] წწ. ახალდაბის მოურავი 1688 წ.

დემეტრე-ბეგი – მ. 1696 წ.

გურგენ – მ. 1698 წ.

ასლან – მ. 1737 წ.

ქაიხოსრო ციციშვილი – მ. 1737-1741 წწ.

სულხან – მ. და ეშკიკლასი. 1739 წ.

თაყა – მ. 1739 წ.

რევაზ – მ. 1743 წ.

ქაიხოსრო – მ. 1768 წ.

მერალი-ბეგ – მ. 1736-1742 წწ.

წყაროები: ხეც, Hd-10168, Hd-3790, Hd-2190, Hd-2584, Hd-13078, Hd-1684; ხეც, Q-871; Qd-377; Ad-1503; Ad-150; Ad-192; სეა: 1448-523, 1448-4408, 1448-3124, 1448-1282, 1449-2520, 1450-25/36, 1450-43/45-53; დსსი 1940: 262; ქსის 1955: 379; პალ 1991: 746.

ვ. კეკელია

მინბაში – (თურქ. minbāşi – ათასითავი, ათასეულის მეთაური). ადგილობრივი, „საქვეყნოდ გამრიგე“ სამხედრო მოხელე, მეციხოვნე, მნიშვნელოვანი ფიგურა აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ქართულ სამოხელეო აპარტში. ირანსა და თურქეთში **მ.** „ათასისთავის მეთაური“ იყო, სამხედრო რაზმის უფროსი, ასევე, მომთაბარე ტომებისა და არარეგულარული ჯარის მეთაური. მის ხელქვეითად უზბაშები (იხ.) ითვლებოდნენ, რომელთა დახმარებით **მ.** სამხედრო ნაწილს ხელმძღვანელობას უწევდა. **მ.**-ის ვალდებულებებში შედიოდა, საჭიროების შემთხვევაში< გარკვეული რაოდენობის ჯარის გამოყვანა, საბაჟო გადასახადების აკრეფა და მართლმსაჯულების აღსრულება.

ტერმინი **მ.** საქართველოში XVII ს-დან ჩნდება, როსტომის მეფობის პერიოდში, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში ძლიერდება ირანის გავლენა. **მ.**-ის შესახებ მასალა დაცულია ქართულ, საპრსულ და ქართულ-სპარსულ ისტორიულ დოკუმენტებში. ვახტანგ VI-ის „დასტურლამალში“ მოხსენებულია **მ.**-ის სახელო და ჩამოთვლილია საბაჟო გადასახდელები, რომლებიც უნდა აეკრიფა თბილისის (ქალაქის) **მ.**-ს სახვადასხვა ტიპის საქონელზე (ქსოვილები, კვების პროდუქტები, რკინის ნაწარმი და სხვ.). **მ.**, როგორც საოკუპაციო ხელისუფლების წარმომადგენელი, ვეზირსა (იხ.) და მუსტოფთან (იხ.) ერთად, ჩაენაცვალა ქართულ „ციხისთავს“. იგი თბილისის გარნიზონ-

ნის უფროსად და, ამავე დროს, ირანის მოხელედ ითვლებოდა ერეკლე II-ის დროსაც, მაგრამ, როცა ვითარება შეიცვალა და აღმოსავლეთ საქართველოში აღარ იდგა სოაკუპაციო ჯარი, მ., როგორც ციხისთავის აღმნიშვნელი სახელწოდება, დარჩა. მ-ები იყვნენ გორში, სურამში, თბილისში, ცხინვალში, რომელთაც, უმრავლეს შემთხვევაში, სამხედრო ფუნქციის გარდა, მმართველობის საერთო ფუნქციაც ეკისრებიდათ

ერეკლეს დროს, სამხედრო რეორგანიზაციის შედეგად, მ-ებსა და უზბაშებს ექვემდებარებოდა დაქირავებული ჯარი. ციხისთავობის გარდა, მ. იყო ათასისთავი, ხოლო უზბაში – ასისთავი. მათ ევალეობდათ ჯარის განვრთნა და წესრიგის უზრუნველყოფა, ასევე, თვალყურის მიდევნება ჯარისკაცებისათვის, რომ მათ შეკრების ადგილებში არ დაეზარალებინათ სოფლები.

მთავარმართებელ ციციანოვისადმი ზაზა ამირეჯიბის მიერ წარდგენილ მოხსენებაში მითითებულია ერეკლეს დროს მ-ის ჯამაგირი და სარგო: „მქონდა წელიწადში ოცდაათი თუმანი ჯამაგირი... დღეში ორი ლიტრა პური, კვირაში სამი ლიტრა ხორცი ცხვრისა, დღეში ერთი შაურის სანთელი, კვირაში ერთი ლიტრა მარილი, კვირაში სამი თუნგი ღვინო; აგრეთვე სამარხოში – სამარხო და თევზი და ხიზილალა.“

წყაროები და ლიტერატურა: დასტურლამალი 1970: 547-588; სს 1920: 187-198; მესხია 1948: 106, 152; გაბაშვილი 1942: 24, 201; სურგულაძე 1952: 293, 295.

მინბაშები. XVII-XVIII სს.

შაჰმირ – ციხის მ. 1639 წ.

ხალილ-ბეგი – თბილისის ციხის მ. 1693 წ.

მირზა/ხოჯა ეფთეხარი – თბილისის ციხის მ. 1693 – 1697 წწ.

ჰასან/ხასან-ბეგი – თბილისის ციხის მ. 1697 წ.

გოგია – ცხინვალის მ. 1766 წ.

ენდრონიკაშვილი აბელ – მ. [გიორგი XII-ისა].

ციციშვილი გიორგი – გორის ციხის მ. და რუისის ციხის მოურავი, 1803 წ.

ამილახვრის შვილი ბეჟან – მ. 1803 წ.

ამირეჯიბი ზაზა – მ. 1803 წ.

წყაროები: პალ 2015: 148; პალ 2004: 133; ქსის 1955: 151, 340; სმსფჰ 1949: 30, 38, 104-106; სის 1962: 44, 73; ТКПФ, 1955: 102; მესხია 1948: 93, 106, 107-108; დოკუმენტები: ხეც: Qd-727, Qd-806.

თ. აბულაძე

მისრატულთუხუცესი – ამირსპასალარის უწყების დანესებულების, ზარადხანის მოხელე. უშუალოდ ექვემდებარებოდა ზარადხანისუხუცესს (იხ.). ტერმინ **მ**-ის მნიშვნელობა მთლად ნათელი არ არის, მაგრამ აშკარაა მისი კავშირი ცხენის აღკაზმვასთან. ი. სურგულაძის აზრით, **მ**. იგივეა, რაც მეუზანგე ან მეაფჟანდე. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, **მ**-ს ევალებოდა მეფისათვის შეკაზმული ცხენის მიგვრა, რაშიც ზარადხანისუხუცესის (იხ.) უწყების ყველა მოხელე იღებდა სიმბოლურ მონაწილეობას. უკვე ამხედრებული მეფის ამაღლაში **მ**. ზარადხანის მეჯინიბესთან ერთად ზარადხანისუხუცესისა და ამირჩუხჩის უკან უნდა ჩამდგარიყო.

წყაროები და ლიტერატურა: ხელმწიფის კარის გარიგება 1970: 96; სურგულაძე 1970: 182, ანთელავა 1983: 65-66.

დ. კლდიაშვილი

მიშკარაბში/მირშეარბაში – (არაბ-სპარს-თურქ. mirşeqarbāši – მონადირეთა მეთაური, მონადირეთუხუცესი). სეფიანთა კარზე აღნიშნული თანამდებობა მირაკორ ბაშისთან (miraxor bāši – თავლების მთავარი მოხელე) ერთად იშეკ-ალას ბაშის (eşik-āqāsi bāši – მთავარი მცველის) რიგით მომდევნო მოხელეა. საქართველოში სამოხელეო ტერმინი **მ**. XVII ს-ის მიწურულს გვხვდება – იგი შემოუღია თეიმურაზ II-ის მამას, ერეკლე I ნაზარალი-ხანს, მაგრამ ამ დროს მან გავრცელება ვერ ჰპოვა. XVIII ს-ის მეორე ნახევარში, როდესაც ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივ წყობილებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები გატარდა – დაიწყო მმართველობის დარგებად დაყოფა, შეიქმნა ახალი თანამდებობები, ზოგიერთ თანამდებობას კი შეეცვალა სახელწოდება და, ნაწილობრივ, შინაარსიც. **მ**-მა (ობერგერმეისტერი), ჩაანაცვლა ბაზიერთუხუცესის (იხ.) სახელო. თავადი იოსებ ბეჰბუდოვი მთავარმართებელ პავლე ციციანოვისადმი წარდგენილ მოხსენებაში ჩამოთვლის საკუთარი სახლის იმ წევრებს, რომლებიც ფლობდნენ აღნიშნულ სახელოს: მისი მამის, ბასილისთვის თეიმურაზ II-ის (1744-1762) დროს **მ**-ობა უბოძებია იბრეიმ/იბრაჰიმ შაჰს (ავშრთა დინასტიის წარმომადგენელი, ირანის შაჰი 1748 წ.), შემდეგ ეს სახელო იოსების უფროს ძმას, იოანეს მიუღია. აქვე მითითებულია ის სარგო, რომელსაც გულისხმობდა ეს სამოხელეო თანამდებობა: ეს იყო ბორჩალოსა და ყარაიის შემოსავლების წილი – წელიწადში ასი თუმანი. თავად იოსებ ბეჰბუდოვი, მისი სიტყვების თანახმად, სხვა ფუნქციებსაც (დესპანობა და სხვ.) ასრულებდა (რაშიც დამატებითი შემოსავლები ჰქონია).

წყაროები და ლიტერატურა: მესხია 1948: 72, 96; სს 1899: 95-96; პაპუნა ორბელიანი 1981: 170; Tađkerat al-molük: 44. სურგულაძე 1952: 223; სინ 1973: 531; Savory 1986.

მიშკარბაშები. XVII ს-ის მიწურული – XVIII ს.

ოთარბეგ ორბელიშვილი – მ. 1695 წ.

გივი – მ. 1735-1742 წწ.

ვასილ, იოსებ ბეჰბუდოვის მამა – მ. 1744-1762 წწ.

ალა – მ. 1757 წ.

იოანე ბეჰბუდოვი – მ. XVIII ს. ბოლო ათწლეული.

იოსებ ბეჰბუდოვი – მ. XVIII ს. ბოლო ათწლეული.

წყაროები და ლიტერატურა: ქსის 1955: 455, 367; მესხია 1948: 72, 96; ხეც: Hd-148, Hd-181, Hd-3816, Hd-1684, Hd-2445, Qd-8667, სეა 1448-1, 3514, 1449-2176.

თ. აბულაძე

მოლარეთუხუცესი – მმართველობის ცენტრალური აპარატის მოხელე შუა საუკუნეების საქართველოში. მესაწოლეთუხუცესთან ერთად ექვემდებარებოდა მსახურთუხუცესს (იხ.). **მ.** მსახურთუხუცესის უწყების მოხელე იყო და მის ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა მეფის სამდივნოს მომსახურება. **მ.**-ს ებარა სახელმწიფო ბეჭედი, იგივე „დიდი სასიგლე ბეჭედი“, რომელიც სალაროში საგანგებოდ დაბეჭდილი ინახებოდა. **მ.**-ის სამოხელეო ნიშანი იყო დიდი თვალედი ბეჭედი, იგივე „საგახსნითე ბეჭედი“, რომელიც მას მეფისაგან ჰქონდა ბოძებული. ამ ბეჭედს **მ.** მუდამ ხელზე ატარებდა და მას შესანახად მოთავსებული „დიდი სასიგლე ბეჭდის“ დასალუქად იყენებდა. უკვე დაწერილი სიგელი მნიგნობარს „სალაროში“ მიჰქონდა, აქ **მ.** „საგახსნითე ბეჭდით“ დალუქულ „დიდ სასიგლე ბეჭედს“ იღებდა და სიგელს სათანადო ადგილას დაასვამდა. რადგან სამეფო კარი ხშირად მოძრაობდა, **მ.**, როგორც სახელმწიფო ბეჭედის მცველი, მეფის კორტეჟს თან მიჰყვებოდა და თან მიჰქონდა მოძრავი სალარო, რომელშიც ინახებოდა „დიდი სასიგლე ბეჭედი“ (ეს უნდა ყოფილიყო ე.წ. სამდივნო, ანუ „სიკისტროსან ჯორზე“ აკიდებული ბარგი). სიგლის დაბეჭდვის პროცედურებში მონაწილეობას იღებდნენ: **მ.**-ს დაქვემდებარებული სალაროს მოლარე, რომლის სარგო სიგელზე ორი დუკატი იყო და, მეგოდრე (იხ.), რომელსაც უნდა შეენახა დაბეჭდილი სიგელები. მოლარე, ამასთანავე, ასრულებდა მომხსენებლის, ამბის მიმტან-მომტანის ფუნქციას.

გვიანდელი შუასაუკუნეების საქართველოში სალაროს მთავარი გამგე ნაზირი (იხ.) იყო. **მ.**-ს, როგორც სახელმწიფო ბეჭედის მცველს, ებარა სამეფო სალაროს ერთი განყოფილება, საიდანაც, მეფის მოთხოვნის შესაბამისად, მისი კონტროლის ქვეშ შეიძლებოდა ძვირფასი სამოსის, ქსოვილების ან სხვა ძვირფასეულობის გამოტანა. „ბატონმა (მეფემ) რომ ფარჩა, ან სხვა სალაროდამ ითხოვოს, მოლარეთუხუცესი წინ

წაუძღვებოდეს თავლიდარს (იხ.) და ბატონს მიაართმევდეს. ხალათებსა ან ბატონის ტანისამოსს გამოაჭრევენებდეს, რაც ნაჭერი მორჩებოდეს, ერთს ქისაში ჩასდებდეს, მოლარეთუხუცესი დაბეჭდავდეს და თავლიდარს მიაბარებდეს“. მ-ს ევალეობდა მიელო სალაროს შემოსავალი, მეფის ბრძანებით გაეცა ხელფასი, საჩუქრები, მოემარაგებინა სასახლე პურით, ყველით, საპნით. მ-ს ჰყავდა ხელქვეითი მოლარეები. მას ემორჩილებოდა თავლიდარიც. სალაროში შემოსული და სალაროდან გაცემული საჩუქრებიდან მ-ს წილი ერგებოდა, ეკუთვნოდა აგრეთვე ყოველი გაცემული ჯამაგირიდან თუმანზე ორი შაური და სხვ. საკუთარი მ. ჰყავდა დედოფალსაც, რომელიც მეფის მ-ზე დაბალი რანგის მოხელედ ითვლებოდა. მ-ის ფუნქციები სალაროს ნაზირის ფუნქციების მსგავსი ჩანს, მაგრამ სალაროს ნაზირის თანამდებობის შემოღების შემდეგ (შემოიღო როსტომ მეფემ) მ. ერთი საფეხურით დაქვეითდა.

წყაროები და ლიტერატურა: ხელმწიფის კარის გარიგება 1965: 84; დასტურლამალი 1970: 653; ჯავახიშვილი 1982: 315-316; ჯავახიშვილი 1996: 440; სურგულაძე 1952: 188-192.

მოლარეთუხუცესები. XIV-XVII სს.

შატრავაძე ბევროზ – მ. 1398 წ.

თავხელისძე ხელი – მ. [1399-1419] წწ.

გარაყანიძე გიორგი – მ. 1432 წ.

ვირშელ – მ. 1442 წ.

მხეციძე სარგის – მ. 1448 წ.

ჭილასძე ქველი – მ. XV ს-ის

რევაზ – მ. XVI ს.

ხმალაძე შიოშ – როსტომ მეფის მ.

ჭავჭავაძე მამუკა – მ. 1639-51 წწ.

სოლაღაშვილი შიოშ – მ. 1619-1624 წწ.

რუსიშვილი რუსი – მ. 1664 წ.

რუსიშვილი პატი – მ. [1678-1688] წწ.

ბარათაშვილი ასლან – მ. 1677-1697 წწ.; სომხითის მოურავი 1692-1697 წწ.


ციციშვილი ვახტანგ – ბოქაულთუხუცესი 1672 წ-ის ახლო; მ. 1684-1695 წწ.

ორბელიშვილი მანუჩარ – მ. 1695 წ.

სეხნია – მ. 1722-1743 წწ.

წყაროები: პალ 1991: 396-397, 599; პალ 1993: 193, 269; პალ 2004: 247-248; პალ 2007: 59, 84-85, 187-188; პალ 2015: 140, 255, 328, 344, 396; მსეი 1953: 15.

მ. კეკელია



ჩვენ, მოლარეთუხუცესი პატა ამისი მონამე ვართ

ხეც, Hd-13695, 1736 წ. ნასყიდობის წიგნი მიცემული მდივან სოლომონ მაღალაშვილი მიერ ჯავახიშვილ იაკობისათვის.

მონადირეთუხუცესი – ერთიან ქართულ მონარქიაში მ. განაგებდა სამეფო ნადირობის საქმეს, რომელიც ფეოდალურ სახელმწიფოში სამხედრო წრეთვანას წარმოადგენდა და სავალდებულო საჯარო სამსახურის რანგში იყო აყვანილი. ნადირობის სამხედრო დანიშნულება აისახა ტერმინში „ლაშქარ-ნადირობა“, რომელიც არამწარმოებელ მოსახლეობაზე შენერილ სამხედრო ბეგარას ეწოდებოდა. ამავე დროს ნადირობა იყო ფეოდალური არისტოკრატიის დროსტარების ფორმა, რომელიც მეფის წინაშე თავის გამოჩენის და დანიშნულების საშუალებას იძლეოდა. მ-ად ინიშნებოდნენ მსახურები – ფეოდალური წოდების დაბალი საფეხურის (შდრ. დას. ევროპ. მინისტერიკლები) წარმომადგენლები, რომლებსაც თანამდებობა საგვარეულო პრივილეგიად ჰქონდათ ქცეული. მ-ის საგამგებლოს წარმოადგენდა სამეფო ნაკრძალები და სანადირო სადგომები, რომლებსაც თავ-თავისი მეურნეობა ჰქონდათ დომენის სხვადასხვა ადგილას. მ-ის მოვალეობებს შეადგენდა ნადირობის სამეფო რეგალიის მკაცრი დაცვა და კონტროლი, ნადირობის ორგანიზება – საჭირო დროსა და ადგილას მონადირეების მობილიზება, ნადირობის პროცესზე თვალყურის დევნება და მისი უსაფრთხოდ წარმართვა, მონადირეთა თვითნებობის აღაგმვა ახლომდებარე სოფლების მცხოვრებთა მიმართ. ამ მრავალგვარ ფუნქციას მ. ასრულებდა ტყისმცველთუხუცესებისა და ტყისმცველების, მეძალეებისა და ბაზიერების დახმარებით. მ-ის უწყებას ჰყოლია აბრამადიც (იხ.), რომელიც თამარის გელათისადმი ბოძებულ სიგელში ტყისმცველთუხუცესის უწინარეს იხსენიება. მისი ფუნქცია, სავარაუდოდ, სანადირო სადგომების მეურნეობის გაძღოლა და ნანადირევის მოვლა-პატრონობა იქნებოდა.

მ-ის გასამრჯელოს შეადგენდა: ბენეფიციუმი, რომელსაც იგი სამემკვიდრეოდ

ფლობდა, ნატურალური ან ფულადი ჯამაგირი და ე.წ. „ჩადგომა“, რომელიც ძალზე მძიმე ტვირთად აწვა გლეხობას. ამიტომ მეფეები მკაცრად განსაზღვრავდნენ, სად, რომელ სოფელში და რამდენი ხნით შეიძლებოდა ჩამდგარიყვნენ მონადირენი. მაგ., მეფე დემეტრე I-ს სოფელი ქანდა შიომღვიმის მონასტრისათვის გაუცვლია სხვა სოფელში, რათა იგი მხოლოდ მონადირეთა სადგომად გამოეყენებინა. გიორგი III შიომღვიმის მონასტრისათვის ბოძებულ რამდენიმე სოფელს მხოლოდ ერთი დღე-ღამის განმავლობაში სთხოვს ბაზიერების შენახვას. დავით ნარინი ხეფინისხეველებსა და ნაქველებს ათავისუფლებს მონადირეთა „ჩადგომისაგან“, მეფე საგანგებოდ აფრთხილებს ტყისმცველთუხუცესებს და ტყისმცველთ, რომ თუ რამ დარღვევას შეამჩნევდნენ შეწყალებულ სოფლებში, „შიგა ნუ ჩაუდგებიან“, „გარედან“ გადაახდევინონ დამნაშავეს საურავი.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, კახეთსა და იმერეთში მ-ის განკარგულებაში ერთად ყოფილა მონადირეთა 260 სახლი, რომლებიც, როგორც ჩანს, ამავე მხარეებში არსებულ მეფეთა სანადირო სადგომებზე იქნებოდნენ მიწერილნი. ზამთრის თვეებში, გიორგობიდან თევდორობამდე, მონადირენი მ-ის მეთაურობით სამეფო კარზე იმყოფებოდნენ და გადაკვეთილ ულუფას იღებდნენ.

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“ აღწერილია სამეფო კარზე მონადირეთა გაცილების რიტუალი, რომელიც თევდორობის დასასრულს იმართებოდა და ძალზე არქაულ შრეებს მოიცავს. ამ დროს მონადირეებს აძლევდნენ გასამრჯელოს – 3-3 თეთრს, ხოლო ხორციელის კვირას – ექვს-ექვს ტყავს. ამის შემდეგ მწიგნობარი აღრიცხავდა მონადირე ძალებს, გადაარჩევდა სამეფოდ რამდენიმეს, ხოლო დანარჩენ ექვს მონადირეს გადაუნაწილებდა გამოსაკვებად და გასაზრდელად. ამის შემდეგ მონადირენი ლამპრებით ხელში მეფის, მისი სახლეულისა და ვაზირთა წინაშე წარდგებოდნენ, აქ მათ მეფე-დედოფალი და ვაზირები პურ-ღვინოს და საკლავს უბოძებდნენ. როგორც კი მონადირენი საგამგეოდან მიიღებდნენ კუთვნილ საქონელს, ანთებული ლამპრებით ხელში ფერხულს ჩააბამდნენ, შემდეგ კი თავ-თავის გზაზე წავიდოდნენ. როგორც ჩანს, ამ რიტუალის გაგრძელება ყოველთვის მშვიდობიანი არ იყო, რადგან, შეიძლებოდა, სასახლის მწიგნობარს მონადირეებისათვის ყოველთვის სრულად ვერ მიეცათ კუთვნილი საქონელი. ასეთ შემთხვევაში მონადირეები მათ უდიერად ექცეოდნენ – „აგინებდნენ და რაც უარესია“.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, მ. მისი ზოგიერთი პრივილეგიით სამეფო კარის დიდებულ მოხელეებსაც აღემატებოდა. მაგ., საახალწლო რიტუალში, რომელშიც მრავალი არქაული ელემენტი შემორჩენილი, მ. მთავარ ფიგურას წარმოადგენდა. მას ევალებოდა მეფის შემოსვა ყვითელი ფერის სამოსით, რის შემდეგაც იგი მეფეს საღვინეში უნდა გაჰყოლოდა, სადაც ტაბლასთან სვამდნენ და ველური ტახის თავს მიართმევდნენ. მეფისგან მოშორებით მ-ის ხელქვეითი ტყისმცველი და მონადირე

რენი სხდებოდნენ. მ-ს მეფისათვის მწვადი უნდა მიერთმია და ეკითხა: „ხვალ საით ჰკვლენ“? (სად იქნება ნადირობა?). მეფე დაუსახელებდა ადგილს, რის შემდეგაც მ-ს ღვინით შევსებულ ჭიქას უბოძებდა. მ. მეფის წინაშე შესვამდა ღვინოს და მხოლოდ ამის შემდეგ დაჯდებოდა კუთვნილ ადგილას.

საქართველოს სამეფოებად დაშლის შემდეგ მ-ის თანამდებობა ქრება და მის ადგილს ბაზიერთუხუცესი (იხ.) იკავებს. ეს ცვლილება სამეფო ნადირობის საჯარო ფუნქციის შესუსტების ტენდენციას ამჟღავნებს, თუმცა ლაშქარ-ნადირობა, როგორც სამხედრო ბეგარა, XVIII საუკუნის გასულამდე დარჩა საქართველოში. ქართლ-კახეთში მას ნიადაგი გამოეცალა 1770-იანი წლების ბოლოს, როცა ერეკლე II-მ მორიგე ჯარი შემოიღო.

წყაროები და ლიტერატურა: ქისკ 1984: 69, 79, 168; ხელმწიფის კარის გარიგება 1965: 80, 88-89; ვახუშტი 1973: 22; იოანე ბატონიშვილი 1936: 215-216; ჯავახიშვილი 1982: 323-325; ჩხატარაიშვილი 1979: 168, 174, 187, ანთელავა 1983: 212-213. სურგულაძე 2221-223.

მ. სურგულაძე

მორდარი – (სპარს. *mohrdār* – ბეჭდის მცველი); სეფიანთა ირანის ადმინისტრაციის სხვადასხვა სახის ბეჭდის მცველი, რომელიც სხვა მოხელეებთან – მდივანბეგთან (*dīvānbeği*), სახელმწიფო მდივანთან (*monš’ al-mamālek*), სამეფო ექიმთან (*hakīm-bāši*), სამეფო ასტროლოგთან (*monajjem-bāši*) და სხვ. ერთად შედიოდა სასახლის შიდა ადმინისტრაციული აპარატში (*moqarrab al-kāqāns*). ქართულ წერილობით წყაროებში ეს ტერმინი სხვადასხვა გახმოვანებით გვხვდება: მოჰრდარი / მურდარი / მორდალი. მ. მეფის სამდივნოს მოხელე იყო და სახლთუხუცესს ექვემდებარებოდა. მას ეკავა უაღრესად საპასუხისმგებლო თანამდებობა – ჩაბარებული ჰქონდა მეფის დიდი და პატარა საბეჭდავები, რომლებიც, უპირველესად, უნდა დაეცვა და შემდგომ დანიშნულებისამებრ გამოეყენებინა. ამიტომ მ-ის თანამდებობაზე მეფეები ნიშნავდნენ ერთგულებით გამორჩეულ „მისანდო“ პირებს.

მ. იხსენიება როსტომ მეფის მიერ 1638 წ. მანუჩარ თუმანიშვილისადმი ბოძებულ ქართულ-სპარსულ დოკუმენტში, რომელშიც ამ სახელოს სარგოსა და ფუნქციებზეა საუბარი. აღნიშნული საბუთის მიხედვით, ყველა სახეობის სიგელი და სხვა დოკუმენტები მ-ს უნდა დაებეჭდა, მაგრამ, მოგვიანებით, ქართლის მეფე ერეკლე I (ნაზარალი-ხანის) დროს (1688-1703) მ-ის როლი დაკნინებულა და მეფის საბუთების დაბეჭდვის პრივილეგია ვეზირსა (იხ.) და მუსტოფს (იხ.) გადასცემიათ, რომლებიც უშუალოდ შაჰის მოხელეები იყვნენ ქართლის მეფის კარზე. „დასტურლამალში“ შეტანილი მ-ის განწესება უჩვენებს, რომ ერეკლე I-ის შემდგომ მას თავისი ძველი ფუნქციები დაბრუნებია.

ქართულ წყროებში „სამურდროს“ სამი დებულებაა ცნობილი: ერთი „დასტურლა-მალშია“ შეტანილი, მეორე, 1703-1724 წლებში შედგენილი, ხოლო მესამე – „სამორდალოს განწესება“ მთავარმართებელ ციციანოვს წარუდგინეს ზაალ ბარათაშვილმა და იროდიონ გურგენიძემ. ამ განწესებათა მიხედვით, ქართლ-კახეთის მ-ებს ეკუთვნოდათ სარგო სამეფოს ყოველი იჯარიდან, იასაულებისგან აღებული თამასუქებიდან, მეფის მიერ გაცემული დოკუმენტების, სიგელების, ოქმების, განაჩენთა დაბეჭდვისათვის და სხვ.; XVIII ს-ის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოში ორი სამეფო მ. იყო – ქართლისა და კახეთის. „რაც მეფისგან წყალობა ებოძებოდათ ქართლსა და კახეთსა, თავადთა, აზნაურთა თუ გლეხთა თუ თათართა, ჩვენ, მორღლებსაგან უნდა მისცემოდათ წყალობის სიგელი“ – წერს გიორგი XII-ის ყოფილი მ. იროდიონ გურგენიძე აღნიშნულ მოხსენებაში.

მ-ის თანამდებობაზე, ძირითადად, ვხვდებით სამეფო აზნაურებს: ქართლში – თუმანიშვილებს, შანშეან-მარტიროზიშვილებს, კახეთში ხერხეულიძეებს, თავადთაგან ჩოლაყაშვილებს და სხვ.

წყაროები და ლიტერატურა: მესხია: 1948: 021, 46-47, 47-48; ქსის 1955: 146, 142-143; გაბაშვილი 1942: 177; სურგულაძე 1952: 242-244; Savory 1986.

თ. აბულაძე

მოურავი – ადგილობრივი ადმინისტრაციული აპარატის მთავარი მოხელე შუა საუკუნეების საქართველოში. თავდაპირველად, მისი ფუნქციები სამეურნეო სფეროს შეეხებოდა (მამულისა და მეურნეობის გამგებლობა), გვიანფეოდალურ საქართველოში კი, ადმინისტრაციული, სამხედრო და სასამართლო ფუნქციებიც შეითავსა. მ-ის თანამდებობა საქართველოს ერთიანობის ხანის წყაროებშიც („ხელმწიფის კარის გარიგება“) მოიხსენიება, მაგრამ აქ იგი ცენტრალური აპარატის მოხელე ჩანს. მოგვიანოდ, XV ს-ში, მ., როგორც ქალაქის მმართველის აღმნიშვნელი ტერმინი, ენაცვლება ამირას (იხ.) და ამირთ-ამირას. აღმოსავლეთ საქართველოში მ-ის პარალელურად XVI-XVIII სს-ში იხმარება ირანის გზით შემოსული მონღოლური ტერმინი „ტარულა“ (იხ.), რომელიც ირანში მ-ის შესაბამის სამოხელეო ინსტიტუტს ეწოდებოდა. მ-ის სახელო სამემკვიდრეო მფლობელობის ისეთივე წყალობის ობიექტი იყო, როგორც მამული და ყმები.

მ. ერქვა, უპირველესად, ქალაქების გამგებლებს, ამასთანავე, ქალაქის მ-თა უფლებები იმ ქალაქის მნიშვნელობით განისაზღვრებოდა, რომელსაც იგი განაგებდა. მაგრამ, გარდა ქალაქებისა, მ. ეწოდებოდა ვრცელი სამეფო მამულების, ცალკეული სოფლების, XVII ს-დან კი ელებით დასახლებული ტერიტორიების (ისტორიული სომხითი – ქვემო ქართლი, ალგეთისა და დმანისის ხეობები, თრიალეთი, ტაშირი; ყარაიის ველი) სამეურნეო-ადმინისტრაციულ გამგებლებსაც. ამ უკანასკნელთა

ვალდებულებებს და სამართლებრივ ჩარჩოებს XVIII ს-ში არეგულირებდა ე.წ. „ელის დებულება“ (დასტურლამა), რომლის დაცვა-შესრულებას ელების მ-ები ხელმძღვანელობდნენ.

მ-თა შორის განსაკუთრებული პოლიტიკური წონა ჰქონდა თბილისის („ქალაქის“) **მ**-ს. XVII ს-დან თბილისის **მ**. ქართლის მეფის (ირანის ვალის) მიერ ინიშნებოდა და დიდი გავლენა ჰქონდა სასახლის კარზე. XVII ს-ის დასაწყისში თბილისის **მ**. იყო ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე გიორგი სააკაძე; მის შემდგომ ამ თანამდებობაზე ერთმანეთს ენაცვლებიან ბარათაშვილები, მუხრანბატონები, ციციშვილები, ყაფლანიშვილ-ორბელიშვილები, გიორგი სააკაძის შთამომავალი თარხნიშვილები და სხვ. ქართლში ერეკლე I-ის მეფობის დროს თბილისის **მ**-ის თანამდებობაზე კახელი თავადებიც ჩანან (ჩოლაყაშვილები). „ქალაქის“ **მ**-ები ერთდროულად შეიძლებოდა ყოფილიყვნენ სარდლები, ბოქაულთუხუცესები, მერიქიფეები და სხვ.

მნიშვნელოვანი თანამდებობა იყო გორის **მ**-ობა (დაარსდა XII ს-ის დასაწყისში), რომელიც XV ს-იდან მემკვიდრეობით ეკავათ ზევდგინისძე-ამილახვრებს. XVII ს-ში როსტომ მეფის მიერ შედგენილი გორის **მ**-ის განაწესი – „დასტურლამა“ – შემდგომში ერეკლე I-მა განაახლა. გორის **მ**. ამილახვრები, ტრადიციულად, შიდა ქართლის სადროშოს სარდლები იყვნენ.

მ-ის ვალდებულებების, სარგოსა და შემოსავლების შესახებ დეტალურადაა საუბარი ვახტანგ VI-ის „დასტურლამალში“. ქალაქების მოურავთა ახალი წეს-განგებები შემუშავდა XVIII ს-ის 90-იან წლებშიც, ერეკლე II-ის დროს.

მ-ობა უაღრესად ფართო უფლებების მომცველი და, ამავე დროს, დიდად შემოსავლიანი თანამდებობა იყო. **მ**. იყო ქალაქის ადმინისტრაციული უწყების ხელმძღვანელიც, საქალაქო მეურნეობის მმართველიცა და ზედამხედველიც. ქალაქის **მ**-ს ემორჩილებოდნენ მელიქი, მამასახლისი (იხ.), ნაცვალი და ასასი (იხ.).

მ-ის კომპეტენციაში შედიოდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, მეფისა და ცენტრალური ორგანოების განკარგულებების აღსრულება, ასევე, სამოქალაქო სამართლის (ძირითადად, ვალდებულებითი და სანივთო სამართლის) საქმეების გარჩევა, როგორც იყო დავები მიწის საზღვრებზე, მამულზე, ვალზე, უთანხმოებაზე, ზარალის ანაზღაურებაზე და სხვ.; მასვე ევალებოდა მეთვალყურეობა პროდუქტების ფასებზე, წონისა და სხვა საზომების სიზუსტეზე. **მ**-ის სასამართლო იურისდიქციის ფარგლები ტერიტორიულობის პრინციპით იყო შემოსაზღვრული. ამ ფუნქციას, ძირითადად, მეფის სახასო მამულებისა და თბილისის **მ**-ები ასრულებდნენ. ამ უკანასკნელის ფუნქციები განსაკუთრებით გაფართოვდა 1784 წ-დან და გავრცელდა ქალაქის ყველა მცხოვრებზე. **მ**-ის შემოსავლის ძირითადი წყარო გადასახადები იყო. „დასტურლამალში“ ჩამოთვლილია 15 გადასახადი, რომლებიც მოსახლეობას **მ**-ის სასარგებლოდ უნდა გადაეხადა: ნატურით გადასახადი (ხორბალი, ქერი, ღვინო/კულუხი/, ცხვრისა

და ბატონის გადასახადი); სადღესასწაულო გადასახადები (სააღდგომო, საშობაო, საყველიერო), სამასპინძლო; ბეგარა – ფიზიკური მუშაობა, გამწევი ძალა; ფულადი გადასახადი; დაწესებული იყო ზოგიერთი ადგილობრივი გადასახადიც (თივა, სანთელი, ნესვი და სხვ.).

განსხვავებული შინაარსი და მნიშვნელობა ჰქონდა მ-ის თანამდებობას კახეთში. კახეთის დამოუკიდებელი სამეფოს პირველმა მეფემ გიორგი VIII-მ (1446-1476) საერისთავოების სანაცვლოდ შექმნა ახალი სამხედრო-ადმინისტრაციული ოლქები (ელისენი, ქიზიყი, თუშეთი, ერწო-თიანეთი), რომლებსაც სათავეში მ-ები ჩაუყენა. XV ს-დან მოყოლებული, მ-ის ინსტიტუტმა განსაკუთრებული როლი შეასრულა კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი წყობილების განმტკიცების საქმეში. კახეთში მ. შეიძლებოდა რქმეოდა ქალაქის ბაზრის გამგებელსაც, მაგ., თელავის ბაზრისას და არა მთლიანად თელავისას, რადგან თვითონ ქალაქი ქიზიყის სამოურავოს ექვემდებარებოდა. XVIII ს-ის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოში ერეკლე II შეეცადა მმართველობის ადგილობრივი ორგანოები სამოურავოების ერთიან სისტემაზე გადაეყვანა. დავით ბატონიშვილის ცნობით, მ. სახელმწიფოს „შინაგანი“ მმართველობის მოხელე იყო, რომელსაც მეფე ნიშნავდა ქართველი თავადებისა და აზნაურებისაგან. ამ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის ძირითადი მოხელე მ. გახდა და მათი რაოდენობა ქართლსა და კახეთში ოცდათვრამეტმდე ავიდა.

წყაროები და ლიტერატურა: დასტურალამალი 1970: 538, 542-544, 570, 578, 580-582, 586, 589-595, 599, 603, 610-620, 630, 709-716; 801-811; პალ 2007: 92-95; სურგულაძე 1952: 394-407; Месхиа 1959: 244-262; კოპალიანი 1982: 40; კეკელია 1970: 175-183; დსსი 1962: 271; ქიქოძე 1963: ნაკვ. 35: 109, 11; სინ, 1973: 240-242.

მოურავები. XVII-XVIII სს.

თბილისის მოურავები:

სააკაძე გიორგი – სიაოშ სააკაძის ძე, ქალაქის (თბილისის) და ქართლის (ცხინვალის, დვალეთის, სომხითის) მ. / თბილისის **ამირათ-ამირა 1608-1612 წწ.**, XVI ს-ის 90-იან წწ. სვიმონ I-თან ერთად იბრძოდა ოსმალების წინააღმდეგ. 1600-1606 წწ. იყო გიორგი X-ის თანამებრძოლი, შემდეგ მოღვაწეობდა ლუარსაბ II-ის კარზე. 1608-1612 წწ-ში ხელმძღვანელობდა პოლიტიკურ დასს, რომელიც იბრძოდა მეფის ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისთვის. 1612 წ-დან, ქართლიდან დევნილი, ირანის შაჰის სამსახურშია. 1619 წ. შაჰმა იგი სვიმონ II-ის ვეჟილად დანიშნა. 1625 წ-ს კახეთის მეფე თეიმურაზ I-თან ერთად სათავეში ჩაუდგა აჯანყებას ყიზილბაშთა წინააღმდეგ. მასთან განხეთქილების შემდეგ გადაიხვეწა ოსმალეთში, სადაც დაინიშნა კონიის ვილაიეთის მმართველად. აქ იგი მოკლეს დიდი ვაზირის ხუსრევ ფაშას ბრძანებით. მოიხსე-

ნიება თანადროულ ქართულ და სპარსულ ნარატიულ წყაროებში, ქართულ, სპარსულ და ქართულ-სპარსულ ისტორიულ დოკუმენტებში.

წყაროები და ლიტერატურა: ვახუშტი 1973: 420; პალ 2007: 92-95; სის 1961: 14, 38; ქსის 1955: 52, 83, 85; ისქანდერ მუნში 1969: 73, 115, 121, 123, 124, 125, 132; ТКИФ 1955: 24, 38; სინ 1973: 255-261, 273-275, 277- 283; ბერძენიშვილი 1966: 114-115.

ბარათაშვილი ქაიხოსრო – ბოქაულთუხუცესი 1619-1626 წწ.; საბარათაშვილოს სარდალი, მეკობრისმძებნელი 1623 წ.; ქალაქის (თბილისის) მ. 1626 წ.; სახლთუხუცესი 1627-1642 წწ.

მანუჩარ – მეითარი, მერიქიფეთუხუცესი და ქალაქის მ. 1634-1679 წწ. მ-ის თანამდებობას ფლობდა როსტომისა და ვახტანგ V (შაჰნავაზის) მეფობის წლებში (პალ 2004: 51-53).

პაატა/პაატაბეგ – მეითარ მანუჩარის შვილი; ქალაქის მ. 1679 წ., სუფრაჩი 1679-1690 წწ. (პალ 2007: 3-4).

ჩოლაყაშვილი ფირან – ქალაქის მ. 1694-1700 წწ. (პალ 201: 227).

თარხნიშვილი გიორგი – ქალაქის მ. 1700-იანი წწ. (ქსოის 1984: 33).

[თარხნიშვილი] ავთანდილ – ქალაქის მ. 1710-1723 წწ. (ქსის 1955: 424; სეა, 1450-24/39).

ორბელიშვილი ერასტი – ქალაქის მ.; მდივანბეგი. 1727 წ.(სეა, 1450-48/61).

ამილახვარი გივი – ქალაქის მ. 1750-1764 წწ. (პაპუნა ორბელიანი 1981: 159, 196, 211).

ციციანოვი ევსტათი – თბილისის მ. XVIII ს-ის 90-იანი წწ. (მესხია 1948: 91-95).

გორის მოურავები

ზედგენიძე ავთანდილ (I) – გორის მ. და ეზოს ჩუხჩარები – 1425-1430 წწ. (ქისკ 2013: 139, 155, 165).

ზედგინისძე ზევდგინ – ეზოს ჩუხჩარები და გორის მ. 1453 წ. (ქისკ 2014: 67).

ჯავახიშვილი გამრეკელ – გორის მ. 1454 წ.; ატენის მ. [1466-1478] წწ. (ქისკ 2014: 83, 173, 174).

ამილახორი ბარძიმ – გორის მ., დამოყვრებული იყო კახეთის მეფე ალექსანდრე II-სთან, რის გამოც სვიმონ I-ის მონინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდა. 1578 წ. ვახტანგ მუხრანბატონთან და ქსნის ერისთავ ელიზბართან ერთად ეახლა ოსმალთა მუსტაფა ლალა-ფაშას და მორჩილება აღუთქვა, რითაც გადაარჩინა ქართლი აოხრებას. ირანის

ტყვეობიდან დაბრუნებულმა სვიმონ I-მა მას ჩამოართავა გორის მოურავობა (ვახუშტი 1973: 410, 519, 576, 578).

ამილახვარი გივი (I) – იოთამის ძე, ზემო ქართლის სადროშოს სარდალი და გორის მ. 1656-1696 წწ.; ვახტანგ V-ისა და არჩილ II-ის აქტიური მხარდამჭერი. გიორგი XI-სთან ერთად მონაწილეობდა სპარსელების წინააღმდეგ აჯანყებაში; 1688 წ. აჯანყების დამარცხების შემდეგ, რაჭას შეაფარა თავი და იქვე გარდაიცვალა (ვახუშტი 1973: 450-451, 457; პალ 1991: 119-122).

ამილახორი იოთამ (II) ანდუყაფარის ძე – ბოქაულთუხუცესი 1686-1692 წწ.; ზემო ქართლის სარდალი; გორის და ქრციხლვანის მ. 1692-1698 წწ. ნაზარალი-ხანისა და გიორგი XI-ის დაპირისპირებისას დაიჭირა ნაზარალი-ხანის მხარე (პალ 1991: 124-125).

ამილახორი ავთანდილ (II) – ეშიკალასბაში 1692-1698 წწ., გორის მ. 1699 წ.; იოთამ (II) ამილახვარის ძმა. ნაზარალი-ხანისა და გიორგი XI-ის დაპირისპირების დროს იგი ნაზარალი-ხანს მიემხრო (პალ 1991: 116-117).

ამილახორი გივი (III) – ოსმალთა პერიოდში ქართლის სანჯაყის გამგებელი, 1741 წ-დან ქართლის ვეჯილი; 1745 წ-დან ირანის გვარდიის ყულარალასი, მაზანდარანისა და გულისტანის პროვინციების მმართველი, 1749 წ-დან ზემო ქართლის სადროშოს სარდალი და გორის მ.; პოლიტიკურ ასპარეზზე ჩანს 1722 წლიდან; 1727 წ. ოსმალების მიერ დაინიშნა ზემო ქართლის სანჯაყის გამგებლად, გადაარჩინა თბილისის სიონი ოსმალთაგან დანგრევას; 1734-1735 წწ. ნადირ-შაჰთან ერთად ებრძოდა ოსმალებს; 1737 წ. გორიდან განდევნა ოსმალები; 1736 წ. სათავეში ჩაუდგა ანტიირანულ აჯანყებას (შანშე ქსნის ერისთავთან და ვახუშტი აბაშიძესთან ერთად); 1737 წ. ავღანეთში იბრძოდა ირანის სამხედრო ძალების შემადგენლობაში; 1741 წ. დაინიშნა ქართლის ვეჯილად, დაუმტკიცდა ამილახვრობა და ქსნის ერისთავობა; 1742 წ-იდან ისევ ირანელთა წინააღმდეგ აჯანყების წინამძღოლია; 1745 წ. თეიმურაზ II-მ გააგზავნა ირანში, სადაც მიიღო ისლამი (ენოდა შაჰყული-ხანი) და გახდა ირანის გვარდიის ყულარალასი, მაზანდარანისა და გულისტანის პროვინციების მმართველი; 1749 წ. სხვა ქართველებთან ერთად ხელში ჩაიგდო შაჰის საგანძური და საქართველოში დაბრუნდა. ამის შემდეგ დარჩა თბილისში და მიიღო თბილისის მ-ობა. ენოდა აღმშენებლობით საქმიანობას, ფინანსურ და სამხედრო დახმარებას უწევდა თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს.

წყაროები და ლიტერატურა: ვახუშტი 1973: 450, 452, 458, 460, 465, 501, 600, 631; სეხნია ჩხეიძე 1913: 49; პაპუნა ორბელიანი 1981: 46-50, 52, 55-64, 66-73, 90-98.149-154; ქსოის 1984: 45; ხეც: Sd-1903, Hd-9703; სეა, 1448-769; ხეც, Qd-8925; სეა: 1461-3/133, 1448-5032, 1449-285; ხეც: Hd-2127, Hd-2134; გსიემ 4640-147/185; სეა, 1450-45/132; ხეც: Hd-2127, Hd-2134; ქიქოძე 1963: 111-112; სინ 1973: 448, 453-454, 602-603; ლომიძე 2007: 127-149.

ამილახვარი იოთამ (I) ფარემუზის ძე – ზემო ქართლის სარდალი, გორის მ. 1630-1648 წწ. (პალ 1991: 123).

ამილახვარი იოთარ – ქართლის სარდალი, გორის მ. XVIII ს. მეორე ნახ. (მესხია 1948: 84, 85, 86).

კახეთის მოურავები:

ჩოლაცაშვილი მამუკა – თუშთ მ. 1688]-1694 წწ. (პალ 2015: 222).

ჩოლაცაშვილი ჯიმშერ – თუშთ მ. 1743 წ. (Ad-1421; კაკაბაძე 1913: 61-62).

ჩოლაცაშვილი ზაალ – ქიაურთ/თიანეთის მ. 1566 წ. (პალ 2015: 221).

ჩოლაცაშვილი გომფარ – ქიაურთ/თიანეთის მ. 1568-1593 წწ. (პალ 2015: 220).

ჩოლაცაშვილი შანშე – ქიაურთ/თიანეთის მ. 1526-1656 წწ. (პალ 2015: 228).

ჩოლაცაშვილი გარსევან – თიანეთის მ. 1688-1703 წწ. (პალ 2015: 219).

ჩოლაცაშვილი გივი – თიანეთის მ. 1735-1739 წწ. (ხეც: Ad-221, Ad-714ა).

ჩოლაცაშვილი ომან – თიანეთის მ. 1741 წ. (ხეც, Hd-2941, სეა, 1449-442).

ანდრონიკაშვილი თამაზ – ქიზიყის მ. XVII ს-ის პირველ ნახ.; ებრძოდა ყიზილბაშებს, აღადგინა დანგრეული ციხე-სიმაგრეები კახეთში, დააბრუნა გახიზნული მოსახლეობა; 1617 წ. მეთაურობდა ხორნაბუჯის დაცვას (ქსე I 1975: 450).

ანდრონიკაშვილი გიორგი – ქიზიყის მ. 1643 წ. (პალ 1991: 650).

ანდრონიკაშვილი აბელ (I) – ქიზიყის მ. 1675-1695 წწ. მან, სახლთუხუცესმა რევაზ ჩოლაცაშვილმა და ენისელთ მ-მა მერაბ ვაჩნაძემ 1688 წ. გიორგი XI-ს პირობა მისცეს, რომ მოკლავდნენ ირანელ ხანს და კახეთში გიორგის გააბატონებდნენ, მაგრამ სარდალ თამაზ ბარათაშვილის განდგომის გამო ეს განზრახვა ჩაიშალა (ვახუშტი 1973: 606; სმსფკ 1949: 34; პალ 1991: 149-150).

ანდრონიკაშვილი რევაზ – ქიზიყის მ. 1696-1700 წწ., ბოქაულთუხუცესი 1693-1695 წწ. (პალ 1991: 155).

ანდრონიკაშვილი პაატა – ეშიკალასბაში და ქიზიყის მ. 1700-1703 წწ. (პალ 1991: 155).

ანდრონიკაშვილი აბელ (II) – ქიზიყის მ. 1703 წ.; იგი გაიწვიეს ირანში, რის გამოც დაკარგა მ-ის თანამდებობა; კახეთში კონსტანტინეს (მაჰმადყული-ხანის) მმართველობის დროს დაიბრუნა მ-ის სახელო. ებრძოდა ოსმალებს; თავი გამოიჩინა ისაყ-ფაშას წინააღმდეგ ბრძოლაში; 1735 წ. ცდილობდა კახეთში ალექსანდრე ბატონიშვილის (ალი მირზას) გამეფებას (ვახუშტი 1973: 606, 626, 628; ხეც, Hd-397).

ანდრონიკაშვილი გიორგი – ეშიკალასბაში და ქიზიყის მ. 1724 წ. (ქსის 1955: 434, 435; დსსი 400-401).

ანდრონიკაშვილი თამაზ/თომა – ქიზიყის მ. XVIII ს-ის შუა წწ-ში; ერეკლე II-ის მამიდაშვილი. 1746 წ. მან სასტიკად დაამარცხა ქიზიყში შეჭრილ დაღესტნელთა 15 ათასიანი ლაშქარი. ამ გამარჯვების გამო ნადირ-შაჰმა ირანში მიიწვია და დააჯილდოვა. 1747 წ. საქართველოში დაბრუნდა და 1747-1749 წწ-ში თავი გამოიჩინა აბდულაზგის ნინაალმდეგ ბრძოლაში. 1752 წ. დაევალა შინაპატიმრობაში ჰყოლოდა ერეკლე II-ის პოლიტიკური მოწინააღმდეგე პაატა ბატონიშვილი. მალე მას ბატონიშვილის ხელის შეწყობა დასდეს ბრალად და ერეკლე II-ის ბრძანებით 1754 წ-ის აპრილში დააპატიმრეს, ქიზიყის მ-ად მის ნაცვლად ისე ამილახორი დანიშნეს. მოკლე ხანში მას ძველი პატივი დაუბრუნეს, მაგრამ 1759 წ. ერეკლე II-მ კვლავ შერისხა იგი და ქიზიყის მ-ობა პაპუნა ანდრონიკაშვილს გადასცა (პაპუნა ორბელიანი 1986: 109, 110, 113).

ანდრონიკაშვილი პაპუნა – ქიზიყის მ. 1759–1764 წწ.

ანდრონიკაშვილი რევაზ – ქიზიყის მ. XVIII ს-ის შუა ხანებიდან 1780 წ-მდე. 1770-1780 წწ-ში თავი გამოიჩინა მოთარეშე ლეკთა წინააღმდეგ ბრძოლებში. 1766 წ. მისი და ქეთევანი გიორგი ბატონიშვილის (შემდეგში გიორგი XII) მეუღლე გახდა, რამაც განამტკიცა ანდრონიკაშვილის პოზიციები სამეფო კარზე. იგი დაუპირისპირდა პოლიტიკურ დაჯგუფებას, რომელსაც დარეჯან დედოფალი ედგა სათავეში. 1780 წ. დარეჯან დედოფლის ინიციატივით ანდრონიკაშვილს ჩამოართვეს ქიზიყის მ-ობა (ქსე | 1975: 451).

ანდრონიკაშვილი ზაქარია – ქიზიყის მ.; 1780-1790-იან წწ-ში იბრძოდა ლეკების წინააღმდეგ; იმყოფებოდა რუსეთში, საიდანაც დაბრუნდა 1771 წ. 1780 წ. დაინიშნა ქიზიყის მ-ად; თავი გამოიჩინა კრწანისის ბრძოლაში (1795 წ.) (ქსე | 1975: 450).

ანდრონიკაშვილი რევაზ – ქიზიყის მ. მეფე ერეკლე II-ის მეფობის დასასრულსა და გიორგი XII-ის დროს (მესხია 1948: 88).

ჯორჯაძე დავით – ენისელთ მ. 1577-[1605] წწ. (პალ 2015: 511).

ჯორჯაძე მერაბ – ენისელთ მ. [1648-1654] წწ. (პალ 2015: 513).

ჯორჯაძე დავით – ენისელთ მ. 1664-1669 წწ. (პალ 2015: 511-512).

[ჯორჯაძე] სულხან – ენისელთ მ. 1669-[1694] წწ. (პალ 2015: 514).

ჯორჯაძე მერაბ – ენისელთ მ. 1698 წ. (პალ 2015: 513).

ჯორჯაძე ნოდარ – ენისელთ მ. 1694-1700 წწ. არჩილ მეფის სახლთუხუცესი 1684-1700 წწ., ახლდა არჩილ მეფეს ასტრახანში, მის შვილებს – მოსკოვში (1682-1683 წწ.). 1684 წ. ნაზარალი-ხანი შეჰპირდა ენისელთ მ-ობას, თუ შაჰი უბოძებდა კახეთს. ნაზარალი-ხანს კახეთი არ მიუღია, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი რეკომენდაციით 1694 წ. ახლო ხანებში ნოდარს მაინც მიუღია ეს თანამდებობა (პალ 2015: 513).

ჯორჯაძე მერაბ „კახელი“ – ენისელთ მ. 1698-1704 წწ. (ქსის 1955: 397).

ჯორჯაძე დავით – ენისელთ მოურავი. 1737-1741 წწ.

იმერეთის მოურავები. XVII-XVIII სს.

ლორთქიფანიძე ბეჟან – ქუთაისის **მ.** და მოლარეთუხუცესი 1666-1690 წწ.; ბაგრატ IV-ის (1660-1681) თანამებრძოლი. მისი წინამძღოლობით იმერეთის ლაშქარმა 1667 წ. ოსმალთაგან გაათავისუფლა ქუთაისის ციხე. 1681 წ-დან იგი რაჭის ერისთავის დაჯგუფებაშია და ალექსანდრე IV-ის წინააღმდეგ იბრძვის (სოსელია 1973: 141-143).

წულუკიძე პაატა – სარდალი 1770-1789 წწ., ქუთაისის **მ.** 1752-1775 წწ.

წულუკიძე ბერი – ბოქაულთუხუცესი და ქუთაისის **მ.** 1775-1784 წწ., სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ (1784 წ.) დავით მეფემ დაამდაბლა იგი, ჩამოართვა მას ქუთაისის **მ**-ისა და ბოქაულთუხუცესის თანამდებობები და ქსნის ერისთავ ელიზბარს გადასცა (დსსს II, 1921: 77; სოსელია 1981: 57).

ელიზბარ ქსნის ერისთავი – ბოქაულთუხუცესი და ქუთაისის **მ.** 1784-1787 წწ. (დადიანი 1962: 183-185; კაკაბაძე II, 1921: 192: 87).

წულუკიძე გიორგი – ქუთაისის **მ.** 1790-97 წწ. (სოსელია 1981: 61).

ჩხეიძე ბაანა – სვირისა და ქვიტირის **მ.** 1740-იანი წწ. (სოსელია 1973: 47-48).

გეგელასშვილი ბერი – ქვიტირის **მ.** 1766 წ. (სოსელია 1973: 106).

იაშვილი ვახტანგ – გეგუთის **მ.** 1797 წ. – XVIII ს-ის ბოლომდე (სოსელია 1973: 128-129).

აბაშიძე ქაიხოსრო – სვირის **მ.** 1766 წ. (სოსელია 1973: 204).

მხეიძე ფირან – ოკრიბის **მ.** 1691 წ. (სოსელია 1973: 23).

მხეიძე კაცია – ოკრიბის **მ.** 1691 წ. (სოსელია 1973: 23).

მხეიძე გიორგი – ოკრიბის **მ.** 1786 წ. (სოსელია 1973: 23).

თ. აბულაძე



ბენდის ლეგენდა: აბელ მოურავი

ხეც, Hd-10170, 1692 წ. ბებურ, უზებარ და ქაიხოსრო ვაჩნაძეების გაყრის წიგნი.

მპარავთმძებნელი/მეკობრისმძებნელი – სასამართლო-სამძებრო ფუნქციებით აღჭურვილი ადგილობრივი მოხელე, რომელსაც ევალებოდა ქურდთა და ყაჩაღთა დევნა, შეპყრობა, გასამართლება და განაჩენის აღსრულება. მ-ები მოქმედებდნენ მეფის უშუალო მითითებით მათთვის განკუთვნილ ოლქებში. მათი ხელქვეითები იყვნენ „ჩენილნი“, რომლებსაც უნდა შეესრულებინათ დევნა-შეპყრობის ოპერაცია და დამნაშავენი მიეგვარათ მ-სათვის, რომელიც უფლებამოსილი იყო დამნაშავე ადგილზე გაესამართლებინა და განაჩენიც სისრულეში მოეყვანა. გიორგი III-ის 1170 წ-ის სიგელში შიომღვიმისადმი კარგად ჩანს „სამპარავთმძებლო სამართლის“ მოქმედების არეალში მ-ებს უფლება ეძლეოდათ ქურდობაში რამდენიმეგზის შემჩნეული პირი სიკვდილით დაესაჯათ („ანუ ჩამოარჩონ ჩუენთა ჩენილთა, ანუ გაპატიჟონ“). როგორც ჩანს, თამარის დროინდელი სამეფოს სამაგალითო მშვიდობა, რასაც საგანგებოდ აღნიშნავს ლაშა გიორგის მემატიანე, საერთო კეთილდღეობასთან ერთად მ-თა ინსტიტუტის მკაცრი და უკომპრომისო მოქმედებების შედეგიც იყო. აღმოსავლეთ საქართველოში მონღოლთა ბატონობის პერიოდში სახელმწიფო ინსტიტუტების როლის საყოველთაო დაქვეითება მ-თა ინსტიტუტის მოშლაშიც (განსაკუთრებით მთის რეგიონებში) გამოხატულა, რის გამოც გიორგი ბრწყინვალის (1318-1346) „ძეგლისდებაში“ სპეციალური მუხლი შეუტანიათ მეკობრეობის მდევნელთა საშელავათოდ. კერძოდ, თუ მეკობრე მის მდევნელს წინააღმდეგობის განევის გამო შემოაკვდებოდა, იგი (მდევნელი) თავისუფალი იქნებოდა მისი (მეკობრის) სისხლის საურავისაგან. XVI ს-ის ბოლო ათწლეულშია შედგენილი სვიმონ I-ის განწესება მ-თადმი. დოკუმენტიდან მკაფიოდ ჩანს, რომ მ-ებს განსაზღვრული ჰქონდათ ოლქები, სადაც შეეძლოთ ჩაეტარებინათ სამძებრო ოპერაციები. მოცემული განწესების მიხედვით, სვიმონმა ორი მ. – გომფარ ჯავახიშვილი და ყარაიგათ ლარასძე განაწესა „დიღმის ზემოთ ახალდაბის თავამდი“. განწესებაში მკაფიოდაა გამიჯნული დანაშაულთა კატეგორიები, რომელთა გასამართლების უფლება მ-ებს ადგილზე ენიჭებოდათ (ქურდობა, ჩხუბის დროს მიყენებული სხვადასხვა დაზიანება), იმ კატეგორიებისაგან, რომლებიც უსათუოდ სამეფო კარზე უნდა განხილულიყო (მკვლელობა, მძიმე კატეგორიის ქურდობა-ყაჩაღობა). სამპარავთმძებნელო სამართალი ერთიანი მონარქიის დროს მ-ის გასამრჯელოს განსაზღვრავდა წილით დამნაშავის მიერ გადახდილი საკომპენსაციო საზღაოდან (ნაპარევის შვიდმაგი ოდენობა), სვიმონ I-ის განწესების მიხედვით კი, მ-ის ანაზღაურება შეადგენდა საკომპენსაციო საზღაოს ერთი წილს. მ-ობის თანამდებობაზე ინიშნებოდნენ მაღალი ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენლები.

წყაროები და ლიტერატურა: ქისკ 1984: 69; ქისკ 2014: 57; ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე 1955: 369; დოლიძე 1963: 419; ფუთურაძე 1955: 40 ჯავახიშვილი 1984: 228-229; ქსე (9), 1985, 29.

მ. სურგულაძე

მსახურთუხუცესი – სასახლის „მინისტრი“, სასახლის დანესებულებათა – სანოლის (მეფის კაბინეტი) და სალაროს, სასახლის ხელშინაურ მსახურთა, ნანილობრივ მეფის დომენის სამეურნეო საქმეთა მმართველი. სამხედრო სფეროში **მ**-ს, როგორც სამეფო დომენის ციხე-ქალაქთა უფროსს, დაკისრებული ჰქონდა დომენის ლაშქრისა და „ტაძრეული სპის“ სარდლობა. საისტორიო წყაროებში **მ**-ის სახელო XII საუკუნის დამლევიდან მოიხსენიება. სამეფო კარზე **მ**-ის აღზევება თამარის მეფობის დროს დაიწყო, ხოლო რუსუდანის დროს იგი სავაზიროში იქნა შეყვანილი. „ხელმწიფის კარის გარიგების“ თანახმად, **მ**-ს ექვემდებარებოდა: მეფის სანოლი (კაბინეტი), რომლის უშუალო გამგე მესანოლეთუხუცესი (იხ.) იყო, მეფის სალარო, რომლის სათავეშიც მოლარეთუხუცესი (იხ.) იდგა და მეფის საფარეშოები, რომლებსაც ფარეშთუხუცესი განაგებდა. საკუთრივ სასახლისა და დომენის მართვა, სავარაუდოდ, **მ**-ს არ მოეთხოვებოდა, რადგან იგი მანდატურთუხუცესის (იხ.) მოვალეობაში შედიოდა. როგორც ჩანს, ამ უკანასკნელს ექვემდებარებოდა **მ**. მის ვაზირის რანგში აყვანამდე. სავაზიროში შეყვანის შემდგომ **მ**-ს მეჭურჭლეთუხუცესის სწორი პატივი ჰქონდა და მასთან ერთად ორთა „საბატო დარბაისელთა“ შემადგენლობაში შედიოდა; დარბაზობისას მისი „წვევა“ მესანოლეთუხუცესს ევალებოდა; მეფედ კურთხევისას იგი დედოფლის, კათალიკოსისა და ყყონდიდლის შემდგომ, სავაზიროს წევრთაგან რიგით უკანასკნელი სცემდა თავყვანს მეფეს. **მ**-ის სამოხელეო ნიშანი იყო მეფისაგან ბოძებული „თვალედი“ (თვლიანი) ბეჭედი.

მ. მოლარეთუხუცესთან ერთად მონაწილეობას იღებდა მეფის შეკაზმვაში – მისი საპატიო მოვალეობა იყო მეფისათვის ტაშტის დაჭერა და მისი შემოსვა; ვაზირობის დროს **მ**. მეჭურჭლეთუხუცესის გვერდით იჯდა, პურობაზე კი – სანოლის მნიგნობარის გვერდით. საკუთრივ მისი მომსახურება მუქიფს (იხ.) ევალებოდა. ვახუშტის ცნობით, **მ**. მონაწილეობდა სასახლის კარზე ტაძრეულად შეწყალების ცერემონიაში – შეწყალებული პირისათვის მას უნდა შეერტყა ხმალი.

საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის რღვევის პროცესში ცალკეულ სამეფო-სამთავროში საკუთარი ხელისუფლებისა და მმართველობის აპარატი შეიქმნა. თუ რა ცვლილებები განიცადა ან რა ფუნქციები ჰქონდა **მ**-ს ადგილობრივ სამოხელეო სისტემაში, ისტორიული წყაროებით ნაკლებადაა ცნობილი, რადგან მათში მხოლოდ ამ სახელოების მფლობელ პირთა ვინაობაა დასახელებული (მაგ. საფარის სამრეკლოს წმ. მარინეს ეგვტერის ფრესკული წარწერიდან ცნობილი ხდება საათაბაგოში მანდატურთუხუცეს ბექა (I)-ის (1285-1308) **მ**-ის ლასურ ლასურიძის ვინაობა და სხვ.). ვახუშტის თანახმად, გვიან შუა საუკუნეებში ძველი **მ**-ის ფუნქციები ყორჩიბაშს (იხ.) შეუთავსებია.

წყაროები და ლიტერატურა: ხელმწიფის კარის გარიგება 1965: 83-84, 91, 93-96; ნესი და განგება მეფეთ კურთხევისა 1965: 53; ვახუშტი 1973: 32; ჯავახიშვილი 1982: 314-319; ჩხატარაიშვილი 1979: 58; ანთელავა 1983: 142-143; ბერიძე 1955: 56-57.

მსახურთუხუცესები. XII-XIV სს.

აფრიდონი – მ. და [კლდეკარის] ერისთავი XII ს-ის 70-80-იანი წწ-ების მიჯნაზე (შდრ. კლდეკარის ერისთავი აფრიდონი). წარმომავლობით განეკუთვნებოდა აზნაურული წოდების დაბალ საფეხურს. სწორედ ამიტომ თამარის პირველი ისტორიკოსი მას გიორგი III-ის (1156-1184) მიერ „უგვაროდ“ და „აზნაურობის ყმობიდან“ „კაც-ქმნილს“, **მ**-ის ხელის მფლობელობამდე ამაღლებულს უწოდებს. აფრიდონი დაწინაურებულია 1177/1178 წ-ის ორბელთა ამბოხების შემდგომ, როცა სამეფო კარზე **მ**-ის სახელო და საერისთავოდ თმოგვის ქვეყანა მიუღია. თმოგვის მხარის პატრონობას **მ**. აფრიდონის მიერ ადასტურებს ზედა ვარძიის ეკლესიის ფრესკული წარწერა, სადაც იგი მოხატულობის ქტიტორად გვევლინება. აფრიდონის მეუღლის, ოსიყმის ასულ ხოშაქის მიერ 1178-1185 წწ-ში ქვემო ჯინისში ვარძიის ღმრთისმშობლის სახელზე აგებული ეკლესიის სააღმშენებლო წარწერაში იგი ასევე ერისთავ-ერისთავად და **მ**-ად იწოდება.

მ-ის სახელო და სამოხელეო ქვეყანა აფრიდონმა დაკარგა თამარის გამეფების პირველსავე წლებში, დიდგვარიანთა მოთხოვნის საფუძველზე. თამარის ისტორიკოსთან მისი დამცრობის თაობაზე აღნიშნულია, რომ იგი დაემხო ხელისუფლების მოსურნე დიდებულთა სურვილითა და ლაშქრის მხარდაჭერით („თნევითა ლაშქართათა“). დაბალი ფენიდან აღზევებულ აფრიდონი ყუთლუ-არსლანის გამოსვლას გადაჰყვა. მან **მ**-ის სახელო და თმოგვი ერთდროულად დაკარგა.

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი შარავარნდეთანი 1959: 25, 30; მაისურაძე 1966: 81; ბერძენიშვილი 1974: 136; ბაქრაძე 1959: 77; ოთხმეზური 1981: 80-81; ბახტაძე 2003: 182; გაბაშვილი 1985: 44-49.

ვარდან დადიანი – მ. 1184-1191 წწ., მისი კარიერა გიორგი III-ის დროს, 1177/1178 წლის ორბელთა აჯანყების დამარცხების შემდეგ ჩუხჩარეხის (იხ.) თანამდებობაზე დაწინაურებით დაიწყო, თამარისაგან კი – მისი გამეფების პირველსავე წელს **მ**-ობა მიიღო. თამარის ისტორიკოსი მას ახლად დანიშნულ მოხელეებში, მანდატურთუხუცეს ქიაბერის და მეჭურჭლეთუხუცეს კახაბერ ვარდანისძის შემდეგ მოიხსენიებს, რაც იმის მინიშნებად შეიძლება ჩაითვალოს, რომ იგი, როგორც **მ**., „დარბაზის რიგის“ მოხელეთა შორის რიგით მეხუთე ხელისუფალი იყო. სამოხელეო მიწები მას დამტკიცებული ჰქონდა, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. იგი იყო: „ლიხთ-აქით პატრონი ორბეთისა და კანისა, ლიხთ-იქით ნიკოფსამდის“. მისი რეზიდენცია ყოფილა „მაგარი და მტერთაგან უვნებელი“ ქვეშის ციხე. გარდა **მ**-ისა, იგი იყო სამოქალაქოს (ქუთაისში შემავალი ქვეყანა) ერისთავთ-ერისთავი, ხოლო მისი ძმა ბედანი – ოდიშის საერისთავოს გამგებელი. თამარის ისტორიკოსის ცნობით, ვარდან

დადიანის მამა **მ.** უნდა ყოფილიყო აფრიდონზე ადრე. ვარაუდობენ, რომ ვარდანზე **მ**-ის ხელის გადაცემით დადიანთა სახლს უნდა აღედგინა დაკარგული ძველი პატივი (შ. მესხია).

ვარდან დადიანი იმ პოლიტიკურ დაჯგუფებას ეკუთვნოდა, რომლის მხარდაჭერითაც მოხდა თამარის დაქორწინება (1185) ვლადიმირ-სუზდალის მთავრის, ანდრია ბოგოლუბსკის ვაჟ იურიზე. 1191 წ. გიორგი რუსის აჯანყების დროს კლარჯეთ-შავშეთის პატრონ გუზან ტაოსკარელთან და ბოცო სამცხის სპასალართან ერთად იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა გიორგი რუსის საბრძოლო მოქმედებებში. მისი წინამძღოლობით შეიყარა ყოველი სვანეთი და აფხაზეთი, საეგრო, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაკუერი, არგუეთი და გეგუთში რუსი მეფედ გამოაცხადეს. ვარდანის ამგვარი ფართომასშტაბიანი სამხედრო მხარდაჭერა გიორგი რუსისადმი ზოგიერთ მკვლევარს აფიქრებინებს, რომ იგი დასავლეთ საქართველოს სპასალარიც უნდა ყოფილიყო (თ. ბერაძე). ვარდან **მ.** გაერთიანებული ლაშქრის ერთ ნაწილს დასავლეთ საქართველოდან სამცხეში წარუძღვა და იქ ოძრხე გადაწვეს. აქ მათ შეუერთდა სამცხის ერისთავი ბოცო მესხებით, რომელთან ერთადაც დაიგეგმა ჯავახეთის, თმოგვისა და ახალქალაქის აღება, თრიალეთსა და სომხეთში გალაშქრება. აჯანყებულების დამარცხების შემდეგ თამარმა ვარდან დადიანი გადააყენა, **მ**-ის სახელო და მასთან ერთად კაენისა და ორბეთის სამოხელეო ქვეყნები ჩამოართვეს, ხოლო მის ძეს, ივანეს – გაგი.

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 25, 33, 49-51, 54; ბერძენიშვილი 1974: 155; მესხია 1979: 119; ბერაძე 1999: 133.

ივანე (I) მხარგძელი – მხარგრძელთა საგვარეულოს ცნობილი წარმომადგენელი, თამარის სამეფო კარის დიდმოხელე. **მ**-ობას ფლობდა 1191-1205/7 წწ-ში. გიორგი რუსის აჯანყების დამარცხებისა და ამბოხებულ მოხელეთა დასჯის შემდეგ თამარმა ივანეს, სარგის მხარგძელის უმცროს ძესა და ზაქარია მხარგრძელის ძმას, უბოძა **მ**-ის „შინაური და საპატიო“ სახელო და ამ თანამდებობასთან მიბმული სამოხელეო მამულები: „კაენი და კაენონი გელაქუნით და სხუთა მრავლითა სახარაჯოთა ქალაქითა და ციხითა“. **მ**-ად იხსენიება იგი ჩხიკვთის სამების ეკლესიის 1195-1207 წწ-ით დათარიღებულ წარწერაში. ამ თანამდებობაზე ყოფნისას ივანე, თავის ძმასთან, ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელთან ერთად, წარმატებულად მონაწილეობდა ყველა იმ სამხედრო-პოლიტიკური ამოცანის გადაჭრაში, რომლებიც იმხანად ქართული სახელმწიფოს წინაშე იდგა. სარწმუნოებრივი აღზრდით მონოფიზიტ ივანე მხარგრძელს ქალკედონიტი მეუღლე ჰყავდა და თვითონაც **მ**-ობის პერიოდში მოქცეულა ქალკედონურ მრწამსზე. ქალკედონიტები იყვნენ ივანეს ოჯახის დანარჩენი წევრებიც. დაახლოებით 1205/1207 წ. ივანე მხარგრძელს

თამარისაგან ათაბაგობა ებოძა, ხოლო მ-ის ხელი ვარამ გაგელს გადაეცა (სრულად იხ. ათაბაგი ივანე მხარგრძელი).

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი შარავარნდედთანი 1959: 54, 60, 110; ოთხმეზური 1981: 69-70.

ვარამ გაგელი – ზაქარია გაგელის ძე, მ. 1205/7–XIII ს-ის 40-იანი წწ-მდე. მ-ობა უნდა მიეღო თამარის მეფობის ბოლო წლებში. ამ თანამდებობაზე ჩანს იგი 1240-იანი წწ-ის მიწურულამდე. მის საპატრონო ქვეყანას წარმოადგენდა ქვემო ქართლი და მის აღმოსავლეთით გაგის მიმდებარე მიწები („შანქორი და მიმდგომნი ქვეყნები“). როდესაც ხვარაზმელები საქართველოს შემოესივნენ, პირველად ვარამ გაგელის საპატრონო ქვეყანა, გაგი დაარბიეს. შანშე მანდატურთუხუცესთან და ავაგ ამირსპასალართან ერთად ჟამთააღმწერელი მას ასახელებს ჯალალ-ედ-დინის წინააღმდეგ 1228 წ. რუსუდან მეფის ბრძანებით შეკრებილ იმერთა და ამერთა ლაშქრის მეთაურთა შორის; მონღოლების შემოსევისას რუსუდან მეფესთან ერთად იგი „შეივლტოდა ქუთათისს“, მოგვიანებით დაბრუნდა აღმოსავლეთ საქართველოში და მონღოლებს დაეზავა. იგი მონღოლებმა დანიშნეს დუმნისთავად და „ხელთ უდვეს ყოველი სომხითი“ (ფაქტობრივად, მისივე „საპატრონო“ მიწები). ვარამ გაგელი მოხსენიებულია კოხტასთავის შეთქმულების მონაწილეთა შორის. რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ (1245), მთავართა გადანყვეტილებით, იგი და სარგის თმოგველი გაგზავნილ იქნენ რუმის სასულთნოში ტახტის მემკვიდრის, დავით ლაშას ძის ჩამოსაყვანად.

წყაროები: ისტორიანი და აზმანი შარავარნდედთანი 1959: 110; ჟამთააღმწერელი 1959: 164, 171, 190, 207-208, 215, 218-219.

მანაველ ვაჩნასძე – მ. 1230-იან-1245 წწ-ში (?) „ხელმწიფის კარის გარიგების“ ცნობით, იგი სავაზიროში შეიყვანა რუსუდან მეფემ მისი დასავლეთ საქართველოში ყოფნის დროს. არსებობს მოსაზრება, რომ მანაველი და აფრიდონ მ. ერთი და იგივე პირია და სავაზიროში იგი შეყვანილ იქნა არა რუსუდან მეფის, არამედ გიორგი III-ის დის, რუსუდან დედოფლის მიერ (ი. ანთელავა). ამდენად, მ-ის გავაზირების ქრონოლოგია დამყარებულია „ხელმწიფის კარის გარიგების“ ხსენებული ცნობის ინტერპრეტაციაზე.

წყაროები და ლიტერატურა: ხელმწიფის კარის გარიგება 1965: 83, 91; ჯავახიშვილი 1982: 314-319; ინგოროყვა 1963: 582; ანთელავა 1983: 149-150.


გრიგოლ სურამელი – ქართლის ერისთავი 1225-1260-იან წწ-ში; მ. დაახლ. 1240-1260-იანი წწ., მონღოლთაგან დანიშნული ქართლის დუმნისთავი 1245-1247 წწ-ში.

სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად იგი ერთ-ერთი ინიციატორი იყო რუმის სასულთნოდან დავით ლაშას ძის ჩამოყვანისა. მისი ასული ხათუთა ცოლად ჰყავდა კახა თორელს. მონაწილეობას იღებდა მონღოლთა ლაშქრობაში ეგვიპტის წინააღმდეგ (სრულად იხ. ქართლის ერისთავი გრიგოლ სურამელი).

წყაროები და ლიტერატურა: ჟამთააღმწერელი 1959: 192, 195, 206, 208, 217, 219, 239; ქისკ 1984: 121-128, 129-133, 154; ქსე (9), 1985: 609.

ბეგა სურამელი – გრიგოლ სურამელის ძე, ქართლის ერისთავი და მ., დავით ნარინის „თანშეზრდილი“, თან ახლავდა დავით ნარინს ურდოში. ნათესაური კავშირები ჰქონდა დასავლეთ საქართველს წარჩინებულ საგვარეულოებთან (სრულად იხ. ქართლის ერისთავი ბეგა სურამელი).

წყაროები და ლიტერატურა: ჟამთააღმწერელი 1959: 206, 220, 284, 286, 296, 298; ქისკ 1984: 165-166; ქსე (9) 1985: 609.




ქ. მე, ბეგასა, ჩემითა ჴელითაცა და მიმტკიცებია: ქონდეს ჩ(უ)ენსა ერდგულეებასა შიგა.

ხეც, Hd-1358ა, [1260-1300] წწ. დანერილი ბეგა სურამელისა ქუქუქუა ჯომარდისძისადმი.

ამადა/ჰამადა სურამელი – ბეგა სურამელის ძე, ქართლის ერისთავი და მ. 1280/90-იანი – XIV ს-ის დასაწყისი. დავით VIII-ის ერთგული თანამებრძოლი მონღოლთა წინააღმდეგ. 1302 წ. დავით VIII-მ იქორწინა ამადას ასულზე, ამ ქორწინებიდან იშვა გიორგი VI მცირე (სრულად იხ. ქართლის ერისთავი ამადა სურამელი).

წყაროები და ლიტერატურა: ჟამთააღმწერელი 1959: 305, 307; ქისკ 1984: 184; ბახტაძე 2003: 173.



ქ. ლ(მრ)თისა სწორთა ბ(რძანე)ბისა მონა|მე ვარ. მიწაი მსახურთუ|ხუცესი და ქ(ართლისა) ე(რისთა)ვი ამადა | სურამელი.

ხეც, Hd-1330, 1297/1298 წ. სიგელი დავით მეფისა ჭარმაულ გრიგოლ ჭაჭნიასშვილისადმი.

დასავლეთ საქართველოს სამეფოს მსახურთუხუცესები. XIII ს-ის ბოლო მესამედი

არიშიანი ვარდანისძე – ვარდან სვანთა ერისთავის ძე, **მ.** და სვანთა ერისთავი 1270-იანი წწ-დან XIII ს-ის მიწურულამდე. ამ თანამდებობის მფლობელად იხსენიება იგი 1273-1305 წწ-ით დათრილებულ ჯვრის მონასტრის ალაპში. მას „სპარსთაგან“ დაკავებული ჯვრის მონასტრისათვის მიუცია ათას ხუთასი თეთრი იმ დროს, როცა მონასტრის ძმები მეტოქეში იყვნენ გადასულნი.

წყარო და ლიტერატურა: მეტრეველი 1962: 155, N145; ინგოროყვა 1963: 585; ბერაძე 1999: 142.

სვიმიონ [ვარდანისძე], გურიელი – **მ.** ერისთავთ-ერისთავი, სვანთა ერისთავი, 1350-1370 წწ. **მ.** სვიმიონი შთამომავალი ჩანს სვანთა ერისთავ ვარდან (II) ვარდანისძის იმ შტოსი, რომელიც გიორგი II-მ 1073 წ. გურიაში დაასახლა. ამ შტოს წარმომადგენლები უნდა იყვნენ ვარდანისძე გურიელები, რომლებიც წინაურდებიან დავით ნარინის კარზე და იღებენ **მ**-ის თანამდებობას. ამავე დროს ისინი ინარჩუნებენ „სვანთა ერისთავის“ ზედწოდებას, როგორც სიძველისა და მაღალი წარმომავლობის და-

მადასტურებელ საპატიო ტიტულს. ამ ტიტულით მოიხსენიება ზარზმის მონასტერში უკვე მოხუცი, საბერო სამოსში გამოსახული სვიმიონ გურიელი: „ერისთავთ-ერისთავი, მსახურთუხუცესი, სუანთ ერისთავი სუმიონ გურიელი“.

წყაროები და ლიტერატურა: მათიანე ქართლისაი 955: 161; ბერიძე 1955: 130; სოსელია 1954: 118. ინგოროყვა 1963: 585; ბერაძე 1999: 142.

დ. კლდიაშვილი

მუმეიზი – (სპარს. momayez – დამდგენელი, მწერალ-კონტროლიორი); ქართულ საისტორიო წყაროებში **მ.** პირველად ჩნდება სიმონ I-ის მიერ 1580 წ. გაცემულ ქართულ-სპარსული ორენოვან საბუთში, რომელშიც ინდო უზბაშისათვის ქვემო ქართლში ს. აცუტის თიულად გადაცემაზეა საუბარი; აქვე დეტალურადაა წარმოდგენილი **მ**-ის ვალდებულებაც: **მ**-ებს უზბაშისათვის (იხ.) მოცემულ ტერიტორიაზე აკრეფილი გადასახადიდან უნდა დაედგინათ ჯამაგირი; მუსტოფებმა (იხ.) **მ**-ების მიერ აკრეფილი თანხიდან, ნამატის გათვალისწინებით, ინდო უზბაშისათვის გასამრჯელო უნდა ჩაერიცხათ. XVIII ს-ში, „ციზილბაშობის“ პერიოდში, **მ.**, როგორც ირანელი მოხელის სახელწოდება, რეგულარულად გვხვდება. მის ფუნქციას შეადგენდა ქართლის აღწერის დავთრების (საფინანსო რეესტრების) წარმოება, დასაბეგრი ობიექტების დადგენა, აღწერის და გადასახადის ოდენობის განსაზღვრა. ამასთანავე, სავარაუდოდ, ისევე, როგორც მუნში (იხ.), **მ.** მონაწილეობას იღებდა ქართულ-სპარსული დოკუმენტების სპარსული ტექსტის თარგმნა-შედგენასა და დაწერაში. პაპუნა ორბელიანის თხზულებაში „ამბავნი ქართლისანი“ დეტალურადაა აღწერილი ირანიდან მოვლენილი **მ**-ის საქმიანობა: ქართლის აღწერისას ყველგან უნდა აეზომათ მიწები საბლით, ბოსტნები და ბაღები, წისქვილები და ურმებიც კი, ნასოფლარები, შენობები; დაეთვალათ ვაზები, აღწერულსათ ყმანვილთა რაოდენობა და სხვ. **მ**-ებს ყველა მონაცემი დავთარში უნდა შეეტანათ და ხარკი დაედოთ.

წყაროები და ლიტერატურა: გაბაშვილი 1958: 409; ქსოის 1984: 10; ქსის 1955: 479; პაპუნა ორბელიანი 1981: 45, 59, 65, 66; ხეც, Hd-508, სეა 1450- 30/ 17.

თ. აბულაძე

მუნში – (არაბ. monši – მწერალი, მდივანი), **მ.** ფართო მნიშვნელობით მწერალს, მდივანს აღნიშნავდა. ისტორიული წყაროების მიხედვით (Taḍkerat al-molūk), **მ**-ები (საბუთების დამწერები), კალიგრაფებისა და მომხატველების ფუნქციებსაც ასრულებდნენ. ტერმინს ისლამურ ქვეყნებში მასწავლებლისა და კანცელარიის მოხელის აღმნიშვნელად იყენებდნენ. სეფიანურ ირანში **მ**-ის, ანუ სახელმწიფო მწერლის ხელში იყო შაჰის კორესპონდენციების ნაწილი (ფარვანა, ჯავაბ-ნამე, მისალი). პროვინციების **მ**-ებს შაჰისათვის უნდა მიეწოდებინათ ადგილობრივი ცნობები და საქმიანობის ანგარიშები.

საქართველოში ეს სახელო როსტომ მეფის (1632-1658) მიერ იქნა შემოღებული და, ვეზირისა (იხ.) და მუსტოფის (იხ.) სახელოებთან ერთად, იმჟამინდელი ქართლის პოლიტიკური სტატუსის შესაბამისად, ირანის სამეთვალყურეო აპარატის მოხელის ფუნქცია ჰქონდა მინიჭებული. ამასთანავე, ის ქართლის მეფის სამსახურშიც იდგა. ვახუშტი ბატონიშვილი მას „ყიზილბაშური რიგის“ თანამდებობათა შორის აასახელებს. ქართლიდან ირანში გაგზავნილი ოფიციალური დოკუმენტაცია, რომელიც, XVI ს-ის 80-იანი წწ-დან მოყოლებული, ორ ენაზე დგებოდა, მოითხოვდა სპარსული ენისა და დიპლომატიკური ტერმინების კარგ ცოდნას, რაც მხოლოდ სპარსულ სამდივანმნიგნობროსთან დაკავშირებულ მოხელეს შეეძლო სცოდნოდა. ხშირ შემთხვევაში, ამ დოკუმენტების სპარსულ ნაწილში ზოგიერთი ფაქტი ან მოვლენა დაზუსტებული და დაკონკრეტებულია ქართულთან შედარებით, რაც იმას მონიშნავს, რომ დოკუმენტის შედგენისას მ. ქართული საბუთის მონაცემების პარალელურად სხვა ინფორმაციითაც სარგებლობდა. ვეზირისა და მუსტოფის მსგავსად, მ-ის გასამრჯელოს შეადგენდა რუსუმი (ირანული გადასახადის გარკვეული წილი) და ქართული გასამრჯელოც, თუმცა, ვახტანგ VI-ის „დატურლამალში“ არ არის მონაკვეთი მ-ის სარგოს შესახებ.

წყაროები და ლიტერატურა: Tagkerat al-molük : 50, 52, 56-63, 65; ფარსადან გორგიჯანიძე 1925: 229, 236; ქსოის 1984: 65; Savory 1986: 355; გაბაშვილი 1958: 406-408; აბაშიძე 1974: 101.

ქართლ-კახეთის მუნშები:

მაჰმად ზამანა – მ. მეფე როსტომისა და შაჰნავაზის დროს (XVII ს.)

მირზა მოჰამად ბალირ/მაჰმად ბალირა – ქართლის მ. XVII ს-ის ბოლო- XVIII ს-ის 40-იანი წწ.

მირზა რაბი/რაბია – მ. ერეკლე II-ის დროს (XVIII ს-ის მეორე ნახ).

წყაროები: დასტურლამალი 1965: 64; ქსოის 1984: 10, 49; მესხია 1948: 16, 18; ჭეიშვილი 1982: 62; ქსის 1955: 287-290, 348-9, 351, 352, 400, 402; ფარსადან გორგიჯანიძე 1925: 268; პალ 2004: 133.

თ. აბულაძე

მუსაჰიბი – (არაბ-სპარს. mosāheb – მეგობარი, თანამოსაუბრე, დაახლოებული პირი). მ-ობა წარმოადგენდა ტიტულს, რომელიც ენიჭებოდა მეფის რჩეულ პერსონას, რომელსაც ევალეობდა მეფისათვის სხვადასხვა საკითხში რჩევის მიცემა. მ. ქართულ ისტორიულ საბუთებში ჩნდება 1580 წ-დან სპარსული სამოხელეო სისტემის გავლენით. ისტორიული საბუთებიდან ცნობილია ორიოდ მ.: 1580-იან წწ-ში

მოურავ გიორგი სააკაძის მამა შიოშ სააკაძე და XVII ს-ის შუა ხანებში – ელიზბარ სოლალაშვილი.

წყაროები და ლიტერატურა: ქსის 1955: 32, 34, 36; პალ 3007: 107, 183.

ბ. ბაინდურაშვილი

მუსტოფი – (არაბ. mostowfi – საფინანსო კონტროლიორი) აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალური სამოხელეო აპარატის საფინანსო მოხელე და ირანის სამეთვალყურეო სისტემის წარმომადგენელი. სეფიანთა ირანის სამოხელეო წყობაში განსხვავებული ფუნქციებით არსებობდა სახელმწიფო **მ.** (mostowfi al-mamalek) და სასახლის **მ.** (mostowfi al-ka ša); იმდროინდელ საისტორიო თხზულებაში – „სამახსოვრო მეფეთათვის“ (Tadhkirat al-muluk) სახელმწიფო **მ**-ის ძირითადი ფუნქცია ასე განისაზღვრება: სახელმწიფო ბიუჯეტის მომზადება და კონტროლი, გადასახადების აკრეფა, ზოგადად, გარე ფისკალური სისტემა. სასახლის **მ.** განკარგავდა უშუალოდ სასახლის კარის ადმინისტრაციულ ხარჯებს.

მ., ქართველ ლექსიკოგრაფთა განმარტებებით, არის მდივანთა უფროსი (სულხან-საბა ორბელიანი), ბეჭდის დამსმელი ხელშეკრულებებსა და ვალდებულებებზე (დ. ჩუბინაშვილი), ანგარიშის დამწერი მოხელე, მოანგარიშე, მწერლების თავიკაცი (პ. უმიკაშვილი). **მ**-ის სახელო ქართულ საისტორიო წყაროებში XVI ს-ის 80-იანი წლებიდან მოიხსენიება. სიმონ I-ის მიერ გაცემულ ქართულ-სპარსულ დოკუმენტებში მითითებულია, რომ **მ**-ებს უნდა შეეტანათ შესაბამისი გადაწყვეტილებები თავიანთ დავთრებში, რომლებშიც რეგისტრირებული იყო მამულის სითარხნისა და იჯარადარის წიგნები. ამის გარეშე მურდარს (იხ.) არ შეეძლო ამ დოკუმენტების დაბეჭდვა. **მ**-ისათვის უნდა წარედგინათ ანგარიში სამეფო ქარხნების (საქონლის საწყობები) თავლიდარებს (იხ.), გადასახადების ამკრეფებს და კარის მოხელეებს. მის მოვალეობას ციხის მეთოფეთა აღწერაც შეადგენდა. ზოგჯერ **მ.** ვეზირის ფუნქციასაც ითავსებდა (ვეზირ-**მ.** მირზა რაბი). **მ**-ის სარგო შედგებოდა როგორც მეფის „კერძო შესავლიდან“, ისე ირანის რუსუმიდან (ირანული გადასახადის გარკვეული წილი). ამ თანამდებობაზე, უმთავრესად, მუსლიმები ინიშნებოდნენ. **მ**-ის სახელო მემკვიდრეობით გადადიოდა. სასახლის **მ**-ის გარდა, არსებობდნენ თბილისის, ქართლისა და კახეთის **მ**-ები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ეს თანამდებობა როსტომ მეფის (1632-1658), ვახტანგ V შაჰნავაზის (1658-1675) და ერეკლე I ნაზარალი-ხანის (1688-1703) დროს. XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან, ერეკლე II-ის მეფობისას, **მ**-ის ფუნქცია, ფაქტობრივად, შინაარსისგან დაიცალა და უბრალო წოდებულებად იქცა.

წყაროები და ლიტერატურა: Tagkerat al-molük 1943: 54-55 122-125; Savory 1986: 354; მესხია 1948: 16; ქსის 1955: 458; გაბაშვილი 1958: 404, 406; სურგულაძე 1952: 379-383.

თ. აბულაძე

მუჟიფი – (არაბ. muqīf – ძღვენთ მნე). ცენტრალური აპარატის საშუალო რგოლის მოხელე. ძღვენის მიღება-გაცემა, როგორც საკარო ცხოვრების განუყოფელი წესი, როგორც რიტუალურ ჩარჩოებში მოქცეული კომუნიკაციის ფორმა უცხოელ საპატიო სტუმრებთან თუ ადგილობრივ არისტოკრატასთან, შუა საუკუნეების მონარქთა კარზე ცალკე სამსახურის არსებობას განაპირობებდა. ძღვენი შეიძლებოდა ყოფილიყო ძვირფასი ნივთები: ჭურჭელი, თვლები, ქსოვილები, ჯვარ-ხატები, ხელნაწერი ნიგნები, საბრძოლო საჭურველი, ცხენის აღკაზმულობა და ა. შ., ასევე, „ცოცხალი“: ჯიშინი ცხენები, ქორ-შეგარდენი და სხვ. XIV ს-ის ერთი საბუთის ცნობით, მეფემ სანადირო ფრინველის მჩუქებელ პირს გლეხები უბოძა: „ორბოძღელსა თეთრი ქორი მიუგვრია დიდის დავით მეფისათვის და მათ ხუედურეთს მცხეთისა გლეხნი ორბოძღელისათვის უბოძებია“. ძვირფასი ძღვენი, როგორც სამეფო ქონების ნაწილი, უნდა აღენუსხათ, შეეფასებინათ და საიმედოდ დაებინავებინათ. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, ასეთ სამსახურს ასრულებდნენ სამი სხვადასხვა უწყების მ-ები. ესენი იყვნენ საგანმგეოს მ., საჭურჭლის მ. და საღვინის მ.; „ხელმწიფის კარის გარიგების“ ტექსტიდან ჩანს, რომ ცოცხალი ძღვენის მნე საგანმგეოს მ. იყო („...ცოცხალი მუქიფის ხელით მიაბარონ“), საჭურჭლის მ-ს კი ძვირფასეულობის მიღება-პატრონობა და მისი საჭურჭლეში დაცვა ებარა. მეღვინეთუხუცესის მ-ს ევალებოდა, როგორც ჩანს, საძღვენე ღვინის გასავალ-შემოსავლის ანგარიში, რომელიც „საანგარიშოთა“ გოდორსა შინა ინახებოდა. მისი სარგო ყოფილა – „თითო უმცროსი ჭური ღვინო ზვართაგან“. ამრიგად, მ-ის საქმიანობა სანახევროდ მცველის და სანხევროდ ფისკალურ-სამეურნეო საქმიანობას ითავსებდა. XVII-XVIII სს-ში მ-ს თავლიდარი (იხ.) ჩაენაცვლა.

წყაროები და ლიტერატურა: ხელმწიფის კარის გარიგება 1965: 83, 86, 88; ქისკ 2013: 47; ანთელავა 1983: 52, 72.

მ. სურგულაძე

მუშრიბი – (არაბ. mušrif – ზედამხედველი, მეთვალყურე, მწერალი). ისლამურ ქვეყნებში მ-ს, უპირველესად, ევალებოდა სასახლის ქონებისა და შემოსავლების აღწერა, ამასთანავე, სასახლის მოხელეებზე ინფორმაციის შეკრება და უმაღლესი ხელისუფლისათვის მოხსენება. ნიზამ ულ-მულქის თანახმად, ყველას, ვინც ინიშნებოდა მაღალ თანამდებობაზე, უნდა ჰყოლოდა მისთვის საიდუმლოდ მიჩენილი მ., რომელსაც რეგულარულად უნდა მიეწოდებინა სულტნისათვის ინფორმაცია მოცემული თანამდებობის პირის საქმიანობის და მდგომარეობის შესახებ. ქართულ სინამდვილეში მ., ისევე, როგორც ქალაქური სამოხელეო წყობისათვის დამახასიათებელი სხვა ტერმინოლოგია, არაბთა ბატონობის პერიოდში შემოდის. ერთიან ქართულ მონარქიაში მ. როგორც ფინანსებთან დაკავშირებული მოხელე, მეჭურჭლეთუხუცესის (იხ.) უწყებაში შედიოდა. როგორც ჩანს, მ. დამაკავშირებელი რგო-

ლი იყო სამეფოს კარის ცენტრალურ უწყებასა და ქალაქის სამოხელეო აპარატს შორის. მ-ის მოვალეობას შეადგენდა ქალაქში შემოტანილი სავაჭრო საქონლისა და ნავაჭრის აღნუსხვა, აკრეფილი ბაჟისა და სხვა სავაჭრო გადასახადების მეჭურჭლეთუხუცესისათვის (იხ.) ჩაბარება. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, მ-ს ქალაქური საქონლის ნაწილი (სამეფო ძღვენი, სანელებლები, მასტაკი) სხვა „უხუცესებისათვისაც“ (როგორც ჩანს, მუქიფებისათვის (იხ.) და სამზარეულოს ზედამდგომთათვის) უნდა მიერთმია. მ. ისტორიულ საბუთებში ჩანს XV ს-იდან. საქალაქო ცხოვრების დაცემასთან ერთად ამ დროს მისი ფუნქციები აშკარად შეკვეცილი ჩანს, ამიტომ მ. ზოგჯერ კარის მნიგნობრის ფუნქციასაც ასრულებს. მ-ის სინონიმია მწერალი (საბუთების შემდგენი). ამ დროის საბუთებიდან ცნობილია ქალაქის (თბილისის) და გორის მ-ები. მ-ის სარგო იყო მამული, რომელსაც მეფისაგან სამსახურის სანაცვლოდ იღებდა. გარდა ამისა, ქალაქის მ-ის სასარგებლოდ დაწესებული ყოფილა გადასახადი. „დასტურლამალის“ მიხედვით, ქალაქის ერთ-ერთ საბაჟო გადასახადს „მუშრებანა“ ეწოდებოდა. XVI-XVIII სს-ის მასალების მიხედვით, მ-ების ძირითადი საქმიანობა ანგარიშწარმოება იყო. ამ სახელოს ვხვდებით სხვადასხვა დაწესებულებაში (სალარო, ქარხანა), სადაც კი საფინანსო დოკუმენტების შედგენა იყო საჭირო. მ-ის ჯამაგირი, სარგო და წილი განისაზღვრებოდა მისი სამუშაო ადგილისა და შესრულებული სამუშაოს მიხედვით.

წყაროები და ლიტერატურა: ქისკ 2013: 121; ქსის 1955: 211; Сиясет-наме 1949: 33; ჯავახიშვილი 1982: 309-310; ლორთქიფანიძე 1954: 143-157; სურგულაძე 1952: 194-195; კეკელია, ქსე (7), 226; ანთელავა 1983: 57-58; გაბაშვილი 1942: 221.

მუშრები. XV-XVIII სს.

წირქვალელისძე რატი – მ. 1453 –[1476] წწ.

სუმბატ ურდოველასშვილი – სამეფო სალაროს მ. და მნიგნობარი 1417 წ.

ურდოველა – სამეფო სალაროს მ. 1429 წ.

თავაქალასშვილი სადათურ – სამეფო კარის მნიგნობარი და მ. 1491 წ.

ყორღანაშვილი იარალი – სამეფო სალაროს მ., მდივან-მნიგნობარი 1622-1643 წწ.

ყორღანაშვილი ჰაატა – სამეფო სალაროს მ. 1626 წ.

ყანდურაშვილი ფირალ – სამეფო სალაროს მ., მწერალი, მნიგნობარი 1636-1657 წწ.

ფარყუზათაშვილი სულხან – სამეფო სალაროს მ. 1645 წ.

ყანდურაშვილი დავით – სამეფო სალაროს მ., მდივან-მნიგნობარი 1681-1690 წწ.


ყორღანაშვილი გიორგი – სამეფო სალაროს მ. 1723-1743 წწ.

ბაინდურასშვილი ავთანდილ – სამეფო სალაროს მ., მნიგნობარი, მდივანი 1736-1743 წწ.

ყორლანაშვილი დავით გიორგის ძე – სამეფო სალაროს მ. 1764 წ.

წყაროები: ქისკ 2013: 121, 122, 162; ქისკ 2014: 68, 215, 286; პალ V 2015: 16-17, 66-67; ქისს 1955: 52, 56, 191, 192, 206, 234, 252; სეა: 1450-1/9, 51/62; 1450-6/69; 1450-7/51; 1450-13/43; 1450-20/33; 1450-30/160; 1450-51/46; ხეც: Hd-14535, Hd-3114; Hd-14269; Qd-2039; Ad-583; Sd-1706; დსსი 1940: 253, 254; 273-274; 311-312;

ბ. ბაინდურასშვილი



ბეჭდის ლეგენდა: მუშრიბი დავით

ხეც, Sd-43, 1688 წ. ბეჟან თუმანიშვილის მიერ ყალანდარ თუმანიშვილისათვის მიცემული სახლ-კარის ნასყიდობის წიგნი.

მნიგნობარი – მმართველობის ცენტრალური აპარატის მოხელე, სამეფო სიგელებისა და სხვადასხვა შინაარსის იურიდიული აქტების შემდგენი. მ-ები წარმოადგენდნენ სამეფო ოჯახის „საკუთართა“, ე.წ. ხელშინაურ მოხელეთა წრეს, უმეტეს შემთხვევაში, მიეკუთვნებოდნენ სასულიერო წოდებას. მ-ებს ჰქონდათ იურიდიული განსწავლულობა, რაც აუცილებელი იყო სამეფო კარის სხვადასხვა ტიპის დოკუმენტების შინაარსობრივად გამართვისათვის და სათანადოდ გაფორმებისათვის. ამასთანავე, მ-ები შესანიშნავად ფლობდნენ კალიგრაფიულ ხელოვნებას. მინიშნებები მნიგნობართა არსებობის შესახებ ქართლის მეფეთა (ასევე, ერისმთავართა) კარზე VI ს-დან მოგვეპოვება. მაგ., შიო მღვიმელის სასწაულთა „თხრობაში“ სტეფანოზ ერისმთავარმა მღვიმის მონასტრისათვის აგარაკთა შეწირვის მიზნით „მოუწოდა ... მნიგნობარსა თვისსა“ და უბრძანა მას, რათა დაენერა „ქარტა“ ორი რჩეული სამეფო დაბის მონასტრისათვის შეწირვის თაობაზე. ადრეულ შუა საუკუნეებში მ-ები უნდა ჰყოლოდათ ცალკეული სამეფო-სამთავროების მმართველებს, მაგრამ რამდენად იყო მ-თა უწყება ინსტიტუციურად ჩამოყალიბებული, უცნობია. „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში“ მოხსენიებული დავით კურაპალატის კარის მოხელე – „მწერალთა ზედა მთავარი“, საფუძვლიან ეჭვს ბადებს, რომ ამ თანამდებობაში მერმინდელი „მნიგნობართუხუცესი“ იგულისხმება, თუმცა XI ს-მდე საბუთთა მოუღწევლობის გამო მათი ვინაობა უცნობია. საქართველოს გაერთიანების (XI ს.) შედეგად სამეფო კანცელარიის მნიშვნელობა და სამუშაოს მოცულობა გაიზარდა,

რამაც გამოიწვია მ-თა რაოდენობის მატება და მათი გაერთიანება ერთ უწყებაში. XI ს-იდან მ-თა გარდა, წყაროებში მოიხსენიება მნიგნობართუხუცესიც, რომელიც სამეფო კარზე მეფის უახლოესი მრჩეველი და პირადი ნდობით აღჭურვილი მოხელე იყო. იგი უძღვებოდა მ-თა საქმიანობას (ცნობილია ბაგრატ IV-ის თანამედროვე და ღრტილას კრების მონაწილე მნიგნობართუცესი ეფთვიმე გრძელი, აგრეთვე 1085 წ. გადანერილი „სანელინდო-სანინასწარმეტყუელოს“ (ხეც, A-192) ანდერძში მოხსენიებული პეტრე, იგივე პეტრიკ პატრიკი, ვესტი და მნიგნობართუხუცესი).

XII ს-ის დასაწყისში ერთმანეთს შეერწყა მნიგნობართუხუცესის თანამდებობა და ჭყონდილობა. მის უწყებაში შედიოდნენ საწოლის მნიგნობარი (იხ.) და სხვა რიგითი (24) მ-ები. გარდა მნიგნობართუხუცეს-ჭყონდილისა (იხ.), მ-ები ემსახურებოდნენ სასახლის ყველა მნიშვნელოვან დანესებულებას (საწოლი, სალარო, საჭურჭლე, ზარადხანა), სადაც მათ უწევდათ თავიანთი მოვალეობების შესრულება, მეფის ბრძანება-განკარგულებების ჩაწერა, სასამართლო აქტებისა თუ საუნწყებო ანგარიშების შედგენა. მ-ებს ჩანანერები უნდა შეედგინათ ზეპირი მოსმენების საფუძველზეც, რაც განსაკუთრებულ სიზუსტეს და განსწავლულობას მოითხოვდა. მ-თა შორის არსებულ იერარქიას გამოხატავს „ხელმწიფის კარის გარიგების“ ცნობა, რომ ხუთი ფურცელი ქალაღი ყოველდღიურად ეძლეოდა მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს, სამი – საწოლის მ-ს და ორი – ზარადხანისას. დანარჩენ მ-ებს თითო-თითო ფურცელი ურიგდებოდათ. შესასრულებელი სამუშაო მ-თა შორის გადანაწილებული იყო კომპეტენციებისა და სირთულის მიხედვით. შეწირულების და წყალობის სიგელებს, დადგენილებებს, ბრძანება-განკარგულებებს და სასამართლო გადაწყვეტილებებს საწოლის მ. წერდა როცა სიგელის ადრესატი კერძო პირი იყო, იგი იხდიდა საფასურს, ე.წ. „ქრთამს“, რომელიც უფროს-უმცროსობის მიხედვით წილობრივად ნაწილდებოდა მ-თა შორის. მ-ები ესწრებოდნენ დიდ დარბაზობას, სადაც ისინი თავიანთი სამოხელეო ინსიგნიით – ილიაში ამოღებული საწერლით უნდა გამოცხადებულიყვნენ. აქ ერთმანეთის გვერდი-გვერდ უნდა მდგარიყვნენ საწოლისა და ზარადხანის მ-ები, ხოლო დანარჩენი მ-ები მნიგნობართუხუცეს-ჭყონდილის გასწვრივ მწკრივდებოდნენ. XV ს-დან ტერმინ მ-ის პარალელურად იხმარება არაბულ-სპარსული მდივანი (იხ.) ან კომპოზიტი მდივანმნიგნობარი.

წყაროები და ლიტერატურა: საბინინი 1882: 616; აბულაძე 1955: 205; აბულაძე 1967: 177; ხელმწიფის კარის გარიგება 1970: 46; ჯავახიშვილი 1982: 277-279; ჯავახიშვილი 1996: 431-432; ბერძენიშვილი 1966: 6-10; მეტრეველი 1996: 224, სილოგავა 2004: 210.

სამეფო კარის მნიგნობრები/ მდივანმნიგნობრები / მდივნები. XI-XV სს.

- იოვანე – ბაგრატ IV-ის კარის მ. 1057/1058 წ. (ქისკ 1984: 37).
- იაკობ იწრელისძე – თამარ მეფის მ. 1195/1196 წ. (ქისკ 1984: 101).
- მიქაელ კატარანისძე – გიორგი ლაშას მ. 1207/1208-121 წწ. (ქისკ 1984: 106, 110).
- მაჩხოტისძე იოანე – სეფის მ. 1259 წ. (ქისკ 1984: 141).
- იოანე – ჭყონდიდლის მ. XIII ს. (ქისკ 1984: 191).
- უგანოსძე იაკობ – დავით VIII-ის მ. 1297/1298 წ. (ქისკ 1984: 184).
- ავგაროზისძე აბრაჰამ – გიორგი V-ის მ. 1338 წ. (ქისკ 2013: 38).
- ჩაკურასვილი ბოცო – გიორგი V-ის მ. 1339 წ. (ქისკ 2013: 39).
- მაჩრიტისძე დავით – გიორგი V-ის მ. 1345 წ. (ქისკ 2013: 42).
- ნიკოლაოზ – მანგლელის ძე, ანდრონიკე მეფის მ. 1348 წ. (ქისკ 2013: 45).
- გიორგი ეგანოსძე – დავით IX-ის მ. 1355 წ. (ქისკ 2013: 47).
- ჭურისძე – დავით IX-ის მ. 1365 წ. (ქისკ 2013: 48).
- იოსებ უჯარმელი – სამეფო კარის წინამძღვარი და მ. 1365 წ. (ქისკ 2013: 52).
- თავკბითასძე მახარებელი – გიორგი VII-ის მეფის მ. 1387, 1401 წწ. (ქისკ 2013: 58, 83, 86).
- კეტასძე დემეტრე – გიორგი VII-ის მ. 1393 წ. (ქისკ 2013: 62).
- ბასილისვილი იოსებ – სეფის მ. 1393, 1399 წწ. (ქისკ 2013: 66, 69).
- მარკოზისვილი დემეტრე – სამეფო კარის მ. 1408-1428 წწ. (ქისკ 2013: 81, 91, 101, 115, 119, 126, 129, 136, 152).
- ბეთლემისძე სოკრატ – ალექსანდრე I-ის მ. 1417 წ. (ქისკ 2013: 122).
- კაკლანასძე კლიმი – ალექსანდრე I-ის კარის მესტუმრე და მ. 1425-1448 წწ. (ქისკ 2013: 140, 154, 157, 160, 162, 165, 169, 173, 184, 187, 191, 193, 197, 199, 202, 218; ქისკ 2014: 15, 45).
- ქადაგის ძე ვიგრი – ალექსანდრე I-ის მ. 1439 წ. (ქისკ 2013: 210, 220, 223, 226, 232, 23).
- წირქუალელი გლონისთავაძე რატი – გიორგი VIII-ის მ. და მუშრიბი. 1451-1476 წწ. (ქისკ 2014: 58, 68, 87, 94, 112, 170, 215).
- გობირახისძე გაბრიელ – სამეფო კარის ხუცესი და მ. 1453 წ. (ქისკ 2014: 66).
- ზაქარია თუმანიშვილი – გიორგი VIII-ისა და კონსტანტინე II-ის კარის მ. 1454-1487 წწ. (ქისკ 2014: 84, 152, 168, 274).

ბარაქსაძე გიორგი – გიორგი VIII-ის კარის მ. 1457 წ. (ქისკ 2014: 92).

ჯორაშვილი გაბრიელ – გიორგი VIII-ის კარის მ. და ჯვარისმტვირთველი 1460 წ. (ქისკ 2014: 116).

იათორიძე /იათორისშვილი ვარსიმე – გიორგი VIII-ისა და ალექსანდრე I კახეთის მეფის კარის მ. 1463-1479 წწ. (ქისკ 2014: 131, 243, 247).

დავით – ბაგრატ ქართლ-იმერეთის მეფის (VI) კარის მ. 1467 წ. (ქისკ 2014: 166).

თუმანიშვილი მურად – ბაგრატ ქართლ-იმერეთის მეფის (VI) კარის მ. 1468 წ. (ქისკ 2014: 172).

ნურბული ანდრონიკე – კონსტანტინე II-ის მ. 1472 წ. (ქისკ 2014: 205).

ფილიპე – კონსტანტინე II-ის (იმერეთში) მ. 1486-1488 წწ. (ქისკ 2014: 271).

ფახრიშვილი ანდრონიკე – კონსტანტინე II-ის მ. 1488 წ. (ქისკ 2014: 281).

თავაქალაშვილი სადათიერ – კონსტანტინე II-ის კარის მ., მუშრიბი, მესტუმრე. 1491 წ. (ქისკ 2014: 286; მისი მემკვიდრეები იმერეთის მეფეების მ -ეზი ხდებიან).

კედელაშვილი საბა – კარის მ.1494 წ. (ქისკ 2014: 306).

სამეფო კარის მწიგნობრები / მდივანმწიგნობრები / მდივნები. XVI ს. ქართლი

თუმანიშვილი მანუჩარ – სამეფო კარის მ. 1512-1530 წწ. (ქისკ 2016: 45, 117).

ესტატე – სამეფო კარის მ. 1526 წ. (ქისკ 2016: 106).

იორდანე – სამეფო კარის მ. 1540-1553 წწ. (ქისკ 2016: 157, 216).

ათანასე – სამეფო კარის მ. 1542 წ. (ქისკ 2016: 169).

თუმანიშვილი დავით – სამეფო კარის მ. 1546 წ. (ქისკ 2016: 185).

თუმანიშვილი მირველ – სამეფო კარის მ. 1537/1538 წ. (ქისკ 2016: 153).

ათილასშვილი სუმბათ – სამეფო კარის მ. 1543 წ. (ქისკ 2016: 173).

ზებედე – მთავარდიაკონი. სამეფო კარის მ. 1552 წ. (ქისკ 2016: 215).

ბარნაბე წინამძღვარი – სამეფო კარის მ. 1561-1567 წწ. (ქისკ 2016: 249).

ხერხეულიძე / ალათანგელისძე ნავროზ – სამეფო კარის მ. 1566-1580 წწ. (ქისკ 2016: 266, 301, 306, 307, 315, 318, 319).

თუმანიშვილი შაჰველ – სამეფო კარის მ., ვაზირი. 1581-1591 წწ. (ქისკ 2016: 311, 327, 329, 411, 413).

რევიშვილი ზილფიყარ – სამეფო კარის მ. 1583-1618 წწ. (ქისკ 2016: 343, 346, 370, 373, 382, 386, 388, 407, ქსის 1955: 19.32, 37; პალ 2007: 65)

აბაშიძე ესტატე – სამეფო კარის მ. 1586-1612 წწ. (ქისკ 2016: 362, 365, 366, 371, 409, 416, პალ 1991: 49).

თუმანიშვილი ნასრია – სამეფო კარის მ. 1595-1624 წწ. (ქისკ 2016: 436; პალ 1993: 353).

სამეფო კარის მნიგნობრები/მდივნები. XVII ს. ქართლი

რევიშვილი ქუმსი – სამეფო კარის მ. 1608-1611 წწ. (პალ 2007: 66-67)

მარტიროზიშვილი ავთანდილ (I) – სამეფო კარის მ., მდივანთუხუცესი, დედოფლის მ. 1610-1656 წწ. (პალ 2007: 69-70; ქსის 1955: 147, 218, 225).

ოქრუაშვილი შერმაზან – სამეფო კარის მ. (1627-1633 წწ. სს 1899: 480; ქსის 1955: 63, 64, 68, 70, 75, 79, 94; პალ 2004: 351).

ყორღანაშვილი პაატა – სამეფო კარის მ. 1626 წ. (ქსის 1955: 73).

თუმანიშვილი გორჯასპ – სამეფო კარის მ. 1626-1678 წწ. (პალ 1993: 340).

თუმანიშვილი მანუჩარ – მერიქიფეთუხუცესი 1626-1628 წწ.; მორღარი 1638-1666 წწ.; სამეფო კარის მ. 1670 წ. (პალ 1993: 349-353).

თუმანიშვილი ბირთველ – სამეფო კარის მ. 1626-1664 წწ. (ქსის 1955: 88, 91, 114, 118, 123, 172, 174, 190, 215; პალ 1993: 327-333).

ყანდურალიშვილი ფირალ – სამეფო კარის მ. 1630-1662 წწ., სალაროს მუშრიბი 1636-1657 წწ. (ქსის 1955: 82, 83, 174, 190, 215, 291, 295, 297; ქსოის 1984: 31; პალ 2015: 16-17).

ყორღანაშვილი მერაბ – სამეფო კარის მ. 1633-1672 წწ. (ქსის 1955: 107, 112, 121, 123, 139, 162, 182, 188; ქსოის 1984: 23; პალ 2015: 61-65).

მარტიროზიშვილი შალვა – სამეფო კარის მ. 1634-1673 წწ. (პალ 2004: 73-74; ქსოის 1984: 21).

სვიმონ – სამეფო კარის მ. 1952 წ. (პალ 2007: 167).

ყორღანაშვილი შაველ – სამეფო კარის მ. 1655-1658 წწ. (ქსის 258, 64, 281; ქსოის 1984: 25; პალ 2015: 78-79).

თუმანიშვილი გიორგი (ბირთველ II-ის შვილი) – სამეფო კარის მ. 1653-1679 წწ. (პალ 1993: 338-340; ქსის 1955: 241, 327).

მარტიროზიშვილი სულხან – სამეფო კარის მ. 1658-1660 წწ. (ქსის 1955: 273; პალ 2004: 73).

თუმანიშვილი პაპუა – სამეფო კარის მ. 1662-1673 წწ. (პალ 1993: 357).

ყორღანაშვილი იარალი – სამეფო კარის მ. 1663-1697 წწ. (პალ 2015: 58-59).

- ფეშანგ** – სამეფო კარის მ. 1664-1666 წწ. (პალ 2007: 307).
- მარტიროზისშვილი ბეგთაბეგ** – სამეფო კარის მ. 1664-1697 წწ. (ქსის 302, 304; პალ 2004: 70-72).
- მარტიროზისშვილი ზაქარია** – სამეფო კარის მ. 1664-1688 (პალ 2004: 72-73).
- მარტიროზისშვილი ფარსადან** – სამეფო კარის მ. 1664-1692 წწ. (პალ 2004: 73).
- თუმანიშვილი ზურაბ** – სამეფო კარის მ. 1665-1699 წწ. კახთ მ. 1673-1678 წწ. (პალ 1993: 345-347).
- მანდენაშვილი როსტევეან** – სამეფო კარის მ. 1660-იანი-1688 წწ. (პალ 2004: 46-47; ქსის 1955: 326).
- როსტევეანაშვილი ქაიხოსრო** – ერეკლე I-ის მ. 1670-1700 წწ. (პალ 2007: 77).
- თუმანიშვილი სულხან** – ქართლის სამეფო კარის მ. 1673-1684 წწ. (ქსის 1955: 318, 330, 333; პალ 1993: 357-358).
- თუმანიშვილი ესტატე** – სამეფო კარის მ. 1689-1693 წწ. (ქსის 1955: 393; პალ 1993: 342-343).
- ენაკოლოფაშვილი ბეჟან** – ქართლის სამეფო კარის მ. 1688-1693 წწ. (პალ 1993: 133).
- მარტიროზისშვილი ავთანდილ (II)** – სამეფო კარის მ. 1694-1695 წწ. (პალ, III, 70)
- ენაკოლოფაშვილი ფარემუზ** – ქართლის სამეფო კარის მ. 1696-1699 წწ. (პალ 1993: 134)
- ფეშანგიშვილი დავით** – ქართლის სამეფო კარის მ. 1688-1699 წწ. (ქსის 1955: 392; პალ 2007: 308; პალ 1993: 46).
- დათუაშვილი** – ერეკლე I-ის მ. 1693 წ. (პალ 1993: 38).
- ხუცია** – სამეფო კარის მ. 1689-1693 წწ. (ქსის 1955: 343).
- ფირალისშვილი დავით** – ნაზარალი-ხანის მ. 1697 წ. (პალ 2007: 314).
- თუმანიშვილი გივი** – სამეფო კარის მ. 1681-1723 წწ., წედისის მოურავი 1688 წ. (პალ 1993: 333-338; ქსის 1950: 340, 341, 350, 353, 383, 385, 406, 425; დსსი 1940: 201; გიდ 2008: 107, 151, 175).
- თუმანიშვილი ოთარ** – სამეფო კარის მ. 1682-1703 წწ. (პალ 1993: 354-357)
- შალიკაშვილი ედიშერ** – სამეფო კარის მ. 1693-1703 წწ.; დედოფლის მ. 1695-1696 წწ.; მეფის ქარხნის ნაზირი 1696-1703 წწ.; იბრეიმ-ფაშას მ. 1723 წ. (ქსის 1955: 363; პალ 2015: 109-110; სეა: 1450-17/76; 1450-26/159)..
- ჯავახიშვილი დავით** – სამეფო კარის მ. 1697-1732 წწ. (ქსის 1955: 386; სეა: 1448-1549; 1450 – 47/ 14; გიდ 2008: 191).

სამეფო კარის მნიგნობრები / მდივანმნიგნობრები/ მდივნები XVIII ს. ქართლი

თუმანიშვილი გივი – სამეფო კარის **მ.** 1710 წ. (ქსის 1955: 425)

ჯავახიშვილი გიორგი – სამეფო კარის **მ.** 1721-1743 წწ. (მსეი, 1953: 14-15, სეა, 1448-5426; ხეც, Hd-10154; დსსი 1940: 249-250; მსეი 1953: 14, 15).

შანშეან-მარტიროზიშვილი ბეგთაბეგ – სამეფო კარის **მ.** 1721-1743 წწ. (მსეი 1953: 14; ქსდ 1970: 705; ხეც Hd-978; სეა, ფ. 1450, დ. 27, ს. 119; დსსი 1940: 254-255; მსეი 1953: 14).

თუმანიშვილი ბირთველ (III) – სამეფო კარის **მ.** 1723-1735 წწ. (ხეც: Ad-1514₁, Qd-8569; სეა: 1449-1073; 1449-636).

შარმაზან – სამეფო კარის **მ.** 1723 წ. (1450-37/231).

კაკვასიძე მელქისედეკ – სამეფო კარის **მ.** 1725-1734 წწ. ხეც: Hd-11345, Hd-14852^ა; სეა: 1448-. 105; 1450-47/ 122; 1449-268).

შანშეან-მარტიროზიშვილი ყარან – სამეფო კარის **მ.** 1725-1742 წწ. (სეა: 1450-34/117; 1448-5014; ხეც: Hd-2745; Hd -14290; დსსი 1940: 294-295).

თაქთაქიშვილი სულხან – სამეფო კარის **მ.** 1725-1734 წწ. (სეა, 1450- 34/ 117; ხეც, Hd-14852^ბ).

აბაზაძე ბეჟან – სამეფო კარის **მ.** 1727 წ. (სს 1909: 338-339).

პაატა – სამეფო კარის **მ.** 1732 წ. (ხეც: Sd-253^ა, Hd-1026, სეა, 1450-48/58).

აბრამიშვილი იესე – სამეფო კარის **მ.** 1735 წ. (ხეც, Qd-1026; სეა, 1450-48/58).

ვახუშტი – სამეფო კარის **მ.** 1735-1737 წწ. წ. (ხეც: Hd-2388; Hd-9685; Hd-9685; დსსი 1940: 268-269).

თუმანიშვილი ეგნატი – **მ.** 1735 წ. (ხეც, Qd-167).

თუმანიშვილი გორჯასპ (II) – სამეფო კარის **მ.** 1735-1769 წწ. (ხეც: Ad-386; Hd -10123; Hd-10038; Hd-10284; Hd-14522; Sd-203; Sd-1706; სეა: 1448- 3514; 1450-25/36; დსსი 1953: 255; გიდ 2008: 374).

კაკვასიძე ეფრემ – სამეფო კარის **მ.** 1736 წ. (Qd-10654).

ბაინდურაშვილი ავთანდილა – **მ.**, მუშრიბი; 1736-1743 წწ. (ხეც Hd-3816; Hd-491; სეა: 1448-79; 1450: .1/135; 1450-14/ 26; 1449-50-13/43; დსსი 1940: 294-295).

თუმანისვილი დემეტრე – სამეფო კარის **მ.** 1739 წ. (სეა: 1448-158).

ფარემუზაშვილი პაპა – სამეფო კარის **მ.** 1741 წ. (სეა: 1450-1/9, 1450-1/ 11.).

[თუმანიშვილი] ოთარ – სამეფო კარის **მ.** 1737-1769 წწ. (სეა, 1450- 4/261; ხეც: Hd-1875; Ad-1421; Qd-531; ТКПФ 1989: 83; ქსის 1955: 453).

შანშეან-მარტიროზიშვილი სულხან (ბეგთაბეგის ძე) – სამეფო კარის მ. 1752-1770 წწ. ფეშქაშნავისი 1770 წ. (სეა, 1448-125; 1448-2917; ხეც: Qd-168; Qd-7019, Qd-196; დსსი 1940: 317-318).

თუმანიშვილი ედიშერ – 1763-1768 წწ. (ხეც, შდ-1748; სეა, 1448-1282).

[შანშეან-მარტიროზიშვილი] ბეგთაბეგ – სამეფო კარის მ. 1765 წ. (ხეც, Qd-8586).

თუმანიშვილი დავით – სამეფო კარის მ. 1771 წ. (გიდ 2008: 447)

ჯავახიშვილი დავით – სამეფო კარის მ. 1766-1771 წწ. (ხეც, Qd -806).

იესე – სამეფო კარის მ. 1768 წ. (სეა, 1448-1282).

სამეფო კარის სამეფო კარის მნიგნობრები/ მღივანმნიგნობრები. XV-XVIII სს. კახეთი

ლაყვარდისძე დანიელ – სამეფო კარის მ. 1464 წ. (ქისკ 2014: 139).

იათორიძე /იათორისშვილი ვარსიმე – სამეფო კარის მ. 1479 წ. (ქისკ 2014: 247).

ალმატისშვილი იოანე – სამეფო კარის მ. 1492-[1501] წწ. (ქისკ 2014: 293).

დანიელ – სამეფო კარის მ. 1513 წ. (პალ 1993: 51).

ტიმოთე – სამეფო კარის მ. 1505-1527 წწ. (პალ 2007: 243)

ქემაროზისძე იოანე – სამეფო კარის მ. 1558 წ. (პალ 2007: 364).

მთავარასძე ზურაბ – სამეფო კარის მ. 1560-1570-იანი წწ. (პალ 2004: 165-166)

მათარსი – სამეფო კარის მ. 1577 წ. (პალ 2004: 7).

ჭრელა მირზაშვილი – სამეფო კარის მ. 1597 წ. (პალ 2004: 175).

ლაზარე – სამეფო კარის მ. 1622-[1632] წწ. (პალ 1993: 549).

ნათანაელ – სამეფო კარის მ. 1625-1641 წწ. (პალ 2004: 260)

ოღიაშვილი იოანე – სამეფო კარის მ. 1621-1630 წწ. (პალ 1993: 444; პალ 2004: 354)

დავით – სამეფო კარის მ. 1631-1660 წწ. (პალ 1993: 15)

ელიზბარ – სამეფო კარის მ. 1641-1648 წწ. (პალ 1993: 123).

ლაზარესშვილი იოვანე – სამეფო კარის მ. 1646 წ. (პალ 1993: 550).

ონანა – სამეფო კარის მ. 1656-1692 წწ. სახლთუხუცესი 1690-1703 წწ. (პალ 2004: 328-329).

თამაზ – სამეფო კარის მ. 1664-1692 წწ. (პალ 1993: 277).

თუმანიშვილი ზურაბ – სამეფო კარის მ. 1665-1699 წწ. (პალ 1993: 345-347).

მგალობლისშვილი პეტრე – სამეფო კარის მ. 1688 წ-ის ახლო. (პალ 2004: 134)

თუმანიშვილი შიომ – ნაზარალი-ხანის (ქართლი) **მ.** 1673-1704 წწ. კახეთის **მ.** 1703-1716 წწ. (პალ 1993: 361-362; ქსის 1955: 345, 359, 376, 404, 408, 410, 417; ქსოის 1984: 43; გიდ 2008: 49, 99, 277, 281).

[თუმანიშვილი] გორჯასპ (II) – იმამყული-ხანის (დავით II) **მ.** 1698-1708 წწ. სეა, 1448-2943, ქსის 1950: 396, 419, 423; სს 1909: 368).

გურგენ – დავით-იმამყული-ხანის **მ.** 1716 წ. (ქსოის 1984: 42).

ავთანდილ – დავით-იმამყული-ხანის **მ.** 1720 წ. (ქსის 431).

ონანა – კონსტანტინე-მაჰმადყული-ხანის **მ.** 1723 წ. (სეა, 1450-32/251).

თუმანიშვილი სულხან – სამეფო კარის **მ.** 1727-1779 წწ. (ხეც: Ad-386; Ad — 1035; Qd-3774; Hd-10123; Hd-10284; Hd-7803, Hd-9703, Hd-5196; ქსის 1955: 440, 442, 447; 1736-1739 წწ. დსსი 1940: 271-272, 266-267; მსეი 1953: 26-27; გიდ 2008: 511).

ზურაბ – სამეფო კარის **მ.** 1736-1743 წწ. (კაკაბაძე 1913: 55-60; სეა, 1449-2592; ხეც, Ad -2244).

სამეფო კარის სამეფო კარის მნიგნობრები/ მდივანმნიგნობრები.

XV-XVIII სს. იმერეთი

გიორგი მოლაზონისძე – სამეფო კარის **მ.** 1432 წ. (პალ 2004: 206)

ნიკოლოზ – სამეფო კარის **მ.** 1446 წ. (ქისკ 2014: 31).

კახაბერისძე – სამეფო კარის **მ.** 1455-1459 წწ. (ქისკ 2014: 89).

იოვაკიმე – ალექსანდრე II იმერეთის მეფის **მ.** 1484-1510 წწ. (ქისკ 2014: 264).

თავაქალაშვილი ალადად – ალექსანდრე II იმერეთის მეფის **მ.** 1497 წ. (ქისკ 2014: 318).

თავაქარაშვილი ზურაბ – სამეფო კარის **მ.** 1527 წ. (პალ 1993: 265).

თავაქარაშვილი მირველ – სამეფო კარის **მ.** 1558 წ. (პალ 1993: 264).

თუმანიშვილი ელიზბარ – სამეფო კარის **მ.** 1570 წ. (პალ 1993: 341).

თავაქარაშვილი ალასი – სამეფო კარის **მ.** 1568-1573 წწ. (პალ 1993: 264).

თავაქარაშვილი ხმაფილანდრო – სამეფო კარის **მ.** 1601 წ. (პალ 1993: 266).

თავაქარაშვილი თაყა – სამეფო კარის **მ.** 1610 წ. (პალ 1993: 265).

თავაქარაშვილი პაატა – სამეფო კარის **მ.** 1627-1639 წწ. (პალ 1993: 265-266).


თავაქარაშვილი მამუკა – სამეფო კარის **მ.** 1628-1639 წწ. (პალ 1993: 265).

თავაქარაშვილი ხოსინა – სამეფო კარის **მ.** 1639-1646 წწ. (პალ 1993: 266).

ფემანგ – სამეფო კარის **მ.** 1641-1664 წწ. (პალ 2007: 307).


- გიორგი „ქართველი“ – (აქ: ქართლელი) – 644-1660 წწ. (პალ 1991: 651).
- თავაქარაშვილი ბაქარ – სამეფო კარის მ. 1658 წ. ახლო. (პალ 1993: 265).
- თავაქარაშვილი ბეჟია – სამეფო კარის მ. 1677-1680 წ. (პალ 1993: 265).
- თავაქარაშვილი ხუცია – სამეფო კარის მ. 1660-1673 წწ. (პალ 1993: 266).
- თავაქარაშვილი ასლან – სამეფო კარის მ. 1663-1697 წწ. (პალ 1993: 264).
- თავაქარაშვილი პატა – სამეფო კარის მ. 1678-1685 წწ. (პალ 1993: 266).
- თავაქარაშვილი ელიზბარ – სამეფო კარის მ. 1685 წ. (პალ 1993: 265).
- თავაქარაშვილი ბეჟან – სამეფო კარის მ. 1685 წ. (პალ 1993: 266).
- თავაქარაშვილი ასლან – სამეფო კარის მ. 1690-1697 წ. (სეა, 1449-61; ხეც, Hd-503).
- გურგენ – სამეფო კარის მ. 1683-1697 წწ. (პალ 1991: 746).
- ადამიძე სოლომონ – სამეფო კარის მ. 1698-1701 წწ. (ხეც, Sd-631).

მ. სურგულაძე



დაინერა ბ(რძანე)ბაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა ორმოცდა|მეათექუსმეტესა და ძისა ჩუენისა ვახტანგ მეფისასა მეათესა, ჳელითა ზარდ|ახნისა მწიგნობრისა ჩუენისა გ(იორგ)ი სოფრომისძისაითა.

ხეც, Hd-1331, 1387/1388 წ. წყალობის სიგელი, მიცემული დავით და ვახტანგ მეფეებისა ვახტანგ თულაშვილისადმი.



...დაინერა ბ(რძანე)ბაი და სიგელი ესე ჩ(უ)ენი ინ| დიკტიონსა მეფობისა ჩ(უ)ენისასა იდ, ჳელითა მწიგნობრისა ჩ(უ)ენისა |დანგა ბრუტაისძისაითა.

ხეც, Hd-1351, 1170 წ. სიგელი გიორგი III-ისა შიომღვიმისადმი.

მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი – უმაღლესი საკარისკაცო თანამდებობა XII-XIII სს-ების საქართველოს სამეფო კარზე. შეიქმნა დავით აღმაშენებლის (1089-1125) მეფობის დროს ცენტრალური აპარატის ადმინისტრაციული რეფორმის შედეგად. **მ. ჭ**-ობა, ჩვეულებრივ, ეპყრა ბერმონაზვნური ფრთის წარმომადგენელ საეკლესიო პირს, რომელიც მნიგნობართუხუცესობასთან ერთად სხვადასხვა დროს ფლობდა რამდენიმე მნიშვნელოვან კათედრას (ჭყონდიდი, ბედია, ალავერდი, სამთავისი, აწყური). **მ. ჭ**-ები ატარებდნენ „ქრისტეს სწორის“ და პროტოიპერტიმოსის საპატიო ტიტულებს. „ხელმწიფის კარის გარიგების“ თანახმად, **მ. ჭ**. კათალიკოსი და მოძღვართ-მოძღვარი ერთნაირი პატივით სარგებლობდნენ. დიდ დარბაზობაზე **მ. ჭ**. პირველი ეთაყვანებოდა მეფეს, შემდგომ უკვე მეფე მიაგებდა სათანადო პატივს ფეხზე წამოდგომითა და „ნოხთა პირსა ზედა“ მის წინაშე თაყვანებით. მხოლოდ ამის შემდეგ **მ. ჭ**. მეფის მარცხენა მხარეს დაბრძანდებოდა „ნატითა და ბალიშით“.

მ. ჭ. ერთდროულად იყო სახელმწიფო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და მეფის „მამა“. ფაქტობრივად, ის იყო სახელმწიფოში მეორე პირი, რომელიც კოორდინაციას უწევდა სამეფო კარის სამოქალაქო, სამხედრო და საეკლესიო უწყებების სინქრონულ საქმიანობას. **მ. ჭ**. მონაწილეობდა საბრძოლო გეგმების შემუშავებაში და თვით სამხედრო ოპერაციებში, დიპლომატიურ საქმიანობაში, ეპარქიათა მესაჭეების შერჩევა-დანიშნვაში. მის უშუალო კომპეტენციაში შედიოდა მართლმსაჯულება, რითაც იგი დაკავებული იყო ყოველი კვირის ორშაბათს. **მ. ჭ**. ევალებოდა სამეფო დომენის მონასტრებისა და სამღვდელთა დასის მეთვალყურეობა და მათზე ზრუნვა (გარდა გელათისა). ამ მრავალფეროვან საქმიანობას **მ. ჭ**. უძღვებოდა მეფესთან შეთანხმებით და მისი უშუალო ნებართვით. **მ. ჭ**-ს უშუალოდ ემსახურებოდნენ სანოლისა და ზარდახნის მნიგნობრები, რომელთა დახმარებით იგი ისმენდა საჩივრებს და აღასრულებდა მართლმსაჯულებას. მას, როგორც „მეფის მამას“, უფლება ჰქონდა შესულიყო სამეფო საჭურჭლეში და გაეკონტროლებინა სახელმწიფოს შესავალ-გასავალი. მის წინაშე ანგარიშვალდებული იყვნენ სასახლის დანარჩენი მნიგნობრებიც, რომლებიც სხვადასხვა უწყებაში მსახურებდნენ. **მ. ჭ**. ამზადებდა სავაზიროს სხდომებს და და თვალყურს ადევნებდა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას.

მ. ჭ-ად ინიშნებოდნენ სამეფო ოჯახის უახლოესი ვასალური წრიდან გამოსული და მაღალი განსწავლულობის მქონე პირები, რომლებიც მეფის უმაღლესი ნდობით სარგებლობდნენ. ნ. ბერძენიშვილის შეფასებით, **მ. ჭ**-ის თანამდებობის არსებობა დაემთხვა ქართული სახელმწიფოებრიობის უნაყოფიერეს პერიოდს. მკვლევარები მას ადარებენ დასავლეთ ევროპულ კანცლერს, თუმცა სრულ იდენტურობაზე ლაპარაკი შეუძლებელია. **მ. ჭ**-ის თანამდებობის დასუსტება დაიწყო XIII ს-ის 10-იანი წლებიდან, თამარის მიერ ათაბაგობის შემოღების შემდეგ, რაც, ფაქტობრივად, **მ. ჭ**-ის უპირველესი მრჩევლის ფუნქციების გაყოფას მოასწავებდა ათაბაგთან.

როდის გახდა **მ. ჭ.** სავაზიროს მეთაური, ბოლომდე ცხადი არ არის. ივ. ჯავახიშვილი სავაზიროს არსებობას ვარაუდობდა გიორგი III-ის დროიდან. მ. ლორთქიფანიძე – თამარის დროიდან. შ. მესხიას აზრით, სავაზირო, როგორც დაწესებულება, თამარის მეფობის დასაწყისში ჯერ კიდევ არ არსებობდა. ამ დრომდე მეფის ერთადერთი მრჩეველი (ვაზირი) იყო მხოლოდ **მ. ჭ.** მისი უკიდურესად ფართო უფლებების გამო შეფარული კონფლიქტის ნიშნები სამეფო კარის სხვა დიდ მოხელეებთან იკვეთება XII საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამ თანამდებობასთან შეუთავსებლობას ამჟღავნებდნენ, ერთი მხრივ, ამირსპასალარი და, მეორე მხრივ, კათალიკოსი. ეს ფარული დაპირისპირება მკაფიოდ გამოიჟღავნდა თამარის მეფობის პირველ წლებშივე. ამის გამოვლინება იყო მიქაელ კათალიკოსის მიერ **მ. ჭ.**-ის თანამდებობის მიტაცება. თამარს საგანგებო საეკლესიო კრების მოწვევა მოუხდა, რათა კათალიკოსისათვის **მ. ჭ.**-ის თანამდებობა ჩამოერთმია. შ. მესხია **მ. ჭ.**-თან განსაკუთრებული კონფლიქტის საფუძველს ხედავს ამირსპასალართან, რადგან **მ. ჭ.**-ს სამხედრო საქმეებიც ებარა. მისი აზრით, ამირსპასალარის მზარდი პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად შემოიღო თამარმა ათაბაგის ინსტიტუტი. ამიერიდან ათაბაგი **მ. ჭ.**-ს, ერთი მხრივ, ეცილებოდა „მეფის მამობაში“, მეორე მხრივ, სამხედრო უწყების ზედამხედველობაში. **მ. ჭ.**-ის ძალაუფლების ამგვარმა გაყოფამ დასაბამი მისცა ამ თანამდებობის დამცრობას. ამავე ცვლილებას უნდა გამოეწვია მოხელეთა გადაადგილება სამეფო კარზე და სავაზიროს ჩამოყალიბება. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მიეღო **მ. ჭ.**-ს ვაზირთა უპირველესის, ანუ ვაზირთუხუცესის (იხ.) წოდება. თამარის მეფობის ბოლო წლებში **მ. ჭ.**-ის ხელში დარჩა სააჯო კარი და საჭურჭლე, სამხედრო უწყება მთლიანად ათაბაგ-ამირსპასალარის ხელში გადავიდა (ივანე მხარგრძელი ერთდროულად ათაბაგიც იყო და ამირსპასალარიც). თამარის შემდგომ, XIII ს-ის 40-იან წწ. კვლავ გვხვდება **მ. ჭ.**-ისა და კათალიკოსის თანამდებობათა შერწყმის ფაქტი, რაც მიანიშნებს, რომ **მ. ჭ.**-ის დამოუკიდებელ არსებობას საფუძველი უკვე მორყეული ჰქონდა. მიუხედავად ამისა, მონღოლთა ბატონობის წლებში ორად გაყოფილ ქართულ სამეფოებში **მ. ჭ.** ფორმალურად ისევ რჩებოდა სამოხელეო იერარქიის სათავეში. XIII ს-ის ბოლოს ეს თანამდებობა რომ დასავლურქართულ სამეფოშიც არსებობდა, ამას ადასტურებს „ხელმწიფის კარის გარიგება“, რომელიც დასავლეთ საქართველოშია შედგენილი XIII ს-ის მიწურულს. აღმოსავლეთ საქართველოს ვაზირთა უპირველესის წოდებულებაში „ჭყონდიდლობა“ საპატიო ტიტულის სახით იყო შენარჩუნებული, თუმცა მას ჭყონდიდის კათედრაზე ხელი არ მიუწვდებოდა. აღმოსავლეთ საქართველოში XIII ს-ის 60-იანი წლების შემდგომ **მ. ჭ.** აღარ გვხვდება.

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 32, 22-23; ქისკ 1984: 100, 119; ხელმწიფის კარის გარიგება 1965: 82, 90; ჯავახიშვი-

ლი 1982: 270-282; ბერძენიშვილი 1966: 5-56; ლორთქიფანიძე 1955: 67-73; მესხია 1979: 27-30, 73-74; ანთელავა 1983: 115-122; სურგულაძე 2012: 146-168; აბაშიძე 2013: 138-142.

მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლები. XII-XIII სს.

გიორგი – მ. ჭ. დაახლ. 1105-1118 წწ. დავით აღმაშენებლის თანამედროვე და თანამოაზრე; „აღმზრდელი „პატრონისაჲ და თანა-გამკაფელი ყოველთა გზათა და საქმეთა და ლუანლთა მისთაჲ“. ესწრებოდა რუის-ურბნისის კრებას, რომლის დღის წესრიგი, სავარაუდოდ, მისი მონაწილეობით შედგა. ივანე ორბელთან ერთად იგი ხელმძღვანელობს სამშვილდის აღებას. ასეთივე წარმატებით უძღვება რუსთავის განთავისუფლების სამხედრო ოპერაციას. გიორგი **მ. ჭ.**-ის დისწულს, თევდორეს, ბაღვაშთა განდევნის შემდეგ მეფემ უბოძა თრიალეთი და კლდეკარი. გიორგი **მ. ჭ.** თან ახლდა დავითს ჩრდილო კავკასიაში, ყივჩაყთა ჩამოსაყვანად მოწყობილ ექსპედიციაში. იგი გარდაიცვალა უკანა გზაზე, ოვსეთში. დაკრძალეს გელათში.

წყარო: დავითის ისტორიკოსი 1955: 331, 333, 336, 337.

სვიმეონ – გიორგი მ. ჭ.-ის დისწული, **მ. ჭ.** 1118 -1140-იან წწ-ში. სვიმეონი იყო რიგით მეორე **მ. ჭ.** ბედიელ-ალავერდელის ხარისხით. შარვანის აღების შემდგომ დავით აღმაშენებელმა მას ერთხანს ჩააბარა ქალაქის გამგებლობა. სვიმეონს **მ. ჭ.**-ს 1241 წ. განუახლებია უბისის ტაძარი და იქვე აღუმართვს მემორიალური სვეტი, რაზედაც იუნყება ამ სვეტზე მოთავსებული წარწერა.

წყარო: დავითის ისტორიკოსი 1955: 345.

იოვანე – მ. ჭ. XII ს-ის 60-იანი წწ-დან 1179 წ-მდე. გიორგი III-ის თანამედროვე. თამარის ისტორიკოსის ცნობით, 1161 წ. ანისისათვის ბრძოლის წინ გიორგი III-ს თანავაზირობდა იოვანე მნიგნობართუხუცესი და სუმბატ სვიმონ-ქმნილი (ორბელი). გამარჯვების შემდეგ გიორგი მეფემ მას გადასცა ძელი ცხოვრებისა. შესაძლოა, სწორედ ეს იოვანე იგულისხმება აღარწინის ქართული წარწერის უსახელო მნიგნობართუხუცესში, რომელიც გიორგი III-სთან ერთად არის მოხსენიებული. როგორც ა. აბდალაძე ვარაუდობს, წარწერაში მათი ერთად მოხსენიება მოსახსენებლის დაწესებას უნდა გულისხმობდეს. ერემიანის აზრით, გიორგიმ კაენის ოლქი (რომელშიც აღარწინი შედიოდა), სამეფო დომენს მიუერთა და უშუალოდ მნიგნობართუხუცესის გამგებლობაში მოაქცია (აბდალაძე 2005: 78).

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი 1955: 7; აბდალაძე 2005: 75, 77.

ანტონ გლონისთავისძე – 1177-1184, 1185/6-1204 წწ. ანტონ გლონისთავისძეს **მ. ჭ**-ის თანამდებობა ეკავა გიორგი III-ის მეფობის ბოლო წლებში. იგი მოხსენიებულია აღარწინის 1184 წლის წარწერაში გიორგი III-სთან და სარგის ამირასთან ერთად. შ. მესხიას დაკვირვებით, ანტონ გლონისთავისძე “უგვართა” იმ კატეგორიას ეკუთვნოდა, რომელიც გიორგი III-მ ორბელთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ დააწინაურა. სწორედ ამიტომ გიორგის გარდაცვალების უმაღლეს დიდგვაროვანთა ზენოლით მან დაკარგა თანამდებობა. მის გადაყენებაში დიდი დამსახურება უნდა მიუძღოდეს მიქაელ კათალიკოსს, რომელმაც თამარის ტახტზე ასვლისას **მ. ჭ**-ობა სხვა კათედრებთან ერთად (სამთავისი, აწყვერი) „მოივერაგა“. ანტონ გლონისთავისძის გადაყენება, შესაძლოა, კავშირში იყოს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დიდებულთა ურთიერთქიშპთან სამეფო კარზე პირველი პოზიციების მოსაპოვებლად. თამარმა მეორედ კურთხევის შემდეგ გამოიხმო იგი გარეჯიდან და აღადგინა **მ. ჭ**-ად და ვაზირად. **მ. ჭ**-ობასთან ერთად მას მისცეს სამთავისი და კისისხევი. ანტონი ვაზირად იხსენიება თამარის დედის გარდაცვალების ეპიზოდში ამირსპასალარ ყუბასართან ერთად. 1194/1195 წ. თამარის შიომღვიმისათვის ბოძებულ სიგელში იგი „ქრისტეს სწორის“ ეპითეტით მოიხსენიება. სიგელში ნათქვამია, რომ ანტონმა გამოიყვანა სხალტბიდან რუ შიომღვიმის მონასტრისათვის, რომლის „მკაზმავად“ თამარმა მონასტერს გლეხები შესწირა. თამარის ბრძანებით, ანტონ **მ. ჭ**-ს გაუცია შამქორში ლაშქრობის ბრძანება. ბრძოლაში თავად ახლდა ქართველთა ჯარს, მაგრამ „რიდობით მონაზონობისათა არა იკადა მახვილი და მისრულმან ორითა ყმითა, შემოაქცია სამასი ჯორი და აქლემი“. 1204 წ-ის შემდეგ ანტონის სახელი ქრება წყაროებიდან და 1205-1207 წწ-ში ამ თანამდებობაზე უნდა ყოფილიყო თევდორე.

წყაროები და ლიტერატურა: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 25, 32, 72; ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 122-123, 1250126; ქისკ 1984: 101-102; მესხია 1979: 40, 64, 78, 80, 85; ბერძენიშვილი 1966: 13.

მიქაელ – ქართლის კათალიკოსი მიქაელ IV 1178-1187 წწ.; **მ. ჭ**., სამთავისის და აწყურის კათედრების საჭეთმპყრობელი 1184 წ. ამ მაღალი საეკლესიო თანამდებობების მიღება მიქაელ კათალიკოსს მოუხერხებია ანტონ გლონისთავისძის გადადგომის შემდეგ, რაშიც, თამარის მეორე ისტორიკოსის ირიბი მინიშნებებით, მისივე ხელი ერია. ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ **მ. ჭ**-ობა კათალიკოსმა „მოივერაგა“. მიქელ კათალიკოსისა და **მ. ჭ**-ის შემთხვევა მკაფიოდ ავლენს იმ შეფარულ წინააღმდეგობას, რომელიც მომნიშვნელო იყო კათალიკოსის ინსტიტუტსა და **მ. ჭ**-ს შორის. **მ. ჭ**-ს ფართო უფლებები ჰქონდა ჩარეულიყო საეკლესიო

ცხოვრებაში, მას ებარა მრავალრიცხოვანი სამეფო ეკლესია-მონასტრების მეურვეობა, წყვეტდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორც იყო ეპარქიების საჭეთმპყრობელთა კანდიდატურების შერჩევა და სხვ. თამარმა მისი მეორედ კურთხევის შემდეგ დააბრუნა ანტონ გლონისთავისძე **მ. ჭ**-ის თანამდებობაზე, ხოლო ყუთლუ არსლანის გამოსვლის შემდეგ მონვეულ საეკლესიო კრებზე შეეცადა მიქაელის კათალიკოსობიდან გადაყენებასაც, მაგრამ მღვდელმთავართა უმეტესობამ მიქაელის მხარე დაიჭირა.

წყარო და ლიტერატურა: ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 32, 118, 122-123; ანთელავა 1980: 209; სურგულაძე 2012: 161-162.

თეოდორე – მ. ჭ. 1204-1207 წწ-ში. თეოდორე მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის განგებით უთარგმნიათ კარნუ ქალაქიდან ალაფად წამოღებული „ნიგნი სააქიმო“. ეს ფაქტი აღნიშნულია ხელნაწერის ანდერძში, სადაც თეოდორე **მ. ჭ.** და პროტოუპერტიმოსი „ვაზირთა ყოველთა უპირველესად“ მოიხსენიება.

წყაროები და ლიტერატურა: ხეც, S-1274; მესხია 1979: 75; ბერძენიშვილი 1966: 13.

არსენ – კათალიკოსი და მ. ჭ. დაახლ. XIII ს-ის 40-იანი წწ-დან 1248 წ-მდე. დაახლ. 1241 წ. იგი რუსუდან მეფემ დიპლომატიური მოლაპარაკებების საწარმოებლად გააგზავნა ბათუ ყაენთან, სადაც თან ხლებია მგელა აბულახტარისძე. უკან დაბრუნების შემდეგ არსენ **მ. ჭ.** ამ პირს აძლევს წყალობის სიგელს. იგივე არსენი 1247/1250 წწ-ში ბერად შემდგარა შიომღვიმის მონასტერში. მისი მოთხოვნით გრიგოლ სურამელმა დაუბრუნა მიტაცებული სოფლები შიომღვიმის მონასტერს, რაზედაც იუწყება გრიგოლ სურამელის მონასტრისადმი ბოძებული ანდერძი.


წყარო და ლიტერატურა: ქისკ 1984: 119, 125, 127; ბერძენიშვილი 1966: 21-22.

ბასილი – მ. ჭ. პროტოუპერტიმოსი, ჭყონდიდელ-უჯარემელი 1250-1265 წწ-ში. სავაზიროს სათავეში ედგა დავით ლაშას ძის (ულუ) მეფობის დროს. მონღოლთა საგადასახადო ტვირთისაგან მიწებდაკარგულ აზნაურთა დასახმარებლად მეფის სიბაზე ყოფნის დროს ბასილი **მ. ჭ**-ს მისგან დამოუკიდებლად დაუწყია საეკლესიო მიწების გამოწირვა და უმიწოდ დარჩენილი აზნაურობისათვის დარიგება. 1263 წ. გამართულმა საეკლესიო კრებამ მეფეს მოსთხოვა უარი ეთქვა საეკლესიო მიწების გამოწირვაზე. სამეფო ხელისუფლება დათმობაზე არ წავიდა. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ამ ამბებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ბასილის მიმართ წაყენებული ბრალდებები. მას დაბრალდა მეფის მამულების შემოსავლების მითვისება და მეფის საწოლის შეურაც-

ხყოფა. დავით VII-მ ბასილი გამოუძიებლად და გაუსამართლებლად დასაჯა – „დამოკიდეს ძელსა შუა ქალაქსა“. ეს ამბავი მოხდა 1264 წ.

წყაროები და ლიტერატურა: ჟამთააღმწერელი 1959: 253; ქისკ 1984: 117, 119. 169-174; ჯავახიშვილი 1982: 76-82; ბერძენიშვილი 1966: 27.

მ. სურგულაძე



ქ. დნერილისა ამისა მეცა დამამტკიცრბელი ვარ, უღირსი | ბასილი ქ(ყონდიდელ)-მნ(იგნობართ)უხ(უცე)სი და პროტოიპერტიმოსი, მტკიცე ყოს | ღ(მერ)თ(მან)...

სეა, ფ. 1448-5003, [1241/1242] წ.. დანერილი არსენ ქყონდიდელ-მნიგნობართუხუცესისა მგელა აბულახტარისძისადმი

ნაზირი – (არაბ.-სპარს. nāzer-მეთვალყურე, ზედამხედველი); ცენტრალური აპარატის მოხელე, სასახლის სალაროს, სამეურნეო დაწესებულებათა და საწყობების გამგებელი. ვახუშტის ცნობით, ეს სახელო როსტომის (1632-1658) დროსაა შემოღებული ეზოსმოდღრის (იხ.) ნაცვლად. ტერმინი „ნაზირ“ სეფიანთა ირანში უმაღლესი რანგის მოხელის, სასახლის მინისტრის, სუპერინტენდანტის აღმნიშვნლად გამოიყენებოდა. იგი იყო მთავარი ადმინისტრატორი, შაჰის პირველი ეკონომისტი; მას ევალებოდა შაჰის საკუთრებაში შემავალი უძრავი და მოძრავი ქონების განკარგვა; განაგებდა ასევე, თავლასა და არსენალს. შაჰ-აბას II-ის დროს **ნ**-ის თანამდებობა დაემცრო და მისი ფუნქციები, თითქმის მთლიანად, დიდ ვეზირს გადაეცა. სულხან-საბას თანახმად, **ნ**-ის შესატყვისი იყო აბრამადი (იხ.), ქარხნის **ნ**-ისა – ეზოსმოდღვარი. სხვაგვარი განმარტებით, **ნ**. იგივე სალაროს **ნ**. და ქარხნის ეზოსმოდღვარია (ნ. ჩუბინაშვილი). XVII-XVIII სს-ში **ნ**. სახლთუხუცესს (იხ.) ექვემდებარებოდა. ქართული წყაროების მიხედვით, ამ პერიოდში არსებობდა სალაროს **ნ**., ქარხნის **ნ**. და ჩარფა **ნ**. – სალაროს **ნ**. პასუხისმგებელი იყო სასახლის სალაროში არსებული ყოველი ნივთის შენახვასა და გაცემაზე, საჭირო ნივთების და პროდუქტის შექენაზე. ქარხნის

ნ. განაგებდა ქარხნებს – სანყობებს, სადაც თავს იყრიდა სამეფოს ყოველგვარი შემოსავალი (ნატურალური მოსაკრებელი მეფის სახასო მამულებიდან, ბაჟის, იჯარის გამოსაღები და სხვ.). **ნ.**-ს მორჩილებაში უნდა ჰყოლოდა თავლიდარი (იხ.) და ამაღა. XVII ს-ში **ნ.**-ებს შეთავსებით ეკავათ სხვა სამოხელეო თანამდებობებიც: მეფისა და დედოფლის კარის მდივნობა, სოიბათიასაულობა (იხ.) მათვე სამოურავოდ გადაცემული ჰქონდათ ცალკეული სოფლები. ჩარფა **ნ.** „ოთხფეხთა ზედამხედველი“ (პ. უმიკაშვილი) იყო. **ნ.**-ები, ცენტრალური აპარატის სხვა მოხელეების მსგავსად, სარგოს გარდა, ულუფასა და ჯამაგირსაც იღებდნენ.

წყაროები და ლიტერატურა: სურგულაძე 1952: 181-188; მესხია 1948: 026, 16; Fragner 1986: 554; Savory 2007: 183; დასტურალამალი 1965: 245; ვახუშტი 1973: 32; სულხან-საბა ორბელიანი 1991: 561; ჩუბინაშვილი 1961: 132, 311; Tadkerat al-molük 1943: 119.

ნაზირები. XVII-XVIII სს.

გურგენბეგ – სამეფო კარის **ნ.** 1658 წ.

დემეტრე – სამეფო კარის **ნ.** 1672 წ. ახლო ხანები.

თაყა – სამეფო კარის **ნ.** 1683 წ.

ძიძაშვილი შიო – **ნ.** 1685 წ.

შალიკაშვილი ედიშერ – სამეფო კარის მდივანი, დედოფლის მდივანი, მეფის ქარხნის **ნ.** 1693-1725 წწ.

თუმანიშვილი ზაალ – სამეფო კარის **ნ.** 1672-1700 წწ.

შანშიაშვილი ბაინდურ – მეფის ქარხნის **ნ.** 1682-1693 წწ., სოიბათიასაული 1683-1689 წწ., სამწევრისის მოურავი 1689 წ.

ოთარ – სამეფო კარის **ნ.** 1696-1700 წწ.

იმამვერდი-ბეგი – **ნ.**, სასახლის სარქარბაში 1715 წ.

ჩობანაშვილი პაპუა – **ნ.** 1725 წ.

ჰუსეინ-ხან-ბეგი – **ნ.** 1740 წ.

ოსეფასშვილი ზურაბა – **ნ.** 1742 წ.

ზალ – სამეფო კარის **ნ.** 1763-1765 წწ.

ციციშვილი დიმიტრი – სამეფო კარის **ნ.** 1763 წ.

ედიშერისშვილი დემეტრე – სამეფო კარის **ნ.** 1764, 1768 წწ.


აბაშიძე ევგენი – სალაროს **ნ. XVIII** ს-ის მეორე ნახევარი.

შალიკოვი იოანე – ქართლის **ნ. XVIII** ს-ის მეორე ნახევარი.

გურგენიძე ბარამ – სამეფო კარის **ნ. XVIII** ს-ის მეორე ნახევარი.

წყაროები: იოსელიანი 1936: 276; 268, 269; პალ 1991: 747; პალ 1993: 70, 292, 196, 344; პალ 2004: 322; პალ 2015: 109-110, 119-122, 297; ქსის 1955: 359, 360, 386; მსეი 1953: 10, 14, 19; ქსის 1984: 40. ხეც: Qd-798, Hd-855, Hd-2820, Sd-688; Sd-2303; სეა: 1450-26/141; 1450-37/ 231; 1448-1282

თ. აბულაძე



ბეჭდის ლეგენდა: ნაზირი ედიშერ

ხეც, Ad-403, 1697 წ. ნასყიდობის წიგნი მიცემული სომხითის მედიკ ავთანდილ მირიმანიძე-ქამარბეგისშვილის მიერ ზურაბ თუმანიშვილისათვის.

ოთხმიზღური – ადგილობრივი აპარატის (საქვეყნოდ გამრიგე) მოხელე შუა საუკუნეების ერთიან ქართულ მონარქიაში. გვხვდება მხოლოდ XII-XIII სს-ის დასავლეთ საქართველოში გაცემულ სიგელებში და „დიდი სჯულისკანონის“ ქართულ თარგმანში. სიგელებში ტერმინს მოხელეთა ჩამონათვალში უკავია მესამე ან მეორე ადგილი საქვეყნოდ გამრიგე მოხელეთა შორის. ივ. ჯავახიშვილი გამოთქვამდა ვარაუდს, რომ ტერმინი, შესაძლებელია, მხოლოდ დასავლეთ საქართველოში ყოფილიყო გავრცელებული. ს. კაკაბაძე დაეყრდნო ტერმინის კომპოზიტურ აღნაგობას (ოთხი მისდი) და ტერმინი განმარტა, როგორც ოთხი მსახურის მეთაური. ი. ანთელავა მას საერისთავოს მეოთხედის ფისკალურ მოხელედ მიიშნევს. „დიდ სჯულისკანონში“ **ო.** აღნიშნავს საშუალო რგოლის სამხედრო-ადმინისტრაციულ მოხელეს, რომელსაც პოლიციური ფუნქციებიც გააჩნია. ტერმინის ქართულ-ბერძნულ-სომხურ პარალელებზე დაყრდნობით ე. მეტრეველმა გაარკვია, რომ ქართული „ოთხმიზღური“ შექმნილია ბერძნ. ტეტრარქის (ადმინისტრაციული ოლქის მეოთხედის მმართველი) ანალოგიით, შინაარსობრივად გამოხატავდა ჯამაგირზე (მიზდი) მყოფ მოხელეს, სამხედრო მეთაურს, რომელსაც ადგილებზე წესრიგის დაცვა ევალებოდა.

წყაროები და ლიტერატურა: ქსკ 1984: 79; დიდი სჯულისკანონი 1975: 180; ჯავახიშვილი 1982: 338; კაკაბაძე 1966: 204-295; ანთელავა 1983: 199; მეტრეველი 1996: 79-84.

მ. სურგულაძე

პიტიახში – (ძვ. სპარს. bitaxš, საშ. სპარ. patixšah სომხ. bdexš – მმართველი) უმაღლესი რანგის მოხელე ძველ ირანში, საიდანაც ეს სამოხელეო ტერმინი შესულა ძველ ქართლში და ასევე, სომხეთში. მისი ზუსტი ეტიმოლოგია დაუდგენელია. სასანური პერიოდის სამეფო სიებში იგი დამონმებულია არაუადრეს III ს-ის მეორე ნახევრისა (მაზურ I-ის ტრილინგვა, 262 წ-ის ნარსეს პაიკულის წარწერა), სადაც **პ.** იერარქიულად სამეფო გვარეულობის წევრების ჩამონათვალს მოსდევს და სახელმწიფოს უმაღლესი რანგის მოხელეს აღნიშნავს. უფრო გვიან **პ.**-ის ინსტიტუტი დამონმებულია V ს-ის სომეხ ისტორიკოსებთან (აგათანგელოსი, ფავსტოს ბუზანდი), აგრეთვე „ქართლის ცხოვრებასა“ და ქართული აგიოგრაფიის უადრეს (V-VI სს.) ძეგლებში („შუშანიკის წამება“, ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“), რომლებშიც **პ.** მსხვილ სამხარეო გამგებლებს ეწოდება. **პ.**-ის მოხსენიების ყველაზე ადრინდელი დამონმებები შემოინახა არმაზისხევის არქეოლოგიურმა მონაპოვარმა, რომელიც შეიცავს ქართლის ძველ **პ.**-თა რეზიდენციის კომპლექსის ნაშთებს (სასახლე, აბანო, ნეკროპოლი). სამარხებში აღმოჩენილ არამეულ და არამეულ-ბერძნულ წარწერებიან სტელებზე, აგრეთვე სხვა სამარხეულ ინვენტარზე (საბეჭდავი, თასები ბერძნული წარწერებითურთ), რამდენიმე თაობის ქართლის პიტიახშთა სახელებია შემორჩენილი. მთლიანად კომპლექსი თარიღდება I-III სს-ით, ამათგან სტელების საკმაოდ ვრცელი ტექსტები (არამეული მონოლინგვა და არამეულ-ბერძნული ბილინგვა) I და II სს-ით (გ. წერეთელი). არმაზისხევი პიტიახშთა საგვარეულო ნეკროპოლის აღმოჩენამ დაადასტურა, რომ ეს ადგილი (ვახუშტის ნომენკლატურით ქართლისხევი) წარმოადგენდა ძველი ქართლის **პ.**-თა, სახელმწიფოს უმაღლეს ხელისუფალთა, რეზიდენციას. არმაზისხევის მონაპოვარზე დაყრდნობით გამოითქვა მოსაზრება, რომ ძველი ქართლის სამეფოში მეფის შემდგომ მეორე პირი, მეფეთა საგვარეულოს წევრი, მსაჯული და მთავარსარდალი, რომელსაც სტრაბონი იბერიის აღწერაში მოიხსენიებს, უნდა ყოფილიყო **პ.**, და არა ლეონტი მროველისეული სპასპეტი, რამდენადაც საშუალო სპარსული სპასპეტის (იხ.) გავრცელება საქართველოში IV ს-ზე უწინარეს არ ივარაუდება (თ. გამსახურდია).

გ. წერეთელის მოსაზრებით, ანტიკურ ქართლში უნდა არსებულიყვნენ „დიდი“ და „მცირე“ პიტიახშები. ეს დასკვნა დაემყარა მის მიერ არმაზის ბილინგვის გაშიფრვისას ბერძნ. ტექსტის „ნეოტეროს“-ის (ახალი, ახალგაზრდა, მცირე) გააზრებას ტერმინ **პ.**-ის განსაზღვრებად („მცირე პიტიახში“). სხვა წაკითხვებით (ს. ყაუხჩიშვილი, ა. შანიძე, კ. წერეთელი, გ. გიორგაძე) ნეოტეროს მიემართება ზევახს (ახალგაზრდა/ახლანდელი პიტიახში ზევახი) და არა პიტიახშის სტატუსს, რის საფუძველზე **პ.**-ის ინსტიტუტის დიფერენცირება „დიდი“ და „მცირე“ **პ.**-ებად არ იქნა გაზიარებული. მოგვიანებით კ. თუმანოვმა თავისი შეხედულება არმაზისხევის **პ.**-ებისა და გოგარენეს **პ.**-ების იგივეობის შესახებ „მცირე პიტიახშის“ გაგებაზე დააფუძნა, რამდენადაც ასე იწოდებოდნენ გოგარენეს **პ.**-ები მისი სომხეთის შემადგენლობაში ყოფნის დროს (ძვ. წ. I ს.). მისი მტკიცებით, მას შემდეგ, რაც ქართლმა გოგარენე დაიბრუნა, მისი **პ.**-ები (ბდებშები) ქართლის მეფის მიმართ

(„მცირე“) ვასალობას აღიარებდნენ. ქართულ ისტორიოგრაფიაში გოგარენეს და არმაზისხევის **ჰ**-თა იდენტურობა მთელი რიგი ისტორიულ-გეოგრაფიული, ისტორიულ-გენეალოგიური თუ სხვა არგუმენტების საფუძველზე გაზიარებული არ არის. მკვლევართა უმრავლესობა თანხმდება, რომ არმაზისხევის **ჰ**-ების სახით საქმე გვაქვს ქართლის მეფის ცენტრალური აპარატის მოხელეებთან და არა პროვინციის მმართველებთან. ამასთანავე, აღიარებულია, არმაზისხევის **ჰ**-ები ეკუთვნოდნენ ერთ სამხედრო-არისტოკრატიულ საგვარეულოს, რომლის არსებობა, არქეოლოგიური მასალის მიხედვით, IV ს-ის დანყისში შეწყვეტილა (ნ. პაჭიკაშვილი).

რაც შეეხება პროვინციის გამგებელ **ჰ**-ებს, საქართველოში მათი არსებობა დასტურდება IV ს-ის 80-იანი წლებიდან, როცა რომსა და ირანს შორის გაყოფილი ქართლის სამეფო ირანის ჰეგემონობით გაერთიანდა. ამ დროს შეეხება „ქართლის ცხოვრების“ გადმოცემა, რომ მირიან მეფის მემკვიდრე ბაქარმა რანისა და ბარდავის ყოფილ ერისთავს (აქ: ირანის მოხელეს) და თავისი დის ქმარს, ფეროზს, მისცა სამშვილდის „ქვეყანა“ აბოცამდე (ლეონტი მროველი). ამავე პირს „მოქცევაი ქართლისაი“ **ჰ**-ს უწოდებს. ასევე მოიხსენიებს მას ჯუანშერი VIII ს-ის მოვლენათა გადმოცემისას. საეჭვოა, რომ „ფეროზიანთა“ დინასტიას ასე ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეენარჩუნებინა ქვემო ქართლის **ჰ**-ობა, რაზეც მიუთითებს მათ საგვარეულოში სახელ არშუმას სიხშირე. ქვემო ქართლის მმართველთა **ჰ**-ებად მოხსენიების ტრადიცია ცოცხალი იყო VIII ს-შიც. იგი ასახულია სამშვილდის სიონის სამშენებლო წარწერაშიც, სადაც აღნიშნულია, რომ ტაძარი აუშენებიათ „ნათესავით პიტიახშებს“ ბიზანტიის იმპერატორების კონსტანტინე V-ის (740-775) და ლეონის (775-780) ზეობის წლებში (ზ. ალექსიძე). სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს IV-VII სს-ის **ჰ**-თა მოხელეობის საკითხიც. მკვლევართა ნაწილს **ჰ**. ქართული ერისთვის შესატყვის ტერმინად მიაჩნია და მას მეფის მოხელე ერისთავთან აიგივებენ (გ. ნერეთელი, ს. ჯანაშია). ზოგი **ჰ**-ს ერისთავზე აღმატებულად მიიჩნევს მისი მაღალი წარმომავლობის, სამეფო ოჯახისადმი კუთვნილების გამო (პ. ინგოროყვა). IV-VI სს-ის **ჰ**-ები, გ. მელიქიშვილის მოსაზრებით, ქართლში სპარსეთის მეფისნაცვლები იყვნენ, რომლებიც **ჰ**-ის ტიტულს ძველი ტრადიციის ძალით ატარებდნენ (რადგან ამ ოლქის მმართველებს სომხეთის მფლობელობის დროინდელი სახელწოდება შერჩათ). სხვა თვალსაზრისით, ამ საუკუნეებში **ჰ**-ობა არ ნიშნავდა სპარსეთის მოხელეობას, **ჰ**. იყო საპატიო ტიტული, რომელიც ტრადიციულად ეწოდებოდა ქვემო ქართლის გამგებელ მთავრებს (კ. გრიგოლია, ა. ბოგვერაძე). არსებობს კომპრომისული შეხედულებაც, რომ **ჰ**-ები, შესაძლებელია, იმავდროულად ყოფილიყვნენ ქართლის მეფის ხელდასხმული ერისთავებიც და ამ თანამდებობის ძალით ჰქონოდათ მეფისადმი მორჩილების ვალდებულება (მ. ლორთქიფანიძე, ა. ბოგვერაძე, მ. ბახტაძე).

წყაროები და ლიტერატურა: ნერეთელი 1942: 34-42; Tumanoff 1963: 183-184-440; 1948: ჯანაშია 1949: 277; ინგოროყვა: 1941: 295, 267, 299, 302; გამსახურდია 1970:

72-74; ლეონტი მროველი 1955: 130-131; ჯუანშერი 1955: 137; აბულაძე 1963: 92; ვახუშტი 1973: 339; ყაუხჩიშვილი 1941: 16; შანიძე 1941: 185; ნერეთელი 1992: 48; მელიქიშვილი, სინ 1970: 649; გრიგოლია 1959: 167; ბოგვერაძე 1963: 62, 65-66; ლორთქიფანიძე 1978: 61; ალექსიძე 1991: 230; პაჭიკაშვილი 1989: 153; ბახტაძე 2003: 53, 64-66.

მ. სურგულაძე

არმაზისხევის პიტიახშების გენეალოგიური შტოს სქემა*

პიტიახში (?)	ზევახ ძევაქ „უფალი“	I საუკუნე	[მონოლინგვა]
პიტიახში	შარაგას	I საუკუნე	[მონოლინგვა]
პიტიახში	ზევახ ძევაქ „მცირე“	II ს. პირველი ნახევარი	[ბილინგვა.საპიტიახში ქამრის ბალთა წარწერით „კარპაკი, ძევაქ ჩემი სიცოცხლე“]
პიტიახში	ასპარუკ	II ს. შუა წლები, მეორე ნახევარი	[ოქროს ბეჭედი წარწერით „ძევაქ“]
პიტიახში (?)	ზევახ ძევაქ	II ს. მინურული	[ოქროს ბეჭედი წარწერით „ძევაქ“]
პიტიახში	ბერსუმა	III ს. პირველი ნახევარი	[ვერცხლის ლანგარი წარწერით: „მე ფლავიუს დადესმა მივუძღვენი ბერსუმა პიტიახშს“]
პიტიახში (?)	ზევახ ძევაქ	III ს. მეორე ნახევარი	[ოქროს ბეჭედი წარწერით: „ძ. ვ. ქ“]

სავაზირო – საქართველოს ერთიან სამეფოში **ს.** წარმოადგენდა სახელმწიფო საბჭოს – მეფესთან არსებულ სათათბირო და მმართველობით ორგანოს სათანადო სამოხელეო აპარატით. ქართულ ისტორიოგრაფიაში **ს.**-სთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული. თვალსაზრისით, რომელიც, ძირითადად, „ხელმწიფის კარის გარიგებას“ ემყარება, ვაზირის, როგორც უმაღლესი უფლებამოსილების მქონე მოხელის წოდება საქართველოში XII ს-ში უკვე არსებობდა და იგი ეკუთვნოდა მნივნილბართუხუცეს-ჭყონდიდელს (იხ.) ამირსპასალარს, (იხ.) მანდატურთუხუცესს (იხ.) და მეჭურჭლეთუხუცესს (იხ.). შესაბამისად, არსებობდა სავაზიროც; თამარის მეფობის ბო-

* წარმოდგენილი სქემა ემყარება ნ. პაჭიკაშვილის სტატიას – „არმაზისხევის პიტიახშთა სავაზიროს სახლი“ (პაჭიკაშვილი 1989: 153)

ლო წლებში და რუსუდანის ზეობისას მასში ათაბაგი (იხ.) და მსახურთუხუცესი (იხ.) შევიდნენ (ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, დ. გვრიტიშვილი, მ. ლორთქიფანიძე, გ. ოთხმეზური); მეორე თვალსაზრისით, XII-XIII ს-ის პირველ ათწლეულში საქართველოს სამეფო კარზე მხოლოდ მნიგნობართუხუცესი იწოდებოდა ვაზირად, თავად სავაზიროს ჩამოყალიბება კი თამარის მეფობის შემდგომ ხანებში უნდა მომხდარიყო, რაც მნიშვნელოვანწილად უნდა ყოფილიყო განპირობებული ათაბაგის სახელის დანინაურებით და ვაზირის სახელის გაყოფა-დანაწევრებით (შ. მესხია).

მნიგნობართუხუცესის ფუნქციების გაფართოებამ არსობრივად შეცვალა ცენტრალური აპარატის საქმიანობის ფორმა. თუ ადრე ცალკეული უწყების ხელმძღვანელები პირადად მოახსენებდნენ მეფეს მათ საგამგებლო უწყებაში არსებული მდგომარეობის შესახებ, XII ს-ის დასაწყისიდან მთავრობის ფუნქციას ასრულებდნენ „დარბაზის რიგის“ მაღალი თანამდებობის პირები მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის მეთაურობით. ამით ფაქტობრივად საფუძველი ჩაეყარა ცენტრალური მმართველობის მწყობრ აპარატს, რომელიც XIII ს-ის დასაწყისისათვის ს-ს სახით ჩამოყალიბდა.

ვაზირთა რაოდენობის ზრდასთან ერთად გაჩნდა მთავარი უწყებების შეთანხმებული მუშაობისა და ერთიანი პოლიტიკის გატარების საჭიროება. ამ მიზნით შეიქმნა სათათბირო მმართველობითი ორგანო – ს., რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყნის უზენაესი მმართველის წინაშე ვაზირთა ერთობლივ მოხსენებას მიმდინარე საკითხებზე და მათ შეთანხმებულ მართვას. ს-ში წინასწარ ხდებოდა სხვადასხვა უწყების შესახებ საკითხების განხილვა და ერთიანი პოლიტიკური ხაზის შემუშავება. სახელმწიფო საბჭო უმნიშვნელოვანეს საკითხებს წყვეტდა მეფის „სანოლში“, სადაც „ვაზირობა“ ანუ თათბირი მიმდინარეობდა. „ხელმწიფის კარის გარიგების“ თანახმად, ზუსტად იყო განერილი ს. სხდომების ჩატარების ადგილი და წესები, დაცვისა და მომსახურე პერსონალის უფლება-მოვალეობები; ს-ს სხდომას იცავდა ე.წ. „სანოლის მეკრე“ (მესანოლეთუხუცესის ხელქვეითი მოხელე), რომელიც ხელში არგნით იდგა სანოლის „კარს გარეთ“ და სხდომაზე შეიყვანდა გამოძახებულ პირს („ვისცა უბრძანებენ“).

მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, (იხ.) როგორც უმაღლესი საერო და საეკლესიო მოხელე, „ვაზირთა უპირველესად“ ითვლებოდა, ხოლო ს-ში უფროს-უმცროსობის რიგით შედიოდნენ: ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი. სავაზირო სხდომას სათათბირო ხმის უფლების გარეშე ესწრებოდნენ ვაზირთა თანაშემწენი: სანოლის მნიგნობარი, ამილახორი (იხ.) და ამირეჯიბი (იხ.).

მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს, როგორც პრემიერს, ყველა საქმეზე მიუწვდებოდა ხელი, მათ შორის სამხედრო, საფინანსო და საეკლესიო საქმეებზე. ს-ში უწყებების ფუნქციების გათვალისწინებით ცალკე იყო გამოყოფილი „სამთა ვაზირთა“ (ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი) და „ორთა ვაზირთა“ (მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი) ჯგუფები. „სამთა ვაზირთა“ ჯგუფი დიდი პატივით სარგებლობდა და, სა-

ვარაუდოდ, მათ წრეში ხდებოდა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური, სამხედრო და საშინაო საქმეების განხილვა. შედარებით გვიან შექმნილად მიიჩნევენ „ორთა ვაზირთა“ ჯგუფს, რომელიც, ძირითადად, ქვეყნის საფინანსო და ეკონომიკურ საკითხებს განიხილავდა.

მეფე ს-ს ეთათბირებოდა ისეთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საქმეების გადასანწყევტად, როგორცაა ქვეყნის თავდაცვა, მტერზე ლაშქრობა, ზავის დადება და ა.შ.; „ვაზირობის“ მონვევა, მისი თავმჯდომარეობა მეფის პრეროგატივა იყო. „ხელმწიფის კარის გარიგების“ თანახმად, „ვეზირობაზე“ ირჩეოდა ომისა და ლაშქრობის საკითხები: ს-ში „ლაშქრობის ვაზირობა“ ამირსპასალარის კომპეტენცია იყო; ასევე განიხილებოდა „ქვეყნის გაცემისა და სამამულოდ შეწყალების“ საკითხები, რაც დაკავშირებული იყო სახელოების ბოძება-ჩამორთმევასთან. უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვაში ყველა ვეზირი მონაწილეობდა, რისთვისაც მათ ეკუთვნოდათ „ქრთამი და სასაურვო“. ს-ს არსებობის სხვადასხვა ეტაპზე მისი, როგორც სათათბირო ორგანოს ძლიერება და კომპეტენცია ყოველთვის ერთნაირი არ იყო. მეფეს, მართალია, შეეძლო ს-ს წინააღმდეგ წასულიყო და საწინააღმდეგო გადანწყვეტილება მიეღო, მაგრამ ეს იშვიათ შემთხვევაში ხდებოდა.

ს-ში, როგორც მმართველობით ორგანოში, აშკარად შეიმჩნეოდა ცენტრალური საუნწყებო დარგობრივი მმართველობის სისტემის ჩამოყალიბების ტენდენციები, მაგრამ მისი განვითარება მოიშალა ერთიანი ქართული სამეფოს დაშლასთან ერთად.

წყაროები და ლიტერატურა: ხელმწიფის კარის გარიგება 1965: 86, 95-97; ქსე (8) 1984: 641-42. ჯავახიშვილი 1982: 268-9; ბერძენიშვილი 1958: 208-9; ბერძენიშვილი 1966: 39; გვრიტიშვილი 1962: 76-90; ლორთქიფანიძე 1966: 72-74; ოთხმეზური 1981: 49-52; მესხია 1979: 25; 70-75; ანთელავა 1983: 44-45, 99-100.

დ. კლდიაშვილი

სარდალი – (სპარს. sardār-ჯარის უფროსი) სამხედრო-ადმინისტრაციული მოხელე, რომელმაც შეცვალა ადრინდელი სპასალარი (იხ.) და სპასპეტი (იხ.). XVI ს-დან ერისთავთა ინსტიტუტის მოშლის შემდეგ ქართული სამეფოების (ქართლი, კახეთი, იმერეთი) სამხედრო ორგანიზაცია ემყარებოდა მსხვილ სამხედრო-ტერიტორიულ შენაერთებს, ე.წ. სადროშოებს, რომელთაც სათავეში ედგნენ ს-ები. ყოველ ქართულ სამეფოში, მსგავსად ერთიანობის ხანისა, მიღებული იყო სამეფოს დაყოფა ოთხ მსხვილ სამხედრო ოლქად – სადროშოდ, რომელთა მეთაურ ს-ს მეფე ამტკიცებდა, რის ნიშნადაც გადასცემდა მათ სასარდლო ინსიგნიებს – დროშასა და ხმალს. ქართლსა და იმერეთში სადროშოს სარდლობა მემკვიდრეობითი თანამდებობა იყო, კახეთში კი სადროშოს სარდლობა ეპისკოპოსებს ებარათ.

ქართლის სადროშოების ს-ები: ქართლის მეწინავე სადროშოს (სომხით-საბარათიანო, იგივე ქვემო ქართლი) უძღვებოდნენ ბარათაშვილები, მოგვიანებით მათივე განაყოფი ყაფლანიშვილ-ორბელიშვილები. მემარჯვენე სადროშოს (შიდა ქართლის ჩრდი-

ლოეთი ნაწილი) – ამილახვრები, მემარცხენე სადროშოს (შიდა ქართლის ცენტრალური ნაწილი მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, არაგვისა და ქსნის ხეობები) – მუხრანბატონები. მეოთხე სადროშო, რომელიც მოიცავდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს თბილისიდან ტაშისკარამდე, სამეფო იყო. მეფის სადროშოზე იყო მიმაგრებული საკათალიკოსო ლაშქარიც, რომელსაც მცხეთის აზნაურები, გედევანიშვილები, ხელმძღვანელობდნენ.

იმერეთის სამეფოში **ს**-ის თანამდებობა, სავარაუდოდ, 1651 წ-ის შემდგომ უნდა შემოეღო, რადგან ამ წლით დათარიღებულ „ფიცის წიგნში“, სადაც იმერეთის სამეფოს ყველა დიდმოხელეა ჩამოთვლილი, **ს**-ის თანამდებობა არ ჩანს. იმერულ საბუთებში ზემო იმერეთის **ს**. პირველად მოიხსენიება 1661 წ., რაც იმაზე მიუთითებს, რომ იმერეთში 1651-1661 წწ-ში ჩატარებულა სასარდლოთა სამხედრო-ადმინისტრაციული ოლქების გამოყოფა. ამ დროს უკვე ცალკე სადროშოებს წარმოადგენდა – ზემო მხარი (არგვეთი), ვაკე (ქვემო იმერეთი), რაჭა, ოკრიბა-ლეჩხუმი. თითოეულ სადროშოში სადროშოების **ს**-ებად აქაც მსხვილი თავადები ინიშნებოდნენ: ზემო მხარის სარდლობა ებარა თავად წერეთელს, ვაკისა – წულუკიძეს, ოკრიბა-ლეჩხუმის – აგიაშვილს, რომელიც მენინავე ჯარის სარდალად ითვლებოდა; რაჭის – რაჭის ერისთავს. გვიანდელი (XVIII ს. 60-იანი წწ.) მონაცემებით, იმერეთის ჯარებს საერთო მთავარსარდლობას უწევდა ზემო მხარის **ს**. წერეთელი. ამიტომ ჰქონია წერეთელს ორი დროშა – ერთი მწვანე აბრეშუმისა, რომელზედაც გამოსახული ყოფილა წმ. გიორგი, მეორე – წითელი აბრეშუმისა, რომელზედაც ეხატა ჯვარცმა. სხვა **ს**-ებს თითო-თითო დროშა ებარათ.

კახეთის სამეფოში სადროშოების **ს**-ებად ითვლებოდნენ ნეკრესელი ეპისკოპოსი (ე.წ. გაღმა მხარი, იგივე მემარჯვენე სადროშო), რუსთველი ეპისკოპოსი (გარე კახეთი, იგივე მემარცხენე სადროშო), ბოდბელი ეპისკოპოსი (ქიზიყი) და სამეფო (პირდაპირი ცნობები არ მოიპოვება). XVII-XVIII სს-ში ბრძოლის დროს ეპისკოპოსების მაგივრად ხშირად კახეთის თავადები ასრულებდნენ **ს**-ის მოვალეობას.

ომის შემთხვევაში **ს**. მთავარსარდლის (მეფის) საბრძოლო გეგმის შესაბამისად ასრულებდა ტაქტიკურ ამოცანებს და საბრძოლო დავალებებს. მას ევალებოდა საბრძოლო ნადავლის ერთი მეხუთედის (ფანჯიექი) მეფის ხაზინაში შეტანა, საკუთარი მოლაშქრის დაჯილდოება თუ დასჯა. **ს**-ის, როგორც სამხედრო ოლქის გამგებლის, ფუნქციები მხოლოდ სამხედრო მეთაურობით არ ამოიწურებოდა. **ს**. იყო ადგილობრივი მოხელე, რომელსაც მრავალფეროვანი სამხედრო-ადმინისტრაციული და სამოქალაქო უფლება-მოვალეობანი ჰქონდა. მისი პირდაპირი მოვალეობა იყო მეფის მდივანთან ერთად სადროშოში შვიდ წელიწადში ერთხელ მოსახლეობის აღწერა (ელის ტომებში სამ წელიწადში ერთხელ) და ფისკალური და სამხედრო ვალდებულებების აღწესება.

როსტომის (1632-1658) დროინდელი სასარდლო განაწესის („დასტურლამას“) თანახმად, **ს**-ს თავის საგამგებლო „მამულში“ მართლმსაჯულების ფუნქციებიც ეკისრებოდა, თუმცა, მეფის ბრძანების გარეშე სასამართლო საქმეებში არ უნდა ჩარეულიყო. **ს**. აუ-

ცილებლად უნდა დასწრებოდა სასარდლოში შემავალი ოჯახების გაყრის სასამართლო სხდომებს. ასევე, მეფის ბრძანებისამებრ, **ს**-ს მონაწილეობა უნდა მიეღო საკუთარი სადროშოს ფარგლებში მიმდინარე სასამართლო დავების გარჩევაში. გარკვეულ შემთხვევებში, მეფის ნებართვით, **ს**-ს შეეძლო მისდამი რწმუნებულ სადროშოში თავად აღესრულებინა მართლმსაჯულება. მისი ეს ფუნქცია უფრო მკაფიოდ იკვეთება XVIII ს-ის დასაწყისში.

ოსმალობის პერიოდში (1723-1735) ქართლის ადმინისტრირება სასარდლოთა პრინციპზე მოეწყო. 1728 წ. ოსმალთა მიერ ქართლის მმართველად დანიშნულმა ისაყ-ფაშამ სომხით-საბარათიანო (ქვემო ქართლი) მისცა ერასტი ყაფლანიშვილს, მცხეთის ზემო მინები (შიდა ქართლი) – ბაგრატ ციციშვილს, ზემო ქართლი – გივი ამილახორს, მუხრანი და ქსნისა და არაგვის საერისთავოები – მუხრანბატონს. ამ პირებს ევალებოდათ სახელმწიფო ბეგარა-გადასახადების აკრეფისა და სხვა ადმინისტრაციული საკითხების გაძღოლა თავიანთ საგამგებლოში. ამ პერიოდში **ს**. როგორც ოსმალთა სამხედრო-ადმინისტრაციული მოხელე, სასარდლოს ფეოდალებსა და ცენტრალურ მმართველობას შორის შუამავალ რგოლს წარმოადგენდა.

მოგვიანებით, სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებად ქცეულ სადროშოთა სარდლები უზომოდ აძლიერებენ და აფართოვებენ თავიანთ ხელისუფლებას.

ს-ის თანამდებობა ხშირად შეერთებული იყო სხვა საკარისკაცო თანამდებობასთან. მაგ., ქართლის მემარჯვენე სადროშოს **ს**-ები ამილახვრები, ჩვეულებრივ გორის მოურავობას/ტარულობას ითავსებდნენ. **ს**-ს შეიძლება სჭეროდა ცენტრალური აპარატის რომელიმე მაღალი თანამდებობა: ბოქაულთუხუცესის (იხ.), მდივანბეგის (იხ.) სახლთუხუცესის (იხ.), ქალაქის (თბილისი) მოურავის (იხ.).

XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან ქართლ-კახეთის სამეფოში სამეფო ხელისუფლება ცდილობს შეკვეცოს **ს**-ის სასამართლო ფუნქციები, რის ფონზეც საგრძნობლად იზრდება მდივანბეგთა (იხ.) ინსტიტუტის მნიშვნელობა. ამ პროცესის გამახატულებას წარმოადგენს **ს**-მდივანბეგის თანამდებობის გაჩენა. **ს**-მდივანბეგის სასამართლოს განმტკიცებამ შეზღუდა დანარჩენი **ს**-ის სასამართლო ფუნქციები, მათ დარჩათ მსუბუქი საქმეების განხილვა-გასამართლების უფლება: **ს**. არჩევს ადმინისტრაციულ საქმეებს, სამამულო დავას, კომლის გაყრას, ანუ მას პირველი ინსტანციის სასამართლოს ფუნქცია რჩება. სისხლის სამართლის საქმეებს კი სამეფოს ცენტრალური აპარატის მოხელე – დივანბეგი განიხილავდა, ხოლო **ს**. სასამართლო სხდომას ესწრებოდა, როცა სასარდლოს წარმომადგენლები იყვნენ მხარეები. ქართლის **ს**-ს ჩამოსცილდა სახელმწიფო გადასახადების აკრეფისა და მოსახლეობის აღწერის საქმეში მონაწილეობის ფუნქციაც. ამ საქმეს მეფის მიერ სპეციალურად დანიშნული მოხელეები ასრულებდნენ, თუმცა, ზოგჯერ მათ შეიძლებოდა ხლებოდა **ს**-ის ნდობით აღჭურვილი პირიც. **ს**-თა უფლებების შეკვეცას მოწმობს ისიც, რომ XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან **ს**-ის სამოხელეო წოდე-

ბას ატარებს ყველა დონის სამხედრო მოხელე, ვინც შეიარაღებულ რაზმს მეთაურობს. XVIII ს-ის ბოლოს შედგენილი კანონ-პროექტების მიხედვით, ს-ებს სრულად ჩამოერთვათ სასამართლო ფუნქცია. ამ მხრივ გამონაკლისს მხოლოდ დავით ბაგრატიონის სამართლის ნიგნის პროექტი წარმოადგენს, სადაც 114-ე მუხლის მოთხოვნით, ს-ს მხოლოდ საბრძოლო ვითარებასთან დაკავშირებით შეეძლო გაერჩია საქმე.

ს-ის ხელისუფლება თავისი ჩამოყალიბებისა და არსებობის ადრეულ ხანაში დამყარებული არ იყო მიწის ფეოდალურ საკუთრებაზე და წმინდა სამოხელეო თანამდებობას წარმოადგენდა. „დასტურლამალის“ მიხედვით, ქართლში ს-ის სარგო სამხედრო ნადავლის მეხუთედით განისაზღვრებოდა, ხოლო იმერეთში მეთედით.

ასევე, ს-ს ეკუთვნოდა სადროშოს აღწერის დროს სააღმწერო გადასახადის ნახევარი, მეორე ნახევარი – მდივნებს. ს-ს შემოსავალი ჰქონდა სასამართლო საქმეებიდან და ჯარიმებიდან. ასევე, არსებობდა სასარდლო გადასახადიც. მაგრამ, ზოგიერთ შემთხვევაში, ს-ს შეიძლებოდა მიეღო მოხელეობასთან დაკავშირებული მიწებიც ან წილი რომელიმე სახელმწიფო გადასახადიდან.

წყაროები და ლიტერატურა: ვახუშტი 1973: 510; ქსის 1955: 97, 350; არჩილიანი 1937: 114-115; დასტურლამალი 1965: 237-328; ჯამბურია 1955: 126, 239; კლიმიაშვილი 1964: 122-126; გაბაშვილი 1942: 165-173; ქსე, I, 1975: 625; ქსე, VII, 1984: 147; სურგულაძე 1952: 173-181, 313-339. 388-407; მესხია 1948: 6, 85-88; სოსელია 1973: 186, 222, 224, 225; აკოფაშვილი 1976: 345-354; კეკელია 1986: 136-141; ТКПФ 1989: 158.

ქართლის სარდლები. XVII-XVIII სს.

ბარათაშვილი ქაიხოსრო – საბარათაშვილოს ს., ბოქაულთუხუცესი, მეკობრისმძებნელი, ქალაქის მოურავი, სახლთუხუცესი 1619 -1646 წწ. (პალ 1991: 446).

ამილახვარი იოთამ (I) ფარემუზის ძე – ზემო ქართლის სარდალი, გორის მ. 1630–1648 წწ. (პალ 1991: 123).

ამილახვარი გივი – ზემო ქართლის ს. 1656-1692 წწ. (პალ 1991: 119-120).

ბარათაშვილ-ყაფლანიშვილი თამაზ – საბარათიანოს ს. 1678-1692 წწ. (პალ 1991: 418-419).

ამილახვარი იოთარ – ქართლის ს. 1732-1743 წწ. (სეა: 1448-5014, 1448-8754; ხეც: Hd-14289, Hd-14290).

ყაფლანიშვილ-ორბელიშვილი ქაიხოსრო – ს-მდივანბეგი 1739-1743 წწ. (ხეც: Hd-9412, Hd--2445; Hd-9660; სეა: 1448-1315; დსსი 1940: 295-297).

ორბელიანი რევაზ – საბარათიანოს ს., მდივანბეგი 1736-1743 წწ. (სეა: 1450-18/143; 1450-13/43).

დავით – ს-სახლთუხუცესი 1741 წ. (ხეც, Hd-8804).

ორბელიანი დავით – ს-სახლთუხუცესი, ს-ბოქოულთუხუცესი 1766-1771 წწ.

გაბრიელ – მოურავ-ს. 1743 წ. (ხეც, Hd-9361).

გიორგი – ს-მოურავი 1797 წ. (სეა, 1448-869).

იმერეთის სარდლები:

წერეთელი ზაალ – ს. 1661 წ. (სოსელია 1973: 222).

აგიაშვილი სვიმონ – ს. 1712 წ. (სოსელია 1973: 225).


წულუკიძე მერაბ – ვაკე-იმერეთის ს., ქუთაისის მოურავი 1770 წ. (სოსელია 1981: 57).

წულუკიძე ბერი – ვაკე-იმერეთის ს. 1757 წ. (სოსელია 1981: 186)

წერეთელი – ზემო იმერეთის ს. 1769 წ. (მასვე ემორჩილებოდა რაჭის ჯარიც) (სოსელია 1973: 224).


წულუკიძე გიორგი – ს., ქილიფთარუხუცესი 1766-1782 წწ. (სოსელია 1981: 57-58).

ბ. ბაინდურაშვილი

სარდალი: ლეგენდა: 

ბექდის ლეგენდა: ლუარსაბ

ხეც, Ad-403, 1697 წ. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი მიცემული სომხითის მელიქის მირიმანიძე ავთანდილ ქამარბეგისშვილის მიერ ზურაბ თუმანიშვილისათვის.

ქ. ჩვენ: სარდალი: ციციშვილი ალექსანდრე ამ წიგნის
მონამე ვარ. 

ქ. ჩვენ, სარდალი ციციშვილი ალექსანდრე ამ წიგნის მონამე ვარ.

ხეც, Hd-9428, 1760 წ. მიწის დახსნილობის წიგნი მიცემული ყაზარა ჩიტისშვილის მიერ იასე მაჩაბლისთვის.

საღვინის მოღარე – „ხელმწიფის კარის გარიგების“ თანახმად, **ს. მ.** ეკუთვნოდა მეღვინეთუხუცესის (ან მეჭურჭლეთუხუცესის) უწყებას და საქმიანობდა საღვინეში. **ს. მ.** ითვლებოდა საღვინის ქონების მცველად – ებარა ძვირფასი სამეჯლისო ჭურჭელი, რომელიც ცალკე ინახებოდა, ასევე, ყოველდღიურად სახმარი საღვინის ჭურჭელი. სავარაუდოდ, მასვე ებარა მეღვინეთუხუცესის (ტექსტში „მეღვინეთ“ გადახაზულია და წერია „მეჭურჭლეთ-უხუცესი“) ბეჭედი. მეღვინეებთან ერთად მის ფუნქციაში შედიოდა მეფის მომსახურება საწოლში და პურობის დროს. ამ დროს იგი, ზარდახნისა და საწოლის მნიგნობრებთან ერთად, ილღიაში სანერელით, საგამგებოს მუქიფის (იხ.) „პირისპირ“ უნდა მდგარიყო. **ს. მ.**-ის სარგო იყო მეზვრისაგან აღებული ღვინის ულუფა, რომლის ოდენობა ზვრის სიდიდეზე იყო დამოკიდებული. როგორც უშუალოდ მეფის მომსახურე პირი, **ს. მ.** საღვინის უწყებაში საპატიო ადგილს იკავებდა. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, **ს. მ.** იგივე საჭურჭლის ნაცვალს უნდა ყოფილიყო. მეღვინეთუხუცესთან ერთად იგი მეფის პირის მწვედ ითვლებოდა. **ს. მ.** მეფის მაღალი ნდობით სარგებლობდა, ამიტომ მეფისაგან საგანგებო დავალებაც შეიძლებოდა მიეღო. მაგ. 1487 წ. კონსტანტინე მეფემ ურდოში განეული სამსახურის სანაცვლოდ **ს. მ.** ახალციხელ ქავთარისძე და მისი ძმები გარდაცვლილი მთარინისძის მამულზე დასვა და უბოძა ბოროს ციხე, ლომარეთის საყდარი, ბოლოთა, ქვენა ფლასი, სკრაში ვენახი და სხვ.

წყაროები და ლიტერატურა: ხელმწიფის კარის გარიგება 1965: 88, 92; ჯავახიშვილი 1982: 320-321; ანთელავა 1983: 94-98.

დ. კლდიაშვილი

საწოლის მნიგნობარი / საწოლისა და საჭურჭლის მნიგნობარი – ცენტრალური აპარატის მოხელე ერთიანობის ხანის ქართულ მონარქიაში. **ს. მ.** მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის (იხ.) უწყებაში შედიოდა და დიდი უფლებებით სარგებლობდა სამეფო კარზე. იგი იყო „საწოლის“ ანუ მეფის კაბინეტის გამგებელი და მეფის პირადი მდივანი, ამავე დროს მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თანამემწე. მნიგნობართუხუცესი მისი მეშვეობით მართავდა მეფის საწოლს. იგი, როგორც მეფის კარის მაღალი მოხელე, ახორციელებდა ცენტრალური აპარატის ყველა უწყების კონტროლს და, სათანადო სანქციის მიღების შემთხვევაში, მეფის სახელით ატარებდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებებს (ი.ანთელავა). მისი საშუალებით სასახლის ორი დიდმნიშვნელოვანი დანესებულება – საწოლი (მეფის კაბინეტი) და სააჯო კარი (მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის განსაგებელი) კოორდინირებულად საქმიანობდა. მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი მის მოხსენებათა საფუძველზე არჩევდა სააჯო კარის საქმეებს.

ს. მ.-ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ხაზს უსვამს „ხელმწიფის კარის გარიგე-

ბის“ ცნობა, რომ მას მუდამ თან ახლდა („მართებდა“) „ზედამდგომელი მეჭურჭლე“, რომელიც, როგორც ჩანს, მის დავალებებს ასრულებდა. იმავე ძეგლის ცნობით, მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელთან ერთად **ს. მ.**-ს ებარა სამეფო ეკლესია-მონასტრებზე ზრუნვა და მათი ზედამხედველობა (გარდა გელათისა). **ს. მ.** ადგენდა უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო დოკუმენტებს, რისთვისაც მას ყოველდღიურად სამი სანერი ფურცელი ეძლეოდა (მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს ხუთი ეძლეოდა, ზარდახნის მნიგნობარს – ორი, თითო-თითო დანარჩენ მნიგნობრებს). შეწყალებული პირის მიერ სიგელისათვის გადახდილი გასამრჯელოდან („ქრთამი“) წილები ყველა დიდმოხელეზე ნაწილდებოდა, ამათგან „უფროსი წილი“ მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს და **ს. მ.**-ს ეკუთვნოდათ. „კარის გარიგების“ ერთი ჩანართის თანახმად, მეფე [ნარინ დავითის] დროიდან „ოთხთა მონაზონთა და სამთა ვაზირთა“ მიწვევა სამეფო კარის დარბაზობაზე **ს. მ.**-ის საპატიო მოვალეობად ქცეულა, მანამდე კი ეს მოვალეობა ამირეჯიბს (იხ.) ჰქონია დაკისრებული. სასახლეში „პურობის“ დროს **ს. მ.** და ზარდახნის მნიგნობარი (იხ.) ერთად იდგნენ. მათ პირისპირ ილღიაში საწერლით საგამგეოსა და საღვინის მუქიფები (იხ.) უნდა მდგარიყვნენ; სხვა ოცდაოთხი მნიგნობარი, ასევე სანერელებით ჭყონდიდელის მხარეს მწკრივდებოდა. მნიგნობართაგან **ს. მ.** ერთადერთი იყო, ვისაც უფლება ჰქონდა ვაზირთა სხდომებს დასწრებოდა. აქ იგი თავისი სამოხელეო ინსიგნიით (საწერლით) ჭყონდიდლის გასწვრივ, კედელთან უნდა მდგარიყო.

XII-XIII სს-ის ისტორიული საბუთების მიხედვით, ხშირად **ს. მ.** და საჭურჭლის მნიგნობარი ერთი და იგივე პირები იყვნენ. ეს ფაქტი დამატებით მიანიშნებს იმაზე, რომ სანოლი და სალარო ერთი სამოხელეო უწყება იყო.

ს. მ.-ები ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენლები, სამეფო ოჯახთან დაახლოვებული და მაღალი ნდობით ღჭურვილი პირები იყვნენ.

წყაროები და ლიტერატურა: ხელმწიფის კარის გარიგება 1965: 82, 83, 90, 92, 96; კიკვიძე 1968: 220; ანთელავა 1983: 40-41, 79, 116; სურგულაძე 1970: 92; ბ. ლომინაძე, სინ 1979: 638.


სანოლის მნიგნობრები. XII-XV სს.

არსენი სამძივარი – თამარ მეფის საჭურჭლისა და **ს. მ.** 1187 წ. (ქისკ 1984: 79).

ანტონ გოდობრელი – ერისთავთ-ერისთავთა შვილი, გელათის დიდი მონასტრის მოძღვართ-მოძღვარი. იერუსალიმური ქართული ხელნაწერის მინაწერის თანახმად, იგი ადრე (XII ს. პირველი მეოთხედი) დავით აღმაშენებლის **ს. მ.** ყოფილა (მარი 1955: 49).

ანტონი იმხნელ-ყოფილი – ს-ის და საჭურჭლის მ. 1241/42 წ. (ქისკ 1984: 120);
ნიკოლოზ ინასარიძე – სანოლისა და საჭურჭლის მ. 1271/72 წ. (ქისკ 1984: 176).
ევანისძე გიორგი – დავით IX-ის ს. მ. 1355 წ. (ქისკ 2013: 47).
ცნოდისძე დავით – ს. მ. 1410 წ. (ქისკ 2013: 284).
სვიმონ – ს. მ. XV ს. (პალ 2007: 166).

დ. კლდიაშვილი



... მონამე | ვარ იმხნელ-ყოფილი და ან სანოლისა | და საჭურჭლისა
მნიგნობარი ანტონი. მტკიცე | ყოს ღ(მერთმა)ნ...

სეა, ფ. 1448-5003, [1241/1242] წ. დანერილი არსენ ჭყონდიდელ-მნიგნობართუ-
ხუცესისა მგელა აბულახტარისძისადმი.

სახლთუხუცესი – ცენტრალური ხელისუფლების უმაღლესი მოხელე გვიანდე-
ლი შუა საუკუნეების საქართველოში. ეს სამოხელეო თანამდებობა XV ს-დან მეფეთა
სიგელების უწინარეს რეგულარულად გვხვდება კათალიკოსთა სახელით გაცემულ
საბუთებში, ამავე ს-ის მიწურულიდან – იმერეთისა და კახეთის სამეფო საბუთებ-
შიც. ქართლში ს. XVI ს-ის დასაწყისიდან იხსენიება. ვახუშტის მიხედვით, ს. არსე-
ბობდა ერთიან საქართველოშიც და იმასვე ნიშნავდა, რასაც აბრამადი (იხ.). მაგრამ
ერთიანობის დროინდელ დოკუმენტებსა და „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ეს ტერ-
მინი ნახსენები არ არის. ვ. გაბაშვილის დაკვირვებით, ტერმინის ადრე გავრცელე-
ბული ფორმა – „სახლისუხუცესი“ მართლაც უნდა მიანიშნებდეს მის სიძველეზე,
მაგრამ ამ სახელოს მატარებელი პირები ადრინდელ მეფეთა და მთავართა კარზე
„საკუთართა“, ანუ ე.წ. ხელშინაურ მოხელეთა კატეგორიას განეკუთვნებოდნენ და,
ამდენად, გვიანდელ შუა საუკუნეებამდე მათი უფლებები კერძო სამართლებრივ ნორ-
მებს არ სცილდებოდა. ამდენად, ქართულ სამეფოებში ცენტრალური მმართველო-

ბის მაღალ პოზიციებზე ს-ის დანიშნულება გვიანდელი შუა საუკუნეების (XV-XVIII სს) მოვლენაა, რაც ერთიანი მონარქიის დაშლის, სამეფო ხელისუფლების დასუსტების, სამეფო მიწების ფონდის შემცირებისა და მეფის ხელისუფლების საჯარო უფლებების მკვეთრი შეკვეცის შედეგად უნდა მომხდარიყო. ს-ს სამეფო კარზე ჩაბარებული ჰქონდა სამეფო სამდივნო (კანცელარია) მდივან-მნიგნობრებითურთ, სასახლის ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა, მეფის „ვაზირობა“ (მრჩეველობა), სამეფო მიწების სამეურნეო და საფინანსო ზედამხედველობა, ანუ, ის ფუნქციები, რომლებსაც ერთიანობის ხანის საქართველოში რამდენიმე სამოხელეო უწყება უძღვებოდა.

მრავალფეროვანი ფუნქციების შესაბამისად, ს-ს ექვემდებარებოდნენ სამეფო კანცელარიის მდივნები და მორდრები (იხ.); სამეურნეო საქმეთა და ფისკის მოხელეები: ნაზირი (იხ.) მოლარე (იხ.), თავლიდარი (იხ.) და სხვ., აგრეთვე, სამზარეულოსა და სახაბაზოს მსახურნი: თუშმალი (იხ.), მზარეული, და ა.შ. სასახლის საფარეშოს მოხელეები: ფარეშთუხუცესი (იხ.) და მის დაქვემდებარებაში მყოფი მსახურები. მასვე ეხებოდა ნადირობის სამსახური, საჯინიბოს, სანყობის მომსახურე პერსონალი. ს-ის კონტროლს ექვემდებარებოდა გარკვეული ტიპის ადმინისტრაციული აქტების – ყმა-მამულისა და სახელოს ბოძების, ჯამაგირის დანიშვნისა და სხვ. მომზადება-გაცემა. ნაზირთან ერთად ს. სამეფო მეჯლისის მთავარი განმკარგულებელი იყო. მას უნდა ედევნებინა თვალყური სტუმრების ჯეროვნად მომსახურებისათვის. როცა ყველაფერს გაარიგებდა, მეფის წინ საპატიო ადგილს იკავებდა.

ერეკლე II-ის დროს ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოში ორი ს. იყო – ქართლისა და კახეთის. ს-ის უწყებას დაუქვემდებარა ერეკლე II-მ სახელმწიფო ფინანსების შემოსავალ-გასავალის კონტროლისათვის შექმნილი ცალკე სამსახურიც. ს-ს ჯამაგირის სახით გადაკვეთილი ჰქონდა წლიურად 25 თუმანი. ამავე დროს იღებდა სარგოს, როგორც სახელმწიფო გადასახადებიდან, ისე სამეფო მიწების შემოსავლებიდან და ქალაქების იჯარა-ბაჟებიდან. ცალკე შემოსავალი შემოსდიოდა მას ელებიდან და, ასევე, მეფის სამდივნოდან. მიუხედავად ამდენი ვალდებულებებისა, ს., როგორც ყმა-მამულის პატრონი ფეოდალი, არ იყო გათავისუფლებული სამხედრო ვალდებულებებისაგან. ცნობილია იმერეთის სამეფოს ს-ის შემოსავალი XVIII ს-ის მეორე ნახევარში. მას ეკუთვნოდა: აკრეფილი სახელმწიფო გადასახადების მეთაფი, მებაჟეთაგან მიღებული ყოველწლიური ძღვენი (ორი-სამი ქესა), ერთი წყვილი ძვირფასი სამოსი, მეფის მიერ ყოველი გაცემული წყალობიდან – თითო კომლზე თითო ხარი.

ს-ის თანამდებობაზე მეფეები ნიშნავდნენ მათ მიმართ ყველაზე ლოიალურად განწყობილი ფეოდალური სახლების წარმომადგენლებს, მაგრამ თანამდებობის ხანგრძლივი მემკვიდრეობითობა რომელიმე ერთი საგვარეულოს ფარგლებში ქართლისა და იმერეთის სამეფოებში მაინც ვერ იქნა შენარჩუნებული. პოლიტიკური

რყევები, რომლებსაც ქართული სამეფოები განიცდიდნენ XVI და, განსაკუთრებით XVII-XVIII სს-ებში, გავლენას ახდენდა საკარო თანამდებობათა კონტინგენტის შერჩევაზე. ყოველი ახალი სამეფო კანდიდატურა, რომელიც საგარეო ძალისა თუ ადგილობრივი დაჯგუფებების დახმარებით მოიპოვებდა გამარჯვებას, თავისი მომხრე საგვარეულოების წარმომადგენლებს აწინაურებდა სამეფო კარზე. ამ ვითარების ანარეკლია საგვარეულოთა ხშირი მონაცვლეობა ს-ის თანამდებობაზე XVII-XVIII სს-ის ქართლსა და იმერეთში. ამ საუკუნეებში ქართლის სამეფო კარზე ს-ის თანამდებობაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ სააკაძეები, მუხრანბატონები, ციციშვილები, ბარათაშვილ-ორბელიშვილები და სხვ. კახეთში უპირატესად ჩოლაცაშვილები იკავებდნენ ამ თანამდებობას, თუმცა, პერიოდულად მათ ენაცვლებიან ჯანდიერიშვილები, ხერხეულიძეები, ბებურიშვილები და სხვ. ამასთან კახეთში ს-ობა ტრადიციულად სარდლობასთან იყო შეერთებული. ეს თანამდებობა შენარჩუნებულ იქნა კახეთში მეფობის გაუქმებისა და იქ ირანის ხანების მმართველობის პირობებშიც. XVII ს-ის 90-იანი წლების დასაწყისში, ქართლში კახი ბატონიშვილის ერეკლე I-ის (ნაზარალი-ხანი) და ქართლის მეფის გიორგი XI-ის „ორმეფობის“ პირობებში, ს-ის თანამდებობაზე ორივე მეფე ნიშნავდა თავის მომხრე თავადებს. გიორგი XI-ის მიერ ქართლის დაბრუნების შემდეგ (1703 წ.) ქართლსა და კახეთში ისევ ადგილობრივმა თავადებმა დაიბრუნეს ს-ის თანამდებობა. 1762 წ-დან ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოში ს-ები, კახეთის სამეფოს ტრადიციისამებრ, იმავდროულად სარდლებიც იყვნენ და ს-ებად იწოდებოდნენ. იმერეთის სამეფოში ს-ის თანამდებობაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ კონკურენტი საგვარეულოები: აბაშიძეები, ჩხეიძეები და წერეთლები.

წყაროები და ლიტერატურა: ვახუშტი 1973: 843; გაბაშვილი 1943: 166; მესხია 1948: 4, 6-10, 38; შენგელია 1940: 143; სურგულაძე 1952: 175-176, 177, 180.

სახლთუხუცესები. XVI-XVIII სს. ქართლი:

სოლალაშვილი ივანე – სამეფო კარის ს., პალატისუხუცესი და მწიგნობართამთავარი 1512- 1530-იანი წწ. (ქისკ 2016: 44, 75, 78, 98, 218).

ფანასკერტელ-ციციშვილი ზაზა – სამეფო კარის ს. 1558 წ. (ქისკ 2016: 238).

ფავენელიშვილი გივი – სამეფო კარის ს. 1569-1578 წწ. (ქისკ 2016: 278).

სააკაძე ზურაბ – სამეფო კარის ს. 1593—1607 წწ. (ქისკ 2016: 429, 451, 456).

სააკაძე ბეჟან – ბაგრატი-ხანის (VII) ს. 1616-1619 წწ. (პალ 2007: 91).

[ციციშვილი] ამილამბარ – სიმონ-ხანის (II) ს. 1622 წ. (სეა, 1450-35/73).

ბარათაშვილი ქაიხოსრო – სამეფო კარის ს. 1627-1642 წწ., ბოქაულთუხუცესი 1619-1626 წწ., საბარათაშვილოს სარდალი, მეკობრისმძებნელი 1623 წ., ქალაქის მოურავი 1626 წ. (პალ 1991: 446-447; ქსის 1955: 100, 106).

ციციშვილი მანუჩარ – სამეფო კარის ს. 1642-1651 წწ. (პალ 2015: 262-63).

ციციშვილი ყაია – სამეფო კარის ს. [1651-1656] წწ. (პალ 2015: 278); ქსის 1955: 267).

ბარათაშვილი ყაფლან -სამეფო კარის ს., მდივანბეგი. [1656-1658] წწ. (პალ 1991: 451-452).

ციციშვილი პაპუნა – სამეფო კარის ს. 1659-1664 წწ., სარდალი 1650-1664 წწ. (პალ 2015: 266-69).

ციციშვილი ზაზა – საბარათიანოს სარდალი 1646 წ., სამეფო კარის ს. ([1664]-1667 წწ. ვახუშტი 1973: 452, 455; პალ 2015: 257-260).

ციციშვილი ციცი („დიდი“) – სამეფო კარის ს. 1672-1678 წწ. (პალ 2015: 279-281).

ბაგრატიონი თეიმურაზ, მუხრანისბატონი – სამეფო კარის (გიორგი XI-ის) ს. 1678-1684 წწ. (პალ 1991: 315).

ციციშვილი ამილამბარ – სამეფო კარის ს. 1684 წ. (პალ 2015: 249).

ბაგრატიონი პაპუა, მუხრანის ბატონიშვილი – სამეფო კარის (გიორგი XI-ის) ს. [1685]-1700 წწ. (პალ 1991: 334-335).

ბებურისშვილი – ნაზარალი-ხანის ს. 1688 წ. (პალ 1991: 488-489; ვახუშტი 1973: 464).

ციციშვილი ქაიხოსრო – ნაზარალი-ხანის ს. 1688-[1703] წწ. (პალ 2015: 276).

ბარათაშვილი საამ – (გიორგი XI-ის) ს. 1690 წ.; ფარეშთუხუცესი 1671 წ., ბოქაულთუხუცესი 1670-1690 წწ. (პალ 199: 441-443).

ორბელიშვილი ლუარსაბ – სარდალი და სამეფო კარის ს. 1690-1696 წწ., სარდალ-ყულარალასი 1696-1699 წწ. ყულარალასი – 1692-1696 წწ. (პალ 2007: 334).

ციციშვილი ედიშერ (ქაიხოსროს ძე) – სამეფო კარის ს. 1695 წ. (ქსის 1955: 427;).

ერისთავისძე ალათანგ – სამეფო კარის ს. XVIII ს. დასაწყისი (პალ 1993: 139).

ნახუცრიშვილი დავით – სამეფო კარის ს. 1724 წ. (გიდ 2008: 306).

ორბელიანი ელიზბარ – სამეფო კარის ს. 1735 წ. (ხეც, Sd-1943).

კახეთის სამეფო

ირუბაქისძე [ჩოლაყასშვილი] ბენა – სამეფო კარის ს. 1511 წ. (სეა, 1449-1533; პალ, II, 465).

ჩოლაყასშვილი გარსევან – ს. 1510-20-იანი წწ.; ეს ის პირია, ვინც ავ-გიორგის დალუპვის შემდეგ გადაამალა მისი მცირეწლოვანი ძე (მომავალი ლევან კახთა მეფე) და გადაარჩინა დალუპვას (ვახუშტი 1973: 394, 570).

ჭავჭავაძე იასონ – სამეფო კარის ს. 1590 წ. (პალ, V, 327; გიდ 208: 42).

[ხერხეულიძე] ალათანგ – სამეფო კარის ს. 1612-1619 წწ. (სეა, 1450: 49/149; 26/5; 28/214).

ჯორჯაძე იესე – სამეფო კარის ს. 1629-1637 წწ. (პალ 1993: 403; ქსოის 19584: 11).

ჯანდიერიშვილი დავით – სამეფო კარის ს. 1637 წ. (პალ 2015: 476).

ჩოლაყასშვილი რევაზ – სამეფო კარის ს. და სარდალი 1643-1648 წწ. (ვახუშტი 1973: 597).

ჩოლაყასშვილი ბიძინა – სუფრაჩი 1638-1651 წწ., სამეფო კარის ს. [1656] წ. (პალ 2015: 219).

ჯორჯაძე ნოდარ – სამეფო კარის ს. არჩილ II-ის (1664-1675) დროს (პალ 2015: 513-14).

ონანა – მდივანი 1656-1692 წწ. „კახეთის“ ს. [1690-1703] წწ. (პალ 2004: 328-329).

[ჯორჯაძე] იასე – სამეფო კარის ს. 1690-1694 წწ. (პალ 1993: 405).

ჩოლაყასშვილი დურმიშხან – სამეფო კარის ს. 1693-1696 წწ. (პალ 2015: 220).

ჩოლაყასშვილი რევაზ – სამეფო კარის ს. 1688 წ.; თორმეტი წლის განმავლობაში ერეკლე ბატონიშვილს ისპაჰანში ემსახურებოდა, რის გამოც ქართლში გამეფების შემდეგ (1688) ერეკლემ მას დაუმტკიცა ს-ის სახელო და მამულები. ცოტა ხნის შემდეგ ქართლის კანონიერი მეფე გიორგი XI კახელ თავადებს შეუთანხმდა, რომ არჩილი დაებრუნებინათ კახეთის ტახტზე. პირობისამებრ, ნინოწმინდაში მოსალაპარაკებლად ჩასული ქართლის თავადები დუშია მოურავმა დაასმინა ირანის ადგილობრივ მოხელე აბაზყული-ხანთან. ამ ამბის გამო ს. რევაზ ჩოლაყასშვილი განუდგა ერეკლე I-ს (ნაზარალი-ხანს) და და გიორგი XI-ს მიემხრო.

წყაროები და ლიტერატურა: ვახუშტი 1973: 468, 607; პალ 1991: 256; პალ 2015: 225.

ჩოლაყასშვილი ოთარ – სახლთუხუცეს რევაზის შვილი. სამეფო კარის ს. 1693-1696 წწ. (პალ 2015: 224).

ჩოლაყასშვილი დურმიშხან – სამეფო კარის ს. 1696 – XVIII ს-ის 10-იანი წწ. (გიდ 2008: 102; გიდ 2011: 735).

ჩოლოყასშვილი ედიშერ – სამეფო კარის ს. XVIII ს-ის 20-იანი წწ. (გიდ 2008: 93, 206, 227, 276).

საზვერელი – თუმთ მოურავი 1714 წ. სამეფო კარის ს. 1718-1724 წწ. ვახუშტის ცნობით, მაჰმადყული-ხანმა (კონსტანტინე II) იგი გააგზავნა ირანის შაჰთან, რათა ეუწყებინა მისი და ბაქარ (ქართლის მეფის) საერთო გადაწყვეტილება ერთად გამოსულიყვნენ ოსმალთა წინააღმდეგ (ვახუშტი 1973: 622; გიდ 2008: 276, 290).

ონანა – მდივანი 1713-1733 წწ., სამეფო კარის ს. დაახლ. 1724-1733 წწ. (გიდ 2008: 273).

ჩოლაყაშვილი გივი – სამეფო კარის ს. 1738 წ. (ხეც, Ad-714; გიდ 2008: 334, 352).

ჩოლაყასშვილი ჯიმშერ – სამეფო კარის ს. 1740-1741 წწ. (ხეც, Hd-1684; Hd- 2529; სეა, 1450-3/ 124).

ჩოლაყაშვილი გრიგოლ – სამეფო კარის ს. 1741-1746 წწ. (დსსი 1940: 405-407; გიდ 2008: 352, 361).

[ჯორჯაძე] იესე – სამეფო კარის ს. 1759 წ. (გიდ 2008: 401).

ქართლ-კახეთის სამეფო

ორბელიანი დავით – სამეფო კარის ს. და სარდალი 1768-[1784] წწ. (გიდ 2008: 436, 447).

იოანე მუხრანისბატონი – სამეფო კარის ს. და სარდალი 1784-1789 წწ. (გიდ 2011: 558, 607, 703).

იოანე ორბელიანი – სამეფო კარის ს. და სარდალი 1798-1800 წწ. (გიდ 2008: 436; მესხია 1948: 6).

იმერეთი

რომანოზ ბერი – სამეფო კარის ს. 1433 წ. (პალ 2007: 72).

აფხაჭელიძე ივანე – სამეფო კარის ს. 1488 წ. (პალ 1991: 194).

ჩხეიძე ბეჟია – სამეფო კარის ს. 1640-იან წწ.; მისი ასული იყო ცოლი მამუკა ბატონიშვილისა, რომელთან ერთადაც დადიანთან განცდილი მარცხის შემდეგ (1646) ახლციხის ფაშას აფარებდა თავს, შემდეგ სხვა ჩხეიძეებთან ერთად ქართლში გადასულა. აქ მათ, როგორც ჩანს, ოსმალთა მხარდაჭერით, მამუკას ქართლში გამეფება მოუსურვებიათ, რისთვისაც როსტომის წინააღმდეგ შეთქმულებაში მიიღეს მონაწილეობა.

წყაროები და ლიტერატურა: ფარსადან გორგიჯანიძე 1925: 246-248; ქსის 1955: 147, 175-176; სოსელია 1973: 40.

აბაშიძე როსტომ – სამეფო კარის ს. 1651 წ. (კაკაბაძე I, 1921: 64).

ჩხეიძე სეხნია – ს. 1660-იანი წწ.; იგი და მისი ძმა – სვიმონ კათალიკოსი, ეხმარებოდნენ ბაგრატ IV-ს გამეფებაში, რამაც განაპირობა სეხნიას დანიინაურება სამეფო კარზე, მაგრამ მალე მეფეს განუდგა და მის წინააღმდეგ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა (ჩხარის ბრძოლა, 1669 წ.). გამარჯვებულმა ბაგრატ IV-მ ს-ობა ჩხეიძეების გვარს ჩამოართვა და საზვერელ ჩიჯავაძეს უბოძა.

წყაროები და ლიტერატურა: ვახუშტი 1973: 204, 205; სოსელია 1973: 44-45.

ჩიჯავაძე საზვერელ – სამეფო კარის ს. 1669-1679 წწ.; 1679 წ. საზვერელი დაილუბა ბაგრატ IV-ის მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში. მისი გარდაცვალების შემდეგ ჩხეიძეებმა ისევ დაიბრუნეს ს-ობა.

წყაროები და ლიტერატურა: ვახუშტი 1973: 843; პალ 2015: 216; სოსელია 1973: 44-45.

ჩხეიძე გიორგი – სამეფო კარის ს. 1679-1700-იანი წწ.; იგი ს. ხდება საზვერელ ჩიჯავაძის გარდაცვალების შემდეგ. XVIII ს-ის დასაწყისში ჩხეიძეები კონკურენციას ველარ უწევენ მომძლავრებულ აბაშიძეებს, რომლებიც სამეფო კარზე ყველა მნიშვნელოვან თანამდებობას ეუფლებიან.

ლიტერატურა: სოსელია 1973: 46, 142.

აბაშიძე დავით – სამეფო კარის ს. 1766-1770 წწ.; სოლომონ I-მა ქუთაისის მოურავის, სარდლისა და ბოქაულთუხუცესის თანამდებობები უბოძა ბერ წულუკიძეს, რამაც ს-ის თანამდებობის დაკნინება გამოიწვია. ამის გამო დავით აბაშიძე განუდგა სოლომონ I -ს და 1778 წ. მოურავ თამაზ მესხთან ერთად მას საკუთარი შვილი, ალექსანდრე აუმხედრა. სოლომონმა დავითს ჩამოართვა ყმა-მამული და გააძევა იმერეთიდან.

წყაროები და ლიტერატურა: ბურჯანაძე 1961: 129-130; სოსელია 1973: 185, 186, 191.

წერეთელი ზურაბ – სამეფო კარის ს. 1778-1785, 1189-1810 წწ.; 1784 წ. სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ იმერეთის ტახტზე ასულმა დავით გიორგის ძემ ზურაბ წერეთელი გააზავნა ელჩად პეტერბურგში ეკატერინე II-ის კარზე (1784/1785 წ.). სანამ ზურაბ წერეთელი უკან დაბრუნდებოდა, დავით გიორგის ძემ ზურაბ წერეთელს სახელო და მამულები ჩამოართვა და ს-ობა ზაალ აბაშიძეს უბოძა. 1789 წ. ახლად გამეფებულმა დავით არჩილის ძემ (სოლომონ II), ზურაბ წერეთელს დაუბრუნა თანამდებობა და მამულები. 1790 წ-დან ზურაბ წერეთელმა ს-ის ფუნქციები იმდენად გააფართოვა, რომ ამ დროიდან მას სამეფო კარის გამგე ეწოდა.

წყაროები და ლიტერატურა: ნიკო დადიანი 1962: 183; სოსელია 1981: 109-110.

აბაშიძე ზაალ – სამეფო კარის **ს.** 1785/1786 წწ. იმერეთის მეფემ დავით გიორგის ძემ დავით არჩილის ძის მიმართ გამოჩენილი ლოიალობის გამო წერეთლები დასაჯა – ჩამოართვა მათ მამულები და **ს**-ის თანამდებობა, რომელიც ისევ აბაშიძეთა გვარს დაუბრუნა. ზაალ აბაშიძეს **ს**-ობა ეპყრა მცირე ხნით. 1789 წ. გამეფებულმა დავით არჩილის ძემ (სოლომონ II) ზურაბ წერეთელი აღადგინა ძველ უფლებებში და **ს**-ობაც ხელახლა უწყალობა.

წყაროები და ლიტერატურა: ნიკო დადიანი 1962: 185-186; ხეც Sd: 507, 508; სოსელია 1981: 110-112.

მ. სურგულაძე

სპასალარი – (საშ. სპარს. spāhsālār – სარდალი, მხედართმთავარი, მხედართუხუცესი). ქართულ წყაროებში **ს.** /სპასპეტი (იხ.)/ამირსპასალარი (იხ.) შინაარსობრივად სინონიმური ცნებებია. „ქართლის ცხოვრება“ იცნობს სამივე ტერმინს, მაგრამ მათი გამოყენებისას ქრონოლოგიური ნიშნით გარკვეული დიფერენციაცია შეინიშნება.

ელინისტურ და გვიანანტიკურ ქართლში **ს.** ერისთავთა ქვემდგომი ადგილობრივი სამხედრო-ადმინისტრაციული მოხელე იყო, რომლის უფლებამოსილება საერისთავოს ცალკეული თემისა და „ქვეყნის“ ფარგლებში ვრცელდებოდა. სპასალარს, თავის მხრივ, ათასისთავები ემორჩილებოდნენ, რომელთაც, გარდა უშუალოდ სამხედრო საქმიანობისა, ფისკალური ფუნქციებიც ებარათ – „მათ ყოველთაგან მოვიდოდა ხარკი სამეფო და საერისთავო“.

გვიანანტიკურ ეპოქაში **ს**-ები სოციალური წარმომავლობით ქართლის უმაღლეს არისტოკრატიას ეკუთვნოდნენ და სამეფო ოჯახთან ბუნებრივი ან ხელოვნური („მამამძუძეობა“) ნათესაობით იყვნენ დაკავშირებულნი. მაგ., ვახტანგ გორგასლის მამამ, მეფე მირდატმა, თავისი ასული მირანდუხტი კასპის **ს**-ს მისცა აღსაზრდელად. ადრეული შუა საუკუნეების შემდეგ იერარქიული ზღვარი **ს**-სა და სპასპეტს შორის იშლება და ეს ორი ტერმინი სინონიმურად იხმარება. XI ს-ში **ს.**, ძველი სპასპეტის მსგავსად, ქვეყნის ძირითადი სამხედრო ბირთვის, საერისთავო ლაშქრის წინამძღოლად, ერისთავთა „უხუცესად“ იწოდებოდა. **ს**-ად მოიხსენიებს „მატიანე ქართლისა“ ბაგრატ IV-ისა და გიორგი II-ის თანამედროვე კლდეკარის ერისთავ ლიპარიტ (IV) ბაღვაშს და მის ძეს ივანეს (იხ. აქვე, **ს.** და კლდეკარის ერისთავი ივანე ბაღვაში), რომელთა ძალაუფლება სასპასპეტო შიდა ქართლზეც ვრცელდებოდა და უდიდესი ძალაუფლება და გავლენა ჰქონდათ იმდროინდელ საქართველოში. **ს**-ს, როგორც სამხედრო ხელისუფალს, ექვემდებარებოდნენ ერისთავები და ის საქვეყნოდ გამრიგე მოხელეები, რომლებიც საერისთავოებში სამხედრო საქმეს ემსახურებოდნენ. ნ. ბერძენიშვილი

ვარაუდობდა, რომ ს-თა ინსტიტუტი დავით აღმაშენებელმა გააძლიერა, რათა დაეპირისპირებინა იგი ერისთავებისადმი. თუმცა, შემდგომ იმავე სოციალურმა მოვლენამ, რომელმაც ძველი ერისთავები (ჯარის უფროსები) ფეოდალებად აქცია, ასეთივე ზეგავლენა მოახდინა ს-თა ინსტიტუტზე, რის გამოც მან დამოუკიდებელი არსებობა შეწყვიტა. მთავარსარდლის აღმნიშვნელ ტერმინად დავით აღმაშენებლის დროს შემოღებული „ამირსპასალარი“ (იხ.) ტერმინოლოგიურადაც და ფაქტობრივი ვითარების მიხედვითაც ს-თა გაერთიანებული სამხედრო ძალების არსებობას გულისხმობს. ს-ები ჩაუყენა დავით აღმაშენებელმა ყივჩაყთა ჯარის ცალკეულ შენაერთებსაც სათავეში. არსებობს მოსაზრება, რომ დასავლეთ საქართველოს ს. იყო თამარის თანამედროვე სამეფო კარის მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი, რომლის ხელში გიორგი რუსის აჯანყების დროს დასავლეთ საქართველოს მთელი სამხედრო კონტინგენტი აღმოჩნდა (თ. ბერაძე). ნიშანდობლივია, რომ XIII ს-ის იმ ისტორიულ წყაროებში, რომლებიც ბევრად ადრინდელი მდგომარეობის ამსახველია, ს. ადგილობრივი სამხედრო მეთაური ჩანს, რომელიც, ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ქართლის ერისთავისა და სხვა ერისთავთა სამოხელეო რანგში თანაბრად განიხილებოდა. მაგ., მირონის კურთხევისას დიდ ხუთშაბათს მცხეთაში შეკრებილთა შორის დასახელებულნი არიან: „მეფე, ათაბაგი, ქართლის ერისთავი, სპასალარი და ყოველნი ერისთავნი“. ხოლო „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, „ძღვენი სანელინდისთაო ...ერისთავთა, ქართლის ერისთავისა, სამცხის სპასალარისა“ და დადიანისა იყო.

ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ წყაროები საბრძოლო მოქმედებების აღწერისას მენინავე ჯარის წინამძღოლად მხოლოდ სამცხის ს-ს ასახელებენ. მართალია, წერილობით წყაროებში სამცხის ს. პირველად თამარის მეფობისას ჩნდება, მაგრამ არ გამოირიცხება, რომ ეს ხელი დავით აღმაშენებლის დროიდანვე არსებულიყო. ს-ები უნდა ყოფილიყვნენ 1118 წ. თურქთაგან მოკლული ბეშქენ ჯაყელი, ასევე 1177 წ-ის ორბელთა ამბოხების მონაწილე მემნა ჯაყელი. თამარის პირველი ისტორიკოსი იქ, სადაც ჩამოთვლის თამარის დროინდელ ერისთავებს, აღნიშნავს, რომ „სამცხის ერისთავად და სპასალარად აჩინეს ბოცო ჯაყელი“. ტექსტში ჩამოთვლილ ერისთავებს შორის ახლად დადგინებული მხოლოდ ბოცო ჯაყელია და, სხვა ერისთავებისაგან განსხვავებით, ერთდროულად „სამცხის ერისთავად და სპასალარად“ იწოდება. 1191 წ. გიორგი რუსის აჯანყებაში მონაწილეობისა და აჯანყებულთა თანადგომისათვის ბოცო ჯაყელმა სამცხის ს-ობასთან და ერისთავობასთან ერთად „ჯაყელობაც“ დაკარგა და ეს სამოხელეო თანამდებობა და საგვარეულო წოდება ჯაყელ-ციხისჯვარელთა სახლში გადავიდა. ამ შტოს ფუძემდებელია „ყუარყუარა, სამცხისა სპასალარი, ჯაყელი“, რომელსაც თამარის მეორე ისტორიკოსი მონაპირე ერისთავებს შორის ასახელებს.

თავდაპირველად სამცხის ს-ობა და ერისთავობა მართლაც ცალ-ცალკე ხელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ ორი ხელის დამოუკიდებელი არსებობა საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა და სამცხის ს. მალე ჩვეულებრივ ერისთავად იქცა. სამცხის ს. იგივე მონაპირე ერისთავი იყო, მხოლოდ გაზრდილი სამხედრო ფუნქციებით (მონაპირეობა, მეწინავე ჯარის მეთაურობა). სამხედრო ფუნქციის გარდა, მის მოვალეობაში შედიოდა ხარკის აკრეფაც, რაზედაც ვახუშტი იუწყება: „ესრევე შეჰკრებდა ლაშკართა და ხარკსა სამეფოსა ერისთავთა მიერ ყოველთა საბრძანებელთა“. ისტორიული წყაროების თანახმად, XIV ს-ის შუახანებამდე ბექა I ჯაყელის (1285-1308) ძეებიდან სამცხის ს. იყო სარგის II (1308/9-1344), ხოლო შემდგომ მისი ძმა – ყვარყვარე II (1334-1361), რომელიც ერთდროულად საქართველოს ამირსპასალარი და სამცხის ს. ყოფილა.

XIV ს-ის განმავლობაში სამცხის სამთავროს მმართველი ჯაყელები ჯერ კიდევ საქართველოს ათაბაგ-ამირსპასალარებად და სამცხის ს-ებად იწოდებოდნენ, ხოლო XV ს-დან მოყოლებული, ს. ჯაყელთა მმართველი სახლის ზედწოდებად შემორჩა.

წყაროები და ლიტერატურა: ლეონტი მროველი 1955: 24-25; ჯუანშერი 1955: 143, 185; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 34; 49; ბასილი ეზოსმოდლუარი 1959: 129; ხელმწიფის კარის გარიგება 1965: 94; კურთხევა მირონისა და განგება დარბაზობისა 1965: 47; ვახუშტი 1973: 20; ჯავახიშვილი 1982: 290; ბერძენიშვილი 1974: 70; მესხია 1979: 18-19; ანთელავა 1983: 129; კლდიაშვილი 1981: 40-45, 137-139; ბერაძე 1999: 133.

საქართველოს სპასალარები. XI -XIV სს.

ივანე ბაღვაში – ლიპარიტ (IV) ბაღვაშის ძე, ქართლის ს. 1059-1073 წწ., კლდეკარის ერისთავი 1073-1078 წწ., ბაგრატ IV-ის მიერ 1058 წ-ს შიომღვიმისადმი ბოძებული სიგელის მიხედვით, მეფემ კლდეკარის საერისთავო მანგლისის ხევის სოფელი ბორცვისჯვარი შიომღვიმეს შესწირა. სიგელს თავის მტკიცებულებას ურთავს ივანე ლიპარიტის ძე ერისთავის ტიტულის გარეშე. როგორც ჩანს, ამ სიგელის გაცემიდან მოკლე ხანში ივანე ბიზანტიაში „გაიპარა“, საიდანაც, ალავერდის ოთხთავის (ხეც A-484) მინაწერის ცნობით, 1059 წ. გაზაფხულზე დაბრუნებულა პროედროსის ტიტულით: „ესე ანდერძი მე, ივანე პროედროსმან, ძემან ლიპარიტ ერისთავთ ერისთავისამან და პროტოარხონტისამან დაწერე მას ჟამსა, ოდეს, ადიდენ ღმერთმან, აფხაზთა და ქართველთა მეფემან და ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოველისიმოსმან კოსტანტინოპოლით მომიყვანეს, და მოვედ კაცხსა მამულსა ჩუენსა“. ბაგრატ IV-მ ივანე ბაღვაშს, გარდა მისი სამკვიდრო არგვეთის მამულისა, უბოძა ს-ის თანამდე-


ბობა და, როგორც ჩანს, ამ თანამდებობასთან დაკავშირებული ქართლის მამულე-ბი. ს-ის რანგში ივანე ერთგულად ემსახურებოდა ბაგრატ IV-ს. 1060-იან წლებში საქართველოში თურქ-სელჩუკთა შემოსევები დაიწყო. ალფ-არსლანთან მიღწეული შეთანხმების თანახმად, ბაგრატს თავისი დისწული, რომელიც ამავე დროს ტაშირ-ძორაკერტის მეფის ძმისწული იყო, სულთნისათვის უნდა მიეთხოვებინა. ტაშირ-ძორაკერტის მეფე კვირიკემ ბაგრატს არ დაანება თავისი ძმისწული. 1066 წ. ბაგრატმა ილაშქრა ქვემო ქართლში და ძალით წაართვა სამშვილდე კვირიკეს. ს. ივანე ბაღვაში ამ მოვლენებში ერთ-ერთ მთავარ ფიგურას წარმოადგენდა. 1068 წ., როდესაც ალფ-ასლანმა ქართლი და იმერეთი დალაშქრა, ბაგრატმა ს. ივანე ბაღვაში მოციქულად გააგზავნა ალფ-ასლანთან. სულთანმა ხარკი ითხოვა, რაზედაც ბაგრატი არ დათანხმდა. მაშინ სულთანმა თბილისი და რუსთავი ძველ მფლობელებს ჩამოართვა და განძის ამირა ფადლონს გადასცა. ამის შემდეგ ბაგრატი იძულებული გახდა შუაგულ ქართლში ჩამდგარ ფადლონს შებრძოლებოდა. ერთ-ერთი საბრძოლო ეპიზოდის მიხედვით, ივანე ს-მა უწინამძღვრა ქართლის აზნაურებს და ფადლონი ქართლიდან გააქცია. ივანე ს-ის მეთაურობით მთლიანად გაიწმინა ქართლი ტყვეებში მიმალული ფადლონის მეომრებისაგან და გაქცეულებს კახეთამდე მისდევს.

ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ ივანე ს-ის დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა სამეფო ტახტისადმი. ივანემ გიორგი II-ს ორჯერ აუშალა ქვეყანა. ამ განდგომილებათა მიზეზი, დიდი ალბათობით, კლდეკარის საერისთავო უნდა ყოფილიყო, რომლის ბოძებისაგან თავს იკავებდნენ ბაგრატი და მისი მემკვიდრე გიორგი II. პირველი განდგომის დროს ივანემ კახელების დახმარებით ქსნისპირი დაიკავა. ამბოხებულები გიორგი მეფემ წყალობით დაიმორჩილა. მეფემ ამ დროს უბოძა ივანეს სამშვილდე, ხოლო მის ძეს, ლიპარიტს, შიდა ქართლში ლონობანი ნაცვლად რუსთავისა, რომელიც მეფეს კახელებისათვის ჰქონია გადაცემული. როგორც ჩანს, ივანეს მეტი პრეტენზია ჰქონდა და ამის შემდეგაც განუდგა იგი მეფეს. ამჯერად იგი სამშვილდეში გამაგრდა. გიორგი მეფე მესხებთან ერთად სამშვილდეს მიადგა, ივანე ს. კი ბრძოლას განერიდა. ამასობაში აღსართან კახთა მეფემ ლიპარიტ ივანეს ძეს ლონობანი წაართვა და ქსნის ხეობაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი. სწორედ ამ მეორე განდგომის შემდეგ კვლავ შემოირიგა გიორგი II-მ ივანე ს. და, დაახლოებით 1073 წ., ხელახლა დაუმტკიცა მას სამშვილდე და უბოძა კლდეკარის ერისთავობა. ამ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს კლდეისას სამშენებლო წარწერა, სადაც ივანე ს. ერისთავთ-ერისთავად იხსენიება.

მიუხედავად ამ წყალობებისა, ივანემ კვლავ უღალატა გიორგი II-ს. მან მეციხოვნეებს გაგის ციხე გამოსტყუა და თავის ძველ მტერს, განძის ამირა ფადლონს მიჰყიდა. 1078 წ., როდესაც მალიქ-შაჰი საქართველოს მოადგა, ივანემ მტერს თა-

ვისი ძე ლიპარიტი შეაგება და მალიქ-შაჰის ბანაკში დატოვა. ლიპარიტმა დიდხანს ვერ გაძლო მალიქ-შაჰთან და გაიპარა. მელიქ-შაჰი შურის საძიებლად სამშვილდეს მოადგა, ივანე და მისი ცოლ-შვილი დაატყვევა და ქართლი დაარბია. ამ ეპიზოდის შემდეგ მემათიანე ივანეს აღარ ახსენებს.

წყაროები და ლიტერატურა: მათიანე ქართლისაჲ 1955: .305, 309, 316, 317; ბაქრაძე 1959: 62; ქისკ 1984: 38; ხელნაწერთა აღწერილობა 1986: 214.



...მიწასა მეფობისა მათისა ი(ოვან)ეს, | ძესა ლიპ(არი)ტ ე(რისთავთ) ე(რისთავი)სა, დამიმტკიცებია. უქცეველი | არს ბრძანებაი მათი ჩემგანცა, მონისა მათისაგან. |

ხეც, Ad-14, 1057/1058 წ. სიგელი ბაგრატ IV-ისა შიომღვიმისადმი.

სარგის (I) ჯაყელი – ყუარყუარე ჯაყელის შვილიშვილი. სამცხის ს., ამ პატივით მოიხსენიებს მას ჟამთააღმწერლი; მეჭურჭლთუხუცესი 1270 წ., სამცხის ათაბაგი 1282-1284 წწ. დავით ულუს თანამებრძოლი, შემდგომში მონღოლთაგან შეწყალებული და სამცხის სამთავროს (ხას-ინჯუს) მფლობელი. დემეტრე II-ის დროს ხდება სამცხის პირველი ათაბაგი (სრულად იხ. ათაბაგი სარგის (I) ჯაყელი).

წყაროები და ლიტერატურა: ჟამთააღმწერელი 1959: 240-242, 250, 255, 259, 270-271, 273, 277-280; ქისკ 1984: 179; ბერიძე 1955: 50-51; მეტრეველი 1962: 101, 170; ლომინაძე, სინ 1979: 641; კლდიაშვილი 1981: 57; 81-84.

ყვარყვარე (I) ჯაყელი – მანდატურთუხუცეს ბექა (I) ჯაყელის ძე, ამირსპასალარი და სამცხის ს. 1334-1361 წწ. (სრულად იხ. ათაბაგი ყვარყვარე (I) ჯაყელი).

წყაროები და ლიტერატურა: სამართალი ბექასი და აღბუღასი 1963: 425, 450; ქისკ 2014: 20; კლდიაშვილი 1986: 64-70.

დ. კლდიაშვილი

სპასპეტი – (საშ. სპარს. *spahpat* – მხედართმთავრი), შინაარსობრივად იგივეა, რაც სპასალარი, მაგრამ „ქართლის ცხოვრება“ მათ ერთმანეთისაგან ასხვავებს. ლეონტი მროველის მიხედვით, ფარნავაზის (ძვ. წ. IV ს. მიწურული და III ს. პირველი ნახ.) დროინდელ ქართლში **ს.** უმაღლესი რანგის სამხედრო მოხელე იყო – იგი მეფის შემდეგ მეორე პირს წარმოადგენდა და საერთო სარდლობას უწევდა ერისთავთა ჯარებს – „მთავრობით განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა“. **ს.**-ის სამოხელეო ტერიტორია იყო სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი რეგიონი: „ტფილისითგან და არაგვითგან ვიდრე ფანავარადმდე, რომელ არს შიდა ქართლი“. **ს.**-ის, როგორც უმაღლესი სამხედრო მოხელის სტატუსი და საგამგებლო ტერიტორია საუკუნეთა განმავლობაში უცვლელი რჩებოდა. ვახტანგ გორგასალის **ს.** ჯუანშერი V ს-ის მეორე ნახევარში ასევე იყო „მპყრობელი შიდა ქართლისა და მპყრობელი ყოველთა ერისთავთა“.

გვიანანტიკურ და ადრეფეოდალურ ქართლში **ს.**-ები სოციალური წარმომავლობით ქართლის უმაღლეს არისტოკრაციას ეკუთვნოდნენ და სამეფო ოჯახთან ბუნებრივი ან ხელოვნური („მამამძუძეობით“) ნათესაობით იყვნენ დაკავშირებულნი, ისინი, მხედართმთავრობასთან ერთად, ითავსებდნენ მსაჯულისა და უფლისწულის აღმზრდელის მოვალეობებს. ვახტანგ გორგასალის მამამ, მეფე მირდატმა, „რამეთუ წესი იყო, რომელ შვილნი მეფეთანი წარჩინებულთა სახლსა შინა აღიზარდნიან“, თავისი ძე ვახტანგი **ს.** საურმაგს მისცა აღსაზრდელად.

VI-X სს-ში, ერთი მხრივ, უცხო დამპყრობთა ბატონობისა და, მეორე მხრივ, ერისთავთა გამთავრების პირობებში **ს.**-ის ინსტიტუტი დაკნინდა. საქართველოს ხელახალი გაერთიანების შემდგომ (XI ს.) იგი ძველი მნიშვნელობით იწყებს აღორძინებას, მაგრამ უკვე სპასალარის (იხ.) სახელწოდებით. ხანგრძლივი ტრადიციის მქონე „სპასპეტის“ ინსტიტუტთან გენეტიკურად იყო დაკავშირებული დავით IV აღმაშენებლის (1089-1125) მიერ შემოღებული ამირსპასალარის (იხ.) თანამდებობა.

წყაროები და ლიტერატურა: ლეონტი მროველი 1955: 24-25; ჯუანშერი 1955: 143; მესხია 1979: 18-19.

დ. კლდიაშვილი

სუფრაქში – (თურქ.-სპარს. *sufra qaş* – სუფრის გამწყობი, ნადიმის მომწყობი). საფარემოს/ფარეშხანის მსახური. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, მისი ქართული შესატყვისია „მეტაბლე“. **ს.**-ის ძირითადი ფუნქცია სტუმრებისათვის საჭმლის წესისამებრ მირთმევა იყო. ნადიმისა და მეჯლისის დროს სხვა მსახურებთან, მაგ., თუშმალებთან (იხ.) ერთად **ს.** საჭმელს არიგებდა. „დასტურლამალში“ ცალკე პარაგ-

რაფი ეძღვნება ს-ს, საიდანაც ჩანს, რომ ქართლის სამეფო კარზე სულ ექვსი ს. იყო. XVII-XVIII სს-ის ისტორიულ დოკუმენტებში ს-ის ხსენება იშვიათია. ცნობილია მაგ., ს. ტერტერაშვილი ბაინდურა, რომელსაც როსტომ მეფემ თრიალეთის ახალქალაქის ხელახლა დასახლება და მისი მოურავობაც ჩააბარა.

წყაროები და ლიტერატურა: დასტურლამალი“ 1965: 81; სურგულაძე 1952: 203; პალ 2015: 239.

თ. აბულაძე

სუფრაჩი – (თურქ. supraçı – მესუფრე). სამეფო კარის მოხელე, მესუფრე, რომელიც საფარემოს ყველაზე მნიშვნელოვანი სახელო იყო. ვახუშტის მიხედვით, ს-მა ჩაანაცვლა ჩუხჩარეხი (იხ.), რომლის გამგებლობაში შედიოდნენ სასახლის მზარეულები, მეპურეები, მგოსნები, მუსიკოსები და სხვ. სულხან-საბა ორბელიანი მას „მატაკარანად“, „მზრეულთუხუცესად“ განმარტავს. ვახტანგ VI „დასტურლამალში“ ს-ს მეჯლისის მოხელეებს შორის მოიხსენიებს სახლთუხუცესისა (იხ.) და ნაზირის (იხ.) შემდეგ. მის ფუნქციებში შედიოდა სუფრის გაშლა (ფარეშთუხუცესებთან ერთად), მეფისათვის (ბატონისათვის) საჭმლის მირთმევა. ზოგიერთი ცნობით, ს-ები ბრძოლებშიც იღებდნენ მონაწილეობას („არჩილიანი“). აღნიშნული სახელო საპატიო იყო სამეფო კარზე და მას სათავადო სახლების გავლენიანი პირები, მსხვილი ფეოდალები იკავებდნენ: ქართლში ს-ები იყვნენ შადიმან ბარათაშვილი, რომელიც ლუარსაბ II-ის დროს გადამწყვეტ როლს თამაშობდა სამეფოს მართვა-გამგეობაში, ქაიხოსრო ბარათაშვილი; კახეთში – ბიძინა ჩოლოყაშვილი და სხვ. როსტომ მეფე მნიშვნელოვან როლს აკისრებდა ამ სახელოს წარმომადგენელს და მას ირანში წარგზავნილ პირებს აახლებდა ხოლმე (ჰამზაბეგ ს. ზაალ ერისთავსა და იოთამ ამილახვარს გაჰყვა ირანში). ს-ები სხვა თანამდებობებსაც ითავსებდნენ – ნაზირის, სახლთუხუცესის, მეჰმანდარის (იხ.), ადგილობრივი მოურავების. ს. ჰყავდა როგორც მეფეს, ისე დედოფალს. იგი ხელმძღვანელობდა საკუთარ „თაბუნს“ ხელშინაური მოხელეებისას (სასახლის მსახურები და მზარეულები). ს. ისევე, როგორც სხვა მოხელეები, იღებდა სარგოს ნატურალური გამოსაღებების, კერძოდ, თევზის, საბალახოს, საკლავის წილების სახით.

წყაროები და ლიტერატურა: სურგულაძე 1952: 197-199; სოსელია 1973: 41; დასტურლამალი 1965: 253; ვახუშტი 1973: 23; ფარსადან გორგიჯანიძე 1925: 225; „არჩილიანი“ 1937: 114-115.

სუფრაჩები. XVII-XVIII სს. ქართლი:

ჯავახიშვილი ფარსადან – სამეფო კარის **ს. 1607 წ.**

ზაალ – სამეფო კარის **ს. 1623-1632 წწ.**

ბარათაშვილი ბარათა – სამეფო კარის **ს. მენინავე სადროშოს სარდალი 1626 წ.**

ბარათაშვილი ავთანდილ – სამეფო კარის **ს. 1628-1648 წწ.**

ჰამზაბეგ – **ს. და სახლთუხუცესი 1630-40-იანი წწ.** როსტომ მეფის დავალებით ახლდა ირანში მიმავალ ზაალ ერისთავსა და იოთამ ამილახვარს.

ვახტანგ – სამეფო კარის **ს. 1630-იანი წწ.**

იმამყული – მეითარ მანუჩარის ძე, სამეფო კარის **ს. 1660-იანი წწ.**

არათაშვილი ქაიხოსრო – სამეფო კარის **ს. 1671-1685 წწ.**

პაატა – მეითარ მანუჩარის ძე, სამეფო კარის **ს. 1679-1690 წწ.**, ქალაქის მოურავი 1679 წ. ახლო ხანები.

კახეთი:

ჩოლაყაშვილი ბიძინა – სამეფო კარის **ს. 1638-1651 წწ.**; სახლთუხუცესი 1630-იანი წწ.; კახეთის 1659 წ. სახალხო აჯანყების ერთ-ერთი მეთაური. თეიმურაზ I-ის აქტიური მხარდამჭერი. 1648 წ. თეიმურაზის დავალებით მან ერწო დალაშქრა, კახეთის აჯანყების (1659) შემდეგ შაჰმა შალვა და ელიზბარ ერისთავებთან ერთად იგი ირანში გაიწვია და გამაჰმადიანება მოსთხოვა. უარის მიღების შემდეგ შაჰმა იგი გადასცა იმ თურქმანებს, რომელთა მეტომეებიც კახეთის აჯანყების დროს განწყვიტეს. ბიძინა ჩოლოყაშვილი წამებით მოკლეს. იგი საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიერ წმინდანადაა შერაცხული.

ჩოლაყაშვილი ქაიხოსრო – სამეფო კარის **ს. 1641-1648 წწ.**

გურამიშვილი ზაალ – სამეფო კარის **ს. 1672-1673 წწ.**

ჩოლაყაშვილი ფარემუზ – სამეფო კარის **ს. 1680-იანი – 1699 წწ.**

[ანდრონიკაშვილი] **ლუარსაბ** – სამეფო კარის **ს. 1673 წ.**

[**ჩოლაყაშვილი**] **რამაზ** – სამეფო კარის **ს. 1690-იანი წწ.**

გიორგი – სამეფო კარის **ს. 1690-ანი – 1741 წწ.**

დემეტრე – სამეფო კარის **ს. 1704 წ.**

ფარემუზ – სამეფო კარის **ს. 1704-1735 წწ.**


ზურაბისშვილი ზურაბ – ქართლ-კახეთის სამეფო კარის **ს. 1764 წ.**

იმერეთი

ჩხეიძე ოტია – სამეფო კარის ს. 1660-იანი წწ.

წყაროები: ქსოის 1984: 22, 28; ქსის 1955: 308, 364, 414, 463; სს 1909: 341; დსსი 1940: 277-278, 299-300, 401-402, 263-264; 376-377; ქსძ 1970: 751-752, 100, 73; მესხია 1948: 100, 73; პაპუნა ორბელიანი 1981: 14, 61, 107, 125, 155, 156; სოსელია 1973: 41; პალ 1991: 394, 399, 743; პალ 1993: 44, 183, 195, 253, 270, 426, 579; პალ 2007: 3-4, 57, 342; პალ 2015: 88, 167, 219, 224, 226, 461-462; ხეც: Hd-569, Hd-6242, Hd-14964; Hd-6242ბ, Hd-9265; Hd-9265; Hd-13027; Hd-13695; Ad-1546; Qd-33, Ad-1685, Ad-846; Ad-955; Hd-1730; Qd-760; სეა: 1448 – 2771; 1448-1; 1448- 79; 1448-72; 1450- 2/172; 1449- 1212; 1450- 3/ 124; 1450-1/9.

თ. აბულაძე



ბეჭდის ლეგენდა:

ჩვენ, სუფრაჩი პაატა ამისი მოწამე ვართ

ხეც, Hd-13695, 1736 წ. ნასყიდობის წიგნი მიცემული მდივან სოლომონ მაღალაშვილი მიერ ჯავახიშვილ იაკობისათვის.

ტარულა – (მონღ. daruga), მოურავი XVI-XVIII სს-ის აღმოსავლეთ საქართველოში. სეფიანთა ირანში, საიდანაც იგი საქართველოში გავრცელდა, ტ. პოლიციის უფროსს ეწოდებოდა, რომელიც, ასევე, პასუხისმგებელი იყო გადასახადების აკრეფაზე (სეფიანთა ირანში ეს თანამდებობა ხშირად ქართველებს ეკავათ. შაჰ აბას I-ის დროიდან სეფიანთა სატახტო ქალაქის – ისფაჰანის ტ-ები თითქმის ყოველთვის გამუსლიმებული ქართველები იყვნენ). საქართველოში სამოხელეო ტერმინი ტ. XVI ს-ის 80-იანი წლებიდან, სვიმონ I-ის (1556-1569, 1578-1600) ირანის ტყვეობიდან დაბრუნების შემდგომ ჩნდება საშუალო რანგის ადგილობრივი ადმინისტრაციული მოხელის აღსანიშნავად. იგი ყოველთვის მოიხსენიება მელიქთან (იხ.), ქეთხოდასთან (იხ.), მოურავთან (იხ.) და სხვა მოხელეებთან ერთად. ტ. ჰყავდა სოფელსაც და ქალაქსაც. ქართულ და ქართულ-სპარსულ ისტორიულ საბუთებში იხსენიება „ქალაქის“ (თბილისის), გორის, ალგეთის, თელავის ბაზრის ტ-ები. ამავე დროს ტ-ს ვხვდებით მეფის, დედოფლისა და სათავადოების ადმინისტრაციებშიც. ქალაქების (თბილისი, გორი) და ადმინისტრაციული ერთეულების (სომხითი) ტ-ები მეფის მიერ ინიშნებოდნენ. „დასტურლა-

მალის“ მიხედვით, სამეფო მეჯლისის დროს სუფრის გაშლაში მონაწილეობას იღებდა ფარეშხანის (ფარეშების-მსახურთა უწყება) ტ. მის სარგოს „სატარულე“ გამოსაღები ეწოდებოდა. ისტორიულ საბუთებში ტ-ები, ძირითადად, არ არიან პერსონიფიცირებულინი. იშვიათია შემთხვევები, როდესაც ტ-ს სახელი და გვარია მითითებული. 1594 წ-დან იხსენიება გორის ტ. ამ თანამდებობაზე თავდაპირველად სხვადასხვა პირები ინიშნებოდნენ, რაც მიანიშნებს, რომ ტ. და მოურავი ჯერ კიდევ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. მაგრამ, მოგვიანებით ეს თანამდებობა სამემკვიდრეო გახდა და იგი ამილახვრებმა შეითავსეს, რომლებიც ადრიდანვე გორის მოურავობას ფლობდნენ. ტ. სარგოს სახით შემოსავალს იმ სოფლებიდან იღებდა, რომლების ტ-ობაც ეძლეოდა.

წყაროები და ლიტერატურა: ქსის 1955: 105, 106, 358, 411; ТКПФ I 1995: 129; ფუ-თურიძე 1965: 39; Месхия 1959: 245-246.

ტარულები. XVII-XVIII სს.

ჯავახიშვილი პაატა – ფარეშხანის, სოფელ ახალდაბისა და სხვა სახასო ადგილების ტ. 1633 წ. (ქსის 1955: 105, 106).

ამილახვარი იოთამბეგ – გორის ტ. 1692 წ. (ქსის 1955: 358).

ანდრონიკაშვილი ზაალბეგ – ყორჩიბაში; მარტყოფის ტ. 1703 წ. (ქსის 1955: 411).

ამილახვარი ავთანდილ-ბეგ – გორის (სეფიაბადის) ტ. 1708 წ. (სის 1965: 39; ТКПФ 1995: 129).

ამილახვარი გივ-ბეგ – გორის ტ. 1708 წ. (სის 1965: 39; ТКПФ 1995: 129).

ბ. ბაინდურაშვილი

უზბაში – (თურქ. yuzbāşi – ასეულის მეთაური, ასისტავი. სამხედრო მოხელე). როსტომ მეფემ (1632-1658) ყიზილბაშთა წესისამებრ ასისტავს უ. უწოდა. XVII-XVIII სს-ის წყაროების მიხედვით, ქართლსა და კახეთში უ. გავრცელებული სახელოა, თუმცა მის პარალელურად ვხვდებით ასისტავსაც. ისტორიულ საბუთებში იხსენიება თბილისის ციხის უ., თუმცა, ისტორიული რეალობიდან გამომდინარე, აღნიშნული სახელო ეთნიკურად ირანელს გულისხმობდა. სპარსული ფირმანების მიხედვით, XVII ს-ის ბოლოს უ-ს თავისი მოადგილე ანუ ნაცვალი ჰყოლია. ვახტანგ მეფის „დასტურ-ლამალის“ მიხედვით, უ. ყულარაღასს (იხ.) ემორჩილებოდა, ხოლო XVIII ს-ის მეორე ნახევარში – მინბაშს (იხ.). ვახტანგ VI-ის (1716-1724) მიერ შექმნილ მეთოფეთა 120-კაციან რაზმს, რომელიც სამი წოდების – თავადიშვილების, აზნაურებისაგან და აზნაურ-მსახურებისაგან შემდგარ 40 მეთოფისაგან შემდგარ მცირე რაზმებად იყოფოდა, სათავეში უ-ები ედგნენ. ამ შემთხვევაში, ტერმინი უ. თავის რეალურ ში-

ნაარსს აღარ შეესაბამებოდა, რადგან იგი უკვე იყო არა ასეულის, არამედ ორმოცი კაცის ხელმძღვანელი. უ. ისევე, როგორც მინბაში, ვალდებული იყო ეზრუნა თავისი ქვემდებარე დანაყოფის წესრიგზე.

უ-ებს სამსახურის სანაცვლოდ გადაეცემოდათ მამულები, რომელთა შემოსავალი მათ გასამრჯელოს წარმოადგენდა. ვახტანგ VI-ის „დასტურლამალის“ მიხედვით, უ-თა სარგოს მკვეთრად გამოხატული წოდებრივი ხასიათი ჰქონდა. იგი სხვაობდა უ-ისადმი დაქვემდებარებული რაზმელების სოციალური წარმომავლობის შესაბამისად. თავადიშვილების რაზმის უ-ის ანაზღაურება უფრო მაღალი იყო, ვიდრე აზნაურთა რაზმის უ-ისა, ხოლო მათზე გაცილებით ნაკლები ჯამაგირი ჰქონდა აზნაურ-მსახურთა რაზმის უ-ს. საბუთებში უ-ები ხშირად იხსენიებიან, მაგრამ სახელების გარეშე.

წყაროები და ლიტერატურა: სმსფჰ 1949: 30; დასტურლამალი 1965: 243; ვახუშტი 1973: 32; ქსის 1955: 390; ქსოის 1984: 9, 10; ТКП I. 1995: 188; სურგულაძე 1952: 296.

უზბაშები. XVII-XVIII სს.

სარუხან-ბეგი – თბილისის ციხის უ. 1693 წ.

სეფიყული-ბეგი – უ. 1694 წ.

ჯავანმარდ-ბეგი – თბილისის ციხის უ. 1697 წ.

ქაიხოსრო თურქისტანიშვილი – უ. XVIII ს.

ყაფლან-ბეგ ბარათაშვილი – უ. 1744 წ.

ანტონ ბარათელი – უ. 1744 წ.

წყაროები: სმსფჰ 1949: 38, 80, 82, 118; დასტურლამალი 1965: 243; ТКП I. 1995: 85, 101; ТКП II. 1989: 29.

ხ. ბაინდურაშვილი.

ფარეშთუხუცესი – სასახლის საფარეშოს მსახურთა უფროსი, მათი ზედამხედველი და გამრიგე, შედიოდა მსახურთუხუცესის უწყებაში. სამეფო სასახლეში იმდენი საფარეშო იყო, რამდენ დარგადაც იყოფოდა სასახლის შინაური მეურნეობა. ასეთ საფარეშოებს წარმოადგენდა, მაგ., სამკერვალო, სამრეცხაო, სანთლების, სასანთლეებისა და მამხალეების, საგებლის, ნატისა და ბალიშის (რომელთაც დარბაზობაზე იყენებდნენ საპატიო სტუმრებისათვის), ტყავეულობის, კარვების, ნოხების, შემის, წყლის, აბანოს, სახმარი ჭურჭლის, ხილის, სასახლის დასასუფთავებელი იარაღის და სხვ. სათავსოები; ფარეშებს განეკუთვნებოდნენ შემის მჭრელები, წყლის მზიდავები, ცეცხლის გამწალბელები, მკერვალები და მკერვალთუხუცესი, მეხილეები და მეხილე-

თუხუცესი და სხვ. მათ ხელში იყო სასახლის დასუფთავება, განათება, წყლის ზიდვა, გათბობა, აბანოს მომზადება და სხვ. „ხელმწიფის კარის გარიგების“ თანახმად, ფ. პირადად ასუფთავებდა ტახტსა და ნოხს მეფის „სანოლში“, ხოლო „სხვათა ნოხთა“ ფარეშები წმენდნენ. ფ. ასევე „კაზმავედა სანოლს“ სავაზიროს სხდომებისათვის. ფ-ის ქვემდებარე მოხელე იყო ციცხთუხუცესი, რომელიც თავისი ხელქვეითების მეშვეობით სასახლეს გვიდა და ალაგებდა, ამზადებდა შემას სასახლისა და აბანოს გასათბობად. ფ-ის განკარგულებაში იყო აგრეთვე მეხილეთუხუცესი, რომლის მოვალეობას შეადგენდა მეფისა და მისი სახლობის ხილით გამასპინძლება, ამიტომ მას ხილის ჭურჭელ-იარაღიც ჰქონია ჩაბარებული. გვიანდელ საუკუნეებში ფ. სახლთუხუცესს (იხ.) დაქვემდებარებული მოხელე გახდა. „დასტურლამალში“ ფ-ის მოვალეობათა შესახებ მხოლოდ ზოგადი მინიშნებებია მოცემული. ამ დროს სამეფო კარზე ორი ფ. ყოფილა, რომელთა მოვალეობა სასახლის მომსახურე პერსონალის მრავალგვარი საქმიანობის გაძღოლა და მეთვალყურეობა ყოფილა. ფ. ყოველდღიური საქმიანობით იყო დაკავშირებული მეფესთან და სამეფო ოჯახთან, რის გამოც ამ თანამდებობაზე განსაკუთრებულად სანდო პირები ინიშნებოდნენ.

წყაროები და ლიტერატურა: ხელმწიფის კარის გარიგება 1965: 85, დასტურლამალი 1965: 252-255; ჯავახიშვილი 1982: 318-319; ანთელავა 1983: 38-39; სურგულაძე 1952: 200.

ფარეშთუხუცესები. XVII-XVIII სს.

ჯავახიშვილი პაატა – ქართლის სამეფო კარის ფ. 1633-1651 წწ. (ქსის 1955: 104, 173, 174, 221).

ჯავახიშვილი ზურაბ – ქართლის სამეფო კარის ფ. 1651-71 წწ.

ზაალ – ქართლის სამეფო კარის ფ. 1658-1675 წწ. (პალ 1993: 195).

ბარათაშვილი საამ – ქართლის სამეფო კარის ფ. 1671 წ., ბოქაულთუხუცესი 1670-1690 წწ., სახლთუხუცესი 1690 წ. (პალ 1991: 441-443).

თურქისტანიშვილი ერასტი – ქართლის სამეფო კარის ფ. 1673-1687 წწ. (პალ 1993: 371).

ნათანიშვილი პაპუა – კახეთის სამეფო კარის ფ. (კახეთი) 1704 წ. (ქსის 1955: 417, 418).

ციციშვილი გივი – ქართლ-კახეთის სამეფო კარის ფ. 1765 წ. (ხეც, Hd-8574; Hd-149).

მ. სურგულაძე

ფეშახანაჰისი – (სპარს. *peškaš* ნავის – საჩუქართა, ძღვენთა აღმწერი). სულხან-საბას განმარტებით, **ფ.** იგივეა, რაც მუქიფი (იხ.). ეს უკანსკნელი კი განმარტებულია, როგორც „ძღვენთა მწე“. „დასტურლამალის“ თანახმად, არსებობდა „ფეშქაჰის“ ქარხანა (საწყობი), რომელიც **ფ-**ს და თავლიდარს (იხ.) ჰქონდათ ჩაბარებული. აქ ინახებოდა მეფისადმი მიძღვნილი ძვირფასი საჩუქრები, რომელთა გასაჩუქრება შეიძლებოდა მეფისავე მოთხოვნით. **ფ-**ს ევალებოდა ფეშქაჰის მიღება-გაცემის ანგარიშის წარმოება. 1703 წ-ის წყალობის წიგნის მიხედვით, ყოველ შემოსულ ფეშქაჰზე **ფ-**ს მისი ღირებულების ერთი მეათედი ერგებოდა. ქართლ-კახეთის სამეფოში ორი **ფ.** არსებულა – ქართლისა და კახეთის. მათი სარგო შეადგენდა შემოსული ფეშქაჰების საერთო ღირებულების ერთ მეთერთმეტედს.

წყაროები და ლიტერატურა: დასტურლამალი 1952: 246; სურგულაძე 1952: 216.

თ. აბულაძე

ქეთხუდა/ქეჰხა – (სპარს. *ketxoda* – მამასახლისი). ირანსა და ოსმალეთში ქალაქის, სოფლის, თემის, ხელოსნური ორგანიზაციის მმართველი, გვარისა და ტომის წინამძღოლი; ოსმალეთში – სულტნის სასახლის მცველთა რაზმის ბალთაჯთა (ცულით შეიარაღებულთა) მეთაური. აღმოსავლეთ საქართველოში ტერმინი ვრცელდება XVI ს-ის ბოლო ათეული წლებიდან საქალაქო და სასოფლო ადმინისტრაციულ მმართველობაში მამასახლისის მნიშვნელობით. **ქ-**ები მოიხსენიებიან სოფლის და ქალაქის მეღიქ-მამასახლისებთან ერთად. ისინი ჩანან სხვადასხვა ტიპის იურიდიული გარიგებების მოწმეებად და დამამტკიცებლებად, სავაჭარო საქმეების გამრიგებად, საქონლის ნიხრის დამდგენებად. დავით ბატონიშვილის თანახმად, **ქ-**ებს უწოდებდნენ საქართველოში ჩამოსახლებულ თათართა უხუცესებსაც. **ქ-**ები იყვნენ თბილისში, გორში, ცხინვალში და, ზოგადად, აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში. ისტორიულ საბუთებში **ქ-**ები მამასახლისებთან (იხ.) და სხვა ადგილობრივ მოხელეებთან ერთად არიან დასახელებულნი, რაც მიანიშნებს, რომ მიუხედავად მათთან ფუნქციური მსგავსებისა, ისინი მაინც ცალკე რგოლს ქმნიდნენ ადგილობრივ სამოხელეო იერარქიაში. **ქ-**ების თანამდებობა მემკვიდრეობითი იყო, იერარქიულად ისინი ექვემდებარებოდნენ ქალაქისა და სოფლის მოურავებს, გატოლებულები ჩანან მამასახლისებთან და მეღიქებთან (იხ.). ქალაქებში და ზოგიერთ სოფელში ერთდრულად რამდენიმე **ქ.** შეიძლებოდა ყოფილიყო. ქალაქების **ქ-**ები ვაჭარ-ხელოსანთა წრიდან ჩანან გამოსულნი, სოფლებში – გლეხობიდან. **ქ-**ის სარგოს წარმოადგენდა წილი მოსახლეობაზე განერილი გადასახადიდან, რაც, ძირითადად, ნატურალურ პროდუქტს წარმოადგენდა.

წყაროები და ლიტერატურა: ნაიმა 1979: 124; ქსის 1955: 389; პალ 1991: 569, 659, 653, 693; პალ 1993: 466; პალ 2004: 136; პალ 2015: 162, 190, 402, 471; ხეც: Hd-5220; Hd-5220; Qd-7237; Qd-7241.

ბ. ბაინდურაშვილი

ქეშიქჩიბაში – (მონღ. kheshig/keshig/kheshichan, სპარს. qašiq – მცველი, დარაჯი, თურქ. başı – მეთაური); მონღოლეთის იმპერიაში და შემდგომ, ირანის შაჰის კარზე, უმაღლესი ხელისუფლის მცველთა უფროსი. საქართველოში ქ-ის, როგორც მეფის მცველთა უფროსის, შემოღება ერეკლე II-ის მიერ ჩატარებულ რეფორმებს უკავშირდება. XVIII ს-ის მეორე ნახევრამდე ქეშიკი, როგორც ლექსიკური ერთეული, „მცველის“ და „მოდარაჯის“ მნიშვნელობით გამოიყენებოდა. „დასტურლამალის“ მიხედვით, მეთოფეთა რაზმებს ევალებოდათ „დგომის საქმე და ქეშიკობა“. 1774 წ-ის „მორიგე ჯარის განწესებაში“ ქ. კარის მოხელედ მოიხსენიება. ერეკლე II-მ ყულარაღასისა (იხ.) და ყორჩიბაშის (იხ.) ის ფუნქციები, რომლებიც გულისხმობდა მეფისა და სასახლის დაცვას, ქ-ს გადასცა. ქეშიკები დასავლეთ საქართველოს წყაროებშიც მოიხსენიებიან, მაგ., იმერეთის სამეფო კარისა და სამეგრელოს მთავრის ქეშიკები. 1759 წ-ის ერთი საბუთის მიხედვით, იმერეთში დამონმებულია ქეშიკთუხუცესი მხეიძე, რომელიც ქ-ის ანალოგი უნდა იყოს. ქ. შემოსავლიანი და საპატიო თანამდებობა იყო და მას მოადგილეებიც ჰყავდა. მთავრმართველ პავლე ციციანოვისადმი წარდგენილ მოხსენებაში თავადი დავით აბაშიშვილი აღნიშნავს, რომ მეფე გიორგი XII-ის დროს იგი იყო ქ-ის ნაიბი და ჰქონდა შესაბამისი წყალობა მეფისგან.

წყაროები და ლიტერატურა: სურგულაძე 1952: 300-301; გაბაშვილი 1943: 203; მესხია 66-67; კაკაბაძე 1913: 5.

თ. აბულაძე

ქილიფთარი – (არაბ. koloft-მსახური); სამეურნეო-საფინანსო ხასიათის მოხელე. „დასტურლამალში“ აღნიშნული სახელო მერიქიფეებთან ერთად შეტანილია მერიქიფეთუხუცესისადმი მიძღვნილ ცალკე პარაგრაფში. დედოფლის „დასტურლამალის“ მიხედვით, იგი მსახურია და საფარემოს მოხელეებთანაა დაკავშირებული. ქ-ის თანამდებობა ეკავათ სახასო აზნაურიშვილებს. ზოგიერთი საბუთის მიხედვით, ქ-ს შეთავსებული ჰქონდა თავლიდარის, (იხ.) მოლარის ან მოურავის (იხ.) თანამდებობებიც.

წყარო და ლიტერატურა: დასტურლამალი 1970: 707; სურგულაძე 1952: 171, 217-218.

ქილიფთარები. XVII ს.

ბახუტა – სალაროს ქ. და კისისხევის მოურავი 1622 წ. მოლარე 1654 წ.

ყაიბულა/ყაიბულა ბეგი – სარიქიფოს ქ. და სასახლის თავლიდარი 1654 წ.

ყორღანაშვილი როსტომ – მოლარე 1677-1678 წწ. ხელმწიფის ქ. 1685 წ.

წყაროები: ქსის 1955: 246, 247; პალ 1991: 485; პალ 2015: 10, 70-72, 105.

თ. აბულაძე

ყაფიჩიბაში – (თურქ. qapıçibâşı – მეკარე), ხელჯოხიანთა რიგის თანამდებობა, საპოლიციო დაცვისა და სასამართლო-ადმინისტრაციული ფუნქციების მქონე მოხელე. **ყ.** და მისი ხელქვეითი თხუთმეტი ყაფიჩი ეშიკაღასბაშის (იხ.) უწყებაში შედიოდნენ. ვახუშტი ასახელებს მხოლოდ ყაფიჩს, „მეკარეს“, **ყ.**-ის თანამდებობა მისთვის უცნობია, თუმცა, XVII ს-ის საბუთებში ისინი მოიხსენებიან. **ყ.** და ყაფიჩები დასახელებული არიან „დასტურლამაღში“. აქ მოიხსენიებიან: „კარის **ყ.**-ები“, „დავთარხანის **ყ.**-ები“, „მეთოფეთ **ყ.**-ები“. სამეფო კარის **ყ.**-ის საქმიანობის ადგილი და განაწესი მკაცრად იყო განსაზღვრული. მეფის კართან მდგომ **ყ.**-ს (შდრ. საწოლის მეკარე) მცველის, იასაულის ფუნქცია ჰქონდა, თუმცა, იასაული რანგით უფრო დაბალ საფეხურზე იდგა. **ყ.**-ს და ყაფიჩებს, სხვა მცველებისაგან განსხვავებით, მეფესთან შესვლის უფლება ჰქონდათ. კარის მცველის გარდა, **ყ.**-ის მოვალეობას შეადგენდა საქმის გამოძიება, საგანგებო დავალებების შესრულება, სასახლიდან გამოსული ბრძანების ადგილებზე მიტანა, განაჩენის სისრულეში მოყვანა. ამასთანავე, **ყ.**-ს ბოქაულთუხუცესთან (იხ.) და საეშიკაღასბაშოს თავლიდართან (იხ.) ერთად მეფისა და მდივანბეგის (იხ.) ბრძანებები, საპოლიციო ქალაქები, სასამართლოს განჩინებები და საგამოძიებო მასალები ებარა. ქვეყნის გარეთ საგანგებო დავალებით წარგზავნილი **ყ.** სრული თავისუფლებით სარგებლობდა. **ყ.**-ები სარგოს იმ წილიდან იღებდნენ, რომელიც ხელჯოხიანებისთვის იყო დაწესებული.

წყაროები და ლიტერატურა: დასტურლამაღი 1965: 461, 480; ვახუშტი 1973: 32; პაპუნა ორბელიანი 1981: 79; გაბაშვილი 1942: 189, 191; სურგულაძე 1952: 279-281

ყაფიჩიბაშები და ყაფიჩები. XVII ს.

გოგობაშვილი დოღმაზ – სამეფო კარის **ყ.** 1636-1653 წწ. (პალ 1991: 682).

თურქისტანისშვილი ბერუკა – სამეფო კარის **ყ.** 1664-1679 წწ. (პალ 1991: 532; პალ 1993: 369). **ყორღანაშვილი ქაინდავლე** – სამეფო კარის **ყ.** 1635-1671 წწ. (პალ 2015: 74-75).

შანშიაშვილი პაპია/პაპუნა – სამეფო კარის **ყ.** როსტომ მეფის კარზე 1651-1653 წწ.; შაჰნავაზის კარის სოიბათიასაული 1653-1680 წწ. (პალ 2015: 129-31).

იაგულაშვილი ალიხანა – სამეფო კარის **ყ.** 1636-1646 წწ. (პალ 1993: 384);

მანთაშა – სამეფო კარის **ყ.** 1646 წ. (პალ 2004: 49).

ყავრიშვილი გიორგი – სამეფო კარის **ყ.** 1654 წ. (პალ 2015: 5).

წარიმანაშვილი ხოსრო – სამეფო კარის **ყ.** 1657-1666 წწ. (პალ 2004: 272-73).

ჯანშაშვილი პაპუნა – სამეფო კარის **ყ.** 1688-1699 (პალ 2015: 484).

ველასშვილი შანაზარა – სამეფო კარის ყ. 1697 წ. (პალ 1993: 188).

თურქისტანიშვილი ბაგრატ – სამეფო კარის ყ. 1687-1690 წწ. (პალ 1993: 368).

შაჰნაზარა – სამეფო კარის ყ. 1692-96 წწ. (პალ 2015: 116).

ხოსრო – სამეფო კარის ყ. XVII ს-ის II ნახ. (პალ 2015: 399).

თ. აბულაძე

ყორიასაულბაში – (თურქ. qor yasāil bāši – პოლიციელთა მეთაური) ხელჯოხიანთა (საპოლიციო ფუნქციის შემსრულებელი მოხელეების) რიგის თანამდებობა. ყ. შედიოდა ეპიკალასბაშის (იხ.) უწყებაში. ვახტანგ VI მხოლოდ ჩამოთვლის ამ სახელოს მფლობელებს და არ მიუთითებს მათ სარგოსა და ჯამაგირს. ყ. ყულებთან და ყორჩებთან ერთად ყულარალასის (იხ.) და ყორჩიბაშის (იხ.) განკარგულების ქვეშ მონაწილეობდა სასახლის დიდ დარბაზობაში. მეფე და მდივანბეგები (იხ.) მას მიმართავდნენ მიღებული გადაწყვეტილებების სისრულეში მოსაყვანად, რაც ყ-ის იასაულების მეშვეობით უნდა აღსრულებულიყო. XVIII ს-ში ყ-მა თანდათანობით ჩაანაცვლა ბოქაულთუხუცესის (იხ.) თანამდებობა. ყ-ის ფუნქციები განსაკუთრებით გაფართოვდა XVIII ს-ის მეორე ნახევარში. ამ დროს იგი იასაულების უფროსად ჩანს. ზოგიერთ წყაროში მას „ყორიასაულბაშ-ნაიბ-ეპიკალასი“ ეწოდება (ერეკლე II-ის 1782 წ-ის ბრძანება). აღნიშნულ პერიოდში ეს სახელო, გარდა აღმასრულებელი ფუნქციისა, დიპლომატიურ საქმიანობასაც ითავსებდა. მაგ., ომან ხერხეულიძის მოწმობით, ერეკლე II ერევნის ხანთან საგანგებო მინდობილობით აგზავნის ყ. ზაზა თარხნიშვილს მდივანბეგ ქაიხოსრო ანდრონიკაშვილთან ერთად. თაყა არლუთოვი, ყ-ის ნაიბი (მოადგილე), მთავარმართებელ პავლე ციციანოვისადმი წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნავს, რომ იგი მეფეების მიერ წელიწადში 3-4-ჯერ წარიგზავნებოდა ხოლმე ელჩად მეზობელ ქვეყნებში.

წყაროები და ლიტერატურა: დასტურლამალი 1965: 240; სურგულაძე 1952: 272-275; გაბაშვილი 1942: 13, 189-190.

ყორიასაულბაშები. XVII-XVIII სს.

ბარათაშვილ-საამიშვილი ზაალ – ედიშერ ბარათაშვილის ძე, სამეფო კარის ყ. 1680-იანი წწ.

საგინაშვილი ბეჟან, სააკაძე მერაბ, გლურჯიძე ტარიელ – სამეფო კარის ყ-ები, XVIII ს-ის დასაწყისი (დასტურლამალის მიხედვით).

თარხნიშვილი ზაზა – სამეფო კარის ყ. XVIII ს-ის 80-იანი წწ., მდივანბეგ ქაიხოსრო ანდრონიკაშვილთან ერთად წარგზავნილი იყო, როგორც დესპანი, ერევნის სახანოში და ირანში ქერიმ-ხან ზენდთან.

ონაშვილი-ვაჩნაძე ლუარასაბ – სამეფო კარის ყ., ასპინძის გმირი.

წყაროები: დასტურლამალი 1965: 240; მესხია 1948: 80, 63; 81, 63; ომან ხერხეულიძე 1989: 65, 69. ხეც: Qd-259, Hd-2964; სეა 1450-27/127.

თ. აბულაძე

ყორჩიბაში – (თურქ. qorçibāşi – ცხენოსან მოისართა, ყურჩების უფროსი). ირანის ადმინისტრაციული აპარატის ანალოგიით შექმნილი სახელო. სეფიანური ირანის მოხელეთა შორის ყ-ის თანამდებობა ითვლებოდა სახელმწიფოს შვიდ საყრდენთაგან ერთ-ერთად (arkān-e dowlat) დიდ ვეზირთან, ეშიკადასბაშთან (იხ.), ყულარალასთან, (იხ.), თოფანგჩიადასთან, მდივანბეგთან (იხ.) და მეჯლისის ნავისთან ერთად. ყ. გვარდიულ კორპუსსა და ფეოდალურ ლაშქარს მეთაურობდა. ვახუშტის მიხედვით, როსტომის დროინდელ ქართლში (XVII ს.) ყ-მა ჩაანაცვლა მსახურთუხუცესის (იხ.) სახელო და მას დაექვემდებარნენ „სალაშქრო საჭურველისა და იარაღის მსახურნი მეფისანი და ციხე-ქალაქთა მცველნი სპანი მეფისანი“. „მსახურთუხუცესად“ განმარტავს ყ-ს სულხან-საბა ორბელიანიც, თუმცა, მსახურთუხუცესის სახელო ქართულ მონარქიაში უფრო მნიშვნელოვანი, მრავალი ფუნქციის შემცველი და საპატიო იყო, ვიდრე ყ-ისა. ყორჩები და ყულები გვიანფეოდალურ საქართველოში მეფის პირადი ქეშიკებისა და ყარაულების ფუნქციას ასრულებდნენ. „დასტურლამალში“ ჩამოთვლილი ყ-ის სახელოს 16 ყორჩი და ყულარალასის სახელოს 15 ყული ერთი და იგივე პირები არიან. მათი ფუნქციაც ერთნაირადაა განსაზღვრული – მეფის პირადი მომსახურების ხელმძღვანელობა, მეფის სამსახურის დაცვაში მონაწილეობა: „ბატონის უკან ყ. და ყულარალასი ზეზედ დადგებიან, ბატონის ბრძანებამდინუ დასხდებიან, ყული და ყორჩი რიგზედ დააყენონ, ყორიასაულიც იქ დააყენონ და იმათი დგომა გაარიგონ“. ამასთან, ყულარალასს მეფის დამცველი რაზმები ებარა, რომლებთანაც ყ-ს არ ჰქონდა კავშირი.

წყაროები და ლიტერატურა: დასტურლამალი 1965: 484-485, 494; ვახუშტი 1973: 23; პაპუნა ორბელიანი 1981: 151; პალ, 1991: 456; პალ 1993: 465; პალ 2004: 15; პალ 2007: 4, 91, 106, 111, 119, 129; პალ 2015: 249, 359; ქსის 1955: 41, 410; სურგულაძე 1952: 297-300; გაბაშვილი 1942: 13, 201-203; კაციტაძე 2009: 448.

თ. აბულაძე

ყულარალასი – (თურქ-სპარს. qulār āqāsi – ყულის ჯარის, მეფის მცველების უფროსი); მეფის პირადი დაცვის ხელმძღვანელი, მეფის მცველ მეთოფეთა უფროსი გვიანფეოდალურ საქართველოში. ეს სახელო პირველად შეიქმნა სეფიანთა ირანში შაჰ აბას I-ის (1587-1929 წწ.) დროს, წარმოადგენდა შაჰის პირად დაც-

ვას. ყულის (შაჰის მონები) ჯარში მსახურობდნენ ქართველი, სომეხი და ჩერქეზი ახალგაზრდები, რომლებიც ირანის შაჰის მონებად (აქ: მსახური) ითვლებოდნენ. მანამდე, გაცილებით ადრე, ანალოგიური ტიპის სამსახური საქართველოში დავით აღმაშენებელმა (1089-1125) შექმნა და მას მონა-სპა ეწოდებოდა, ანუ ყულის ჯარი და მონა-სპა თვისობრივად ერთნაირი დანიშნულების სამსახურს წარმოადგენდა.

ქართულ სამოხელეო ინსტიტუტში **ყ.** სახელოს განსაკუთრებული ადგილი უკავია. „დასტურლამალის“ მიხედვით, **ყ**-ის ძირითად მოვალეობას მეფის დაცვა შეადგენდა. მის განკარგულებაში იყო მეთოფეთა სამი რაზმი. **ყ.** სასახლის დიდმოხელედ ითვლებოდა და სამეფოს მართვაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

